თეიგიზ ლილუაშვილი
ვალერი ხრუსტალი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მიღებულია 1997 წლის 14 ნოემბერს.
ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან.
(2007 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით)

მეორე გადამუშავებული და შესწორებული
გამოცემა

გამომცემლობა „სამართალი“
თბილისი 2007

კომენტარი მოამზადეს:
თენგიზ ლილუაშვილმა, ვალერი ხრუსტალმა

© თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი
© გამომცემლობა „სამართალი“

ISBN 978-99940-807-3-1

პირველი გამოცემის

წინათქმა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან, აგებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების სრული გათვალისწინებით და შეიცავს ისეთ ნორმებსაც, რომლებიც ადრე მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან შედარებით განსხვავებულად აწესრიგებენ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებას, სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ საპროცესო ურთიერთობებს. ამ ახალი ნორმების ჭეშმარიტი აზრისა და შინაარსის გარკვევაში დახმარების აღმოჩენის მიზნით, ჯერ კიდევ კოდექსის ამოქმედების საწყის ეტაპზე გამოიცა თენგიზ ლილუაშვილის პრაქტიკული სახელმძღვანელო „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“, ასევე თენგიზ ლილუაშვილის და ვალერი ხრუსტალის პრაქტიკული სახელმძღვანელო „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-316-ე მუხლების კომენტარი“, რომლებიც სამოქალაქო პროცესის ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით კომენტარს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენების პრაქტიკამ გვიჩვენა მუხლობრივი კომენტარის შემუშავებისა და გამოცემის მიზანშეწონილობა და აუცილებლობა.

კომენტარზე მუშაობის დროს ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ავტორების წინაშე იდგა, ესაა იმ საკითხების რაც შეიძლება ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამა თუ იმ მუხლის გამოყენებისას. ყველაზე ქმედითი დახმარება ამ პრობლემის დაძლევაში შეეძლო სასამართლო პრაქტიკას, რომლის მონაცემებს ითვალისწინებენ ავტორები. ამასთან ერთად, ცხოვრებამ შეიძლება ისეთი საკითხებიც წამოჭრას,

რომელთა გათვალისწინება ყოველთვის არაა შესაძლებელი. ყოველი შენიშვნა, წინადადება თუ რეკომენდაცია, რომლებსაც მკითხველი მოგვაწვდის, დაგვეხმარება შემდგომი გამოცემის მომზადებისას და ავტორების მიერ დიდი მადლიერებით იქნება მიღებული.

წიგნი გათვალისწინებულია მოსამართლეებისათვის, ადვოკატებისათვის, იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ასპირანტებისა და პედაგოგებისათვის, აგრეთვე, სამოქალაქო სამართალწარმოებით დაინტერესებული პირებისათვის.

მეორე გამოცემის წინათქმა

ამ კომენტარის პირველი გამოცემიდან არც ისე დიდი დროა გასული, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნა მრავალი ცვლილება და დამატება. ეს ცვლილებები და დამატებები განპირობებული იყო ძირითადად ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულებისა და, მთლიანად, სამოქალაქო საქმის სასამართლოში წარმოების გამარტივებით, ხარვეზით კანონმდებლობაში, რომელიც გამოვლინდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა პრაქტიკულად გამოყენების პროცესში, ცვლილებებით სასამართლო სისტემაში, კერძოდ საოლქო სასამართლოების გაუქმებით და რაიონული სასამართლოების გამსხვილებით, მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობის შემოღებით. რიგ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი იქნა პრინციპული ხასიათის ცვლილებები, როგორიცაა მაგალითად საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სრულიად ახალი წანამძღვრების საკანონმდებლო წესით დამკვიდრება, ცვლილებები კერძო საჩივრის განხილვის წესებში და ა.შ. ცვლილებები შეეხო არამარტო ცალკეულ მუხლებს და ამ მუხლებით დამკვიდრებულ დებულებებს. კოდექსში შევიდა ახალი თავები, როგორიცაა „თავი XLI[1], დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა" და თავი XLIV[1]. „წარმოება რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით".

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი ცვლილება და დამატება არ იყო ყოველმხრივ და სრულყოფილად გააზრებული პროექტის ავტორების მიერ, რაზეც ნათლად მეტყველებს კანონმდებლის დაუსრულებელი ზრუნვა კვლავ შეიტანოს ცვლილება და

დამატება ისეთ მუხლებში, რომლებმაც სულ ეხლახან განიცადეს ასეთი ცვლილება.

ამ კომენტარის ავტორებს მიაჩნიათ, რომ შეიძლება არც ეს კომენტარი აღმოჩნდეს მთლად უნაკლო და უხარვეზო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, იგი გარკვეულ დახმარებას აღმოუჩენს სასამართლოს და სხვა პრაქტიკულ დაწესებულებათა მუშაკებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმებისა და დებულებების აზრისა და შინაარსის სწორად გაგებაში.

გამოვთქვამთ იმედს, რომ მკითხველი მოგვაწვდის თავის შენიშვნებსა და წინადადებებს, რაც დიდ დახმარებას გაგვიწევს შემდგომი გამოცემის მომზადებისას და მადლიერებით იქნება მიღებული ავტორების მიერ.

შინაარსი

პირველი გამოცემის წინათქმა IV
მეორე გამოცემის წინათქმა VI
შინაარსი ..... VIII-XXIX

წიგნი პირველი
ზოგადი დებულებანი 1

კარი პირველი
სასამართლო 1

თ ა ვ ი I
სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი 1
მუხლი 1. გამოყენების სფერო 1
მუხლი 2. უფლების სასამართლო წესით დაცვა 3
მუხლი 3. დისპოზიციურობის პრინციპი 3
მუხლი 4. შეჯიბრებითობის პრინციპი 7
მუხლი 5. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე 9
მუხლი 6. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება 10
მუხლი 7. კანონისა და სამართლის ანალოგია 13
მუხლი 8. გადაწყვეტილების გამოტანა საქართველოს სახელით 16
მუხლი 9. სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობა და სამართალწარმოების ენა 16
მუხლი 10. სასამრთლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა 20

თ ა ვ ი II
უწყებრივი ქვემდებარეობა 22
მუხლი 11. სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი 22
მუხლი 12. დავის გადაცემა განსახილველად არბიტრაჟისათვის 24

თ ა ვ ი III
განსჯადობა 27

მუხლი 13. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეები 27
მუხლი 14. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები 29
მუხლი 15. საერთო განსჯადობა 32
მუხლი 16. განსაკუთრებული განსჯადობა 36
მუხლი 17. სარჩელის აღძვრა მოპასუხის მიმართ, რომელსაც საქართველოში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი (ქონებრივი განსჯადობა) 39
მუხლი 18. ნივთობრივი განსჯადობა 40
მუხლი 19. ოჯახური დავების განსჯადობა 41
მუხლი 20. განსჯადობა მოსარჩელის არჩევით 42
მუხლი 21. შეთანხმება განსჯადობის შესახებ 43
მუხლი 22. განსჯადობის წესების დაცვით მიღებული საქმის განხილვა 45
მუხლი 23. საქმის გადაცემა განსჯადი სასამართლოსათვის 46
მუხლი 24. განსჯადობის შესახებ დავის დაუშვებლობა 48

თ ა ვ ი IV
სასამართლოს შემადგენლობა. აცილება 49
მუხლი 25. სასამართლოს შემადგენლობა 49
მუხლი 26. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა განხილვის წესი. 50
მუხლი 27. კოლეგიური სასამართლოს მიერ საკითხების გადაწყვეტის წესი 53
მუხლი 28. თათბირის საიდუმლოება 55
მუხლი 29. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა 56
მუხლი 30. სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა 57
მუხლი 31. მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები 58
მუხლი 32. თვითაცილება 61
მუხლი 33. მხარეთა განცხადება აცილების შესახებ 61
მუხლი 34. განცხადებული აცილების გადაწყვეტის წესი 63
მუხლი 35. ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილების საფუძველი 68
მუხლი 36. აცილების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრება 69

თ ა ვ ი V
პროცესის ხარჯები 70
მუხლი 37. ცნებათა განსაზღვრა 70
მუხლი 38. სახელმწიფო ბაჟი 71
მუხლი 39. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 72

მუხლი 40. დავის საგანის ღირებულება 76
მუხლი 41. დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი 78
მუხლი 42. დავის საგნის ფასის წინასწარ განსაზღვრა 81
მუხლი 43. ამოღებულია 82
მუხლი 44. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები 82
მუხლი 45. მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნისათვის გადასახდელი თანხები 84
მუხლი 46. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება 87
მუხლი 47. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ 92
მუხლი 48. სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება და მათი ოდენობის შემცირება 94
მუხლი 49. სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირება 95
მუხლი 50. ადგილზე დათვალიერებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება 97
მუხლი 51. მოპასუხისა და მოვალის მოძებნა 98
მუხლი 52. მხარის მიერ სასამართლო ხარჯების წინასწარი შეტანა 99
მუხლი 53.სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის100
მუხლი 54. სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისა და მორიგებისას 103
მუხლი 55. სახელმწიფოსათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება 104
მუხლი 56. ამოღებულია 105

თ ა ვ ი VI
საპროცესო უზრუნველყოფა 106
მუხლი 57. უზრუნველყოფის გარანტია 106
მუხლი 58. უზრუნველყოფის საფუძვლის მოხსნა 108

თ ა ვ ი VII
საპროცესო ვადები 110
მუხლი 59. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა 110
მუხლი 60. საპროცესო ვადის გამოთვლა 112
მუხლი 61. საპროცესო ვადის დამთავრება 114
მუხლი 62. საპროცესო ვადის შეჩერება 115
მუხლი 63. საპროცესო ვადის გასვლის შედეგები 116
მუხლი 64. საპროცესო ვადის გაგრძელება 117
მუხლი 65. საპროცესო ვადის აღდგენა 118
მუხლი 66. განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ .. 119
მუხლი 67. საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების ფორმა და შინაარსი 120

მუხლი 68. საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვა 120
მუხლი 69. საპროცესო ვადის აღგენასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდევინება 121

თ ა ვ ი VIII
სასამართლო შეტყობინება და დაბარება 122
მუხლი 70. სასამართლო უწყება 122
მუხლი 71. სასამართლო უწყების ჩაბარება 125
მუხლი 72. სასამართლო უწყების შინაარსი 127
მუხლი 73. სასამართლო უწყების გაგზავნა 128
მუხლი 74. შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში ... 132
მუხლი 75. უწყების მიღებაზე უარის თქმა 134
მუხლი 76. მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს 135
მუხლი 77. უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის 136
მუხლი 78. მოპასუხის ადგილსამყოფლის დაუდგენლობა 137
უწყების ჩაბარებულად ჩათვლის საფუძვლები და დრო
კომენტარის ავტორთა რეკომენდაციები 138-141

კარი მეორე
მხარეები 142

თ ა ვ ი IX
მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა 142
მუხლი 79. მხარეები სამოქალაქო პროცესში 142
მუხლი 80. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა 144
მუხლი 81. სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა 146
მუხლი 81[1]. არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე 149
მუხლი 82. ქმედუუნარო მხარის საპროცესო წარმომადგენელი პროცესში (საპროცესო მზრუნველი) 149
მუხლი 83. მხარეთა საპროცესო უფლებები 152
მუხლი 83[1] მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობა 155
მუხლი 84. არასათანადო მოსარჩელის შეცვლა 157
მუხლი 85. არასათანადო მოპასუხის შეცვლა 160

თ ა ვ ი X
საპროცესო თანამონაწილეობა 162
მუხლი 86. თანამონაწილეობის საფუძვლები 162
მუხლი 87. თანამონაწილეთა საპროცესო უფლებები 166

თ ა ვ ი XI
მესამე პირები 168

მუხლი 88. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით 168
მუხლი 89. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე 170
მუხლი 90. მესამე პირის ჩაბმა საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით 173
მუხლი 91. მესამე პირების საპროცესო უფლებები 175
მუხლი 92. საპროცესო უფლებამონაცვლეობა 175

თ ა ვ ი XII
წარმომადგენლობა სასამართლოში 182
მუხლი 93. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით 182
მუხლი 94. პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში 184
მუხლი 95. პირები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში 186
მუხლი 96. წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება .. 186
მუხლი 97. სასამართლოს უარი იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი 190
მუხლი 98. წარმომადგენლის უფლებამოსილება 191
მუხლი 99. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ 194
მუხლი 100. წარმომადგენლის უარი თავის უფლებამოსილებაზე 195
მუხლი 101. კანონიერი წარმომადგენლები 196

კარი მესამე
სასამართლო მტკიცებულებები 200

თ ა ვ ი XIII
მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება 200
მუხლი 102. მტკიცების ტვირთი. მტკიცებულებათა დასაშვებობა 200
მუხლი 103. მტკიცებულებათა შეგროვება 204
მუხლი 104. მტკიცებულებათა მიუღებლობა 205
მუხლი 105. მტკიცებულებათა შეფასება 207
მუხლი 106. ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას ... 209
მუხლი 107. სასამართლო დავალებანი 211
მუხლი 108. სასამართლო დავალების შესრულების წესი 213

თ ა ვ ი XIV
მტკიცებულებათა უზრუნველყოფა 215
მუხლი 109. შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ 215

მუხლი 110. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სასამართლოში საქმის აღძვრამდე 216
მუხლი 111. განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ 217
მუხლი 112. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შინაარსი 218
მუხლი 113. სასამართლოს განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ 220
მუხლი 114. სპეციალისტის მონაწილეობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დროს 221
მუხლი 115. მხარეთა მონაწილეობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში 222
მუხლი 116. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი მასალების სასამართლოში გადაგზავნა 223
მუხლი 117. მტკიცებულებათა განმეორებითი ან დამატებითი უზრუნველყოფა 224
მუხლი 118. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი 225
მუხლი 119. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება 226

თ ა ვ ი XV
ადგილზე დათვალიერება 227
მუხლი 120. ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება 227
მუხლი 121. სასამართლოს განჩინება ადგილზე დათვალიერების შესახებ 228
მუხლი 122. ადგილზე დათვალიერების ჩატარება 230
მუხლი 123. სპეციალისტის მონაწილეობა ადგილზე დათვალიერებაში 230
მუხლი 124. დათვალიერებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები 231
მუხლი 125. დათვალიერების ოქმის შინაარსი 232
მუხლი 126. დათვალიერებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა 233

თ ა ვ ი XVI
მხარეთა ახსნა-განმარტება 234
მუხლი 127. მხარეთა ახსნა-განმარტების მიღება 234
მუხლი 128. მოსამართლეთა შეკითხვები 236
მუხლი 129. პირები, რომლებისგანაც არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება 238
მუხლი 130. ახსნა-განმარტების მიღება ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში 239
მუხლი 131. აღიარება 240

მუხლი 132. მხარეთა აღიარების ფორმა 242
მუხლი 133. აღიარების გაქარწყლება მხარის მიერ 243

თ ა ვ ი XVII
წერილობითი მტკიცებულება 245
მუხლი 134. წერილობითი მტკიცებულებები და მათი წარდგენის წესი 245
მუხლი 135. წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა .. 247
მუხლი 136. სასამართლოსათვის წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის სავალდებულოობა 248
მუხლი 137. განცხადება საბუთის სიყალბის შესახებ 251
მუხლი 138. წერილობით მტკიცებულებათა ამონაწერის წარდგენა და მათი დათვალიერება შენახვის ადგილზე 254
მუხლი 139. დედანი საბუთების შენახვა და დაბრუნება 254

თ ა ვ ი XVIII
მოწმეთა ჩვენება 256
მუხლი 140. მოწმის გამოძახება 256
მუხლი 141. პირები, რომლებიც არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმედ 257
მუხლი 142. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება 258
მუხლი 143. ჩვენების მიცემის ვალდებულება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მიუხედავად 259
მუხლი 144. მოწმის მოვალეობა დაასაბუთოს უარის თქმა ჩვენების მიცემაზე 261
მუხლი 145. მოწმის მოვალეობა 262
მუხლი 146. მოწმის უფლება 263
მუხლი 147. მოწმის დაკითხვა მის ადგილსამყოფელზე 264
მუხლი 148. მოწმის დაკითხვა 265
მუხლი 149. მოწმის განმეორებით დაკითხვა. მოწმეთა დაპირისპირება 267
მუხლი 150. მოწმის მიერ ჩანაწერებით სარგებლობა 268
მუხლი 151. უარის თქმა მოწმის დაკითხვაზე 269
მუხლი 152. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა 269
მუხლი 153. მოწმის მიერ ფიცის დადება 270

თ ა ვ ი XIX
ნივთიერი მტკიცებულება 274
მუხლი 154. ნივთიერი მტკიცებულებანი, მათი გამოთხოვისა და წარდგენის წესი 274
მუხლი 155. სასამართლო, რომელსაც უნდა წარედგინოს ნივთიერი მტკიცებულება 275
მუხლი 156. ნივთიერი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობა 276

მუხლი 157. მხარის მიერ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე უარის თქმა 278
მუხლი 158. ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმება 279
მუხლი 159. ნივთიერ მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერება 280
მუხლი 160. ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვა 281
მუხლი 161. ნივთიერ მტკიცებულებათა დაბრუნება 282

თ ა ვ ი XX
ექსპერტის დასკვნა 284
მუხლი 162. ექსპერტიზის დანიშვნა 284
მუხლი 163. განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ 286
მუხლი 164. რამდენიმე ექსპერტის დანიშვნა 288
მუხლი 165. ექსპერტიზის ჩატარების ადგილი 289
მუხლი 166. ექსპერტიზის ჩატარების წესი სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში 289
მუხლი 167. ექსპერტიზის ჩატარება არასაექსპერტო დაწესებულებაში 290
მუხლი 168. ექსპერტის უფლებები და მოვალეობები 291
მუხლი 169. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალების შეგროვება 294
მუხლი 170. ექსპერტის დასკვნის ფორმა და შინაარსი 295
მუხლი 171. ექსპერტის დასკვნის შემოწმება. ექსპერტისათვის შეკითხვის მიცემის წესი 297
მუხლი 172. ექსპერტის დასკვნის შეფასება 298
მუხლი 173. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა 299
მუხლი 174. ექსპერტიზის მასალების დაბრუნება სასამართლოსათვის 300
მუხლი 175. ფიცის დადება ექსპერტის მიერ 301
მუხლი 176. ექსპერტის გასამრჯელო 302

წიგნი მეორე
საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში 304

კარი მეოთხე
სასარჩელო წარმოება 304

თ ა ვ ი XXI
საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით 304
მუხლი 177. საქმის აღძვრა 304
მუხლი 178. სარჩელის შინაარსი 305

მუხლი 179. სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები .. 309
მუხლი 180. აღიარებითი სარჩელი 310
მუხლი 181. სარჩელი ვალდებულებების მომავალში შესრულების შესახებ 312
მუხლი 182. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანება და გამოყოფა 313
მუხლი 183. სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანის ვადა 317
მუხლი 184. სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გადაგზავნა მოპასუხისათვის 318
მუხლი 185. ხარვეზის შესახებ განჩინება და სარჩელის უკან დაბრუნება 320
მუხლი 186. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა 321
მუხლი 187. განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ 326

თ ა ვ ი XXII
შეგებებული სარჩელი 329
მუხლი 188. შეგებებული სარჩელის აღძვრა 329
მუხლი 189. შეგებებული სარჩელის მიღების პირობები 331
მუხლი 190. საქმის განხილვის გადადება შეგებებული სარჩელის აღძვრის გამო 334

თ ა ვ ი XXIII
სარჩელის უზრუნველყოფა 335
მუხლი 191. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ . 335
მუხლი 192. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე 338
მუხლი 193. განცხადების განხილვის წესი 339
მუხლი 194. განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 340
მუხლი 195. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება 342
მუხლი 196. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით 343
მუხლი 197. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება 344
მუხლი 197[1]. სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღება და განხილვა, საჩივრისა და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში 346
მუხლი 198. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები 350
მუხლი 199. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება 353
მუხლი 199[1]. სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება 356

თ ა ვ ი XXIV

საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად 358

მუხლი 200. საქმის მომზადების მიზანი 358
მუხლი 201. სასამართლოს დავალებები მოპასუხისადმი 360
მუხლი 202. მოპასუხის წერილობითი პასუხის გადაგზავნა მოსარჩელისათვის 362
მუხლი 203. მოქმედება, რომელსაც ასრულებს მოსამართლე საქმის მომზადების მიზნით 364
მუხლი 204. სპეციალისტის მოწვევა 367
მუხლი 205. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა 369
მუხლი 206. მხარეთა მოვალეობა 370
მუხლი 207. განჩინება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ 371
მუხლი 208. განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ .. 373
მუხლი 209. საქმის წარმოების შეწყვეტა და სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება საქმის მომზადების დროს 374

თ ა ვ ი XXV

სასამართლოს მთავარი სხდომა 376

მუხლი 210. სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყება 376
მუხლი 211. წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულოობა 378
მუხლი 212. სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა 379
მუხლი 213. თარჯიმნისათვის მისი მოვალეობის განმარტება .. 386
მუხლი 214. სასამართლო შემადგენლობის გამოცხადება და აცილების უფლების განმარტება 387
მუხლი 215. მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვა 389
მუხლი 216. საქმის განხილვის გადადება და გაგრძელება..... 393
მუხლი 217. საქმის განხილვის დაწყება 396
მუხლი 217'. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების განხილვა 399
მუხლი 218. მოქმედება რომელსაც ასრულებს მოსამართლე მხარეთა მორიგების მიზნით 401
მუხლი 219. ახალ გარემოებებზე მითითება 402
მუხლი 220. ახსნა-განმარტების მიღება გამოცხადებული პირისაგან 403
მუხლი 221. მხარეთა შეკითხვები 404
მუხლი 222. მოსამართლეთა შეკითხვები 405
მუხლი 223. მხარეთა შეჯიბრების ხელმძღვანელობა 405

მუხლი 224. მოსარჩელის მიერ სარჩელის შეცვლისა და მოპასუხის მიერ შეგებებული სარჩელის აღძვრის შესახებ საკითხების გადაწყვეტის წესი 407
მუხლი 225. წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება 408
მუხლი 226. მტკიცებულებათა შემოწმების დამთავრება 409
მუხლი 227. მხარეთა პაექრობა 410
მუხლი 228. რეპლიკა 411

თ ა ვ ი XXVI
დაუსწრებელი გადაწყვეტილება 413
მუხლი 229. მოსარჩელის გამოუცხადებლობა 413
მუხლი 230. მოპასუხის გამოუცხადებლობა 415
მუხლი 231. ორივე მხარის გამოუცხადებლობა 418
მუხლი 232. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის უარი მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში 419
მუხლი 233. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა 420
მუხლი 234. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი 422
მუხლი 235. გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა 423
მუხლი 236. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება 423
მუხლი 237. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 424
მუხლი 238. საჩივრის შინაარსი 424
მუხლი 239. სასამართლოს მოქმედება საჩივრის მიღების შემდეგ 426
მუხლი 240. ახალი გადაწყვეტილება 427
მუხლი 241. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები 430
მუხლი 242. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება 431

თ ა ვ ი XXVII
სასამართლო გადაწყვეტილება 432
მუხლი 243. საბოლოო გადაწყვეტილება 432
მუხლი 244. საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანის დროს 433
მუხლი 245. ნაწილობრივი გადაწყვეტილება 434
მუხლი 246. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება 436
მუხლი 247. გადაწყვეტილების ჩამოყალიბება 437
მუხლი 248. სასამართლო გადაწყვეტილებების ფარგლები 438
მუხლი 249. გადაწყვეტილების შინაარსი 439
მუხლი 250. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბება 443
მუხლი 251. გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და ვადის განსაზღვრა. აღსრულების უზრუნველყოფა 444

მუხლი 252. გადაწყვეტილება იურიდიული პირისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ 444
მუხლი 253. გადაწყვეტილება ქონების მიკუთვნების ან მისი ღირებულების გადახდევინების შესახებ 445
მუხლი 254. გადაწყვეტილება, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას 446
მუხლი 255. გადაწყვეტილება სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების არაკანონიერების შესახებ 447
მუხლი 256. გადაწყვეტილება რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ 449
მუხლი 257. გადაწყვეტილების გამოტანის გადადება 450
მუხლი 258. ამოღებულია 453
მუხლი 259. გადაწყვეტილების ასლების გაგზავნა მხარეებისათვის 453
მუხლი 260. გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება 454
მუხლი 261. დამატებითი გადაწყვეტილება 455
მუხლი 262. გადაწყვეტილების განმარტება 459
მუხლი 263. გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა 461

თ ა ვ ი XXVIII
სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება 464
მუხლი 264. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა 464
მუხლი 265. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა 466
მუხლი 266. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები 467
მუხლი 267. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება 468
მუხლი 267[1]. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის და გადაწყვეტის წესი 469
მუხლი 267[2]. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება 470
მუხლი 268. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები 472
მუხლი 269. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება 475

მუხლი 270. დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება 476
მუხლი 271. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა . 476

თ ა ვ ი XXIX
საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე 478
მუხლი 272. საქმის წარმოების შეწყვეტა 478
მუხლი 273. განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ .. 481
მუხლი 274. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გასაჩივრება 482
მუხლი 275. სარჩელის განუხილველად დატოვება 483
მუხლი 276. სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრება 486
მუხლი 277. ხანდაზმულობის ვადის დადგენა სარჩელის განუხილველად დატოვების დროს 487
მუხლი 278. განუხილველად დატოვებული სარჩელის განმეორებით წარდგენა 487

თ ა ვ ი XXX
საქმის წარმოების შეჩერება 488
მუხლი 279. სასამართლოს მოვალეობა შეაჩეროს საქმის წარმოება 488
მუხლი 280. სასამართლოს უფლება შეაჩეროს საქმის წარმოება 491
მუხლი 281. საქმის წარმოების შეჩერების ვადები 493
მუხლი 282. სასამართლო განჩინების გასაჩივრება 495
მუხლი 283. საქმის წარმოების განახლება 495

თ ა ვ ი XXXI
სასამართლო განჩინება 497
მუხლი 284. განჩინების გამოტანა 497
მუხლი 285. განჩინების შინაარსი 500
მუხლი 286. განჩინების ასლების გადაგზავნა მხარეებისათვის 501

თ ა ვ ი XXXII
სასამართლო ოქმი 502
მუხლი 287. ოქმის შედგენის სავალდებულოობა 502
მუხლი 288. ოქმის შინაარსი 503
მუხლი 289. ოქმის შედგენისა და გაფორმების წესი 505
მუხლი 290. მაგნიტურ ფირზე ჩაწერილი ოქმი 507
მუხლი 291. შენიშვნები სხდომის ოქმთან დაკავშირებით 507

კარი მეხუთე
გამარტივებული წარმოება 509

თ ა ვ ი XXXIII
თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვა 509
მუხლი 292. დასაშვებობა *509*
მუხლი 293. თამასუქის წარდგენა *510*
მუხლი 294. განსჯადობა *511*
მუხლი 295. ვადა უწყების ჩაბარებიდან სასამართლო სხდომამდე *511*
მუხლი 296. მტკიცებულებები *512*
მუხლი 297. გამარტივებული წესით საქმის განხილვაზე უარის თქმა *513*
მუხლი 298. სარჩელების შეერთებისა და შეგებებული სარჩელების აღძვრის დაუშვებლობა *513*
მუხლი 299. სასამართლო გადაწყვეტილებების დათქმა *514*
მუხლი 300. საქმის დამატებითი წარმოება *515*
მუხლი 301. ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოება *516*

თ ა ვ ი XXXIV
დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი 518
მუხლი 302. დასაშვებობა *518*
მუხლი 303. განცხადება დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ *519*
მუხლი 304. განსჯადობა *522*
მუხლი 305. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე უარის თქმა *522*
მუხლი 306. გადახდის ბრძანება *523*
მუხლი 307. მოპასუხის შესაგებელი (პროტესტი) *525*
მუხლი 308. საქმის განხილვა დავის სასარჩელო წარმოების წესით *526*
მუხლი 309. გადახდის ბრძანების აღსრულება *528*

თ ა ვ ი XXXIV[1]
ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი 529
მუხლი 309 [1]. დასაშვებობა *529*
მუხლი 309 [2]. განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე *530*

მუხლი 309[3]. განსჯადობა 531
მუხლი 309[4]. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების უმოძრაოდ დატოვება 532
მუხლი 309[5]. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმა 533
მუხლი 309[6]. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანება .. 534
მუხლი 309[7]. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების გასაჩივრება 534

კარი მეექვსე
უდავო წარმოება 536

თ ა ვ ი XXXV
ზოგადი დებულებანი 536
მუხლი 310. სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები 536
მუხლი 311. უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვა 537

თ ა ვ ი XXXVI
იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა 540
მუხლი 312. სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეები იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ 540
მუხლი 313. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისათვის აუცილებელი პირობები 544
მუხლი 313[1]. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა .. 547
მუხლი 314. განცხადების შეტანა 548
მუხლი 315. განცხადების შინაარსი 549
მუხლი 316. სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტის დადგენის შესახებ 550

თ ა ვ ი XXXVII
მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება 553
მუხლი 317. განცხადების შეტანა 553
მუხლი 318. განცხადების შინაარსი 554

მუხლი 319. მოსამართლის მოქმედება განცხადების მიღების შემდეგ 555
მუხლი 320. სასამართლო გადაწყვეტილება 556
მუხლი 321. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შედეგები 557

თ ა ვ ი XXXVIII
მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარება 559
მუხლი 322. განცხადების შეტანა 559
მუხლი 323. განცხადების შინაარსი 561
მუხლი 324. ექსპერტიზის დანიშვნა მოქალაქის ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით 562
მუხლი 325. განცხადების განხილვა 563
მუხლი 326. სასამართლოს გადაწყვეტილება განცხადების გამო 565
მუხლი 327. შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმება და მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარება 566

თ ა ვ ი XXXIX
დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა 568
მუხლი 328. განცხადების შეტანა 568
მუხლი 329. განცხადების შინაარსი 570
მუხლი 330. მოსამართლის მოქმედება განცხადების მიღების შემდეგ 571
მუხლი 331. პუბლიკაცია 572
მუხლი 332. საბუთის ხელთმქონის განცხადება 573
მუხლი 333. მოსამართლის მოქმედება საბუთის ხელთმქონისაგან განცხადების მიღების შემდეგ 573
მუხლი 334. საქმის დანიშვნა განსახილველად 575
მუხლი 335. სასამართლოს გადაწყვეტილება განცხადების გამო 576
მუხლი 336. საბუთის ხელთმქონის უფლება აღძრას სარჩელი ქონების უსაფუძვლოდ შეძენის შესახებ 576

თ ა ვ ი XLL
ქონების უპატრონოდ ცნობა 578
მუხლი 337. განცხადების შეტანა 578
მუხლი 338. განცხადების შინაარსი 578
მუხლი 339. პუბლიკაცია 579

მუხლი 340. ქონებაზე უფლების სასარჩელო წესით დაცვა 580
მუხლი 341. სასამართლო გადაწყვეტილება 581

თ ა ვ ი XLLI

საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია ამოღებულია
მუხლი 342-348 ამოღებულია 583

თ ა ვ ი XLLII

შვილად აყვანა 583
მუხლი 349. განცხადება შვილად აყვანის შესახებ 583
მუხლი 350. განცხადების შინაარსი 584
მუხლი 351. სასამართლოს გადაწყვეტილება 586

თ ა ვ ი XLLII[1]

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა 588
მუხლი 351[1]. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის წესი 588
მუხლი 351[2]. განცხადების შეტანა განსჯად სასამართლოში 588
მუხლი 351[3]. განცხადების შინაარსი 590
მუხლი 351[4]. განცხადების განხილვის წესი 592
მუხლი 351[5]. სასამართლოს განჩინება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ 595
მუხლი 351[6]. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შეუძლებლობა 597

კარი მეშვიდე
საოჯახო, ადმინისტრაციული, სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი და რეკეტული ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებანი

..... 598

თ ა ვ ი XLLIII

საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი 598
მუხლი 352. გამოყენების სფერო 598
მუხლი 353. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება 598
მუხლი 354. საქმის გარემოების დადგენა სასამართლოს ინიციატივით 599

მუხლი 355. სასამართლოს დროებითი განკარგულება 600
მუხლი 356. სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ 602

თ ა ვ ი XLLIV

ფქწკუიგდშფ ყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყყ *603*

თ ა ვ ი XLLIV[1]

წარმოება რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით 604

მუხლი 356[1]. ტერმინთა განმარტება 604
მუხლი 356[2]. სარჩელის აღძვრა რეკეტულილ ან ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე 607
მუხლი 356[3]. ქონების ცნობა რეკეტულად, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა 610
მუხლი 356[4]. ქონებაზე ყადაღის დადება 614
მუხლი 356[5]. ქონების რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებ-ლად ცნობის იურიდიული შედეგები 615
მუხლი 356[6]. დაუსწრებელი გადაწყვეტილება 618

წიგნი მესამე
სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება 620

კარი მერვე
აპელაცია 620

თ ა ვ ი XLLV

აპელაციის დასაშვებობა 620

მუხლი 364. სააპელაციო საჩივრის შეტანა 620
მუხლი 365. სააპელაციო საჩივრის ღირებულება 622
მუხლი 366. დაუსწრებელი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების დაუშვებლობა 624
მუხლი 367. სასამართლო, რომელშიც შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა 626
მუხლი 368. სააპელაციო საჩივრის შინაარსი 627

მუხლი 369. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 632
მუხლი 370. სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა 634
მუხლი 371. საქმის გადაგზავნა სააპელაციო სასამართლოში .. 635

თ ა ვ ი XLLVI
საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში 636
მუხლი 372. ზოგადი დებულებანი 636
მუხლი 373. საქმის მომზადება სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად 636
მუხლი 374. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება .. 640
მუხლი 375. სააპელაციო საჩივრის მიღების შედეგი 642
მუხლი 376. საქმის განხილვის დანიშვნა 644
მუხლი 377. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები 645
მუხლი 378. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა 648
მუხლი 379. შეგებებული სააპელაციო საჩივარი 649
მუხლი 380. ახალი ფაქტები და მტკიცებულებები 652
მუხლი 381. დავის საგნის შეცვლა და გადიდება 654
მუხლი 382. მტკიცებულებათა გამოკვლევა 655
მუხლი 383. საქმის ზეპირი განხილვა 656

თ ა ვ ი XLLVII
სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება . 659
მუხლი 384. გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები 659
მუხლი 385. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად 660
მუხლი 386. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 662
მუხლი 387. მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები 664
მუხლი 388. საქმის უკან გადაგზავნა 666
მუხლი 389. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი 667
მუხლი 390. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი . 670

კარი მეცხრე
კასაცია 673

თ ა ვ ი XLLVIII
კასაციის დასაშვებობა 673
მუხლი 391. საკასაციო საჩივრის შეტანა 673
მუხლი 391[1]. საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის 683
მუხლი 392. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების დაუშვებლობა 687

მუხლი 393. საკასაციო საჩივრის საფუძვლები 688
მუხლი 394. საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლები .. 692
მუხლი 395. საკასაციო საჩივრის შეტანა 698
მუხლი 396. საკასაციო საჩივრის შინაარსი 699
მუხლი 397. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა 704
მუხლი 398. საქმის გადაგზავნა საკასაციო სასამართლოში 707

თ ა ვ ი XLLIX
საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში ... 708
მუხლი 399. ზოგადი დებულებანი 708
მუხლი 400. საკასაციო საჩივრის გადაგზავნა მეორე მხარისათვის, პასუხი საკასაციო საჩივარზე 709
მუხლი 401. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება 710
მუხლი 402. საკასაციო საჩივრის მიღების შედეგი 712
მუხლი 403. საქმის განხილვის დანიშვნა 713
მუხლი 404. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები 714
მუხლი 405. შეგებებული საკასაციო საჩივარი 718
მუხლი 406. დავის საგნის შეცვლა და გადიდება 719
მუხლი 407. შემოწმების ფაქტობრივი საფუძველი 720
მუხლი 408. საქმის ზეპირი განხილვა 724

თ ა ვ ი LL
საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 728
მუხლი 409. გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები 728
მუხლი 410. უარი საკასაციო საჩივარზე 729
მუხლი 411. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 730
მუხლი 412. სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად 731
მუხლი 413. საქმის უკან დაბრუნება 734

კარი მეათე
კერძო საჩივარი 735

თ ა ვ ი LLI
კერძო საჩივრის დასაშვებობა და განხილვის წესი 735
მუხლი 414. კერძო საჩივრის შეტანა 735
მუხლი 415. კერძო საჩივრის ფორმა 736
მუხლი 416. კერძო საჩივრის შეტანის ვადა 737
მუხლი 417. კერძო საჩივრისა და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში 738
მუხლი 418. კერძო საჩივრის შეტანის შედეგი 738
მუხლი 419. გადაწყვეტილება კერძო საჩივრის თაობაზე 739

მუხლი 420. კერძო საჩივრის განხილვის წესი 741

კარი მეთერთმეტე
საქმის წარმოების განახლება 743

თ ა ვ ი LII
განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი 743

მუხლი 421. საქმის წარმოების განახლების სახეები 743
მუხლი 422. განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ 745
მუხლი 423. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ 748
მუხლი 424. განსჯადობა 751
მუხლი 425. განცხადების შეტანის წესი 753
მუხლი 426. განცხადების შეტანის ვადა 753
მუხლი 427. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების შინაარსი 757
მუხლი 428. მოსამართლის ჩამოცილება განცხადების განხილვისაგან 759
მუხლი 429. განცხადების დასაშვებობის შემოწმება 760
მუხლი 430. განცხადების განხილვა 761
მუხლი 431. საქმის განხილვა 763
მუხლი 432. გადაწყვეტილების აღსრულება 763

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი 765

მუხლი 433. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედება 765
მუხლი 434. ძალადაკარგული ნორმატიული აქტების ნუსხა 765
მუხლი 435. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოქმედება დროში 765
მუხლი 436. 1999 წლის 15 მაისამდე სასამართლოებში მიღებული, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საქმეების განხილვა ... 766
მუხლი 437. ამოღებულია 767
მუხლი 438. ამოღებულია 768
მუხლი 439. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოთა განსჯადობა 768

მუხლი 440. წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა სამოქალაქო პროცესში 768
მუხლი 441. 769
მუხლი 442. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების განხორციელებაზე წარმოებაში მიღებული საქმეების გადაცემა და საკასაციო საჩივრების განხილვა 769
მუხლი 443. სააპელაციო საჩივრის განხილვა ერთპიროვნულად.....770

წიგნი პირველი
ზოგადი დებულებანი

კარი პირველი
სასამართლო

თ ა ვ ი I
სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

2. სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

1. პირველი მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობის ზოგად წესს, რომლის თანახმად ასეთ საქმეებს საერთო სასამართლოები განიხილავენ. საერთო სასამართლოების უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბებულია მე-11 მუხლში (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

აქვე განსაზღვრულია სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში განხილვის წესი – საერთო სასამართლოებმა საქმეთა განხილვის დროს უნდა იხელმძღვანელონ **მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით.**

– არ არის გამორიცხული, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვის ესა თუ ის წესი განსაზღვროს სხვა რომელიმე კანონმა, მათ შორის სამოქალაქო კოდექსმა, საგადასახადო კოდექსმა, შრომის კოდექსმა და ა. შ. თუ ეს წესები არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსს, ან იმ პრინციპებს, რომლებზეც ეს კოდექსია აგებული, მაშინ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესები.

– სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ესა თუ ის ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, მაშინ გამოიყენება ამ საერთაშორისო ხელშეკრულებით თუ შეთანხმებით განსაზღვრული წესი.

2. პირველი მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს **სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედებას დროში**. აქ დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის თანახმად სამოქალაქო საპროცესო კანონს **უკუქცევითი ძალა არ აქვს.**

ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეების წარმოება სასამართლოში ხორციელდება იმ საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების თუ გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს. იგივე პრინციპი დამკვიდრებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებების 435-ე მუხლით.

– პრაქტიკული დასკვნა, რომელიც ამ პრინციპიდან გამომდინარეობს, მდგომარეობს შემდეგში: თუ სარჩელის აღძვრა მოხდა და საქმის წარმოება გაიხსნა ახალი სამოქალაქო საპროცესო კანონის ამოქმედებამდე, ხოლო შემდეგ მიღებულ იქნა ახალი კანონი (კოდექსი), სასამართლომ **უნდა გამოიყენოს ეს ახალი კანონი (კოდექსი)**, დამოუკიდებლად იმისა, საქმის წარმოების გახსნა და, შეიძლება, ამ საქმის განხილვაც დაიწყო თუ არა ძველი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების პირობებში.

ასეთ შემთხვევაში ის საპროცესო მოქმედება, რომელიც შესრულდა ძველი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ჩაითვლება მართლზომიერად (შესრულებულად) და ამ მოქმედების განმეორებით შესრულება ახალი კანონით დადგენილი წესით – დაუშვებელია. ხოლო ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ახალი კანონმდებლობის ამოქმედების პირობებში უნდა განხორციელდეს, შესრულდება არა

ძველი, არამედ ამ ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 2. უფლების სასამართლო წესით დაცვა

1. ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

2. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით.

1. მე-2 მუხლის პირველ ნაწილში დამკვიდრებულია პირის უმნიშვნელოვანესი უფლება მიმართოს სასამართლოს **თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დაცვის მიზნით** (სარჩელის უფლება საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით). საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად დარღვეულია თუ არა პირის უფლება და მართლა აუცილებელია თუ არა ამ უფლების დაცვა – ეს არის საკითხი, რომელიც უნდა გაირკვეს საქმის განხილვის შედეგად – სასამართლო გადაწყვეტილებით.

2. სასამართლოს უფლება არ აქვს უარი უთხრას პირს სარჩელის (განცხადების) მიღებაზე და განხილვაზე, ე. ი. უფლების დაცვაზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა (180-ე, 185-ე და 186-ე მუხლები).

მუხლი 3. დისპოზიციურობის პრინციპი

1. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის

საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

2. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

1. დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას **განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები**. ამ პრინციპებზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. უფლების დასაცავად სასამართლოში მიმართვა თვით დაინტერესებული პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მისი ნების გარეშე არავის არ აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს. მართალია პირს შეუძლია აწარმოოს საქმე სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის: პირი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას აღძრას სარჩელი სასამართლოში, მაგრამ პრაქტიკულად სარჩელის აღძვრა, ასევე მთლიანად საქმის წარმოება მას შეუძლია მიანდოს წარმომადგენელს (93-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

– სარჩელი (განცხადება) შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა პასუხობდეს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (178-ე და 303-ე მუხლები).

– მხარეების მიერ დავის საგნის განსაზღვრა – დისპოზიციურობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება არ აქვს გასცდეს სასარჩელო **მოთხოვნის ფარგლებს**, შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. სასამართლოს უფლება არ აქვს აგრეთვე მიაკუთვნოს მხარეს თავისი გადაწყვეტილებით ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (248-ე მუხლი).

2. საქმის მორიგებით დამთავრების შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება არამარტო იურიდიულად, არამედ ფაქტობრივად, მაშინ, როდესაც თუ დავა სასამართლო გადაწყვეტილებით გადაიჭრა, ეს მართალია არის ამ დავის იურიდიული გადაწყვეტა, მაგრამ ფაქ-

ტობრივად დავა მხარეებს შორის შეიძლება გაგრძელდეს და კიდევ უფრო გამწვავდეს. ამიტომ, სასამართლომ ყოველთვის უნდა ეცადოს, რომ მხარეთა შორის წამოჭრილი **დავა მორიგებით დაამთავროს** (205-ე და 218-ე მუხლები).

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა – ესაა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვის აქტი, ისე როგორც, ვთქვათ, საკუთარი ნივთის გაჩუქება. სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს იმითაც, რომ მოსარჩელე სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში დარწმუნდება თავისი მოთხოვნის უსაფუძვლობაში და ა.შ.

– რა მოტივითაც არ უნდა იყოს განპირობებული მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, მას უკავშირდება მეტად სერიოზული შედეგები – საქმის წარმოების შეწყვეტა, რის შედეგადაც მას სამუდამოდ ერთმევა უფლება კვლავ აღძრას იგივე სარჩელი სასამართლოში იმავე მოპასუხის მიმართ (273-ე მუხლის მე-2 ნაწილი). განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ **შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა**. სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა მორიგების თუ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში წარმოებს 54-ე მუხლის შესაბამისად (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– სარჩელზე უარის თქმისაგან უნდა განვასხვავოთ სარჩელის **გამოხმობა** ანუ **უკან გათხოვა** მოსარჩელის მიერ, რასაც არც ისე იშვიათად აქვს ადგილი პრაქტიკაში (83[1]-ე მუხლი).

სარჩელის (განცხადების) გამოხმობის დროს მოსარჩელე უარს კი არ ამბობს თავის სარჩელზე, არამედ მას **ამ ეტაპზე არ სურს ამ სარჩელის სასამართლოში განხილვა. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოების შეწყვეტა** 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაუშვებელია, რადგან ამ საფუძვლით საქმის წარმოების შეწყვეტა ართმევს მოსარჩელეს უფლებას კვლავ მიმართოს სასამართლოს იგივე სარჩელით.[1]

– სარჩელის გამოხმობის (უკან გათხოვის) უფლებას კო-

[1] ასეთი, სავსებით სწორი და იურიდიულად დასაბუთებული პოზიცია ჩამოაყალიბა საკასაციო სასამართლომ თავის 24.IV.2002 წლის განჩინებაში. იხ. სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002, №7, გვ. 1139.

დექსი არ ითვალისწინებდა, მაგრამ ასეთი უფლება გამომდინარეობდა ამ მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან, რომლის თანახმად, **მხარეები თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ** და მათვე უნდა შეეძლოთ **მიიღონ გადაწყვეტილება შეტანილი სარჩელის უკან გამოთხოვის შესახებ**. საპროცესო კოდექსს დაემატა 83[1] მუხლი, რომლის თანახმად სარჩელის გამოხმობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის თანხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა განიხილოს სარჩელი საერთო წესით.

– სარჩელის გამოხმობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება ამ სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ. სასამართლო ხარჯები, რაც გაწეული იყო სარჩელის გამოხმობამდე, უნდა დაეკისროს მოსარჩელეს. ცხადია, რომ მოსარჩელეს კვლავ შეუძლია მიმართოს სასამართლოს იგივე სარჩელით 278-ე მუხლის საფუძველზე (იხ. 83[1] და 278-ე მუხლების კომენტარი).

– მოპასუხის მიერ **სარჩელის ცნობაც** წარმოადგენს დისპოზიციურობის პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებას, კერძოდ, მოპასუხის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვის აქტს.

– მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. თუ მოპასუხემ სარჩელი ცნო საქმის მომზადების სტადიაზე, რის შესახებაც წერილობით აცნობა სასამართლოს (201-ე და 205-ე მუხლები), მაშინ სასამართლო ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას და გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ (208-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების მიღებას.

თუ მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას ადგილი ჰქონდა საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს, ამ შემთხვევაშიც სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

– **სარჩელის ცნობა** (აღიარება) უნდა განვასხვავოთ **ფაქტის აღიარებისაგან**, რაც გათვალისწინებულია 131-ე მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

სარჩელის აღიარების შემთხვევაში სასამართლო აღარ ამოწმებს და აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. თავის გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ იგი აფუძნებს მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას.

სასამართლო ხარჯების განაწილება უნდა მოხდეს 53-ე მუხლის მიხედვით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 4. შეჯიბრებითობის პრინციპი

1. სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

2. საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

სამოქალაქო პროცესში ცნობილია ფაქტების დადგენისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების გარკვევის ორი ძირითადი მეთოდი: **პირველი** – ესაა სამძებრო ანუ ინკვიზიციური მეთოდი, რომლის თანახმად სასამართლო ვერ დასჯერდება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თვითონაა ვალდებული თავისი ინიციატივით შეკრიბოს მტკიცებულებები, განსაზღვროს მტკიცების საგანი, მიიღოს ყველა ზომა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად. ეს მეთოდი დაედო საფუძვლად საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს. **მეორე** – ესაა შეჯიბრებითობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხარეთა აქტიურობას და რომლის მიხედვით მტკიცების საგნის

განსაზღვრა და ამ საგანში შემავალი ფაქტების დამტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება მხარეებს. სასამართლოს აქტივობა, მისი ინიციატივით მტკიცების პროცესში ჩარევა დასაშვებია იმ ზომით და ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსით. ამ მეთოდზეა აგებული საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

1. შეჯიბრებითობა ნიშნავს მოდავე მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას განკარგონ ფაქტიური გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე მხარეთა უფლებას, მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად („ფაქტების მითითების ტვირთი") და წარმოადგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დადასტურება-დამტკიცებისათვის („ფაქტების დამტკიცების ტვირთი"). სასამართლო შებოჭილია არამარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნის თუ შესაგებლის ფარგლებით (248-ე მუხლი), არამედ მხარეთა მითითებით თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

2. მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში ლაპარაკია სასამართლოს ინიციატივაზე მტკიცების პროცესში. მაგრამ სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, გამოითხოვოს მტკიცებულებები მხარეთა შუამდგომლობით (103-ე და 203-ე მუხლი); სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული რომელი მტკიცებულება მიიღოს და რომელი არ მიიღოს (104-ე მუხლი); სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს აგრეთვე ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულების ადგილზე დათვალიერება (120-ე მუხლი), დანიშნოს ექსპერტიზა (162-ე მუხლი) და ა. შ.

კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა (მაგალითად, 350-ე მუხლის მე-3 ნაწილი) მტკიცებულებათა შეგროვება მხარეთა შუამდგომლობის გარეშე შეიძლება გახდეს მოსამართლის (სასამართლოს) აცილების საფუძველი (31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტი).

მუხლი 5. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე

მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

მე-5 მუხლით განმტკიცებულია სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პრინციპი: ა) მართლმსაჯულების განხორციელება **მხოლოდ სასამართლოს მიერ**; ბ) **კანონის** წინაშე ყველა პირის **თანასწორობა**; გ) სასამართლოს წინაშე ყველა პირის **თანასწორობა**.

– საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. ამავე კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები.

ამრიგად, მართლმსაჯულება განეკუთვნება განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ საქმიანობათა კატეგორიას, რომელიც შეიძლება განახორციელოს მხოლოდ საერთო სასამართლოებმა. თავის მხრივ, მართლმსაჯულების განხორციელება სამოქალაქო საქმეებზე ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს საქმეთა განხილვის იმ წესებით, რომლებიც დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. სამოქალაქო საქმეთა განხილვა ამ წესების უგულებელყოფით ან ამ წესებიდან არსებითი გადახვევით აღარ იქნება მართლმსაჯულება.

– მე-5 მუხლით დამკვიდრებულია მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი – **კანონის წინაშე** ყველა პირის თანასწორობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და

სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი წარმოადგენს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში საერთო თანასწორობის კონკრეტულ გამოვლინებას. კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს იმას, რომ კანონის ესა თუ ის დანაწესი ერთნაირად უნდა იქნეს გამოყენებული და შეფარდებული მხარეების მიმართ, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ გვევლინება მხარედ – ფიზიკური პირი, საჯარო თუ კერძო იურიდიული პირი.

– მე-5 მუხლით განმტკიცებულია კიდევ ერთი პრინციპი – **სასამართლოს წინაშე** მხარეთა თანასწორობა.

ეს პრინციპი გულისხმობს, ჯერ ერთი, იმას რომ მხარეებს სამოქალაქო პროცესში უფლება აქვთ მოუსმინონ, თუ რას ამბობენ მათ წინააღმდეგ, მეორე, მათ უფლება აქვთ თვითონ იქნან მოსმენილნი იმის შესახებ, რისი თქმაც უნდათ როგორც მოწინააღმდეგე მხარის მისამართით, ისე თავისი თავის დასაცავად.

მხარეთა სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი ნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ საქმის განხილვის პროცესში ორივე მხარეს ჰქონდეს ერთნაირი საპროცესო უფლებები თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად (83-ე მუხლი).

მუხლი 6. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან

ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება.

3. თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით.

1. მე-6 მუხლში ჩამოყალიბებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი და დებულება, რომელთა შორის აღსანიშნავია პრინციპი, რომლის თანახმად მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება კანონს.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამიტომ სასამართლოს დამოუკიდებელ ხელისუფლებად ჩამოყალიბების ინტერესები მოითხოვენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიებს განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ", საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები. ასეთი გარანტიების რიცხვს განეკუთვნება მაგალითად საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებული დებულებები, რომელთა თანახმად: ა) არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე; ბ) ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას; გ) სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით; დ) მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზ-

ღვრულ შემთხვევებში (საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი).

– მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მისი კანონისადმი დამორჩილების პრინციპის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ არავის არ აქვს უფლება ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში მის მიერ კონკრეტულ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის დროს. არცერთ სახელმწიფო ორგანიზაციას, საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, არცერთ თანამდებობის პირს უფლება არ აქვს რაიმე მითითება მისცეს სასამართლოს იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყვიტოს მან კონკრეტული საქმე.

2. მე-6 მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის უზენაესობა სხვა კანონებთან მიმართებაში.

ა) სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო კონტროლის ფორმით ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს შეესაბამება თუ არა, ან უფრო მეტიც, ეწინააღმდეგება თუ არა ესა თუ ის კანონი კონსტიტუციას.

ბ) საკითხი იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა კანონი კონსტიტუციას, შეიძლება წამოიჭრას როგორც საქმის მომზადების სტადიაზე, ისე ამ საქმის ღია სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. ნებისმიერ სტადიაზე სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს (279-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

გ) საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის ფორმას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. ამ კანონის მე-19 მუხლის თანახმად, საქართველოს კანონების თუ სხვა ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე.

ამრიგად, საერთო სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ (282-ე მუხლი) და მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს **კონსტიტუცი-**

ური წარდგინებით, მის მიერ გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გადასაწყვეტად.

საქმის წარმოება სასამართლოში შეჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქმის წარმოება განახლდება (283-ე მუხლი).

3. მე-6 მუხლის მე-3 ნაწილს მხედველობაში აქვს ისეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში. ასეთ შემთხვევაში თვითონ საერთო სასამართლო გადაწყვეტს ამ საკითხს და თუ ჩათვლის, რომ ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კანონს, გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის (და არა მის შეუსაბამო ნორმატიული აქტის) საფუძველზე.

მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს სამთავრობო დაწესებულების, უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის და ა. შ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმება არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს გამგებლობაში (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლი). ამიტომ, თუ ასეთი აქტი არ შეესაბამება კანონს, სასამართლო სამოქალაქო საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელებს კანონით. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია.

მუხლი 7. კანონისა და სამართლის ანალოგია

1. თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

2. თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო

წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

1. ეს მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი განსაზღვრავს მატერიალური სამართლის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. მხედველობაშია მატერიალური სამართლის ნებისმიერი დარგი, რომლის გამოყენების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს. შეიძლება მხოლოდ სადავო იყოს საკითხი თუ რამდენად დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიერ მატერიალური სამართლისა და მატერიალურ სამართლებრივი ნორმის (კანონის) ანალოგიით გამოყენების განსაზღვრა, მაშინ როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი ითვალისწინებს სამართლისა და კანონის ანალოგიას. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი კრძალავს სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების (საგამონაკლისო ნორმების) ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობას.[2]

2. მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისა და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მაგრამ ისე როგორც სხვა კანონები, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებს არეგულირებენ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც შეიძლება შეიცავდეს ხარვეზს. დაუშვებელია

[2]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი. თბ, 1999, გვ.35.

უარი საპროცესო მოქმედების შესრულებაზე, მით უფრო, როცა ასეთი მოქმედების შესრულებაზე დამოკიდებულია მხარის ინტერესების დაცვა, იმ მოტივით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ასეთი მოქმედების შესრულებას და წესს. ამიტომ სასამართლომ უნდა გამოიყენოს კანონი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა), რომელიც ანალოგიური საპროცესო მოქმედების შესრულებას ითვალისწინებს და დაუკავშიროს მას ის შედეგები, რომელსაც ანალოგიური საპროცესო მოქმედების შესრულებას უკავშირებს კანონი.

ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება კანონის ანალოგიასთან.

მაგრამ თუ კანონის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობს, იმის გამო, რომ ასეთი კანონიც არ არსებობს, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს სამართლის, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ანალოგია.

სამართლის ანალოგიის გამოყენება მართალია რთულია, რადგან იგი გულისხმობს სამართლის ზოგადი პრინციპებით ხელმძღვანელობის აუცილებლობას, მაგრამ ძალზედ საინტერესოა, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლო გვევლინება არამარტო როგორც სამართალშემფარდებელი, არამედ გარკვეულწილად, როგორც სამართალშემოქმედიც, რადგან ქმნის საპროცესო მოქმედების შესრულების წესს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

სამართლისა და კანონის ანალოგია ხშირად გამხდარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული ხარვეზის შევსების საფუძველი. საკმარისია დავასახელოთ მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობა, რომლის შესახებ ნორმა (83[1]-ე მუხლი) დაემატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსს აგრეთვე სარჩელის უზრუნველყოფაზე უარისთქმის შესახებ განჩინების გასაჩივრება (197-ე მუხლი), რაც ადრე კანონის ანალოგიის გამოყენებით ხდებოდა.

როგორც კანონის, ისე სამართლის ანალოგიის გამოყენება ზედმიწევნით ნათლად და გასაგებად უნდა იყოს მოტივირებული გადაწყვეტილებაში (განჩინებაში).

მუხლი 8. გადაწყვეტილების გამოტანა საქართველოს სახელით

სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

სასამართლოებს გამოაქვთ ორი სახის დადგენილება: გადაწყვეტილება და განჩინება. სასამართლოს დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება საქმე, გამოდის გადაწყვეტილების სახით (243-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით (284-ე მუხლი).

– სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი აქტია, რომელმაც უნდა დაიცვას დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლება, კანონით გათვალისწინებული ინტერესი. სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საბოლოო შეფასება კანონების საფუძველზე. სწორედ ამიტომ, გადაწყვეტილება გამოდის საქართველოს სახელით, რომელიც თვითონ იძენს კანონის ძალას და თუ ნებაყოფლობით არ იქნება შესრულებული, აღსრულდება იძულების ძალით.

– პრაქტიკაში ამ მუხლის შინაარსი გაგებულია ფართოდ და გადაწყვეტილებაში გულისხმობენ განჩინებებსაც, ამიტომ, განჩინებებიც, განსაკუთრებით როცა ისინი გამოაქვთ ზემდგომ სასამართლოებს, გამოდის საქართველოს სახელით. გარდა გადაწყვეტილებებისა და განჩინებებისა, სასამართლოებს გამოაქვთ გადახდის ბრძანება (306-ე მუხლი), დროებითი განკარგულება (355-ე მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ მოითხოვს ამ დოკუმენტების გამოტანას სასამართლოს მიერ საქართველოს სახელით.

მუხლი 9. სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობა და სამართალწარმოების ენა

1. სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება

სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

2. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვაში მონაწილეობენ მხარეები და მათი წარმომადგენლები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში –– მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები.

3. საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

4. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი.

1. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლმა დაამკვიდრა საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპი.

– საქვეყნოობის პრინციპი ნიშნავს კონკრეტულ სამოქალაქო საქმეთა განხილვას სასამართლოს ღია სხდომებზე მხარეებისა და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა დასწრებით;

– „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე კინო და ფოტო გადაღების, აუდიო და ვიდეო ჩანაწერის აკრძალვა დაიშვება მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული განჩინებით. ასეთი აკრძალვა შეიძლება განხორციელდეს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივით;

– საჯაროობის პრინციპის დარღვევა არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (იხ. 394-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის კომენტარი). საჯაროობის პრინციპის დარღვევასთან გვექნება საქმე, როდესაც სასამართლოს არ

დაუდგენია საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა, მაგრამ მოქალაქეებს, რომლებსაც სურდათ დასწრებოდნენ ამ საქმის განხილვას, არ უშვებდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში.

ამრიგად, თუ სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება დახურულ სხდომაზე საქმის განხილვის შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად სხდომა დახურულად მიმდინარეობდა – ეს საჯაროობის პრინციპის დარღვევის ერთ-ერთი გავრცელებული შემთხვევაა, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმებას იწვევს;

– კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯაროობის პრინციპის შეზღუდვის შესაძლებლობას, მაგალითად, მე-9 მუხლის თანახმად, საქმე დახურულ სხდომაზე უნდა იქნეს განხილული, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებისათვის. 351-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ საჯაროდ არ გამოცხადდება. თვითონ შვილად აყვანის საკითხიც შეიძლება განხილულ იქნეს დახურულ სასამართლო სხდომაზე (350-ე მუხლის მესამე ნაწილი); სასამართლომ შეიძლება დაადგინოს დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა თუ ეს აუცილებელია მხარეთა ინტიმური ცხოვრების შესახებ ცნობების გავრცელების თავიდან აცილებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ დახურული სასამართლო სხდომა შეიძლება გაიმართოს ასეთი მიმოწერისა თუ ჩანაწერების საიდუმლოების დაცვის მიზნით, თუ შესაბამისი მხარე შუამდგომლობს ამის შესახებ.

2. საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული **განჩინება**. სასამართლოს შეუძლია დახუროს სხდომა **მთლიანად** ან **ნაწილობრივ**. სასამართლოს ასეთ განჩინებაზე **კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება**.

რაც შეეხება სასამართლოს განჩინებას მხარის შუამდგომლობით სხდომის დახურვაზე უარის თქმის შესახებ, არც

ასეთი განჩინების გამოტანას და, ბუნებრივია, არც მის გასაჩივრებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. თუ მიუხედავად ამისა, ასეთი განჩინება იქნება გამოტანილი, არც ასეთ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

3. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

ამ მუხლების აზრი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს სასამართლო გადაწყვეტილება, მიღებული საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შედეგად, ყოველთვის უნდა გამოცხადდეს საქვეყნოდ. სასამართლოს გადაწყვეტილება დახურულ სხდომაზე უნდა გამოცხადდეს, თუ მისი საჯაროდ გამოცხადებით საქვეყნოდ გახდება ცნობილი ყოველივე, რის გამოც საქმის განხილვა დაიხურა, აგრეთვე, როცა ამას კანონი ითვალისწინებს (351-ე მუხლის პირველი ნაწილი).

4. მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი, საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის შესაბამისად, ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზური.

ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში სამართალწარმოება შეიძლება განხორციელდეს როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ენაზე.

სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი, რომლის მეშვეობით მას შეუძლია სრულად განახორციელოს ყველა ის უფლება, რაც მას აქვს მინიჭებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

თარჯიმნის ფუნქცია არ შეიძლება შეითავსოს მოსამართლემ, სხდომის მდივანმა ან საქმეში მონაწილე რომელიმე სხვა პირმა.

მუხლი 10. სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

– სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 52-ე და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლებიდან.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებათა (განჩინებათა) სავალდებულოობა ეფუძნება კანონის სავალდებულოობას, რომლის საფუძველზეც ეს გადაწყვეტილებაა გამოტანილი.

გადაწყვეტილების **სავალდებულოობა ნიშნავს იმას**, რომ:

ა) ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საჯარო თუ კერძო იურიდიული პირის და ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ. ამ ორგანოებსა და პირებს უფლება არა აქვთ სასამართლო გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღონ საქმეზე.

სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმება, შეცვლა ან მათი აღსრულების, შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით (საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი);

ბ) სახელმწიფო თუ ნებისმიერი სხვა ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან ყოველნაირად შეუწყონ

ხელი სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას, სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები, მიმართული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისაკენ, სავალდებულოა ყველასათვის;

გ) სახელმწიფო თუ სხვა ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან შეასრულონ შესაბამისი მოქმედებანი იმ უფლებათა გაფორმების თუ რეგისტრაციის მიზნით, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით;

დ) სასამართლო გადაწყვეტილებათა კანონიერი ძალა და მათი სავალდებულოობა შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ იმ პირებზე, **რომლებიც მონაწილეობდნენ განხილვაში**, ან უფრო ზუსტად, რომლებიც მოწვეული იყვნენ ამ საქმის განხილვაში. ამიტომ, **გადაწყვეტილების გამოტანა იმ მხარის მიმართ**, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება საქმის განხილვის შესახებ, ან რომელიც საერთოდ არ იყო ჩართული ამ საქმეში, არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

– მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ასეთ პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საერთოდ არ იყვნენ ჩაბმული პროცესში მხარეებად ან თუმცა იყვნენ ჩაბმული, მაგრამ არ იყვნენ მოწვეული საქმის განხილვაში. თუ ასეთი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს განცხადებით საქმის განახლების შესახებ (422-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები).

თ ა ვ ი II

უწყებრივი ქვემდებარეობა

მუხლი 11. სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი

1. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ:

ა) სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის;

ბ) (ამოღებულია)

გ) (ამოღებულია)

დ) (ამოღებულია)

ე) საქმეებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დავის შესახებ;

ვ) უდავო წარმოების საქმეებს.

ზ) საქმეებს რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

2. კანონით, სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც.

3. ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებს სასამართლოები განიხილავენ, თუ მათი განხილვა, კანონის თანახმად, სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის.

4. სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან

გამომდინარეობს, აგრეთვე იმ საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები.

ნებისმიერი ორგანო, რომელიც შეიქმნა და არსებობს ამა თუ იმ სახელმწიფოში, ვალდებულია იმოქმედოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და არ გასცდეს ამ ფარგლებს. როგორც კი რომელიმე ორგანო გასცდება თავისი უფლებამოსილების ფარგლებს, იგი იჭრება სხვა ორგანოს კომპეტენციაში, ე. ი. იღებს თავის თავზე ისეთი საკითხის გადაჭრის უფლებამოსილებას, რომელიც მას კი არა, სხვა ორგანოს აქვს მიკუთვნებული. აქედან გამომდინარე, **უწყებრივი ქვემდებარეობა – ესაა იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობა და ფარგლები, რომელიც ამა თუ იმ** ორგანოს აქვს განსაზღვრული.

1. სასამართლოს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ორგანოს, ზუსტად აქვს განსაზღვრული უფლებამოსილებათა სფერო და ფარგლები და იგი ბუნებრივია არ შეიძლება გასცდეს ამ სფეროსა და ფარგლებს. ამ მოსაზრებითაა განპირობებული 272-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის.

2. ამრიგად, **სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა (კომპეტენცია, იურისდიქცია) კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები**;

– სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის შემოწმება შეუძლიათ **სააპელაციო** და **საკასაციო სასამართლოებს თავისი ინიციატივით** (377-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 404-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ გადაწყვეტილების გამოტანა საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება, არის ამ გადაწყვეტილების **გაუქმების**

აბსოლუტური (უდავო) საფუძველი (394-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

3. მე-11 მუხლი შეიცავს იმ ურთიერთობების მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალს, რომლებიდანაც წარმოშობილ დავებს განიხილავს სასამართლო. ასეთ ჩამონათვალს შეიცავს აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი.[3]

ეს ჩამონათვალი მართალია ფართოა, მაგრამ არაა ამომწურავი. კრიტერიუმი უნდა იყოს ერთი – ყოველ დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად, თუ ეს უფლება სამართლით რეგულირებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს, დამოუკიდებლად იმისა, სამართლის რომელი დარგით რეგულირდება ურთიერთობა, საიდანაც ეს სადავო უფლება წარმოიშვა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს კრიტერიუმი დამკვიდრებულია კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომლის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“ და რომ „დაცვის უფლება გარანტირებულია“.

4. მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოები განიხილავენ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის (განსჯადობის) შემთხვევებს, აგრეთვე საქართველოს სასამართლოების **განსაკუთრებულ** საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (მე-8-20 მუხლები).

მუხლი 12. დავის გადაცემა განსახილველად არბიტრაჟისათვის

ქონებრივი დავა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გადაეცეს განსახილველად არბიტრაჟს.

[3] მაია ვაჩაძე, ინგა თოდრია, პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ. 2005, გვ 15.

1997 წლის 17 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, პირებს შორის წამოჭრილი **სამოქალაქო დავა** მათივე შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს. ასეთი შეთანახმება იდება წერილობითი ფორმით.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლს, რომლის თანახმად კერძო არბიტრაჟს შეიძლება განსახილველად გადაეცეს მხოლოდ **„ქონებრივი დავა“**. სამოქალაქო დავა უფრო ფართოა, ვიდრე ქონებრივი დავა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, „ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“.

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მხოლოდ ქონებრივი ხასიათის დავებისა და არა მთლიანად ყოველგვარი სამოქალაქო დავის კერძო არბიტრაჟში განხილვის შესახებ.

– კოლიზია სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონს შორის უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სასარგებლოდ, ვინაიდან იგი არის სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო დავების განსჯადობასა და განხილვის წესებს. აქედან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებას არაქონებრივი ხასიათის დავების არბიტრაჟში განხილვის შესახებ, არ აქვს სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა და ასეთი დავა შეიძლება განიხილოს სასამართლომ, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება.

სხვა მხრივ, მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება ქონებრივი დავების არბიტრაჟის მიერ განხილვის შესახებ, სავალდებულოა სასამართლოსათვის და მან არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად თუ ასეთი შეთანხმება არსებობს (186-

ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), ხოლო თუ იგი შეცდომითაა მიღებული – შეწყვიტოს საქმის წარმოება (272 -ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი).

– თუ მხარეთა წერილობითი შეთანხმება ქონებრივი დავის კერძო არბიტრაჟში განხილვის შესახებ დადებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის ფარგლებში, ამ შეთანხმების ცალმხრივად მოშლა დაუშვებელია. მხარეებს შეუძლიათ მხოლოდ ასევე ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ თავიანთი პირვანდელი შეთანხმება და დავის განსახილველად მიმართონ სასამართლოს, რაც აგრეთვე წერილობით უნდა გაფორმდეს;

ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად („კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი).

– საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის და იგი შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).

– საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივრონ სასამართლოში მხარეებმა („კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე და 44-ე მუხლები).

თ ა ვ ი III

განსჯადობა

მუხლი 13. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი სამოქალაქო საქმეები

1. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს.

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც განიხილავს ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ საქმეებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

3. იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, აგრეთვე მისი არყოფნის შემთხვევაში, ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული საქმეები შეიძლება განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ.

4. თუ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას (საქვეუწყებობას) და განსჯადობას. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა პასუხობს კითხ-

ვაზე: განეკუთვნება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს, შედის თუ არა ამ საქმის განხილვა საერთო სასამართლოების კომპეტენციაში (იურისდიქციაში). მას შემდეგ, რაც ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, წამოიჭრება მეორე საკითხი: რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს უწყებრივად საერთო სასამართლოებისადმი დაქვემდებარებული კონკრეტული სამოქალაქო საქმე. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არსებობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეორე ინსტიტუტი, რომელსაც განსჯადობა ეწოდება.

1. მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. შესაბამისად განსჯადობა აწესრიგებს საქმეების განაწილების საკითხს ცალკეული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიხედვით (მე-15-24-ე მუხლები).

თუ სასამართლომ განიხილა არაგანსჯადი საქმე, ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება ყოველთვის არაა დასაშვები. მაგალითად, თუ არ არის კანონით დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ ურთიერთშეთანხმებით სასამართლოს განსჯადობა (21-ე მუხლი). არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოპასუხე ამის წინააღმდეგი არ არის და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში (21-ე მუხლი).

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს **მაგისტრატი მოსამართლე**, რომელიც მოქმედებს ამ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ტერიტორიაზე მისთვის განკუთვნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ასეთ შემთხვევაში მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს მე-14 მუხლით გათვალისწინებული კატეგორიის საქმეებს.

3. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმე (მე-14 მუხლი) შეიძლება განიხილოს რაიონული (საქალაქო)

სასამართლოს სხვა მოსამართლემ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, ან ამა თუ იმ მიზეზის გამო (შვებულება, ავადმყოფობა) იგი არ იმყოფება თავის სამოქმედო ტერიტორიაზე.

4. მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა. გარდა ამისა თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და ერთმანეთთან სამართლებრივად დაკავშირებული საქმე, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები (182-ე მუხლი).

მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი **კრძალავს მაგისტრატი მოსამართლის მიერ საქმის განხილვას,** თუ ამ გაერთიანებული მოთხოვნებიდან ერთ-ერთი მაინც არ განეკუთვნება მის განსჯადობას. ასეთ შემთხვევაში საქმე მთლიანად უნდა განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ.

მუხლი 14. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინ-სტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს;

ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვ-ნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს;

გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ

მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე
დ) ამოღებულია (13.07.2006 №3435)

მე-14 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად საქმეებს. ეს იმას ნიშნავს, რომ გარდა ამ მუხლში მითითებული საქმეებისა, მათ არ შეუძლიათ განიხილონ სხვა საქმეები. მაგისტრატ მოსამართლეს უფლება არა აქვს გააფართოვოს ან შეწყვიტოს კანონით განსაზღვრული მისთვის განსჯადი საქმეების წრე.

მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადია:

ა) სასარჩელო წარმოების წესით აღძრული ნებისმიერი **ქონებრივი დავა,** თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს.

სარჩელის ფასს ანუ დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. მოსამართლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას. დავის საგნის ფასის განსაზღვრა ხდება მე-40 და 41-ე მუხლებით დადგენილი წესით.

არაქონებრივი დავები, თუ ისინი არ გამომდინარეობენ ამ მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ურთიერთობებიდან, მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი არაა.

ბ) მე-14 მუხლის „ბ” ქვეპუნქტის აზრისა და შინაარსის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადია:

1. უდავო წარმოების წესით განსახილველი **ნებისმიერი საქმე**, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ მეექვსე კარში (310-ე მუხლი), გარდა შვილად აყვანისა (349-ე-351-ე მუხლები და ქონების უპატრონოდ ცნობისა (337-ე-341-ე მუხლები), თუ ამ ქონების ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს.

2. გამარტივებული წესით განსახილველი **ნებისმიერი საქმე,** რომლებიც ჩამოთვლილია სსკ მეხუთე კარში (292-ე-309[7]-ე მუხლები) გარდა დავალიანების გადახდევინების

შესახებ საქმეებისა, თუ გადახდევინების შესახებ მოთხოვნის ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს.

გ) მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, **გარდა საქმეებისა:**

1. **შვილად აყვანის შესახებ**. როგორც ვხედავთ არც უდავო წარმოების წესით (იხ. ზემოთ „ბ" ქვეპუნქტის კომენტარი) და არც სადავო ანუ სასარჩელო წარმოების წესით შვილად აყვანის საქმის განხილვა არ შედის მაგისტრატ მოსამართლეთა კომპეტენციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ შვილად აყვანა კიდევ ერთხელაა მოხსენიებული 312-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტში, მაგრამ აქ მხედველობაშია არა შვილად აყვანის საქმის განხილვა, არამედ **შვილად აყვანის რეგისტრაციის ფაქტის** დადგენა, ანუ ისეთი შემთხვევა, როდესაც შვილად აყვანას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ ფაქტის რეგისტრაციის დადგენა სხვა გზით შეუძლებელია, რადგან ასეთი რეგისტრაციის მასალები ამა თუ იმ მიზეზით განადგურებულია. შვილად აყვანის **რეგისტრაციის ფაქტის დადგენა** მაგისტრატ მოსამართლის მიერ კანონით პირდაპირ არაა აკრძალული, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგისტრატ მოსამართლეს შეუძლია ამ ფაქტის დადგენა.

2. **მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ**, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 1205-ე მუხლი[4].

3. **მამობის დადგენის შესახებ**. სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შვილის წარმოშობა დაუქორწინებელი მშობლებისაგან დგინდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლოს წესით, რომელსაც განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

---

[4] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. ტ. I.

4. **განქორწინების შესახებ** საქმეებს, რომლებსაც განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

განქორწინების საქმეებს განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე მხოლოდ ერთი პირობით თუ განსაქორწინებელ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.

რაც შეეხება საქმეებს ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ, ისინი შეიძლება განიხილოს მხოლოდ რაიონულმა (საქალაქო) სასამართლოებმა.

მუხლი 15. საერთო განსჯადობა

1. სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი).

1[1]. სარჩელები (განცხადებები) ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზე სასამართლოში შეიტანება მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე - რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

2. თუ მოპასუხეს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შე-

იძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

1. მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. ამ საერთო წესის მიხედვით ხდება ნებისმიერი სარჩელის (განცხადების) აღძვრა სასამართლოში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არაა დადგენილი. გამონაკლისებს ამ საერთო წესიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-24-ე მუხლები წარმოადგენენ, რომლებიც განსჯადობის საკითხებს აწესრიგებენ.

ა) ფიზიკურ პირებს შეიძლება ჰქონდეთ რამდენიმე საცხოვრებელი ბინა თუ სახლი, ხოლო აქედან გამომდინარე რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამიტომ შეიძლება წამოიჭრას საკითხი: რომელი ადგილი ითვლება მოპასუხის საცხოვრებელ ადგილად?

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, „ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი". ამჟამად საქართველოში ჩაწერის ნაცვლად შემოღებულია რეგისტრაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური პირის მიმართ სარჩელი აღიძვრება სასამართლოში მოპასუხის სარეგისტრაციო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო არ ახდენს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის დადგენას. მოპასუხის **საცხოვრებელი ადგილის მითითების მოვალეობა ეკისრება თვითონ მოსარჩელეს** (იხ. 178-ე მუხლის კომენტარი). სარჩელი შეიძლება აღიძრას არასრულწლოვნების მიმართაც. „არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი" (სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი). ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელები არასრულწლოვნების მიმართ უნდა აღიძრას სასამართლოში კანონიერი წარმომადგენლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუნდაც არასრულწლოვნები სხვაგან ცხოვრობდნენ. რაც შეეხება არაქმედუნარიანად ან შეზღუდულქმედუნარიანად

აღიარებულ პირებს, სარჩელები შეიძლება აღიძრას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაც შეეხება ისეთ პირებს, რომლებიც იხდიან სასჯელს ან იმყოფებიან საგამოძიებო იზოლაციაში, სარჩელები მათ მიმართ აღიძვრის მათი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით;

ბ) სარჩელები **იურიდიული პირების მიმართ** სასამართლოს წარედგინება ამ იურიდიული პირების ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსჯადობის ამ წესებზეა აგებული სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კავშირის რეგისტრაციისათვის აუცილებელი მასალები წარედგინება კავშირის ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ სასამართლოს. ამავე კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, კავშირის შესახებ წესდება უნდა შეიცავდეს ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს). ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელები კავშირის (ფონდის) მიმართ წარედგინება სასამართლოს მათივე წესდებაში მითითებული მისამართის მიხედვით.[5] იგივე წესია დამკვიდრებული „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლით. ამ მუხლის თანახმად განცხადება რეესტრში რეგისტრაციის შესახებ შეიტანება საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული საზოგადოების წესდებაში;[6]

გ) სასარჩელო წარმოების გვერდით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აწესრიგებს უდავო წარმოებას და გამარტივებულ წარმოებას. უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს საერთო წესებით (იხ. 311-ე მუხლი). ამასთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს გამონაკლისებს ამ საერთო წესებიდან. მაგალითად, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შე-

5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 1999, გვ. 72.

6. **ლ. ჭანტურია, თ.ნინიძე**, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გ-ბა „სამართალი", თბ., 2002, გვ.81.

სახებ შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო განცხადება მოქალაქის შეზღუდულქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეიტანება სასამართლოში ამ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (322-ე მუხლი).

2. მე-15 მუხლის 1[1] ნაწილი განსაზღვრავს მაგისტრატ მოსამართლეთა ტერიტორიული განსჯადობის საკითხს: მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად საქმეებზე სარჩელები და განცხადებები შეიტანება მაგისტრატ მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით.

მაგალითად, მაგისტრატ მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიაა ვანის რაიონი, ხოლო მოსარჩელე (განმცხადებელი) ცხოვრობს ამ რაიონის ტერიტორიაზე. მან სარჩელი უნდა შეიტანოს მაგისტრატ მოსამართლის სახელზე. იმ შემთხვევაში, თუ ვანის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე - სარჩელი (განცხადება) შეტანილი უნდა იქნეს სამტრედიის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელსაც განიხილავს ამ სასამართლოს მოსამართლე. საქმის გადაცემა განსახილველად იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულიდან, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე ამ რაიონის (ქალაქის) სხვა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში მოქმედი მაგისტრატი მოსამართლისათვის - კანონით გათვალისწინებული არაა. ასეთ შემთხვევაში საქმეებს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე.

3. მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს განსჯადობას ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, ერთმანეთისაგან ანსხვავებს მოპასუხის „საცხოვრებელ ადგილს“ და მის „ადგილსამყოფელს“. საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულ უნდა იქნეს მოპასუხის რეგისტრაციის ადგილი, მაგრამ თუ ასეთი ადგილი ცნობილი არაა, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. ცხადია, მხედველობაშია არა მისი მოკლევადიანი ყოფნა ამა თუ იმ ადგილას, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი დროით მისი ყოფნა ამ ადგილას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებით, ხანგრძლივი მივლინებით, მკურ-

ნალობით და ა. შ. საკითხი, თუ დროის რა მონაკვეთია საკმარისი, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს სარჩელი – დამოკიდებულია თვითონ სასამართლოს მიხედულებაზე. ყველა შემთხვევაში, ეს ვადა არ უნდა იყოს სამოქალაქო საქმის სასამართლოში განხილვის ორთვიან ვადაზე მეტი.

არ არის გამორიცხული, რომ სასამართლოში განსჯადობის წესების დაცვით საქმის წარმოების გახსნის შემდეგ მოპასუხემ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ ეს ვერ გახდება განსჯადობის შეცვლისა და სხვა სასამართლოსათვის ამ საქმის გადაცემის საფუძველი (22-ე მუხლი).

მუხლი 16. განსაკუთრებული განსჯადობა

1. სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

3. სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით.

4. სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების მომენტისთვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი

**უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამ-
კვიდრო ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით.**

1. მე-16 მუხლის პირველი ნაწილი, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებს მოსარჩელის ინტერესებს – უადვილებს მას საქმის წარმოებას სასამართლოში, როცა აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის მიმართ. რამდენიმე მოპასუხის მიმართ სარჩელის აღძვრა კი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, მოსარჩელის ქონებას ან ჯანმრთელობას ერთად მიაყენა ზიანი რამდენიმე პირმა, რომლებიც სხვადასხვა რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ასეთ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში მოსარჩელეს შეუძლია აირჩიოს სასამართლო ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

– განსჯადობა ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსხვავდება **ალტერნატიული** განსჯადობისაგან. ალტერნატიული განსჯადობის დროს მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, მისი ადგილმდებარეობის ან მისი ქონების მდებარეობის მიხედვით, ხოლო განსჯადობა მე-16 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უფლებას აძლევს მოსარჩელეს აირჩიოს სასამართლო მხოლოდ ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც არ ცვლის ტერიტორიული განსჯადობის ზოგად პრინციპს.

2. ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ადგილად ითვლება ის ადგილი, რომელიც ამ ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვალდებულებათა ურთიერთობის არსით. მაგალითად, ნაგებობის რემონტის ვალდებულების შესრულების ადგილი იქნება ის ადგილი, სადაც ეს ნაგებობა მდებარეობს. თუ შესრულების ადგილი არც თვითონ ხელშეკრულებიდან და არც მისი შესრულების არსიდან არ გამომდინარეობს, მაშინ ხელშეკრულების შესრულების ადგილი ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში იქნება ის ადგილი, სადაც ეს საგანი იმყოფებოდა ხელშეკრუ-

ლების დადების მომენტისათვის, გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – ადგილი, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო, ხოლო თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული მისამართი).[7] მაგალითად, აგარის შაქრის საწარმოს წარმომადგენლობამ დადო ხელშეკრულება ქ. ფოთში შაქრის გარკვეული რაოდენობის მიწოდების შესახებ. ხელშეკრულებითი ვალდებულების შესრულების ადგილად, თუ ეს არ არის განსაზღვრული თვითონ ხელშეკრულებაში, უნდა ჩაითვალოს ადგილი, სადაც მდებარეობს აგარის შაქრის საწარმო. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელი უნდა აღიძრას იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს მოვალე საწარმო, ანუ აგარის შაქრის საწარმო.

3. მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს განსჯადობას იურიდიული პირის ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. იურიდიული პირის ფილიალი განცალკევებული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ და ახორციელებს იმ იურიდიული პირის ფუნქციებს, რომლის ქვედანაყოფიც ის არის (სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლი).

– იმისათვის, რომ სარჩელი აღიძრას იურიდიული პირის ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით, სავალდებულოა ერთი პირობა: **სარჩელი უნდა გამომდინარეობდეს იურიდიული პირის ფილიალის (და არა თვითონ იურიდიული პირის) საქმიანობიდან.**

4. ნებისმიერი სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრეობიდან, წარედგინება სასამართლოს იმ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც ცხოვრობდა მამკვიდრებელი გარდაცვალებამდე. მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს განსჯადობას იმ შემთხვევაშიც, როცა მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქე იყო და გარდაცვალების მომენტისათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. ასეთ შემთხვევაში კანონი უშვებს

---

[7] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, გვ. 46-47.

ალტერნატიულ განსჯადობას: სარჩელი შეიძლება აღიძრას სასამართლოში მამკვიდრებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის, ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მუხლი 17. სარჩელის აღძვრა მოპასუხის მიმართ, რომელსაც საქართველოში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი (ქონებრივი განსჯადობა)

სარჩელი იმ მოპასუხის მიმართ, რომელსაც საქართველოში არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სასამართლოს შეიძლება წარედგინოს მოპასუხის ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნივთით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ამ ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

– მე-17 მუხლი განსაზღვრავს განსჯადობას იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოპასუხეს საქართველოში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი. აქ იგულისხმება მოპასუხე, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, თუმცა არ აქვს საცხოვრებელი ადგილი.

ამრიგად, სარჩელი მოპასუხის მიმართ, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ საქართველოში არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, შეიძლება აღიძრას ასეთი მოპასუხის ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნივთით – ამ ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით.

– მოთხოვნის რაიმე ნივთით უზრუნველყოფაში აქ უწინარეს ყოვლისა იგულისხმება მატერიალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებები, მაგალითად, გირაო და იპოთეკა,[8] მაგრამ არ არის გამორიცხული ჯერ არაღძრული

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ., 1999, გვ.193.

სარჩელის უზრუნველყოფა და შესაბამისად სარჩელის აღვძრა ასეთი მოპასუხის ყადაღადადებული ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით (192-ე მუხლი).

მუხლი 18. ნივთობრივი განსჯადობა

1. სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

2. ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

მე-18 მუხლი შეიცავს იმ სარჩელების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება აღიძრას ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამასთან ერთად, მხედველობაშია მხოლოდ **უძრავი ნივთები**, მათ შორის მიწის ნაკვეთი.

1. მე-18 მუხლის პირველი ნაწილი ამკვიდრებს აქ ჩამოთვლილი სარჩელების ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით აღძვრის **შესაძლებლობას**. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სარჩელები შეიძლება აღიძრას აგრეთვე საერთო განსჯადობის, ე. ი. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფლის) მიხედვით, მოსარჩელის არჩევით.

2. ნივთობრივი განსჯადობის წესით, ე. ი. ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით, შეიძლება აღიძრას სარჩელი უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, მაგალითად, სარჩელი სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, სარჩელი მესაკუთრის მიერ უფ-

ლების ბოროტად გამოყენების აღკვეთის შესახებ, სარჩელი უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების შესახებ.

მუხლი 19. ოჯახური დავების განსჯადობა

1. სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. ამოღებულია

4. სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

1. მე-19 მუხლი უფლებას აძლევს მოსარჩელეს გადაუხვიოს მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობის

წესს, რომლის თანახმად სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საერთო განსჯადობის წესიდან ასეთი გადახვევის შესაძლებლობა ზოგჯერ გამოწვეულია მოსარჩელისათვის შეღავათიანი პირობების შექმნით, ბავშვის ინტერესებით, სხვა რაიონში ან ქალაქში გამგზავრების სიძნელეებით და ა. შ.

2. სწორედ ამ მოსაზრებებითაა ნაკარნახევი მე-19 მუხლის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებული წესი, რომლის თანახმად სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ, შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამრიგად, იმისათვის, რომ ასეთი საქმე გაირჩეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უნდა არსებობდეს მოსარჩელის წერილობითი თხოვნა სასამართლოსადმი იმის შესახებ, რომ **მასთან ცხოვრობენ** არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რის გამოც ითხოვს საქმის განხილვას სასამართლოში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. ასეთივე მოსაზრებებითაა განპირობებული მე-19 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული მამობის დადგენისა და ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელების აღძვრის შესაძლებლობა, შესაბამისად ბავშვისა და მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც არ ართმევს უფლებას მოსარჩელეს აღძრას სარჩელი საერთო განსჯადობის მიხედვით, ე. ი. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 20. განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე

რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

– ყველა შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას რამდენიმე სასამართლოში, მაშინ მოსარჩელეს შეუძლია თვითონ აირჩიოს ასეთი სასამართლო. მაგალითად, სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში, როგორც მოპასუხის, ისე მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ, დამოკიდებულია მის არჩევანზე.

მუხლი 21. შეთანხმება განსჯადობის შესახებ

1. თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით.

2. არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში.

1. განსჯადობის ორი სახის შეცვლა არ შეიძლება მხარეთა შეთანხმებით. ესაა განსაკუთრებული განსჯადობა და

გვარეობითი განსჯადობა. განსაკუთრებული განსჯადობა ჩამოყალიბებულია მე-16 მუხლში, ხოლო გვარეობითი განსჯადობა მე-13 და მე-14 მუხლებში, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 და მე-6 მუხლებში. გვარეობითი განსჯადობა – ესაა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განაწილება **სხვადასხვა დონის** (რგოლის) სასამართლოებს შორის: მაგალითად, რაიონული სასამართლოს განსჯად საქმეებს ვერ განიხილავს მაგისტრატი მოსამართლე (მე-13 და მე-14 მუხლები)

მხარეთა შეთანხმება განსჯადობის შესახებ წერილობით უნდა ჩამოყალიბდეს ან თვითონ მხარეთა მიერ დადებულ წერილობით გარიგებაში (მაგალითად, წერილობით გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებაში), ან სპეციალურად განსჯადობის შესახებ დადებულ შეთანხმებაში. თუ მხარეთა წერილობითი შეთანხმების შესაბამისად, სამოქალაქო საქმე განიხილა არაგანსჯადმა სასამართლომ, მაშინ **მხარეს ერთმევა უფლება** დაასაბუთოს თავისი საჩივარი ზემდგომ სასამართლოში არაგანსჯადობის მეშვეობით და მოითხოვოს გადაწვეტილების (განჩინების) გაუქმება იმ მოტივით, რომ საქმე არაგანსჯადმა სასამართლომ განიხილა.

2. 21-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება **განსჯადი გახდეს მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშეც**, ოღონდ ამისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობის არსებობა. ეს პირობებია:

ა) მოპასუხე თანახმაა მონაწილეობა მიიღოს არაგანსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში და ასეთი მისი თანხმობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში;

ბ) მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატით, ხოლო, თუ მას არ ყავს ადვოკატი, მაშინ მიეცა **განმარტება** იმის შესახებ, რომ არაგანსჯადობის მოტივით გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იქნება გაზიარებული ზემდგომი სასამართლოს მიერ, თუ ის არ გამოიყენებს თავის უფლებას განუცხადოს პროტესტი არაგანსჯად სასამართლოს საქმის განხილვის წინააღმდეგ;

გ) მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლოს ოქმში.

– ამრიგად, იმისათვის, რომ არაგანსჯადმა სასამართლომ განიხილოს საქმე, აუცილებელია მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება, რაც სარჩელის აღძვრას უნდა უსწრებდეს წინ და ასეთი შეთანხმება უნდა დაერთოს სარჩელს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ მიიღებს მის არაგანსჯად სარჩელს (186-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი). მაგრამ თუ არაგანსჯადობის საკითხი გაირკვევა მოგვიანებით, ე. ი. საქმის მომზადების თუ მისი არსებითად განხილვის ეტაპზე, მაშინ სასამართლომ უნდა იმსჯელოს 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობების დაცვით საქმის განხილვის შესაძლებლობაზე. თუ ასეთი პირობები არ არსებობს და ამიტომ საქმის განხილვა დაუშვებელია, სასამართლომ საქმე განსჯად სასამართლოს უნდა გადასცეს (23-ე მუხლი).

მუხლი 22. განსჯადობის წესების დაცვით მიღებული საქმის განხილვა

სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

– 22-ე მუხლის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მთავარია სარჩელი მიღებულ იქნეს სასამართლოს მიერ განსჯადობის წესების დაცვით. სარჩელის წარმოებაში სწორად მიღების შემდეგ შეიძლება შეიცვალოს პირობები და იგი უკვე სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს ამ სხვა სასამართლოსათვის საქმის გადაცემის საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის განხილვა ძლიერ გაჭიანურდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენჯერ შეიცვლება განსჯადობის პირობები და საჭირო გახდება ერთიდან მეორეში, მეორედან მესამეში და ა. შ. დაუსრულებლად საქმის სხვადასხვა სასამართლოში გადაცემა.

რადგან სარჩელი თავდაპირველად მიღებული იყო განს-

ჯადობის წესების დაცვით, სასამართლომ იგი თვითონვე უნდა განიხილოს.

მუხლი 23. საქმის გადაცემა განსჯადი სასამართლოსათვის

1. სასამართლო საქმეს განსახილველად სხვა სასამართლოს გადასცემს, თუ:

ა) მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ არ იყო ცნობილი, მოითხოვს, რომ საქმე გადაეცეს სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ბ) ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო ამავე სასამართლოში შეუძლებელია მათი შეცვლა.

2. თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა სასამართლოს მოსარჩელის არჩევით.

3. საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება.

1. 23-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ისეთი შემთხვევების ჩამონათვალს, როდესაც სასამართლოს შეუძლია საქმე განსახილველად სხვა სასამართლოს გადასცეს. მაგალითად, იმის გამო, რომ არ იყო ცნობილი მოპასუხის ადგილსამყოფელი, სარჩელი აღიძრა მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, როგორც ამას ითვალისწინებს მე-15 მუხლის მეორე ნაწილი (იხ. ამ მუხლის კომენტარი). შემდეგ, როდესაც მოპასუხისათვის ცნობილი გახდა, რომ მის წინააღმდეგ სარჩელია აღძრული მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოითხოვა საქმის გადაცემა სასამართლოსათვის თავისი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა, მაგრამ, თუ მოპასუხე **არ მოითხოვს საქმის გადაცემას** – სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე და გამოიტანოს გა-

დაწყვეტილება, რაც ვერ გახდება ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. 23-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ სასამართლომ საქმე გადასცეს სხვა სასამართლოს მოპასუხის ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საჭიროა **თვით ამ მოპასუხის თხოვნა ამის შესახებ**.

– 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს საქმის სასამართლოსათვის გადაცემის ისეთ შემთხვევებს, როდესაც საქმე განსჯადობის წესების სრული დაცვითაა მიღებული, მაგრამ მოსამართლის (მოსამართლეების) აცილების გამო, შეუძლებელია მათი შეცვლა ამავე სასამართლოში. საქმის განხილვა აცილებული მოსამართლის მონაწილეობით უნდა შეფასდეს როგორც საქმის განხილვა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ (394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური (უდავო) საფუძველია, ამიტომ, საქმე უნდა გადაეცეს სხვა სასამართლოს იმ წესების დაცვით, რომლებიც განსაზღვრულია 34-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

2. 23-ე მუხლის მე-2 ნაწილს მხედველობაში აქვს ალტერნატიული განსჯადობის შემთხვევები, ე. ი. შემთხვევები, როდესაც საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია. მე-20 მუხლის თანახმად, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება აქვს მოსარჩელეს. აქედან გამომდინარე, თუ საქმე, რომელიც 23-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით სხვა სასამართლოს უნდა გადაეცეს, რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსარჩელის სურვილი. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, საკითხს თუ რომელ სასამართლოს გადაეცეს საქმე – წყვეტს სასამრთლოს თავმჯდომარე (34-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილები).

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის სხვა სასამართლოზე განსახილველად გადაცემა ხდება 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, მაშინ თვითონ ამ სასამართლოს გამოაქვს განჩინება ამის შესახებ.

მაგრამ, თუ საქმის სხვა სასამართლოზე გადაცემა ხდება ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძ-

ვლით, მაშინ განჩინება ასეთი გადაცემის შესახებ, 34-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების თანახმად, გამოაქვს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

აქ მითითებულ განჩინებებზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მუხლი 24. განსჯადობის შესახებ დავის დაუშვებლობა

ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნილ საქმეს წარმოებაში განსახილველად იღებს ის სასამართლო, რომელსაც იგი გადაეგზავნა. დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ არ დაიშვება.

– ეს მუხლი, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებისაკენ, ერთი სასამართლოდან მეორეში დაუსრულებლად საქმეთა გადაგზავნის წინააღმდეგ. ამიტომ, სასამართლომ, რომელსაც გადაეგზავნა საქმე, უნდა მიიღოს და განიხილოს იგი, მიუხედავად იმისა, სწორად მოხდა საქმის გადაგზავნა თუ არა. ამასთან ერთად, კანონი არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სასამართლომ აცნობოს ზემდგომ სასამართლოს დაშვებული შეცდომებისა თუ საქმეთა გადაგზავნის არამართლზომიერებაზე, რათა მიღებულ იქნეს ზომები მომავალში ანალოგიური შეცდომების აღმოფხვრისათვის.

თ ა ვ ი IV

სასამართლოს შემადგენლობა. აცილება

მუხლი 25. სასამართლოს შემადგენლობა

1. სამოქალაქო საქმეები პირველი ინსტანციით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, ასევე მაგისტრატი მოსამართლეების მიერ განიხილება ერთპიროვნულად.

2. ამოღებულია

3. სამოქალაქო საქმეების განხილვა სააპელაციო წესით ხორციელდება სამი მოსამართლის მიერ.

4. სამოქალაქო საქმეების განხილვა საკასაციო წესით ხორციელდება სამი მოსამართლის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმეს განიხილავს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოს შემადგენლობას რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და მაგისტრატი მოსამართლეების მიერ საქმეთა განხილვის დროს. როგორც წესი ეს სასამართლოები საქმეებს განიხილავენ ერთპიროვნულად - ერთი მოსამართლის მაგისტრატი (მოსამართლის) შემადგენლობით.

გამონაკლისს ამ თვალსაზრისით წარმოადგენს 26-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც გარკვეული პირობების არსებობისას ითვალისწინებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანცით განხილვის შესაძლებლობას სასამართლოს კოლეგიური (სამი მოსამართლის) შემადგენლობით (იხ. 26-ე მუხლის კომენტარი).

2. ამ მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს სააპელაციო წესით საქმეთა განხილვას სასამართლოს კოლეგიური - სამი მოსამართლის შემადგენლობით.

გამონაკლისი ამ საერთო წესიდან დადგენილია 443-ე მუხლით, რომლის თანახმად 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილ სააპელაციო საჩივარს მე-14 მუხლით განსაზღვრულ საქმეებზე, ქონებრივ სამართლებრივ დავაზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, ასევე, შრომით დავებზე ერთპიროვნულად განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

ამრიგად, ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი გამონაკლისი მოქმედებს 2008 წლის 1 იანვრამდე. ამის შემდეგ ყველა საქმეს სააპელაციო სასამართლო განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით.

3. ამ მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვას სასამართლოს კოლეგიური - სამი მოსამართლის შემადგენლობით.

გამონაკლისი ამ მხრივ დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიმართ. დიდი პალატა წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს, რომელიც საქმეებს განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად (იხ. 391[1]-ე მუხლის კომენტარი), 9 მოსამართლის შემადგენლობით.

მუხლი 26. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა განხილვის წესი

1. იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;

ბ) საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი

თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

2. მოტივირებული განჩინება საქმის სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს მთავარ სხდომაზე ამ საქმის განხილვის დაწყებამდე. განჩინება გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას ამ საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით.

3. ამოღებულია

4. ამოღებულია

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი უშვებს გამონაკლისს საერთო წესიდან, რომელიც დადგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 პუნქტით და ამ კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელთა თანახმად, სამოქალაქო საქმეების განხილვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ხორციელდება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ.

– გამონაკლისი ამ საერთო წესიდან დასაშვებია მხოლოდ ამ მუხლის პირველი ნაწილით ზუსტად განსაზღვრული პირობის არსებობისას.

ა) განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებით, მაგალითად, ანალოგიური საქმე ჯერ არ ყოფილა განხილული სასამართლოებში, ანუ არ არსებობს არავითარი პრაქტიკა ასეთი საქმეების განხილვისა, ან კიდევ, სხვანაირი იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს საქმის გარემოებებს, ვიდრე ეს დღემდე იყო მიღებული და ა. შ.

ბ) საქმის განსაკუთრებული სირთულე შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებით, მაგალითად, სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ნორმა ახლებურად და სრულიად განსხვავებულად აწესრიგებს სადავო ურთიერთობას, ვიდრე ადრე მოქმედი კანონმდებლობა, ან კიდევ, კანონის აზრისა და შინაარსის სწორად და ამომწურავად

ამოხსნა და გაგება რთულია და მოითხოვს სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტების ცოდნას და სხვა.

– თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კოლეგიურად საქმის განხილვას აქვს არა ფორმალური, არამედ არსებითი მნიშვნელობა, რაც მოსამართლის მაღალი პროფესიონალობითა და მისი სპეციალიზაციით განისაზღვრება, მაშინ უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ კოლეგია უნდა შედგეს იმ მოსამართლეებისაგან, რომლებსაც აქვთ სამოქალაქო საქმეთა (ფართო გაგებით) განხილვის გამოცდილება, კარგად იცნობენ შესაბამის კანონმდებლობასა და მისი გამოყენების პრაქტიკას. ამიტომ, თუ ეს პირობა არ არსებობს, უმჯობესია საქმე განიხილოს ერთპიროვნულად მოსამართლემ.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი, **ჯერ-ერთი**, განსაზღვრავს თუ რომელ ეტაპზე შეიძლება გამოტანილ იქნეს განჩინება საქმის კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ. ეს ეტაპია საქმის მომზადების სტადია, ე. ი. მთავარ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დანიშვნამდე. თუ მოსამართლემ დანიშნა მთავარი სხდომა, დაიწყო საქმის განხილვა, მან კიდეც უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს იგი. საქმის განხილვის გადადება ან შეჩერება იმ მოტივით, რომ იგი განიხილოს სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ, კანონით არაა გათვალისწინებული. **მეორე**, მოსამართლის განჩინება საქმის კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობით განხილვის შესახებ მოტივირებული (დასაბუთებული) უნდა იყოს, ე. ი. მასში მითითებული უნდა იყოს, თუ რატომ ენიჭება ამ საქმის განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ან რა ფაქტორებითაა განპირობებული მისი სირთულე.

– სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია უარი თქვას კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვაზე იმის გამო, რომ მოსამართლის განჩინება არაა დასაბუთებული და დამაჯერებელი ან იმის გამო, რომ ამ სასამართლოში არაა შესაბამისი გამოცდილების მქონე მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისათვის. მოსამართლის განჩინების მიღებაზე უარის თქმისა და საქმის ერთპიროვნულად განხილვისათვის უკან დაბრუნების შესახებ სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია

გამოიტანოს განჩინება ან შემოიფარგლოს შესაბამისი წარწერით (რეზოლუციით) განჩინებაზე.

მუხლი 27. კოლეგიური სასამართლოს მიერ საკითხების გადაწყვეტის წესი

1. თუ საქმის განხილვას სასამართლო ახორციელებს კოლეგიურად, ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხმების უმრავლესობით. არც ერთ მოსამართლეს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს რომელიმე საკითხის გადაწყვეტისაგან.

2. მოსამართლეს, რომელიც პირველი ინსტანციის, სააპელაციო ინსტანციისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების, განჩინებისა თუ დადგენილების გამოტანისას არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს გადაწყვეტილების გამოცხადების დროს.

3. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ სასამართლოს სხდომის დარბაზში მისი შინაარსი არ გამოცხადდება.

1. 27-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია ორი ფუნდამენტური დებულება: პირველი – **მოსამართლეთა სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ჰქონდეს თავისი საკუთარი აზრი** საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხზე და **მეორე – არცერთ მოსამართლეს, რომელიც თანამდებობრივად მოწოდებულია განახორციელოს მართლმსაჯულება, უფლება არა აქვს უარი თქვას ან თავი შეიკავოს** იმ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაში, რომლის განხილვაშიც მონაწილეობდა. გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავება უნდა შეფასდეს, როგორც **მართლმსაჯულების განახორციელებაზე უარის თქმა**, როგორც მოსამართლის მიერ თა-

ვისი თანამდებობრივი ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით, მათ შორის თანამდებობიდან განთავისუფლებით.

იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება (განჩინება), არ არის აუცილებელი, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ყველა მოსამართლეს ერთნაირი მოსაზრება ჰქონდეს. ეს შეზღუდავდა მოსამართლის ფუნდამენტურ უფლებას, იქონიოს თავისი მიხედულება საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ ამა თუ იმ საკითხზე. ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უმრავლესობით.

– სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც საქმის განმხილველ **სამივე მოსამართლეს განსხვავებული აზრი აქვს**. ასეთი ვითარება თეორიულად არაა გამორიცხული, თუმცა პრაქტიკულად ძნელად წარმოსადგენია. გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ საქმის განმხილველი მოსამართლეები ვერ შეთანხმდნენ ამა თუ იმ საკითხზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების გამოტანისათვის – კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. გამოსავალი ასეთი ვითარებიდან შეიძლება ერთი იყოს: კოლეგიის თავმჯდომარე, როგორც წესი, ხმას აძლევს ბოლოს და ის უნდა მიემხროს იმ მოსამართლეს, რომლის შეხედულებაც უფრო ახლოსაა მის პოზიციასთან. ეს შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს მიიღოს გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით.

2. 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი ნათლად და გარკვეულად მიუთითებს, ჯერ-ერთი, იმაზე, რომ განსხვავებული აზრი შეიძლება ჩამოაყალიბოს მოსამართლემ, როგორც პირველი ინსტანციით საქმის განხილვისა და გადაწყვეტის, ისე მოსამართლემ სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს. მეორეც, წერილობითი ფორმით განსხვავებული აზრის ჩამოყალიბება **დასაშვებია** არამარტო გადაწყვეტილების, არამედ **განჩინების გამოტანის დროსაც**.

– განსხვავებული აზრი უნდა გაფორმდეს წერილობით **არაუგვიანეს** მოტივირებული გადაწყვეტილების ჩამოყა-

ლიბებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შესრულდება 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ განსხვავებული აზრის შესახებ უნდა ეცნობოს მხარეებს „გადაწყვეტილების გამოცხადების დროს". მხედველობაშია მოტივირებული გადაწყვეტილების გამოცხადება, მაგრამ არაა გამორიცხული განსხვავებული აზრი გაფორმდეს წერილობით და ეცნობოს ამის შესახებ მხარეებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დროსაც. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის, რომ **განსხვავებული აზრი არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი წერილობითაა ჩამოყალიბებული**.

3. მხარეებს ეცნობებათ მხოლოდ იმის შესახებ, რომ არსებობს განსხვავებული აზრი. მისი შინაარსი არ შეიძლება გამოცხადდეს (წაკითხულ იქნეს) სასამართლო სხდომის დარბაზში. იგი უნდა ჩაიდოს კონვერტში და დაერთოს საქმეს. ცხადია, რომ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაეცნონ განსხვავებულ აზრს. ეს უფლება პირდაპირ გამომდინარეობს 83-ე და 98-ე მუხლების ანალიზიდან, რომელთა თანახმად მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, ე.ი. მასალებს, რომლებიც საქმეშია (იხ. ამ მუხლების კომენტარი), მათ შორის განსხვავებულ აზრს.

მუხლი 28. თათბირის საიდუმლოება

მოსამართლეებს უფლება არ აქვთ გაახმაურონ მსჯელობა, რომელიც მათ ჰქონდათ თათბირის დროს.

თათბირის საიდუმლოება უზრუნველყოფს მოსამართლის თავისუფლებას მშვიდად და ყოველგვარი შებოჭილობის გარეშე გამოთქვას თავისი მოსაზრება, როგორც ცალკეული საკითხების, ისე გადაწყვეტილების (განჩინების) შესახებ საერთოდ. საქმე ისაა, რომ გადაწყვეტილება (განჩინება) სასამართლომ უნდა წარმოადგინოს, როგორც მოსამართლეთა ერთსულოვანი მიხედულება, რასაც დიდი მნიშ-

ვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილების (განჩინების) ავტორიტეტის განმტკიცებისათვის.

მუხლი 29. საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის დაუშვებლობა

1. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

2. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

3. მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ან/და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

1. 29-ე მუხლი ემყარება ერთ მეტად გონივრულ პრინციპს: გადაწყვეტილების კანონიერების თუ დასაბუთებულობის შემოწმება არ შეიძლება მიენდოს იმ მოსამართლეს, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა.

ამ მუხლის ანალიზის, მისი აზრისა და შინაარსის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი შინაარსის პრაქტიკული წესი: **ერთი და იგივე მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას ერთი და იგივე საქმის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში განხილვისას**.

ასეთ განმარტებას აძლევს ამ მუხლს საკასაციო სასამართლო, რომელმაც თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა, რომ „მოსამართლეს ეკრძალება საქმის განხილვაში მო-

ნაწილეობა, თუ იგი ამ საქმის განხილვაში მონაწილეობდა სხვა ინსტანციის და არა იმავე ინსტანციის სასამართლოში.[9]

2. ამასთან ერთად, 29-ე მუხლი არ გამორიცხავს და, მაშასადამე, უშვებს საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, იგი შეიძლება განიხილოს იმავე მოსამართლემ ან იმავე სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ, რომლის გადაწყვეტილება (განჩინება) გაუქმდა;

ბ) თუ საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში საკასაციო სასამართლოს მიერ, იგი შეიძლება განიხილოს იმავე სააპელაციო პალატამ (მოსამართლეთა იგივე შემადგენლობამ), რომლის გადაწყვეტილებაც ამ საქმეზე გაუქმდა;

გ) თუ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება (განჩინება) კვლავ გასაჩივრდა საკასაციო წესით, საქმე შეიძლება კვლავ განიხილოს იმავე საკასაციო პალატამ, რომელმაც ადრე ეს საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.

მუხლი 30. სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა

სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას.

– სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სასამართლოს შემადგენლობაში ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი ჩა-

[9] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №1, გვ. 53.

მოცილებული უნდა იქნენ საქმის განხილვიდან. ეს შეიძლება მოხდეს თვითაცილებით ან მხარის განცხადებით აცილების შესახებ.

– 30-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას იმაზე, თუ როგორი ნათესაობა შეიძლება ჩაითვალოს ახლო ნათესაურ ურთიერთობად. ამიტომ, შეიძლება გამოვიყენოთ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ნათესავების ჩამონათვალი (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– თუ მიუხედავად კანონისმიერი აკრძალვისა, სასამართლოს შემადგენლობაში, რომელმაც განიხილა და გადაწყვიტა საქმე, აღმოჩნდნენ ახლო ნათესავები, ეს შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (იხ. ამ მუხლის კომენტარი), რადგან საქმე განიხილა სასამართლოს **არაკანონიერმა შემადგენლობამ**.

მუხლი 31. მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები

1. მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;

ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;

გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან:

ა) მეუღლე;
ბ) დანიშნული;
გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;
დ) და-ძმა;
ე) დისშვილები და ძმისშვილები;
ვ) მშობლების და-ძმები;
ზ) დანათესავებულები (მოყვრები);
თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

1. 31-ე მუხლში ჩამოთვლილი აცილების საფუძვლები საქმის მიუკერძოებლად განხილვის ინტერესებითაა ნაკარნახევი. ამიტომ, თუ არსებობს მოსამართლის აცილების ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც ამ მუხლშია მითითებული, მოსამართლეს ეკრძალება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში და აცილებულ უნდა იქნეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების საფუძველი.

ა) მოსამართლეს ეკრძალება შეითავსოს მხარისა და მოსამართლის ფუნქცია, ე. ი. მას არ შეუძლია იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეზე, რომლის ერთ-ერთ მხარესთან მას აკავშირებს საერთო უფლებები ან ვალდებულებები. მაგალითად, სადავო ქონება (დავის საგანი) არის საერთო (თანაზიარი ან წილადი) საკუთრების ობიექტი, ხოლო მოსამართლე მისი ერთ-ერთი თანამესაკუთრეა, ან კიდევ იგი სოლიდარული ვალდებულების ერთ-ერთი სუბიექტია და ა. შ.

ბ) მოსამართლემ არ შეიძლება შეითავსოს მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, წარმომადგენლის ან სასამართლო სხდომის მდივნის ფუნქცია. ამიტომ, მოსამართლე აცილებულ უნდა იქნეს, თუ იგი ადრე ამ საქმეში მონაწილეობდა ამ სახით, ან საქმის განხილვის პროცესში უნდა მიიღოს მონაწილეობა აქ ჩამოთვლილი რომელიმე სუბიექტის სახით. უფრო მეტიც, მოსამართლე აცილებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, როცა არ არის განზრახული, რომ იგი მოწმედ დაიკითხოს, მაგრამ მან უშუალოდ დაინახა მოპასუხის მიერ მოსარჩელის ქონებისათვის ზიანის მიყენე-

ბის ფაქტი, ან კიდევ, ესწრებოდა მხარეთა მიერ გარიგების დადების ფაქტს და ა. შ., ე. ი. ნებით თუ უნებლიეთ გახდა ისეთი ფაქტის მოწმე, რომელსაც ამ საქმის გადაწყვეტისათვის აქვს მნიშვნელობა;

გ) მოსამართლის აცილების ერთ-ერთი საფუძველია მისი ნათესაობა მხარესთან ან მის წარმომადგენელთან. ნათესავების ჩამონათვალს შეიცავს ამ მუხლის მე-2 ნაწილი. თუ მოსამართლის ნათესაობა მხარის ან მისი წარმომადგენლის მიმართ ამ ჩამონათვალიდან ერთ-ერთს შეესაბამება, მაშინ იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვიდან;

დ) ზოგად შეფასებით მსჯელობათა კატეგორიას განეკუთვნება „დ“ ქვეპუნქტში მითითებული აცილების საფუძველი. ამიტომ, ამ საფუძვლით აცილების განცხადებისას მხარე ვალდებულია მიუთითოს ისეთ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მოსამართლე მართლა დაინტერესებულია საქმის შედეგით. ცხადია, რომ მოსამართლემ ყველაზე უკეთ იცის, მართლა დაინტერესებულია თუ არა იგი საქმის შედეგით. ამას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა აცილების საკითხის გადაწყვეტისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მხარე ისეთ კონკრეტულ ფაქტებზე მიუთითებს, რომლებიც **თავისთავად ბადებენ ეჭვს** მოსამართლის მიუკერძოებლობაში, მოსამართლე უნდა ჩამოცილდეს საქმის განხილვას, თუმცა იგი შინაგანად სულაც არ ფიქრობს საქმის მიკერძოებულად გადაწყვეტას. მოსამართლის **განწყობას**, მის **შინაგან ფსიქოლოგიურ მდგომარეობას** არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

2. 31-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი ნათესავების წრე საკმაოდ ფართოა, ხოლო „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში მითითებული პირების ნათესაობა მოითხოვს მოსამართლის მხრივ დაკონკრეტებას. მაგალითად, შეიძლება თუ არა მოსამართლის აცილებას საფუძვლად დაედოს ის ფაქტი, რომ მისი შვილი, მეუღლე თუ მშობელი არის ერთ-ერთი მხარის ნათლია? ამ და სხვა ანალოგიურ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს მოყვრობის ტრადიციული გაგებით და ისე მიიღოს გადაწყვეტილება აცილების თაობაზე.

მუხლი 32. თვითაცილება

აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი.

– უნდა განვასხვავოთ აცილების ორი სახე: **თვითაცილება** და **აცილება** მხარეთა განცხადებით. განსხვავება ისაა, რომ თვითაცილება ხდება თვითონ **მოსამართლის ინიციატივით**, ხოლო აცილება მხარეთა განცხადებით – ეს იქნება აცილება **მხარეთა ინიციატივით**.

საერთო ამ ორი სახის აცილებას შორის ისაა, რომ როგორც თვითაცილება, ისე აცილება მხარეთა განცხადებით, უნდა ემყარებოდეს იმ საფუძვლებს, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები (29-31-ე მუხლები).

– თვითაცილება, ისე როგორც მხარეთა განცხადება აცილების შესახებ მოტივირებული უნდა იყოს. დაუსაბუთებელი თვითაცილება შეიძლება თვითონ გახდეს სხვადასხვაგვარი ეჭვების საბაბი, როგორც მხარეების, ისე ამ საქმის განხილვით დაინტერესებული პირებისა და ზემდგომი სასამართლო ინსტანციებისათვის.

– თუ თვითაცილება განაცხადა კოლეგიური შემადგენლობის ერთ-ერთმა მოსამართლემ, მისი აცილების საკითხს გადაწყვეტენ სხვა მოსამართლეები (იხ. 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის კომენტარი).

– ერთპიროვნულად საქმის განმხილველი მოსამართლის თვითაცილების შემთხვევაში აცილების საკითხს წყვეტს თვით ეს მოსამართლე (34-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მუხლი 33. მხარეთა განცხადება აცილების შესახებ

მხარეებს შეუძლიათ წერილობით განაცხა-

დონ აცილება. განცხადება აცილების შესახებ მოტივირებულ უნდა იქნეს და გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე.

– 33-ე მუხლი ცალსახად მიუთითებს, რომ განცხადება აცილების შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მხედველობაშია აცილების შესახებ განცხადების შეტანა საქმის მომზადების სტადიაზე. მაგრამ, თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში აცილების განცხადება გაკეთდა საქმის ზეპირი განხილვის დროს, მაშინ ასეთი განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლო სხდომის ოქმში.

– განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს მოტივირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ განცხადებაში, სულ ერთია, წერილობით იქნება ეს გაკეთებული თუ ზეპირად, მითითებული უნდა იყოს საფუძველზე, რომელიც კანონის თანახმად იწვევს აცილებას (29-31-ე მუხლები). **არამოტივირებული განცხადება არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს**.

– 33-ე მუხლში ლაპარაკია მხარეების უფლებაზე განაცხადონ აცილება, მაგრამ მხედველობაშია არა მარტო უშუალოდ მხარეები, არამედ მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით, აგრეთვე მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე (91-ე მუხლი).

– 33-ე მუხლი შეიცავს **საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობის წინააღმდეგ ერთ მეტად ეფექტურ მექანიზმს**: აცილების შესახებ განცხადება შეტანილ უნდა იქნეს **საქმის მომზადების სტადიაზე**. სასამართლოს მთავარ სხდომაზე ანუ საქმის ზეპირი განხილვის დროს აცილების თაობაზე განცხადება დაიშვება მხოლოდ ერთი პირობით –

თუ აცილების საფუძველი ცნობილი გახდა განმცხადებლისათვის **მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ**. ამ პირობას სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ და განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში კანონის ეს მოთხოვნა, რადგან იგი ჯერ-ერთი, ემსახურება მოქალაქეთა აღზრდას კანონისადმი და სასამართლოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით და მეორე, თავიდან იცილებს საქმის განხილვის **უსაფუძვლოდ გაჭიანურებას**.

ამიტომ, აცილების შესახებ განცხადების შემომტანმა პირმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს დამაჯერებელი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ აცილების საფუძველი მისთვის ცნობილი გახდა ან წარმოიშვა საქმის ზეპირ განხილვაზე მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. მხოლოდ ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს „დაუშვას განცხადება აცილების შესახებ" და განიხილოს იგი. ცხადია, რომ აცილების შესახებ განცხადების **დაშვება** ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ განცხადებული აცილება დაკმაყოფილდება. თუ განსახილველად დაშვებული განცხადების განხილვის დროს აღმოჩნდება, რომ არ არსებობს აცილების საფუძველი – სასამართლო გამოიტანს განჩინებას აცილებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 34. განცხადებული აცილების გადაწყვეტის წესი

1. აცილების განცხადების შემდეგ სასამართლომ (მოსამართლემ) შეიძლება მოუსმინოს მხარეებს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც განაცხადეს აცილება.

2. აცილების საკითხს სასამართლო წყვეტს ადგილზე მოთათბირებით ან სათათბირო ოთახში.

3. თუ აცილება განუცხადეს მოსამართლეს, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს თვით ეს მოსამართლე. აცილების მიღების ან თვითაცილების შემთხვევაში მოსამართლე საქმეს გადასცემს

სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს. თუ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არ არის სამოქალაქო საქმის განმხილველი სხვა მოსამართლე, მაშინ სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს უგზავნის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოსათვის გადასაცემად.

4. თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური შემადგენლობის ერთ-ერთ მოსამართლეს, ამ მოსამართლის აცილების საკითხს გადაწყვეტენ სხვა დარჩენილი მოსამართლეები ასაცილებელი მოსამართლის დაუსწრებლად. მოსამართლის აცილების წინააღმდეგ ან ასეთი აცილების მხარდასაჭერად ხმების თანაბარი რაოდენობის დროს მოსამართლე აცილებულად ითვლება. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა შეიცვალოს სხვა მოსამართლით.

5. თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური სასამართლოს მთელ შემდაგენლობას ან მის უმრავლესობას, აცილების საკითხს წყვეტს ამავე სასამართლოს სრული შემადგენლობა ხმების უმრავლესობით. კოლეგიური სასამართლოს მთელი შემადგენლობის ან მისი უმრავლესობის აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა ამავე სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს კოლეგიური სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის ან სააპელაციო სასამართლოს პალატის მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას კანონით დადგენილი წესით განსახილველად გადასცემს სხვა შემადგენლობას. თუ სააპელაციო სასამართლოში აცილების მიღებისას ან ამ კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებ-

ში შეუძლებელია მოსამართლეთა ახალი შემადგენლობის შექმნა, საქმე ეგზავნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სხვა სააპელაციო სასამართლოსათვის გადასაცემად.

1. განცხადება აცილების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში **საქმის მომზადების სტადიაზე**, ხოლო კანონით გათვალისწინებული **პირობის არსებობისას** – სასამართლოს მთავარ სხდომაზეც (იხ. 33-ე მუხლის კომენტარი). **თუ ასეთი პირობა არ არსებობს, სასამართლო საერთოდ არ განიხილავს საქმის მომზადების დამთავრების შემდგომ განცხადებულ აცილებას**. როდესაც განცხადება **აცილების** შესახებ შეტანილია საქმის მომზადების სტადიაზე, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მოუსმინოს თუ არა მხარეებს, ანუ თვითონ განმცხადებელს და მოწინააღმდეგე მხარეს. თუ სასამართლო ან საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე თვლის, რომ მხარეთა მოსმენა საჭიროა, ის ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას და მოისმენს მხარეთა მოსაზრებებს. მხარეთა გამოუცხდებლობა მოსამზადებელ სხდომაზე ვერ დააბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება აცილების შესახებ ან აცილებაზე უარის თქმის შესახებ.

თუ აცილება განცხადებულია მთავარ სხდომაზე და იგი დასაშვებია 33-ე მუხლის თანახმად, მაშინ სასამართლომ უნდა მოუსმინოს მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, რომლებიც ესწრებიან ამ სხდომას.

პირი, რომელსაც განუცხადეს აცილება, არ არის ვალდებული მისცეს რაიმე განმარტება მის მიმართ განცხადებული აცილების თაობაზე, მაგრამ თუ ასეთი სურვილი აქვს, სასამართლომ უნდა მოუსმინოს მას. მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, როდესაც აცილება განუცხადეს კოლეგიური სასამართლოს მოსამართლეს ან სხვა პირს (ექსპერტს, თარჯიმანს, სხდომის მდივანს, სპეციალისტს). თუ აცილება განუცხადეს ერთპიროვნულად საქმის გამრჩევ მოსამართლეს, მაშინ ის არავითარ განმარტებას აცილების შესახებ

არავის არ აძლევს. **მისი პოზიცია აისახება განჩინებაში**, რომელსაც იგი მიიღებს განცხადებული აცილების თაობაზე.

2. აცილების საკითხი, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვის მიმართ განაცხადეს აცილება, შეიძლება გადაწყვიტოს სასამართლომ როგორც ადგილზე მოთათბირებით, ისე სათათბირო ოთახში. იგივე უნდა ითქვას ერთპიროვნულად საქმის გამრჩევ მოსამართლეზე. მასაც შეუძლია სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოიტანოს განჩინება აცილების თაობაზე, რაც შეიტანება ოქმში (იხ. 284-ე მუხლის კომენტარი), თუ ეს საკითხი სასამართლო სხდომაზე იყო განხილული.

3. 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს ერთპიროვნულად საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების ან თვითაცილების წესს, რომლის თანახმად, გადაწყვეტილებას თვითაცილების შესახებ იღებს თვითონ მოსამართლე. სანამ ამ საკითხს გადაწყვეტდეს, მოსამართლეს, თუ ეს მას საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია მოიწვიოს მხარეები და მოუსმინოს მათ, როცა აცილების საკითხი დასმულია საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე, მაგრამ თუ ეს საკითხი დაისვა მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე, მაშინ მოსამართლეს შეუძლია მოუსმინოს ამ სხდომაზე გამოცხადებულ მხარეებს.

ამრიგად, აცილების საკითხებზე მხარეთა მოსმენა და მათი მოსაზრებების გაგება არაა აუცილებელი და სავალდებულო. ყველაფერი დამოკიდებულია მოსამართლის მიხედულებაზე.

ყველა შემთხვევაში, როცა მოსამართლემ მიიღო აცილება (თვითაცილება), იგი საქმეს წარუდგენს ამ სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც ამ საქმეს განსახილველად გადასცემს სამოქალაქო საქმის განმხილველ სხვა მოსამართლეს. აქ მხედველობაშია მოსამართლეთა სპეციალიზაცია, რომელიც დამკვიდრებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15[1] მუხლით.

4. კოლეგიური შემადგენლობით საქმის განმხილველი სასამართლოს **ერთ-ერთი მოსამართლის აცილების შემთხვევაში**, რაც ხორციელდება ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით, იგი **ამ სასამართლოს თავმჯდომარის მეშ-**

ვეობით უნდა შეიცვალოს ამავე სასამართლოს სხვა მოსამართლით.

კოლეგიური სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის აცილების საკითხს გადაწყვეტენ დანარჩენი მოსამართლეები, ასაცილებელი მოსამართლის გარეშე, მაგრამ წინასწარ, ე. ი. აცილების საკითხის გადაწყვეტამდე, შეიძლება მოუსმინონ, როგორც ამ ასაცილებელ მოსამართლეს, ისე მხარეებს.

5. კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის ან მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში, საქმე გადაეცემა იმ სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმეს განსახილველად სხვა შემადგენლობას გადასცემს.

მაგრამ, თუ ამ სასამართლოში შეუძლებელია მოსამართლეთა ახალი შემადგენლობის შექმნა, ან იმის გამო, რომ არ არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა, ან კიდევ, 29-ე მუხლით გათვალისწინებული მიზეზის გამო (იხ. ამ მუხლის კომენტარი), მაშინ საქმე უნდა გადაეგზავნოს შესაბამის სააპელაციო სასამართლოს საქმის სხვა სასამართლოსათვის გადასაცემად.

6. 34-ე მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს შესაბამისი სასამართლოების პალატების, ე. ი. სააპელაციო სასამართლოების მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში ამ სასამართლოების თავმჯდომარეთა მეშვეობით პალატის სხვა შემადგენლობისათვის საქმის გადაცემის წესს. მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მაშინ საქმე უნდა გადაეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელიც ამ საქმეს განსახილველად სხვა შესაბამის სასამართლოს გადასცემს. მაგალითად, თუ აცილებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო პალატის მთელი შემადგენლობა, მაშინ ამ სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს განსახილველად გადასცემს სააპელაციო პალატის სხვა შემადგენლობას, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, საქმე უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს. უზენაესი სასამართლოს **თავმჯდომარე** ამ საქმეს განსახილველად გადაუგზავნის სხვა სააპელაციო სასამართლოს.

საქმის გადაცემა ერთი სასამართლოს შემადგენლობი-

დან ამავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის, ან ერთი სასამართლოდან მეორე სასამართლოში, წარმოებს განჩინების საფუძველზე, რომელსაც იღებს ერთპიროვნულად სასამართლოს თავმჯდომარე.

7. სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა აცილება განუცხადეს მთლიანად სასამართლოს (მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსამართლეთა აცილებას და არა ამა თუ იმ რაიონული (საქალაქო), სააპელაციო თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აცილებას. ამიტომ, საქართველოს სასამართლო სისტემის რომელიმე რგოლის მიმართ განცხადებული აცილება დაუშვებელია და არ უნდა იქნეს განხილული.

მუხლი 35. ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილების საფუძველი

ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით.

– ექსპერტები, თარჯიმნები, სპეციალისტები და სხდომის მდივნები, მართალია, ასრულებენ სხვადასხვა როლს, მაგრამ ისინი ყველანი მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ საქმის სწორად განხილვასა და გადაწყვეტას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან როლს, კანონი ითვალისწინებს მათი აცილების შესაძლებლობას.

– მათი აცილების საფუძველი იგივეა, რაც მოსამართლის აცილების საფუძველი (31-ე მუხლი), მაგრამ შეიძლება მითითებულ იქნეს სხვა საფუძველიც. მაგალითად, თუ მხარე აცხადებს, რომ ექსპერტი არაკომპეტენტურია და ამას სათანადოდ და დამაჯერებლად ადასტურებს, შეიძლება იგი აცილებულ იქნეს ამ საფუძვლითაც.

– ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილების წესი ძირითადად არ განსხვავდება მოსამართლეთა აცილების წესისაგან. აცილების საკითხს წყვეტს სასამართლო (მოსამართლე) ასაცილებელი პირისა და მხარეთა მოსმენის შემდეგ ან უამისოდ.

მუხლი 36. აცილების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრება

აცილების თაობაზე სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად, 377-ე და 404-ე მუხლებით დადგენილი წესით.

აცილების შესახებ სასამართლოს შეუძლია ორი განსხვავებული შინაარსის განჩინების გამოტანა: აცილებაზე უარის თქმის შესახებ და აცილების დაკმაყოფილების შესახებ.

არცერთი ეს განჩინება არ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, ე. ი. სასამართლო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად (იხ. 377-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი).

თ ა ვ ი V

პროცესის ხარჯები

მუხლი 37. ცნებათა განსაზღვრა

1. პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები.

2. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

3. სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

1. პროცესის ხარჯების ცნების შინაარსი მოიცავს სასამართლო ხარჯებს და სასამართლოს გარეშე ხარჯებს.

2. სასამართლო ხარჯები, თავის მხრივ, შედგება სახელმწიფო ბაჟისაგან და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

– **სახელმწიფო ბაჟი** – ესაა საქართველოს ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის („სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის პირველი მუხლი). ამ განმარტების შესაბამისად სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში – ესაა მხარეების, მესამე პირების დამოუკიდებელი მოთხოვნით, განმცხადებლების შენატანები, რასაც ისინი იხდიან სასამართლოში საქმის განხილვისათვის, კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით (39-ე მუხლი).

– **საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები** – ეს არის ხარჯები, რომლებიც გადახდილ უნდა იქნეს ცალკე-

ული საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე იმ პირებისათვის, რომლებიც ეხმარებიან სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში (44-ე მუხლი). განსხვავება სახელმწიფო ბაჟსა და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ, სახელმწიფო ბაჟი – ეს არის **სავალდებულო გადასახადი** სასამართლოში საქმის განხილვისათვის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის, რაც **წინასწარ განსაზღვრულია** კანონით (38-39-ე მუხლები). საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები – ესაა ხარჯები, რომლებიც უნდა აუნაზღაურონ იმ პირებს, რომლებიც დახმარებას უწევენ სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში – მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და ა. შ. (44-ე მუხლი).

3. როგორც წესი, სასამართლოს გარეშე ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული დანახარჯებით, ამიტომ დაინტერესებულმა მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ვერ შეძლებს დააკისროს შესაბამის მხარეს ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა.

მუხლი 38. სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით:

ა) სარჩელზე, აგრეთვე განცხადებაზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ და განცხადებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;

ბ) შეგებებულ სარჩელზე;

გ) მესამე პირის სარჩელებზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;

დ) განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძვრის შესახებ:

ე) სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ;

ვ) სააპელაციო საჩივარზე;

ზ) საკასაციო საჩივარზე;

თ) კერძო საჩივარზე.

ი) განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

კ) განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

38-ე მუხლი შეიცავს იმ მოქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებისთვისაც გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება ეროვნული ვალუტით ბანკებში დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით; ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ – ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებამდე (სარჩელის ან განცხადების შეტანამდე, საჩივრის შეტანამდე და ა. შ.), თუ მხარე კანონით (46-ე მუხლი) ან სასამართლოს მიერ (47-ე მუხლი) განთავისუფლებული არ არის სასამართლო ხარჯების გადახდისაგან (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

მუხლი 39. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

1. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს:

ა) ამ კოდექსის 38-ე მუხლის „ა", „ბ", „გ" და „ე", ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში - დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;

ბ) სააპელაციო საჩივრისათვის, მათ შორის, საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე) - დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა;–

გ) საკასაციო საჩივრისათვის, მათ შორის, საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (განჩინებაზე) - დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა;

დ) კერძო საჩივარზე - 50 ლარს;

ე) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე, აგრეთვე საჩივარზე - თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია - 50 ლარს, ხოლო თუ გამცხადებელი იურიდიული პირია - 150 ლარს;

ვ) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე - თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია - 100 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია - 300 ლარს;

ზ) გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებაზე - 50 ლარს;

თ) არაქონებრივ დავაზე - 100 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე - შესაბამისად 150 და 300 ლარს;

ი) დაკარგული საქმის წარმოების აღდგენასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე, როცა საქმის მასალები მხარის ბრალით დაიკარგა - 100 ლარს;

კ) თამასუქის ან ჩეკის თაობაზე სარჩელზე - 100 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე - შესაბამისად 150 და 300 ლარს;

ლ) უდავო წარმოების საქმეზე - 50 ლარს, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე - შესაბამისად 100 და 300 ლარს.

2. მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს.

3. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

I. სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას კანონმდებელი ხელმძღვანელობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული კრიტერიუმით. ერთ-ერთი ასეთი კრიტერიუმია პროცენტული თანაფარდობა სარჩელის (დავის საგნის) ფასთან მიმართებაში.

1. ამ კრიტერიუმის თანახმად **სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3 - პროცენტს, მაგრამ თუ ეს სამი პროცენტი 100 ლარზე ნაკლებია, მაშინ მოსარჩელე ვალდებულია გადაიხადოს 100 ლარი.**

სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრის ასეთი წესი გათვალისწინებულია შემდეგი კატეგორიის საქმეებზე:

1) ნებისმიერ სარჩელზე, რომელიც აღძრულია ქონებრივ სამართლებრივი დავის თაობაზე;
2) განცხადებაზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ;
3) განცხადებაზე ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;
4) შეგებებულ სარჩელზე;
5) მესამე პირის სარჩელზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნას აცხადებს დავის საგანზე;
6) სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შესახებ.

2. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების **4-პროცენტს**, მაგრამ თუ ეს ოთხი პროცენტი 150 ლარზე ნაკლებია მაშინ 150 ლარს:

ნებისმიერი სააპელაციო საჩივრისათვის, მათ შორის სააპელაციო საჩივრისათვის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც უარი ეთქვა მხარეს საქმის წარმოების განახლებაზე (იხ. 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი).

სასამართლოებმა მხედველობიდან არ უნდა გაუშვან ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარზე დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ

გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (იხ. 365-ე მუხლის კომენტარი).
3. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების **5-პროცენტს**, მაგრამ არანაკლებ 300 ლარს:

ნებისმიერი საკასაციო საჩივრისათვის, მათ შორის საკასაციო საჩივრისათვის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ (იხ. 430-ე მუხლის კომენტარი).

სასამართლოებმა მხედველობიდან არ უნდა გაუშვან ის, რომ საკასაციო საჩივარზე დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (იხ. 391-ე მუხლის მე-3 ნაწილის კომენტარი).

II. მეორე კრიტერიუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს კანონმდებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას - ესაა მყარად განსაზღვრული თანხის ოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადოს მხარემ ამა თუ იმ კატეგორიის საქმეზე.

აღსანიშნავია, რომ ბაჟის ოდენობა სხვადასხვა კატეგორიის საქმეზე სხვადასხვანაირია. მაგალითად, ნებისმიერ კერძო საჩივარზე ეს თანხა შეადგენს 50 ლარს, არაქონებრივ დავაზე - 100 ლარს, ხოლო, **თუ არაქონებრივ დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე შეტანილი იქნება სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი,** მაშინ ბაჟის ოდენობა შეადგენს შესაბამისად 150 და 300 ლარს, უდავო წარმოების საქმეზე - 50 ლარს, მაგრამ თუ უდავო წარმოების საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე შეტანილი იქნება სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი, მაშინ ბაჟის ოდენობა შეადგენს შესაბამისად 100 და 300 ლარს და ა.შ. (იხ. ამ მუხლის „დ-ლ" ქვეპუნქტები).

III. 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის ოდენობას მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეები ჩამოთვლილია მე-14 მუხლში (იხ. ამ მუხლის კომენტარი). იმის მიხედვით, თუ საქმეთა რომელ კატეგორიას განეკუთვნება ეს საქმე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს იმ თანხის ნახევარს, რასაც გადაიხდიდა მხარე ეს საქმე რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ყოფილიყო. იგივე წესით

განისაზღვრება ბაჟის ოდენობა თუ მხარეს შეაქვს სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი მაგისტრატი მოსამართლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. ამასთან, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეთა განხილვისას სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება იმ შემთხვევაშიც, თუ საქმეს იხილავს არამაგისტრატი (რაიონული სასამართლოს სხვა) მოსამართლე.

მაგალითად, თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოში აღძრულ სარჩელზედ ბაჟის ოდენობა შეადგენს სარჩელის საგნის ღირებულების 3-პროცენტს, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად სარჩელზე ბაჟის ოდენობა შეადგენს ამ სარჩელის საგნის ღირებულების მხოლოდ 1,5 პროცენტს. ასევე, თუ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარზე ბაჟის ოდენობა უდრის დავის საგნის 4-პროცენტს, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე შეტანილ სააპელაციო საჩივარზე ბაჟის ოდენობა უდრის დავის საგნის ღირებულების მხოლოდ 2 პროცენტს და ა.შ.

IV. 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალურ ოდენობას - 50 000 ლარს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება დავის საგნის ღირებულებასთან პროცენტული გაანგარიშების მიხედვით ბაჟის ოდენობა 100,000 და მეტიც იყოს, მაგრამ 50 000 ლარზე მეტს მხარე არ გადაიხდის.

მუხლი 40. დავის საგანის ღირებულება

1. დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით.

2. თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება.

3. სადავო საგნის შეფასებისას მხედველობა-

**ში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, რო-
დესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწ-
ყვეტილების გასაჩივრებისას - – საჩივრის შეტ-
ანის დროისათვის არსებული ფასები.**

1. დავის საგნის (სარჩელის საგნის) ღირებულების განსაზღვრის მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელემ თავის სარჩელში უნდა მიუთითოს დავის საგნის ფასზე. ეს პირდაპირაა გათვალისწინებული აგრეთვე 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით (იხ. ამ მუხლის კომენტარი). იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ შეასრულებს ამ მოვალეობას, ე. ი. არ მიუთითებს დავის საგნის ფასზე, მაშინ სასამართლოს შეუძლია დატოვოს სარჩელი უმოძრაოდ (185-ე მუხლი).

– მოსამართლეს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საკითხი სარჩელის მიღების შესახებ, უფლება აქვს შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა მოსარჩელის მიერ მითითებული სარჩელის ფასი მის ნამდვილ ღირებულებას. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ საბაზრო ღირებულებას, მაშინ ეს ფასი თვითონ მოსამართლემ უნდა განსაზღვროს. თუ დავის საგნის (სადავო ქონების) ნამდვილი ღირებულების განსაზღვრა მოსამართლისთვისაც ძნელია, მას შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი (204-ე მუხლი).

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უშვებს ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნის გაერთიანებას (182-ე მუხლი). ეს სხვადასხვა მოთხოვნები ცალ-ცალკე კი არ უნდა შეფასდეს, არამედ უნდა განისაზღვროს გაერთიანებული მოთხოვნების ფასი, ე. ი. უნდა შეჯამდეს არა ცალ-ცალკე შეფასებული მოთხოვნების ფასი, არამედ შეჯამებული მოთხოვნების ფასი, რის შედეგად მივიღებთ ამ მოთხოვნების საერთო ფასს.

ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში შემოსულია რამდენიმე ერთგვაროვანი საქმე და სასამართლომ მიზანშეწონილად ცნო მათი გაერთიანება ერთ წარმოებად (182-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ასეთ შემთხ-

ვევაში გაერთიანებული სარჩელების შეფასება ცალ-ცალკე უნდა მოხდეს.

3. მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი ცალსახად მიუთითებს, რომ სადავო საგნის ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ფასები, რომლებიც არსებობს სარჩელის (კერძო სააპელაციო და საკასაციო საჩივრის) შეტანისას.

მუხლი 41. დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი

დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

ა) ფულადი გადახდევინების შესახებ სარჩელისა —- გადასახდელი თანხით;

ბ) ნივთის (ქონების) გადაცემის ან მიწოდების შესახებ სარჩელისა - ამ ნივთის (ქონების) საბაზრო ღირებულებით;

გ) ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა —- ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

დ) ვადიანი გასაცემისა და გადასახდელის შესახებ სარჩელისა -— არაუმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

ე) უვადო ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელისა - სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

ვ) გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელისა - იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში;

ზ) ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ სარჩელისა - — დარჩენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

თ) გასაცემის ან გადასახდელის შეწყვეტის

შესახებ სარჩელისა -— არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;

ი) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელისა - უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით;

კ) 4 000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა.

2. თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, დავის საგნის ფასი განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.

1. 41-ე მუხლი შეიცავს დავის საგნის ფასის განსაზღვრის ზოგად წესს, რომლის თანახმად ქონებრივ დავებში დავის საგნის ფასი განისაზღვრება **გადასახდელი თანხით**, როცა მოსარჩელე გარკვეული თანხის გადახდას მოითხოვს მოპასუხისაგან, ან **ნივთის ღირებულებით**, როცა მოსარჩელე თავისი სარჩელით ნივთის გადაცემას ან მიწოდებას მოითხოვს.

2. ამ ზოგადი წესიდან დაშვებულია გარკვეული გამონაკლისები. მაგალითად, თუ აღძრულია სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ თვეში 20 ლარის ოდენობით, მაგრამ ეს 20 ლარი უნდა გადამრავლდეს 12 თვეზე და მივიღებთ 240 ლარს (წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობას). ამ 240 ლარიდან უნდა მოხდეს ბაჟის ოდენობის განსაზღვრა, ანალოგიური წესით ხდება სარჩელის ფასის განსაზღვრა ზოგიერთ სხვა შემთხვევაში (იხ. ამ მუხლის „ე" ქვეპუნქტი).

3. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სარჩელის საგნის ფასის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს მხოლოდ სადავო ქონება, ე.ი. დავის საგანი. მაგალითად, თუ სარჩელი აღძრულია ქონებიდან წილის გამოყოფის შესახებ უნდა განისაზღვროს ამ წილის ფასი და ამის მიხედვით

განისაზღვროს სახელმწიფო ბაჟის ოდენობა. ასევე, თუ სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი მოითხოვს მიკუთვნებული თანხის გაზრდას, სარჩელის ფასი იქნება იმ თანხის ოდენობა, რა ოდენობითაც ის მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხის გაზრდას. **მაგალითად,** თუ სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი 10,000 ლარის ოდენობით, ხოლო ნაწილობრივ უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე 20,000 ლარის ოდენობით, რაც მხარემ გაასაჩივრა, მაშინ სააპელაციო საჩივრის ფასი იქნება 20 000 ლარი.

3. დავა შეიძლება გამოიწვიოს 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ" ქვეპუნქტით განმტკიცებულმა დებულებამ, რომლის თანახმად დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4 000 ლარით, თუ ქონებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა.

საქმე ისაა, რომ დავის საგნის ფასის მითითება - მოსარჩელის მოვალეობაა. ეს მოვალეობა პირდაპირაა გათვალისწინებული 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტით, თუ მოსარჩელე არ შეავსებს ამ ხარვეზს მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ. (იხ. 178-ე და 185-ე მუხლების კომენტარი). მოსამართლეს მხოლოდ ერთი რამ შეუძლია: თუ მოსარჩელის მიერ მითითებული დავის საგნის ფასი არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ საბაზრო ღირებულებას, მაშინ ეს ფასი თვითონ მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, თუ საჭიროა, სპეციალისტის მონაწილეობით (იხ. მე-40 მუხლის კომენტარი). მაგრამ, თუ მოსამართლემ ვერ შეძლო დავის საგნის ფასის განსაზღვრა, მან უნდა იხელმძღვანელოს დავის საგნის იმ ფასით, რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე თავის სარჩელში.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2006 წლის 13 ივლისს შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შედეგად ამოღებულ იქნა 43-ე მუხლი, რომელიც არაქონებრივ დავებში სარჩელის (დავის საგნის) ფასის განსაზღვრის წესს ადგენდა. ამის ნაცვლად შემოღებულ

იქნა არაქონებრივ დავებში სახელმწიფო ბაჟის (და არა დავის საგნის) მტკიცედ განსაზღვრული ოდენობა (იხ. 39-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტი). ამიტომ, კოლიზია არაქონებრივ დავის საგნის ღირებულებასა და ქონებრივი დავის ღირებულებას შორის აღარ უნდა წარმოიშვას

.

მუხლი 42. დავის საგნის ფასის წინასწარ განსაზღვრა

თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

– სარჩელის აღძვრის დროს ყოველთვის არ არის შესაძლებელი დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, ამიტომ კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას წინასწარ, დაახლოებით მაინც განისაზღვროს ბაჟის ოდენობა (და არა საგნის ღირებულება), ხოლო შემდეგ კი შეიძლება მოხდეს დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრა **სარჩელის ფასი საბოლოოდ**.

– მოსარჩელეს შეუძლია, მას შემდეგ რაც მან აღძრა სარჩელი, გაადიდოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა ან შეცვალოს სარჩელის საგანი (83-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სასარჩელო მოთხოვნის გადიდების შემთხვევაში შესაბამისად უნდა მოხდეს დამატებითი გადახდევინება, ხოლო თუ სარჩელის საგნის შეცვლა იწვევს დავის საგნის გადიდებას, ამ შემთხვევაშიც უნდა მოხდეს დამატებითი გადახდევინება. მაგრამ თუ მოხდა სასარჩელო მოთხოვნის შემცირება ან თუ სარჩელის საგნის შეცვლამ გამოიწვია ასეთი შემცირება, მაშინ შესაბამისად უნდა მოხდეს ბაჟის შემცირებაც, ე. ი. ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება. დამატებითი გადახ-

დევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება შეიძლება მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილებით.

მუხლი 43. ამოღებულია

მუხლი 44. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია:

ა) მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები;

ბ) თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები;

გ) ადგილობრივ დათვალიერებაზე გაწეული ხარჯები;

დ) მოპასუხის მოძებნის ხარჯები;

ე) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ვ) ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები.

ზ) სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები

1. 44-ე მუხლი შეიცავს საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების ამომწურავ ჩამონათვალს. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები სახელმწიფო ბაჟთან ერთად შეადგენს მათ ერთობლიობაში სასამართლო ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯები არის სასამართლოს გარეშე ხარჯები (37-ე მუხლის მე-3 ნაწ.)

2. ხარჯები, რომლებიც უნდა მიეცეთ მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს გათვალისწინებულია 45-ე მუხლით.

რაც შეეხება ადგილზე დათვალიერებას, სასამართლომ უნდა განსაზღვროს ამ ხარჯების ოდენობა და დააკისროს მისი გადახდა ერთ-ერთ ან ორივე მხარეს, იმისდა მიხედვით

ერთ-ერთი მხარის თუ სასამართლოს ინიციატივით წარმოებს დათვალიერება (იხ. 126-ე მუხლის კომენტარი).

3. მოპასუხის ძებნის გამოცხადებას ითვალისწინებს 356[6]-ე მუხლის პირველი ნაწილი (იხ. ამ მუხლის კომენტარი). გარდა ამისა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლი ითვალისწინებს მოვალის ძებნას საქმეებზე ალიმენტის გადახდევინების შესახებ, სხეულის დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია ან როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას. ასეთ შემთხვევებში მოსამართლეს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნის შესახებ.

4. გადაწყვეტილებათა აღსრულებაც დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, ეს ხარჯები გათვალისწინებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 39-ე მუხლით, რომლის თანახმად აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება: 1. იმ პირებისათვის ასანაზღაურებელი თანხები, რომელთა მოწვევაც აუცილებელი იყო კარების ან საცავის გახსნისათვის; 2. ნივთების შესანახად გადასახდელი თანხები; 3. ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა საჯარო ვაჭრობის გამოცხადებისას; 4. ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა მოვალის დაკავებით; 5. აუქციონის ჩატარების ხარჯები.

მოპასუხის მოძებნისა და გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება წარმოებს ამ კოდექსის 51-ე მუხლით, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლით დადგენილი წესით (იხ. 51-ე მუხლის კომენტარი).

5. საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები, რასაც ითვალისწინებს 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

6. სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებათა კატეგორიას მიეკუთვნებიან **კერძო სპეციალური** საექსპერტო დაწესებულებები და **სახელმწიფო სპეციალური** საექსპერტო დაწესებულებები. ამ დაწესებულებათა

ექსპერტების მიერ გაწეული შრომისათვის და სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესს განსაზღვრავს 45-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 45. მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნისათვის გადასახდელი თანხები

1. მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, თარჯიმნებს აუნაზღაურდებათ სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და მიეცემათ დღიური თანხა. ამასთან, კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებები (დამოუკიდებელი ექსპერტები), სპეციალისტები, თარჯიმნები იღებენ გასამრჯელოს დადებული შეთანხმების საფუძველზე სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დრო, რომელიც მათ უნდა მოახმარონ სასამართლოს დავალების შესრულებას, მასალები, რომლებიც საჭირო იქნება ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულებისათვის და სხვა.

2. სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის სასამართლო-საექპერტო მომსახურების (სპეციალისტის, თარჯიმნის) ანაზღაურებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო (თანამდებობის პირი), საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებისა და ტარიფების შესაბამისად, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნული მომსახურების გაწევა წარმოებს სახელმწიფო ან სხვა სახსრებიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში.

3. მუშაკებს, რომლებიც მოწმეებად არიან

დაბარებულნი სასამართლოში, სამუშაო ადგილზე უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი. მოწმეებს, რომლებიც არ არიან შრომით ურთიერთობაში, სამუშაოდან ან ჩვეულებრივი საქმიანობიდან მოცდენისათვის ეძლევათ გასამრჯელო ფაქტობრივად დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის გათვალისწინებით.

1. ამ მუხლში ჩამოთვლილ ყველა პირს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს, რომლებიც მოწოდებული არიან დაეხმარონ სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, ეკუთვნით ანაზღაურება მგზავრობისათვის, საცხოვრებელი სადგომის დაქირავებისათვის და კვებისათვის იმ ოდენობით, რაც განსაზღვრულია თითოეული ამ მიზნისათვის შესაბამისი ტარიფებით ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის, ხოლო თუ ასეთი ტარიფები არ არსებობს მაშინ ფაქტიურად გაწეული ხარჯებისათვის, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტებით სასამართლოსათვის წარდგენით.

2. გარდა ამ ხარჯებისა ექსპერტები, თარჯიმნები და სპეციალისტები დამატებით იღებენ გასამრჯელოს სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის. ამ გასამრჯელოს მიღების ოდენობა, საფუძველი და წესი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რომელი საექსპერტო დაწესებულების თანამშრომელია ექსპერტი (თარჯიმანი, სპეციალისტი).

3. თუ ექსპერტი (თარჯიმანი, სპეციალისტი) კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულების თანამშრომელია, რომელსაც ამ მუხლის მე-2 ნაწილი **„დამოუკიდებელ ექსპერტს"** უწოდებს, მაშინ ისინი გასამრჯელოს იღებენ იმ ოდენობით, რაც განსაზღვრულია მათსა და სასამართლოს შორის დადებული შეთანხმებით.

45-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს ზოგად კრიტერიუმს, რომლის საფუძველზე სასამართლომ უნდა განსაზღვროს იმ გასამრჯელოს ოდენობა, რომელიც უნდა მიეცეს ექსპერტს, სპეციალისტს, თარჯიმანს. ამ კრიტერიუმის თანახმად

ექსპერტის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დრო, რომელიც მან, აგრეთვე თარჯიმანმა, სპეციალისტმა უნდა მოახმარონ სასამართლოს დავალების შესრულებას, მასალები, რომლებიც საჭირო იქნება ამ მოვალეობის შესასრულებლად ან რომლებიც უნდა გაანალიზოს ექსპერტმა და ა.შ.

4. სხვა წესით იღებს გასამრჯელოს ექსპერტი, (თარჯიმანი, სპეციალისტი), რომელიც სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულების თანამშრომელია. ანაზღაურებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო ან ამ ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირი, მაგალითად, სასამართლო (მოსამართლე), პროკურატურა (პროკურორი, გამომძიებელი) და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა წარმოებს **საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებისა და ტარიფების შესაბამისად**.[10]

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულება საექსპერტო ან სხვაგვარ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო ან სხვა სახსრებიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, მაშინ ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო თავისუფლდება ყოველგვარი ანაზღაურებისაგან, რის შესახებაც უნდა ეცნობოს ამ ორგანოს (თანამდებობის პირს).

45-ე მუხლის მე-2 ნაწილის აზრისა და შინაარსის მიხედვით სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტი (თარჯიმანი, სპეციალისტი) გასამრჯელოს იღებს არა უშუალოდ ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოსაგან, არამედ სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებისაგან, რომელსაც შესაბამისი ტარიფების მიხედვით გადაერიცხება თანხა.

5. თუ მოწმეებად გამოსაძახებელი პირები უმუშევრები არიან, მათ გარდა ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული თანხებისა, ეძლევათ აგრეთვე გასამრჯელო ფაქტობრივად დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების იმ მინიმალური ოდენობის გათვალისწინებით, რაც დადგენილია ოფიციალურად მთელი ქვეყნის მასშტაბით.

[10] იხ. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 მარტის დადგენილება „სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“

მუხლი 46. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) მოსარჩელეები - ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე;

ბ) მოსარჩელეები —- დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;

გ) მოსარჩელეები -— დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;

დ) მხარეები - უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;

ე) მოსარჩელეები - არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;

ვ) მხარეები, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რაც დასტურდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობით;

ზ) მხარეები - წინასწარი (შუალედური) გადწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესებით გასაჩივრებისას.

2. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

1. იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, რომლებსაც შეიცავს 46-ე მუხლი, არ არის ამომწურავი, რადგან ამ მუხლის მიერ მეორე ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

2. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი აფართოვებს იმ პირთა წრეს, რომლებიც თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამიტომ, **მიზანშეწონილად ვცანით მთლიანად გადმოგვეტანა შესაბამისი ამონარიდი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან:**

1. საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) ფიზიკური პირები - სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან;

ბ) მოსარჩელენი - სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;

გ) მოსარჩელენი - სარჩელებზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ;

დ) ფიზიკური და იურიდიული პირები - მათზე იმ დოკუმენტების გაცემისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლისა და ალიმენტის საქმეებთან;

ე) მოსარჩელენი - სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით;

ვ) ფიზიკური პირები - სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ;

ზ) სოციალური დაზღვევის ორგანოები და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები რეგრესულ სარჩელებზე ზიანის მიმყენებლის მიერ დაზარალებულზე გაცემული დახმარების

ან პენსიის გადახდევინების შესახებ, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები - აგრეთვე სარჩელებზე არასწორად მიღებული დახმარებებისა და პენსიების შესახებ;

თ) მოსარჩელე - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე;

ი) მხარეები - საკასაციო საჩივრებზე განქორწინების საქმეების შეწყვეტის შესახებ;

კ) შინაგან საქმეთა ორგანოები, როგორც მოსარჩელეები - სარჩელებზე იმ პირების ძებნასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ ალიმენტებისა და სხვა მსგავსი თანხების გადახდას;

ლ) სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო, საბაჟო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები, როგორც მოსარჩელეები ან მოპასუხეები - სარჩელებზე გადასახადების, მოსაკრებლების, სახელმწიფო ბაჟისა და სხვა აუცილებელი გადასახდელების ბიუჯეტში გადახდისა და ბიუჯეტიდან თანხების დაბრუნების შესახებ, აგრეთვე განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე;

მ) ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები - ყველა სარჩელზე;

მ[1]) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რეგისტრაციის მოწმობით;

ნ) მოსარჩელენი - სარჩელებზე ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ;

ო) მხარეები - სარჩელებზე მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია ფიზიკური პირის უკანონოდ გასამართლების, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ დაპატიმრების ან დაპატიმრების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად;

პ) იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები - საჩივრებზე მათი იძულებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად არცნობის შესახებ;

ჟ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე - სარჩელებზე გარემოს გაჭუჭყიანებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ;

რ) ვეტერანები, რომლებმაც „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართეს სასამართლოს;

ს) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო - სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე;

ტ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე - სარჩელზე მიწის დაცვის წესების შეუსრულებლობისა და მიწის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ;

უ) დაწესებულებები (ორგანიზაციები) რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან - ყველა საქმეზე;

ფ) არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციები, როგორც მოსარჩელეები ან მოპასუხეები, საქართველოს კანონმდებლობით მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ქ) მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე - სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

ღ) საქართველოს ეროვნული ბანკი - ყველა სარჩელზე.

ყ) ლიკვიდაციაში მყოფი კომერციული ბანკები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები-საკრედიტო კავშირები - კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირებისათვის დაუფარავი სესხების, სესხების

პროცენტებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების დაბრუნებაზე აღძრულ ყველა სარჩელზე;

შ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია - „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ჩ) მოსარჩელე - უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ აღძრულ სარჩელებზე;

ც) მოსარჩელე - თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე;

ძ) საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე - სარჩელზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების თაობაზე;

წ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც მოსარჩელე - ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ წარდგინებაზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება".

3. 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" პუნქტის თანახმად სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან **მოსარჩელეები ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე**. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ მოსარჩელე მოითხოვს ალიმენტის მოცულობის შემცირებას, ასეთი მოსარჩელეები გადაიხდიან სახელმწიფო ბაჟს, მაგრამ თუ ისინი მოითხოვენ ალიმენტის გადახდევინებას ან მისი მოცულობის გაზრდას - ასეთი მოსარჩელენი გათავისუფლებულნი არიან ბაჟის გადახდისაგან. 46-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები დანაშაულით მიყენებული

ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე, მაგრამ აქ მხედველობაშია დანაშაული, რომელიც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლითაც მოპასუხე აღიარებულია დამნაშავედ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები, მაგრამ არა მოპასუხეები, რომლებიც აღიარებული არიან დამნაშავეებად. ანალოგიურად, 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის გამოყენებისას საჭიროა, რომ არსებობდეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს, კერძოდ სასამართლოს დადგენილება (განაჩენი, განჩინება), რომლითაც პირი ცნობილია უკანონოდ მსჯავრდებულად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემულად, ადმინისტრაციული სასჯელის უკანონოდ დადებულად და ა.შ.

4. 46-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე მოსარჩელეები ამ მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებში თავისუფლდებიან არა სასამართლო ხარჯების გადახდისაგან საერთოდ, არამედ სასამართლო **ხარჯების გადახდისაგან სახელმწიფო ბიუჯეტში**. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ არიან გათავისუფლებული ისეთი ხარჯებისაგან, რომლებიც მათ უნდა გადაიხადონ ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ.

მუხლი 47. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება სასამართლოს მიერ

1. სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

2. თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქ-

მის განხილვაში მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე ოდენობით. არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2000 ლარამდე ოდენობით.

3. ერთი მხარის გათავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

1. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს მხოლოდ ფიზიკური და არა იურიდიული პირი. იურიდიული პირის მიმართ დასაშვებია მხოლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება ან მათი ოდენობის შემცირება (48-49-ე მუხლები).

ფიზიკური პირის სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ორი გარემოება: **პირველი – მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობა**, რის გამოც მას არ აქვს საშუალება გადაიხადოს სასამართლო ხარჯები. ამ გარემოების დადასტურების ტვირთი ეკისრება თვითონ ამ ფიზიკურ პირს, და **მეორე**, გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ ისეთი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს. ამიტომ, მხარე არ შეიძლება გათავისუფლდეს ისეთი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რომლებიც ერთ-ერთი **მხარის სასარგებლოდ** უნდა გადაიხადოს.

2. სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევისათვის საჭიროა შემდეგი პირობების ერთდროულად არსებობა:

ა) საქმის მასალებიდან უნდა ჩანდეს, რომ მას არ შეუძლია მისი ქონებრივი მდგომარეობის გამო ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება.

ბ) განსახილველი საქმე იმდენად მნიშვნელოვანი და რთულია, რომ ძნელი იქნება დაიცვას მხარემ თავისი უფლებები.

3. თუ სასამართლომ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გაათავისუფლა ერთ-ერთი მხარე, ეს ცხადია არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ასეთი ხარჯების გადახდისაგან. მეორე მხარე ვალდებულია გაიღოს ყველა ის ხარჯი, რასაც ის გაიღებდა, რომ ერთ-ერთი მხარე არ ყოფილიყო გათავისუფლებული ხარჯების გადახდისაგან (იხ. 53-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 48. სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება და მათი ოდენობის შემცირება

სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუდოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს ამ ხარჯების ოდენობა.

– სასამართლო ხარჯების გადახდის გათავისუფლებასთან ერთად (47-ე მუხლი) სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს: ა) სასამართლო ხარჯების გადახდის გადადებას; და ბ) სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირებას. რა თქმა უნდა, სასამართლოს შეუძლია ერთდროულად შეამციროს სასამართლო ხარჯების ოდენობა და გადაუდოს მხარეს ამ შემცირებული ხარჯების გადახდა. თითოეული ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ერთი კრიტერიუმით – მხარეთა ქონებრივი მდგომარეობით.

– სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირება ყოველთვის არ არის დამოკიდებული სასამართლოს მიხედულებაზე. არსებობს კანონით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია შეამციროს სასამართლო ხარჯების ოდენობა (49-ე მუხლი).

– სასამართლო ხარჯების გადახდის გადადების, თუ მათი ოდენობის შემცირების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ საჩივრდება.

მუხლი 49. სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირება

1. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

2. თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

3. თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად.

4. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

1. მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარისთქმა, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა, მხარეთა მორიგება წარმოადგენს დისპოზიციურობის პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებას, ამ პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციას.

კანონმდებელი ყოველნაირად ცდილობს წაახალისოს მხარეთა ასეთი მოქმედება, რადგან იგი ხელს უწყობს პროცესის ეკონომიის პრინციპის მოთხოვნათა განხორციელებას, საქმის გადაწყვეტის დაჩქარებას, პროცესის ხარჯების შემცირებას და ა.შ.

სწორედ აღნიშნული მოსაზრებითაა განპირობებული ამ მუხლის პირველი ნაწილით დამკვიდრებული დებულება, რომლის თანახმად სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

ნახევრდება, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე მოპასუხე ცნობს სარჩელს, ან მხარეები მორიგდებიან.

მაგრამ რომელი მხარე იხდის იმ განახევრებულ სახელმწიფო ბაჟს?

ეს საკითხი მოწესრიგებულია 54-ე მუხლით, რომლის თანახმად თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე ბაჟის ნახევარს გადაიხდის თვით ეს მოსარჩელე, ხოლო, თუ მოპასუხემ ცნო სარჩელი ბაჟის ამ ნახევარს მოპასუხე გადაიხდის.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მორიგდებიან ბაჟის ნახევრის გადახდა განაწილდება ორივე მხარეს შორის, მაგრამ თუ მხარეებმა თვითონ გაითვალისწინეს ბაჟის გადახდის განაწილების წესი, სასამართლო ამ საკითხს გადაწყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად (54-ე მუხლის მე-2 ნაწ.)

2. მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, თუ სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება განხორციელდა სასამართლოს **მთავარ სხდომამდე**.

3. არ არის გამორიცხული, რომ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხოს. ასეთ შემთხვევაში ბაჟის ოდენობა განისაზღვრება დავის საგნის იმ ნაწილის ფასის მიხედვით, რომელზეც უარს არ ამბობს მოსარჩელე, ან არ ცნობს მოპასუხე.

5. მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე მხარეთა მორიგების შესახებ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (იხ. 272-ე მუხლის კომენტარი), რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ამ განჩინებაში უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ბაჟის განახევრების, თუ მისგან მთლიანად გათავისუფლების შესახებ, იმის მიხედვით, **თუ რომელ ეტაპზე თქვა მოსარჩელემ უარი სარჩელზე ან რომელ ეტაპზე მორიგდნენ მხარეები.**

მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფლების შესახებ (იხ. 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის კომენტარი).

6) სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება დასაშვებია სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებშიც. მაგრამ სახელმწიფო ბაჟის განახევრება ან მისი გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება შეიძლება შეეხოს მხოლოდ სააპელაციო საჩივრისათვის ან საკასაციო საჩივრისათვის შეტანილ სახელმწიფო ბაჟს. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, რომელიც შეტანილია პირველი ინსტანციით საქმის განხილვისათვის უცვლელი რჩება.

მუხლი 50. ადგილზე დათვალიერებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება

თუ ადგილზე დათვალიერება ხდება ამ სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებს გარეთ, სასამართლოს ან მოსამართლეს, რომელიც ასეთ დათვალიერებას აწარმოებს, აუნაზღაურდება მგზავრობასთან, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე მიეცემა დღიური თანხა.

– 50-ე მუხლი ითვალისწინებს ადგილზე დათვალიერებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურების დასაშვებობას, თუ ასეთი დათვალიერება ხდება „სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებს გარეთ.“ აქ იგულისხმება ისეთი ვითარება, როდესაც ტერიტორიული განსჯადობის გარეთა ფარგლები, სადაც უნდა მოხდეს ადგილზე დათვალიერება, იმდენად დაშორებულია დათვალიერების ჩამტარებელი სასამართლოს განსჯადობის ტერიტორიიდან, რომ საჭირო ხდება დამატებითი ხარჯების გაღება მგზავრობისათვის, ბინის დაქირავებისათვის და კვებისათვის.

– ადგილზე დათვალიერებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის წესი ჩამოყალიბებულია 126-ე მუხლში.

მგზავრობისათვის, ბინის დაქირავებისა და კვებისათვის ანაზღაურების ოდენობა უნდა განისაზღვროს საქართველოს ტერიტორიაზე სამივლინებო ხარჯებისათვის დად-

გენილი ტარიფების მიხედვით, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით.

მუხლი 51. მოპასუხისა და მოვალის მოძებნა

მოპასუხის მოძებნა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით, წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და გადახდება, შესაბამისად, მოპასუხეს — სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ხოლო მოვალეს — გადაწყვეტილების აღსრულების დროს. მოვალეს გადახდება აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მოპასუხის ძებნის გამოცხადება გათვალისწინებულია 356[6] მუხლით, რომლის თანახმად რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის, მათი ოჯახის წევრისა და მათთან დაკავშირებულ პირთა მიმართ შესაძლებელია გამოცხადდეს ძებნა.

რაც შეეხება მოვალის ძებნას – ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. ამ კანონის 30-ე მუხლის თანახმად, საქმეებზე ალიმენტის გადახდევინების, სხეულის დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია, ან როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნის შესახებ.

ამრიგად, მოვალის ძებნის შესახებ განჩინება გამოაქვს მოსამართლეს (სასამართლოს) აღმასრულებლის ან კრედიტორის შუამდგომლობის (განცხადების) საფუძველზე.

– ძებნა წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, მაგრამ ძებნისათვის გაწეული ხარჯები, მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი განყოფილების ანგარიში (განცხადება) მოვალის ძებ-

ნაზე გაწეული ხარჯების შესახებ, დაეკისრება მოვალეს გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

ძებნასთან დაკავშირებული ხარჯების მოვალისათვის დაკისრების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. სასამართლო ხარჯების გამო გამოტანილ ყოველგვარ განჩინებაზე, მათ შორის განჩინებაზე მოვალისათვის ძებნის ხარჯების დაკისრების გამო შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (56-ე მუხლი).

მუხლი 52. მხარის მიერ სასამართლო ხარჯების წინასწარი შეტანა

სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

– საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების სახეებს განსაზღვრავს 44-ე მუხლი, ხოლო სახელმწიფო ბაჟის ოდენობას – 39-ე მუხლი.

ისეთ სასამართლო ხარჯებს, როგორიცაა მოწმეებისათვის, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები, აგრეთვე ადგილზე დათვალიერების ხარჯებს წინასწარ იხდის მხარე, რომელმაც შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს. თუ ასეთი შუამდგომლობით ორივე მხარემ მიმართა ან თუ ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ხარჯებს ორივე მხარე იხდის თანაბარწილად.

გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს მოპასუხის და მოვალის მოძებნის ხარჯები, რომელიც მხარეს შეაქვს მას შემდეგ, როცა ძებნა ჩატარდა და განისაზღვრა დანახარჯების ოდენობა, რაც დაიხარჯა ამ მიზნით.

– როგორც სახელმწიფო ბაჟის, ისე სხვა სახის სასამარ-

თლო ხარჯების წინასწარ შეტანისაგან მხარე თავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონის თანახმად ან სასამართლოს მიერ გათავისუფლებულია ასეთი ხარჯების გადახდისაგან (46-47-ე მუხლები), ან თუ მხარეს სასამართლომ გადაუდო ხარჯების გადახდა (48-ე მუხლი).

მუხლი 53. სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

1. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო - მოპასუხეს — სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

2. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

3. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

4. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართ-

ლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

1. 53-ე მუხლის პირველი ნაწილი კიდევ ერთხელ აზუსტებს წესს, რომლის თანახმად ესა თუ ის მხარე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ სასამართლო ხარჯებიდან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი. მაგრამ მხარე არ შეიძლება გათავისუფლდეს ხარჯებისაგან, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი. ამრიგად, თუ მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟი და სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, მაშინ ამ ხარჯების გადახდა იმ ოდენობით, რაც მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟის სახით (აგრეთვე სხვა ხარჯები), დაეკისრება მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თავისთავად ცხადია, რომ მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილება, ერთი მხარის მიერ გაწეული ხარჯების მეორე მხარეზე გადაკისრება უნდა მოხდეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც დააკმაყოფილა ან რომელზეც უარი უთხრა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით.

53-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო აბზაცი განსაზღვრავს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, როცა გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მხარის სასარგებლოდ, რომელმაც ასეთი ხარჯები გაწია. ამ შემთხვევაშაც მოქმედებს წესი, რომლის თანახმად, თუ სარჩელი მთლიანად კი არა, ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯები დაეკისრება მეორე მხარეს იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

კანონი განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის

დახმარებისათვის გაწეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება გადაეკისროს მეორე მხარეს: დავის საგნის ღირებულების 4% (47 მუხლის მე-2 ნაწილი). ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს თვითონ შეუძლია თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს.

წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრის ასეთი წესი ქმნის ამ ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც საბოლოო ანგარიშში იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯების ანაზღაურება უნდა გადაეკისროს.

2. სასამართლო ხარჯების განაწილების იგივე წესები გამოიყენება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას. მაშინ მას ევალება თვითონვე შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. მხედველობაშია არა მარტო სააპელაციო (საკასაციო) საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ ხარჯები, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომ ინსტანციებში საქმეთა განხილვისას.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად, მაშინ სასამართლო, რომელსაც საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა, ხელახლა გაანაწილებს სასამართლო ხარჯებს, იმის შესაბამისად, თუ როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს საქმის ხელახლა განხილვის შედეგად. ხელახლა გადანაწილება მოიცავს სასამართლო ხარჯებს მთლიანად, რაც გაწეულია სარჩელის აღძვრიდან საქმის ხელახლა განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მუხლი 54. სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გადასახდელი ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისა და მორიგებისას

1. თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას.

2. თუ მხარეებმა მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების განაწილების წესი, სასამართლო ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად.

1. სარჩელზე უარის თქმა შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ყველა შემთხვევაში ასეთი უარის შედეგად მოპასუხეს არ ეკისრება იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მოსარჩელემ გასწია. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ესაა მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ. მაგრამ აქ აუცილებელია ერთი პირობა – მოსარჩელის თხოვნა, რომ ეს ხარჯები და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების ანაზღაურება დაეკისროს მოპასუხეს. **თუ ასეთი თხოვნა არ არსებობს, სასამართლო თავისი ინიციატივით ამას ვერ გააკეთებს**.

2. მხარეთა მორიგების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ერთმანეთში შეთანხმდნენ სასამართლო ხარჯების განაწილე-

ბის წესზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის. თუ მხარეები არ შეთანხმებულან, მაშინ სასამართლომ თვითონ თავისი ინიციატივით უნდა გაანაწილოს მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული 49-ე მუხლის დანაწესი (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– 54-ე მუხლში ლაპარაკია ადვოკატის დახმარების გამო გაწეულ ხარჯებზე, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ადვოკატი, არამედ სხვა წარმომადგენლებიც, რომლებიც მინდობილობის საფუძველზე ფასიან დახმარებას უწევენ მხარეს.

3. სარჩელზე უარის თქმისა თუ მხარეთა მორიგების გამო, სასამართლოს გამოაქვს განჩინება (272-ე და 273-ე მუხლები), რომელშიც უნდა ჩაიწეროს, თუ რომელ მხარეს რა ხარჯები და რა ოდენობით უნდა დაეკისროს.

არ არის გამორიცხული, რომ მხარემ მიმართოს სასამართლოს ხარჯების განაწილების შესახებ მას შემდეგ, როცა სასამართლომ უკვე გამოიტანა განჩინება, რომელშიც არაფერია ნათქვამი ხარჯების განაწილების თაობაზე. მაშინ სხვა გზა არ არის, სასამართლომ 261-ე მუხლის ანალოგიით უნდა გამოიტანოს **დამატებითი განჩინება** და განსაზღვროს თუ რომელმა მხარემ რა ხარჯები უნდა გასწიოს.

მუხლი 55. სახელმწიფოსათვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება

1. სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

2. სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართ-

ლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზეც მას უარი ეთქვა.

3. თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

1. 55-ე მუხლის პირველ ნაწილში კანონმდებელი გულისხმობს ორი სახის ხარჯებს: **პირველი** – ესაა სასამართლოს მიერ უშუალოდ გაწეული ხარჯი, რაც დაკავშირებულია საქმის განხილვასთან და რაც გაიღო სასამართლომ იმის გამო, რომ მხარე, რომელსაც იგი უნდა გაეღო, გათავისუფლებული იყო ასეთი ხარჯებისაგან და **მეორე** – სახელმწიფო ბაჟი, რომლის გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე. ამ ხარჯების გადახდა დაეკისრება მოპასუხეს მხოლოდ მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

2. 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც გამონაკლისი საერთო წესიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები მოსარჩელეს გადახდება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არაა გათავისუფლებული ხარჯების გადახდისაგან.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან ორივე მხარის გათავისუფლების შემთხვევაში ამ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მუხლი 56. ამოღებულია

თ ა ვ ი VI

საპროცესო უზრუნველყოფა

მუხლი 57. უზრუნველყოფის გარანტია

1. თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრა იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მან ასეთი უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის გზით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.

2. სასამართლომ შეიძლება შეღავათიანი პირობებით დაუშვას უზრუნველყოფის სხვა საშუალება, კერძოდ, რომელიმე საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული თავდებობა.

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპზე. ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა ორივე ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს. მაგალითად, მოსარჩელის ინტერესების გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია მიიღოს განჩინება სარჩელის და მათ შორის, ჯერ კიდევ არაღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (სსკ-ის 191-ე და 192-ე მუხლები), აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ (სსკ-ის 271-ე მუხლი). სსკ-ის 199-ე მუხლი ითვალისწინებს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მხარემ განიცადა უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებით.

– ამავე დროს, 57-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს და მხარეს, რომელმაც ასეთი უზრუნველყოფა მოითხოვა, თავის მხრივ, შეიძლება დაეკისროს იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ. უზრუნველყოფის საპროცესო საშუალებად მიჩნეულია ფულადი ან ფასიანი ქაღალდების დადება, რაც უნდა განხორციელდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შ ეტანით.

2. 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირი, რომლის თხოვნითაც შესრულდა ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფა, გადაწყვეტილების აღსრულების გადადება და ა. შ., შეიძლება გაათავისუფლოს სასამართლომ ფულადი თანხების თუ ფასიანი ქაღალდების დადების მოვალეობისაგან, თუ მის მიერ წარმოდგენილი იქნება უზრუნველყოფის სხვა საშუალება. სსკ-ის 57-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია ასეთ **„სხვა საშუალებაზე“**, კერძოდ, რომელიმე საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემულ თავდებობაზე, მაგრამ სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოფის გარანტიად გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საშუალებებიც. აქ ერთი რამაა მისაღები მხედველობაში – უზრუნველყოფის რა საშუალებაც არ უნდა გამოიყენოს სასამართლომ, მან ეს უნდა გააფორმოს კანონით გათვალისწინებული წესით. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის თანახმად, თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება.

– შეუძლია თუ არა სასამართლოს **თავისი ინიციატივით** (მხარის შუამდგომლობის გარეშე) განახორციელოს უზრუნველყოფის გარანტია?

57-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად მიუთითებს, რომ მხარე, რომელიც **შუამდგომლობს** სასამართლოს წინაშე ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულების თაობაზე, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს შეიძლება მიადგეს

ზიანი, – არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ ასეთი მოთხოვნით. მან იმავდროულად **უნდა შესთავაზოს სასამართლოს გარანტია**, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება განიცადოს ამ საპროცესო მოქმედების შესრულებით, ვთქვათ – სარჩელის უზრუნველყოფით.

ამრიგად, აქ სასამართლოს ინიციატივის საკითხი არ დგას. მხარე, რომელიც მოითხოვს მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფას, **ვალდებულია მიუთითოს თუ რას სთავაზობს იგი სასამართლოს** და ცხადია – მოწინააღმდეგე მხარეს იმ ზარალის უზრუნველსაყოფად, რომელიც ამ მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება განიცადოს.

რა თქმა უნდა, **თუ მხარე ამ მოვალეობას არ ასრულებს** – სასამართლომ უნდა შეახსენოს მას შეასრულოს ეს მოვალეობა, მაგრამ თუ მხარე ამას არ აკეთებს, სასამართლომ **არ უნდა დააკმაყოფილოს** მისი თხოვნა საპროცესო მოქმედების შესრულებაზე.

საპროცესო მოქმედების შესრულებაზე შუამდგომლობის აღმძვრელი მხარის ასეთი **მოვალეობა მოიხსნება** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები თვითონ „შეთანხმდნენ სხვა რამეზე“.

მუხლი 58. უზრუნველყოფის საფუძვლის მოხსნა

თუ მოიხსნება საფუძველი, რომლის გამოც განხორციელდა უზრუნველყოფა, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა ასეთი უზრუნველყოფა, ვალდებულია დააბრუნოს უზრუნველყოფის გარანტია.

– უზრუნველყოფის საფუძვლის მოხსნა გულისხმობს იმ გარემოებების აღმოფხვრას, რის გამოც სასამართლომ მიიღო განჩინება უზრუნველყოფის შესახებ. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველია ამ სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების **აღსრულების გართულება** ან ასეთი აღსრულების **შეუძლებლობა** (191-ე მუხ-

ლი). აქედან გამომდინარე, თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფა, ან კიდევ, თუ მიღებულ იქნა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება, რომელიც უკვე აღსრულდა, მაშინ მოიხსნება კიდეც უზრუნველყოფის გარანტიის აუცილებლობა (საფუძველი). ასევე, თუ მხარემ მოითხოვა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გადადება (შეჩერება), რის გამოც მეორე მხარემ მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების გადადებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისათვის უზრუნველყოფის გარანტია და ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა სასამართლომ, მაშინ თუ გადაწყვეტილების აღსრულების გადადება გაუქმდება, მოიხსნება კიდეც უზრუნველყოფის გარანტიის საფუძველი. იგივე ითქმის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას ამ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მისი აღსრულების შებრუნების უზრუნველსაყოფად მიღებულ გარანტიაზე (268-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

– ყველა შემთხვევაში, როდესაც მოიხსნება საფუძველი, რის გამოც განხორციელდა უზრუნველყოფა, მხარემ, თუ მას ჰქონდა გადაცემული უზრუნველყოფის გარანტია (მაგალითად, რაიმე ნივთი), ან სასამართლომ, თუ ასეთი გარანტია იმყოფებოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე - უნდა დააბრუნოს იგი.

უზრუნველყოფის გარანტიის დაბრუნება შეიძლება განხორციელდეს როგორც მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ისე სასამართლოს ინიციატივით, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება.

თ ა ვ ი VII

საპროცესო ვადები

მუხლი 59. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

1. საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში.

2. თუ საპროცესო ვადა კანონით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

3. სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

1. საპროცესო ვადები ორი სახისაა: კანონისმიერი ვადები და სასამართლო ვადები.

ა) **კანონისმიერი ვადები** – ვადები, რომლებიც კანონითაა დადგენილი. ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო მოქმედება ამ კანონით დადგენილ ვადაში უნდა შესრულდეს. მაგალითად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი

თვე (369-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი ერთ თვეში უნდა იქნეს შეტანილი.

ბ) **სასამართლოსმიერი ვადები** – ესაა ვადები, რომლებიც სასამართლოს მიერაა განსაზღვრული. სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვადა არაა დადგენილი კანონით. მაგალითად, თუ სარჩელი ხარვეზიანია, სასამართლო მისცემს ვადას მოსარჩელეს ამ ხარვეზის შესავსებად (185-ე მუხლი). ცხადია, რომ ამ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

ვადის განსაზღვრისას სასამართლომ თვითონ უნდა გაიანგარიშოს თუ რამდენი დრო დასჭირდება საპროცესო მოქმედების შესრულებას და ამის მიხედვით დანიშნოს ვადა.

2. 59-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვის ვადებს. სამოქალაქო საქმეთა განხილვის ვადა ამ სასამართლოებში არის 2 თვე. მხოლოდ განსაკუთრებით რთულ საქმეებზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 5 თვემდე.

კონკრეტული საქმის განხილვის ორთვიანი ვადის გაგრძელების საკითხს წყვეტს თვითონ ამ საქმის განმხილველი სასამართლო (მოსამართლე), რომელსაც ამის შესახებ გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რაში გამოიხატება განსახილველი საქმის **განსაკუთრებული სირთულე** და რა დროით გაგრძელდა მისი განხილვა. ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

– ასეთი განჩინება მოსამართლეს გამოაქვს **საქმის მომზადების სტადიაზე** და არა მას შემდეგ, როცა გავიდა სარჩელის წარმოებაში მიღებიდან ორი ან ხუთი თვე, როგორც ამას ზოგჯერ პრაქტიკაში აქვს ადგილი ე.ი. როცა უკვე გადის ან გავიდა საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადები.

– საქმის სირთულე შეიძლება გამოწვეული იყოს იმით,

რომ მასში მონაწილეობენ ან მონაწილეობა უნდა მიიღონ თანამოსარჩელეებმა, თანამოპასუხეებმა, მესამე პირებმა დამოუკიდებელი მოთხოვნით ან მის გარეშე, შემოტანილია შეგებებული სარჩელი და ა. შ. არ არის გამორიცხული, რომ

საქმეში არ იყოს მონაწილე პირთა სიმრავლე, მაგრამ იგი რთულია ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით (მაგალითად, მისაღებია დოკუმენტები უცხო ქვეყნიდან, დასაკითხია მოწმე, რომელიც სხვა ქალაქში ან სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, სამართლებრივი თვალსაზრისით გასაანალიზებელია კანონის თუ სამართლის ანალოგიის გამოყენების საკითხი და ა. შ.).

59-ე მუხლის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ დაუშვებელია განსაკუთრებით რთული საქმეების კატეგორიას მივაკუთვნოთ საქმეები მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაგვერღვეს საქმეთა განხილვის ვადები.

3. 59-ე მუხლის მესამე ნაწილი შეიცავს იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს, რომლებიც განხილულ უნდა იქნენ არაუგვიანეს 1 თვისა. ეს არის კანონის კატეგორიული მოთხოვნა და ამ ვადების დარღვევა დაუშვებელია.

მუხლი 60. საპროცესო ვადის გამოთვლა

1. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში.

2. წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

1. საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა შეიძლება განისაზღვროს:

ა) ზუსტი კალენდარული თარიღით. მაგალითად, თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გადაუდოს მხარეს სასამართლო ხარჯების გადახდა (48-ე მუხლი), მაშინ სასამართლომ თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს ზუსტი კალენ-

დარული თარიღი (მაგ., 2004 წლის 5 სექტემბრამდე), როდემდეც გადაედო ამ ხარჯების გადახდა.

ბ) იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც უნდა დადგეს. მაგალითად, თუ საქმის წარმოება შეჩერებულია იმის გამო, რომ ჯერ უნდა გადაწყდეს სხვა საქმე, რომელიც სხვა სასამართლოში განიხილება, მაშინ ამ საქმის წარმოება შეიძლება განახლდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა კანონიერ ძალაში შევა სხვა სასამართლოს გადაწყვეტილება (279-ე და 281-ე მუხლები).

გ) დროის მონაკვეთით. მაგალითად, განცხადების შეტანა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ (426-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

2. ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის ზუსტად განსაზღვრას, თუ საიდან იწყება საპროცესო ვადის დენა. მაგალითად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა არის 12 დღე. მაგრამ საიდან დაიწყება ამ 12 დღიანი ვადის გამოთვლა?

ამ 12 დღიანი ვადის დასაწყისია განჩინების გადაცემის მომენტი, ხოლო თუ ამ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, მაშინ ვადის დასაწყისია მისი გამოცხადების მომენტი (416-ე მუხლი). ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის 12 დღიანი ვადის გამოთვლა უნდა დაიწყოს შესაბამისად განჩინების გადაცემის მეორე (შემდგომი) დღიდან ან ამ განჩინების გამოცხადების მეორე დღიდან. ე. ი. თუ განჩინება გადაეცა მხარეს 10 ნოემბერს, ამ განჩინების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყება 11 ნოემბრიდან და დამთავრდება 22 ნოემბერს. ამ წესით უნდა მოხდეს ვადების გამოთვლა, როცა ვადები განისაზღვრება წლებით, თვეებით, ან დღეებით.

მუხლი 61. საპროცესო ვადის დამთავრება

1. წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

2. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

3. საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

1. 61-ე მუხლი განსაზღვრავს წლებითა და თვეებით გამოსათვლელი **ვადის დამთავრების** ერთიან წესს. ამ წესის თანახმად, საპროცესო ვადა მთავრდება წლის ან თვის ბოლო დღეს. მაგალითად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ (426-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

2. საპროცესო ვადის დენა განუწყვეტლივ მიმდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ არასამუშაო დღეებისა თუ დღესასწაულების გამოკლება არ ხდება. გარდა ამისა, თუ ვადა იწყება არასამუშაო დღეს, ვადის დენაც ამ დღიდან იწყება, მაგრამ თუ ვადა გადის არასამუშაო დღეს, მაშინ ვადის დამთვარების დღედ ითვლება ამ არასამუშაო თუ სადღესასწაულო დღის შემდგომი მომდევნო სამუშაო დღე.

3. ვადის უკანასკნელი დღე გასულად ითვლება ამ ბოლო დღის 24-საათის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საპროცესო მოქმედება შესრულდა საპროცესო ვადის უკანასკნელი დღის 24 საათამდე, საპროცესო მოქმედება ვადაში შესრულებულად ითვლება. მაგალითად, სააპელაციო საჩივარი ჩაბარდა ფოსტას ვადის უკანასკნელი დღის 24 საათზე. საჩივარი ითვლება ვადაში შეტანილად.

მუხლი 62. საპროცესო ვადის შეჩერება

ყველა დაუმთავრებელი საპროცესო ვადა შეჩერდება საქმის წარმოების შეჩერებით. ვადების შეჩერება დაიწყება იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან საპროცესო ვადის დენა განახლდება.

– საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, 279-ე და 280-ე მუხლები ითვალისწინებენ საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლებს.

– თუ სასამართლომ გამოიტანა განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, ამ მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლით, მაშინ შეჩერდება დაუმთავრებელი საპროცესო ვადის დენაც, მაგრამ ამ ვადის დენა შეჩერდება არა იმ დღიდან, როცა სასამართლომ გამოიტანა განჩინება, არამედ იმ დღიდან, **როცა წარმოიშვა წარმოების შეჩერების საფუძველი.**

– როდის განახლდება საპროცესო ვადის დენა?

საპროცესო ვადის დენა კვლავ განახლდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღმოიფხვრება გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას. მაგალითად, სასამართლომ შეაჩერა საქმის წარმოება იმის გამო, რომ მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში. როგორც კი ეს მხარე დაბრუნდება მივლინებიდან, საპროცესო ვადის დენა დაიწყება, ოღონდ ამისათვის სასამართლომ უნ-

და მიიღოს განჩინება შეჩერებული საქმის წარმოების განახლების შესახებ. სწორედ ამ **განჩინების მიღებიდან განახლდება საპროცესო ვადის დენაც**.

– ამრიგად, საპროცესო **ვადის დენა შეჩერდება** იმ დროიდან, როცა წარმოიშვა საქმის წარმოების **შეჩერების საფუძველი**, და არა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლოს განჩინების მიღებიდან, ხოლო საპროცესო ვადის დენა განახლდება არა იმ დროიდან, როცა წარმოიშვა წარმოების განახლების საფუძველი, არამედ იმ დროიდან, როცა სასამართლომ მიიღო განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

მუხლი 63. საპროცესო ვადის გასვლის შედეგები

საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

– ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის ვადები დადგენილია არამარტო მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსთვისაც. ვადები შეიძლება განსაზღვროს სასამართლომ საქმეში მონაწილე სხვა პირებისათვის, მაგალითად, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებების წარმოდგენისათვის იმ პირის მიერ, ვისთანაც ისინი ინახება.

იმის მიხედვით, თუ ვინ გაუშვა საპროცესო ვადა, ამ ვადის გაშვების შედეგებიც სხვადასხვანაირია. მაგალითად, თუ სასამართლომ გაუშვა სამოქალაქო საქმის განხილვის ვადა, იგი მაინც ვალდებულია განიხილოს ეს საქმე, თუ პირმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ წარმოადგინა წერილობითი თუ ნივთიერი მასალები, რომლებიც მასთან ინახება, იგი მაინც ვალდებულია ეს გააკეთოს და ა. შ.

– მაგრამ, თუ მხარემ კანონით ან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში **არ შეასრულა საპროცესო მოქმედება**,

მაშინ იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების უფლებას. მაგალითად, თუ მხარემ კანონით დადგენილ ვადაში არ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება, იგი კარგავს ამ უფლებას და გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

– საპროცესო ვადების გაგრძელება (სსკ 64-ე მუხლი) ან აღდგენა (სსკ 65-ე მუხლი) დასაშვებია, ოღონდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

– 63-ე მუხლი შეიცავს ერთ მეტად მნიშვნელოვან დებულებას, რომლის თანახმად საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება. კანონის ეს დანაწესი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ხელს უწყობს მხარეებში თუ საქმეში მონაწილე სხვა პირებში კანონისადმი და სასამართლოსადმი პატივისცემის განწყობის ჩამოყალიბებას, მათში დისციპლინისა და ორგანიზებულობის აღზრდას.

მუხლი 64. საპროცესო ვადის გაგრძელება

სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

– 64-ე მუხლს მხედველობაში აქვს იმ სამოქალაქო საპროცესო ვადის გაგრძელების შესაძლებლობა, რომელიც სასამართლოს მიერაა დანიშნული. კანონისმიერი საპროცესო ვადების აღდგენას აწესრიგებს სსკ 65-ე მუხლი.

– სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გაგრძელება დასაშვებია როგორც დაინტერესებული მხარის თხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც. მხარის შუამდგომლობა, საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს, კერძოდ, მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც საპროცესო მოქმედების შესრულება ვერ ხერხდება დანიშნულ ვადაში.

– სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გაგრძელების დროს არ უნდა გამოვიყენოთ კანონისმიერი ვადის აღდგე-

ნისათვის დადგენილი წესი (სსკ 66-ე მუხლი), როგორც ამას ზოგჯერ აქვს ადგილი სასამართლო პრაქტიკაში.[11]

– სასამართლოს მიერ დანიშნული საპროცესო ვადის გაგრძელების ან ასეთ გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. თუ ასეთი განჩინება არ არსებობს, ვადა არ შეიძლება ჩაითვალოს გაგრძელებულად. საპროცესო ვადის გაგრძელებისა თუ ასეთის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მუხლი 65. საპროცესო ვადის აღდგენა

საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძლება აღადგინოს სასამართლომ, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიო მიზეზით მოხდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

– საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული ვადების მიმართ სსკ იყენებს ტერმინს „ვადის გაგრძელება“, ხოლო კანონისმიერი საპროცესო ვადების მიმართ – ტერმინს „ვადის აღდგენა“. მართალია, ვადის გაგრძელების თუ ვადის აღდგენის შემთხვევაში ერთსა და იგივე შედეგს ვაღწევთ, კერძოდ, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა გადაიწევა უფრო შორს, მაგრამ ასეთ ტერმინოლოგიურ განსხვავებას აქვს გარკვეული საფუძველი: სასამართლო ვერ შეცვლის ან ვერ გააგრძელებს კანონისმიერ ვადებს, მას შეუძლია მხოლოდ აღადგინოს ეს ვადა (66-ე მუხლი).

– კანონისმიერი საპროცესო ვადის აღდგენა სასამართლოს ინიციატივით დაუშვებელია. კანონისმიერი საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოს შეიძლება მი-

[11] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, №2, 2003, გვ. 273-274..

მართონ მხარეებმა (66-ე და 67-ე მუხლები). უარი კანონისმიერი საპროცესო ვადის აღდგენაზე შეიძლება გაასაჩივრონ მხარეებმა (68-ე მუხლი).

– კანონისმიერი ვადის აღდგენა დაუშვებელია, თუ კანონი თვითონ კრძალავს ამას (მაგალითად, სსკ 369-ე, 397-ე და 416-ე მუხლები), მაგრამ, თუ ეს აკრძალული არაა სასამართლოს შეუძლია აღადგინოს ვადა, თუ ამ ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა (იხ. 215-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 66. განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ

1. განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შეიტანება იმ სასამართლოში, რომელშიც უნდა შესრულებულიყო საპროცესო მოქმედება. სასამართლო დააკმაყოფილებს ამ განცხადებას, თუ ცნობს, რომ საპროცესო ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

მხარე, რომელიც მოითხოვს კანონისმიერი საპროცესო ვადის აღდგენას, ვალდებულია მიუთითოს და დაადასტუროს გარემოებები, რომელთა მიზეზით ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება. მიზეზი, რის გამოც მხარემ დროულად ვერ შეასრულა ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინება, ავადმყოფობა, შეტყობინების დაგვიანებით მიღება და ა.შ. (იხ. 67-ე და 215-ე მუხლების კომენტარი)

კანონისმიერი ვადის აღდგენის შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ახალ ვადას საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის.

მუხლი 67. საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების ფორმა და შინაარსი

განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოს წარედგინება წერილობით. მასში მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საპროცესო მოქმედების ვადაზე შეუსრულებლობა, აგრეთვე მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

– განსხვავებით სასამართლოსმიერი საპროცესო ვადების გაგრძელებისა, კანონისმიერი საპროცესო ვადების აღდგენის საკითხის განხილვა-გადაწყვეტა საკმაოდ დეტალურად წესრიგდება კანონით. ამ წესის დაცვა სავალდებულოა. გასათვალისწინებელია ის, რომ მხარის წერილობით განცხადებაში მითითებული უნდა იყოს არამარტო იმ მიზეზებზე, რომლებმაც განაპირობეს საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა კანონით გათვალისწინებულ ვადებში, არამედ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ მიზეზებს. მაგალითად, თუ მხარე მიუთითებს ისეთ მიზეზზე, როგორიცაა ავადმყოფობა ან მივლინება, მან უნდა წარმოადგინოს ამის დასადასტურებლად შესაბამისი ცნობები. საპატიო მიზეზის დამტკიცების ტვირთი (მოვალეობა) მთლიანად ეკისრება განმცხადებელს, ე. ი. პირს, ვინც მოითხოვს ვადის აღდგენას. საკითხს იმის შესახებ, ჩაითვალოს თუ არა განმცხადებლის მიერ დადასტურებული მიზეზი საპატიოდ, დამოკიდებულია მოსამართლის მიხედულებაზე.

მუხლი 68. საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვა

1. განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს სასამართლო მხარეთათვის შეუტყობინებლად.

2. გადაცილებული საპროცესო ვადის აღდგე-

ნაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. 68-ე მუხლის პირველი ნაწილი უშვებს ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვის შესაძლებლობას მხარეთათვის შეუტყობინებლად, მაგრამ არ კრძალავს, რომ ამ განცხადების განხილვა მოხდეს მხარეთა შეტყობინებით, თუ ეს სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია.

2. გადაცილებული საპროცესო ვადის აღდგენისა თუ ასეთის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. **კერძო საჩივრის შეტანა** შეიძლება მხოლოდ სასამართლოს იმ განჩინებაზე, რომლითაც **უარი ეთქვა განმცხადებელს** საპროცესო ვადის აღდგენაზე.

მუხლი 69. საპროცესო ვადის აღგენასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდევინება

საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება. გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა.

– 69-ე მუხლი ნათლად და კატეგორიულად მიუთითებს, რომ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან, გაიღებს განმცხადებელი, ე. ი. მხარე, რომელმაც კანონით ან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ვერ შეასრულა ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. ამ ხარჯების გადახდის გადაკისრება მოწინააღმდეგე მხარეზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა ამ მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა. ამ მიზეზის დამტკიცების ტვირთი სწორედ განმცხადებელს, ე. ი. იმ მხარეს ეკისრება, რომელიც საპროცესო ვადის აღდგენას მოითხოვს.

თ ა ვ ი VIII
სასამართლო უეტყოგინება და დაბარება

მუხლი 70. სასამართლო უწყება

1. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს.

2. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ~ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა.

3. მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონოგრამით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა საშუალებით. ტექნიკური საშუალებებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხები. ტექნიკური საშუალებებით დაბარების შესახებ დგება აქტი. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლო უწყება არის ის ძირითადი საპროცესო დოკუმენტი, რომლის

მეშვეობითაც მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს ეცნობებათ არამარტო სასამართლო სხდომის, არამედ, აგრეთვე, ცალკეული საპროცესო მოქმედების (მაგალითად, ადგილზე დათვალიერების, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის და სხვა) შესრულების დრო და ადგილი.უწყება ეგზავნება როგორც მხარეს, ისე მის წარმომადგენელს.

70-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს აგრეთვე თუ **როდის ჩაითვლება უწყება ჩაბარებულად მხარეებისათვის და მათი წარმომადგენლებისათვის.**

ამ მუხლის აზრისა და შინაარსის მიხედვით მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება:

ა) თუ უწყება გაეგზავნა, როგორც მხარეს, ასევე წარმომადგენელს და ეს უწყება ჩაბარდა ერთ-ერთ მათგანს, ე.ი. ან მხარეს უშუალოდ, ან მის წარმომადგენელს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ უწყება ჩაბარდა მხარეს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს მის წარმომადგენელს, ხოლო თუ უწყება ჩაბარდა წარმომადგენელს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს თავის წარმომდგენს (მხარეს).

აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლის მიმართ 70-ე მუხლი აკეთებს სპეციალურ დათქმას, რომლის თანახმად **„წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს",** თუმცა ასეთი ვალდებულება ნაგულისხმევია მხარის მიმართაც.

ბ) მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება აგრეთვე, თუ იგი ჩაბარდა იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია 74-ე მუხლში, კერძოდ, მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

სასამართლო უწყების ჩაბარების ასეთი წესის შემოღებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს სასარჩელო განცხადებაში, აგრეთვე მოპასუხის მიერ სარჩელზე გამოგზავნილ წერილობით პასუხში (შესაგებელში) ზუსტი მითითება წარმომადგენლის ვინაობისა და მისი მისამართის

შესახებ, თუ რა თქმა უნდა, მხარეს ყავს წარმომადგენელი (იხ. 178-ე და 201-ე მუხლების კომენტარი).

- მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს სასამართლო **აცნობებს (ატყობინებს)** სასამართლო სხდომის ან საპროცესო მოქმედების შესრულების დროს და ადგილს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ არიან იურიდიულად ვალდებულნი გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე, ან მონაწილეობა მიიღონ საპროცესო მოქმედების შესრულებაში. ამასთან ერთად, მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საპროცესო მოქმედების შესრულებას ან საქმის განხილვას, თუ მათ უწყება გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით. მხარეებისა და მათი წარმომადგენლების გამოუცხადებლობას შეიძლება მოყვეს მხოლოდ არახელსაყრელი შედეგები მათთვის. სწორედ ამიტომ, გამოუცხადებლობის შედეგებზე მითითებული უნდა იყოს უწყებაში (72-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტი).

- რაც შეეხება მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, თარჯიმნებს, მათ სასამართლო უბრალოდ კი არ აცნობებს (ატყობინებს), არამედ **იბარებს,** რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ, ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (იხ. 145-ე და 168-ე მუხლების კომენტარი).

- რაც შეეხება **სასამართლოს, მას ევალება** შეატყობინოს მხარეს და მის წარმომადგენელს სასამართლოს სხდომის თუ ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. ასეთი შეტყობინების გარეშე სასამართლო ვერ ჩაატარებს და გამოიტანს გადაწყვეტილებას - ეს იქნება ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური (უდავო) საფუძველი.

2. 70-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ განსაზღვრავს დროის იმ ზუსტ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს უნდა ჩაბარდეთ უწყება. ამ საკითხის გადაწყვეტა მინდობილი აქვს სასამართლოს, ოღონდ მან უნდა იხელმძღვანელოს იმ ზოგადი კრიტერიუმით, რომელიც აქაა ჩამოყალიბებული, კერძოდ: **უწყება მათ უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ საკმაო**

დრო ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის და საქმისათვის მოსამზადებლად. როგორც ჩანს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საიდან უნდა ჩამოვიდეს მხარე, მისი წარმომადგენელი, რამდენი დრო დასჭირდება იმისათვის, რომ მოემზადოს სასამართლო სხდომაზე გამოსასვლელად, საქმეში დამატებითი მასალების გასაცნობად, რომლებსაც იგი ადრე, ანუ ამ საქმის მომზადების სტადიაზე არ გაცნობია და ა.შ.

3. 70-ე მუხლის მე-3 ნაწილი უშვებს მხარეთა, მათ წარმომადგენელთა, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების, თარჯიმნების შეტყობინებასა და გამოძახებას ტელეფონოგრამით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა საშუალებით, რომლებიც თავისი შინაარსით უნდა პასუხობდნენ 72-ე მუხლის მოთხოვნებს.

ტექნიკური საშუალებით გაგზვნილი სასამართლო უწყების ჩაბარება უნდა დადასტურდეს 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლის კომენტარი)[12].

მუხლი 71. სასამართლო უწყების ჩაბარება

სასამართლო უწყება დასაბარებელ პირს უნდა ჩაბარდეს მხარის მიერ მითითებული მისამართის მიხედვით. თუ მოქალაქე არ ცხოვრობს ამ მისამართზე, უწყება გაიგზავნება ალტერნატიული მისამართის ან მისი სამუშაო ადგილის მიხედვით.

– მოპასუხის დასახელება, აგრეთვე მისი მისამართის მითითება არის მოსარჩელის მოვალეობა (178-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). მხარეებს ევალებათ აგრეთვე მიუთითონ იმ პირთა მისამართები, რომელთა გამოძახებაზე შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე (მაგალითად, სსკ 140-ე მუხლი). ასეთი მისამართის მითითების გარეშე სასამართლო უმოძრაოდ დატოვებს სარჩელს (სსკ 185-ე მუხლი) ან კი-

[12] „უწყების ჩაბარებულად ჩათვლის საფუძვლებისა და დროის შესახებ“ - იხ. ამ თავის დანართი, გვ. 139.

დევ, არ დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას მოწმისა თუ სხვა პირის გამოძახების შესახებ.

– თუ აღმოჩნდება, რომ სასამართლოში დასაბარებელი პირი არ ცხოვრობს ფაქტობრივად მითითებულ მისამართზე, გამოსავალი ერთია, უწყება გაიგზავნება ალტერნატიული მისამართის ან მისი სამუშაო ადგილის მიხედვით. ასეთი მისამართისა თუ სამუშაო ადგილის შესახებაც სასამართლოს უნდა აცნობოს მხარემ.

– ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა „ფაქტობრივად არცხოვრება“ და „საერთოდ არცხოვრება“. ფაქტობრივად არცხოვრებაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ პირი ცხოვრობდა აქ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ფაქტობრივად აქ აღარ ცხოვრობს. მაგრამ თუ პირი არასდროს აქ არ ცხოვრობდა, ითვლება, რომ არც ფაქტობრივად და არც იურიდიულად იგი მხარის მიერ მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს და არც უცხოვრია. ასეთ შემთხვევებში, როდესაც ეს ეხება მოპასუხეს, საკითხი შემდეგნაირად შეიძლება გადაწყდეს: მოპასუხის დასახელების და მისი მისამართის მითითების მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს (178-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). სარჩელის მიღების დროს სასამართლო არ ამოწმებს, მართლა ცხოვრობს თუ არა მოპასუხე ამ სარჩელში მითითებულ მისამართზე. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ შეიძლება გაირკვეს, რომ სინამდვილეში მოპასუხე არამარტო არ ცხოვრობს ფაქტობრივად, არამედ არც არასდროს არ უცხოვრია ამ მისამართზე. ამასთან ერთად, არც მისი ამჟამინდელი თუ ყოფილი სამუშაო ადგილია ცნობილი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა უწყების გაგზავნა. სხვა სიტყვებით, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია სასამართლო უგზავნის შესაბამის ორგანოს ანდა გამოიტანს განჩინებას საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით (78-ე მუხლის პირველი ნაწილი). უფრო მარტივად გადაწყდება ეს საკითხი მოწმეების, მხარის მიერ დასახელებული ექსპერტების, სპეციალისტების მიმართ. თუ მხარეების მიერ მითითებულ მისამართზე ეს პირები არ ცხოვრობენ – ისინი ვერ იქნებიან გამოძახებული და დაკითხული, ხოლო საქმე გადაწყდება მოპოვებული და ამ საქმეში არსებული მასალებით.

მუხლი 72. სასამართლო უწყების შინაარსი

1. უწყება უნდა შეიცავდეს:

ა) სასამართლოს სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს;

ბ) მითითებას დროისა და ადგილის შესახებ, ხოლო თუ უწყება ეგზავნება წარმომადგენელს, - აგრეთვე მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც არის;

გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს, და მითითებას დავის საგნის შესახებ;

დ) სასამართლოში დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული, და მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ;

ე) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება;

ვ) მითითებას იმის თაობაზე, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს;

ზ) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

2. სასამართლო უწყებასთან ერთად მოსამართლე მოპასუხეს უგზავნის სასარჩელო განცხადებასა და თანდართული საბუთების ასლებს. უწყებასთან ერთად მოსამართლე მოსარჩელეს უგზავნის მოპასუხის წერილობითი განცხადების ასლს, თუ ასეთი შემოვიდა სასამართლოში უწყების გაგზავნის დროისათვის. სასამართლოში შემოსული ყველა წერილობითი დოკუმენტის ასლი შეიძლება გაეგზავნოს მხარეებს მას შემდეგაც, როცა უწყება უკვე გაგზავნილია.

1. მხარეებს – მოსარჩელესა და მოპასუხეს უწყება უნდა გაეგზავნოთ დადგენილი ფორმის მიხედვით, რომელიც ზუსტად ასახავს 72-ე მუხლის შინაარსს. ასევე, დადგენილი ფორმის მიხედვით უნდა გაეგზავნოთ უწყება პროცესის სხვა მონაწილეებს, როგორიცაა მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და ა. შ. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სიზუსტეს ანუ უწყებაში იმის გარკვევით მითითებას, თუ რა სახითაა (სტატუსითაა) დაბარებული სასამართლოში ადრესატი. ამიტომ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად სწორადაა შევსებული სასამართლო უწყების ფორმულარი სასამართლო შესაბამისი მოხელის მიერ (სხდომის მდივანი ან მოსამართლის თანაშემწე).

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადებას. სწორედ საქმის მომზადების მიზნით სასამართლომ ჯერ კიდევ მთვარი სხდომის დანიშვნამდე უნდა გაუგზავნოს მოპასუხეს სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები, ხოლო მოსარჩელეს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა თუ სხვა წერილობითი მასალების ასლები (201-ე და 202-ე მუხლები). მხოლოდ მას შემდეგ, როცა შეგროვილია ყველა წერილობითი მასალა, როცა წერილობითი შეჯიბრება დამთავრებულია, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მთავარი სხდომა, ანუ ზეპირი სხდომა, ზეპირი შეჯიბრება (207-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის დროისა და ადგილის შეტყობინების მიზნით უწყების გაგზავნისას აღარ იქნება იმის აუცილებლობა, მხარეებს გაეგზავნოთ წერილობითი მასალების ასლები. მათ შეიძლება გაეგზავნოთ უწყებასთან ერთად მხოლოდ იმ მასალის ასლები, რომლებიც ვერ იქნა გადაგზავნილი ადრე.

მუხლი 73. სასამართლო უწყების გაგზავნა

1. სასამართლო უწყება იგზავნება ფოსტით ან კურიერის მეშვეობით, აგრეთვე ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებ-

ული ტექნიკური საშუალებებით.

2. ტექნიკური საშუალებებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება:

ა) ტელეფონოგრამის შემთხვევაში - ტელეფონოგრამის გადაცემის შესახებ შედგენილი აქტით, რომელშიც მიეთითება ტელეფონოგრამის გადაცემის დაწყებისა და დასრულების დრო;

ბ) დეპეშის შემთხვევაში - დეპეშის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინებით;

გ) ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის შემთხვევაში - შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყება იგზავნება ასევე ფოსტით ან კურიერის მეშვეობით.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით დადასტურებისას სასამართლო უწყება ჩაბარებულად ითვლება.

5. ადრესატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს. ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას უწყების გადაცემის დრო აღინიშნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ აქტში.

6. მოსამართლეს შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას სასამართლო უწყება შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. პირი, რომელსაც მოსამართლემ დაავალა უწყების მიტანა, ვალდებულია სასამართლოს დაუბრუნოს მისი მეორე ეგზემპლარი უწყების მიღებაზე ადრესატის ხელმოწერით.

7. თუ მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს ამ კოდექსით დადგენილი წესით ვერ ეცნობათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების

დრო და ადგილი, მოსამართლეს შეუძლია აღნიშ-ნული პირებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება განჩინებით დაავალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგა-ნოს ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინ-ისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებს (უბნის ინსპექტორებს). ადგილო-ბრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო ანდა უბნის ინსპექტორები ვალდებუ-ლი არიან განჩინებით დადგენილ ვადაში უზრუნ-ველყონ მხარეებისათვის, მათი წარმომდგენ-ლებისათვის, აგრეთვე მოწმეებისათვის, ექსპერტებისათვის, სპეციალისტებისა და თარ-ჯიმნებისათვის სასამართლო უწყების ჩაბარე-ბა და მისი ჩაბარების, ჩაბარების შეუძლე-ბლობის მიზეზების ან ჩაბარებაზე უარის თქ-მის შესახებ აცნობონ მოსამართლეს.

8. ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მო-ქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწ-ყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგა-ნიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰ-ბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაცი-ის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგ-ზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც **უწყება გაიგზავნა ფოსტით ან კურიერის მეშვეობით,** უწყება ჩაბარებულად ითვლება თუ ამ **უწყების მეორე ეგზემპლარზე,** რომელზეც ხელს აწერს ადრესატი, აღნიშნულია მისი ჩაბარების დრო, იგი დაბრუნდა სასამართლოში და **ჩაკერებულია საქმეში.** უწყების მეორე ეგზემპლარს, კანონით გათვალისწინებულ

შემთხვევაში შეიძლება ხელს აწერდეს სხვა პირიც (იხ. 74-ე მუხლის კომენტარი). ასეთ შემთხვევაშიც უწყება ჩაბარებულად ითვლება.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც **უწყება გაიგზავნა ტექნიკური საშუალების გამოყენებით,** უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ არსებობს შესაბამისად **ტელეფონოგრამის გადაცემის შესახებ აქტი, დეპეშის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინება, ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით მიწოდებულის დადასტურება** (იხ. ამ მუხლის მე-4 ნაწილი).

ამასთან ერთად, არ შეიძლება მხედველობიდან გაუშვათ ამ მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას **უწყების გადაცემის დრო აღინიშნება** ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ აქტში, რომელსაც ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე, რომელმაც ეს აქტი უნდა გადასცეს მოსამართლეს (თანაშემწეს), რომელიც ამზადებს საქმეს და რომელმაც უნდა განიხილოს ეს საქმე.

როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება, როდესაც იგი **ჩაბარდება** უშუალოდ ადრესატს ან 74-ე მუხლში დასახელებულ პირს, ხოლო სხვა შემთხვევაში, კერძოდ ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას - **გადაცემის** დროის დადასტურებით.

ამ საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტამ პრაქტიკაში შეიძლება წარმოშვას პრობლემები, კერძოდ სასამართლოში გამოსაძახებელმა პირმა შეიძლება განაცხადოს, რომ მისთვის არ გადაუციათ არც ტელეფონოგრამა, არც დეპეშა და არც ფაქსით შეტყობინება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მხარეთა გამოძახება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე თვითონ აფიქსირებს, რომ მას გააჩნია საცხოვრებელ ბინაში ან სამუშაო ადგილზე დასახელებული ტექნიკური საშუალებები, უთითებს შესაბამის მისამართს და გამოხატავს მზადყოფნას ასეთი სახის ურთიერთობაზე. მიზანშეწონილი შეიძლება იყოს, რომ პრაქტიკამ შეიმუშაოს წესი, რომლის თანახმად დამოუკიდებლად იმისა, თუ რა საშუალებით გაიგზავნა უწყება (შეტყობინება), იგი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ

ჩაბარდა უშუალოდ ადრესატს ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. თუ უწყება იგზავნება მოქალაქის სამუშაო ადგილზე ან ეგზავნება ორგანიზაციას, იგი უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან კიდევ შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს (73-ე მუხლის მე-8 ნაწილი).

3. უწყების გაგზავნა შეიძლება მხარის მეშვეობითაც, თუ სასამართლოში გამოცხადებული მხარე თანახმაა მეორე მხარეს ან სასამართლოში გამოსაძახებელ ნებისმიერ პირს წაუღოს და ჩააბაროს უწყება. სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა გააფრთხილოს მხარე, რომ იგი ვალდებულია დააბრუნოს უწყების მეორე ეგზემპლარი ადრესატის ხელმოწერით, წინააღმდეგ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად არ ჩაითვლება.

4. 73-ე მუხლის მე-7 ნაწილი უშვებს შესაძლებლობას, რომ უწყების ჩაბარება სასამართლომ დაავალოს ადგილობრივ თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ანდა უბნის ინსპექტორს, ასეთი დავალება დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, თარჯიმნებს „ამ კოდექსით დადგენილი წესით ვერ ეცნობათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი".

აღნიშნული ორგანოებისათვის და შსს უბნის ინსპექტორებისათვის უწყების ჩაბარების დავალების მისაცემად სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

მუხლი 74. შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

1. თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი მოქალაქე ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას ამ კოდექსის 73-ე

მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. ჩაბარებად ჩაითვლება როგორც უწყების პირადად გადაცემა, ასევე უწყების მიმღების მიერ ადრესატისთვის უწყების შინაარსის ცნობება.

2. ადრესატის არყოფნის შემთხვევაში სასამართლო უწყების ჩამბარებელმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს, სად არის წასული ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაბრუნებას.

1. 74-ე მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს ადრესატის მოკლევადიან გასვლას საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილიდან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით. ასეთი მოკლევადიანი არყოფნის შემთხვევისთვისაა გათვალისწინებული 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უწყების ჩაბარების წესი. ამ წესის დაცვით ჩაბარებული უწყება ითვლება ჩაბარებულად, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ადრესატმა ვერ მიიღოს უწყება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ უწყების მიმღებ პირს გადაავიწყდა ან სხვა მიზეზით ვერ მოახერხა მისი გადაცემა ადრესატისათვის. ცხადია, რომ ადრესატმა უნდა დაადასტუროს სასამართლოს წინაშე, რომ მისთვის უწყება არ გადაუციათ.

2. 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადრესატი მართალია დროებით, მაგრამ წასულია იმ დასახლებული პუნქტიდან (ქალაქიდან, რაიონიდან, სოფლიდან), სადაც იგი მუდმივად ცხოვრობს ან მუშაობს. ასეთ შემთხვევაში უწყების მეორე (სასამართლოში დასაბრუნებელ) ეგზემპლარზე უნდა აღინიშნოს, სად არის წასული ადრესატი და როდის მოელიან მის დაბრუნებას..

– საკასაციო სასამართლომ სავსებით სამართლიანად მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ადრესატის დროე-

ბით წასვლა საცხოვრებელი ადგილიდან არ ნიშნავს მის მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას; ამიტომ, სასამართლო მოვალე იყო ადრესატისათვის უწყება გაეგზავნა არა სსკ 76-ე მუხლის, არამედ „ამავე კოდექსის 74-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რაც არ გააკეთა და რითაც დაირღვა მითითებული ნორმა. აღნიშნული დარღვევა კი, ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია“.[13]

მუხლი 75. უწყების მიღებაზე უარის თქმა

თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე.

– მართლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხარის და, მით უმეტეს, საქმეში მონაწილე ნებისმიერი სხვა პირის **ნება-სურვილზე**. ამიტომ, თუ ადრესატი მართალია იმყოფება ადგილზე, მაგრამ უარს ამბობს უწყების მიღებაზე, რაც უნდა აღინიშნოს ამ უწყების მეორე ეგზემპლარზე, ეს ვერ შეუშლის ხელს მართლმსაჯულების განხორციელებას, სასამართლო სხდომის ჩატარებას, ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას.

ასეთ შემთხვევაში უწყება **ჩაბარებულად ითვლება** აქედან გამომდინარე ყველა თავისი შედეგით. ეს შედეგები კი სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ ვინ არის ადრესატი: მხარე, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი თუ თარჯიმანი. მაგალითად, თუ მოპასუხემ უარი თქვა უწყების მიღებაზე და არც მთავარ სხდომაზე გამოცხადდა, მის მიმართ შეიძლება გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 230-ე მუხლი), თუ მოწმედ დაბარებულმა პირმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე და არც გამოცხადდა სასამართლო-

[13] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, №3, 2000, გვ. 102-103

ში, მას დაეკისრება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (სსკ 145-ე მუხლი) და ა.შ.

მუხლი 76. მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

– თუ მხარეებმა და მათმა წარმომდგენლებმა არ აცნობეს სასამართლოს თავიანთი მისამართის შეცვლისა და ახალი მისამართის შესახებ, ამას შეიძლება მოყვეს მათთვის არახელსაყრელი შედეგი. საქმე ისაა, რომ სასამართლო უწყებას გააგზავნის მისთვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და იგი **ჩაბარებულად ჩაითვლება**, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. რადგან უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება, სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე და გამოიტანოს იმ მხარისათვის არახელსაყრელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც არ გამოცხადდა. ის გარემოება, რომ მას უწყება არ ჩაბარებია, რადგან იგი გაიგზავნა ძველ მისამართზე, ხოლო მან კი შეიცვალა მისამართი, ვერ ჩაითვლება გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა განუხრელად იცავს ამ მუხლის დანაწესს.[14]

76-ე მუხლში ლაპარაკია მხარეებზე და მათ წარმომადგენლებზე, მაგრამ ანალოგიით ეს წესი შეიძლება გავავრცელოთ პროცესის სხვა მონაწილეებზეც, კერძოდ, მოწმეებზე. მხარე, რომლის შუამდგომლობითაც ისინი პროცესში მონაწილეობენ, ვალდებულია აცნობოს სასამართლოს მათ

[14] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000, №2, გვ. 244

მიერ მისამართის შეცვლის შესახებ (140-ე მუხლის მე-3 ნაწილი). წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაწყდება მათი ჩვენების (დასკვნის) გარეშე საქმეში არსებული მასალებით.

მუხლი 77. უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის

თუ საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაჰბარდება მას, რომელიც ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

– თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, რაც უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით (87-ე მუხლი). თუ თანამონაწილეებმა გამოიყენეს ეს უფლება და საქმის წარმოება დადგენილი წესით მიანდეს ერთ-ერთ თანამონაწილეს, მაშინ უწყება უნდა გაეგზავნოს მხოლოდ მას. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება ყველა თანამონაწილისათვის.

– საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის არ ართმევს უფლებას სხვა თანამონაწილეებს მიიღონ მონაწილეობა საქმის განხილვაში, მაგრამ საქმის განხილვისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ ამ სხვა თანამონაწილეებს უნდა აცნობოს იმ თანამონაწილემ, რომელსაც მიანდეს საქმის წარმოება.

– თუ „მინდობილმა“ თანამონაწილემ არ შეასრულა თავისი მოვალეობა და არ აცნობა სხვა თანამონაწილეებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისა და, მათ შორის, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ, ეს ვერ გახდება გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების საფუძველი, რადგან უწყების ჩაბარება „მინდობილი“ თანამონაწილისათვის **„ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის“**.

მუხლი 78. მოპასუხის ადგილსამყოფლის დაუდგენლობა

1. თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უწყებას აბარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ანდა გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

2. წერილობითი ფორმით შედგენილი საჯარო შეტყობინება უნდა გაიკრას სასამართლოს განცხადებების დაფაზე. იგი უნდა შეიცავდეს იმ დოკუმენტების ძირითად მონაცემებზე მითითებას, რომლებსაც უნდა გაეცნოს მოპასუხე.

3>. მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლოს განჩინების საფუძველზე თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით.

4. სასამართლო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოსთვის მისი გადაცემიდან ანდა პუბლიკაციიდან ერთი თვის ვადაში. ეს ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს არა უმეტეს ერთი თვის ვადით.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილის პრაქტიკული გამოყენების სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია რომელ ადგილობრივ თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს შეიძლება ჩაბარდეს უწყება ასეთი მოპასუხისათვის გადასაცემად. ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შემოღებულია ჩვენი პროცესისათვის სრულიად ახალი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი წესი „**საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით**".

2. საჯარო შეტყობინება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და გაიკრას სასამართლო განცხადებების დაფაზე.

წერილობით შედგენილ საჯარო შეტყობინებაში, გარდა 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით მითითებული მონაცემებისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხის წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი, როგორია სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი და იმის შესახებ, რომ ვერ მოხერხდა მოპასუხის ფაქტიური ადგილსამყოფელის დადგენა. აქვე უნდა მიეთითოს აგრეთვე იმის შესახებ, რომ თუ მოპასუხე არ გამოცხადდება განცხადებაში მითითებულ ვადაზე ან არ აცნობებს სასამართლოს თავის ადგილსამყოფელს, საქმე განხილული იქნება მის დაუსწრებლად.

3. სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობით შეიძლება დაადგინოს თავისი განჩინებით, რომ საჯარო შეტყობინება განახორციელოს პუბლიკაციის მეშვეობით. ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს მოსარჩელეს. გარდა ზემოთ მითითებული მონაცემებისა საჯარო პუბლიკაციაში მითითებული უნდა იყოს, რომ თუ მოპასუხე არ გამოცხადდება სასამართლოში და არ აცნობებს მას თავის ადგილსამყოფელს პუბლიკაციიდან ერთი თვის ვადაში, მის წინააღმდეგ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საჯარო პუბლიკაციებთან დაკავშირებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთი რომელიმე გაზეთის შერჩევა, რომელშიც გამოქვეყნდება საქმეთა განხილვასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც საჭიროდ მიაჩნია საქართველოს სასამართლოებს.

უწყების ჩაბარებულად ჩათვლის საფუძვლები და დრო

მხარებისათვის და საქმეში მონაწილე სხვა დაინტერესებული პირებისათვის უწყების ჩაბარებულად ჩათვლის მნიშვნელობის განსამარტავად საკმარისი იქნება მხოლოდ მის ერთ ასპექტზე მითითება: **სასამართლო ვერ განიხილავს საქმეს თუ მხარეს არ ჩაბარდა უწყება კანონით დადგენილი წესით, ხოლო თუ მაინც განიხილავს - ეს იქნება გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველი.**

უწყების გაგზავნა წარმოებს არამარტო ისეთი ტრადიციული საშუალებებით, როგორიცაა ფოსტა და კურიერი, არამედ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებითაც. ამიტომ, უწყების ჩაბარებულად ჩათვლის საფუძვლები და დრო (მომენტი) განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა საშუალებით გაიგზავნა ეს უწყება. ამას ისიც ემატება, რომ ეს განსხვავებულობა ჩამოყალიბებულია სხვადასხვა მუხლებში. ყოველივე ამის გამო, **უწყების ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩათვლის ზუსტად და შეუცდომლად განსაზღვრა დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან.**

ეს დანართი შედგენილია 73-ე, 74-ე და 75-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე და მისი მიზანია გაუადვილოს მოსამართლეებს ამ რთული და პრაქტიკული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის საკითხებში გარკვევა.

უწყება ჩაბარებულად ითვლება	დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა
1. თუ უწყება ჩაბარდა ერთ-ერთს: ან მხარეს ან მის წარ-მომადგენელს (მხარემ უნდა აცნობოს თავის წარმომად-გენელს, წარმომადგენელმა უნდა აცნობოს მხარეს).	**დასტურდება:** მხარის ან წარმომადგენლის ხელმოწე-რით უწყების მეორე ეგზემ-პლარზე რომელიც ჩაეკერება საქმეში (70-ე მუხლი).
2. თუ უწყება ჩაბარდა წარ-მომადგენელს (რომელიც ვა-ლდებულია ამის შესახებ აც-ნობოს მხარეს ან თავის წარ-მომდგენს) 70-ე მუხლის პირველი ნაწილი.	**დასტურდება:** წარმომად-გენლის ხელმოწერით უწყე-ბის მე-2 ეგზემპლარზე, რომელიც ჩაეკერება საქმეში (70-ე მუხლის პირველი ნაწილი)
3. თუ უწყება ჩაბარდა ადრე-სატის ოჯახის სრულ-წლოვან წევრს, როცა ადრე-სატი არ იმყოფება ადგილზე, 74-ე მუხლის პირველი ნაწილი.	**დასტურდება:** ოჯახის სრულ-წლოვანი წევრის ხელმოწერით უწყების მე-2 ეგზემპლარზე, რომელიც ჩაეკერება საქმეში. (74-ე მუხლის პირველი ნაწილი).

4. თუ უწყება (შეტყობინება) ტელეფონოგრამით გადაიცა, მისი გადაცემის დაწყებისა და დასრულების დროიდან.(73-ე მუხლის, მე-2 ნაწილის, „ა“ ქვეპუნქტი).	**დასტურდება**: ტელეფონოგრამის გადაცემის შესახებ შედგენილი აქტით, რომელშიც მიეთითება ტელეფონოგრამის გადაცემის დაწყებისა და დასრულების დრო (73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ეს აქტი ჩაეკერება საქმეში.
5. თუ დეპეშა ჩაბარდა ადრესატს ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს. (73-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ბ“ ქვეპუნქტი).	**დასტურდება:** დეპეშის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინებით (73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).
6. თუ უწყება (შეტყობინება) ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით გადაიცა. (73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).	**დასტურდება**: უწყების (შეტყობინების) ჩაბარების შესახებ ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით მოწოდებული ინფორმაციით, რაც ჩაეკერება საქმეში (73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).
7. თუ ერთ-ერთმა მხარემ, რომელმაც იკისრა მოვალეობა ჩააბაროს უწყება მეორე მხარეს, გადასცა ეს უწყება ამ მეორე მხარეს (73-ე მუხლის მე-6 ნაწილი).	**დასტურდება:** ამ უწყების მე-2 ეგზემპლარზე ადრესატის ხელმოწერით, რომელიც უნდა დაუბრუნდეს სასამართლოს და ჩაეკეროს საქმეში (73-ე მუხლის მე-6 ნაწილი).
8. თუ ფოსტით ან კურიერის მეშვეობით გაგზავნილი უწყება ჩაბარდა მოქალაქეს (ადრესატს) (73-ე მუხლის მე-8 ნაწილი).	**დასტურდება:** ადრესატის ხელმოწერით უწყების მე-2 ეგზემპლარზე, რომელიც ჩაეკერება საქმეში (73-ე მუხლის მე-8 ნაწილი).
9. თუ უწყება ჩაბარდა კანცელარიას, სხვა ასეთივე სტრუქტურულ ერთეულს ან ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომლებიც უწყებას ადრესატს გადასცემენ. (73-ე მუხლის მე-8 ნაწილი).	**დასტურდება:** ამ უწყების მე-2 ეგზემპლიარით, რომელსაც ხელს აწერს კანცელარიის ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურული ერთეულის ან კიდევ ამ ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, რომელიც ჩაეკერება საქმეში (73-ე მუხლის მე-8 ნაწილი).

10. თუ ადგილობრივი თვითმართველობის ან მმართველობის ორგანომ, ან კიდევ უბნის ინსპექტორებმა უწყება ჩააბარეს ადრესატს (73-ე მუხლის მე-7 ნაწილი).	**დასტურდება:** ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირის, ან კიდევ, უბნის ინსპექტორის მიერ ხელმოწერილი უწყების მე-2 ეგზემპლარით, რომელიც ჩაეკერება საქმეში (73-ე მუხლის მე-7 ნაწილი).
11. თუ ადრესატის არყოფნის შემთხვევაში უწყება ჩაბარდა ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას (74-ე მუხლის პირველი ნაწილი).	**დასტურდება**: უწყების მე-2 ეგზემპლარზე, უწყების მიმღების ხელმოწერითა და ვინაობის აღნიშვნით (74-ე მუხლის ნაწილი პირველი).
12. თუ პუბლიკაციიდან გავიდა ერთი თვე, როცა მოპასუხის ადგილსამყოფელი დაუდგენელია, (78-ე მუხლის მე-4 ნაწილი).	**დასტურდება:** შესაბამისი პუბლიკაციით, რომელიც ჩაეკერება საქმეში (78-ე მუხლის მე-4 ნაწილი).
13. თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე (75-ე მუხლი).	**დასტურდება:** უწყებაზე შესაბამისი აღნიშვნით, რომელიც უნდა დაბრუნდეს სასამართლოში და ჩაეკეროს საქმეში (75-ე მუხლი).
14. თუ უწყება ჩაბარდა ერთ-ერთ თანამონაწილეს, რომელსაც მინდოლბილი აქვს საქმის წარმოება, უწყება ჩაბარებულად ითვლება ყველა თანამონაწილისათვის (77-ე მუხლი).	**დასტურდება**: იმ უწყების მე-2 ეგზემპლარზე ხელმოწერით, რომელიც ჩაბარდა თანამონაწილეს (77-ე მუხლი).

კარი მეორე

მ ხ ა რ ე ე ბ ი

თ ა ვ ი IX

მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

მუხლი 79. მხარეები სამოქალაქო პროცესში

1. სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით. მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები.

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

1. 79-ე მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს როგორც განმცხადებლებს, რომლებსაც აქვთ იურიდიული ინტერესი დაადასტურონ სასამართლოს მეშვეობით რაიმე, მაგალითად, იურიდიული ფაქტი (სსკ 310-ე და 312-ე მუხლები), ისე მოდავე მხარეებს სასარჩელო წარმოების დროს. უდავო წარმოების დროს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, საქმის გამარტივებული წარმოების დროს, ყოველთვის გვყავს ერთი მხარე – განმცხადებელი, სასარჩელო წარმოების დროს გვყავს ორი, თავისი ინტერესებით ურთიერთდაპირისპირებული მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე.

მოსარჩელე არის პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი **თავისი დარღვეული** ან **სადავო** უფლების დასაცავად. აქედან გამომდინარე, მოსარჩელედ ვერ ჩაითვლება პირი, რო-

მელმაც აღძრა სარჩელი სხვა პირის დასაცავად. ამიტომ, მოსარჩელედ ვერ ჩაითვლება წარმომადგენელი, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით, სხვა პირთა უფლებების დასაცავად.

მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება. მოსარჩელემ უნდა დაასახელოს მოპასუხე – ეს **მისი მოვალეობაა** (სსკ 178-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი). სხვა საკითხია, მართლა უნდა აგოს თუ არა მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულმა პირმა პასუხი, ე. ი. მართლა არის თუ არა ეს პირი ის, ვინც დაარღვია მოსარჩელის უფლება. ეს გაირკვევა პროცესის ბოლოს – სასამართლოს გადაწყვეტილებით. მაგრამ თავდაპირველად მოსარჩელის მიერ მოპასუხის დასახელება არის საჭირო და აუცილებელი, რათა სასამართლომ მიიღოს და განიხილოს სარჩელი.

2. მხარეებად სასამართლოში – მოსარჩელედ და მოპასუხედ, შეიძლება გამოვიდნენ **ფიზიკური და იურიდიული პირები**. სწორედ ესენია სამართლის საერთოდ და კერძოდ, საპროცესო სამართლის სუბიექტები.

შეიძლება თუ არა მხარეებად (მოსარჩელედ და მოპასუხედ) მოგვევლინონ ორგანიზაციები, რომლებიც **არ არიან იურიდიული პირები**?

79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, შეიძლება გამოვიდნენ სამოქალაქო პროცესში მხარეებად, ოღონდ ერთი პირობით, თუ ამას ითვალისწინებს, უშვებს კანონი ამა თუ იმ კონკრეტული ორგანიზაციის მიმართ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი, მაგრამ იგი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სასამართლოში და სასამართლოსგარეშე ურთიერთობებში თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.

იგივე შეიძლება ითქვას „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მეორე ნაწილის შესახებ, რომლის თანახმად, „თუ რეგისტრაციამდე **საზოგადოების სახელით** რაიმე მოქმედება განხორციელდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერ-

სონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის. ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება **საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც**".

დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს იმ საწარმოებისა და საზოგადოებების მდგომარეობა, რომლებიც ადრე იყვნენ რეგისტრირებული, მაგრამ შემდგომ, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა გაევლოთ ხელახალი რეგისტრაცია, ხოლო თუ კანონით დათქმულ ვადაში ისინი არ გაივლიან რეგისტრაციას, მაშინ მათი რეგისტრაცია გაუქმებულად ითვლება. რეგისტრაციის გაუქმება კი ნიშნავს იმას, რომ ეს საწარმო (საზოგადოება) აღარაა იურიდიული პირი.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ საწარმოს (საზოგადოების) მიმართ არ შეიძლება აღიძრას სარჩელი ან ეს საწარმო თვითონ ვერ გამოვა მოსარჩელედ?

არა, არ ნიშნავს!

საქმე ისაა, რომ ასეთ საწარმოებს (საზოგადოებებს) არ შეიძლება არ ჰქონდეთ მრავალგვარი იურიდიული კავშირები სამართლის სხვა სუბიექტებთანაც. ამ კავშირურთიერთობების საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ხასიათის დავები, რომლებიც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ამიტომ ისინი შეიძლება მოგვევლინონ მხარეებად პროცესში, თუმცა აღარ შეიძლება ჩაითვალონ იურიდიულ პირებად, რადგან არ გაუვლიათ ხელახალი რეგისტრაცია. სხვა საკითხია, რომ ასეთი ორგანიზაციებისა და მათი წევრების პასუხისმგებლობა განსხვავდება იმ იურიდიული პირების პასუხისმგებლობისაგან, რომლებიც მხოლოდ თავისი ქონებით აგებენ პასუხს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი შეიძლება გამოვიდნენ მხარეებად პროცესში.

მუხლი 80. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა

1. საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო უფლებაუნარიანობა).

2. ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით.

3. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან.

1. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა – არის პირის (ფიზიკური და იურიდიული პირის) უნარი ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები.

2. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა დაკავშირებულია სამოქალაქო მატერიალურ უფლებაუნარიანობასთან, მაგრამ თავისი შინაარსითა და წარმოშობის მომენტით შეიძლება არ დაემთხვნენ ზოგჯერ ერთმანეთს, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, „მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე".

ამრიგად, მემკვიდრეობის მატერიალურ-სამართლებრივი უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები, რაც დაკავშირებულია მემკვიდრეობასთან, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ დაბადების მომენტიდან.

რამდენადაც ფიზიკური პირების საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და არც ამ უფლებაუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება, სასამართლოს არ სჭირდება იმის შემოწმება, აღჭურვილია თუ არა მხარე – ფიზიკური პირი საპროცესო უფლებაუნარიანობით.

3. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მათ საპროცესო უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას ერთმანეთისაგან არც კი ანსხვავებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი **წარმოიშობა და შეწყდება ერთდროულად** – რეგისტრაციის მომენტიდან და ამ რეგისტრაციის გაუქმების მომენტიდან.

ამიტომ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა, რაც იმავდროულად იურიდიული

პირის ქმედუნარიანობის შემოწმებასაც ნიშნავს. თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ იურიდიული პირი არაა რეგისტრირებული, სასამართლომ უარი უნდა უთხრას მას სარჩელის მიღებაზე (სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტი), გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა კანონი უშვებს არაიურიდიული პირის სამოქალაქო პროცესში მხარედ მონაწილეობის შესაძლებლობას (სსკ 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მუხლი 81. სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა

1. ყველა სრულწლოვანი ფიზიკური პირი და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (საპროცესო ქმედუნარიანობა).

2. ფიზიკურ პირთა სრული საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან (სრულწლოვანებიდან), ხოლო იურიდიული პირის ქმედუნარიანობა – მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

3. 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები, ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც.

4. თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, თვითონ, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები და ა.შ.,

მას უფლება აქვს სასამართლოში პირადად დაიცვას თავისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები, იყოს მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი. სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, საქმეში ჩააბას მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

5. მცირეწლოვანთა უფლებებს, აგრეთვე ქმედუუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები, მშვილებლები ან მეურვეები. კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია საქმეში ჩააბას მცირეწლოვანიც.

6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს არასრულწლოვნის უფლებების დაცვის მიზნით.

1. სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა – ესაა პირის (ფიზიკური და იურიდიული პირის) უნარი **თავისი მოქმედებით** განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს.

2. განსხვავებით ფიზიკურ პირთა საპროცესო უფლებაუნარიანობისაგან, მათი საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვანებიდან (18 წლის ასაკიდან), ხოლო იურიდიულ პირთა ქმედუნარიანობა – რეგისტრაციის მომენტიდან, ე. ი. იურიდიული პირის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის წარმოშობის მომენტი ემთხვევა ერთმანეთს.

უფრო ადრე ფიზიკური პირი შეიძლება გახდეს პროცესუალურად ქმედუნარიანი, თუ იგი იქორწინებს კანონით დადგენილი წესით 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

ამრიგად, სასამართლომ, **თუ არსებობს ეჭვის საფუძ-**

ველი, შეიძლება მოსთხოვოს ფიზიკურ პირს მისი ასაკის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა, ხოლო იურიდიულ პირს – მისი რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

3. არასრულწლოვნები (7-დან 18 წლამდე), აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებული მოქალაქეები საპროცესო ქმედუნარიანობის თვალსაზრისით გათანაბრებულები არიან: მათ უფლებებს იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები.

შეუძლია თუ არა არასრულწლოვანს პირადად დაიცვას სასამართლოში თავისი უფლება, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე? დიახ, შეუძლია, თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება თვითონ დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებანი, მინიჭებული აქვს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება და ა. შ. (სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი).

4. საპროცესო ქმედუნარიანობის თვალსაზრისით გათანაბრებულები არიან მცირეწლოვნები და ქმედუუნაროდ აღიარებული მოქალაქეები – მათ არ გააჩნიათ საპროცესო ქმედუნარიანობა. ამიტომ, მათ უფლებებს სასამართლოში მხოლოდ მათი კანონიერი წარმომადგენლები, ე. ი. **მშობლები, მშვილებლები, მეურვეები იცავენ**.

მაგრამ თუ მათ არ ჰყავთ კანონიერი წარმომადგენელი?

მაშინ სასამართლომ უნდა გამოიყენოს სსკ 82-ე მუხლი და დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

5. პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც სრულწლოვანი პირი (როგორც წესი, მოპასუხე) არაა სასამართლოს მიერ აღიარებული ქმედუუნაროდ (სსკ 322-ე მუხლი), მაგრამ აშკარაა, რომ **იგი ვერ უწევს ანგარიშს თავის მოქმედებას ფსიქიკური მდგომარეობის ან ჭკუასუსტობის გამო.** ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მოიწვიოს ამ პირის მშობელი, შვილი, მეუღლე და ჩართოს იგი საქმეში, როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო თუ მას არ ჰყავს ასეთი წარმომადგენელი – დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი (სსკ 82-ე მუხლი).

მუხლი 81[1]. არასრულწლოვანის უფლება დაცვაზე

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

– თუ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს მიმართავს არასრულწლოვანი, მათ შორის 14 წლის ასაკს მიღწეული, (იხ. 81-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ასეთ პირებს სასამართლო დაუნიშნავს საპროცესო წარმომადგენლებს თუ მათ არ ყავთ კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები, მშვილებლები, მზრუნველები იხ. 82-ე მუხლის კომენტარი). ყველა შემთხვევაში ეს მუხლი ითვალისწინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ჩაბმას საქმეში.

მუხლი 82. ქმედუუნარო მხარის საპროცესო წარმომადგენელი პროცესში (საპროცესო მზრუნველი)

1. თუ სარჩელი შეტანილია ქმედუუნარო მხარის წინააღმდეგ, რომელსაც არა ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლომ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე უნდა დანიშნოს საპროცესო წარმომადგენელი და განიხილოს საქმე, თუ მისი განუხილველობა ზიანით ემუქრება მოსარჩელეს.

2. თუ საქმის წარმოების დროს გაირკვევა,

რომ სარჩელი აღძრულია ქმედუუნარო მოსარჩელის მიერ, რომელსაც არა ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე შეიძლება მოსარჩელეს დაუნიშნონ საპროცესო წარმომადგენელი.

82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმისათვის, რომ სასამართლომ დაუნიშნოს ქმედუუნარო მხარეს საპროცესო წარმომადგენელი (საპროცესო მზრუნველი) და განიხილოს საქმე, საჭიროა **სამი პირობის ერთდროულად არსებობა**: პირველი – პირი უნდა იყოს **ქმედუუნარო**. ქმედუუნაროდ ითვლება პირი 7-დან 18 წლამდე (გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) ასაკის, აგრეთვე ქმედუუნაროდ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული სრულწლოვანი პირი. მეორე – **მოსარჩელის შუამდგომლობა მოპასუხისათვის** საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ და მესამე – ამ საქმის განუხილველობამ **შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსარჩელეს**.

თუ ყველა ეს პირობა არსებობს, სასამართლო დანიშნავს საპროცესო წარმომადგენელს, რათა დაცული იქნეს ქმედუუნარო მოპასუხის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

– ამასთან ერთად, პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საპროცესო წარმომადგენელი დაენიშნოს ისეთ პირს, რომელიც სრულწლოვანია, არაა აღიარებული სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, ე. ი. **იურიდიულად ქმედუნარიანია**, მაგრამ აშკარად ვერ უწევს ანგარიშს თავის მოქმედებას ფსიქიკური მდგომარეობის ან ჭკუასუსტობის გამო, ე. ი. **ფაქტობრივად ქმედუუნარაა**. ასეთ პირს შეიძლება დაენიშნოს საპროცესო წარმომადგენელი მისი მშობლის, სრულწლოვანი შვილის, მეუღლის სახით, ან თუ ასეთი არ ჰყავს, სხვა ისეთი პირის სახით, რომელსაც შეუძლია დაიცვას ამ ფაქტობრივად ქმედუუნარო პირის ინტერესები სასამართლოში.

– არასრულწლოვანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლე-

ბა დაენიშნოს საპროცესო წარმომადგენელი, როცა მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი.

1. მოპასუხისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელზეც **არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა**. თუ საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის პირობები არ არსებობს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას მის დანიშვნაზე უარის თქმისა და სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ 275-ე მუხლის ანალოგიით, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

2. თუ სარჩელი აღძრულია ქმედუუნარო მოსარჩელის მიერ, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ მას შეიძლება დაენიშნოს საპროცესო წარმომადგენელი.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება წამოიჭრას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც მოსარჩელე სრულწლოვანია, არაა აღიარებული სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, ე. ი. **იურიდიულად ქმედუნარიანია, მაგრამ ფაქტობრივად** აშკარად ვერ უწევს ანგარიშს თავის მოქმედებას ფსიქიკური მდგომარეობის გამო, ე. ი. **ფაქტობრივად ქმედუუნაროა**.

– ასეთ პირს შეიძლება დაენიშნოს საპროცესო წარმომადგენელი მისი მშობლის, სრულწლოვანი შვილის, მეუღლის სახით, ან თუ ასეთი არ ჰყავს, სხვა ნებისმიერი ისეთი პირის სახით, რომელსაც შეუძლია დაიცვას ამ ფაქტობრივად ქმედუუნარო პირის ინტერესები.

– საპროცესო წარმომადგენელს, ისე როგორც კანონიერ წარმომადგენელს, შეუძლია საქმე აწარმოოს სასამართლოში წარმომადგენლის (ადვოკატის) მეშვეობით.

– მოსარჩელისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. მოსარჩელისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ 275-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 83. მხარეთა საპროცესო უფლებები

1. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

2. მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, რის შესახებაც სასამართლო ვალდებულია აცნობოს მოპასუხეს.

3. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის.

4. სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და და-

მატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

1. 83-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის ფუნდამენტური პრინციპების – შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის კონკრეტულ გამოვლინებას. ცხადია, რომ სასამართლოებმა საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ მხარეთა აქ ჩამოთვლილი უფლებების დაცვას, იმას, რომ მხარეებმა შეძლონ ამ უფლებათა რეალიზაცია პროცესის ამა თუ იმ სტადიაზე.

2. 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს **დისპოზიციურობის პრინციპის** კონკრეტულ გამოვლინებას, რომლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა.

– **სარჩელის საფუძველი** ესაა იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, სარჩელის საფუძვლის შეცვლა ნიშნავს იმ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას, რომლებიც მითითებული იყო თავდაპირველად მოსარჩელის მიერ თავის სარჩელში. მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხის (დამქირავებლის) ბინიდან გამოსახლებას იმ საფუძვლით, რომ ბინა სჭირდებოდა მას თავისი ახლო ნათესავებისათვის. შემდგომ მოსარჩელემ შეცვალა სარჩელის საფუძველი და მოითხოვა გამოსახლება იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე უკვე სამ თვეზე მეტია არ იხდის ბინის ქირას.

– **სარჩელის საგანი** – ესაა მოსარჩლის მოთხოვნის შინაარსი, ის თუ რა მოქმედების შესრულებას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან (ბინის გათავისუფლებას, რაიმე ნივთის გადაცემას, ვალის დაბრუნებას, ზიანის ანაზღაურებას, ამა თუ იმ უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებას და ა. შ.).

– სარჩელის საგნის შეცვლამ, ისე როგორც სასარჩელო მოთხოვნის გადიდებამ, შეიძლება გამოიწვიოს **დავის საგ-**

ნის გაზრდა, რომელზეც დამოკიდებულია სახელმწიფო ბაჟის ოდენობა (39-ე მუხლი). სარჩელის საგნის შეცვლას ან მოთხოვნის გადიდებას კანონი არ უკავშირებს დავის საგნის ფასის გაზრდის გამო ბაჟის დამატებით **წინასწარ გადახდას**. მოსარჩელეს უნდა დაევალოს ბაჟის დამატებით გადახდა, მაგრამ გადაუხდელობა ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას. სასამართლო ხარჯების და მათ შორის დამატებით სახელმწიფო ბაჟის გადახდის მხარეთა შორის განაწილების საკითხი სასამართლომ უნდა განსაზღვროს თავის გადაწყვეტილებაში (249-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ამ გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება, თუ მოსარჩელე ამცირებს თავის სასარჩელო მოთხოვნას (42-ე მუხლი).

– მოპასუხე, რომელსაც ეგზავნება სარჩელის ასლი, ყოველთვის ემზადება ამ სარჩელისაგან თავდაცვისათვის. ამიტომ, მას უნდა **ეცნობოს დროულად** თუ მოსარჩელე ცვლის სარჩელის საფუძველს ან საგანს, რათა **მოპასუხემ შეძლოს მოემზადოს** ამ შეცვლილი სარჩელისაგან თავდაცვისათვის. კანონის ამ დანაწესის შეუსრულებლობა სასამართლოს მხრივ იქნებოდა მოპასუხის მნიშვნელოვანი საპროცესო უფლების დარღვევა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

3. 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, **თუ პროცესის რომელ სტადიაზე შეუძლია მოსარჩელეს სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა** – ესაა საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის **მომზადების სტადია**. ამ სტადიაზე მოსარჩელეს შეუძლია შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი ისე, რომ წინასწარ არ მიიღოს თანხმობა მოპასუხისაგან.

თუ სარჩელის შეცვლას მოსარჩელე აპირებს საქმის მთავარ (ზეპირ) სხდომაზე განხილვის დროს, მაშინ საჭიროა **მოპასუხის თანხმობა** ასეთ შეცვლაზე, რის შესახებაც მითითებულია აგრეთვე სსკ 224-ე მუხლში. თუ მოპასუხე თანახმა იქნება ასეთ შეცვლაზე, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, რათა მოემზადოს შეცვლილი სარჩელისაგან თავდაცვისათვის. მაგრამ თუ მოპასუხე არ მოითხოვს სხდომის გადადებას, საქმის განხილვა გაგრძელდება.

4. რაც შეეხება მოსარჩელის უფლებას გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, მაგალითად, 10000 ლარის ნაცვლად მოითხოვოს 20000 ლარი, ან პირიქით, 5000 ლარი, აგრეთვე მოითხოვოს ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება ან ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება (მაგალითად, მოითხოვდა ავტომანქანის მიკუთვნებას და შემდგომში ავტომანქანა შეცვალა როიალით, ან ავტომანქანის ღირებულების მიკუთვნებით) – ეს არ იქნება სარჩელის საგნის შეცვლა. ამიტომ, მოსარჩელეს ეს შეუძლია გააკეთოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და **მოპასუხის თანხმობა ამისათვის საჭირო არაა**.

სარჩელის, კერძოდ, მისი საფუძვლის შეცვლად არ ჩაითვლება აგრეთვე სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება, დამატება. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი უცვლელი რჩება, ხდება მხოლოდ ამ ფაქტობრივი საფუძვლის დაზუსტება-დაკონკრეტება ან დამატება ახალი ფაქტებით, ისე რომ არ იცვლება სარჩელის თავდაპირველი ფაქტობრივი საფუძვლის აზრი და შინაარსი.

მუხლი 83[1]. მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობა

1. მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე

2. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელის გამოხმობის შესახებ მოსარჩელის განცხადებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე, ამასთანავე, მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

1. 83[1] მუხლის პირველილ ნაწილი ნათლად და გარკვევით განასხვავებს ერთმანეთისაგან მოსარჩელის მიერ **სარჩელზე უარისთქმას**, რომელსაც უკავშირდება სერიოზული პრაქტიკული შედეგები (იხ.272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის კომენტარი) და მოსარჩელის მიერ **სარჩელის გამოხმობას.** სარჩელის გამოხმობა ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე უარს კი არ ამბობს თავის სარჩელზე (სასარჩელო მოთხოვნაზე), არამედ მას **აღარ სურს ამ ეტაპზე მის მიერ შემოტანილი სარჩელის განხილვა**. კანონი არ მოითხოვს მოსარჩელისაგან იმის დასაბუთებას (მოტივივრებას) თუ რატომ გადაიფიქრა მოსარჩელემ სარჩელის ამჟამად განხილვა. მაშასადამე, სასამართლომ არ უნდა მოთხოვოს მას ასეთი დასაბუთება: ისე როგორც სარჩელის აღძვრა სასამართლოში, სარჩელის გამოხმობაც, ანუ უკან გამოტანა, დისპოზიციურობის პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა.

ამასთან ერთად, ისე როგორც ყოველთვის, კანონი იცავს მოპასუხის ინტერესებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ სარჩელის გამოხმობა ხდება საქმის მომზადების სტადიაზე, მოპასუხის თანხმობა არაა საჭირო, მაგრამ, თუ სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადება კეთდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მაშინ აუცილებელია მოპასუხის თანხმობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოპასუხეს სურს ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის ბედი და ამიტომ არაა თანახმა უკან გაითხოვოს სარჩელი მოსარჩელემ, რომელსაც შეუძლია შემდგომში კვლავ აღძრას იგივე სარჩელი, სასამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს სარჩელის გამოხმობაზე და განიხილოს და გადაწყვიტოს ეს სარჩელი არსებითად. სარჩელის გამოხმობაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

2. განჩინება სასამართლოს გამოაქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი აკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას გამოხმობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო სარჩელს განუხილველად ტოვებს და უკან უბრუნებს მას ამ სარჩელს, მასზე დართულ დოკუმენტებს, აგრეთვე მოსარჩელის მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟს.

ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (276-ე მუხლი).

სარჩელის განუხილველად დატოვება იმის გამო, რომ მოსარჩელემ უკან გაითხოვა სარჩელი, უფლებას არ ართმევს მას კვლავ აღძრას იგივე სარჩელი.

მუხლი 84. არასათანადო მოსარჩელის შეცვლა

1. სასამართლო, რომელიც საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით.

2. თუ ასეთი თანხმობის მიუხედავად, სათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე.

3. თუ არასათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაებას საქმეში მესამე პირად, რომელიც განაცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, რის შესახებაც სასამართლო აცნობებს ამ პირს. თუ ეს პირი თანახმაა ჩაებას საქმეში მესამე პირად, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელზე მისი დაუსაბუთებლობის გამო, ხოლო მესამე პირად საქმეში ჩაბმული სათანადო მოსარჩელის მიმართ სარჩელს დააკმაყოფილებს საერთო საფუძველზე.

4. თუ მესამე პირად საქმეში ჩასაბმელად ნავარაუდევი სათანადო მოსარჩელე უარს იტყვის ჩაებას ამ საქმეში, სასამართლო თავისი

გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

1. ეს დანაწესი ეფუძნება საპროცესო ეკონომიის პრინციპს. არასათანადო მოსარჩელედ ითვლება ისეთი პირი, რომელსაც არ აქვს **მოთხოვნის უფლება**. იმის გასარკვევად, აქვს თუ არა პირს, რომელმაც სარჩელი აღძრა, მოთხოვნის უფლება, უნდა მივმართოთ **მატერიალურ სამართალს**. მაგალითად, ნივთის უკან დაბრუნება მფლობელს შეიძლება მოსთხოვოს მესაკუთრემ (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, თუ ვინდიკაციური სარჩელი, ე. ი. სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, აღძრა არა ამ ნივთის მესაკუთრემ, არამედ მისმა ოჯახის წევრმა, ვთქვათ შვილმა, მაშინ ეს შვილი იქნება არასათანადო მოსარჩელე, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობით ასეთი მოთხოვნის უფლება მესაკუთრეს აქვს. იგივე შეიძლება ითქვას გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა“. ცხადია, რომ სათანადო მოსარჩელე იქნება ამ შემთხვევაში ის პირი, რომელიც მოატყუეს, ე. ი. ვისთანაც მოტყუებით დადეს გარიგება.

ამრიგად, არის თუ არა სარჩელის აღმძვრელი პირი სათანადო მოსარჩელე, განისაზღვრება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

– არასათანადო მოსარჩელისაგან უნდა განვასხვავოთ სარჩელის აღძვრაზე **არაუფლებამოსილი პირი**. სსკ 93-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა გაფორმდეს კანონით განსაზღვრული წესით. თუ პირი აღძრავს სარჩელს სხვა პირის უფლების დასაცავად, მაგრამ მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ იქნება გაფორმებული კანონით დადგენილი წესით (სსკ 96-ე მუხლი), მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს არაუფლებამოსილ პირთან.

ამრიგად, არასათანადო მოსარჩელე – ესაა პირი, რომელ-

მაც აღძრა სარჩელი **თავისი უფლების** დასაცავად, თუმცა არ აქვს ამ სარჩელით წამოყენებული **მოთხოვნის უფლება**, ანუ არ აქვს მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი ამ საქმეში. **არაუფლებამოსილი პირი** – ესაა პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი **სხვისი უფლების** დასაცავად, მაგრამ **არ აქვს** ამ სხვა პირის მიერ სათანადო წესით გაფორმებული **უფლებამოსილება**. თუ სარჩელი დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა ისეთმა პირმა, რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე, მაშინ სასამართლო არ მიიღებს სარჩელს (სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი).

– იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი აღძრულია არასათანადო მოსარჩელის მიერ, სასამართლო უარს ვერ ეტყვის მას სარჩელის მიღებაზე. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ დააყენოს **თავისი ინიციატივით** საკითხი არასათანადო მოსარჩელის სათანადოთი შეცვლის შესახებ.

2. თუ არასათანადო მოსარჩელე თანახმაა შეიცვალოს სათანადოთი, ეს იმას ნიშნავს, რომ მან უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე. ამიტომ, თუ სათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეცვალოს **არასათანადო** მოსარჩელე – სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

მაგრამ თუ სათანადო მოსარჩელე თანახმაა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე, მაშინ საქმის წარმოება არ შეწყდება და სასამართლო გამოიტანს განჩინებას არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლის შესახებ, განიხილავს საქმეს სათანადო მოსარჩელის მიმართ და გამოიტანს გადაწყვეტილებას მის მიმართ.

3. თუ არასათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, მაშინ ამ სათანადო მოსარჩელეს შეუძლია ჩაებას საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით. სათანადო მოსარჩელის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ, **ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში**, სასამართლოს გამოაქვს განჩინება. მესამე პირად საქმეში ჩაბმულ სათანადო მოსარჩელეს არ სჭირდება სარჩელის აღძვრა, როგორც ამას სსკ 88-ე მუხლი ითვალისწინებს, რადგან არასათანადო მოსარჩელის მიერ აღძრული

სარჩელი განიხილება მესამე პირად საქმეში ჩაბმული სათანადო მოსარჩელის მიმართებიდანაც. სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მას არ აქვს მოთხოვნის უფლება, ხოლო მესამე პირად საქმეში ჩაბმული სათანადო მოსარჩელის მიმართ სარჩელს დააკმაყოფილებს საერთო საფუძველზე.

მუხლი 85. არასათანადო მოპასუხის შეცვლა

თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

– მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება. მოპასუხის დასახელების უფლებამოსილება და მოვალეობაც მოსარჩელეს აქვს. ეს კარგად ჩანს სსკ 178-ე მუხლის შინაარსიდანაც. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მოპასუხის გვარი, სახელი (სახელწოდება) და მისამართი, ტელეფონი, ფაქსი და ა.შ.

პრაქტიკაში ზოგჯერ ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. მაგალითად, სარჩელი ვალის დაბრუნების შესახებ აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც მოსარჩელემ სესხის სახით გადასცა გარკვეული თანხა, არამედ ამ მსესხებლის მამის მიმართ, სარჩელი არასრულწლოვანი შვილიშვილის რჩენისათვის აღძრუ-

ლია პაპის (ბაბუის) მიმართ, მაშინ, როდესაც მას შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან, კერძოდ, მამისაგან, რომელსაც საკმაო სახსრები და კარგი ხელფასი აქვს და ა. შ.

– სასამართლოს უფლება არ აქვს არ მიიღოს სარჩელი იმ მოტივით, რომ იგი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ დააყენოს საკითხი არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შესახებ. ასეთი შეცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით.

– თუ მოსარჩელე არაა თანახმა არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო განიხილავს საქმეს და უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე თავისი გადაწყვეტილებით.

– არასათანადო მხარის (მოსარჩელის, მოპასუხის) შეცვლა მიზანშეწონილია მოხდეს საქმის მომზადების სტადიაზე, კერძოდ, მოსამზადებელ სხდომაზე. მაგრამ, თუ არასათანადო მხარის შეცვლის საკითხი წამოიჭრა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მაშინ ასეთი შეცვლა აქ უნდა მოხდეს, რასაც შეიძლება საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება მოყვეს .

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ ზიანის ანაზღაურება დაეკისრა პირს, რომელიც არც მოსარჩელის მიერ იყო დასახელებული მოპასუხედ და არც სასამართლოს მიერ ყოფილა დაშვებული როგორც სათანადო მოპასუხე, ნაცვლად მოსარჩელის მიერ დასახელებული არასათანადო მოპასუხისა. საკასაციო სასამართლომ სავსებით სწორად მიიჩნია, რომ უხეშადაა დარღვეული სსკ 85-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან დაუშვებელია საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაბმულ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, ისე რომ იგი არ იყო ჩართული პროცესში 85-ე მუხლის შესაბამისად.[15]

[15] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000, №10, გვ.479

თ ა ვ ი X

საპროცესო თანამონაწილეობა

მუხლი 86. თანამონაწილეობის საფუძვლები

1. სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

2. თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

1. თანამონაწილეობა გვაქვს მაშინ, როდესაც ერთი მოსარჩელე აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, რამდენიმე მოსარჩელე აღძრავს სარჩელს ერთი მოპასუხის წინააღმდეგ და რამდენიმე მოსარჩელე აღძრავს სარჩელს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. ერთ მხარეზე მონაწილე თანამონაწილეების ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, ე. ი. თანამოსარჩელეების ინტერესები, ისევე როგორც თანამოპასუხეების ინტერესები, არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. **ამით თანამონაწილეობა განსხვავდება მესამე პირისაგან**, რომელიც აღძრავს სარჩელს დამოუკიდებელი მოთხოვნით დავის საგანზე.

– თანამონაწილეობის მიზანია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დაჩქარება, ხარჯების შემცირება, ერთმანეთის საწინააღმდეგო ან შეუსაბამო გადაწყვეტილებათა გამოტანის თავიდან აცილება.

ამ მიზნით თანამონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს მომზადების სტადიაზე. კერძოდ, 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარეები მონაწილეობენ, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ცალკე წარმოებად, თუ ამას მოყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა.

საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანების ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს მოსამართლეც (სასამართლოც) იმ თვალსაზრისით, რომ ურჩიოს მხარეს დათანხმდეს ასეთ გაერთიანებაზე.

– თანამონაწილეობა შეიძლება იყოს **სავალდებულო და ფაკულტატური (არა აუცილებელი)**.

– **თანამონაწილეობა სავალდებულოა**, თუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ურთიერთობის ყველა სუბიექტის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა. მაგალითად, **საერთო საკუთრების** უფლების („ა“ ქვეპუნქტი) ერთ-ერთმა მონაწილემ მოითხოვა წილის გამოყოფა. საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს ყველა მესაკუთრე: ყოველთვის, როცა დავა ეხება საზიარო საგანს, საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს საზიარო უფლების ყველა მესაკუთრე; თუ საქმე ეხება ბინიდან გამოსახლებას (ბინის გათავისუფლებას), მაშინ ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ ამ ბინაში მცხოვრები ყველა პირი და ა. შ.

სავალდებულო თანამონაწილეობისას, თუ ყველა თანამონაწილე არ იქნება ჩაბმული საქმეში და სასამართლო ისე გამოიტანს გადაწყვეტილებას, მაშინ ამ გადაწყვეტილების აღსრულება ვერ მოხერხდება, რადგან მისი **კანონიერი ძალა** ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ საქმეში. ამიტომ, თუ სარჩელი არაა აღძრული საერთო უფლების ყველა თანამონაწილის ან საერთო ვალდებულების მქონე ყველა პირის მიმართ, მაშინ სასამართლომ უნდა **ჩააბას ისინი საქმეში თავისი ინიციატივით**.

– პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა სასამართლოს სავალდებულო თანამონაწილეობის

დროს გამოიტანოს **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**, როცა არ გამოცხადდა არცერთი თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე), ან გამოცხადდა არა ყველა, არამედ ერთ-ერთი მათგანი.

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არცერთი თანამონაწილე (თანამოსარჩელე ან თანამოპასუხე), რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს **დაუსწრებელ გადაწყვეტილებას** (229-ე და 230-ე მუხლები).

თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ერთ-ერთი თანამონაწილე, ვთქვათ თანამოსარჩელე, სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება საქმის მასალების მიხედვით.

სავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას, თუ ყველა თანამონაწილეს გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით.

– თუ არცერთი მხარე, ე. ი. არცერთი თანამოსარჩელე და არცერთი თანამოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლოს შეუძლია **სარჩელი განუხილველად დატოვოს** (231-ე მუხლი).

– **არასავალდებულო** (ფაკულტატური) თანამონაწილეობა შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ „სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან“ („ბ“ ქვეპუნქტი), ან კიდევ იმით, რომ „სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი“ („გ“ ქვეპუნქტი).

მაგალითად, თუ პირის ქონებას ზიანი მიაყენა რამდენიმე პირმა, დაზარალებულს შეუძლია სარჩელი აღძრას როგორც ცალკეული ზიანის მიმყენებლის, ისე ყველას მიმართ ერთად. ასევე, თითოეულ მუშა-მოსამსახურეს შეუძლია ცალ-ცალკე აღძრას სარჩელი ადმინისტრაციის მიმართ ხელფასის მიღების თაობაზე, მაგრამ მათ შეუძლიათ გააერთიანონ თავიანთი ერთგვაროვანი მოთხოვნები ერთ სარჩელში.

თანამონაწილეობა ასეთ შემთხვევებში გამართლებულია საქმის სწორად და სწრაფად გადაწყვეტის ინტერესებით, აგრეთვე, საპროცესო ეკონომიის პრინციპის მოთხოვნებით.

ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მიზანი შეიძლება ვერ იქნეს რეალიზებული. მაშინ სასამართლოს შეუძლია რამდენიმე მოსარჩელის ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან **ცალკე წარმოებად გამოყოს** ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა (სსკ 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

– თანამონაწილეობისაგან უნდა განვასხვავოთ რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ. თანამონაწილეობა – ეს არის **სარჩელების სუბიექტური გაერთიანება**, ხოლო რამდენიმე მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება ერთსა და იმავე მოპასუხის მიმართ – **სარჩელების ობიექტური გაერთიანება**. სასამართლოს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა (სსკ 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

– პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი შეუძლია თუ არა სასამართლოს **არასავალდებულო** (ფაკულტატური) **თანამონაწილეობის** დროს გამოიტანოს **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**, თუ არ გამოცხადდა არცერთი ან გამოცხადდა მხოლოდ ერთ-ერთი თანამონაწილე.

ასეთი თანამონაწილეობის დროს, თუ არ გამოცხადდა ერთ მხარეზე მონაწილე არცერთი თანამონაწილე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყველა გამოუცხადებელ მხარეთა საწინააღმდეგოდ (სსკ 229-230-ე მუხლები). მაგრამ, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ერთ მხარეზე მონაწილე მხოლოდ ერთი ან რამდენიმე თანამონაწილე, მაშინ სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება მხოლოდ გამოცხადებული თანამონაწილის მიმართ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოუცხადებელ თანამონაწილეთა მიმართ.

– არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს თითოეულ თანამონაწილეს შეეძლო აღეძრა დამოუკიდებელი სარჩელი ცალკე აღებული მოპასუხის მიმართ. აქედან გამომდინარე, არასავალდებულო თანამონაწილეობის დროს **ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას**. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში გამოუცხადებლობას უნდა მოყვეს ის შედეგი, რასაც კანონი უკავშირებს მხარის გამოუცხადებლობას საერთოდ.

2. პროცესში თითოეული თანამონაწილის დამოუკიდებლად გამოსვლა იმას ნიშნავს, რომ მის მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას არ შეუძლია რაიმე ზიანი მიაყენოს სხვა თანამონაწილეს ან ზეგავლენა მოახდინოს სხვა თანამონაწილეებზე. მაგალითად, ერთი თანამონაწილის მიერ სარჩელზე უარის თქმა, ან სარჩელის ცნობა არ ნიშნავს სარჩელზე უარის თქმას ან სარჩელის ცნობას **სხვა თანამონაწილეების მიერ**.

სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ მოსარჩელის მიმართ, რომელმაც უარი თქვა სარჩელზე და სხვების მიმართ გააგრძელებს საქმის განხილვას. ასევე სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს იმ მოპასუხის მიმართ, რომელმაც ცნო სარჩელი, ხოლო სხვების მიმართ გააგრძელებს საქმის განხილვას.

მუხლი 87. თანამონაწილეთა საპროცესო უფლებები

1. თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს.

2. თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

3. საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის უნდა გაფორმდეს 96-ე მუხლით დადგენილი წესით.

1. თანამონაწილეები (თანამოსარჩელეები, თანამოპასუხეები) არიან მხარეები, რომლებიც იცავენ თავიანთ უფლებებს და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. ამიტომ, ისინი სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რა უფლებებიც აქვთ მხარეებს (სსკ 83-ე მუხლი).

2. თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება სასამართლოში ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ. ასეთ შემ-

თხვევაში თანამონაწილე ორ ფუნქციას ასრულებს: ის არის მხარე, რომელიც იცავს თავის უფლებებს და, იმავდროულად ის არის წარმომადგენელი სხვა თანამონაწილეებისა. ამ ორი ფუნქციის (მხარე, წარმომადგენელი) შეთავსება დასაშვებია მხოლოდ თანამონაწილეობის დროს.

3. საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის აუცილებლად **უნდა გაფორმდეს** კანონით დადგენილი წესით (სსკ 96-ე მუხლი). მაგალითად, მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი.

თანამონაწილეს, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება სხვა თანამონაწილეების მიერ, თავის მხრივ, არ ეკრძალება აიყვანოს ადვოკატი.

– მცდარია და არ შეესაბამება კანონს ისეთი პრაქტიკა, როდესაც თანამონაწილეთა წარმომადგენლად დაშვების საკითხს ამ წარმომადგენლის სიტყვიერი განცხადების საფუძველზე წყვეტს სასამართლო.

თ ა ვ ი XI

მესამე პირები

მუხლი 88. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

1. თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). მესამე პირის სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად.

2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა.

1. ზოგჯერ სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესი რთულდება იმის გამო რომ პროცესში შემოდის პირი, რომლის ინტერესები არ ემთხვევა არც მოსარჩელისა და არც მოპასუხის ინტერესებს.

ამრიგად, **მესამე პირი ეს ისეთი პირია, რომელიც შემოდის მხარეთა შორის უკვე დაწყებულ პროცესში თავისი საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად**, რომლებიც არამარტო არ ემთხვევა, არამედ პირიქით, ეწინააღმდეგება კიდეც მხარეების (მოსარჩელის, მოპასუხის) ინტერესებს. სწორედ ამიტომ, ისინი არ შეიძლება ჩაებან პროცესში თანამონაწილეებად (სსკ 86-ე მუხლი).

– **მესამე პირებმა დამოუკიდებელი** მოთხოვნით სასამართლოს უნდა მიმართონ **სარჩელით**. იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს ეს სარჩელი, ის უნდა

აკმაყოფილებდეს **ყველა იმ მოთხოვნას**, რაც წაეყენება სარჩელებს საერთოდ (სსკ 178-ე მუხლი).

ამავე დროს, მესამე პირის სარჩელს **წაეყენება დამატებითი მოთხოვნები**, კერძოდ, იგი მიმართული უნდა იყოს დავის საგანზე ან მის ნაწილზე.

– მესამე პირის სარჩელის აღძვრა და მიღება წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებითაც გათვალისწინებულია საერთოდ სარჩელების მიღება (სსკ177-187-ე მუხლები). გამონაკლისი ამ წესებიდან შეიძლება იყოს **განსჯადობა:** მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით დავის საგანზე იმ სასამართლოში, სადაც ეს დავა განიხილება.

აქედან გამომდინარე, მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით ვერ ჩაითვლება ისეთი პირი, რომელიც სასამართლომ ჩათვალა ასეთად ამ პირის ზეპირი თუ წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე და ამ პირის მიერ სარჩელის აღძვრის გარეშე.

– მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეუძლიათ აღძრან სარჩელი მხარეთა **პაექრობის დაწყებამდე.**

ცხადია, მესამე პირის მიერ სარჩელის აღძვრა გამოიწვევს საქმის განხილვის გადადებასა და მის გაჭიანურებას, მაგრამ ასეთი წესი **განპირობებულია იმით, რომ მესამე პირმა შეიძლება დაგვიანებით შეიტყოს** სასამართლოში მიმდინარე დავისა და ამ დავის საგნის შესახებ, მაგრამ, თუ პირი ამა თუ იმ სტატუსით (ვთქვათ, მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე), მონაწილეობს საქმის განხილვაში, რომელიც ისედაც თვეობით ჭიანურდება და ბოლოს, მაშინ როდესაც საქმის მთავარ სხდომაზე განხილვა მთავრდება და სასამართლო უნდა გავიდეს გადაწყვეტილების გამოსატანად, თუ იგი წარუდგენს სასამართლოს სარჩელს დამოუკიდებელი მოთხოვნით დავის საგანზე, უნდა მიიღოს თუ არა სასამართლომ სარჩელი ასეთი მესამე პირისგან?

სასამართლო მოწოდებულია ებრძოლოს არაკეთილსინდისიერებას და საქმის განხილვის **გაჭიანურების მცდელობას,** – ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი,

მით უმეტეს, რომ მესამე პირს შეუძლია აღძრას **დამოუკიდებელი სარჩელი** სხვა დროს და წინა პროცესში მონაწილე ნებისმიერი მხარის წინააღმდეგ..

– სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები მოწოდებულნი არიან განიხილონ **საჩივრები**. ამასთან ერთად, ისინი ამოწმებენ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს, შესაბამისად, სააპელაციო და საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სსკ 377-ე და 404-ე მუხლები).

ამრიგად, აღნიშნული სასამართლოები განიხილავენ **საჩივრებს გადაწყვეტილებებზე**, რომლებიც გამოტანილია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ იქ აღძრულ სარჩელებზე (სსკ 364-ე და 391-ე მუხლები) და **არა სარჩელებს**. მესამე პირის სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით არის ჩვეულებრივი სარჩელი და ასეთი **სარჩელით სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციაში მიმართვა დაუშვებელია.**

2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით არიან იგივე მოსარჩელეები და ისინი სარგებლობენ ყველა იმ უფლებებით, რა უფლებითაც სარგებლობენ მოსარჩელეები საერთოდ (სსკ 83-ე მუხლი).

მუხლი 89. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე

ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირად დაშვების საკითხს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო.

სასამართლო პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოების, მერიების, გამგეობების, სხვადასხვა ინსპექციების, ნოტარიუსების და ა. შ. სამოქალაქო საქმის განხილვაში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად ჩაბმა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოების მიერ არ არის დასაბუთებული და მოტივირებული, ის თუ რომელი მხარის დასახმარებლად ჩაებნენ აღნიშნული სუბიექტები პროცესში ან რა მოსაზრებით და რომელი კანონით ხელმძღვანელობდა სასამართლო, მათი საქმეში ჩაბმის შესახებ განჩინების გამოტანისას

– დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად საქმეში ჩაბმის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ 89-ე მუხლის მოთხოვნებით, რომლის თანახმად, ასეთი მესამე პირების ჩაბმა საქმეში **დასაშვებია, თუ მათ გააჩნიათ იურიდიული ინტერესი**, ე. ი. თუ „სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს **მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ**“.

– სასამართლომ თვითონ უნდა განჭვრიტოს, აქვს თუ არა ასეთ მესამე პირს იურიდიული ინტერესი, ე. ი. მოახდენს თუ არა ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება გავლენას მის უფლებებსა და მოვალეობებზე „ერთ-ერთი მხარის მიმართ“.

ამ საქმეში სასამართლოს დაეხმარება კანონიც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 706-ე მუხლის თანახმად, თუ ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურება დაეკისრა ერთ-ერთ გადამზიდველს, მაშინ მას შეუძლია აღძრას რეგრესული (უკუმოთხოვნის) სარჩელი **სხვა გადამზიდველების მიმართ**. როგორც ვხედავთ, ასეთ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლითაც ზიანის ანაზღაურება დაეკისრა ერთ-ერთ გადამზიდველს, შეუძლია გავლენა მოახდინოს **სხვა გადამზიდველის** მოვალეობებზე, კერძოდ, აუნაზღაუროს წაგებულ გადამზიდველს ის, რაც მას დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ, ამიტომ, ეს „სხვა გადამზიდველი“ დაინტერესებულია ჩაებას პროცესში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რათა და-

ეხმაროს გადამზიდველს მოიგოს პროცესი, რითაც თავიდან აიცდენს მის წინააღმდეგ რეგრესული სარჩელის აღძვრას.

– სასამართლო გადაწყვეტილების **პრეიუდიციული** (წინასწარგადამწყვეტი) **ძალა** სხვა სარჩელების განხილვისას განისაზღვრება იმის მიხედვით, ჩაბმული იყო თუ არა მესამე პირი საქმის განხილვაში.

ამიტომ, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმით დაინტერესებული უნდა იყოს როგორც უშუალოდ მხარე, ისე მის მხარეზე მონაწილე მესამე პირი.

– რეგრესული მოთხოვნის წაყენების საშიშროება, მართალია, მესამე პირისათვის არის იურიდიული ინტერესის წარმოშობის ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი საფუძველი.

მაგალითად, პრაქტიკა დასაშვებად თვლის და ვფიქრობთ გამართლებულია საქმეში მესამე პირად იმ ბავშვის მშობლის ჩაბმა, რომელიც ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე იღებს ალიმენტს, რადგან ამ მშობლის სხვა ქორწინებაში დაბადებული ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების დაკისრებამ შეიძლება გამოიწვიოს პირველი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ალიმენტის ოდენობის შემცირება.

– ერთმანეთისაგან **უნდა განვასხვავოთ მესამე პირები** დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე და **თანამონაწილეები**. თანამონაწილეობის კანონით განსაზღვრული საფუძვლები ისეთია, რომ თანამონაწილეები ყოველთვის უპირისპირდებიან ერთმანეთს – თანამოსარჩლეები თანამოპასუხეებს და პირიქით. რაც შეეხებათ მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, ისინი მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობაში არიან მხოლოდ იმ პირთან, რომლის მხარეზეც გამოდიან პროცესში და არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა მოწინააღმდეგე მხარესთან არ აკავშირებთ.

– მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

მუხლი 90. მესამე პირის ჩაბმა საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით

1. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეიძლება ჩაბმულ იქნეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით. ასეთი განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ზეპირი განცხადება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლო გამოიტანს განჩინებას მესამე პირის საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმის ან ასეთ ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ.

2. მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის შესახებ სასამართლოს განჩინება გასაჩივრდება გადაწყვეტილებასთან ერთად.

1. მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე შეიძლება ჩაბმული იქნეს საქმეში როგორც უშუალოდ ამ მესამე პირის (სსკ 89-ე მუხლი), ისე მოსარჩელის, მოპასუხის, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის ინიციატივით.

– სასამართლოს ინიციატივით ასეთი მესამე პირების საქმეში ჩაბმას მოქმედი სსკ არ ითვალისწინებს, მაგრამ სასამართლოს შეუძლია ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე წინადადება მისცეს მხარეებს დროულად განაცხადონ თუ ვინ შეიძლება ჩაებას საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე (სსკ 201-ე და 203-ე მუხლები).

– განცხადება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ, იმის და მიუხედავად წერილობითი თუ ზეპირი ფორმითაა იგი წარდგენილი, უნდა იყოს მოტივირებული, ე. ი. მითითებული უნდა იყოს საფუძველი, რის გამოც განმცხადებელი მოითხოვს მესამე პირის საქმეში ჩაბმას. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში მითითებული

უნდა იყოს თუ კონკრეტულად რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მესამე პირის უფლებებზე და მოვალეობებზე ამ საქმეზე გამოტანილმა გადაწყვეტილებამ (სსკ 89-ე მუხლი). **სასამართლომ არ უნდა დაუშვას მესამე პირის პროცესში ჩაბმა საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით.**

– დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის საკითხზე სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინება შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: თუ განცხადება მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ შემოტანილია ამ საქმის მომზადების სტადიაზე, მაშინ ეს განცხადება გადაეგზავნება მხარეს (მხარეებს), რომელსაც დაენიშნება შესაბამისი ვადა ამ საკითხზე მისი წერილობითი მოსაზრების წარდგენისათვის. მხარის მიერ ამ ვადაში წერილობითი მოსაზრების წარუდგენლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ კონკრეტულ საკითხის გადაწყვეტას. თუ განცხადება შემოტანილია სასამართლო სხდომაზე, მაშინ მხარეთა მოსაზრებების მოსმენა ხდება იმავე სხდომაზე.

2. დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, აგრეთვე, თუ ვის (მოსარჩელისა თუ მოპასუხის) მხარეზე ხდება მესამე პირის საქმეში ჩაბმა.

ასეთ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

– დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილებასთან ერთად.

დამოუკიდებლად იმისა, მოსარჩელისა თუ მოპასუხის მხარეზე ხდება დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმა, ყოვლად დაუშვებელია გადაწყვეტილება მოსარჩელის ნაცვლად ამ მესამე პირის სასარგებლოდ იქნეს გამოტანილი, ან მას დაეკისროს პასუხისმგებლობა მოპასუხის ნაცვლად. ამიტომ, **პრინციპული მნიშვნელობა აქვს** საკასაციო სასამართლოს მითითებას ერთ-ერთ საქმეზე იმის შესახებ, რომ პირი არ ყოფილა ჩაბმული

საქმეში მოპასუხედ, ხოლო გადაწყვეტილებით იგი მოპასუხედ იქნა მიჩნეული რითაც უხეშად დაირღვა ამ პირის უფლებები, რის გამოც გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს.[16]

მუხლი 91. მესამე პირების საპროცესო უფლებები

მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებისა, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებული სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ 83-ე მუხლში (იხ. ამ მუხლის კომენტარი). ამასთან ერთად, სსკ 91-ე მუხლი შეიცავს მხარის იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს, რომლებითაც ვერ ისარგებლებს მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. ასეთ მესამე პირს არ შეუძლია, აგრეთვე, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები სააპელაციო ან საკასაციო წესით (სსკ 364-ე და 391-ე მუხლები). აგრეთვე შეიტანოს კერძო საჩივარი (სსკ 414-ე მუხლი).

მუხლი 92. საპროცესო უფლებამონაცვლეობა

1. სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთო-

[16] იხ.სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, №10, 2000, გვ. 478-479.

ბიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

2. უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

3. უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას 279-ე მუხლის შესაბამისად.

4. უფლებამონაცვლით შეცვლის ან ასეთ შეცვლაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. უფლებამონაცვლეობის საფუძველია **არა საქმიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა** (მაგალითად, არასათანადო მხარე გავიდა საქმიდან და მის ნაცვლად შემოვიდა სათანადო მხარე), არამედ **სამართლებრივი ურთიერთობიდან** ერთ-ერთი მხარის გასვლა.

– საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძვლები (ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გასვლის შემთხვევები) მითითებულია სსკ 92-ე მუხლში. ასეთი საფუძვლებია:

ა) **მოქალაქის გარდაცვალება**. მაგალითად, სკ 1306-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირებზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით.

ბ) **იურიდიული პირის რეორგანიზაცია**. იურიდიული პირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლითა და სკ 39-ე მუხლით.

გ) **მოთხოვნის დათმობა**. გათვალისწინებულია სკ 199-ე მუხლით, რომლის თანახმად, გარკვეული პირობების არსე-

ბობისას მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს ის პირი, რომელსაც მოთხოვნა დაუთმეს.

შესაბამისად, საპროცესო უფლებამონაცვლის ადგილს, ნაცვლად თავდაპირველი მფლობელ-მოსარჩლისა, დაიკავებს პირი, რომელსაც ამ თავდაპირველმა მფლობელ-მოსარჩლემ დაუთმო მოთხოვნა.

დ) **ვალის გადაცემა**. ვალის გადაცემა (გადაკისრება) გათვალისწინებულია სკ 203-ე მუხლით, რომლის თანახმად, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც. ასეთ შემთხვევაში პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ვალი, დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თავდაპირველი მოვალე გვევლინება საქმეში მოპასუხედ, ვალის გადაკისრების შემთხვევაში მის საპროცესო უფლებამონაცვლედ მოგვევლინება პირი, რომელსაც გადაეცა (გადაეკისრა) ვალი.

ეს ჩამონათვალი არაა ამომწურავი. მაგალითად, უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას სადავო ნივთის გასხვისების (გაყიდვის) შემთხვევაში.

– უფლებამონაცვლეობა განსხვავდება პროცესში **არასათანადო მხარის** შეცვლისაგან: არასათანადო მხარე – ეს ისეთი პირია, რომელიც არ არის სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. ამიტომ, მას არა აქვს მოთხოვნის უფლება, აგრეთვე მან არ უნდა აგოს პასუხი მის მიმართ აღძრულ მოთხოვნაზე. უფლებამონაცვლეობის დროს კი პირიქით ხდება: თავდაპირველი მხარე იყო სათანადო მხარე, რადგან იგი იყო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი და მხოლოდ იმის შედეგად, რომ მისი ადგილი ამ სამართლებრივ ურთიერთობაში დაიკავა (კანონით დადგენილი საფუძვლებითა და წესით) სხვა პირმა, შესაბამისად, ეს სხვა პირი იკავებს მის ადგილს სამოქალაქო სამართალწარმოებაში (საპროცესო უფლებამონაცვლეობა).

– საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია **უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში**, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშ-

ვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე თავისი წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს.

თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც. მაგალითად, თუ გარდაიცვალა პირი, რომელიც სამუშაოზე აღდგენას მოითხოვდა, საქმის წარმოება შეწყდება, რადგან დაუშვებელია ამ უფლების სხვა პირზე გადასვლა. ასევე, დაუშვებელია ალიმენტის გადახდევინების უფლების გადასვლა სხვა პირზე და ა. შ. მაგალითად, სკ 453-ე მუხლის თანახმად, მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე. ასევე, კრედიტორის გარდაცვალებაც იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის.

– საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, კერძოდ:

ა) სარჩელის წარმოებაში მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე;

ბ) გადაწყვეტილების გამოტანიდან მის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

გ) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე.

2. უფლებამონაცვლეს არ შეუძლია მოითხოვოს იმ საპროცესო მოქმედების **ხელმეორედ (განმეორებით) შესრულება**, რომელიც მისმა წინამორბედმა შეასრულა. მაგალითად, მას არ შეუძლია მოითხოვოს მოწმეთა განმეორებით გამოძახება და დაკითხვა, აგრეთვე, საპროცესო ვადის თავიდან ათვლა, თუ ეს ვადა გაშვებული იყო ჯერ კიდევ მისი წინამორბედის სიცოცხლეში ან იურიდიული პირის რეორგანიზაციამდე. მაგალითად, თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ე. ი. წინამორბედის გარდაცვალებამდე ან იურიდიული პირის რეორგანიზაციამდე, მაშინ უფლებამონაცვლეს არ შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ, თუ უფ-

ლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, მაგრამ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, უფლებამონაცვლეს შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება (განჩინება).

– უფლებამონაცვლის წინამორბედის მიერ შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ითვლება შესრულებულად უფლებამონაცვლის მიერ. მაგალითად, თუ მისმა წინამორბედმა შეცვალა სარჩელის საგანი და ნაცვლად მოპასუხის ბინიდან გამოსახლებისა, მისგან მოითხოვა ბინის ქირის გადახდა, უფლებამონაცვლე ვერ იტყვის უარს ასეთ შეცვლაზე, მაგრამ, თუ მის წინამორბედს აქვს უფლება უარი თქვას მის მიერ შესრულებულ საპროცესო მოქმედებაზე, მაშინ ასეთივე უფლება აქვს უფლებამონაცვლესაც. მაგალითად, უფლებამონაცვლეს შეუძლია უარი თქვას წინამორბედის მიერ შეტანილ სააპელაციო (საკასაციო) საჩივარზე, რადგან წინამორბედსაც ჰქონდა ასეთი უფლება (სსკ 378-ე მუხლი).

3. თუ უფლებამონაცვლეობის აუცილებლობა წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანამდე(საქმის პირველ, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციაში განხილვის დროს), მაშინ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება (სსკ 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ამ განჩინებაში სასამართლომ უნდა მიუთითოს, რომ საქმის წარმოება შეჩერებულია უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ უფლებამონაცვლის დადგენით **ყოველთვის** ვერ მოხდება შეჩერებული საქმის განახლება.

– კერძოდ, თუ საკითხი შეეხება მოსარჩელის უფლებამონაცვლეს, მაშინ მან უნდა მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში როგორც მოსარჩელის უფლებამონაცვლე. მანვე უნდა წარუდგინოს სასამართლოს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები (სამკვიდრო მოწმობა, მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულება, ვალის გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება, იურიდიული პირის რეორგანიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და ა. შ).

– თუ საკითხი შეეხება მოპასუხეს, მაშინ მოსარჩელემ

ან თვითონ მოპასუხის უფლებამონაცვლემ უნდა მიმართოს სასამართლოს შესაბამისი განცხადებით. მათ სასამართლოს უნდა წარუდგინონ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთები. თუ მოსარჩელის მიერ დასახელებული მოპასუხის უფლებამონაცვლე უარყოფს თავის უფლებამონაცვლეობას, მან ეს უარყოფა უნდა დაადასტუროს.

– აპელანტის თუ კასატორის უფლებამონაცვლის დასახელებით და შეჩერებული სააპელაციო თუ საკასაციო წარმოების განახლებით შეიძლება დაინტერესებული იყოს მოწინააღმდეგე (სააპელაციო თუ საკასაციო მოპასუხე) მხარეც. მაგალითად, მოსარჩელემ მოიგო პროცესი და მას მიეკუთვნა ის სიკეთე, რასაც მოითხოვდა (რაიმე ნივთი, ფულადი თანხა, ბინაში შესახლება და ა. შ.). მოპასუხემ შეიტანა სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი, მაგრამ სანამ სასამართლო ამ საჩივარს განიხილავდა, აპელანტი (კასატორი) გარდაიცვალა. იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში საჩივარი არის ფაქტობრივად და იურიდიულად სრულიად უპერსპექტივო, აპელანტის (კასატორის) უფლებამონაცვლე საერთოდ არ არის დაინტერესებული განახლდეს საქმის განხილვა. ის მხოლოდ ცდილობს, რომ გაჭიანურდეს ამ საქმის საბოლოო გადაწყვეტა. მოწინააღმდეგე მხარე კი პირიქით – დაინტერესებულია ამ საქმის განხილვითა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით. ამიტომ, აპელანტის თუ კასატორის მოწინააღმდეგე მხარე თვითონ ატყობინებს სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოს, რომ მან განაახლოს შეჩერებული სააპელაციო (საკასაციო) წარმოება, ვინაიდან უკვე გამოვლინდა უფლებამონაცვლე.

– თუ უფლებამონაცვლედ გვევლინება რამდენიმე პირი, მაშინ ყოველი მათგანი უნდა იქნენ საქმეში ჩაბმული.

– უფლებამონაცვლის დადგენის შემდეგ, **სასამართლომ უნდა განაახლოს საქმე**, რის შესახებაც გამოაქვს განჩინება. მან უნდა აცნობოს უფლებამონაცვლეს საქმის განხილვის შესახებ და მიუთითოს იმ შედეგებზე, რაც შეიძლება მოყვეს მის გამოუცხადებლობას.

– შეჩერებული საქმის განახლების შემდეგ, საქმის განხილვა თავიდან არ დაიწყება, **არამედ გაგრძელდება იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც შეჩერდა მისი წარმოება**.

– გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება უფლებამონაცვლეზე, მაგრამ თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ – აღსრულების სტადიაზე, მაშინ ეს საკითხი შეიძლება მოგვარდეს **გადაწყვეტილების განმარტების** წესით (სსკ 262-ე მუხლი).

– უფლებამონაცვლეობის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინებაზე **შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა** (სსკ 282-ე მუხლი).

– უფლებამონაცვლის დადგენის გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართლო განჩინებაზე **კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება**.

რაც შეეხება სასამართლოს განჩინებას ულებამონაცვლით მხარის შეცვლაზე ან ასეთ შეცვლაზე უარისთქმის შესახებ - მასზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

თ ა ვ ი XII

წარმომადგენლობა სასამართლოში

მუხლი 93. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით

1. მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს.

2. მხარეებს შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

1. სსკ 93-ე მუხლის პირველ ნაწილში დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ანუ წარმომადგენლის გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს **წარმომადგენლის** მეშვეობით საქმის წარმოების **სავალდებულობას**.

ფიზიკური პირი პირადად აწარმოებს საქმეს, თუ მას არ ჰყავს წარმომადგენელი.

ასევე, იურიდიული პირი პირადად აწარმოებს საქმეს, როდესაც საქმეს აწარმოებს კანონით ან წესდებით ამ იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირი. მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 56.3-ე მუხლის თანახმად, „სააქციო საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენენ დირექტორები“. ასეთ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ითვლება, რომ იურიდიული პირები (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვა ორგანიზაციებიც) სა-

სამართლოში საქმეს აწარმოებენ პირადად წარმომადგენლის გარეშე.

2. სსკ 93-ე მუხლის მეორე ნაწილით განმტკიცებულია პრინციპი, რომლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში **წარმომადგენლის მეშვეობით**.

– წარმომადგენელი – ეს არის პირი, რომელიც მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ასრულებს სასამართლოში ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით.

– წარმომადგენლობა დაიშვება უკლებლივ ყველა საქმეზე, რომელიც სასამართლოს ექვემდებარება უწყებრივად, აგრეთვე, ყველა სახის (სასარჩელო, გამარტივებული, უდავო) სამართალწარმოების და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას.

– წარმომადგენლის მეშვეობით საქმის წარმოება შეუძლიათ მხარეებს – მოსარჩელეს, მოპასუხეს, მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნით, აგრეთვე, მესამე პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.

მხარეებში იგულისხმება არა მარტო ფიზიკური, არამედ იურიდიული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც თუმცა არ არიან იურიდიული პირები, მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლიათ გამოვიდნენ მხარეებად პროცესში (სსკ 79-ე მუხლი).

აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ იურიდიული პირი მხოლოდ მაშინ აწარმოებს საქმეს წარმომადგენლის მეშვეობით, როდესაც ამ იურიდიული პირის მინდობილობით საქმის წარმოება მინდობილი აქვს ადვოკატს ან სხვა პირს (მაგალითად, ორგანიზაციის თანამშრომელს), რომელსაც შეუძლია სსკ 94-ე მუხლის თანახმად აწარმოოს სხვისი საქმე სასამართლოში (სსკ 94-ე მუხლი).

მუხლი 94. პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში

სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ:

ა) ადვოკატები;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლები – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე;

გ) ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით;

დ) სხვა ქმედუნარიანი პირები – მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში.

1. სსკ 94-ე მუხლი შეიცავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება გამოვიდნენ წარმომადგენლებად სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც წარმომადგენლის უფლებამოსილების მოცულობას განსაზღვრავს, მთლიანად ვრცელდება ამ მუხლში ჩამოთვლილ ნებისმიერ წარმომადგენელზე (სსკ 98-ე მუხლი).

– ადვოკატებად იწოდებიან პირები, რომლებიც გაწევრიანებული არიან ადვოკატთა ასოციაციაში, შეყვანილი არიან ადვოკატთა ერთიან სიაში, დადებული აქვთ ფიცი ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე და მიღებული აქვთ საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი).

– ორგანიზაციების წარმომადგენლებად ხშირად გამოდიან ამ ორგანიზაციების იურისტები, თუმცა ასეთ წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდეს ორგანიზაციის ნებისმიერი თანამშრომელი. ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირისგან განსხვავებით, როგორიცაა, მაგალითად, დირექტორი ან ერთ-ერთი დამფუძნებელი პარტნიორი და ა. შ. (სსკ 93-ე მუხ-

ლი), ორგანიზაციის თანამშრომლებს სჭირდებათ მინდობილობა, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ან ორგანოს მიერ (სსკ 96-ე მუხლი).

– თანამონაწილე შეიძლება იყოს სხვა თანამონაწილეთა წარმომადგენელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ სხვა (დანარჩენ) თანამონაწილეთა თანხმობა ამის შესახებ (სსკ 86-ე მუხლი), რაც გაფორმებული და დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით (სსკ 96-ე მუხლი).

– ფიზიკური თუ იურიდიული პირის წარმომადგენლად პირველი ინსტანციის სასამართლოში შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი. გარდა ქმედუნარიანობისა, აქ რაიმე სხვა მოთხოვნები გათვალისწინებული არ არის ეს იმას ნიშნავს, რომ არ მოითხოვება უმაღლესი იურიდიული განათლებაც კი, რაც ესოდენ აუცილებელია მარწმუნებლის კანონიერი ინტერესების წარმატებულად დაცვისათვის.

ქმედუნარიანად ითვლება ყოველი პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით აღიარებული არ არის ქმედუუნაროდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სსკ 322 და 326-ე მუხლები).

– ამასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია **არ დაუშვას პირი წარმომადგენლად**, თუ მიიჩნევს, რომ მას არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ დაიცვას მხარის უფლებები (სსკ 97-ე მუხლი). ასეთ „საკმარის მონაცემებში," სხვადასხვა გარემოებებთან ერთად, იგულისხმება, აგრეთვე, წარმომადგენლად არჩეული პირის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც მართალია არ არის აღიარებული სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, მაგრამ აშკარაა, რომ იგი ვერ უწევს ანგარიშს თავის მოქმედებას და არ შესწევს უნარი გაითვალისწინოს ამ მოქმედების შესაძლო შედეგები.

მუხლი 95. პირები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად სასამართლოში

სასამართლოში წარმომადგენლებად არ შეიძლება იყვნენ მოსამართლე, გამომძიებელი და პროკურორი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი პროცესში გამოდიან მშობლებად (მშვილებლებად), მეურვეებად, მზრუნველებად ან შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლებად.

– ეს მუხლი შეიცავს იმ პირთა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც არ შეიძლება გამოვიდნენ წარმომადგენლებად სასამართლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენლისა და მოსამართლის, წარმომადგენლისა და პროკურორის, აგრეთვე, წარმომადგენლისა და გამომძიებლის ფუნქციების შეთავსება არ შეიძლება.

– ეს მუხლი ასევე ამომწურავად განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მასში ჩამოთვლილი პირები შეიძლება, როგორც გამონაკლისი, გამოვიდნენ წარმომადგენლებად. კერძოდ, მოსამართლე შეიძლება გამოვიდეს თავისი სასამართლოს წარმომადგენლად, როცა ეს სასამართლო პროცესში გამოდის მხარედ, პროკურორი ან გამომძიებელი შეიძლება გამოვიდეს თავისი პროკურატურის ან მომკვლევი ორგანოს წარმომადგენლად, როცა ეს პროკურატურა ან მომკვლევი ორგანო პროცესში გამოდის მხარედ.

– კანონიერ წარმომადგენლებად, ე. ი. მშობლებად (მშვილებლებად), მეურვეებად, მზრუნველებად, აღნიშნული პირები შეიძლება გამოვიდნენ ნებისმიერ შემთხვევაში.

– მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის წარმომადგენლად არდაშვების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება.

მუხლი 96. წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება

1. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა

ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება, შესაბამისი სამხედრო ნაწილის მიერ, თუ მინდობილობას სამხედრო მოსამსახურე გასცემს. საპატიმროში მყოფი პირის მიერ გაცემულ მინდობილობას დაამოწმებს შესაბამისი საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია.

2. მინდობილობას ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი.

3. ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

სსკ 96-ე მუხლი კატეგორიულად მოითხოვს წარმომადგენლის უფლებამოსილების კანონით დადგენილი წესით გაფორმებას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წარმომადგენლის უფლებამოსილება არ არის გაფორმებული ამ წესის დაცვით, სასამართლო არ დაუშვებს მას წარმომადგენლად.

1. სსკ 96-ე მუხლის პირველი ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს, თუ რომელ ორგანოს და რა პირობების არსებობისას შეუძლია დაამოწმოს მინდობილობა სასამართლოში საქმის წარმოებაზე. ცხადია, ეს არ ართმევს მხარეს უფლებას სანოტარო წესით დაამოწმოს მინდობილობა ნებისმიერ პირობებსა და შემთხვევაში.

მინდობილობა სასამართლოში საქმის წარმოებაზე შეუძლია გასცეს როგორც კერძო, ისე საჯარო იურიდიულ პირსა და ორგანიზაციას. მინდობილობაში მითითებული უნდა იყოს იმ პირის თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც დაამოწმა მინდობილობა, აგრეთვე, მისი ხელმოწერა და მინ-

დობილობაზე დასმული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის ბეჭედი.

2. მხარეებად პროცესში შეიძლება გამოვიდნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები (ორგანიზაციები). სსკ 96-ე მუხლის მე-2 ნაწილს მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მხარედ გვევლინება ორგანიზაცია და იგი მინდობილობას გასცემს სწორედ ამ ორგანიზაციის სახელით და მისი საქმის საწარმოებლად სასამართლოში.

– მინდობილობის გარეშე სასამართლოში შეიძლება გამოვიდეს ორგანიზაციის თანამდებობის პირი, რომელიც კანონით თუ წესდებით აღჭურვილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით. მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 56.3 მუხლის თანახმად, სააქციო საზოგადოებას სასამართლოში წარმოადგენენ დირექტორები. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ მხარედ სასამართლოში გვევლინება სააქციო საზოგადოება, მაშინ მის დირექტორს არ სჭირდება სპეციალური მინდობილობა. საკმარისია მან სასამართლოს წარუდგინოს მისი დირექტორობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ იურიდიულ პირს ჰყავს არა ერთი, არამედ რამდენიმე დირექტორი ან ხელმძღვანელი, რომლებიც აღჭურვილი არიან ერთნაირი და თანაბარი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით და მათ შორის არ არის გამიჯნული უფლებამოსილებები, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან გასცენ სპეციალური უფლებამოსილება ერთ-ერთ მათგანზე, თუ სურთ, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ამ ერთ-ერთმა მათგანმა განახორციელოს სასამართლოში.

– თუ იურიდიული პირის წესდების თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილია ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი (ერთ-ერთი პარტნიორი, ერთ-ერთი დირექტორი, როცა რამდენიმე დირექტორია), სასამართლოს უნდა წარედგინოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ პირის უფლებამოსილებას სასამართლოში წარმომადგენლობაზე. ასეთ დოკუმენტად შეიძლება გამოდგეს წესდებიდან ამონაწერი.

– ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კანონით ან წესდებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურ-

ვილი პირისა და იურიდიული პირის (ორგანიზაციის) თანამშრომლის წარმომადგენლობა სასამართლოში.

იურიდიული პირის (ორგანიზაციის) უფლებების დასაცავად სასამართლოში ხშირად გამოდიან **ამ ორგანიზაციების იურისტები და სხვა თანამშრომლები**. მათ უნდა წარუდგინონ სასამართლოს მინდობილობა ამ ორგანიზაციის სახელით, რომელსაც გასცემს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირი, ხოლო მისი არარსებობისას – კოლეგიური ორგანო, რომელიც ასეთი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი კანონით ან წესდებით.

3. რაც შეეხება ადვოკატის, ე. ი. იმ პირის უფლებამოსილებას, რომელსაც „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი უწოდებს ადვოკატს, იგი შეიძლება გაფორმდეს იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს ეს კანონი. აღნიშნული კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ადვოკატმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, აგრეთვე, კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი.

– სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა შემდეგი საკითხი: შეუძლია თუ არა მხარეს სასამართლოს წინაშე თავისი ზეპირი განცხადებითა და სასამართლო სხდომის ოქმში მისი შეტანით დაადასტუროს წარმომადგენლის უფლებამოსილება?

ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ყველა შემთხვევაში მოითხოვს სათანადოდ გაფორმებულ მინდობილობას.

– სასამართლომ ყოველთვის ყურადღებით უნდა შეამოწმოს, რამდენად სწორად და კანონის მოთხოვნათა დაცვითაა შედგენილი და გაფორმებული მინდობილობა. არასწორად შედგენილი მინდობილობა შეიძლება გახდეს ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა გაუქმების საფუძველი.

მუხლი 97. სასამართლოს უარი იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი

1. სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები.

2. ის მოქმედებები, რომლებიც საპროცესო წარმომადგენელმა გადაყენებამდე აწარმოვა, ძალაში რჩება.

3. სასამართლოს განჩინებაზე იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არ არის ადვოკატი, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. ამ მუხლით დადგენილი წესი ემსახურება მხარის **უფლების რეალურად დაცვის ინტერესებს**: თუ სასამართლოსათვის აშკარაა, რომ მხარის მიერ წარმომადგენლად შერჩეული პირი ვერ დაიცავს მის უფლებებს, მას შეუძლია უარი თქვას ამ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე.

ასეთი უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ წარმომადგენელს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა და გამოცდილება სასამართლოში საქმის წარმოებისათვის, ან კიდევ იმით, რომ იგი, კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით, გამოყვანილია ადვოკატთა ერთიანი სიიდან მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის გამო, ან იმის გამო, რომ იგი არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 და მე-14 მუხლებით.

სსკ 97-ე მუხლის პირველ ნაწილს მხედველობაში ჰყავს მხოლოდ ისეთი პირები, რომლებიც არ არიან ადვოკატები, რადგან **იგულისხმება**, რომ ადვოკატებს გააჩნიათ საკმარისი მონაცემები აწარმოონ საქმე სასამართლოში და დაიცვან მხარის უფლებები.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენლის არაკომპეტენტურობა გაირკვა მას შემდეგ, როცა მან უკვე შეასრულა გარკვეული საპროცესო მოქმედებები, ეს შესრულებული მოქმედებები ძალაში რჩება ამ წარმომადგენლის დაშვებაზე უარისთქმის შემდეგაც.

3. ასეთი განჩინება სასამართლომ შეიძლება მიიღოს მაშინვე, როგორც კი მას წარედგინება პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე. აღნიშნული განჩინება შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა შეტყობინების გარეშე, ხოლო თუ ასეთი განჩინება მიღებულია სასამართლო სხდომაზე მაშინ იგი უნდა აისახოს სხდომის ოქმში.

ასეთი განჩინების შესახებ უნდა ეცნობოს მხარეს, ვისი უფლებამოსილებითაც გამოდიოდა გადაყენებული წარმომადგენელი, აგრეთვე, თვით გადაყენებულ წარმომადგენელსაც.

ამავე განჩინებით მხარეს უნდა განემარტოს, რომ მას შეუძლია თვითონ აწარმოოს საქმე, ან მიანდოს საქმის წარმოება სხვა წარმომადგენელს, რისთვისაც სასამართლო უნიშნავს მას ვადას და აფრთხილებს, რომ თუ ამ ვადაში არ იქნება მის მიერ შერჩეული წარმომადგენელი, სასამართლო გააგრძელებს საქმის განხილვას.[17]

პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა

მუხლი 98. წარმომადგენლის უფლებამოსილება

1. უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა

[17] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება.

სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა, წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

2. მხარის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწეს.

1. სსკ 98-ე მუხლი შეიცავს იმ საპროცესო მოქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენელს მინდობილობაში სპეციალური მითითების გარეშე შეუძლია შეასრულოს ყველა სხვა საპროცესო მოქმედება, რომელთა შესრულება შეუძლია თვითონ მარწმუნებელს (სსკ 83-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მაშასადამე, წარმომადგენლობა **ავტომატურად, ე. ი. სპეციალური მითითების გარეშე**, ანიჭებს უფლებას წარმომადგენელს შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი მოქმედებებისა, რომელებიც უკავშირდება მარწმუნებლის მიერ მისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას (დისპოზიციურობის პრინციპი) და ამიტომ, მათ შესახებ სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მინდობილობაში.

აქედან გამომდინარე, თუ წარმომადგენელმა სპეციალური მინდობილობის გარეშე შეასრულა ისეთი საპროცესო მოქმედება, რომელიც ამგვარ მინდობილობას მოითხოვს, ასეთი მოქმედება არავითარ სამარლებრივ შედეგს არ წარ-

მოშობს. მაგალითად, თუ წარმომადგენელმა ცნო სარჩელი, ან უარი თქვა მასზე, ან კიდევ თუ საქმე დაამთავრა მორიგებით და ა. შ. მისი ასეთი მოქმედება არ წარმოშობს რაიმე შედეგს, ხოლო თუ სასამართლომ მას ასეთი შედეგი დაუკავშირა, ასეთი სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება) უსათუოდ უნდა გაუქმდეს დაინტერესებული პირის მოთხოვნით. პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება შემთხვევა, როდესაც წარმომადგენელი სააპელაციო ან საკასაციო წესით ასაჩივრებს გადაწყვეტილებას, თუმცა მინდობილობაში არ არის მითითებული მისი ასეთი უფლებამოსილების შესახებ.

ასეთი საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად უნდა დატოვოს შესაბამისმა სასამართლომ, თუ წარმომადგენელს არ მიეცა **ვადა ხარვეზის შესავსებად**. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის შეტანა ავტომატურად ვერ შეაჩერებს გასაჩივრების ვადის დენას.

ნებისმიერი ინსტანციის სასამართლომ ზედმიწევნით ყურადღებით უნდა შეამოწმოს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები.

2. სსკ 98-ე მუხლის მეორე ნაწილი უფლებას ანიჭებს წარმომადგენელს ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწეს.

ამ უფლების განხორციელების მიზნით, წარმომადგენელმა აუცილებლად უნდა მისცეს მინდობილობა სხვა ადვოკატს იმ საპროცესო მოქმედებაზე მითითებით, რომელიც მან უნდა შეასრულოს. ასეთი მინდობილობა იქნება საფუძველი სასამართლოსათვის, რათა დაუშვას იგი აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესასრულებლად.

სსკ 98-ე მუხლის მე-2 ნაწილში ლაპარაკია ცალკეულ საპროცესო მოქმედებაზე და არა საქმის წარმოებაზე მთლიანად. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმომადგენელს შეუძლია მიანდოს სხვა ადვოკატს ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება გონივრულ ფარგლებში და საამისოდ შესაბამისი საფუძვლის (მაგალითად, ავადმყოფობა, მივლინება, სხვა საქმეზე გადაუდებელი საპროცესო მოქმედების შესრულება და ა. შ.) არსებობისას.

ადვოკატის თანაშემწეზე ცალკეული საპროცესო მოქ-

მედების შესრულების გადანდობა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ რეალურად იქნება შემოღებული ასეთი თანამდებობა.

მუხლი 99. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ

მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს. მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

1. მარწმუნებელს შეუძლია **მოტივირების გარეშე** გააუქმოს მის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება. მარწმუნებელს ასეთ შემთხვევაში ევალება ერთადერთი რამ – წერილობით აცნობოს ამის შესახებ სასამართლოს და წარმომადგენელს. იმ მომენტიდან, როცა სასამართლოს წერილობით ეცნობა წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, სასამართლო აღარ დაუშვებს მას საპროცესო მოქმედებათა შესასრულებლად. თუ ასეთი განცხადება მხარემ გააკეთა საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს, მაშინ ეს განცხადება შეიტანება სხდომის ოქმში, რაზეც ხელი უნდა მოაწეროს განმცხადებელმა.

ამრიგად, წარმომადგენლის უფლებამოსილება **შეწყვეტილად ითვლება, როცა მხარე წერილობით მიმართავს**

სასამართლოს, ან როცა ასეთი განცხადება გაკეთდება სასამართლოს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე.

– აღნიშნულ უფლებას მხარე ვერ გამოიყენებს საქმის განხილვის **გაჭიანურების მიზნით**. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როდესაც მიუთითებს, რომ მხარის ინიციატივით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა ვერ გახდება საქმის **წარმოების შეჩერებისა** თუ **საქმის განხილვის გადადების** საფუძველი, ე. ი. საქმის წარმოება და მისი განხილვა უნდა გაგრძელდეს და სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა შეჩერებისა თუ გადადების შესახებ (თუ აღიძვრება ასეთი შუამდგომლობა). თუ მხარეს სურს აიყვანოს სხვა წარმომადგენელი, მან დროულად და ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე უნდა გააკეთოს ეს.

– მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა (ისევე როგორც საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით) არის მხარის სრული უფლება და სასამართლომ ყოველთვის **უნდა დააკმაყოფილოს** მისი განცხადება ამის თაობაზე. წარმომადგენელს არა აქვს უფლება გააპროტესტოს მარწმუნებლის ასეთი მოქმედება.

მუხლი 100. წარმომადგენლის უარი თავის უფლებამოსილებაზე

წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით სასამართლო დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

წარმომადგენელს ისევე როგორც მარწმუნებელს, უფლება აქვს ცალმხრივად და **მოტივირების გარეშე** მიმარ-

თოს სასამართლოს და მარწმუნებელს წერილობითი განცხადებით თავის უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესახებ. ასეთი უარი მას შეუძლია განაცხადოს სასამართლოს სხდომაზეც, რაც შეიტანება სხდომის ოქმში.

– თავის უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების შეტანა, ან სასამართლოს მოსამზადებელ თუ მთავარ სხდომაზე ასეთი განცხადების გაკეთება ჯერ კიდევ არ ნიშნავს წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტას. მართალია, ასეთი განცხადება ყოველთვის უნდა დააკმაყოფილოს სასამართლომ, რადგან არ შეიძლება ვაიძულოთ პირი გასწიოს წარმომადგენლობა, მაგრამ დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა,ნიშნავს სასამართლო. **დროს სასამრთლო ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მარწმუნებელმა თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან აიყვანოს ახალი წარმომადგენელი**.

ისეთი შემთხვევისაგან განსხვავებით, როცა მარწმუნებელი უარს ამბობს წარმომადგენელზე, რაც ვერ გახდება საქმის განხილვის გადადების საფუძველი, თუ წარმომადგენლის მიერ უფლებამოსილებაზე უარის თქმას ადგილი აქვს სასამართლოს მთავარ სხდომაზე, შეიძლება საჭირო გახდეს აღნიშნული სხდომის გადადება იმ დროით, რაც საჭირო იქნება ახალი წარმომადგენლის ასაყვანად, თუ ამის შესახებ სურვილს გამოთქვამს მარწმუნებელი და თუ ამ დროის მანძილზე იგი არ აიყვანს ახალ წარმომადგენელს, სასამართლოს შეუძლია ჩათვალოს, რომ მარწმუნებელი (მხარე) თვითონ, პირადად აწარმოებს საქმეს წარმომადგენლის გარეშე და განიხილოს საქმე საერთო წესით.

მუხლი 101. კანონიერი წარმომადგენლები

1. ქმედუუნარო მოქალაქის, აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომ-

ლებიც წარუდგენენ სასამართლოს თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

2. კანონიერი წარმომადგენლები წარმოსადგენ პირთა სახელით ასრულებენ ყველა საპროცესო მოქმედებას, რომელთა შესრულების უფლებაც მიკუთვნებული აქვთ წარმომდგენთ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

3. საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს კანონით დადგენილი წესით უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობილი მოქალაქე, მის წარმომადგენლად მონაწილეობს პირი, რომელსაც გადაეცა სამართავად უგზოუკვლოდ დაკარგული პირის ქონება.

4. საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს გარდაცვლილის ან კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად ცნობილი პირის მემკვიდრე, თუ მემკვიდრეობა არავის მიუღია, მემკვიდრის წარმომადგენლად გამოდის სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირი.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სასამართლოში საქმის წარმოება მიანდონ ადვოკატს, რაც არ ართმევს უფლებას კანონიერ წარმომადგენელს თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საქმეში.

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია საპროცესო უფლებაუნარიანობით, ე. ი. უნარით ჰქონდეს საპროცესო უფლებები და მოვალეობები. მაგრამ ყველა პირს არ გააჩნია უნარი, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში თავისი უფლებები, მათ შორის, დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს, ე. ი. ყველა პირს არ გააჩნია საპროცესო ქმედუნარიანობა.

იმის თაობაზე, თუ ვის შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში ასეთი პირების წარმომადგენლებად, იზრუნა თვითონ

კანონმდებელმა. სწორედ ამიტომ ეწოდება ასეთ წარმომადგენლებს კანონიერი, კანონისმიერი წარმომადგენლები.

1. რომელი პირები განეკუთვნებიან ქმედუუნარო, აგრეთვე, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს? ამ კითხვაზე პასუხს შეიცავს სსკ 81-ე მუხლი (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

კანონიერი წარმომადგენლების უფლებამოსილების სპეციალური გაფორმება არ არის საჭირო. მათ სასამართლოს უნდა წარუდგინონ იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ისინი არიან კანონიერი წარმომადგენლები, კერძოდ, პასპორტი, რომელშიც არის შესაბამისი ჩანაწერი შვილების შესახებ, მცირეწლოვანის თუ არასრულწლოვანის დაბადების მოწმობა, შვილად აყვანის მოწმობა, მეურვეობის თუ მზრუნველობის დამადასტურებელი საბუთი. არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი იქნება ბავშვის დედა, თუ მამობა არაა დადგენილი, მაგრამ თუ მამობა დადგენილია, მაშინ კანონიერ წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდეს ერთ-ერთი მშობელი.

2. კანონიერი წარმომადგენლები სარგებლობენ ფართო საპროცესო უფლებებით. კანონიერი წარმომადგენლობა, ავტომატურად, სპეციალური უფლებამოსილების გარეშე, ანიჭებს მათ უფლებას ცნონ სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე, დაამთავრონ საქმე მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილება, მოითხოვონ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და ა. შ.

ამასთან ერთად, კანონი შეიცავს შეზღუდვებსაც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე მეურვეს უფლება არა აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს – სამზრუნველო პირის სახელით დათანხმდეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, თხოვებას, სამეურვეო ან სამზრუნველო პირის კუთვნილ უფლებებზე უარის თქმას და ა. შ.

ამ მხრივ, მთელ რიგ შეზღუდვებს შეიცავს სამოქალაქო კოდექსის 1296-ე და 1297-ე მუხლები.

აქ მითითებული მუხლების ანალიზიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სასამართლომ არ უნდა მიიღოს მეურვისა და მზრუნველის მიერ სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა ან საქმის მორიგებით დამთავრება, თუ ამის შესახებ არ არსებობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების წინასწარი თანხმობა, გამოხატული წერილობითი ფორმით.

კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებს გარეთ, რაც ქმედუუნარო და შეზღუდულქმედუნარიანი პირების ინტერესების დაცვისთვისაა გათვალისწინებული, კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ შეასრულონ ყველა საპროცესო მოქმედება, რომელთა შესრულების უფლება აქვთ მათ წარმომდგენთ.

3. სსკ 101-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში შეუძლიათ წარმომადგენლებად მონაწილეობდნენ პროცესში პირები, რომლებსაც სამართავად გადაეცათ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ქონება (სსკ 320-ე მუხლის პირველი ნაწილი), აგრეთვე, სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირები.

4. მართალია, სსკ 101-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია საქმის წარმოება სასამართლოში მიანდოს ადვოკატს, მაგრამ ამ მუხლით დადგენილი წესი უნდა გავიგოთ უფრო ფართოდ და აღვნიშნოთ, რომ მას შეუძლია საქმის წარმოება, გარდა ადვოკატისა, მიანდოს ნებისმიერ პირს, რომელიც შეიძლება გამოვიდეს პროცესში წარმომადგენლად (სსკ 94-ე მუხლი).

– სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სარჩელი აღიძვრის ქმედუუნარო პირის წინააღმდეგ ან ქმედუუნარო პირის მიერ, რომელსაც არა ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს თვითონ შეუძლია დანიშნოს დროებითი საპროცესო წარმომადგენელი (სსკ 82-ე მუხლი).

კარი მესამე

სასამართლო მტკიცებულებები

თ ა ვ ი XIII

მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

მუხლი 102. მტკიცების ტვირთი. მტკიცებულებათა დასაშვებობა

1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

1. სსკ 102-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ **რომელი გარემოებები უნდა დამტკიცდეს** სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით (მტკიცების საგანი) და ვინ, ე. ი. რომელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ეს გარემოებები (მტკიცების ტვირთი).

– **მტკიცების საგნის** განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სარჩელს და მოპასუხის შესაგებელს: მტკიცების საგანს შეადგენენ ფაქტები, რომლებზეც მოსარჩელე და მოპასუხე ამყარებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებსა და სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელს. კიდევ უფრო მკაფიოდ ეს პოზიცია გამოკვეთილია

სსკ მე-4 მუხლის პირველ ნაწილში რომლის თანახმად, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

არ არის გამორიცხული, რომ მხარეებმა თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასაბუთებისათვის მიუთითონ ისეთ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებსაც სინამდვილეში არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ მათი დასაბუთებისათვის. მაგალითად, მოსარჩელე, რომელიც მოითხოვს მოპასუხისაგან სესხის სახით გაცემული თანხის უკან დაბრუნებას, ამ მოთხოვნას ასაბუთებს არამარტო იმით, რომ მან სესხის სახით ნამდვილად გადასცა გარკვეული თანხა მოპასუხეს, რომლის დაბრუნების ვადა უკვე დადგა, არამედ იმითაც, რომ ამ სესხის დაბრუნებას მისთვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, რის დასადასტურებლადაც იგი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დაკითხონ მოწმეები. ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული კრედიტორის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ვალდებულება უნდა შესრულდეს, თუ იგი ნამდვილად არსებობს, მიუხედავად კრედიტორის ეკონომიკური მდგომარეობისა. ამიტომ, ასეთი ფაქტის დამტკიცებას არა აქვს მნიშვნელობა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე **მტკიცების საგნის განსაზღვრის** დროს უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ სარჩელისა და შესაგებლის დასაბუთებისათვის მითითებული ფაქტებით, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არის ისეთი ფაქტები, რომლებსაც კანონის თანახმად არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა ამ მოთხოვნებისა და შესაგებლის დასაბუთებისათვის, ე. ი. იურიდიულად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნებს, სასამართლომ არ უნდა შეიტანოს ასეთი ფაქტები მტკიცების საგანში და არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები მათ დასადასტურებლად.

– სსკ 102-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს მხარეთა შორის **მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილების** ზოგად წესს: მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს გარემოებე-

ბი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ – გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის შესაგებელს.

ამრიგად, მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრება მხარეებს და ეს **ტვირთი თანაბრად ნაწილდება მათ შორის**. ხშირად, მითითებას იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტები უნდა დაამტკიცოს, განსაზღვრავს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. თუ არამფლობელმა მესაკუთრემ აღძრა ვინდიკაციური სარჩელი მფლობელის მიმართ ნივთის გამოთხოვის შესახებ, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არის სადავო ნივთის მესაკუთრე, ე. ი. ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, რადგან მოპასუხე ივარაუდება მესაკუთრედ. მაგრამ, თუ მოსარჩელემ დაამტკიცა თავისი საკუთრება სადავო ნივთზე, მაშინ მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ფლობს სადავო ნივთს კანონის საფუძველზე. სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული პრეზუმფციის (ვარაუდის) საპროცესო მნიშვნელობა მთლიანად ამოიწურება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებით. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილება მატერიალური სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებიდან გამომდინარე სარჩელებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ რეგულირდება კანონით, რაც საშუალებას მისცემს სასამართლოს ზუსტად განსაზღვროს, თუ რომელი ფაქტები განეკუთვნება სარჩელის საფუძველში შემავალ ფაქტებს, რომლებიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს და რომელი ფაქტები განეკუთვნება შესაგებლის საფუძველს, რომლებიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს.

მაგალითად, მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს გარკვეული თანხის დაკისრებას იმ საფუძვლით, რომ მან სესხად გადასცა მას ეს თანხა და დადგა მისი დაბრუნების დრო, მაგრამ მოპასუხე არ აბრუნებს თანხას. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს სესხის მიცემის ფაქტი, სესხის დაბრუნების ვადის დადგომის ფაქტი, მაგრამ იგი არ არის ვალდებული, დაადასტუროს მტკიცებულებებით (დაამტკიცოს), რომ მო-

პასუხეს არ დაუბრუნებია ვალი. ვალის დაბრუნების ფაქტი, თუ მოპასუხე ამ ფაქტზე ამყარებს თავის შესაგებელს, უნდა დაადასტუროს მოპასუხემ. მას ეკისრება ამ ფაქტის, ან სხვა ისეთი ფაქტების დადასტურების ტვირთი, რომლებსაც შეუძლიათ გააქარწყლონ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა. ეს იმას ნიშნავს, რომ **ფაქტების მითითების ტვირთი და ამ ფაქტების მტკიცების ტვირთი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს**.

2. სსკ 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრეს. საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს აქ მითითებული მტკიცების ნებისმიერი საშუალება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

3. სსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამკვიდრებს მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპს, რომლის თანახმად, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად დაიშვება არა ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მითითებულია სსკ 102-ე მუხლის მე-2 ნაწილში, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია **სანოტარო წესით** დამოწმებული საბუთი და შემძენის **რეგისტრაცია** საჯარო რეესტრში. აქედან გამომდინარე, უძრავი ნივთის შეძენის ფაქტის დადასტურებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულება. ამავე კოდექსის 593-ე მუხლის თანახმად, მიწის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. თუ ეს ფორმა არ არის დაცული, მაშინ ივარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით. აქედან გამომდინარე, მხარემ, რომელიც მიუთითებს, რომ ხელშეკრულება დადებულია გარკვეული ვადით, სასამართლოს უნდა წარუდგინოს წერილობითი ხელშეკრულება. სხვა სახის მტკიცებულებებით ამ ფაქტის დადასტურება დაუშვებელია.

მუხლი 103. მტკიცებულებათა შეგროვება

1. მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

2. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.

3. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

1. ფაქტების მტკიცების ტვირთი (მოვალეობა) ეკისრებათ მხარეებს. ამ ტვირთისაგან გასათავისუფლებლად მხარეებმა სასამართლოს უნდა წარუდგინონ მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ფაქტის დადასტურება და რომლებსაც სასამართლო უტყუარად და სარწმუნოდ მიიჩნევს.

სსკ 103-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან დებულებას, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, რა თქმა უნდა, თუ მათ ასეთი მტკიცებულებები გააჩნიათ. სასამართლოს მხრიდან ასეთი შეთავაზება უნდა ემსახურებოდეს სიმართლის გარკვევას და არ უნდა კეთდებოდეს რომელიმე მხარისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით (სსკ 203-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. იმისათვის, რომ სასამართლომ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულება, აუცილებელია ორი პირობის ერთდროულად არსებობა: ა) მხარეებმა თვითონ ვერ შეძლეს მტკიცებულების მიღება ამა თუ იმ პირისაგან, სულ ერთია, ფიზიკური პირი იქნება ის თუ იურიდიული. მაგალითად, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, მხარემ ვერ მიიღო წერილობი-

თი მასალები ამა თუ იმ სამინისტროდან; ბ) მხარეებმა მიმართეს სასამართლოს შუამდგომლობით, რომ მან გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი და თვითონ გამოითხოვოს ეს მტკიცებულებები.

ცხადია, რომ მხარე, რომელიც ასეთი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, ვალდებულია მიუთითოს, თუ კონკრეტულად რომელი ფაქტის დადასტურებისათვის სჭირდება მას ეს მტკიცებულება (სსკ104-ე მუხლი).

3. სსკ 102-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი მტკიცებულებები ერთმანეთისაგან განსხვავებული და მტკიცების დამოუკიდებელი საშუალებებია. **კანონი ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრავს** მათი მიღების, შეგროვებისა და შემოწმების წესებს. სასამართლო ვალდებულია ზუსტად დაიცვას ეს წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მტკიცებულებას არ შეიძლება რაიმე **მნიშვნელობა მიენიჭოს** – იგი ვერ იქნება გამოყენებული როგორც მტკიცებულება.

მაგალითად, მოწმე უნდა გამოიძახოს და დაკითხოს საქმის განმხილველმა სასამართლომ (სსკ 145-ე მუხლი), მაგრამ თუ მოწმე დაკითხა თვითონ დაინტერესებულმა მხარემ ან მისმა წარმომადგენელმა და დაკითხვის მასალები წარუდგინეს სასამართლოს, ეს იქნება **კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება**, რომელიც არ უნდა მიიღოს და შეაფასოს სასამართლომ.

მუხლი 104. მტკიცებულებათა მიუღებლობა

1. სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

2. მტკიცებულებათა მიუღებლობის, გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება. მაგრამ შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილებასთან ერთად.

1. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად შევხვდებით საქმეებს, რომლებიც გადატვირთულია ისეთი მასალებით, რომლებსაც ამ საქმის გადაწყვეტისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. ეს დროის უნაყოფოდ ხარჯვაა და საკმაოდ ართულებს სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის შემოწმების შესაძლებლობას ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ.

სასამართლომ უნდა მიიღოს მხოლოდ ისეთი მტკიცებულება, რომელიც საქმეს ეხება და რომელსაც შეუძლია დაადასტუროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება.

– **მტკიცებულებათა განკუთვნადობის პრინციპის** კონკრეტული გამოვლინებაა წესი, რომლის თანახმად, წერილობითი საბუთის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია მიუთითოს, თუ რომელი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით (სსკ 134-ე მუხლის მე-3 ნაწილი). იგივე წესია ჩამოყალიბებული სხვა სახის მტკიცებულებათა მიმართ (140-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

– ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ **მტკიცებულებათა განკუთვნადობა** და მტკიცებულებათა **უტყუარობა (სარწმუნოობა).** მტკიცებულებათა განკუთვნადობა უზრუნველყოფს საჭირო და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების შეგროვებას, ზედმეტი და გამოუსადეგარი მტკიცებულებების შეგროვებაზე და შემოწმებაზე დროის ფუჭად ხარჯვის თავიდან აცილებას. განკუთვნადია მხოლოდ ისეთი მტკიცებულება, რომელიც მიმართულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადასტურებისაკენ. სხვა საკითხია, რომ განკუთვნადი და სწორად მიღებული მტკიცებულება შემდგომში შემოწმებისა და შეფასების შედეგად არ აღმოჩნდა უტყუარი და სარწმუნო. ასეთ მტკიცებულებებს სასამართლო ვერ დაეყრდნობა არა იმიტომ, რომ ისინი არ არის განკუთვნადი, არამედ იმიტომ, რომ ისინი **არ არის სარწმუნო და უტყუარი**.

– სასამართლოს შეუძლია საქმიდან ამოიღოს შეცდომით მიღებული არაგანკუთვნადი მტკიცებულება, მაგრამ ის ვერ ამოიღებს საქმიდან ისეთ მტკიცებულებას, რომელიც განკუთვნადია, მაგრამ არ არის სარწმუნო.

2. სასამართლოს განჩინებაში მტკიცებულების მიღება-

ზე ან გამოთხოვაზე უარის თქმის ან კიდევ, შეცდომით მიღებული მტკიცებულების საქმიდან ამოღების შესახებ, მითითებული უნდა იყოს ფაქტზე (ფაქტებზე), რომლის დასადასტურებლადაც ეს მტკიცებულებაა წარდგენილი და რომელსაც ამ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, სასამართლომ არ მიიღო ან საქმიდან ამოიღო მრავალრიცხოვანი ცნობები, რეკომენდაციები და დახასიათებები, რომლებიც მართალია დადებითად ახასიათებენ მხარის პიროვნებას, მაგრამ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ იმ საკითხის გადასაწყვეტად, უნდა დაეკისროს თუ არა ამ მხარეს ვალის გადახდა, ზიანის ანაზღაურება და ა. შ. მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ.

მუხლი 105. მტკიცებულებათა შეფასება

1. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

2. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

3. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

1. მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) სახეები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, ამომწურავადაა განსაზღვრული კანონით (სსკ 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი). არცერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით. არცერთ მტკიცებულებას არა აქვს, აგრეთვე, წინასწარ დადგენილი ძალა სასამართლოსათვის. ერთმანეთისაგან უნდა

განვასხვავოთ მტკიცებულებათა დასაშვებობა და მათი წინასწარ დადგენილი ძალა. **დასაშვებობა** ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად დაიშვება არა ყველა, არამედ მხოლოდ ზოგიერთი მტკიცებულება (სსკ 104-ე მუხლის პირველი ნაწილი). **წინასწარ დადგენილი ძალა** კი ნიშნავს **იმას**, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების მნიშვნელობა წინასწარაა განსაზღვრული და მისი ძალა და მნიშვნელობა სასამართლოს შეფასებაზე არ არის დამოკიდებული. ცხადია, ასეთი რამ დაუშვებელია, რადგან იგი მთლიანად შეუთავსებელია **მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპთან**. აქედან გამომდინარე, დასაშვები მტკიცებულება შეიძლება უარყოს სასამართლომ, როგორც არასარწმუნო.

2. მტკიცებულებებს სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საქმეში მონაწილე პირებს არ შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები მათ შესახებ. სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე და აქედან გამომდინარე, მხარეებს უფლება აქვთ უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები (სსკ მე-4 მუხლი). საქმეში არსებული მტკიცებულებების სარწმუნოობისა თუ არასარწმუნოობის, მათი უტყუარობისა თუ სიყალბის შესახებ მოსაზრებები შეიძლება გამოთქვან არამარტო მხარეებმა, არამედ მესამე პირებმაც დამოუკიდებელი მოთხოვნით ან ასეთი მოთხოვნის გარეშე, აგრეთვე, წარმომადგენლებმა, სპეციალისტებმა და ექსპერტებმა, თუ ისინი მონაწილეობენ პროცესში.

საქმეში მონაწილე პირთა მოსაზრებები, მნიშვნელოვანია სასამართლოსათვის, რომელიც საბოლოოდ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

– მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით: – მათი სარწმუნოობისა თუ არასარწმუნოობის თვალსაზრისით და იმისდა მიხედვით თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ეს მტკიცებულება.

მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით არ ნიშნავს სრულიად **უანგარიშგებო** დასკვნე-

ბის გაკეთების უფლებას. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებაზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები – არასარწმუნოდ (სსკ 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

საკასაციო სასამართლო, როგორც წესი, ყოველთვის აუქმებს გადაწყვეტილებას, თუ მასში არ არის მითითებული რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სასამართლო, როცა საქმეში არსებული მტკიცებულება შეაფასა ასე და არა სხვანაირად.[18]

მუხლი 106. ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს;

ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ;

გ) ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

[18] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002, №8, გვ.358, აგრეთვე, გვ.365

1. მტკიცების საგანში შემავალი ყოველი ფაქტი, ე. ი. ფაქტები, რომლებიც ასაბუთებენ მოსარჩელის მოთხოვნას და მოპასუხის შესაგებელს, უნდა დამტკიცდეს, დადასტურდეს. გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს ზოგიერთი ფაქტი, რომელიც თუმცა შედის მტკიცების საგანში, რადგან ასაბუთებს, ამართლებს ფაქტობრივად მოსარჩელის მოთხოვნას ან მოპასუხის შესაგებელს, მაგრამ გარკვეული მოსაზრებების გამო არ საჭიროებს დამტკიცებას და ამიტომ, მხარეები **თავისუფლდებიან** მტკიცებულებათა წარდგენისაგან.

ასეთი ფაქტების წრეს განეკუთვნება:

ა) **საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები**. არ არის აუცილებელი, რომ ფაქტის არსებობა-არარსებობის შესახებ მთელმა კაცობრიობამ იცოდეს. ფაქტი შეიძლება ცნობილი იყოს მთელი ქვეყნის, ქალაქის ან რაიონის მასშტაბით, მაგალითად, მიწისძვრა, წყალდიდობა, ომი და ა. შ. მთავარია, რომ ფაქტის შესახებ იცოდეს არამარტო საქმის განმხილველმა სასამართლომ, არამედ ადამიანთა ფართო წრემაც, რათა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეეძლოს ფაქტის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების სისწორის შემოწმება.

ფაქტი შეიძლება საყოველთაოდ ცნობილად და მაშასადამე, დადგენილად ჩათვალოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომაც, რომელიც განიხილავს საჩივარს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც ემყარება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს.

ბ) **პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტები** ისეთი ფაქტებია, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით – სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში იგივე პირები, ე. ი. იგივე მოსარჩელე, იგივე მოპასუხე, ან იგივე მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, თუ ერთ-ერთი მხარე მაინც სხვა პირია, გადაწყვეტილებას არ შეიძლება ჰქონდეს პრეიუდიციული ძალა და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები ვერ დაედება საფუძვლად სხვა საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ, ასეთ შემთხვევაში, იგივე ფაქტები, რაც დადგენილია სხვა საქმეზე ადრე გამოტა-

ნილი გადაწყვეტილებით, ხელმეორედ უნდა დადგინდეს და დადასტურდეს.

გადაწყვეტილების პრეიუდიციული ძალის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსკ 246-ე და 266-ე მუხლებში.

საკასაციო სასამართლო ყოველთვის აუქმებს გადაწყვეტილებას, თუ სასამართლომ სსკ 106-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ დამტკიცებულად არ ჩათვალა ფაქტები, რომლებიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაა დადგენილი სხვა საქმეზე, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობდნენ.[19]

გ) დამტკიცებას არ საჭიროებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილი შემდეგი ფაქტები:

1. **ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი**, მაგალითად, ხანძარს და 2. **ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება** იმ პირმა, რომლის მიმართ აღძრულია სამოქალაქო საქმე (მაგალითად, ხანძრით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ) და ვის მიმართაც გამოტანილი იყო განაჩენი.

ფაქტებს, რომლებიც დადგენილია არა განაჩენით, არამედ საგამოძიებო ორგანოების თუ ადმინისტრაციული აქტებით, არა აქვთ პრეიუდიციული ძალა და ისინი სამოქალაქო საქმის განხილვის დროს დადგენილი უნდა იქნეს საერთო წესით.

მუხლი 107. სასამართლო დავალებანი

1. თუ მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ გამოსათხოვი ან შესამოწმებელი მტკიცებულებები სხვა ქალაქში ან რაიონშია და მათი წარმოდგენა თუ შემოწმება საქმის განმხილველ სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია, სასამართლოს შეუძლია დასაბუთებული განჩინებით მტკიცებულებათა შეგროვება (შემოწმება) დაავალოს იმ სასამართლოს, რომლისთვისაც ტერიტორიულად ეს უფრო მოსახერხებელია.

[19] იხ.სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003,№10,გვ.1718

2. სასამართლო დავალების შესახებ სასამართლო განჩინებაში მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს განსახილველი საქმის შინაარსი, დასადგენი გარემოება და მტკიცებულებანი, რომლებიც უნდა შეაგროვოს (შეამოწმოს) დავალების შემსრულებელმა სასამართლომ, აგრეთვე დავალების შესრულების ვადა.

3. სასამართლო დავალების შესახებ განჩინების შესრულება სავალდებულოა და იგი უნდა შესრულდეს დანიშნულ ვადაში.

1. სასამართლო დავალების შესახებ განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: ა) მტკიცებულება, რომლის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობს მხარე, სხვა ქალაქში ან რაიონშია და ბ) მისი წარმოდგენა (გადმოგზავნა) ძნელია ან შეუძლებელია.

სასამართლო დავალებით შეიძლება მოხდეს: ა) მტკიცებულებათა შეგროვება საქმის განმხილველი სასამართლოსათვის მათი შემდგომი გადმოგზავნის მიზნით (მაგალითად, მოწმის დაკითხვა, მხარეებისგან ან მესამე პირებისაგან ახსნა-განმარტების მიღება და ა. შ.); ბ) მტკიცებულებათა შემოწმება, კერძოდ, მათი ადგილზე დათვალიერება.

2. სსკ 107-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს დავალების შესახებ სასამართლო განჩინების შინაარსს, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორია დავალების ხასიათი, განჩინებაში მითითებული უნდა იყოს სხვა დამატებითი გარემოებებიც. მაგალითად, თუ მხარისაგან მისაღებია ახსნა-განმარტება, სასამართლომ თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს მისი მისამართი, თუ მოწმეა დასაკითხი, მითითებული უნდა იქნეს მისი მისამართი, ხოლო თუ ჩასატარებელია ადგილზე დათვალიერება, განჩინებაში მითითებული უნდა იყოს მხარეთა მისამართები და ა. შ.

ამრიგად, განჩინება სასამართლო დავალების შესახებ უნდა შეიცავდეს ყველა იმ მონაცემს, რაც შეიძლება საჭირო გახდეს დავალების შესასრულებლად. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სასამართლო დავალების დროს საპროცესო მოქმედებას ასრულებს არა ის სასამართლო,

რომელიც იხილავს საქმეს, არამედ სხვა სასამართლო. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, საპროცესო მოქმედება, თუ არსებობს ამის რეალური შესაძლებლობა, უნდა შესრულდეს ისევე, როგორც მას შეასრულებდა საქმის განმხილველი სასამართლო (სსკ 108-ე მუხლი).

სასამართლო დავალებით შესასრულებელი საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს დავალების მიმცემი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. ვადა კი უნდა იყოს გონივრულად განსაზღვრული – იმის გათვალისწინებით, თუ რა ხასიათისაა შესასრულებელი საპროცესო მოქმედება.

3. მართალია, დავალების შესრულება სავალდებულოა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სასამართლო ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ შეასრულებს ამ დავალებას, ან შეასრულებს, მაგრამ არა იმ ვადაში, რომელიც დაუნიშნა მას დავალების მიმცემმა სასამართლომ.

თუ სასამართლო დანიშნულ დროში ან საერთოდ ვერ ასრულებს დავალებას, ამის შესახებ მან დროულად უნდა აცნობოს დავალების მიმცემ სასამართლოს, რომელიც ან სხვა სასამართლოს დაავალებს საპროცესო მოქმედების შესრულებას, ან თვითონ შეასრულებს მას.

მუხლი 108. სასამართლო დავალების შესრულების წესი

1. სასამართლო დავალებას მოსამართლე ასრულებს ერთპიროვნულად.

2. დავალების შესრულების დროს შეკრებილი ყველა მასალა დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს საქმის განმხილველ სასამართლოს. თუ სასამართლო დავალებით უნდა მოხდეს ადგილზე დათვალიერება, დავალების შემსრულებელი მოსამართლე აცნობებს მხარეებს ადგილზე დათვალიერების დროსა და ადგილს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს დათვალიერების ჩატარებას.

3. თუ მხარეები ან მოწმეები, რომლებმაც ახსნა-განმარტებები ან ჩვენებები მისცეს და-

ვალების შემსრულებელ მოსამართლეს, გამოცხადდებიან საქმის განმხილველ სასამართლოში, ისინი ახსნა-განმარტებებსა და ჩვენებებს მისცემენ საერთო წესით.

1. სსკ 108-ე მუხლით განსაზღვრულია სასამართლო დავალების შესრულების წესი. მხოლოდ ადგილზე დათვალიერების დროს ევალება დავალების შემსრულებელ მოსამართლეს აცნობოს ამის შესახებ მხარეებს. სხვა საპროცესო მოქმედების შესრულების დროს, მაგალითად, მოწმის დაკითხვისას, სსკ 108-ე მუხლი არ ითვალისწინებს მხარეთა შეტყობინებას. მიუხედავად ამისა, სასურველია, რომ დავალების შემსრულებელმა სასამართლომ **ყველა საპროცესო მოქმედება** შეასრულოს საპროცესო **კანონმდებლობით დადგენილი წესით**, რა თქმა უნდა, თუ ამის რეალური შესაძლებლობა არსებობს.

დავალების შემსრულებელმა სასამართლომ მხარეების, მოწმეების, მესამე პირების, სპეციალისტების თუ ექსპერტების გამოძახება უნდა აწარმოოს სასამართლო უწყებით, სსკ 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

2. დავალების მიმცემმა, ანუ საქმის განმხილველმა სასამართლომ საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ კანონით დადგენილი წესით უნდა აცნობოს იმ პირებსაც, რომლებმაც უკვე მისცეს ჩვენება თუ ახსნა-განმარტება დავალების შემსრულებელ სასამართლოს. ამის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მათ შეუძლიათ ახსნა-განმარტება და ჩვენება მისცენ განმეორებით და საერთო წესის დაცვით.

3. სასამართლო დავალების მიცემა საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოებისათვის წესრიგდება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-64-ე მუხლებით.

თ ა ვ ი XIV

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

მუხლი 109. შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ

1. იმ პირს, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა.

2. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია სასამართლოში საქმის აღძვრამდეც.

1. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა უნდა განვასხვავოთ სარჩელის უზრუნველყოფისაგან. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია მომავალი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (სსკ 191-ე მუხლი), მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზანი კი საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის უზრუნველყოფაა.

– მტკიცებულებათა უზრუნველყოფის აუცილებლობა შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით იყოს განპირობებული (მაგ. მოწმის ხანგრძლივი ვადით წასვლა მივლინებაში ან სამუშაოდ სხვა ქვეყანაში), რომლებიც მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარის განცხადებაში (სსკ 112-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

– მტკიცებულებათა უზრუნველყოფა განსხვავდება სასამართლო დავალებისაგან. სასამართლო დავალებით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება და შემოწმება იმ შემთხვევაში, როცა მათი წარდგენა და შემოწმება საქმის განმხილველ სასამართლოში ძნელია ან შეუძლებელია (სსკ 107-ე მუხლი).

სასამართლო დავალების წესით შეიძლება მოხდეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაც.

– მტკიცებულებათა უზრუნველყოფა უნდა მოხდეს საქმის მომზადების სტადიაზე. საქმის მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვის დროს სასამართლო ისედაც ვალდებულია შეამოწმოს და შეაფასოს მტკიცებულებები, თუმცა არ არის გამორიცხული მთავარ სხდომაზეც დაისვას ეს საკითხი (სსკ 111-ე მუხლი), რაც სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სსკ 215-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

2. თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სასამართლოში საქმის აღძვრამდე, მაშინ დაინტერესებულ პირს შეუძლია განცხადებით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება უზრუნველყოფის მიზნით, ანუ იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება უზრუნველსაყოფი მტკიცებულება (სსკ 110-ე მუხლი).

მუხლი 110. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სასამართლოში საქმის აღძვრამდე

მტკიცებულებათა უზრუნველყოფას სასამართლოში საქმის აღძვრამდე ახდენს იმ რაიონის (ქალაქის) მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება უზრუნველყოფის მიზნით (მოწმის დაკითხვა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათალიერება და ა.შ.)

თუ სარჩელი აღძრულია სასამართლოში, მაშინ დაინტერესებულმა პირმა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობით უნდა მიმართოს საქმის განმხილველ სასამართლოს, რომელიც თვითონ შეასრულებს შესაბამის საპროცესო მოქმედებას, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით დაავალებს სხვა სასამართლოს შეასრულოს ასეთი მოქმედება (სსკ 107-ე მუხლი).

მაგრამ, თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სასამართლოში საქმის აღძვრამდე, მაშინ დაინტე-

რესებულ პირს შეუძლია მიმართოს იმ რაიონის (ქალაქის)სასამართლოს ან ამ რაიონის (ქალაქის) მაგისტრატ მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს საპროცესო მოქმედების შესრულება (მაგ. მოწმის დაკითხვა, ადგილზე დათვალიერება და ა. შ.). სარჩელის აღძვრის შემდეგ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შეკრებილი მასალები გადაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს (სსკ 116-ე მუხლი). გადაგზავნა შეიძლება მოხდეს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც.

მუხლი 111. განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ

1. განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით. ასეთი განცხადების ზეპირი ფორმით წარდგენა დასაშვებია სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

2. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ ზეპირი განცხადებით აღძრული შუამდგომლობა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

1. თუ დაინტერესებული პირი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის თაობაზე ჯერ კიდევ სასამართლოში საქმის აღძვრამდე, ცხადია, რომ მან უნდა მიმართოს სასამართლოს წერილობითი განცხადებით. მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფის თაობაზე საკითხი აღიძვრის საქმის მომზადების სტადიაზე.

– მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მხარემ უნდა მიმართოს სასამართლოს საქმის მომზადების სტადიაზე. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს სასამართლო ისედაც ვალდებულია შეამოწმოს მხარის მიერ წარდგენილი და სასამართლოს მიერ შეკრებილი

ყველა მტკიცებულება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მთავარ სხდომაზეც დაისვას ეს საკითხი.

2. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ მხარეებმა მტკიცებულებები უნდა წარუდგინონ სასამართლოს ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე (სსკ 200-203-ე მუხლები). დაგვიანებით წარდგენილი მტკიცებულებები და აღძრული შუამდგომლობები სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს და არ დააკმაყოფილოს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარის მიერ ზეპირად განცხადებული შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ, მართალია, შეიტანება სხდომის ოქმში, მაგრამ სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა (სსკ 215-ე მუხლი). სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განცხადებული ზეპირი შუამდგომლობაც შეიტანება ამ სხდომის ოქმში.

მუხლი 112. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შინაარსი

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს:

ა) მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია;

ბ) გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი;

გ) მიზეზები, რომლებმაც აიძულა განმცხადებელი მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ;

დ) მოწინააღმდეგე მხარის გვარი, სახელი და მისამართი, თუ განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შეტანილია სასამართლოში საქმის აღძვრამდე და განმცხადებელმა

იცის, თუ ვინ შეიძლება იყოს მოწინააღმდეგე მხარე.

1. გარდა ყველა იმ მონაცემისა, რომელსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი მიმართული ნებისმიერი განცხადება (შუამდგომლობა), განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გაკეთებული, **მოტივირებული უნდა იყოს**, რათა სასამართლოს შეეძლოს გადაწყვიტოს უზრუნველსაყოფი მტკიცებულების დასაშვებობისა და განკუთვნადობის საკითხი (სსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 104-ე მუხლი).

კერძოდ, განმცხადებელმა უნდა მიუთითოს: არა მარტო მტკიცებულებაზე, რომლის უზრუნველყოფასაც იგი მოითხოვს არამედ სად იმყოფება ან მდებარეობს ეს მტკიცებულება.

მტკიცებულებათა გამოთხოვა საერთოდ და მით უფრო, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ მტკიცებულებით შეიძლება დადასტურდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოება, ე. ი. გარემოება, რომელიც ასაბუთებს მოსარჩელის მოთხოვნას ან მოპასუხის შესაგებელს.

აქედან გამომდინარე, იმ გარემოებაზე მითითება, რომლის დასადასტურებლად საჭიროა უზრუნველყოფა, წარმოადგენს განცხადების განხილვის წინაპირობას.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შესასრულებელი ღონისძიებების გასატარებლად არ კმარა მხოლოდ ის, რომ მტკიცებულებას მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. აუცილებელია, აგრეთვე, არსებობდეს **რეალური საშიშროება იმისა**, რომ ამ მტკიცებულების მოგვიანებით წარდგენა ან გამოყენება ძნელი ან შეუძლებელი გახდება. თუ ასეთი საშიშროება არ არსებობს, სასამართლომ უარი უნდა თქვას მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შესასრულებელი საპროცესო მოქმედება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით (სსკ 113-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ზოგჯერ, ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესახებ სა-

სამართლომ უნდა შეატყობინოს მხარეებს. სწორედ ამიტომაა, რომ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს მხარეები და მათი მისამართები, მაგრამ თუ უზრუნველყოფა სარჩელის აღძვრამდე უნდა განხორციელდეს, მაშინ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი მხარე და მისი მისამართი, რომლის წინააღმდეგაც მოსარჩელე აპირებს სარჩელის აღძვრას.

– მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით სასამართლომ შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა მოქმედება, კერძოდ, დაკითხოს მოწმე, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულება, დანიშნოს ექსპერტი და სხვა. ყველა ეს საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს კანონით დადგენილი წესით, რომელიც გათვალისწინებულია მოწმის დაკითხვისათვის, ადგილზე დათვალიერებისათვის, ექსპერტის დანიშვნისათვის და ა. შ. (სსკ 113-ე მუხლი), გარდა იმ გამონაკლისებისა, რაც გათვალისწინებულია სსკ 116-ე მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– ხარჯები, რაც აუცილებელია მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელიც ამას მოითხოვს (სსკ 52-ე და 118-ე მუხლები).

– თუ განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ არ პასუხობს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სასამართლოს შეუძლია სსკ 185-ე მუხლის ანალოგიით მისცეს ვადა განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად. ცხადია, რომ სასამართლოს შეუძლია არ გამოიყენოს კანონის ანალოგია და გამოიტანოს განჩინება მტკიცებულების უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ (სსკ 119-ე მუხლი).

მუხლი 113. სასამართლოს განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ

1. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მიუთითებს მისი წარმოების წესსა და საშუალებებზე.

2. საპროცესო მოქმედება, რაც საჭიროა მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად, უნდა შესრულდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

1. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომელიც უნდა შესრულდეს. მაგალითად, დაიკითხოს მოწმე, მიღებული იქნეს ახსნა-განმარტება მოპასუხისაგან, დაინიშნოს ექსპერტიზა, ჩატარდეს დათვალიერება, მოწვეულ იქნეს სპეციალისტი (სსკ 123-ე მუხლი) და ა. შ.

2. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში მითითებული მოქმედება, მაგალითად, მოწმის დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერება უნდა შესრულდეს ისე, როგორც ამას ითვალისწინებს სსკ-ის შესაბამისი მუხლები გამონაკლისების გარდა, რაც გათვალისწინებულია 114-ე 116-ე მუხლებით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

მუხლი 114. სპეციალისტის მონაწილეობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დროს

მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი 204-ე მუხლით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

– იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელი საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს, სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი.

– სპეციალისტი ვერ შეცვლის სასამართლოს (მოსამართლეს). იგი დამოუკიდებლად არავითარ საპროცესო მოქმედებას არ ასრულებს. მას შეუძლია მხოლოდ მონაწილეობა მიიღოს მოსამართლის მიერ ჩატარებულ საპროცესო მოქმედებაში – მისცეს მას კონსულტაციები თავისი სპეციალუ-

რი ცოდნის შესაბამისად და აღმოუჩინოს მას დახმარება საპროცესო მოქმედების სრულყოფილად ჩატარებაში (იხ. სსკ 204-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 115. მხარეთა მონაწილეობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში

1. მხარეებს ეცნობებათ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებას.

2. გადაუდებელ შემთხვევაში მტკიცებულებათა უზრუნველყოფა შესაძლებელია მხარეთათვის შეუტყობინებლადაც.

1. დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულებით ხდება მტკიცებულებათა უზრუნველყოფა (სსკ 113-ე მუხლი), მხარეებს უნდა ეცნობოთ ასეთი მოქმედების შესრულების დრო და ადგილი.

შეტყობინება უნდა მოხდეს უწყებით, რომელიც მხარეებს ეგზავნებათ სსკ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მასში უნდა აღინიშნოს საპროცესო მოქმედების ხასიათი და მიზანი.

2. მხარეთათვის შეტყობინების ვალდებულება აღარ არსებობს, თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა გადაუდებელია, რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში.

– გადაუდებელი შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც უზრუნველყოფას მოითხოვს **მალფუჭებადი ნივთიერი მტკიცებულებები**, მოწმის **მძიმე დაავადებით** გამოწვეული კრიზისული მდგომარეობა და სხვა.

მუხლი 116. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი მასალების სასამართლოში გადაგზავნა

1. ოქმები და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი ყველა მასალა გაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს.

2. თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მოხდა სასამართლოში საქმის აღძვრამდე, უზრუნველყოფის დროს შედგენილი ოქმი და სხვა მასალები შეინახება სასამართლოში, რომლებიც შემდგომ, მხარეთა თხოვნით ან თვით სასამართლოს ინიციატივით, გადაეგზავნება იმ სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს.

1. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შესრულებული საპროცესო მოქმედების ხასიათი და შინაარსი, აგრეთვე, მიღებული შედეგები უნდა აისახოს შესაბამის ოქმში. უზრუნველყოფის დროს შეიძლება შედგეს ნახაზები, მოხდეს ფოტოგრაფირება, ამოღებულ იქნეს ნიმუშები და ა. შ. ყველა ეს მასალა და მათ შორის ოქმი, უნდა გადაეცეს საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს). ასეთი გადაცემა (გადაგზავნა) შეიძლება მოხდეს მხარის შუამდგომლობით ან თვით მოსამართლის (სასამართლოს) ინიციატივით.

2. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა შეიძლება მოხდეს სასამართლოში საქმის აღძვრამდე (სსკ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი). საქმის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფას ახდენს ის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება (მდებარეობს) უზრუნველსაყოფი წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულება. ამ დროს შედგენილი ოქმები და სხვა მასალები დაინტერესებულ მხარეს კი არ უნდა გადაეცეს, არამედ შენახული უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც უზრუნველყოფა მოახდინა.

– სარჩელი შეიძლება აღიძრას სხვა სასამართლოში განსჯადობის წესების დაცვით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ, რომელმაც უზრუნველყოფის ღონისძიებები გაატარა

და რომელთანაც ინახება შესაბამისი ოქმები და სხვა მასალები, უნდა გადაუგზავნოს (გადასცეს) ისინი საქმის განმხილველ სასამართლოს. ასეთი გადაგზავნა შეიძლება მოხდეს დაინტერესებული მხარის შუამდგომლობით, აგრეთვე. თვით საქმის განმხილველი სასამართლოს ინიციატივით.

მუხლი 117. მტკიცებულებათა განმეორებითი ან დამატებითი უზრუნველყოფა

1. მხარეებს, იმისგან დამოუკიდებლად, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში, უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და მიუთითონ იმ ხარვეზებზე, რომლებსაც, მათი აზრით, ადგილი ჰქონდა უზრუნველყოფის დროს.

2. საქმის განხილვის დროს სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფა.

1. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გაეცნონ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შეკრებილ მასალებს და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამ მასალებისა და საერთოდ, უზრუნველყოფის მიზნით შესრულებული საპროცესო მოქმედების შესახებ.

2. მხარეთა დასაბუთებული შენიშვნები იმ ხარვეზების შესახებ, რომლებიც თან ახლდა უზრუნველყოფის მიზნით შესრულებულ საპროცესო მოქმედებას (მაგალითად, მოწმეს არ დაუსვეს შეკითხვა, რომლის გარკვევასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის) შეიძლება გახდეს მტკიცებულებათა დამატებითი უზრუნველყოფის საფუძველი.

– სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფა თავისი ინიციატივითაც.

– მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინე-

ბა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს თუ რა საკითხებია **დამატებით გასარკვევი**, ან რა მიზეზითაა განპირობებული მტკიცებულებათა განმეორებითი უზრუნველყოფა.

– ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მუხლი 118. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი

მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ასეთი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ ამ ხარჯების განაწილება მოხდება სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

1. როგორც წესი, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. ხარჯების ოდენობა შეიძლება იყოს სხვადასხვა იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის საპროცესო მოქმედებაა შესასრულებელი. აქ იგულისხმება მგზავრობის ხარჯები, ფოტოგადაღებებისა და ნახაზების შედგენის ხარჯები, სპეციალისტისათვის მისაცემი თანხები და სხვა. მოწინააღმდეგე მხარეს აუნაზღაურდება მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები, **თუ იგი ამას მოითხოვს**.

– მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს სასამართლო, რომელიც შეიძლება არ აღმოჩნდეს ზუსტი. საბოლოოდ დაზუსტებული ხარჯები განისაზღვრება უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩატარების შემდეგ. ამ ხარჯების და, საერთოდ, სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის უნდა მოხდეს სსკ 53-ე მუხლის შესაბამისად – საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

მუხლი 119. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება. მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მხოლოდ მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც განხილული უნდა იქნეს სსკ 414-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თ ა ვ ი XV

ადგილზე დათვალიერება

მუხლი 120. ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება

სასამართლოს, მხარეთა მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია დაადგინოს იმ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა წარდგენაც სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია.

– შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნივთიერი ან წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი სასამართლოში წარდგენა **ძნელია ან შეუძლებელი** (სსკ 138-ე და 159-ე მუხლები). სასამართლოში მტკიცებულებათა წარდგენის შეუძლებლობა ან სიძნელე შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით იყოს განპირობებული. მაგალითად, თუ აღძრულია სარჩელი ნათესების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ცხადია, რომ სასამართლოში მიწის ნაკვეთის წარდგენა, რომელზეც განლაგებულია ნათესები, შეუძლებელია. ან კიდევ, თუ დასადგენია დიდი ოდენობით ტვირთის დაზიანების ფაქტი, რომლის სასამართლოში წარდგენა ძნელია და დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. იგივე შეიძლება ითქვას წერილობით მტკიცებულებებზეც, თუ მათი რაოდენობა ძალიან დიდია, მათი სასამართლოში წარდგენა გამოიწვევს საწარმოს მუშაობის ჩაშლას, მაგალითად, როდესაც შესამოწმებელია საბუღალტრო წიგნები და ა. შ.

– ადგილზე დათვალიერება შეიძლება მოხდეს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივით.

– მხარეთა შუამდგომლობა (განცხადება) ადგილზე დათვალიერების შესახებ მოტივირებული უნდა იყოს, ე. ი. მასში

მითითებული უნდა იყოს თუ რა მიზეზებითაა განპირობებული ადგილზე დათვალიერების აუცილებლობა.

– საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადებისა და ამ საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, ადგილზე დათვალიერება უნდა მოხდეს საქმის მომზადების სტადიაზე (სსკ 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტი). მხარეთა მიერ დაგვიანებით აღძრული შუამდგომლობები ადგილზე დათვალიერების შესახებ სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს, თუ არ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც დროულად არ იქნა ასეთი შუამდგომლობა აღძრული (სსკ 215-ე მუხლი).

– ადგილზე დათვალიერების ჩატარების თუ მის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (121-ე მუხლი).

მუხლი 121. სასამართლოს განჩინება ადგილზე დათვალიერების შესახებ

1. ადგილზე დათვალიერების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს დათვალიერებისა და გამოკვლევის საგანი, აგრეთვე დათვალიერების დრო და ადგილი. ამ განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

2. მხარეებსა და მათს წარმომადგენლებს ეცნობებათ ადგილზე დათვალიერების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს დათვალიერების ჩატარებას.

3. აუცილებლობის შემთხვევაში ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება გამოიძახონ მოწმეები.

1. ადგილზე დათვალიერების შესახებ, დამოუკიდებლად იმისა, მხარეთა თხოვნით თუ სასამართლოს ინიციატივით ხდება ეს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლის შინაარსი განსაზღვრულია ამ მუხლის პირველი ნაწილით.

– განჩინება ადგილზე დათვალიერების შესახებ მიღე-

ბული უნდა იქნეს საქმის მომზადების სტადიაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმის განხილვის გაჭიანურება (სსკ 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). ადგილზე დათვალიერების შესახებ მხარეთა მიერ დაგვიანებით აღძრულ შუამდგომლობას სასამართლო არ დააკმაყოფილებს, თუ არ არსებობს ასეთი დაგვიანების საპატიო მიზეზი (სსკ 215-ე მუხლი).

– ადგილზე დათვალიერების ჩატარების შესახებ სასამართლოს მიერ მთავარ სხდომაზე გამოტანილი განჩინება იმაზე მიუთითებს, რომ საქმე თავის დროზე არ იყო სრულყოფილად მომზადებული.

2. მხარეებისა და მათი წარმომადგენლების მონაწილეობას მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერებაში უდავოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა: მათ შეუძლიათ მოსამართლის ყურადღება მიაქციონ დასათვალიერებელი ნივთების თუ წერილობითი მასალების ამა თუ იმ მხარესა და თვისებაზე. მათ მონაწილეობას მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე ადგილზე დათვალიერების სრულყოფილად ჩატარების დამაჯერებლობისათვის. ამიტომ, კანონით დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნა საჭიროა. დათვალიერება **აუცილებელია შედგეს და იგი არ უნდა გადაიდოს**, თუ ასეთი შეტყობინების მიუხედავად, მხარეები და მათი წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად.

3. მოწმეების გამოძახება დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შეუძლიათ რაიმე დახმარება გაუწიონ მოსამართლეს დათვალიერების სრულყოფილად ჩატარებაში. მაგალითად, მოწმეებად დასახელებულ პირებს, რომლებიც ესწრებოდნენ ან თვითონ უშუალოდ მონაწილეობდნენ ავტოტრანსპორტით გადმოგზავნილი ტვირთის გადმოზიდვაში, შეუძლიათ მოსამართლის ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ იყო განლაგებული ეს ტვირთი და საიდან შეიძლებოდა მომხდარიყო მათი დაზიანება.

4. ადგილზე დათვალიერების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება. ადგილზე დათვალიერების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ

სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც განხილული უნდა იქნეს სსკ 414-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 122. ადგილზე დათვალიერების ჩატარება

ადგილზე დათვალიერებას აწარმოებს საქმის განმხილველი მოსამართლე. თუ საქმეს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა იხილავს, ადგილზე დათვალიერების მოვალეობა, ამ სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შეიძლება დაეკისროს მის ერთ-ერთ წევრს.

თუ საქმეს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა იხილავს, ადგილზე დათვალიერების ჩატარება შეიძლება დაევალოს კოლეგიის ერთ-ერთ მოსამართლეს, ამ კოლეგიის თავმჯდომარის დავალებით, რომელიც მხედველობაში იღებს კოლეგიის მოსაზრებას. ასეთი დავალება შეიძლება მომდინარეობდეს კოლეგიიდანაც. საკითხები, რომლებიც შეიძლება გადაწყდეს მოსამართლის (ამ შემთხვევაში – კოლეგიის თავმჯდომარის) მიერ ერთპიროვნულად, შეიძლება გადაწყდეს, აგრეთვე, სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მიერაც.

მუხლი 123. სპეციალისტის მონაწილეობა ადგილზე დათვალიერებაში

1. ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი 204-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

2. სპეციალისტის მოწვევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლის გასაჩივრება არ დაიშვება.

1. სპეციალისტი არ არის ექსპერტი (სსკ 163-ე მუხლი) და იგი არ ატარებს ექსპერტიზას, არ წერს დასკვნას, რომელსაც ექნებოდა მტკიცებულების მნიშვნელობა. სპეციალისტის ძირითადი და მთავარი ფუნქციაა დახმარება აღმოუჩინოს მოსამართლეს დათვალიერების სრულყოფილად ჩატარებაში, მოსამართლის ყურადღება მიაპყროს ამა თუ იმ გარემოებაზე, შეადგინოს ნახაზები, მოახდინოს ფოტოგადაღებები და ა. შ. (სსკ 204-ე მუხლი). მისი რჩევები და კონსულტაციები შეიტანება დათვალიერების ოქმში, რომელიც გამოყენებული იქნება საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს როგორც მტკიცებულება.

2. განჩინება სპეციალისტის მოწვევის შესახებ შეიძლება გამოიტანოს ერთპიროვნულად იმ მოსამართლემ, რომელიც ატარებს, ან რომელსაც მინდობილი აქვს დათვალიერების ჩატარება. მხარეებს არ ერთმევათ უფლება იშუამდგომლონ სპეციალისტის მოწვევის შესახებ, მაგრამ ამ საკითხს საბოლოოდ წყვეტს მოსამართლე, რომელმაც თვითონ უნდა განსაზღვროს სჭირდება სპეციალისტის დახმარება თუ არა.

– აქედან გამომდინარე, სპეციალისტის მოწვევის თუ ასეთ მოწვევაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

– სპეციალისტის მოწვევა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან (სსკ 45-ე მუხლი), რომლებიც უნდა აანაზღაუროს ორივე მხარემ, თუ იგი სასამართლოს ინიციატივით იყო მოწვეული, ან იმ მხარემ, ვისი ინიციატივითაც იყო სპეციალისტი მოწვეული (სსკ52-ე მუხლი).

მუხლი 124. დათვალიერებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები

დათვალიერებაში მონაწილე მხარეებს, მოწმეებსა და სპეციალისტებს უფლება აქვთ მოსამართლის ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ გარემოებას, რომელსაც, მათი აზრით, აქვს მნიშვნელობა დათვალიერების სრულყოფილად ჩა-

სატარებლად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად.

– დათვალიერებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ მხოლოდ იმ პირებმა, რომლებიც მოწვეული არიან სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი წესით (სსკ 70-78-ე მუხლები). სასამართლო უწყებაში მითითებული უნდა იყოს დათვალიერების ადგილი, სადაც უნდა გამოცხადდეს მოწვეული პირი და გამოცხადების დრო (დღე, თვე, რიცხვი და საათი).

– დათვალიერების დაწყების წინ სასამართლომ უნდა განუმარტოს მოწვეულ პირებს მიზანი, რისთვისაც ისინი არიან მოწვეული, აგრეთვე, მათი უფლებები.

მუხლი 125. დათვალიერების ოქმის შინაარსი

1. დათვალიერების დროს უნდა შედგეს ოქმი (დათვალიერების ოქმი), რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) დათვალიერების ადგილი და ობიექტები;

ბ) დათვალიერებაში მონაწილე მხარეები, მოწმეები, სპეციალისტები;

გ) დათვალიერებაში მონაწილე პირების მოსაზრებები, მათი შენიშვნები;

დ) დათვალიერებისა და გამოკვლევის შედეგები.

2. ოქმს შეიძლება დაერთოს დათვალიერების დროს შედგენილი ან შემოწმებული გეგმები, ნახაზები, სურათები და ა. შ.

1. **დათვალიერების ოქმი არის მტკიცების საშუალება (მტკიცებულება).** ამიტომ, ოქმის სრულყოფილად შედგენას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მისი შინაარსი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს სსკ 125-ე მუხლის მოთხოვნებს.

– დათვალიერების შედეგებში იგულისხმება ფაქტები და გარემოებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მოცემული

კონკრეტული საქმის გადაწყვეტისათვის და რომლებიც დადგენილად (დადასტურებულად) ჩათვალა სასამართლომ ადგილზე დათვალიერების ჩატარების საფუძველზე.

– დათვალიერების შედეგად დადგენილი ფაქტები, ისევე როგორც ნებისმიერი მტკიცებულებით დადგენილი ფაქტები, შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

2. დათვალიერების დროს შედგენილი ან შემოწმებული გეგმების, ნახაზების, ფოტოსურათების და ა. შ. ოქმზე დართვას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ოქმით დადგენილი ფაქტების უტყუარობისა და დამაჯერებლობისათვის.

მუხლი 126. დათვალიერებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა

თუ დათვალიერება დაკავშირებულია ხარჯებთან, მხარემ, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დათვალიერების შესახებ, წინასწარ უნდა შეიტანოს შესაბამისი თანხა. თუ ადგილზე დათვალიერება სასამართლოს ინიციატივით ხდება, ეს ხარჯები ორივე მხარემ უნდა დაფაროს.

– მტკიცების ტვირთი (მოვალეობა) ეკისრებათ მხარეებს. ამ მოვალეობის შესასრულებლად მათ უნდა წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულებები. მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა დათვალიერება, შემოწმება და შეფასება ევალება სასამართლოს.

– აქედან გამომდინარე, თუ მხარე მიუთითებს მტკიცებულებებზე, რომელთა სასამართლოში წარდგენა შეუძლებელი ან ძნელია, სასამართლომ ადგილზე უნდა დაათვალიეროს და შეამოწმოს ისინი. თუ მხარე წინასწარ ვერ იხდის საამისო ხარჯებს, სასამართლომ მაინც უნდა დაათვალიეროს მტკიცებულებები და შემდეგ გადაწყვიტოს ხარჯების განაწილების საკითხი.

თ ა ვ ი XVI

მხარეთა ახსნა-განმარტება

მუხლი 127. მხარეთა ახსნა-განმარტების მიღება

1. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთა (მესამე პირთა, თანამონაწილეთა, კანონისმიერ წარმომადგენელთა) ახსნა-განმარტების მიღებით: მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებს მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ.

2. სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევასა და დადგენას, სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის ჩათვლა შეუსაბამოდ ან უადგილოდ და მისი მოხსნა შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, ხოლო როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავს, მაშინ – სხდომის თავმჯდომარეს.

1. მხარე – ეს არის პირი, რომელიც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის უშუალო მონაწილეა. ამიტომ, მან ყველაზე კარგად უნდა იცოდეს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, **როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებას თვლის მტკიცების ერთ-ერთ დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან წყაროდ** (სსკ 102-ე მუხლის მე – 2 ნაწილი).

– ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ მხარეთა ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც მოთხოვნის ჩამოყალიბებას, დაზუსტებას, თუ დაკონკრეტებას ემსახურება და

ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შეეხება. მტკიცებულებას წარმოადგენს მხარის ახსნა-განმარტების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა – არარსებობას ადასტურებს. იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტება – წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს ახსნა-განმარტების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს მითითებებს ფაქტების შესახებ.

– მხარე არის დაინტერესებული პირი და მისი **ჩვენება ფაქტების შესახებ ამ ინტერესით** იქნება განპირობებული. ასეთი ვითარება სასამართლოს ავალებს განსაკუთრებული ყურადღებით შეაფასოს მხარის ახსნა – განმარტება. მხარის ყოველი განმარტება ფაქტების შესახებ, რომელიც გაკეთებულია მის სასარგებლოდ, მაგალითად, მოპასუხის განმარტება იმის შესახებ, რომ მან შეასრულა ვალდებულება მოსარჩელის წინაშე, მართალია, არის მტკიცებულება, მაგრამ იგი **არასაკმარისი მტკიცებულებაა**, რომელიც **მოითხოვს დადასტურებას** სხვა მტკიცებულებების მეშვეობით. რაც შეეხება მხარის ახსნა – განმარტებას ფაქტის შესახებ, რომელიც გაკეთებულია მის საზიანოდ და **მოწინაღმდეგე მხარის სასარგებლოდ (აღიარება)** – ის უკვე არის საკმარისი მტკიცებულება და შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას (სსკ 131-ე მუხლი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლოებში ფართოდაა გავრცელებული პრაქტიკა, რომლის მიხედვით, ახსნა – განმარტებას **საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ** იძლევა არა უშუალოდ მხარე, რომელიც ესწრება საქმის განხილვას, არამედ მისი **წარმომადგენელი**, რაც არ შეესაბამება კანონს.

წარმომადგენელს აქვს ფართო საპროცესო უფლებები, მას შეუძლია გაანალიზოს საქმის მასალები, გამოთქვას თავისი მოსაზრებები საქმეში არსებული მტკიცებულებების უტყუარობის შესახებ, აგრეთვე, იმის შესახებ, თუ რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული და როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი და ა. შ. (სსკ 98-ე მუხლი). მაგრამ, მას არ

შეუძლია შეასრულოს მხარის, როგორც **მტკიცებულების წყაროს ფუნქცია**, ისევე როგორც არ შეუძლია შეასრულოს მოწმის ფუნქცია. უფრო მეტიც, იგი არ შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა წარმომადგენელის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (სსკ 141-ე მუხლი).

2. მხარის მიერ ახსნა – განმარტების მიცემის შემდეგ, მას შეიძლება შეკითხვები მისცეს მოწინააღმდეგე მხარემ. შეკითხვის მიცემა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს (მოსამართლის ან სასამართლო სხდომის თავმჯდომარის) ნებართვით. ამასთან ერთად, სასამართლოს ევალება განუხრელად დაიცვას შეკითხვების მიცემის სსკ 127 – ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წესი, კერძოდ, არ დაუშვას შეკითხვების მიცემა მისი ნებართვის გარეშე და მოხსნას ნებისმიერი შეკითხვა, თუ იგი არ ემსახურება საქმის ფაქტობრივი გარემოების გარკვევას.

ამ წესის დაუცველობა ზოგჯერ იწვევს დაუსრულებელ შეკითხვებს, საქმის განხილვის უზომოდ გაჭიანურებას და არცთუ იშვიათად, ურთიერთშეურაცხყოფას. **სასამართლომ უნდა უხელმძღვანელოს სხდომას** და მისი ნებართვის გარეშე არ უნდა დაუშვას შეკითხვების მიცემა, ხოლო თუ ასეთი შეკითხვა მაინც მისცეს მხარეებმა ერთმანეთს, სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთოს მათი ასეთი მოქმედება.

მუხლი 128. მოსამართლეთა შეკითხვები

მოსამართლეს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათს დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

1. სსკ 128-ე მუხლი შეიცავს საკმაოდ ნათელ კრიტერიუმებს იმის თაობაზე, თუ რა საკითხების გასარკვევად უნდა მიეცეს შეკითხვები მხარეებს. ეს საკითხებია: ა) მტკიცე-

ბის საგნის ანუ იმ გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრა, რომლებზეც მოსარჩელე და მოპასუხე ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს. მართალია, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს, მაგრამ, თუ მხარეები მიუთითებენ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც იურიდიულად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნებს (შესაგებელს), სასამართლომ დრო არ უნდა დაკარგოს ასეთი გარემოებების დადგენისათვის. მტკიცების საგანი საბოლოოდ უნდა დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მათთვის შეკითხვების მიცემის მეშვეობით; ბ) ყველა იმ მტკიცებულების გამოვლენა, რომლებიც, მართალია არ არის წარდგენილი სასამართლოში, მაგრამ რომლებიც შეიძლება გააჩნდეთ მხარეებს, აგრეთვე, წარდგენილ მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნადობის (მნიშვნელობის) საკითხების გარკვევა, ასევე ის, არის თუ არა მტკიცების საგანში შემავალი ყველა გარემოების დასადასტურებლად წარდგენილი შესაბამისი მტკიცებულება და რომელი მხარეა ვალდებული ასეთი მტკიცებულება წარადგინოს; გ) რამდენად სარწმუნო და უტყუარია წარდგენილი მტკიცებულებები.

სასამართლომ მხარეთა წინაშე შეიძლება დასვას სხვა საკითხებიც, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის (სსკ 218-ე მუხლი).

– საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლოების მიერ ამ მუხლით მინიჭებული უფლების ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობას და აუქმებს გადაწყვეტილებას დაუსაბუთებლობის მოტივით, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სასამართლოებმა არ დაუსვეს შესაბამისი შეკითხვები მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ როგორც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (მტკიცების საგნის) სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ისე შესაბამისი მტკიცებულებების გამოვლენას[20].

[20] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №2, გვ.321

მუხლი 129. პირები, რომლებისგანაც არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება

არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება:

ა) ისეთი პირისაგან, რომელსაც თავისი ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება;

ბ) სასულიერო პირისაგან ისეთი გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს;

გ) თანამდებობის პირისაგან ისეთ გარემოებებზე, რომელთა შესახებ საიდუმლოების დაცვაც მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედის, თუ იგი განთავისუფლებული არ არის ასეთი საიდუმლოების დაცვისაგან.

ა) სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, მათი უტყუარობისა და სარწმუნოობის თვალსაზრისით. ამიტომ, დროის უნაყოფოდ ხარჯვა იქნებოდა მხარისაგან ახსნა-განმარტების მიღება ისეთი ფაქტის შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, მაგრამ რომლის სწორედ აღქმა და სწორი ჩვენების მიცემა მას არ შეუძლია. მაგალითად, თუ მხარე არის ბრმა, მას არ შეეძლო სწორედ აღექვა ისეთი ფაქტი, რომლის აღქმა მხოლოდ მხედველობით შეიძლებოდა. ასევე, თუ მხარე არის ყრუმუნჯი, არ შეიძლება მისგან მივიღოთ ჩვენება ისეთი ფაქტის შესახებ, რომლის აღქმა სმენას მოითხოვს და ა. შ.

ბ) მხარის მიერ აღსარების დროს ამა თუ იმ ფაქტის განდობა და მისი მონანიება დაკარგავდა ყოველგვარ აზრს, თუ შესაძლებელი და დასაშვები იქნებოდა მისი გახმაურება. ამიტომ, სასულიერო პირისაგან არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება ისეთი ფაქტების შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს, თუ ეს პირი გვევლინება მხარედ. იგი არ შეიძლება ასეთი ფაქტების შესახებ მოწმედაც დაიკითხოს (სსკ 141-ე მუხლი). სხვა მხრივ, ამ მიმართებით არავითარი შეზღუდვა არ არსებობს და სასულიერო პირისაგან,

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირისაგან, შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება, როცა იგი მხარედ გვევლინება საქმეში.

საიდუმლოების დაცვასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მოთხოვნები, რომლებსაც შეიცავს საქართველოს კანონი **„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“**, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, მის გასაიდუმლოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში. ეს კანონი განსაზღვრავს, თუ რა ხასიათის ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას და რა ხასიათის ინფორმაცია არ მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად (ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლები).

საიდუმლოების დაცვის ვალდებულებებს შეიცავს სხვა კანონებიც. მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18.2 მუხლის თანახმად, „საზოგადოების ორგანოების სხდომათა შინაარსი და შედეგები კონფიდენციალურია, თუ კი ეს შედეგები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, ან თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს“.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „ნოტარიუსი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს ცნობები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს მოვალეობა ძალაში რჩება ნოტარიუსის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც“.

საიდუმლოების დაცვის ვალდებულება შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვა კანონებითაც.

მუხლი 130. ახსნა-განმარტების მიღება ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში

სასამართლო სხდომაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა ან გამოცხადებული მხა-

რის უარი, მისცეს სასამართლოს ახსნა-განმარტება, ვერ დააბრკოლებს მეორე მხარისგან ასეთი ახსნა-განმარტების მიღების შესაძლებლობას.

– მხარე არ არის ვალდებული სასამართლოს მისცეს ახსნა-განმარტება. მას შეუძლია საერთოდ არ გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ან გამოცხადდეს, მაგრამ უარი განაცხადოს როგორც ახსნა-განმარტების მიცემაზე, ისე საერთოდ, საქმის განხილვაში მონაწილეობაზე (სსკ 232-ე მუხლი). ერთ-ერთი მხარის ასეთი უმოქმედება არავითარ გავლენას არ ახდენს მეორე მხარის საპროცესო უფლებებზე, რომელსაც სრული უფლება აქვს სასამართლოს ასეთ პირობებშიც მისცეს ახსნა-განმარტება და შეასრულოს ნებისმიერი საპროცესო მოქმედება – აღძრას სასამართლოს წინაშე სხვადასხვა ხასიათის შუამდგომლობები, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც არ გამოცხადდა, ან გამოცხადდა, მაგრამ მონაწილეობას არ იღებს საქმის განხილვაში (სსკ 232-ე მუხლი).

მუხლი 131. აღიარება

ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

1. **ფაქტის აღიარება** – ეს არის მხარეთა ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახესხვაობა – მტკიცებულება, რომელსაც ზოგჯერ **მტკიცებულებათა მეფესაც** კი უწოდებენ. აღიარების, როგორც მტკიცებულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მტკიცებულებით ხდება ისეთი ფაქტის დადასტურება, რომელზეც მეორე (მოწინააღმდეგე)

მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას ან შესაგებელს. მაშასადამე, **ფაქტს, რომელიც უნდა დაედასტურებინა ერთ მხარეს, ადასტურებს მისი მოწინააღმდეგე მხარე**. სწორედ ამიტომ, აღიარება, როგორც მტკიცებულება, ითვლება უტყუარ მტკიცებულებად, რადგან იგი გაკეთებულია **მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ და ამღიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ.**

– „რაც შეეხება ვალის ოდენობის საკითხს – ნათქვამია საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში – მ.ზ-იანის მიერ 7000 ამერიკული დოლარის სესხების ფაქტს, აღნიშნული დადასტურებულია მის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით. სსკ 131-ე მუხლის თანახმად კი, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმაო მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას“.[21]

– **ფაქტის აღიარება** უნდა განვასხვავოთ **სარჩელის აღიარებისაგან** (მე 3-ე და 208-ე მუხლები). სარჩელის აღიარება – ეს არის მხარის მიერ თავისი უფლების განკარგვის აქტი. სარჩელის აღიარების დროს, ამღიარებელი მხარე ცნობს სასარჩელო მოთხოვნის მართლზომიერებას და ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება აღარ არის საჭირო. მოპასუხე აცხადებს, რომ ცნობს სარჩელს და ვალდებულია დააკმაყოფილოს მოსარჩელის მოთხოვნები.

ფაქტის აღიარების დროს კი მხარე **ცნობს მხოლოდ** რომელიმე **ფაქტობრივ გარემოებას**, მაგრამ არა სარჩელს. მაგალითად, მოპასუხემ ცნო, რომ მან მართლაც აიღო სესხი მოსარჩელისაგან, მაგრამ დააბრუნა ვალი, ან შეასრულა მოსარჩელის სასარგებლოდ სამუშაო, რომლის ღირებულება უნდა ჩაითვალოს ვალში და ა.შ.

[21] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000, №3, გვ.100

მუხლი 132. მხარეთა აღიარების ფორმა

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის აღიარება მხარეს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. თუ აღიარება წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, იგი დაერთვის საქმეს. ზეპირად გაკეთებული აღიარება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

– სსკ 132-ე მუხლით განსაზღვრულია აღიარების, როგორც მტკიცებულების, ფორმა. ასეთი აღიარება მხარეს შეუძლია გააკეთოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. ფაქტის აღიარების შესახებ მხარემ შეიძლება წერილობით ჩამოაყალიბოს თავის შესაგებელში (სსკ 201-ე მუხლი), ან კიდევ, მოპასუხის შესაგებელზე მოსარჩელის წერილობით პასუხში (სსკ 202-ე მუხლი). ცხადია, რომ მხარეს ასეთი წერილობითი აღიარება შეუძლია გააკეთოს ცალკე წერილობით განცხადებაში.

– ზეპირი ფორმით მხარის მიერ ფაქტის აღიარება შეიძლება გაკეთდეს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე, იმავე სხდომის ოქმში მისი შეტანით.

– ფაქტის აღიარების, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალების, წყარო შეიძლება იყოს უშუალოდ მხარე. ამიტომ, წარმომადგენელს (ადვოკატს) არ შეუძლია ფაქტის აღიარება. წარმომადგენელმა შეიძლება გამოთქვას თავისი მოსაზრება საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სარწმუნოობისა და უტყუარობის შესახებ, მაგრამ ჩაენაცვლოს მხარეს, როგორც მტკიცების საშუალებათა წყაროს – მას არ შეუძლია. მარწმუნებელს, თუ ამის სურვილი და ნება აქვს, თვითონ შეუძლია ცნოს, აღიაროს საქმისათვის მნიშვნელობის ესა თუ ის გარემოება, იმ ფორმით, რაც ამ მუხლითაა განსაზღვრული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მხარეს არ სურს, ან არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის

ზეპირ განხილვაში, მას შეუძლია წერილობითი ფორმით წარუდგინოს სასამართლოს თავისი აღიარება ფაქტის შესახებ.

მუხლი 133. აღიარების გაქარწყლება მხარის მიერ

1. მხარეს შეუძლია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გააქარწყლოს (უარყოს) თავისი აღიარება, თუ დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას.

2. აღიარების უარყოფა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში.

1. მხარეს, რომელმაც აღიარა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის ფაქტი (გარემოება), უფლება აქვს შემდგომ გააქარწყლოს (უარყოს) ეს აღიარება ოღონდ კანონი განსაზღვრავს ამისათვის აუცილებელ პირობებს. ეს პირობებია: ა) აღიარების გაქარწყლება გადაწყვეტილების გამოტანამდე. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სასამართლო, ბუნებრივია, ვეღარც განიხილავს აღიარების გაქარწყლების საკითხს და ვეღარც შეცვლის თავის გადაწყვეტილებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში აღარ შეიძლება აღიარების გაქარწყლების საკითხი დაისვას. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია განიხილოს ეს საკითხი, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე იქნება დაყენებული მხარის მიერ 380-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ბ) მხარემ, რომელიც მოითხოვს მის მიერ გაკეთებული აღიარების გაქარწყლებას, უნდა დაამტკიცოს (დამტკიცების ტვირთი) შემდეგი ფაქტები: 1) **აღიარება იყო შეცდომის შედეგი**; მაგალითად, გამნათხოვრებელმა აღძრა სარჩელი მოპასუხის მიმართ ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნების შესახებ. მოპასუხემ

(მონათხოვრემ) აღიარა, რომ მან მართლა ინათხოვრა სადავო ნივთი, მაგრამ უვადოდ და ამიტომ არაა ვალდებული დაუბრუნოს იგი მოსარჩელეს. შემდეგ მოპასუხემ განაცხადა, რომ ფაქტის ასეთი აღიარება იყო შეცდომა, რადგან მან ნივთი საჩუქრად მომცა და არა ნათხოვრობით. შეცდომა გამოწვეული იყო მისი იურიდიული გაუნათლებლობით; 2) **მას დაემუქრა მოწინააღმდეგე მხარე** სამსახურიდან დათხოვნით ან მის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელებით, რომელიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას (ფსიქიკური ზემოქმედება); 3) მას სცემეს და **დაემუქრნენ ფიზიკური განადგურებით** (ფიზიკური ზემოქმედება).

ამრიგად, ფაქტის აღიარება უნდა გამოხატავდეს ამღიარებლის **თავისუფალ ნებას** და თუ ამღიარებელი დაამტკიცებს, რომ ასეთი ნება სინამდვილეში გამორიცხული იყო – **აღიარება გაქარწყლდება.**

2. სასამართლო ვერ შემოიფარგლება მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მხარემ უარყო თავისი აღიარება. მან თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს, თუ რატომ, ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული რომელი გარემოების საფუძველზე უარყო მხარის აღიარება.

თ ა ვ ი XVII

წერილობითი მტკიცებულება

მუხლი 134. წერილობითი მტკიცებულებები და მათი წარდგენის წესი

1. წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

2. წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარემ ვერ შეძლო წერილობითი მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი.

3. წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია მიუთითოს, თუ საქმის რა მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით და რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა.

4. წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის განჩინებაში, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება.

1. წერილობითია მტკიცებულება, რომელიც **წერილობითი ნიშნების** გამოყენებით შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ. ამით იგი განსხვავდება ნივთიერი მტკიცებულებებისაგან, რომლებიც თავისი **თვისებით ან ხარისხით** შეიცავენ ასეთ ცნობებს (154-ე მუხლი).

წერილობითი მტკიცებულება სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს, მაგალითად: ა) საქმიანი თუ პირადი წერილები, ხელწერილები და უბრალო წერილობითი ფორმით შედგენილი დოკუმენტები; ბ) ოფიციალური ფორმისა და შინაარსის აქტები (მაგალითად, დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა. შ.); გ) ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულებები და ა.შ.

2. დამტკიცების ტვირთი ეკისრებათ მხარეებს (102-ე მუხლი). ამ ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, წერილობითი მტკიცებულებები თვითონ მხარეებმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარემ ვერ მიიღო წერილობითი მასალები ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან, ან ამა თუ იმ სამინისტროსაგან, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით (განცხადებით), რომ გამოითხოვოს ეს წერილობითი მასალები. ასეთ შუამდგომლობებში მითითებული უნდა იყოს, რომ მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა მან ვერ მიიღო ეს წერილობითი მასალები.

– შუამდგომლობა წერილობითი მასალების გამოთხოვის შესახებ უნდა აღიძრას საქმის მომზადების სტადიაზე, რადგან მომზადების დამთავრების შემდეგ, სასამართლომ შეიძლება არ დააკმაყოფილოს იგი (215-ე მუხლი).

3. 134-ე მუხლის მე-3 ნაწილი წარმოადგენს 104-ე მუხლით დამკვიდრებულ მტკიცებულებათა განკუთვნადობის პრინციპის დაკონკრეტებას, რომლის თანახმად სასამართლომ არ უნდა მიიღოს და არ უნდა გამოითხოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელსაც არ აქვს მნიშვნელობა საქმისათვის.

მტკიცებულებას არ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა თუ იგი არაა მიმართული საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადასტურებისაკენ. ამიტომ ევალება შუამდგომლობის აღმძვრელ პირს მიუთითოს, თუ რომელი გარემოების დადგენა შეიძლება გამოსათხოვი წერილობითი მტკიცებულებით.

– წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს: ა) ორგანო ან პირი, რომელიც ვალდებულია წარმოადგინოს წერილობითი მასალები; ბ) ამ წერილობითი მა-

სალების ინდივიდუალური (განმასხვავებელი) ნიშნები; გ) გადმოგზავნის ვადა. ეს განჩინება შეიძლება ხელზე მიეცეს დაინტერესებულ მხარეს, რაც დააჩქარებდა ამ მასალების გადმოგზავნას. წერილობითი მასალები სასამართლომ უნდა მოითხოვოს დედნის სახით (135-ე მუხლი).

4. წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმის განჩინება შეიძლება დასაბუთდეს იმით, რომ გარემოებას, რომლის დადასტურებაც უნდა შუამდგომლობის აღმძვრელ პირს, არ აქვს რაიმე მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, ან კიდევ, შუამდგომლობა წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ საპატიო მიზეზის გარეშე აღძრულია საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ მთავარ სხდომაზე ან უშუალოდ ამ სხდომის დაწყების წინ (215-ე მუხლი).

მუხლი 135. წერილობითი მტკიცებულების დედნის წარდგენა

წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება განთავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

1. ისეთ პირობებში, როდესაც ტექნიკის განვითარებამ მიაღწია არნახულ მასშტაბებს და დოკუმენტის გაყალბება თითქმის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. წერილობითი საბუთების დედნის სახით წარმოდგენას სასამართლოში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

– იმისათვის, რომ მხარე დედანი საბუთის წარდგენის მოვალეობისაგან განთავისუფლდეს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ დედანი საბუთი განადგურდა ხანძრისაგან, რაიმე სტიქიური მოვლენისაგან და სხვა.

– ყველა შემთხვევაში, მიენიჭოს თუ არა საბუთის ასლებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა დამოკიდებულია სასამართლოს მიხედულებაზე, რომელმაც ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს მხარეთა მოსაზრებები.

ამრიგად, საბუთის ასლის მტკიცებულებად გამოყენება არ იკრძალება, მაგრამ როგორც სწორად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ „სასამართლოს მიხედულება, რომლის საფუძველზეც საბუთის ასლს ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა, უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს მიხედულებას, უნდა იყოს ასახული გადაწყვეტილებაში.[22]

– წერილობითი მტკიცებულების ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის ფაქტი დადასტურებულად (დამტკიცებულად) ჩაითვალოს. სასამართლო აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს მათ ერთობლიობაში და თავისი შინაგანი რწმენით. ისე როგორც დედნის სახით წარმოდგენილი წერილობითი მასალები, მათი ასლებიც სასამართლომ შეიძლება უარყოს, როგორც არასარწმუნო, რომლებიც ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს.

მუხლი 136. სასამართლოსათვის წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის სავალდებულოობა

1. გამოთხოვილ წერილობით მტკიცებულებებს მოქალაქეები და იურიდიული პირები გა-

[22] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №9, გვ.2338

დაუგზავნიან სასამართლოს დანიშნულ ვადაში. თუ მათ არ შეუძლიათ ამ ვადაში წარადგინონ ეს საბუთები, ისინი ვალდებულნი არიან აცნობონ სასამართლოს ამის შესახებ მიზეზების მითითებით.

2. შეუტყობინებლობის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც წერილობითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ სასამართლოს მოთხოვნა არასაპატიო მიზეზით არ შესრულდა, სასამართლო მოქალაქეს ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს ანდა შესაბამის თანამდებობის პირს აჯარიმებს 50 ლარით.

3. დაჯარიმება არ ათავისუფლებს მოქალაქეს ან შესაბამის თანამდებობის პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი წერილობითი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობისაგან.

4. წერილობითი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს შესაბამის პირებს პირველი ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით.

5. თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.

1. ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ნებისმიერი თანამდებობის პირი, ვალდებულია გადაუგზავნოს სასამართლოს მის მიერ გამოთხოვილი წერილობითი საბუთები თუ სხვა მასალები ამავე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სანქციას აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.

წერილობითი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობა არ ითვლება შესრულებულად და ამ მუხლით გათვალისწინებული სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პირმა, რომლისგანაც სასამართლომ გამოითხოვა მტკიცებულება, არ გადაუგზავნა დანიშნულ ვადაში შეატყობინა სასამართლოს ამ ვადაში წერილობითი მტკიცებულებების გადაუგზავნელობის მიზეზების შესახებ;

ბ) თუ შეტყობინება მართალია გადაუგზავნა სასამართლოს, მაგრამ სასამართლომ არასაპატიოდ მიიჩნია ასეთი მასალების წარუდგენლობა (მიზეზები რის გამოც ისინი არ იქნენ წარდგენილნი).

3. დაჯარიმება შეიძლება მოქალაქის (ფიზიკური პირის), ან იმ თანამდებობის პირის, ვისი ბრალითაც არ გადაეგზავნა სასამართლოს გამოთხოვილი წერილობითი მასალები, ამიტომ, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა გაარკვიოს შესაბამისი ორგანიზაციის რომელი თანამდებობის პირს მიუძღვის ბრალი გამოთხოვილი მასალების გადაუგზავნელობაში. ამის გარკვევისათვის უნდა გაუგზავნოს შეკითხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელს. თუ ამ ხელმძღვანელისაგანაც არ მოვიდა პასუხი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება უშუალოდ ამ ხელმძღვანელის დაჯარიმების შესახებ.

– განჩინება უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ განმეორებით წერილობითი მასალების წარუდგენლობის შემთხვევაში პირი დაჯარიმდება ხუთმაგი ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-5 ნაწილს მხედველობაში ყავს **მხოლოდ მხარე** – მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით. თუ ასეთი პირი, სულ ერთია ფიზიკური, თუ იურიდიული პირია იგი, არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მასთან ინახება, მაგრამ უარს ამბობს არასაპატიო მიზეზით მის წარდგენაზე სასამართლოში, სასამართლოს, რომელმაც გამოითხოვა ეს წერილობითი მტკიცებულება, შეუძლია ივარაუდოს ფაქტი დამტკიცებულად წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირის სასარგებლოდ და ამ ვარაუდის გაქარწყლე-

ბის მიზნით მტკიცების ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის წარდგენაზე სასამართლოში.

მუხლი 137. განცხადება საბუთის სიყალბის შესახებ

1. მხარეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი განცხადება მას შეუძლია გააკეთოს აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილ იქნა ამ სასამართლო სხდომაზე, ან ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე.

2. მტკიცებულების წარმდგენ მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადავო საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ასეთი თხოვნის არარსებობის შემთხვევაში სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები.

3. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია, მას მტკიცებულებიდან გამორიცხავს.

4. წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით.

5. თუ დადასტურებულია წარდგენილი საბუთის სიყალბე, სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას და ამ დოკუმენტს მისი სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულებებით გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს.

1. საბუთის სიყალბის შესახებ განცხადების გაკეთება დასაშვებია მხოლოდ საქმის მომზადების სტადიაზე. მხოლოდ ორ შემთხვევაში შეუძლია მხარეს სიყალბის შესახებ განცხადება გააკეთოს სასამართლოს მთავარ სხდომაზე **პირველი**, როცა წერილობითი საბუთი წარდგენილი იქნა მთავარ სხდომაზე და, ცხადია, ამიტომ გამორიცხული იყო ამ საბუთის სიყალბის შესახებ განცხადების გაკეთება მომზადების სტადიაზე და **მეორე**, როცა საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სწორედ ამ სხდომაზე, რაც მან უნდა დაუდასტუროს სასამართლოს. თუ არცერთ შემთხვევას არ აქვს ადგილი, მაშინ სასამართლო არ განიხილავს საბუთის სიყალბის შესახებ განცხადებას, რის შესახებაც გამოიტანს განჩინებას, რომელზეც საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

2. საბუთის სიყალბის დამტკიცების ტვირთი არ ეკისრება მხარეს, რომელმაც გააკეთა განცხადება ასეთი სიყალბის შესახებ. პირიქით, მხარემ, რომელმაც ეს საბუთი წარმოადგინა, მას ეკისრება ამ საბუთის ნამდვილობის დამტკიცების ტვირთი. ეს იმას ნიშნავს, რომ წერილობითი საბუთის ნამდვილობის ვარაუდი (პრეზუმფცია) გაქარწყლდება მოწინააღმდეგე მხარის უბრალო განცხადებით, რომ იგი ყალბია.

– საბუთის ნამდვილობის დამტკიცების ტვირთი მოიხსნება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე მოითხოვს მის ამორიცხვას საქმის მასალებიდან ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა ამორიცხოს ეს საბუთი მტკიცებულებებიდან. მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა ასეთ ამორიცხვაზე საჭირო არაა. მაგრამ, თუ მხარე არ მოითხოვს ამას მაშინ საბუთის ნამდვილობის დამტკიცების ტვირთი არ მოიხსნება და უნდა შემოწმდეს და დადასტურდეს ეს ნამდვილობა ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.

3. საბუთი უნდა ამოირიცხოს მტკიცებულებიდან იმ შემთხვევაშიც, როცა მისი ნამდვილობა ვერ დადასტურდა და სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი ყალბია.

4. სასამართლო აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს უწინარეს ყოვლისა იმ თვალსაზრისით, რამდენად სარწმუნო და უტყუარია ეს მტკიცებულებები. რა თქმა უნ-

და, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამ თვალსაზრისით. მაგრამ მტკიცებულებათა საბოლოო შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, თუ სასამართლოს ეჭვი ეპარება რომელიმე მტკიცებულების ნამდვილობაში, მას შეუძლია კანონით დადგენილი წესით და საშუალებებით, მათ შორის ექსპერტიზის საშუალებით, **თავისი ინიციატივით შეამოწმოს მტკიცებულება.**

5. მე-5 ნაწილი შეიცავს კატეგორიულ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ სადავო საბუთის სიყალბის დადასტურების შემთხვევაში სასამართლომ გამოიტანოს მოტივირებული განჩინება და დოკუმენტი, მისი სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულებებით გადასცეს საგამოძიებო ორგანოებს.

– სასამართლოს განჩინება არის მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი. ამ განჩინებას არ აქვს პრეიუდიციული ძალა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოსათვის და არც საგამოძიებო ორგანოებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა და სისხლის სამართლის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღონ, ვიდრე სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს განჩინებითაა განსაზღვრული.

– ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ **მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტის** სიყალბის საკითხის განხილვა-გადაწყვეტა, რაც მიმართულია ამ დოკუმენტის მტკიცებულებითი მნიშვნელობის გაქარწყლებისაკენ და **სარჩელები** დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, რომელთა განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს არა განჩინება, არამედ გადაწყვეტილება (180-ე მუხლი).

მუხლი 138. წერილობით მტკიცებულებათა ამონაწერის წარდგენა და მათი დათვალიერება შენახვის ადგილზე

სასამართლოში საბუთების წარდგენის სიძნელისას სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს სათანადო წესით შემოწმებული ამონაწერების წარდგენა ან მოასდინოს წერილობით მტკიცებულებათა დათვალიერება და გამოკვლევა მათი შენახვის ადგილზე.

1. დამტკიცების ტვირთი (მოვალეობა) ეკისრება მხარეებს. ამ მოვალეობის შესასრულებლად მათ უნდა წარუდგინონ მტკიცებულებები სასამართლოს, მაგრამ თუ საბუთების სიმრავლისა და გადატანის თვალსაზრისით ეს ძნელია, სასამართლო საქმის მომზადების სტადიაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს ამ საბუთების სათანადოდ დამოწმებული ასლების წარმოდგენით. თუ ასეთი ამონაწერების გაკეთება და დამოწმება დაკავშირებულია ხარჯებთან – ეს ხარჯები უნდა გაიღოს მხარეებმა, თუ დამოწმებული ამონაწერების გაკეთება სასამართლოს ინიციატივით ხდება. მაგრამ, თუ ასეთი ამონაწერების გაკეთება რომელიმე მხარის ინიციატივით ხდება, მაშინ ხარჯები წინასწარ უნდა გაიღოს ამ მხარემ.

– წერილობითი მტკიცებულებების დათვალიერება და გამოკვლევა მათი შენახვის ადგილზე ხდება 120-126-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 139. დედანი საბუთების შენახვა და დაბრუნება

საქმეში არსებული დედანი საბუთები სასამართლოში ერთად ინახება. ასეთი საბუთები, მათი წარმდგენის თხოვნით, შეიძლება დაუბრუნდეს მასვე, მაგრამ საქმეში უნდა დარჩეს

მოსამართლის მიერ შემოწმებული დედანი საბუთების ასლები.

- ამ მუხლში ლაპარაკია მხოლოდ დედანი საბუთების დაბრუნებაზე, რომლებიც შეიძლება დაუბრუნდეს ამ საბუთების წარმდგენს მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

- ასეთი საბუთები შეიძლება დაუბრუნდეს მათ წარმომდგენ პირს გადაწყვეტილების გამოტანამდე ან მის კანონიერ ძალაში შესვლამდეც, თუ მათი დაბრუნებით ზიანი არ მიადგება საქმის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ შემოწმების ინტერესებს.

– თუ დედანი საბუთები უბრუნდება მათ წარმდგენს, სასამართლო ვალდებულია გადაიღოს ასლები, დაამოწმოს ისინი მოსამართლემ და შეინახოს სასამართლოში (დაურთოს საქმეს). დედანი საბუთების დაბრუნების შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

თ ა ვ ი XVIII

მოწმეთა ჩვენება

მუხლი 140. მოწმის გამოძახება

1. მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ.

2. მოწმე შეიძლება გამოცხადდეს სასამართლოში დაინტერესებული მხარის მეშვეობით.

3. მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ დაშვებისა და დაკითხვის, აგრეთვე მისი სასამართლოს მეშვეობით გამოძახების შესახებ, ვალდებულია მიუთითოს მისი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე ის, თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მოწმეს.

4. სასამართლოს შეუძლია უარი თქვას გამოძახებული მოწმის დაკითხვაზე ან არ გამოიძახოს იგი, თუ ცნობს, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც იძახებენ მოწმეს, არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის.

1. ზოგადი პრინციპის თანახმად მოწმედ შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია მიაწოდოს სასამართლოს ცნობები საქმის გარემოებების შესახებ.

გამონაკლისებს ამ ზოგადი წესიდან განსაზღვრავს კანონი, რომლის თანახმად პირმა შეიძლება იცოდეს საქმის გარემოების შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა არ შეიძლება, გამოძახებული და დაკითხული იქნეს მოწმის სახით (141-ე მუხლი).

2. მოწმე შეიძლება დაასახელოს მხარემ. სასამართლოს (მოსამართლეს) არ შეუძლია თვითონ დაასახელოს მოწმე, გამოუძახოს და დაკითხოს იგი.

მოწმის დასახელება მხარეს შეუძლია საქმის მომზადების სტადიაზე (201-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი).

– საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ, კერძოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე ან უშუალოდ მისი დაწყების წინ, მოწმის დასახელება და შუამდგომლობა მისი გამოძახების შესახებ დაუშვებელია, თუ მხარეს არ ჰქონდა საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ შეძლო მისი დროულად დასახელება (215-ე მუხლი).

3. მოწმის დასახელების დროისათვის სასამართლომ უნდა იცოდეს მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა და შესაგებლის ფაქტობრივი საფუძვლები, აქედან გამომდინარე, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ რომელი ფაქტის დადასტურების მიზნით შუამდგომლობს მხარე მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის შესახებ. თუ აღმოჩნდება, რომ ამ ფაქტს არა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის რაიმე მნიშვნელობა, სასამართლომ უარი უნდა უთხრას მხარეს მოწმის გამოძახებაზე.

– მოწმის გამოძახებაზე და დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (104-ე მუხლი).

– მოწმის გამოძახება წარმოებს 70-ე -78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 141. პირები, რომლებიც არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმედ

მოწმედ ყველა შემთხვევაში არ შეიძლება გამოძახებულ და დაკითხულ იქნეს:

ა) პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორედ აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება;

ბ) სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს;

გ) წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომ-

ლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას.

141-ე მუხლის „ა“ და „ბ“ქვეპუნქტების მიმართ უნდა ითქვას იგივე, რაც უკვე ითქვა 129-ე მუხლის კომენტირებისას.

გ) წარმომადგენლები, მათ შორის ადვოკატები (დამცველები), დამოუკიდებლად იმისა, სისხლის თუ სამოქალაქო საქმეებზე გამოდიოდნენ ისინი, არ შეიძლება მოწმედ იქნენ დაკითხული მხოლოდ ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის თავიანთი პროფესიული საქმიანობის შესრულების წყალობით. რაც შეეხება სხვა ფაქტებს და გარემოებებს, ისინი შეიძლება დაკითხულ იქნენ როგორც მოწმეები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ვერ გამოვლენ მხარის წარმომადგენლად პროცესში. მოწმისა და წარმომადგენლის (ადვოკატის) ფუნქციის შეთავსება არ შეიძლება.

მუხლი 142. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება

1. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ:

ა) მხარეთა მეუღლეებს;

ბ) ახლო ნათესავებს – შვილებს, შვილიშვილებს, ძმებს, დებს, მშობლებს, მშვილებლებს, შვილობილებს, მზრუნველებს, მეურვეებს, ბებიებს, პაპებს;

გ) პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებულნი არიან დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი განთავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან.

2. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ ჩვენების მიცემა გამოიწვევს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს

1. მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა (145-ე მუხლი).

ასეთი ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან პირები, რომლებისთვისაც თუმცა ცნობილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, მაგრამ განეკუთვნებიან იმ პირთა კატეგორიას, რომლებიც ჩამოთვლილია ამ მუხლის პირველ ნაწილში, მათ შორის პირები, რომლებიც ვალდებული არიან დაიცვან საიდუმლოება (იხ. 129-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის კომენტარი).

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ პირებს უფლება აქვთ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს გამოიწვევს მის ან ახლო ნათესავის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს. მაგალითად, ახლო ნათესავ მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმის შესახებ, რომ ხანძარი გამოწვეული იყო მისი მშობლის უხეში გაუფრთხილებლობით, რასაც მოყვა მოსარჩელის ქონების განადგურება და ა. შ. მაგრამ თუ მოწმეს შეუძლია დაადასტუროს ნასყიდობის, ქირავნობის, სესხის და ა. შ. ხელშეკრულება – ეს არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ქონებრივი ზიანის მიყენება მისი ახლო ნათესავისათვის, ამიტომ, ასეთი გარემოებების შესახებ მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება (143-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

– ჩვენების მიცემაზე უარის თქმა დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს მოწმემ (144-ე მუხლი).

მუხლი 143. ჩვენების მიცემის ვალდებულება ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მიუხედავად

ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მიუხედავად პირი ვალდებულია მისცეს ჩვენება, თუ:

ა) საჭიროა დადასტურდეს გარიგება, რომ-

ლის დადებისას იგი მიწვეული იყო მოწმედ;
ბ) გასარკვევია ოჯახის წევრის დაბადების, დაქორწინების ან გარდაცვალების საკითხები;
გ) ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას იგი მოქმედებდა, როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი.

1. ეს მუხლი შეიცავს ისეთი შემთხვევების **ამომწურავ ჩამონათვალს**, როდესაც თუმცა არსებობს ჩვენების მიცემაზე **უარის თქმის უფლება**, რაც გათვალისწინებულია 142-ე მუხლით, მაგრამ მიუხედავად ამისა **პირი ვალდებულია მისცეს ჩვენება**.

ასეთი შემთხვევებია:

ა) როცა საჭიროა დადასტურდეს ისეთი გარიგება, რომლის დადებისას პირი მიწვეული იყო მოწმედ.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის თანახმად, მოწმეთა დასწრება **სავალდებულოა**, თუ დასამოწმებელია აქტი, რომლის ერთ-ერთი მონაწილე არის ყრუ-მუნჯი, ყრუ, ბრმა, წერაკითხვის არმცოდნე. მოწმეთა დასწრება სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, როცა დასწრებას მოითხოვს ნოტარიუსი ან სანოტარო აქტის რომელიმე მონაწილე. იმავე მუხლით განსაზღვრულია, თუ ვინ არ შეიძლება იყოს მოწმე. ინსტრუქციის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სანოტარო აქტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული „სანოტარო აქტის ყველა მონაწილის (მათ შორის მოწმის, თარჯიმნის) სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილი და სხვა“.

– ამრიგად, სასამართლოში დასადასტურებელი გარიგება უნდა შეიცავდეს ცნობებს იმის შესახებ, თუ ვინ ესწრებოდა ამ გარიგების დადებისას მოწმედ. ეს პირები ვალდებული არიან გამოცხადდნენ სასამართლოში და მისცენ ჩვენება იმ შემთხვევაშიც კი, როცა აქვთ უფლება არ მისცენ ჩვენება სასამართლოს (142-ე მუხლი).

– არ არის გამორიცხული, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მქონე პირი მართალია ნებით თუ უნებლიეთ ესწრებოდა გარიგების დადებას, მაგრამ არა როგორც

მოწმე და, ამიტომ, იგი არცაა მოხსენიებული ამ გარიგებაში როგორც მოწმე. ასეთ შემთხვევაში ეს პირი, რომელიც სარგებლობს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით, არაა ვალდებული მისცეს ჩვენება, რადგან იგი არ იყო მოწვეული როგორც მოწმე. ამიტომ, სასამართლოსათვის ჩვენების მიცემა ამ პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

ბ) როცა საჭიროა გაირკვეს ოჯახის წევრის **დაბადების, დაქორწინების** ან **გარდაცვალების** საკითხები.

ეს ქვეპუნქტი შეიცავს იმ ფაქტიური გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნით შეიძლება დაიკითხოს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მქონე პირი (142-ე მუხლი).

გ) როცა პირი მოქმედებდა როგორც წარმომადგენელი. სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად „გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც, ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობა) საფუძველზე“.

კანონიერი წარმომადგენლის მოწმედ დაკითხვის საკითხი არ დგას მაშინ, როცა ისინი ქმედუუნარო ან შეზღუდულ ქმედუნარიანობის მქონე პირის უფლებებს თვითონ იცავენ. ასეთ შემთხვევაში ისინი გვევლინება მხარეებად და მათგან შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება (101-ე მუხლი).

მაგრამ, როცა გარიგებას დებს წარმომადგენელი დავალების (მინდობილობის) საფუძველზე, მაშინ ეს წარმომადგენელი კიდეც რომ სარგებლობდეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით, მაინც ვალდებულია მისცეს ჩვენება სასამართლოს ამ გარიგების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 144. მოწმის მოვალეობა დაასაბუთოს უარის თქმა ჩვენების მიცემაზე

მოწმემ, რომელიც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, უნდა დაასაბუთოს ეს უარი. საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა მოწმეს უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, საბოლოოდ გადაწყდება სასამართლოს მიერ.

1. პირის განცხადება იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება არ კმარა. მან უნდა დაასაბუთოს (დაადასტუროს), რომ ასეთი უფლება აქვს. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების დადასტურება- დამტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელიც ასეთ უფლებაზე აკეთებს განცხადებას. მაგალითად, თუ მოწმედ დასახელებული პირი აცხადებს, რომ იგი რომელიმე მხარის ახლო ნათესავია, უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი), ან კიდევ, დაასაბუთოს, რომ ჩვენების მიცემა კონკრეტული ფაქტის მიმართ გამოიწვევს უშუალოდ მის ან მისი ახლო ნათესავი მხარის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ა. შ. (142-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. თუ რამდენად შეძლო მოწმედ დასახელებულმა პირმა დაემტკიცებინა და დამაჯერებლად დაედასტურებინა თავისი უფლება უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, საბოლოოდ აფასებს და წყვეტს სასამართლო.

მოწმედ დასახელებული პირის ჩვენების მიცემისაგან გათავისუფლების, ან ასეთ გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მუხლი 145. მოწმის მოვალეობა

1. მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50 ლარით. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.

2. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

1. მოწმედ დაბარებულ პირს, აგრეთვე მოწმედ დასახელებულ პირს, რომელსაც სასამართლოს განჩინებით არ აქვს უფლება უარი თქვას ჩვენების მიცემაზე (144-ე მუხლი), ეკისრება ორი სახის მოვალეობა: ა) **გამოცხადდეს სასამართლოში დანიშნულ დროს** და ბ) **მისცეს სწორი ჩვენება**.

2. ამ მოვალეობათა შესრულება უზრუნველყოფილია არა მარტო სამოქალაქო საპროცესო სანქციით, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე და 371-ე მუხლებით.

მუხლი 146. მოწმის უფლება

1. მოწმეს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით.

2. სასამართლოს შეუძლია დაავალოს მხარეს, რომლის შუამდგომლობითაც გამოძახებულია მოწმე, წინასწარ გადაიხადოს მოწმის სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში მოწმეს გამოიძახებს სასამართლო მას შემდეგ, რაც მხარე შეასრულებს აღნიშნული ხარჯების გადახდის მოვალეობას.

1. მოწმის გამოძახებასთან და მის სასამართლოში გამოცხადებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურებას ითვალისწინებს 45-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

2. თუ მოწმე მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით, რომ მას ეს ხარჯები წინასწარ გადაუხადონ და სასამართლო ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, მაშინ მას გამოაქვს განჩინება ასეთი ხარჯების იმ მხარისაგან წინასწარი გადახდის შესახებ, რომელმაც იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ამ მოწმის გამოძახების შესახებ.

თუ მხარემ არ გადაიხადა განჩინებაში მითითებული ხარ-

ჯები დანიშნულ ვადაში, მაშინ სასამართლო არ გამოიძახებს მოწმეს ან გამოიძახებს, ოღონდ იმ პირობით, **თუ ეს არ გამოიწვევს** საქმის განხილვის **გაჭიანურებას** და მთავარი სხდომის სხვა დროისათვის გადადებას.

მოწმის გამოძახებასთან და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯების დაგვიანებით გადახდა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით.

მუხლი 147. მოწმის დაკითხვა მის ადგილსამყოფელზე

მოწმის დაკითხვა წარმოებს ღია სასამართლო სხდომაზე. მოწმე შეიძლება დაიკითხოს მის ადგილსამყოფელზე, თუ:

ა) ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზით მას არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში;

ბ) საქმის გარემოებათა მიხედვით მისი ადგილზე დაკითხვა უფრო მიზანშეწონილია.

გ) დაკითხულ უნდა იქნეს რამდენიმე მოწმე, რომლებიც ერთ ადგილას ცხოვრობენ და მათი სასამართლოში გამოძახება და დაკითხვა დაკავშირებული იქნებოდა დიდ ხარჯებთან;

დ) სხვა შემთხვევებში – სასამართლოს შეხედულებისამებრ.

– ეს მუხლი განსაზღვრავს მოწმის დაკითხვის ორ ადგილმდებარეობას: პირველი – მოწმე უნდა დაიკითხოს სასამართლოს მთავარ სხდომაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოწმე არ შეიძლება დაიკითხოს საქმის წინასწარი მომზადების წესით და მეორე – მოწმე შეიძლება დაიკითხოს მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ შემთხვევების ჩამონათვალი არაა ამომწურავი და სასამართლოს შეუძლია მოწმის დაკითხვა მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, თუ ეს უფრო მიზანშეწონილია.

– მოწმის მისი ადგილსამყოფელის მიხედვით დაკითხ-

ვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც გარდა ჩვეულებრივი რეკვიზიტებისა, მითითებული უნდა იყოს მისი დაკითხვის ადგილი (მისამართი) და დრო.

– მოწმის დაკითხვა უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით (148-ე მუხლი), რომელიც კერძოდ, ითვალისწინებს მხარეების მიერ მოწმისათვის შეკითხვების მიცემის უფლებას. ამიტომ, მოწმის ადგილზე დაკითხვის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს მხარეებს. მათი გამოუცხადებლობა მოწმის დაკითხვას ვერ დააბრკოლებს.

– განჩინება მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით დაკითხვის შესახებ არ გასაჩივრდება.

მუხლი 148. მოწმის დაკითხვა

1. ყოველი მოწმე ცალკე უნდა დაიკითხოს. მოწმეები, რომლებსაც ჯერ არ მიუციათ ჩვენება, არ უნდა იყვნენ სასამართლო სხდომის დარბაზში. დაკითხული მოწმეები რჩებიან სასამართლო სხდომათა დარბაზში საქმის განხილვის დამთავრებამდე და არ შეუძლიათ გავიდნენ დარბაზიდან სასამართლოს ნებართვის გარეშე.

2. მოწმის დაკითხვა იწყება მისი პიროვნების გარკვევით (სახელი, გვარი, საცხოვრებელი და საქმიანობის ადგილი და ა. შ.). ამის შემდეგ სასამართლო არკვევს მოწმის დამოკიდებულებას საქმეში მონაწილე პირებთან და წინადადებით მიმართავს მას აცნობოს სასამართლოს ყველაფერი, რაც მისთვის პირადად ცნობილია საქმის გარემოებათა შესახებ.

3. მოწმე თავისუფალი თხრობით გადმოსცემს ყოველივეს, რაც მან იცის ამ გარემოებათა შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიეცეს მას შეკითხვები.

4. პირველად შეკითხვას აძლევს მხარე, რომლის ინიციატივითაც დაიბარეს მოწმე ან მხარის წარმომადგენელი, შემდეგ – მოწინააღმდე-

გე მხარე ან მისი წარმომადგენელი, კონკრეტული შეკითხვის მიცემის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს სასამართლო.

5. მოსამართლეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწმეს დაკითხვის ყველა მომენტში.

1. მოწმეთა ცალკე დაკითხვის მნიშვნელობა შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ არ მოახდინონ გავლენა ერთმანეთზე ჩვენების მიცემისას. დაკითხული მოწმის სხდომის დამთავრებამდე დარბაზში ყოფნას კი შეიძლება ის მნიშვნელობა ჰქონდეს, რომ შეიძლება საჭირო გახდეს მისი განმეორებით დაკითხვა ან სხვა მოწმეებთან დაპირისპირება (149-ე მუხლი).

2. მოწმის პიროვნების გარკვევა აუცილებელია არა მხოლოდ იმისათვის, რომ იცოდეს სასამართლომ და მხარეებმა ვის დაკითხვას აპირებენ, არამედ შეიმუშაოს ამ მოწმის დაკითხვის ტაქტიკა. მოწმის დამოკიდებულების გარკვევას მხარეებთან (მეგობრობა, დაინტერესება საქმის შედეგით და ა. შ.) აქვს სასამართლოსათვის მნიშვნელობა მისი ჩვენების შეფასების დროს. დაკითხვის დაწყების წინ სასამართლო აფრთხილებს მოწმეს არასწორი ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი გაფრთხილება შედის ოქმში, რაზეც ხელს აწერს მოწმე.

3. მოწმის დაკითხვის დაწყება შეკითხვების მიცემით დაუშვებელია. შეკითხვები მოწმეს შეიძლება მიეცეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც თავისუფალი თხრობით გადმოსცემს ყველაფერს, რაც იცის საქმის გარემოებების შესახებ.

შეკითხვების მიცემის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ თავისუფალი თხრობით გადმოცემული ჩვენება, როგორც წესი, არაა ყოველთვის სრული. ამ ხარვეზის შევსებას და ჩვენების დაკონკრეტებას ემსახურება შეკითხვების მიცემა. სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას შეკითხვების მიცემა მოწმისათვის, სანამ იგი არ დაამთავრებს თხრობას.

4. სასამართლომ განუხრელად უნდა დაიცვას შეკითხვების მიცემის რიგითობა, რომელიც დადგენილია ამ მუხლის მე-4 ნაწილით. ამასთან ერთად, თუ მხარის მიერ მოწმი-

სათვის დასმული შეკითხვა არ ემსახურება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გარკვევას, სასამართლომ უნდა მოხსნას ასეთი შეკითხვა (221-ე მუხლი).

5. შეკითხვების მიცემის რიგითობა არ ვრცელდება მოსამართლეზე. მას შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწმეს ნებისმიერ დროს, მათ შორის პირველმა.

მუხლი 149. მოწმის განმეორებით დაკითხვა. მოწმეთა დაპირისპირება

სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით მეორედ დაკითხოს მოწმე, აგრეთვე მოახდინოს მოწმეთა დაპირისპირება მათს ჩვენებაში წინააღმდეგობათა გასარკვევად.

1. განმეორებით დაკითხვის აუცილებლობა ხშირად განპირობებულია იმით, რომ მოწმის ჩვენება შეუსაბამობაშია ან ეწინააღმდეგება სხვა მოწმეთა ჩვენებას ან, საერთოდ, საქმეში არსებულ მასალებს. სასამართლო ამ შეუსაბამობის მოხსნის მიზნით იღებს განჩინებას მოწმის განმეორებით დაკითხვის შესახებ. იგივე გარემოებითაა განპირობებული მოწმეთა დაპირისპირებაც, რის შესახებაც სასამართლო იღებს აგრეთვე განჩინებას.

მოწმეთა განმეორებით დაკითხვისა და დაპირისპირების შესახებ შეიძლება იშუამდგომლოს მხარეებმაც.

ისე როგორც მოწმის დაკითხვა, განმეორებით დაკითხვა და მოწმეთა დაპირისპირება შეიძლება მოხდეს (თუ ამის აუცილებლობაა) ერთ-ერთი მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით.

2. განმეორებით დაკითხვისა და დაპირისპირების მიზნიდან გამომდინარე, სასამართლომ წინასწარ უნდა განსაზღვროს ასეთი დაკითხვისა და დაპირისპირების ტაქტიკა და წესი. მოწმეებს მიზანშეწონილია წინასწარ განემარტოს განმეორებით დაკითხვისა და დაპირისპირების მიზანი. მოწმეებს უნდა მიეცეს წინადადება მისცენ ჩვენება იმ ერთი და იგივე გარემოების შესახებ, რომლის მიმართ მათი პირველ-

დაწყებითი ჩვენება ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამის შემდეგ მათ შეიძლება დაუსვან შეკითხვები იმ რიგის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია 148-ე მუხლით.

3. სასამართლოს განჩინება მოწმის განმეორებით დაკითხვისა თუ დაპირისპირების შესახებ, ან ასეთ საპროცესო მოქმედებაზე უარის თქმის შესახებ არ გასაჩივრდება.

მუხლი 150. მოწმის მიერ ჩანაწერებით სარგებლობა

მოწმე ჩვენებას აძლევს ზეპირად, მაგრამ მას შეუძლია ისარგებლოს ჩანაწერებით, თუ მისი ჩვენება დაკავშირებულია რაიმე ციფრობრივ ან სხვა ძნელად დასამახსოვრებელ ცნობებთან. ეს ჩანაწერები მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება დაერთოს საქმეს.

– დამოუკიდებლად იმისა, მოწმის დაკითხვა წარმოებს სასამართლო დავალების წესით, მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე – მოწმე ყოველთვის აძლევს ჩვენებას ზეპირად. მას შეუძლია მხოლოდ ისარგებლოს ჩანაწერებით და იმ პირობით, თუ ეს ჩანაწერები დაკავშირებულია ციფრობრივ ან სხვა ძნელად დასამახსოვრებელ ცნობებთან (მაგალითად, მან უნდა მისცეს ცნობები, თუ კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა ან ესწრებოდა საზოგადოების კრებას და ამ კრების რომელმა მონაწილემ სინამდვილეში რა მოსაზრება გამოთქვა და ა. შ.).

– ჩანაწერებით სარგებლობა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამონაკლისი საერთო წესიდან, რომლის თანახმად მოწმე ყოველთვის აძლევს ჩვენებას ზეპირი ფორმით. ჩანაწერებით სარგებლობა არ ნიშნავს ჩვენების წერილობითი ფორმით გადმოცემას. სასამართლომ უნდა აღკვეთოს წერილობითი ჩანაწერებით სარგებლობა თუ ეს ჩანაწერები არ შეესაბამება 150-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებს, ე.ი. არ განეკუთვნება ციფრობრივ ან სხვა ძნელად დასამახსოვრებელ გაანგარიშებებსა და ცნობებს.

მოწმის მიერ ჩვენების ზეპირად მიცემა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოწმე იძლევა ფაქტის შესახებ ისეთ ინფორმაციას, რაც მან უშუალოდ აღიქვა და არა ისეთ ჩვენებას, რომელიც მხარის შეგონებითაა ნაკარნახევი.

მუხლი 151. უარის თქმა მოწმის დაკითხვაზე

მხარეს შეუძლია უარი თქვას იმ მოწმის დაკითხვაზე, რომლის გამოძახებასა და დაკითხვაზე თვითონ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე. მეორე მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რომ გამოცხადებული მოწმე დაკითხულ იქნეს, ხოლო თუ დაკითხვა დაწყებულია – გაგრძელდეს. ასეთ შემთხვევაში მოწმე უნდა დაიკითხოს.

1. სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას მის მიერ დასახელებული მოწმის დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ მხოლოდ ერთი პირობით – თუ მოწინააღმდეგე მხარე თანახმა იქნება ამაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმე უნდა დაიკითხოს.

მუხლი 152. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა

1. 14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვისას, ხოლო სასამართლოს შეხედულებით – 14-დან 18 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვის დროსაც, შეიძლება მოწვეულ იქნეს პედაგოგი, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე მშობლები, მშვილებლები, მეურვეები ან მზრუნველები. აღნიშნულ პირებს, სასამართლოს ნებართვით, შეუძლიათ მისცენ მოწმეს შეკითხვები.

2. გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სწორი და გულწრფელი ჩვენების მისა-

ღებად, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს სასამართლოს წინადადებით სხდომის დარბაზიდან შეიძლება რომელიმე მხარის გაყვანა. სხდომის დარბაზში ამ მხარის დაბრუნების შემდეგ მას უნდა ეცნობოს არასრულწლოვანი მოწმის ჩვენება და მიეცეს შესაძლებლობა დაუსვას მოწმეს შეკითხვები.

3. მოწმე, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, დაკითხვის შემდეგ ტოვებს სასამართლო სხდომის დარბაზს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ამ მოწმის დარჩენას სხდომის დარბაზში.

1. 152-ე მუხლით განსაზღვრული წესების დაცვა არასრულწლოვანი მოწმეების დაკითხვის დროს, როგორიცაა პედაგოგის მოწვევა (როგორც სავალდებულო), აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის (მშობლების, მშვილებლების, მეურვეების, მზრუნველების) მოწვევა, სხდომის დარბაზიდან რომელიმე მხარის გაყვანა და ა. შ. განპირობებულია ერთი უმთავრესი მიზნით – **არასრულწლოვანი მოწმისაგან თავისუფალი, სწორი და გულწრფელი ჩვენების მიღებით**.

ამიტომ, ამ მუხლით დადგენილი წესები განუხრელად უნდა შესრულდეს სასამართლოს მიერ.

მუხლი 153. მოწმის მიერ ფიცის დადება

1. მოწმის მიერ ფიცის დადება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ მის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტისათვის და სასამართლო ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

2. ფიცის დადება ხდება დაკითხვის შემდეგ.

3. ფიცს არ დებენ 16 წელს მიუღწეველი პირები.

4. ფიცის დადების წინ სასამართლომ უნდა აუხსნას მოწმეს ფიცის მნიშვნელობისა და წი-

ნასწარგანზრახულად დაფიცების გზით ყალბი ჩვენების მიცემით გამოწვეული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

5. რელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე შემდეგნაირად მიმართავს მოწმეს:

„დაიფიცეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის წინაშე, რომ თქვენ მთელი შეგნებით თქვით მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაგიმალავთ“.

ამაზე მოწმე უპასუხებს:

„ვფიცავ, ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“

6. არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცი დაიდება შემდეგნაირად:

მოსამართლე მიმართავს მოწმეს:

„დაიფიცეთ, რომ თქვენ მთელი შეგნებით თქვით მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაგიმალავთ“.

მოწმე უპასუხებს:

„ვფიცავ“.

7. თუ მოწმე აცხადებს, რომ იგი თავისი რწმენისა თუ სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მან თავისი ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცვლელი დადასტურებით. ასეთი დადასტურება შემდეგნაირად ხორციელდება:

მოსამართლე მიმართავს მოწმეს:

„დადასტურებთ თუ არა სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით, რომ თქვენ თქვით მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაგიმალავთ?“.

მოწმე უპასუხებს: „დიახ, ვადასტურებ“.

1. ფიცის დადება მოწმის მიერ შეიძლება მოხდეს როგორც თვით მოწმის ინიციატივით, ისე მხარის შუამდგომლობით და სასამართლოს ინიციატივით.

– ყველა შემთხვევაში, იმისათვის რომ მოწმეს მიეცეს

ფიცის დადების შესაძლებლობა **ორი გარემოების ერთდროულად არსებობაა აუცილებელი: ერთი** – მოწმის ჩვენებას უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა დავის გადაწყვეტისათვის, მაგალითად, მოწმის ჩვენებაზეა დამოკიდებული სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და **მეორე** – ფიცის დადებას სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლის. მაგალითად, მოწმის ჩვენებას იმის შესახებ, რომ მისი თანდასწრებით მოპასუხემ მიუთვალა სესხად აღებული თანხა მოსარჩელეს, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საქმისათვის. ამიტომ, თუ სასამართლოს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია, ამ მოწმეს შეიძლება მოსთხოვოს ფიცის დადება.

2. ფსიქოლოგიის მეცნიერების მონაცემებით თვითონ ფაქტი პირის მოწმის სახით სასამართლოში გამოძახებისა შთამაგონებელ ზეგავლენას ახდენს ამ პირზე. მით უმეტეს ასეთი ზეგავლენა ძლიერდება, როცა მოწმეს აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მაგრამ, როცა მას ღმერთის წინაშეც აფიცებენ, არ არის გამორიცხული ასეთმა პირმა საერთოდ განაცხადოს, რომ არაფერი საქმის გარემოებების შესახებ არ იცის და ამიტომ ვერც მისცემს მათ შესახებ რაიმე ჩვენებას. ამიტომ, ფიცის დადების მომენტი, თუ ამას სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლის, უნდა მოხდეს მხოლოდ ჩვენების მიცემის შემდეგ და იმ წესით, როგორც ეს ამ მუხლის მე-5 ნაწილშია ჩამოყალიბებული.

3. რელიგიური, თუ არარელიგიური ფიცის დადება (მე-5 და მე-6 პუნქტები) ან კიდევ თავისი რწმენის გამო, ფიცის დადებაზე უარისთქმა (მე-7 ნაწილი), **არ ათავისუფლებს სასამართლოს** შეაფასოს მოწმის ჩვენება **თავისი შინაგანი რწმენით**. ფიცით დადასტურებული მოწმის ჩვენება სასამართლომ შეიძლება სარწმუნოდ მიიჩნიოს. სწორედ ამ მოსაზრებით შეიძლებოდა ეხელმძღვანელა კანონმდებელს, როდესაც ამ მუხლის მე-4 ნაწილით მიუთითა იმის შესახებ, რომ სასამართლომ უნდა აუხსნას მოწმეს ფიცის დადების წინ „წინასწარ განზრახულად დაფიცების გზით ყალბი ჩვენების მიცემით გამოწვეული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

ამრიგად, კანონმდებელი არ გამორიცხავს ყალბი ჩვენების ფიცის მეშვეობით დადასტურების შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს მოწმის ჩვენება მისი უტყუარობის თვალსაზრისით **ყველა შემთხვევაში**, გამონაკლისის გარეშე.

თ ა ვ ი XIX

ნივთიერი მტკიცებულება

მუხლი 154. ნივთიერი მტკიცებულებანი, მათი გამოთხოვისა და წარდგენის წესი

1. ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.

2. ნივთიერ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარემ ვერ შეძლო ნივთიერი მტკიცებულების მიღება იმ პირისაგან, ვისაც ხელთა აქვს იგი, მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე მისი გამოთხოვის შესახებ.

3. ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია აღნიშნოს, საქმის რა მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით, აღწეროს ეს ნივთი და მიუთითოს, რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა.

4. ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის განჩინებაში, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება.

1. 154-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ნივთიერი მტკიცებულების ცნების განსაზღვრება. თუ წერილობითი მტკიცებულება წერილობითი ნიშნებისა და ციფრების გამოყენებით გვაწვდის ცნობებს (მათი ამოკითხვის საშუალებით) ფაქტების შესახებ (134-ე მუხლი), ნივთიერი მტკიცებულებები ასეთ ცნობებს გვაწვდის **თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით**. მაგალითად, სადავოა გადა-

ცემული ნივთის ხარისხი (სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლი). ამ შემთხვევაში ეს ნივთი არის ნივთიერი მტკიცებულება. ან კიდევ, რომელიმე დოკუმენტზე ამოშლილია (გადაფხეკილია) ხელმოწერა. ამ შემთხვევაში ნივთიერი მტკიცებულება იქნება ეს დოკუმენტი და ა. შ.

2. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დამტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეებს. ამ მოვალეობის შესასრულებლად მხარეებმა უნდა წარადგინონ მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი ეკისრებათ მხარეებს. მხარემ შეიძლება სთხოვოს სასამართლოს თვითონ გამოითხოვოს ნივთიერი მტკიცებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან უშუალოდ ვერ შეძლო მისი მიღება იმ პირისაგან, რომელთანაც ეს მტკიცებულებები ინახება.

3. ისე როგორც ყველა სხვა სახის მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის დროს, მხარე რომელიც თხოვს სასამართლოს მიიღოს მისგან ნივთიერი მტკიცებულება, ან გამოითხოვოს იგი, ვალდებულია მიუთითოს თუ საქმისათვის მნიშვნელობის რომელი გარემოების დადასტურება შეიძლება ამ მტკიცებულებით. ეს არის **მტკიცებულებათა განკუთვნადობის** (104-ე მუხლი) პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინება.

თუ გარემოებას (ფაქტს), რომლის დასადასტურებლადაც მხარე შუამდგომლობს ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვაზე, არ აქვს მნიშვნელობა საქმისათვის, სასამართლომ უარი უნდა თქვას მის გამოთხოვაზე.

4. ნივთიერი მტკიცებულების მიღებაზე თუ გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება (104-ე მუხლი).

მუხლი 155. სასამართლო, რომელსაც უნდა წარედგინოს ნივთიერი მტკიცებულება

გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა გა-

დაუგზავნონ უშუალოდ სასამართლოს დანიშნულ ვადაში. სასამართლოს შეუძლია აგრეთვე ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვაზე შუამდგომლობის აღმძვრელ პირს მისცეს უფლება მიიღოს საბუთი სასამართლოში წარსადგენად.

– ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ნივთების დასახელება და მისი სასამართლოში წარდგენის ვადა.

მხარის შუამდგომლობით გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება უნდა გადაეგზავნოს უშუალოდ იმ სასამართლოს, რომელმაც იგი გამოითხოვა. თუ ეს შესაძლებელია და სასამართლოს დასაშვებად მიაჩნია, მას შეუძლია გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულების მიღების უფლება მისცეს მის გამოთხოვაზე შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ამ მტკიცებულების სასამართლოში შემდგომი წარმოდგენის მიზნით.

– თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ვერ ასრულებს დავალებას, მან უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს შესაბამის ფიზიკურ პირს ან იურიდიული პირის შესაბამის თანამდებობის პირს, ვისი ბრალითაც არ გადაიგზავნა გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება. დაჯარიმება არც პირველადი და არც განმეორებითი არ ათავისუფლებს პირს ნივთიერი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიმართოს იურიდიული პირის ზემდგომ ორგანოს ან თვითონ იძულებითი წესით (პოლიციის დახმარებით) ამოიღოს ეს მტკიცებულებები. (იხ. 156-ე მუხლის კომენტარი

მუხლი 156. ნივთიერი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობა

1. ფიზიკური თუ იურიდიული პირები ვალდებულნი არიან სასამართლოს აცნობონ იმის

შესახებ, რომ არა აქვთ საშუალება წარადგინონ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება ან წარადგინონ იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში.

2. შეუტყობინებლობის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთიერი მტკიცებულების წარდგენის შესახებ სასამართლოს მოთხოვნა არასაპატიო მიზეზით არ შესრულდა, სასამართლო შესაბამის ფიზიკურ ან იურიდიული პირის თანამდებობის პირს აჯარიმებს 50 ლარით.

3. დაჯარიმება არ ათავისუფლებს მოქალაქეს ან სათანადო თანამდებობის პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ნივთის წარდგენის მოვალეობისაგან.

4. ნივთიერი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს შესაბამის პირებს პირველი ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით.

1. ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ნებისმიერი თანამდებობის პირი ვალდებულია გადაუგზავნოს სასამართლოს მის მიერ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება ამავე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში.

– ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს გამოსათხოვი ნივთიერი მტკიცებულების განმასხვავებელი ნიშნები, აგრეთვე დრო, რომლის განმავლობაშიაც ისინი წარდგენილი უნდა იქნეს სასამართლოში, გაფრთხილება იმის შესახებ, რომ დროულად აცნობონ სასამართლოს მათი წარუდგენლობის მიზეზების შესახებ და სასამართლოს მითითება, რომ თუ სასამართლოს მოთხოვნა ნივთის წარდგენის შესახებ არ შესრულდება ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს – შესაბამისი პირი დაჯარიმდება 50 ლარით, ხოლო ამ მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობისათვის – პირველი ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით.

2. დაჯარიმება შეიძლება მოქალაქის (ფიზიკური პირის) ან იმ თანამდებობის პირის, ვისი ბრალითაც არ გადაეგზავნა სასამართლოს გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება.

– სასამართლომ ჯერ კიდევ დაჯარიმებამდე თავისი ინიციატივით უნდა გაარკვიოს შესაბამისი ორგანიზაციის რომელი თანამდებობის პირს მიუძღვის ბრალი გამოთხოვილი მასალების გადაუგზავნელობაში. ამისათვის ის გადაუგზავნის შეკითხვას ორგანიზაციის ხელმძღვანელს. თუ ამ ხელმძღვანელიდანაც არ მოვიდა პასუხი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება უშუალოდ ამ ხელმძღვანელის დაჯარიმების შესახებ.

3. თუ ნივთიერი მტკიცებულებები განმეორებით დაჯარიმების შემდეგაც არ იქნება გადმოგზავნილი, მაშინ სასამართლო ამოიღებს მათ პოლიციის მეშვეობით, ან მოახდენს მათ დათვალიერებას ადგილზე (159-ე მუხლი).

მუხლი 157. მხარის მიერ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე უარის თქმა

თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა, და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის ხელთ არსებული ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე.

– 157-ე მუხლს მხედველობაში ყავს მხარე – მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით. თუ ასეთი ფიზიკური ან იურიდიული პირი არ უარყოფს, რომ ნივთიერი მტკიცებულება მასთან ინახება, მაგრამ არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს წარუდგინოს იგი სასამართლოს,

მაშინ სასამართლოს შეუძლია **ივარაუდოს დამტკიცებულად** ის ფაქტი, რომლის დასადასტურებლადაც მხარე შუამდგომლობდა მის გამოთხოვას და ამ **ვარაუდის გასაქარწყლებლად მტკიცების ტვირთი გადააკისროს მხარეს,** რომელიც უარს ამბობს ამ ნივთიერი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენაზე.

მუხლი 158. ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმება

1. ნივთიერი მტკიცებულებები წარედგინება მხარეებს (წარმომადგენლებს). მათ შეუძლიათ გაეცნონ დათვალიერების ოქმებს. მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამ ნივთიერ მტკიცებულებათა თუ მათი დათვალიერების ოქმების შესახებ.

2. მხარეებს მთავარ სხდომაზე შეუძლიათ იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე, ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით დანიშნოს ექსპერტიზა, თუ ასეთი შუამდგომლობა საპატიო მიზეზით არ იყო მათ მიერ აღძრული საქმის მომზადების სტადიაზე. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

3. ექსპერტიზის დანიშვნა ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც.

1. ნივთიერი მტკიცებულებები, თუ ისინი არ ერთვის საქმეს, რაც ხშირად შეუძლებელია ამ მტკიცებულებების ხასიათის, შინაარსის თუ მოცულობის გამო, შეიძლება უშუალოდ დაათვალიეროს მხარემ მათი შენახვის მდებარეობის ადგილზე, თუ იგი არ მონაწილეობდა მათ დათვალიერებაში, როცა ამას სასამართლო აწარმოებდა, აგრეთვე გაეცნოს დათვალიერების ოქმებს და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

2. ყოველგვარი შუამდგომლობა და მათ შორის მხარეთა

შუამდგომლობა ნივთიერი მტკიცებულების შემოწმების მიზნით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ შეიძლება აღიძრას სასამართლოს წინაშე საქმის მომზადების სტადიაზე. მოგვიანებით ასეთი შუამდგომლობა შეიძლება განიხილოს სასამართლომ მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას (215-ე მუხლი).

3. მტკიცებულებათა შემოწმება სასამართლოს პრეროგატივაა. ცხადია, რომ თუ შემოწმება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა (162-ე მუხლი).

მუხლი 159. ნივთიერ მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერება

თუ ნივთიერ მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენა ძნელი ან შეუძლებელია, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, დაადგინოს მათი ადგილზე დათვალიერება, რის შესახებაც გამოაქვს განჩინება. თუ საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავს, ადგილზე დათვალიერება შეიძლება მიენდოს ერთ-ერთ მოსამართლეს. ადგილზე დათვალიერება ხდება XV თავში დადგენილი წესებით.

– ადგილზე ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერება მიმდინარეობს სსკ 120-126-ე მუხლებით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

დამატებით აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ მალფუჭებადი პროდუქტების დათვალიერება დაუყოვნებლივ წარმოებს, რის შემდეგ ისინი უბრუნდება მის მფლობელს. მათი დაბრუნების შესახებ უნდა შედგეს აქტი, რომელიც რჩება საქმეში. თუ მათი დაბრუნება მფლობელისათვის ან იმ პირისათვის, ვისგანაც ისინი ამოიღო სასამართლომ, ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელია, მაშინ უნდა მოხდეს მათი რეალიზაცია სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით. რეა-

ლიზაციით მიღებული თანხები ჩაირიცხება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

– დათვალიერების შედეგად შედგენილი ოქმი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელშიაც აისახება დათვალიერების შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული ფაქტობრივი გარემოებები, მათი ხარისხი, თვისებები და ა. შ. ოქმს თან ერთვის მოსამართლის ან დათვალიერებაში მონაწილე სპეციალისტის მიერ შედგენილი სქემები, ნახაზები, ფოტოები და სხვა.

მუხლი 160. ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვა

1. ნივთიერი მტკიცებულებები ინახება საქმეში ან საგანგებო აღწერის სიით ჩაბარდება სასამართლოს ნივთიერ მტკიცებულებათა შესანახ კამერაში.

2. ნივთები, რომელთა სასამართლოში მიტანა შეუძლებელია, ადგილზე ინახება. ისინი დაწვრილებით უნდა იქნეს აღწერილი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ფოტოგრაფირებულიც.

3. სასამართლო იღებს ღონისძიებებს ნივთების უცვლელ მდგომარეობაში შესანახად.

1. საქმეში შეიძლება შენახულ იქნეს მცირე მოცულობის ნივთიერი მტკიცებულებები, რომლებიც ჩაიდება კონვერტში ან პაკეტში და ჩაეკერება საქმეში. თუ მათი მოცულობა ამის საშუალებას არ იძლევა, ისინი ჩაბარდება სასამართლოს შესანახ კამერას, რისთვისაც პრაქტიკულად გამოიყენება სეიფები, კარადები და ა. შ. შესანახად ჩაბარებული ნივთების სია დაერთვის საქმეს.

2. თუ ნივთიერი მტკიცებულებების არა მარტო მოცულობა, არამედ მათი რაოდენობაც არ იძლევა, მათი სასამართლოში მოტანისა და შენახვის საშუალებას ისინი უნდა აღიწეროს და შეინახოს მათი მდებარეობის ადგილზე. მათი აღწერილობითი დოკუმენტები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ფოტოებიც დაერთვის საქმეს.

3. სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები მათ შესანახად, ხოლო თუ ეს შეუძლებელია მოახდენს მათ რეალიზაციას და შემოსულ თანხას ჩარიცხავს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე. თუ სასამართლოს შეხედულებით ეს მიზანშეწონილია, ნივთების დათვალირების შემდეგ ისინი შეიძლება დაუბრუნდეს მის მფლობელს.

მუხლი 161. ნივთიერ მტკიცებულებათა დაბრუნება

1. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ნივთიერი მტკიცებულება დაუბრუნდება მის წარმდგენ პირს ან გადაეცემა იმ პირს, რომელსაც სასამართლომ მიაკუთვნა უფლება ამ ნივთზე.

2. ნივთები, რომლებიც არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა მფლობელობაში, გადაეცემა სათანადო სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას.

3. ცალკეულ შემთხვევაში ნივთიერი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ მათი შემოწმებისა და გამოკვლევის შემდეგ შეიძლება საქმის დამთავრებამდე დაუბრუნდეს მის წარმდგენ პირს, თუ უკანასკნელი ამას შუამდგომლობს და თუ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეიძლება საქმის განხილვისათვის ზიანის მიუყენებლად.

1. როგორც წესი, ნივთიერი მტკიცებულებების დაბრუნება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში. ცხადია, მხედველობაშია ისეთი ნივთები, რომლებიც **შეიძლება იყოს მოქალაქეთა მფლობელობაში**. თუ ისეთი ნივთებია, რომლებიც არ შეიძლება იყოს მათ მფლობელობაში, ან შეიძლება, მაგრამ ამისათვის სპეციალური ნებართვაა საჭირო, მაშინ ეს ნივთები გადაეცემა შესაბამის ორგანოებს. მაგალითად, თუ ნივთიერი მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი იყო სანადი-

რო თოფი, რომელზეც სპეციალური ნებართვა მხარეს არ გააჩნდა, იგი გადაეცემა პოლიციის ორგანოებს.

– როგორც გამონაკლისი, ნივთები შეიძლება დაუბრუნდეს მის წარმომდგენ პირს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: **პირველი** – თუ არის ნივთიერი მტკიცებულებების მფლობელის ან წარმომადგენლის შუამდგომლობა და **მეორე** – თუ სასამართლოს აზრით ნივთების დაბრუნება არ ეწინააღმდეგება საქმის განხილვის ინტერესს.

თ ა ვ ი XX

ექსპერტის დასკვნა

მუხლი 162. ექსპერტიზის დანიშვნა

1. თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი, რომლის განმარტებაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, სასამართლოს მხარეთა თხოვნით შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვისათვის საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარისათვის ასეთი გარემოება ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და ასეთი საფუძველი წარმოიშვა ამ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი განცხადებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენა საქმის მომზადების სტადიაზე.

2. სასამართლოს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა.

1. სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეიძლება წამოიჭრას ისეთი საკითხები და შეგვხვდეს ისეთი გარემოებები, რომელთა გარკვევა და დადგენა ჩვეულებრივი მეთოდებით და ცნობილი საშუალებებით შეუძლებელი აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოსათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სასამართლო ექსპერტიზას. სამოქალაქო საპროცესო სამართლის თვალსაზრისით, სპეციალური ცოდნა - ეს ისეთი ცოდნაა, რომელიც სცილდება სამართლებრივი ცოდნის, იმ წესებისა და ნორმების ფარგლებს, რომლებიც ასახავენ საზოგადოების მორალურ თუ სხვა შეხედულებას და რწმენას. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ექსპერტიზა დაინიშნოს სამართლის საკითხებზე

ან ისეთ საკითხებზე, რომლებიც მორალურ შეფასებას მოითხოვენ.

ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც. მხარეთა შუამდგომლობა ცხადია, არაა სავალდებლო სასამართლოსათვის, მას შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, თუ საკითხის გარკვევა, ფაქტის დადგენა **მართლაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.** წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უარი უნდა თქვას ექსპერტიზის დანიშვნაზე.

ექსპერტიზის დანიშვნა ისეთი საკითხის გასარკვევად, რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, არის კანონის აზრისა და შინაარსის უხეში დარღვევა, პრინციპულად დაუშვებელია და ფაქტიურად წარმოადგენს **სასამართლო ფუნქციის ექსპერტზე დელეგირების შენიღბულ ფორმას**.

162-ე მუხლი განსაზღვრავს ექსპერტიზის დანიშვნის სტადიას, ანუ საქმის წარმოების ეტაპს, როცა შეიძლება ექსპერტიზის დანიშვნა. ეს ეტაპია **საქმის მომზადების სტადია.** ეს იმას ნიშნავს, რომ შუამდგომლობები ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მხარეებს შეუძლიათ აღძრან საქმის მომზადების სტადიის დამთავრებამდე (იხ.207-ე მუხლის კომენტარი).მხარის შუამდგომლობა და ექსპერტიზის დანიშვნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში ა) თუ ისეთი გარემოების შესახებ, რომლის დადგენა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას, მაგალითად, მოწინააღმდეგე მხარემ კონკრეტული გარემოების შესახებ (ვთქვათ, მისი სახელით დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა სინამდვილეში მას არ ეკუთვნის) საკითხი წამოჭრა მთავარ სხდომაზე, ან ასეთი გარემოების შესახებ, მისთვის ცნობილი იყო საქმის მომზადების სტადიაზე, მაგრამ ავადმყოფობის, ხანგრძლივი მივლინების თუ სხვა ობიექტური მიზეზების გამო მან ვერ შეძლო შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრა სასამართლოს წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ **ექსპერტიზის დანიშვნის ასეთი წესი ემსახურება საქმის დროულად განხილვასა და გადაწყვეტას, წარმოადგენს საქმის განხილვის გაჭია-**

ნურების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებას და სასამართლოებმა განუხრელად უნდა შეასრულონ ამ მუხლის მოთხოვნები.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი უფლებას ანიჭებს სასამართლოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დანიშნოს ექსპერტიზა თავისი ინიციატივით.

მუხლი 163. განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

1. ექპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად. აუცილებლობის შემთხვევაში ექსპერტიზის ჩასატარებლად სასამართლო ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.

2. ექსპერტების შერჩევის დროს სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა მოსაზრებებს. მხარეებს უფლება აქვთ შესთავაზონ სასამართლოს ექსპერტად დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს ექსპერტიზის ჩატარება, წყვეტს სასამართლო. მხარეებს უფლება აქვთ აცილება მისცენ ექსპერტს 35-ე მუხლით დადგენილი საფუძვლით.

3. მხარეებს უფლება აქვთ აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭირო ა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს სასამართლო. ეს უკანასკნელი ვალდებულია დაასაბუთოს მხარეთა მიერ წამოყენებული საკითხების უარყოფა.

1. განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, გარდა 285-ე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტებისა უნდა

აღინიშნოს: ა) სპეციალური საექსპერტო დაწესებულება, რომელსაც მიენდო ექსპერტიზის ჩატარება (166-ე მუხლი); ბ) ექსპერტად დანიშნული პირის ვინაობა, თუ ექსპერტიზა ტარდება არასპეციალურ სასამართლო საექსპერტო დაწესებულებაში (167-ე მუხლი); გ) იმ ფაქტების ზუსტი და სრული ჩამონათვალი, რომელთა არსებობის თუ არარსებობის შესახებ საჭიროა ექსპერტის დასკვნა. ეს ფაქტები შეიძლება იყოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები, ანუ იურიდიული ფაქტები, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს, აგრეთვე მტკიცებულებითი ფაქტები; დ) იმ მასალების ჩამონათვალი, რომლებიც წარედგინა ექსპერტს გამოსარკვევად. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალების შეგროვებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 169-ე მუხლის მოთხოვნებით.

2. ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს საქმის მომზადების სტადიაზე (103-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). მოგვიანებით, ე. ი. საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ, როცა უკვე დანიშნულია სასამართლოს მთავარი სხდომა, ამ მთავარ სხდომაზე მხარეთა შუამდგომლობას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ პირობით, თუ ასეთი შუამდგომლობის დროულად აღძვრა მათ ვერ შეძლეს საპატიო მიზეზით. მხარეთა შუამდგომლობის უფლება მიმართონ სასამართლოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ **არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით**.

მიუხედავად იმისა, საქმის წარმოების რომელ სტადიაზე ინიშნება ექსპერტიზა, სასამართლო ყოველთვის ატყობინებს მხარეებს ამის შესახებ, რათა მათ შეძლონ იმ უფლებათა რეალიზაცია, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით. მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ექსპერტიზის დანიშვნას.

3. ამ მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას გამოიტანოს მოტივირებული განჩინება, როდესაც იგი უარყოფს მხარეთა მიერ შემოთავაზებულ საკითხებს. ასეთივე განჩინება სასამართლომ უნდა გამოიტანოს მაშინაც, როცა იგი უარს ეუბნება მხარეს დანიშნოს ექსპერტიზა.

ორივე შემთხვევაში განჩინება შეიძლება დასაბუთდეს იმით, რომ საკითხები, რომელთა გარკვევას ექსპერტიზის მეშვეობით მოითხოვენ მხარეები, სინამდვილეში არ საჭიროებენ სპეციალურ ცოდნას, ან კიდევ, ეს საკითხები გარკვეულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

– განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლომ **შეიძლება დანიშნოს დრო**, რომლის განმავლობაშიც ექსპერტმა უნდა წარმოადგინოს დასკვნა. თუ ასეთი დროის დანიშვნა ექსპერტიზის სირთულის გამო შეუძლებელია, სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება ექსპერტის დასკვნის მიღებამდე (281-ე მუხლი).

მუხლი 164. რამდენიმე ექსპერტის დანიშვნა

რამდენიმე ექსპერტის დანიშვნისას მათ უფლება აქვთ ერთმანეთთან ითათბირონ. თუ ექსპერტები დაადგებიან საერთო აზრს, ყველანი ხელს აწერენ ერთ დასკვნას. ექსპერტი, რომელიც არ ეთანხმება დანარჩენ ექსპერტებს, ადგენს ცალკე დასკვნას.

თუ სასამართლოს შეხედულებით იმ საკითხების გარკვევა, რომლებიც დასმულია განჩინებაში, საჭიროებს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, იგი ნიშნავს **რამდენიმე ექსპერტს (კომპლექსური ექსპერტიზა)**. ეს ექსპერტები იძლევიან საერთო დასკვნას, თუ ისინი ერთნაირად ფიქრობენ ამ საკითხზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მისცენ თავიანთი (ცალკე) დასკვნა, რომლებიც მტკიცების დამოუკიდებელი საშუალებებია (მტკიცებულებებია), სასამართლო აფასებს ამ დასკვნებს როგორც დამოუკიდებელ მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, მაგრამ შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა (173-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მუხლი 165. ექსპერტიზის ჩატარების ადგილი

ექსპერტიზა ტარდება სასამართლოში ან მის გარეთ, თუ ეს აუცილებელია გამოკვლევის ხასიათის ან იმის გამო, რომ გამოკვლევის საგნის წარდგენა სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია.

როგორც წესი, ექსპერტიზა ტარდება სასამართლოს გარეთ, მაგრამ ეს გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ გამოკვლევის საგნის წარდგენა სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია, არამედ უმეტესად იმის გამო, რომ გამოკვლევისათვის საჭირო მოწყობილობებისა და ნივთიერებების გამოყენება სასამართლოს შენობაში რთულია ან შეუძლებელია.

მუხლი 166. ექსპერტიზის ჩატარების წესი სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში

1. თუ ექსპერტიზის წარმოება მინდობილი აქვს სპეციალურ სასამართლო-საექსპერტო დაწესებულების ექსპერტს, სასამართლო უგზავნის ამ დაწესებულებას თავის განჩინებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, აგრეთვე ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელ მასალებს.

2. სასამართლოს განჩინების მიღების შემდეგ საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ექსპერტიზის ჩატარებას მიანდობს ამ დაწესებულების ერთ ან რამდენიმე თანამშრომელს.

3. სასამართლოს დავალებით საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი განუმარტავს თანამშრომლებს, რომლებსაც მიენდოთ ექსპერტიზის ჩატარება, ექსპერტის უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია 168-ე მუხლით, აგრეთვე დასკვნის მიცემაზე უარის თქმი-

სათვის თავის არიდებისა თუ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის პასუხისმგებლობას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ამის შესახებ მათ ჩამოერთმევათ ხელწერილი, რომელიც ექსპერტის დასკვნასთან ერთად გადაეგზავნება სასამართლოს.

1. როდესაც ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს სპეციალურ სასამართლო საექსპერტო დაწესებულებაში, ექსპერტს ნიშნავს არა სასამართლო, არამედ ამ სპეციალური საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი. ამიტომ, სასამართლო თავის განჩინებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ყველა მასალებთან ერთად უგზავნის ამ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ ექსპერტიზის ჩატარებას მიანდობს თავისი დაწესებულების ერთ-ერთ ან რამდენიმე ექსპერტს.

2. სასამართლო-საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი თავის მხრივ ასრულებს ყველა იმ მოქმედებას, რასაც შეასრულებდა მოსამართლე, მას რომ ექსპერტი დაენიშნა უშუალოდ, კერძოდ, აფრთხილებს პასუხისმგებლობის შესახებ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის, განუმარტავს მას ექსპერტის უფლება-მოვალეობებს (168-ე მუხლი) და ა. შ.

3. მხარეს, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა თუ ვის მიენდო ექსპერტიზის ჩატარება, შეუძლია სასამართლოს მეშვეობით განუცხადოს აცილება ამ ექსპერტს. აცილების საკითხს განიხილავს სასამართლო (34-ე და 35-ე მუხლები).

მუხლი 167. ექსპერტიზის ჩატარება არასაექსპერტო დაწესებულებაში

თუ ექსპერტიზა ტარდება არასპეციალურ სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში, შესაბამის პირს ექსპერტად ნიშნავს თვითონ სასამართლო. განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის

შესახებ და ყველა მასალა, რაც აუცილებელია ექსპერტიზის ჩასატარებლად, ექსპერტად დანიშნულ პირს უშუალოდ სასამართლომ უნდა გადასცეს. განჩინების გადაცემისას სასამართლო ამოწმებს ექსპერტის პიროვნებას, მის სპეციალობასა და კომპეტენტურობას, განუმარტავს ექსპერტს მის უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია 168-ე მუხლით, და აფრთხილებს ექსპერტს დასკვნის მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისა თუ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ყოველივე ეს აღინიშნება სასამართლოს განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რაც დამოწმდება ექსპერტის ხელმოწერით.

1. თუ ექსპერტიზა არ ტარდება სპეციალურ სასამართლო საექსპერტო დაწესებულებაში, მაშინ ექსპერტს უშუალოდ სასამართლო ნიშნავს (162-163-ე მუხლები) და საჭირო მასალებსაც განჩინებასთან ერთად უშუალოდ სასამართლო გადასცემს ექსპერტს. განჩინებისა და მასზე დართული საბუთების უშუალოდ ექპერტისათვის გადაცემასთან ერთად მოსამართლე კიდევ ერთხელ ამოწმებს მის პიროვნებას, სპეციალობას და კომპეტენტურობას, განუმარტავს მას უფლებებსა და მოვალეობებს და აფრთხილებს პასუხისმგებლობის შესახებ, რაც უნდა აღინიშნოს განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ხელი მოაწეროს ექსპერტად დანიშნულმა პირმა.

მუხლი 168. ექსპერტის უფლებები და მოვალეობები

1. ექსპერტად დანიშნული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში გამოძახებისთანავე და მისცეს ობიექტური დასკვნა მის წინაშე დასმულ კითხვებზე.

2. თუ ექსპერტი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სასამართლოში, თავს აარიდებს დასკვნის მიცემას ან შეგნებულად მისცემს ყალბ დასკვნას, მის მიმართ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

3. ექსპერტს უფლება აქვს უარი თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ მისთვის გადაცემული მასალები საკმარისი არ არის, ან თუ მას არა აქვს სათანადო ცოდნა დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ექსპერტი მოვალეა აღნიშნული საფუძვლებით დასკვნის მიცემაზე უარი დაწვრილებით დაასაბუთოს.

4. თუ ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტი გამოარკვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთ გარემოებებს, რომელთა შესახებაც მას კითხვები არ ჰქონდა დასმული, ექსპერტს უფლება აქვს დასკვნაში მიუთითოს ამ გარემოებებზე.

5. ექსპერტიზასთან დაკავშირებული გარემოებების გამოსაკვლევად ექსპერტს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაუსვას მხარეებს და მოწმეებს შეკითხვები, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა დათვალიერებასა და შემოწმებაში, აგრეთვე სთხოვოს სასამართლოს მისთვის დამატებითი მასალების წარდგენა.

1. ექსპერტი ვალდებულია არა მარტო წერილობითი დასკვნა მისცეს, არამედ გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, თუ ეს სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია და პასუხი გასცეს მის წინაშე დასმულ საკითხებზე. კითხვები ექსპერტს სასამართლო სხდომაზე შეიძლება დაუსვას არამარტო მოსამართლემ, არამედ მხარეებმა და მათმა წარმომადგენლებმა. ამ მოვალეობების შესრულება უზრუნველყოფილია პასუხისმგებლობის ღონისძიებებით, რაც მითითებულია ამ მუხლის მე-2 ნაწილში.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლებს, რომელთა მიხედვით ექსპერტს შეიძლება დაეკისროს ასეთი პასუხისმგებლობა, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი ითვალისწინებს ექსპერტის პასუხისმგებლობას ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემისათვის.

3. პირის ექსპერტად დანიშვნამდე სასამართლო არკვევს ამ პირის სპეციალობას და კომპეტენტურობას, მაგრამ შეიძლება მისი არაკომპეტენტურობა გამოვლინდეს მოგვიანებით – ექსპერტიზის ჩატარების პროცესში.

ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს უარი თქვას დასკვნის მიცემაზე. დასკვნის მიცემაზე უარის თქმის უფლება მას აქვს მაშინაც, როცა მისთვის გადაცემული მასალები არაა საკმარისი ამისათვის.

– ორივე ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დასკვნის მიცემაზე უარის თქმისათვის გამორიცხულია, მაგრამ ექსპერტმა წერილობით უნდა შეადგინოს უარი და დაწვრილებით დაასაბუთოს ამ უარის თქმა. ექსპერტის წერილობით შედგენილი უარი დასკვნის მიცემაზე დროულად უნდა გადაეცეს სასამართლოს.

4. ფაქტიური გარემოებების ან საკითხების წრეს, რომელთა შესახებ დასკვნა უნდა მისცეს ექსპერტმა – განსაზღვრავს სასამართლო თავის განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ (163-ე მუხლი). ექსპერტი ვალდებულია მისცეს დასკვნა ამ ფაქტებისა და საკითხების შესახებ, მაგრამ ექსპერტს შეუძლია გასცდეს სასამართლოს მიერ განჩინებაში დასმული საკითხების წრეს და მისცეს თავისი დასკვნა ისეთ ფაქტებზე და საკითხებზე, რომელთა შესახებ მას არ ჰქონდა კითხვები დასმული, მაგრამ გამოკვლევის შედეგები იძლევა ამ საკითხებზე პასუხის გაცემის საშუალებას, რასაც შეიძლება ჰქონდეს მისი აზრით მნიშვნელობა საქმისათვის.

5. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალებს აგროვებს სასამართლო (169-ე მუხლი). მაგრამ სასამართლომ შეიძლება არ მიანიჭოს მნიშვნელობა და არ გადაუგზავნოს ექსპერტს ყველა ის მასალა, რომელიც საჭიროა მისთვის. ამიტომ, ექსპერტს ენიჭება ფართო უფლებები, რომლებიც

მითითებულია ამ მუხლის მე-5 ნაწილში. თუ ის აღმოაჩენს მასალებს, რომლებიც საჭიროა სრულყოფილი დასკვნისათვის, მან უნდა სთხოვოს სასამართლოს გადასცეს ეს მასალები. მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით შეუძლია ექსპერტს მიიღოს მისთვის საჭირო მასალები.

მუხლი 169. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალების შეგროვება

1. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების წრეს განსაზღვრავს სასამართლო, რომელიც ითვალისწინებს როგორც მხარეების, ისე ექსპერტად დანიშნული პირის მოსაზრებებს.

2. თუ ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო მასალების მიღებისათვის აუცილებელია მოწმის დაკითხვა, სასამართლოს შეუძლია გამოიძახოს და დაკითხოს იგი ექსპერტის მონაწილეობით. მხარეებს ეცნობებათ ამის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს მოწმის დაკითხვას. ამ წესით დაკითხული მოწმე არ თავისუფლდება სასამართლო სხდომაზე გამოცხადებისაგან და საქმის განხილვის დროს განმეორებითი დაკითხვისაგან.

3. მოწმის დაკითხვის შესახებ შედგება ოქმი, რომელიც დაერთვის საქმეს.

1. ექსპერტიზის მასალებს აგროვებს სასამართლო. ამ მასალების ხასიათსა და მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო, რომელსაც შუძლია გაითვალისწინოს მხარეებისა და თვით ექსპერტის მოსაზრებები. თუ ეს მასალები არ აღმოჩნდა საკმარისი, ექსპერტს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დამატებითი მასალების წარდგენა და მიუთითოს კიდეც ამ დამატებითი მასალების ხასიათზე. ექსპერტს შეუძლია მიი-

ღოს დამატებითი მასალები მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით და დახმარებით.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს უშუალობის პრინციპიდან გადახვევის ერთ-ერთ გამონაკლის შემთხვევას და იგი განპირობებულია ექსპერტიზის დროულად ჩატარების ინტერესებით. ამ ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა დასაშვებად ჩათვალა მოწმის დაკითხვა არა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, არამედ მანამდე და ექსპერტიზისათვის მასალების შეგროვების დაჩქარებისათვის.

ამასთან ერთად, იგივე მოწმე შეიძლება გამოძახებული და დაკითხული იქნეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ჩვენების განმეორებით მიცემის მიზნით.

3. ექსპერტიზისათვის ყველა საჭირო მასალების შეგროვების მიზნით მოწმის დაკითხვა მიმდინარეობს დაკითხვის წესების დაცვით, ხოლო დაკითხვის ოქმი დაერთვის საქმეს.

მუხლი 170. ექსპერტის დასკვნის ფორმა და შინაარსი

1. ექსპერტი დასკვნას იძლევა წერილობითი ფორმით. სასამართლოს უფლება აქვს მისცეს ექსპერტს წინადადება, რომ მან ზეპირი განმარტება მისცეს სასამართლოს თავისი დასკვნის შესახებ. ზეპირი განმარტება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, წაეკითხება ექსპერტს რომელიც, ხელს აწერს მას.

2. ექსპერტის დასკვნა უნდა შეიცავდეს წარმოებული გამოკვლევის წერილობით აღწერას, გამოკვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და დასაბუთებულ პასუხებს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე.

1. **ექსპერტის დასკვნა** – სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ ჩატარებული გამოკვლევის (ექსპერტიზის) შედეგია. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ სასამართლოს, რომელმაც ეს დასკვნა უნდა შეაფასოს, შეიძლება დასჭირდეს მისი განმარტება. ექსპერტი თავის დასკვნას

ყოველთვის აყალიბებს წერილობითი ფორმით, მაგრამ ამ დასკვნის განმარტება მან უნდა მისცეს სასამართლოს **ზეპირი ფორმით**, სასამართლოს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე. ზეპირი განმარტების დროს ექსპერტს შეიძლება შეკითხვები დაუსვან მხარეებმა და მათმა წარმომადგენლებმა (83-ე და 171-ე მუხლები).

2. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ამომწურავად ყველა იმ რეკვიზიტს, რომელსაც უნდა შეიცავდეს ექსპერტის წერილობითი დასკვნა. სპეციალურმა სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებმა შეიმუშავა ასეთი რეკვიზიტები.

ექსპერტის დასკვნა, ყველა შემთხვევაში უნდა შედგებოდეს შესავალი, გამოკვლევითი და დასკვნითი ნაწილებისაგან. **შესავალში** უნდა მიეთითოს სასამართლო, რომელმაც დანიშნა ექსპერტიზა, ცნობები ექსპერტიზის შესახებ, საექსპერტო მასალების შემოსვლის თარიღი და ამ მასალების დასახელება, იმ ფაქტების და საკითხების წრე, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს ექსპერტმა. **გამოკვლევით ნაწილში** უნდა მიეთითოს გამოკვლევის მეთოდი (ექსპერიმენტი, შედარებითი, ქიმიური და ა. შ.) და ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამოიყენა ექსპერტმა გამოკვლევის ჩატარების მიზნით. **დასკვნითი ნაწილი**, უნდა შეიცავდეს პასუხებს მის წინაშე დასმული საკითხების შესახებ, იმ ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ, რომლებიც აინტერესებს სასამართლოს.

დასკვნითი ნაწილი შეიძლება შეიცავდეს პასუხებს ისეთ საკითხებზეც, რომლებიც არ იყო სასამართლოს მიერ დასმული ექსპერტის წინაშე, მაგრამ ექსპერტის შეხედულებით მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობა საქმისათვის.

ექსპერტის დასკვნა შეიძლება იყოს **კატეგორიული**, როცა ექსპერტი ერთმნიშვნელოვნად (ცალსახად) პასუხობს მის წინაშე დასმულ საკითხზე, **სავარაუდო**, როცა ექსპერტი არ გამორიცხავს საკითხის სხვანაირად გადაწყვეტის შესაძლებლობას და, ბოლოს, საკითხის გადაწყვეტის **შეუძლებლობის შესახებ**.

მუხლი 171. ექსპერტის დასკვნის შემოწმება. ექსპერტისათვის შეკითხვის მიცემის წესი

1. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება სასამართლოს სხდომაზე. მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, ხოლო დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები.

2. ექსპერტს პირველად ეკითხება ის პირი, რომლის თხოვნითაც დაინიშნა ექსპერტი, და მისი წარმომადგენელი. სასამართლოს ინიციატივით დანიშნულ ექსპერტს პირველად ეკითხება მოსამართლე. მოსამართლეს შეუძლია შეკითხვები დაუსვას ექსპერტს მისი დაკითხვის ყოველ მომენტში.

1. შეიძლება ითქვას, რომ ექსპერტის დასკვნის შემოწმებით იწყება ექსპერტის დასკვნის შეფასება. მხარეები და მათი წარმომადგენლები ექსპერტის დასკვნის შემოწმების მიზნით ჯერ მას ადარებენ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. ასეთი შედარების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება და რა თანაფარდობაშია ექსპერტის დასკვნა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. თუ ექსპერტის დასკვნა უპირისპირდება სხვა მტკიცებულებებს, განსაკუთრებით კი ისეთ მტკიცებულებებს, რომლის უტყუარობა არ უნდა იწვევდეს ეჭვს, მაშინ უკვე წამოიჭრება მრავალი საკითხი, რომელიც შეიძლება გაირკვეს ექსპერტისათვის შეკითხვების მიცემით. ექსპერტის წინაშე შეიძლება დაისვას საკითხი მისი დასკვნის განმარტების შესახებ და იმის თაობაზე, თუ რა მეთოდის გამოყენებით გააკეთა მან ასეთი დასკვნა.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ექსპერტისათვის შეკითხვების მიცემის რიგითობას. ეს რიგითობა უნდა

დაიცვას სასამართლომ, რომელსაც შეუძლია შეკითხვები მისცეს ექსპერტს მისი დაკითხვის ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 172. ექსპერტის დასკვნის შეფასება

ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში.

1. ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს დამოუკიდებელ მტკიცების საშუალებას (მტკიცებულებას). მაშასადამე, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად, მაგრამ ვიდრე ამ მიზნით იქნებოდეს გამოყენებული, ექსპერტის დასკვნა უნდა შეაფასოს სასამართლომ თავისი შინაგანი რწმენით (105-ე მუხლი).

– ექსპერტის დასკვნის სისწორისა და დასაბუთებულობის მნიშვნელოვანი გარანტიაა ექსპერტის დანიშვნისა და ჩატარების საპროცესო ფორმის (წესის) დაცვა. ამიტომ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს ხომ არ იყო ეს ფორმა დარღვეული.

– ექსპერტის დასკვნის სისწორის მნიშვნელოვანი გარანტიაა ექსპერტის მეცნიერული კომპეტენტურობა. ამიტომ სასამართლომ კიდევ ერთხელ უნდა შეამოწმოს მისი კომპეტენტურობა.

– ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტის დასკვნის უარყოფის საბაბი შეიძლება გახდეს საპროცესო ფორმის არა ყოველგვარი დარღვევა, არამედ მისი **ისეთი დარღვევა**, რომელსაც შეეძლო **გავლენა მოეხდინა** ექსპერტის დასკვნის სისწორეზე და დასაბუთებულობაზე. მაგალითად, თუ აღმოჩნდება, რომ დასკვნა შეადგინა ექსპერტმა, რომელიც დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან არაკომპეტენტურმა პირმა, რომელსაც არ გააჩნია სათანადო სპეცი-

ალური ცოდნა და გამოცდილება, ან კიდევ, ექსპერტმა გამოიკვლია არასათანადო და უხარისხო ობიექტი და ა. შ. მაშინ ექსპერტის დასკვნა არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც სწორი და დასაბუთებული.

2. ექსპერტის დანიშვნა და ჩატარების საპროცესო ფორმის (წესის) დაცვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ექსპერტის დასკვნა დასაბუთებულია. ექსპერტის დასკვნის შეფასებისათვის სასამართლომ უნდა შეაფასოს ის წანამძღვრები, ფაქტობრივი და მეცნიერული მონაცემები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ დასკვნას.

ასეთი შეფასება საკმაოდ რთულია მოსამართლისათვის, ვინაიდან იგი არაა აღჭურვილი იმ სპეციალური ცოდნით, რომლითაც აღჭურვილია შესაფასებელი დასკვნის ავტორი – ექსპერტი.

ამიტომ, თუ ექსპერტის დასკვნა წინააღმდეგობაშია საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან და ამ წინააღმდეგობის მოხსნა სასამართლოს (მოსამართლეს) არ ძალუძს, მაშინ მას შეუძლია დანიშნოს **განმეორებითი ექსპერტიზა** (173-ე მუხლი).

– ისევე, როგორც საქმეში არსებული ნებისმიერი მტკიცებულების უარყოფის შემთხვევაში (249-ე მუხლის მე-4 ნაწილი), ექსპერტის დასკვნის უარყოფის დროსაც სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თუ რატომ უარყო იგი.

მუხლი 173. დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა

1. თუ ექსპერტიზის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა.

2. თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს.

1. **დამატებითი ექსპერტიზა** უნდა განვასხვავოთ განმეორებითი ექსპერტიზისაგან: დამატებითი ექსპერტიზა დაინიშნება თუ ექსპერტმა არ უპასუხა ყველა კითხვაზე, რომელიც მის წინაშე იყო დასმული, აგრეთვე თუ დასკვნა გაურკვეველია და ამ გაურკვევლობის მოხსნა ექსპერტის დახმარებით ვერ მოხერხდა.

– განსხვავებით, განმეორებითი ექსპერტიზისა, დამატებითი ექსპერტიზა უნდა მიენდოს იმ ექსპერტს, რომელმაც შეადგინა და გადმოუგზავნა სასამართლოს დასკვნა.

2. **განმეორებითი ექსპერტიზა**, რომლის ჩატარება უნდა მიენდოს სხვა ექსპერტს, შეიძლება დაინიშნოს ორ შემთხვევაში, **პირველი**, როცა სასამართლოს აზრით ექსპერტის დასკვნა არაა დასაბუთებული და **მეორე**, როცა ექსპერტების დასკვნა ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მხედველობაშია ისეთი შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზის დასკვნა მინდობილი ჰქონდა რამდენიმე ექსპერტს, რომლებიც არ ეთანხმებიან ერთმანეთს და ამიტომ შეადგინეს ცალ-ცალკე დასკვნები (164-ე მუხლი), ან კიდევ, მიღებული იქნა განმეორებით დანიშნული ექსპერტის დასკვნა, რომელიც ეწინააღმდეგება პირველადი ექსპერტის დასკვნას.

მუხლი 174. ექსპერტიზის მასალების დაბრუნება სასამართლოსათვის

ექსპერტი მოვალეა დაუბრუნოს სასამართლოს ექსპერტიზისათვის გამოყენებული ყველა მასალა და დოკუმენტი, თუ სასამართლო ამას მოითხოვს.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნივთიერი თუ წერილობითი მტკიცებულებები უბრუნდება მის წარმომდგენს (139-ე და 161-ე მუხლები). ამდენად, მასალები, რომლებიც გამოიყენა ექსპერტმა, და რომლებიც უნდა დაუბრუნდეს მხარეებს, ექსპერტი ვალდებულია დაუბრუნოს სასამართლოს.

მუხლი 175. ფიცის დადება ექსპერტის მიერ

ექსპერტიზის ჩატარებამდე ან მის შემდეგ ექსპერტი დებს ფიცს. ფიცის შინაარსი განისაზღვრება იმით, რომ ექსპერტი ატარებს ექსპერტიზას საკუთარი ცოდნისა და სინდისის შესაბამისად. თუ ექსპერტს დადებული აქვს საერთო ფიცი ანალოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით, მაშინ საკმარისია მითითება ამ ფიცზე. მასზე შეიძლება მიეთითოს ექსპერტის დასკვნაშიც.

– ექსპერტის მიერ ფიცის დადების დროს, ე. ი. როდის დადოს ექსპერტმა ფიცი – ექსპერტიზის ჩატარებამდე თუ მის შემდეგ – განსაზღვრავს სასამართლო. სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს მოწმის მიერ ფიცის დადების პრაქტიკა და შეიძლება ექსპერტმა ფიცი დადოს დასკვნის მიცემის შემდეგ (153-ემუხლის მე-2 ნაწილი).

– ამავე მუხლით განსაზღვრულია ექსპერტის ფიცის შინაარსი, რომლის მიხედვით ექსპერტის ფიცი ასე გამოიყურება: „ვფიცავ, ჩავატარე (ან ჩავატარო) ექსპერტიზა ჩემი ცოდნისა და სინდისის შესაბამისად“.

– სპეციალური სასამართლო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტებს შეიძლება მიცემული ჰქონდეთ **საერთო ფიცი**, რის გამოც აღარაა საჭირო ყოველი ცალკეული ექსპერტიზის ჩატარებისას დადონ ფიცი;

– თუ ექსპერტიზის ჩატარება მიენდო არასაექსპერტო დაწესებულების თანამშრომელს, მაშინ მან შეიძლება დადოს ფიცი მოწმის ანალოგიურად (153-ე მუხლის მე-4- 7 ნაწილები). თუ ამ მუხლის ანალოგიით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ექსპერტის მიერ რელიგიური მნიშვნელობის ფიცის დადების დროს მოსამართლე შემდეგნაირად მიმართავს ექსპერტს: „დაიფიცეთ ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე, რომ თქვენ თქვენი ცოდნისა და სინდისის საფუძველზე მისცემთ სასამართლოს დასკვნას“.

ამაზე ექსპერტი უპასუხებს: „ვფიცავ, ღმერთი იყოს ჩემი მფარველი“.

– არარელიგიური ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს ექსპერტს: „დაიფიცეთ, რომ თქვენ მთელი შეგნებით, ცოდნითა და სინდისით მიეცით დასკვნა“.

ექსპერტი პასუხობს: „ვფიცავ“.

თუ ექსპერტი უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მოსამართლე მიმართავს ექსპერტს: „ადასტურებთ თუ არა სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით, რომ თქვენ მიეცით დასკვნა თქვენი ცოდნისა და რწმენის მიხედვით“.

ექსპერტი პასუხობს: „დიახ, ვადასტურებ“.

მუხლი 176. ექსპერტის გასამრჯელო

1. სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის, აგრეთვე სასამართლოში გამოცხადებისათვის მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და დღიური თანხა მიეცემათ ექსპერტებს 45-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. თუ ექსპერტის აზრით, სასამართლოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ხარჯები საგრძნობლად გაიზრდება დავის საგნის ღირებულებასთან შედარებით, ან დიდად გადააჭარბებს წინასწარ განასაზღვრულ ხარჯებს, ექსპერტი ვალდებულია დროულად აცნობოს ამის შესახებ სასამართლოს.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ექსპერტისათვის ორი სახის ანაზღაურებას: **პირველი** – სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის და **მეორე** – მგზავრობის, საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და დღიური თანხა.

– სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის ექსპერტი მიიღებს ანაზღაურებას, თუ იგი არაა სპეციალური სასამართლო საექსპერტო დაწესებულების თა-

ნამშრომელი. ანაზღაურების ოდენობა ასეთ შემთხვევაში განისაზღვრება 45-ე მუხლის მიხედვით (იხ. ამ მუხლის კომენტარი), ე. ი. შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის და სირთულის მიხედვით, რომელიც საბოლოოდ, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლოსა და ექსპერტს შორის დადებული შეთანხმებით უნდა განისაზღვროს.

– რაც შეეხება მეორე სახის ხარჯებს, რაც ექსპერტის სასამართლოში გამოცხადებისთვისაა გათვალისწინებული, ისინი ყოველთვის უნდა აუნაზღაურდეს ექსპერტს იმ ტარიფების მიხედვით, რომლებიც შესაბამისი ნორმატიული მასალითაა განსაზღვრული.

2. წინასწარ ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ რა ხარჯებთან იქნება დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარება, მით უმეტეს თუ საქმე გვაქვს რთულ ბიოქიმიურ გამოკვლევებთან და რთული და ძვირადღირებული მასალებისა და ტექნიკის გამოყენებასთან, შეუძლებელია. ამიტომ, ექსპერტს ევალება დროულად აცნობოს სასამართლოს ამის შესახებ. საქმე ისაა, რომ ექსპერტიზის ხარჯებს იხდის მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ან ორივე მხარე, თუ მისი დანიშვნა სასამართლოს ინიციატივით მოხდა (52-ე მუხლი). იგულისხმება, რომ თუ ასეთი ხარჯები დიდად გადააჭარბებს წინასწარ განსაზღვრულს და დავის საგნის ღირებულებასთან მიმართებაში აღარც კი ღირს მისი ჩატარება, სასამართლომ მხარეებთან შეთანხმებით შეიძლება უარი თქვას მის ჩატარებაზე.

წიგნი მეორე
საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

კარი მეოთხე
სასარჩელო წარმოება

თ ა ვ ი XXI
საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით

მუხლი 177. საქმის აღძვრა

1. საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიძვრება სარჩელით, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში -– განცხადებით.

2. სარჩელი (განცხადება) შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი უფლება დარღვეულია ან სადავოდაა გამხდარი, შეუძლია მოითხოვოს ამ უფლების დაცვა სასამართლოს მეშვეობით. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სამართალწარმოებას, როგორიცაა: ა) სასარჩელო წარმოება; ბ) უდავო წარმოება; გ) გამარტივებული წარმოება.

1. 177-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ამ სამართალწარმოებათა აღძვრას, ანუ დარღვეული (სადავო) უფლების დაცვის ფორმებს, როგორიცაა სარჩელი და განცხადება.

სარჩელის მეშვეობით აღიძვრის სასარჩელო წარმოება (კარი მეოთხე 177-291-ე მუხლები), განცხადების მეშვეობით აღიძვრის უდავო წარმოება (კარი მეექვსე, 310-356-ე მუხლები) და გამარტივებული წარმოება (302-309[7]-ე მუხლები).

2. სამართალწარმოების აღძვრისა და უფლების დაცვის

ამ ფორმებს (სარჩელს, განცხადებას) აქვთ ბევრი საერთო, მაგრამ მათ აქვთ თავისი სპეციფიკაც. საერთო კი მათ შორის ისაა, რომ როგორც სარჩელი, ისე განცხადება შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და პასუხობდნენ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლებიც ბევრ რამეში ერთმანეთს ემთხვევა.

მუხლი 178. სარჩელის შინაარსი

1. სარჩელში უნდა აღინიშნოს:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;

ბ) მოსარჩელის წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, ასევე სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), მისამართი, ასევე, არსებობის შემთხვევაში, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი;

გ) მოსარჩელის მოთხოვნა;

დ) გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ე) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ამ გარემოებებს;

ვ) სარჩელის ფასი;

ზ) სარჩელისთვის დართული საბუთების ნუსხა;

თ) ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი.

2. სარჩელში შეიძლება ჩამოყალიბდეს აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ:

ა) სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს;

ბ) სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის

დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზე არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;

გ) სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები.

3. სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ეს მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ჩამოთვლილია მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს სარჩელი **(სარჩელის სავალდებულო რეკვიზიტები)**, მეორე ნაწილში მითითებულია მოთხოვნებზე, რომლებსაც სარჩელი შეიძლება არც კი პასუხობდეს **(არასავალდებულო რეკვიზიტები),** ხოლო მესამე ნაწილი განსაზღვრავს თუ ვის შეუძლია მოაწეროს ხელი სარჩელს, რაც აგრეთვე სავალდებულოა.

1. იმ მოთხოვნებზე, რომლებიც საერთოა სასამართლოში ყოველი ფორმით მიმართვისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

– „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სარჩელში მითითებული უნდა იყოს არა მარტო მოსარჩელისა და მოპასუხის ვინაობა და მისამართები, არამედ სასამართლოში მოსაწვევი ნებისმიერი პირის ვინაობა და მისამართები, აგრეთვე მათი ტელეფონი (მობილური), ელექტრონული ფოსტა, ფაქსი. ამ პუნქტის თანახმად მოსარჩელის წარმომადგენლის ვინაობა და მისამართი მითითებული უნდა იყოს სარჩელში, თუ მას შეაქვს ეს სარჩელი, მაგრამ 70-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი (იხ. ამ მუხლის კომენტარი) საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ წარმომადგენლის ვინაობისა და მისამართის მითითება სარჩელში **ყოველთვის აუცილებე-**

ლია, თუ, რა თქმა უნდა, მოსარჩელეს ამ დროისათვის ყავს წარმომადგენელი.

„გ" ქვეპუნქტის თანახმად სარჩელში მითითებული უნდა იყოს **მოსარჩელის მოთხოვნა**, ანუ **სარჩელის საგანი**. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული ხასიათის მოთხოვნაა. საქმე ისაა, რომ სასამართლო იხილავს სარჩელს და გამოაქვს გადაწყვეტილება სწორედ ამ **სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში,** რომლებსაც **სასამართლო ვერც შეცვლის და ვერც გააფართოვებს**. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნების შეცვლის ან გაფართოების უფლება მხოლოდ მოსარჩელეს აქვს.

აქედან გამომდინარე, **სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. თუ ეს მოთხოვნა არაა სრულყოფილად ჩამოყალიბებული, მაშინ სასამართლომ უნდა მისცეს მოსარჩელეს ვადა ხარვეზის შესავსებად.**

„დ" ქვეპუნქტის თანახმად სარჩელში მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. **ეს გარემოებები თავიანთ ერთობლიობაში შეადგენენ მტკიცების საგანს**. სასამართლო აქაც შებოჭილია. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები დაუდონ საფუძვლად თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს (იხ. მე-4 მუხლის კომენტარი). სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად სარჩელში მითითებული ფაქტები წარმოადგენენ იმ იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც ქმნიან სარჩელის საფუძველს. მტკიცებულებათა შეკრება, შემოწმება და შეფასება სასამართლომ უნდა აწარმოოს სარჩელში მითითებული ფაქტიური გარემოებების მიმართ. სასამართლოს შეუძლია არ შეკრიბოს მტკიცებულებები ისეთი ფაქტების მიმართ, რომლებზეც მართალია მიუთითებს მოსარჩელე, მაგრამ მათ არ აქვთ მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის (იხ. 104-ე მუხლის კომენტარი).

აქედან გამომდინარე, სარჩელში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული გარემოებებზე, რომლებზეც მოსარჩელე აფუძნებს თავის მოთხოვნებს, წინააღმდეგ

შემთხვევაში მას უნდა მიეცეს ვადა ხარვეზის შესავსებად (185-ე მუხლი).

„ე“ ქვეპუნქტის თანახმად სარჩელში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტები, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მისცეს ვადა მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად 185-ე მუხლის შესაბამისად.

ხარვეზად არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სარჩელს არ ერთვის მტკიცებულებები, მტკიცებულებების თანდართვა სარჩელზე სასურველია, მაგრამ არაა სავალდებულო, დამტკიცების მოვალეობა (მტკიცების ტვირთი)წარმოიშვება სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ. ამით სასარჩელო წარმოება განსხვავდება უდავო და გამარტივებული წარმოებისაგან, რომლის დროს განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები (იხ. 303-ე, 313-ე და 315-ე მუხლების კომენტარი).

მოსარჩელეს არ ევალება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული კვალიფიკაცია, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე არაა ვალდებული მიუთითოს სარჩელში კანონებზე და იურიდიულად დაასაბუთოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა.

ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს სარჩელის ფასი ანუ დავის საგნის ღირებულება. მოსარჩელეს ასეთი მოვალეობა განმტკიცებულია აგრეთვე მე-40 მუხლით. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასის ოდენობა საეჭვოა, მოსამართლე განსაზღვრავს მის ოდენობას. დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესები ჩამოყალიბებულია მე-40-41-ე მუხლებში (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

ამ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოვალეობას ზოგჯერ არ ასრულებენ მოსარჩელეები, ე.ი. სარჩელში არ უთითებენ თანდართული საბუთების ნუსხას, რაც ზოგჯერ სერიოზული გაუგებრობის მიზეზი ხდება, კერძოდ ზოგჯერ მოსარჩელე აცხადებს რომ მან სარჩელთან ერთად წარმოადგინა საბუთი, რომელიც რატომღაც არაა საქმეში. ასეთი და სხვა გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით

სარჩელში ყოველთვის უნდა მიეთითოს იმ საბუთებზე, რომლებიც მას ერთვის. ეს საშუალებას მისცემს მოსამართლეს შეამოწმოს ნუსხის სისრულე და სისწორე, ხოლო თუ ეს საჭიროა მისცეს ვადა მოსარჩელეს შეავსოს ან დააზუსტოს ეს ნუსხა.

იურიდიული ინტერესი აღიარებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობაა. სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელეს არ აქვს ასეთი სარჩელის აღძვრის ინტერესი. ამიტომ, „თ" ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს მიუთითოს მის მიერ აღძრულ აღიარებით სარჩელში ასეთ იურიდიულ ინტერესზე. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, იურიდიული ინტერესი არის არა სარჩელის შინაარსის საკითხი, არამედ ამ სარჩელის აღძვრის, მისი განსახილველად მიღების წინაპირობა. იურიდიული ინტერესის რაობის შესახებ იხ. 180-ე მუხლის კომენტარი.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული მოთხოვნების სარჩელში ჩამოყალიბება მართალია ძალზე სასურველია და უდავოდ შეუწყობს ხელს საქმის დროულად განხილვას, მაგრამ არაა სავალდებულო. ამიტომ, მას შემდეგ, რაც სარჩელი იქნება მიღებული წარმოებაში, სასამართლომ უნდა დაავალოს მოსარჩელეს ჯერ კიდევ მომზადების სტადიაზე, დროულად აღძრას სასამართლოს წინაშე შესაბამისი შუამდგომლობები (203-ე და 206-ე მუხლები).

3. სასამართლოში სარჩელი მოსარჩელის სახელით შეიძლება შეიტანოს მისმა წარმომადგენელმა, მაგრამ ერთი სავალდებულო პირობით, თუ ამ წარმომადგენელს გააჩნია სპეციალური უფლებამოსილება ამისათვის (იხ. 98-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 179. სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები

სარჩელი და თანდართული საბუთები სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა. სარჩელს უნდა ერთოდეს აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

– სარჩელის წარმოებაში მიღებისათვის იგი უნდა პასუხობდეს არა მარტო იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია 178-ე მუხლის პირველ ნაწილში, არამედ წარმოდგენილი იყოს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა და ერთვოდეს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

– სასამართლოს უფლება არა აქვს მიიღოს სარჩელი წარმოებაში ბაჟის წინასწარი გადახდის გარეშე (185-ე მუხლი), მაგრამ მას შეუძლია გაათავისუფლოს გადახდისაგან, გადაუვადოს, განუწილვადოს გადახდა, შეუმციროს ბაჟის ოდენობა (46-ე-49-ე მუხლები). ამის შესახებ სასამართლომ უნდა გამოიტანოს მოტივირებული განჩინება.

მუხლი 180. აღიარებითი სარჩელი

სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

– სარჩელი სამი სახისაა: მიკუთვნებითი ანუ აღსრულებითი სარჩელები, გარდაქმნითი სარჩელები და აღიარებითი ანუ დადგენითი სარჩელები. აღიარებითი სარჩელი შეიძლება იყოს როგორც დადებითი (მაგალითად, სარჩელი ქირავნობითი ურთიერთობის არსებობის დადგენის შესახებ), ისე უარყოფითი (მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ).

აღიარებითი სარჩელი შეიძლება მხოლოდ იმ მოთხოვნათა არსებობა-არარსებობის შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლში.

– აღიარებითი სარჩელები ყოველთვის გულისხმობენ მოდავე მხარეებს. ამიტომ, ასეთ სარჩელებში ყოველთვის გვყავს ორი მოდავე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე, რითაც იგი განსხვავდება უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან.

– აღიარებითი სარჩელის მიღებისათვის საჭიროა ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი წინაპირობები, რომლებიც მითითებულია 178-ე მუხლში (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– ამასთან ერთად, აღიარებით სარჩელს წაეყენება კიდევ ერთი დამატებითი წინაპირობა – **იურიდიული ინტერესი**. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა, რომლებიც გათვალისწინებულია 178-ე მუხლით, მაგრამ **არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებითი სარჩელის მიღებაზე და განხილვაზე.**

განსხვავებით მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისა, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაცა ედავება მას ამ უფლებაში.

აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას – საჭიროა:

1. არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ, ე.ი. მოპასუხე უნდა ეცილებოდეს (ედავებოდეს) მოსარჩელეს უფლებაში (მაგალითად, საკუთრების უფლებაში, მოთხოვნის უფლებაში და ა.შ.);

2. ასეთი დავა უნდა ქმნიდეს ამ უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;

3. აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა, დავის **გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს**, ანუ ამ გადაწყვეტილებას სრულიად გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის; ის უნდა ქმნიდეს უფლების თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც დაირღვა მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გამო;

4. აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი.

მუხლი 181. სარჩელი ვალდებულებების მომავალში შესრულების შესახებ

სარჩელი ვალდებულებების მომავალში შესრულების შესახებ დასაშვებია, თუ:

ა) სასარჩელო მოთხოვნა არ არის დამოკიდებული ვალდებულების საპასუხო შესრულებაზე და მისი შესრულების თარიღი დაკავშირებულია კალენდარული დღის დადგომასთან;

ბ) ვითარების მიხედვით გამართლებულია შიში იმის თაობაზე, რომ მოვალე თავს აარიდებს ვალდებულების დროულად შესრულებას.

– ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ სარჩელების მიღების წინაპირობები, გარდა 178-ე მუხლში მითითებული სარჩელის უფლების წინაპირობებისა, დამატებით გათვალისწინებულია ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. საკითხი ეხება სარჩელს ისეთი ვალდებულების შესახებ, რომლის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა და მაშასადამე არ არსებობს სარჩელის უფლება ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლება მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით.

– იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს ასეთი სარჩელი წარმოებაში, მასში, გარდა 178-ე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტებისა, მითითებული უნდა იყოს დამატებით, **ჯერ ერთი** – იმის შესახებ, რომ **მოთხოვნა არ არის დამოკიდებული ვალდებულების საპასუხო შესრულებაზე**, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად „იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ... შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე ...“ **მეორე** – ვალდებულების შესრულების თარიღი დაკავშირებულია კალენდარული დღის დადგომასთან. საქმე ისაა, რომ თუ ვალდებულების შესრულებისათვის არაა განსაზღვრული დრო, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი) და აქედან გამომდინარე, ვალდებულების მომავალში შესრულე-

ბის შესახებ სარჩელის აღძვრის საჭიროება არ არსებობს. **მესამე** – ადგილი აქვს ისეთ გარემოებებს (ვითარებას), რომლებიც იძლევიან იმის **ვარაუდის** საფუძველს, რომ მოვალე თავს აარიდებს ან საერთოდ ვერ შეძლებს ვალდებულების თავის დროზე შესრულებას.

– მხედველობაში მისაღებია ის მდგომარეობა, რომ ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნა საერთოდ დაუშვებელია (სამოქალაქო კოდექსის 366-ე მუხლი). კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი შესრულებისათვის დადგენილია დრო და ეს დრო ჯერ არ დამდგარა „თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა (სამოქალაქო კოდექსის 367-ე მუხლი).

სსკ 181-ე მუხლი არ ითვალისწინებს არც ვალდებულების ვადამდე შესრულებას და არც ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულებას. ეს მუხლი გარკვეული პირობების არსებობისას დასაშვებად თვლის მხოლოდ სარჩელებს ვალდებულების **მომავალში** შესრულების შესახებ.

მუხლი 182. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანება და გამოყოფა

1. მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გაერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები, თუ –- არა.

2. სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული გარჩევა უფრო მიზანშეწონილია.

3. რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნე-

ბის მიღებისას, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია.

4. თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზედაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

1. განსხვავებით სარჩელების სუბიექტური გაერთიანებისა, რომელიც წარმოშობს თანამონაწილეობას, ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს **სარჩელების ობიექტური გაერთიანების** შესაძლებლობას ე. ი. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანებას ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ.

ამ უფლების რეალიზაცია, ე.ი. რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნვის გაერთიანება დასაშვებია: ა) **თუ ყველა მოთხოვნა ცალ-ცალკე აღებული ამ სასამართლოს განსჯადია**. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ისეთი მოთხოვნების გაერთიანება, რომლებიც სხვადასხვა სასამართლოს განსჯადია. (მაგალითად, ერთი მოთხოვნა ქუთაისის სასამართლოს განსჯადია, ხოლო სხვები სამტრედიის სასამართლოს განსჯადია და ა.შ.)

ეს წესი არ ვრცელდება მაგისტრატი მოსამართლის გან-

სჯად საქმეებზე, რომელიც ამ **რაიონის (**ქალაქის) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოქმედებს. ამის საფუძველს გვაძლევს მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად თუ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, ამ საქმეს განიხილავს რაიონული სასამართლოს სხვა მოსამართლე; ბ) **თუ სარჩელი აღძრულია ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ**. თუ სარჩელი აღიძვრის რამდენიმე მოსარჩელის მიერ, ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, მაშინ გვექნება სარჩელების სუბიექტური გაერთიანება, ანუ თანამონაწილეობა და ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს 86-ე მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

არ არის აუცილებელი, რომ ეს გაერთიანებული სხვადასხვა მოთხოვნა ერთსა და იმავე საფუძველს, ანუ ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ემყარებოდეს. მაგალითად, ერთ სარჩელში შ ეიძლება ისეთი მოთხოვნების გაერთიანება, როგორიცაა სესხად მიცემული თანხის დაბრუნება, ბინის ქირის გადახდევინება, იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ. ყველა ეს მოთხოვნა სხვადასხვა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება, მაგრამ მათი გაერთიანება დასაშვებია ზემოთ მითითებული პირობების დაცვით.

2. ჩვენი სსკ-სი უპირატესობას ანიჭებს **მხარეთა უფლებების რეალურ დაცვას, საქმის სწორად და სწრაფად გადაწყვეტის ინტერესებს.** ამ ინტერესებითაა განპირობებული ამ მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით **გამოყოს გაერთიანებული მოთხოვნებიდან ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა,** თუ ეს მისი აზრით ხელს შეუწყობს ამ მოთხოვნების სწორად და სწრაფად განხილვას.

მოთხოვნების ცალკე წარმოებად (ცალკე წარმოებებად) გამოყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

3. 86-ე მუხლი უფლებას აძლევს პირებს გაერთიანდნენ ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას და

ისე აღძრან სარჩელი ერთი ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ (სარჩელების სუბიექტური შეერთება).

182-ე მუხლის მე-3 ნაწილი უფლებას აძლევს სასამართლოს თავისი ინიციატივით, მხარეებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა. გამოყოფის საფუძველი აქაც საპროცესო სამართლებრივი ხასიათისაა: საქმეთა უფრო სწრაფი და სწორი განხილვა -გადაწყვეტა.

მოთხოვნათა ცალკე წარმოებად გამოყოფის შემთხვევაშიც სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

4. ამ მუხლის მე-4 ნაწილი კი **პირიქით ითვალისწინებს ამ სასამართლოში აღძრული სხვადასხვა სარჩელების ერთ წარმოებად გაერთიანებას.** მნიშვნელობა არ აქვს ერთი და იგივე მხარეები მონაწილეობენ თუ არა ამ საქმეში.

სასამართლოში უკვე აღძრული სხვადასხვა სარჩელის გაერთიანება ერთ წარმოებად შესაძლებელია ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: ა) თუ გასაერთიანებელი საქმეები ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებულია. მაგალითად, აღძრულია რამდენიმე სხვადასხვა სარჩელი წარმოებაში მომხდარი ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ; ბ) საქმეთა გაერთიანებას მოყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა.

ერთგვაროვანია სამართლებრივად საქმეები თუ არა - ეს ობიექტური ნიშანია და დამოკიდებულია გაერთიანებული საქმეების ხასიათზე და შინაარსზე, მაგალითად, თუ რამდენიმე მუშა-მოსამსახურემ აღძრა სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რომლებიც შტატების შემცირების გამო დაითხოვა საწარმოს ადმინისტრაციამ - ეს სარჩელები ერთგვაროვანია და მათი გაერთიანებაც მიზანშეწონილი იქნება. მაგრამ, თუ ამავე ადმინისტრაციას სხვა მუშა-მოსამსახურეთა მიმართ აღძრული აქვს სარჩელი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ყველა ამ სარჩელის ერთად გაერთიანება დაუშვებელია, რადგან ისინი არაა ერთმანეთთან დაკავშირებული სამართლებრივად და არაა ერთგვაროვანი.

მოსამართლეს შეუძლია გააერთიანოს (თავისი ინიცია-

ტივით ან მხარის შუამდგომლობით) მხოლოდ მის წარმოებაში არსებული, აგრეთვე ამავე სასამართლოს სხვა მოსამართლესთან არსებული საქმეები, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება. სხვა მოსამართლესთან არსებული საქმეების გაერთიანებისას მიზანშეწონილი იქნება მოსამართლემ საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინების გამოტანამდე წინასწარ მოეთათბიროს სხვა მოსამართლეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ამ სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მუხლი 183. სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანის ვადა

მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ. სარჩელი მიღებულად მიიჩნევა მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო, თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება, მაშინ –– ამ ვადის გასვლის შემდეგ.

– ხუთდღიანი ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა მოსამართლეს ჩაბარდა (გადაეცა) სარჩელი.

ხუთი დღე არის ვადა, რომლის განმავლობაში მოსამართლემ ან უნდა მიიღოს განჩინება მისთვის გადაცემული სარჩელის ხარვეზის შევსების შესახებ, თუ ასეთი ხარვეზი გაჩნია მას (185-ე მუხლი), ან მიიღოს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ.

– თუ არცერთი ეს განჩინება მიღებული არაა მოსამართლის მიერ, მაშინ **სარჩელი ითვლება მიღებულად** და უნდა დაიწყოს მისი განხილვისათვის წინასწარი მომზადება ისე, როგორც ეს განხორციელდებოდა ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება რომ ყოფილიყო გამოტანილი.

– არ არის გამორიცხული, რომ ასეთ **სარჩელს აღმოაჩნ-**

დეს ხარვეზი. სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები მის გამოსასწორებლად, მაგრამ თუ მოსარჩელე ამას არ აკეთებს, მაგალითად, არ იხდის სახელმწიფო ბაჟს, სასამართლომ მაინც უნდა მოამზადოს და განიხილოს სარჩელი, რადგან იგი მიღებულად ითვლება. ის, რისი გამოსწორებაც მოსამართლემ ვერ შეძლო მომზადების სტადიაზე, შეიძლება გამოსწორდეს ამ სარჩელის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით (მაგალითად, დააკისროს შესაბამის მხარეს ბაჟის გადახდა).

– 183-ე მუხლის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოები განსაკუთრებული ყურადღებით მოექცნენ და **დროულად შეისწავლონ**, შეამოწმონ და გადაწყვიტონ **სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი**.

მუხლი 184. სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გადაგზავნა მოპასუხისათვის

1. სარჩელის მიღების შესახებ სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ (ამ კოდექსის 183-ე მუხლი) მოსამართლე ვალდებულია გასცეს განკარგულება ამ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ამ კოდექსის 201-ემუხლით დადგენილი წესით გადაგზავნის შესახებ.

2. სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს. ამასთან, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა.

3. ამოღებულია.

1. სარჩელი წარმოებაში **მიღებულად ითვლება** მოსამართლის მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ, რისთვისაც მას ეძლევა ხუთი დღის ვადა, ხოლო თუ მან ამ ვადაში განჩინება არ მიიღო – ხუთი დღის ვადის გასვლის შემდეგ (183-ე მუხლი).

– სარჩელის და მასზე დართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნას სასამართლო აწარმოებს 201-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით (იხ. ამ მუხლის კომენტარი). განკარგულება გადაგზავნის შესახებ უნდა აისახოს განჩინებაში სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ.

– სარჩელის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის გადაგზავნა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ.

2. მე-2 ნაწილში ხაზგასმულია მართლმსაჯულების წესით საქმის განხილვისა და გადაწყვეტის უპირატესობა სხვა წესით საქმის განხილვასთან შედარებით. ამიტომ, თუ სარჩელი მიღებულია წარმოებაში სასამართლოს მიერ, სხვა არასასამართლო ორგანოს ამ საქმის განხილვა და გადაწყვეტა არ შეუძლია, ხოლო თუ მაინც მოხდება ეს, მაშინ საქმე, ე. ი. დავა მხარეთა შორის გადაწყვეტილად ჩაითვლება ისე, როგორც ეს სასამართლოს გადაწყვეტილებითაა განსაზღვრული.

– რაც შეეხება ამ დავის სხვა სასამართლოს მიერ განხილვას, როცა სარჩელი ერთდროულადაა შესული ორ ან მეტ სასამართლოში, რაც ალტერნატიული განსჯადობის დროს შეიძლება მოხდეს, კოლიზია გადაჭრილია იმის მიხედვით, თუ რომელ სასამართლოში უფრო ადრე შევიდა ეს სარჩელი. ვადის გამოთვლა უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რომელ სასამართლოში უფრო ადრე მიიღეს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, ან რომელი დღიდან ითვლება იგი მიღებულად, როცა ასეთი განჩინება რატომღაც არ იყო გამოტანილი (183-ე მუხლი).

3. ყოველთვის, როცა არაა გატარებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მხარეებს უფლება აქვთ გაყიდონ, გააჩუქონ დავის საგანი, ან დათმონ მოთხოვნა.

ასეთ შემთხვევაში ამ მხარის ნაცვლად საქმეში ჩაებმება უფლებამონაცვლე (იხ. 92-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 185. ხარვეზის შესახებ განჩინება და სარჩელის უკან დაბრუნება

თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე და 179-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი ან/და საქმეში არ არის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, იგი გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

– მოსამართლე, სარჩელის მისთვის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში, ყურადღებით უნდა გაეცნოს სარჩელს იმ თვალსაზრისით, პასუხობს თუ არა იგი 178-ე და 179-ე მუხლების მოთხოვნებს (იხ. ამ მუხლების კომენტარი). თუ აღმოჩნდება, რომ იგი არ პასუხობს რომელიმე ამ მოთხოვნას, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შევსების შესახებ, რომელშიც **ამომწურავად** უნდა იყოს მითითებული თუ რა ხარვეზი (ხარვეზები) გააჩნია ამ სარჩელს და რა ვადაში უნდა აღმოიფხვრას ეს ხარვეზი. ხარვეზის შევსებისათვის ვადას განსაზღვრავს სასამართლო იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის მოქმედება უნდა შეასრულოს მოსარჩელემ და რა ვადა იქნება ამისათვის საჭირო.

- განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ მოსამართლეს გამოაქვს იმ შემთხვევაშიც, როცა სარჩელი შეაქვს და მასზე

ხელს აწერს მოსარჩელის წარმომადგენელი, თუმცა მას არ გააჩნია ამისათვის სპეციალური უფლებამოსილება (იხ.98-ე და 178-ე მუხლების კომენტარი).

– განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ უნდა ჩაბარდეს მოსარჩელეს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

– როგორც კი ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურება, თუ ხარვეზი ამ ვადაში არ იყო შევსებული, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა (186-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი) და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ. ეს განჩინება, სარჩელი და მასზე თანდართული მასალები უნდა ჩაბარდეს და დაუბრუნდეს მოსარჩელეს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

– ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 416-ე მუხლით დადგენილ ვადებში (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– მოსარჩელეს შეუძლია შეიტანოს კერძო საჩივარი ამ განჩინებაზე, მაგრამ მას არ შეუძლია მოითხოვოს საქმის განახლება, როგორც ზოგჯერ ამას ადგილი აქვს პრაქტიკაში. თუ განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის შესახებ გაუქმდება, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების (და არა საქმის განახლების) შესახებ.

– სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსარჩელეს უბრუნდება სახელმწიფო ბაჟიც, თუ იგი შეტანილი იყო.

მუხლი 186. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა

1. მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ:

ა) სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას;

ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

გ) ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე

საგანზე და იმავე საფუძვლით;

დ) მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს;

ე) საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის;

ვ) სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ზ) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

თ) მოსარჩელემ არ შეავსო სასამართლოს მიერ მითითებული სარჩელის ხარვეზი (ამ კოდექსის 185-ე მუხლი).

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით მოსამართლის უარი განცხადების მიღებაზე ხელს არ უშლის, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებელი იქნება დაშვებული დარღვევა.

1. სარჩელი შეიძლება პასუხობდეს ყველა მოთხოვნას, რაც გათვალისწინებულია 178-ე, 179-ე და 185-ე მუხლებით, მაგრამ იგი შეიძლება მაინც არ მიიღოს სასამართლომ, რადგან არ არსებობს სარჩელის უფლების წანამძღვრები. ეს წანამძღვრები მითითებულია ამ მუხლში.

ა) საერთო სასამართლოების უწყებრივი ქვემდებარეობა (სასამართლო საქვეუწყებობა) ზოგადად განსაზღვრულია მე-11 მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი). სასამართლო ვერ განიხილავს სარჩელს, თუ მისი განხილვა არ შედის სასამართლოების კომპეტენციაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ მისი განხილვა არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად.

თუ სასამართლომ შეცდომით მიიღო ასეთი სარჩელი, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდა, რომ არ უნდა მიეღო არასაქვეუწყებობის გამო, მაშინ იგივე სასამართლო გამოიტანს მეორე განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (272-

ე მუხლი), ისე რომ არც კი გააუქმებს თავის თავდაპირველ განჩინებას სარჩელის მიღების შესახებ.

ბ) ამ ქვეპუნქტს მხედველობაში აქვს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელზე, ე. ი. დავაზე იმავე **მხარეებს შორის, იმავე საგანზე** და **იმავე საფუძვლით**. იგი ეფუძნება **აკრძალვას**, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს არ შეუძლიათ **ხელახლა განაცხადონ** სასამართლოში იგივე სარჩელი (266-ე მუხლი).

– იგივე შედეგები უკავშირდება სასამართლო **განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ,** იმის გამო, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მოპასუხემ ცნო სარჩელი, ან კიდევ, მხარეები მორიგდნენ.

თუ ეს საკითხი გაირკვა მას შემდეგ, რაც სასამართლომ მიიღო სარჩელი წარმოებაში, მოსამართლე შეწყვეტს საქმის წარმოებას სსკ 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

გ) არ შეიძლება ერთი და იგივე სარჩელი ერთდროულად განიხილებოდეს იმავე სასამართლოში სხვა მოსამართლის ან სხვა შემადგენლობის მიერ, ან სხვა სასამართლოში. ერთი და იგივე სარჩელის სხვადასხვა სასამართლოში განხილვის შესაძლებლობის დაშვება ნიშნავს ერთსა და იმავე საქმეზე სხვადასხვა შინაარსის სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის დაშვებას: ერთმა სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, ხოლო მეორემ – სარჩელზე უარის თქმის შესახებ. ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილებათა აღსრულება შეუძლებელი იქნება.

– თუ ორ ან მეტ სასამართლოში შეტანილია ერთი და იგივე სარჩელი, საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომელმაც ყველაზე **ადრე მიიღო განჩინება** სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, ან რომელშიც იგი უფრო ადრე მიღებულად ითვლება (183-ე მუხლი).

თუ სასამართლომ ყოველივე ამის შესახებ შეიტყო არა სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე, არამედ მისი მიღების შემდეგ, მაშინ გამოიტანს განჩინებას სარჩელის გა-

ნუხილველად დატოვების შესახებ 275-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

დ) მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებას დავის კერძო არბიტრაჟისათვის (სამედიატორო სასამართლოსათვის) გადაცემის შესახებ, აქვს იურიდიული ძალა, როგორც თვითონ მხარეებისათვის, ისე სასამართლოსათვის. ამიტომ, ასეთი შეთანხმების (ხელშეკრულების) არსებობისას სასამართლოს უფლება არ აქვს მიიღოს და განიხილოს სარჩელი, ხოლო თუ შეცდომით მიიღო – შეწყვიტოს საქმის წარმოება (272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი).

– მხარეებს, ცხადია, შეუძლიათ გააუქმონ თავიანთი შეთანხმება ახალი შეთანხმებით, უარი თქვან დავის კერძო არბიტრაჟში განხილვაზე და ამ დავის განხილვა კვლავ საერთო სასამართლოს დაუქვემდებარონ, მაგრამ ყოველივე ეს მხარეებმა წერილობით უნდა გააფორმონ და ისე წარუდგინონ სასამართლოს.

ე) განსჯადობა გვაძლევს პასუხს კითხვაზე: რომელი სასამართლოს განსახილველია სარჩელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13-24-ე მუხლები აწესრიგებენ განსჯადობას. პრინციპი ასეთია: საქმე უნდა განიხილოს განსჯადმა სასამართლომ. აქედან გამომდინარე, თუ სარჩელი აღძრულია არაგანსჯად სასამართლოში, ამ სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს იგი განსახილველად.

– ამასთან ერთად, განსჯადობის დარღვევა არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. გარკვეული პირობების არსებობისას არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს თუ არსებობს ამის თაობაზე მხარეთა შეთანხმება, ან თუ მოპასუხე წინააღმდეგი არაა, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ (21-ე მუხლი). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს განსჯადობა არა თავისი ინიციატივით, არამედ მხარის თხოვნით და იმ პირობით, თუ განსჯადობის შემოწმების საკითხი ჯერ კიდევ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას იყო მოპასუხის მიერ დაყენებული (377-ე მუხლი).

ვ) ქმედუუნაროდ ითვლება პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულია ასეთად (322-ე მუხ-

ლი). თუ სასამართლომ ასეთი პირისაგან მიიღო სარჩელი, მას შეუძლია დატოვოს იგი განუხილველად, მაგრამ შეუძლია განიხილოს იგი და საქმეში ჩააბას მისი კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო თუ ასეთი არ ყავს დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი (82-ე და 275-ე მუხლები).

ზ) მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით (93-ე მუხლი).

– დაინტერესებულ პირად ითვლება ის პირი, რომლის უფლების დასაცავადაც წარმომადგენელს შეაქვს სარჩელი. გადაწყვეტილებას სასამართლოში სარჩელის შეტანის შესახებ იღებენ თვითონ დაინტერესებული პირები (მხარეები). ეს მათი ფუნდამენტური უფლებაა. აქედან გამომდინარე, პირს, რომელსაც შეაქვს სარჩელი სხვა პირის უფლების დასაცავად (წარმომადგენელი) სათანადოდ, ე. ი. კანონის მოთხოვნათა დაცვით უნდა ჰქონდეს გაფორმებული სპეციალური უფლებამოსილება ამისათვის (იხ. 98-ე მუხლის კომენტარი).

– ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ „პირი, რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება სხვა პირის უფლების დასაცავად სარჩელის აღძვრაზე და არასათანადო მხარე, კერძოდ, არასათანადო მოსარჩელე. **არასათანადო მოსარჩელე** – ეს ისეთი პირია, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით **თავისი უფლების დასაცავად**, თუმცა უფლება, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს, სინამდვილეში ეკუთვნის არა მას, არამედ სხვას. ეს ის შემთხვევაა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ **შეცდომა უფლებაში**. რაც შეეხება არაუფლებამოსილ პირს – ეს ისეთი პირია, რომელიც აღძრავს სარჩელს არა თავისი, არამედ **სხვა პირის უფლების დასაცავად**. კანონს ეს სავსებით დასაშვებად მიაჩნია, მაგრამ მოითხოვს ასეთი უფლებამოსილების სათანადოდ გაფორმებას (98-ე მუხლი).

თ) სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსარჩელე არ შეავსებს სასამართლოს მიერ მითითებულ ხარვეზს დანიშნულ ვადაში (იხ. 185-ე მუხლის კომენტარი).

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი სარჩელის უფლების დადებითი და უარყოფითი წანამძღვრების არსებობის თუ არარსებობის შემთხვევაში მოსამართლეს გამო-

აქვს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. თუ სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით, მაშინ მოსარჩელეს არ შეუძლია კვლავ მიმართოს სასამართლოს იგივე სარჩელით. უარის თქმა სარჩელის მიღებაზე ამ მუხლით გათვალისიწინებული ნებისმიერი სხვა საფუძვლით ხელს არ უშლის მოსარჩელეს კვლავ მიმართოს სასამართლოს იგივე სარჩელით, თუ ისინი აცილებული იქნება.

– სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (187-ე მუხლი).

– თუ სასამართლომ შეცდომით მიიღო სარჩელი, რომელიც არ უნდა მიეღო და სარჩელის უფლების წანამძღვრების არსებობა-არარსებობა გამოვლინდა მას შემდეგ, როცა სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, კანონი თვითონ განსაზღვრავს ამ შეცდომის გამოსწორების საშუალებებს: იმის მიხედვით, თუ რომელი წინამძღვარი არსებობს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ან სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (იხ. 187-ე მუხლის კომენტარი).

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ შეტანილი სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 187. განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

1. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს თავის განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ. განჩინებაში უნდა მიეთითოს აგრეთვე, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებანი.

2. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

3. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ნიშნავს უფლების დაცვაზე და საერთოდ, მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას. ასეთ შემთხვევაში პირი რჩება სამართლებრივი დაცვის მიღმა. ცხადია, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმას სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს.

1. შემთხვევითი არაა ის, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს სარჩელზე უარის თქმის შესახებ განჩინების მოტივირებას (დასაბუთებას). ამ განჩინების მოტივირება კი შესაძლებელია 186-ე მუხლში მითითებული სარჩელის უფლების წანამძღვრების არსებობით ან არარსებობით, რაც ნათლად და ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული განჩინებაში.

– სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში იმაზე მითითება, თუ როგორ იქნეს აცილებული ის წინამძღვრები, რის გამოც ასეთი განჩინება იქნა გამოტანილი, ამ მუხლის კატეგორიული მოთხოვნაა, თუმცა ზოგჯერ ეს შეუძლებელია. მაგალითად, თუ განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად, ან კიდევ, არსებობს ამ სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, მაშინ წანამძღვრების თავიდან აცილება შეუძლებელია. მაგრამ, თუ განჩინება მოტივირებულია იმით, რომ სარჩელი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა, ან არაქმედუნარიანმა პირმა და ა. შ. მაშინ სასამარ-

თლომ უნდა მიუთითოს, რომ უფლებამოსილების სათანადოდ გაფორმების შემდეგ წარმომადგენელს კვლავ შეუძლია შეიტანოს იგივე სარჩელი, ან კიდევ, ქმედუუნაროს კანონიერ წარმომადგენელს, ან თვითონ მას, თუ სასამართლოს მიერ ის ქმედუნარიანად იქნება კვლავ აღიარებული (327-ე მუხლი).

2. განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსარჩელეს უნდა ჩაბარდეს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

– მას უბრუნდება აგრეთვე საბუთები, რომლებიც თან ერთვოდა სარჩელს, მაგრამ არა სასარჩელო განცხადება, რომელიც განჩინებასთან ერთად რჩება საქმეში. გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმა ხარვეზის შეუვსებლობის გამო. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება სარჩელიც (იხ. 185-ე მუხლი). მასვე **უბრუნდება მის მიერ შეტანილი სახელმწიფო ბაჟიც.** მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (იხ. ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები.)

3. ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა და განხილვა ხდება 414-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თ ა ვ ი XXII

შეგებებული სარჩელი

მუხლი 188. შეგებებული სარჩელის აღძვრა

1. მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად.

2. ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, თუ საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

შეგებული სარჩელი შესაგებელთან (შეპასუხებასთან) ერთად მოპასუხის სარჩელისაგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. შეგებებული სარჩელი განსხვავდება შესაგებლისაგან: მოპასუხის შესაგებელი (შეპასუხება) ყოველთვის მიმართულია სარჩელის ფაქტობრივი ან იურიდიული დასაბუთებულობის გაქარწყლებისაკენ. შეგებებული სარჩელიც ზოგჯერ იგივე მიზანსაც შეიძლება ისახავდეს, მაგრამ ზოგჯერ პირიქით, იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ძირითადი სარჩელის აღიარებასაც ნიშნავს. მაგალითად, როდესაც შეგებებული სარჩელი მიმართულია ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად, მოპასუხე არ უარყოფს ამ მოთხოვნის დასაბუთებულობას; მისი მიზანია მხოლოდ ის, რომ სასამართლომ ეს შეგებებული მოთხოვნა ჩაუთვალოს მოსარჩელეს მის ძირითად მოთხოვნაში. გარდა ამისა, შეგებე-

ბული სარჩელით მოპასუხე არა მარტო იცავს თავს ძირითადი სარჩელისაგან, არამედ იმავდროულად იცავს თავის პირად უფლებასაც.

პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოპასუხეს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე, საკასაციო სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ სარჩელების საფუძვლიანობის შესახებ და გამოიტანოს მათ მიმართ მოტივირებული გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება სსკ 394-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.[23]

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი. ეს ვადა ემთხვევა საქმის მომზადების დამთავრების ვადას.

– საქმის მომზადება დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ (207-ე მუხლი).

2. ამ განჩინების გამოტანის შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, თუ დაამტკიცებს, რომ თავის დროზე (იხ. ამ მუხლის პირველი ნაწილი) იგი ვერ აღიძრა **საპატიო მიზეზით**. მიზეზის საპატიობა, ამრიგად, არის არა შეგებებული სარჩელის მიღების (189-ე მუხლი), არამედ მისი აღძვრის წინაპირობა. არის თუ არა შეგებებული სარჩელის დროულად აღუძვრელობის მიზეზი საპატიო – გადაწყვეტს სასამართლო. (იხ. 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის კომენტარი). პაექრობის დაწყების შემდეგ შეგებებული სარჩელის აღძვრა დაუშვებელია.

[23] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე,2001,№6,გვ. 564.

მუხლი 189. შეგებებული სარჩელის მიღების პირობები

1. შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით.

2. მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ:

ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

3. პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა 245-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1. შეგებებული სარჩელი – ჩვეულებრივი სარჩელია. შეგებებული მას იმიტომ ეწოდება, რომ იგი აღიძვრის სხვა ძირითადი (თავდაპირველი) სარჩელის გამო, თუმცა რომ არა ეს ძირითადი სარჩელი, იგი შეიძლება აღძრულიყო როგორც დამოუკიდებელი და ძირითადი სარჩელი.

– ამიტომ, შეგებებულ სარჩელს წაეყენება იგივე მოთხოვნები, რაც ნებისმიერ სხვა სარჩელს. კერძოდ, მისი შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს 178-ე და 179-ე მუხლის მოთხოვნებს, აგრეთვე უნდა პასუხობდეს 186-ე მუხლის მოთხოვნებს, გარდა ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული პირობისა განსჯადობის შესახებ, რადგან შეგებებული სარჩელი შეიძლება აღიძრას იმ სასამართლოში, რომელიც იხილავს თავდაპირველ სარჩელს.

2. გარდა სარჩელის დასაშვებობისა და სარჩელის მიღე-

ბის საერთო პირობებისა, შეგებებული სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ სპეციალურ (დამატებით) პირობებს. ეს პირობებია:

ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად.

– მაგალითად, აღძრულია სარჩელი ზარალის ანაზღაურების შესახებ 1000 ლარის ოდენობით. მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა მოსარჩელისაგან 800 ლარის გადახდევინება, რაც მას სესხის სახით ჰქონდა გაცემული მოსარჩელისათვის. ამასთან ერთად, მოპასუხემ სთხოვა სასამართლოს ჩაუთვალოს აღნიშნული 800 ლარი ზარალის ანაზღაურებაში და დააკისროს მას 200 ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა.

ვალდებულების შეწყვეტა ჩათვლით გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლით.[24]

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მაგალითად, აღძრულია სარჩელი ბინის დამქირავებლის ბინიდან გამოსახლების შესახებ, იმ მოტივით, რომ იგი უარს ამბობს გადაიხადოს ქირა. მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი, რათა იგი ცნონ სადავო ბინის მესაკუთრედ (ან თანამესაკუთრედ). ცხადია, რომ თუ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდება და მოპასუხე ცნობილი იქნება ბინის მესაკუთრედ, მაშინ გამოირიცხება პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილება.

გ) შეგებებულ და პირვანდელ სარჩელებს შორის არის ურთიერთკავშირი.

– მაგალითად, ნივთის მიმბარებელმა აღძრა სარჩელი ამ ნივთის შემნახველის მიმართ შესანახად მიბარებული ნივთის უკან დაბრუნების შესახებ. შემნახველმა თავის მხრივ აღძრა შეგებებული სარჩელი შენახვისათვის გაწეული ხარჯების 1000 ლარის ოდენობით ნივთის მიმბარებელზე დაკისრების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 776-ე მუხლი). აქ ურთიერთკავშირი პირვანდელ სარჩელსა და შეგებებული სარჩელს შორის აშკარაა.

[24] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ.,2001,გვ.544

– სასამართლოს განჩინებაზე შეგებებული სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ, ან კიდევ, განჩინებაზე შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული განჩინებები გამოტანილია დაგვიანებით აღძრული შეგებებული სარჩელების მიმართ (მაგალითად, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს) – ეს ვერ გახდება საქმის განხილვის, ანუ სასამართლოს მთავარი სხდომის გადადების საბაბი. სასამართლომ უნდა გააგრძელოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, ხოლო თუ შემოტანილი იყო კერძო საჩივარი, იგი შეიძლება განხილულ იქნეს გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად.

სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან, რომ შეგებებული სარჩელები გამოყენებულ იქნეს საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით.

– რაც შეეხება საქმის მომზადების სტადიაზე, ე. ი. დროულად აღძრულ შეგებებულ სარჩელებზე გამოტანილ განჩინებებზე შემოტანილ კერძო საჩივრებს, ისინი განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით (414-420-ე მუხლები).

3. შეგებებული სარჩელის აღძვრის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მათი ერთად განხილვა და ერთობლივად გადაწყვეტა. მაგრამ **შეიძლება ისე მოხდეს, რომ, ყველაფერი გარკვეულია ერთ-ერთის მიმართ**, მაგრამ არაა გარკვეული მეორის მიმართ. ასეთ შემთხვევაში **სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს არა ერთობლივი, არამედ გადაწყვეტილება ერთ-ერთის მიმართ** რომელიც მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად (245-ე მუხლი), რის შესახებაც მან უნდა მიუთითოს თავის გადაწყვეტილებაში. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ „სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მხოლოდ ძირითადი სარჩელის მიმართ და არაფერი თქვა შეგებებულ სარჩელზე, რითაც დაარღვია სსკ 189-ე მუხლი“.[25]

[25]სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001, №6, გვ.564.

მუხლი 190. საქმის განხილვის გადადება შეგებებული სარჩელის აღძვრის გამო

1. თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება.

2. საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი.

1. შეგებებული სარჩელის აღძვრა დასაშვებია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე, ე. ი, საქმის მთავარ სხდომაზე დანიშვნის შესახებ განჩინების გამოტანამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ შეგებებული სარჩელის აღძვრა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით თუ **ეს ვადა საპატიო მიზეზით იყო გაშვებული** (188-ე მუხლი). თუ ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით სასამართლომ მიიღო შეგებებული სარჩელი საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, როცა მიღებულია განჩინება საქმის მთავარ სხდომაზე დანიშვნის შესახებ, ან საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს, სასამართლომ შეიძლება გადადოს ამ საქმის განხილვა სხვა დროისათვის. გადადება შეიძლება მოხდეს იმ მოტივით, რომ საჭიროა შეგებებული სარჩელის განსახილველად მომზადება, მაგრამ თუ თავდაპირველი მოსარჩელე არ მოითხოვს გადადებას და არც სასამართლოს მიაჩნია აუცილებლად – საქმის განხილვა შეიძლება არ გადაიდოს.

2. საქმის განხილვის გადადება შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ ხარჯებთან, რომლებიც გამოწვეულია მოწმეთა განმეორებით გამოძახებით, ახალი მოწმეების მოწვევით, ახალი მტკიცებულებების გამოთხოვით, თარჯიმნის განმეორებით მოწვევით და ა. შ.

ყველა ამ ხარჯის დაფარვის მოვალეობა დაეკისრება მოპასუხეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი.

თ ა ვ ი XXIII

სარჩელის უზრუნველყოფა

მუხლი 191. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

1. მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

2. განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

3. თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას არ ახლავს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, ანდა სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს აძლევს ვადას მის შესავსებად. დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებს, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

1. **სარჩელის უზრუნველყოფა** ესაა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხის მიერ თავისი ქონების ან ფულადი სახსრების განკარგვის უფლების შეზღუდვის გზით.

სარჩელის უზრუნველყოფა **სასამართლოს ინიციატივით დაუშვებელია**. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება შეიტანოს არა მარტო **მოსარჩელემ**, არამედ **მესამე პირმა დამოუკიდებელი მოთხოვნით,** აგრეთვე **მოპასუხემ** , თუ მან აღძრა **შეგებებული სარჩელი** და მოითხოვს მის უზრუნველყოფას.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, გარდა ყველა სხვა სახის განცხადებისათვის საჭირო რეკვიზიტებისა, უნდა შეიცავდეს მითითებას: ა) ი**მ ფაქტობრივ გარემოებებზე**, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას; ბ) **მითითებას მოწინააღმდეგე მხარის იმ ქონებაზე ან ფულად სახსრებზე** (ანგარიშებზე ბანკში და სხვა), რომელთა მიმართ უნდა მოხდეს უზრუნველყოფა ; გ) **მითითებას უზრუნველყოფის ღონისძიებებზე**, რომლის გატარებაც განმცხადებელს მიაჩნია აუცილებლად.

საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად (იხ. 198-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, მოსამართლემ უნდა განიხილოს მხოლოდ მოსარჩელის მიერ მითითებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. თუ ასეთი განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ კმაყოფილდება.

2. სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება გატარდეს იმ ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის მოპასუხეს. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს მტკიცებულებებს, რომელთა მეშვეობით შეიძლება მოპასუხის საკუთრების უფლების დადას-

ტურება მხოლოდ მის უძრავ ქონებაზე. მოპასუხის სხვა ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებისათვის მტკიცებულებათა სახეები წინასწარ განსაზღვრული არაა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ნებისმიერი მტკიცებულების გამოყენება.

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ძალაშია გაცემის მომენტიდან 10 კალენდარული დღის ვადაში". ამ ვადით უნდა განისაზღვროს საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ცნობის ძალაც, თუ ასეთი ცნობა იყო წარმოდგენილი.

3. ამ მუხლის მე-3 ნაწილი მოითხოვს, რომ თუ საკითხი ეხება მოპასუხის უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებას, მაშინ განცხადებას აუცილებლად უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული მტკიცებულებები, თუ ეს მტკიცებულებები არ ერთვის განცხადებას, ან თუ სახელმწიფო ბაჟი არაა გადახდილი, სასამართლო უნიშნავს ვადას განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადებას განუხილველად დატოვებს.

შეიძლება წამოიჭრას საკითხი რა ს**ახელმწიფო ბაჟი იგულისხმება** აქ: სახელმწიფო ბაჟი, რომელსაც მოსარჩელე იხდის წინასწარ სარჩელის განხილვისათვის (38-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი), თუ დამატებით კიდევ განცხადებისათვის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

შეიძლებოდა გვეფიქრა და უფრო სწორი იქნებოდა თუ პრაქტიკა ამ გზით წავიდოდა, რომ აქ მხედველობაშია ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფაზე ბაჟის გადახდა (192-ე მუხლი), რომლის ოდენობა შეადგენს 50 ლარს (39-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი). საქმე ისაა, რომ თუ სარჩელი აღძრულია და წარმოებაშია მიღებული, ამისათვის მოსარჩელე წინასწარ იხდის ბაჟს. ამ სარჩელის განხილვასთან დაკავშირებით ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულებისათვის, მათ შორის სარჩელის უზრუნველყოფისათვის, მოსარჩელე ბაჟს აღარ უნდა იხდიდეს.

191-ე მუხლის მე-3 ნაწილში, აგრეთვე მომდევნო მუხლებში მითითებულია სასამართლო განჩინებათა **„საჩივრით გასაჩივრებაზე“**, ან **„საჩივრის შეტანაზე“**. რა არის ეს საჩივრის ახალი სახე თუ იგივე კერძო საჩივარი? ამის შესახებ იხილეთ 197-ე და 197[1] მუხლების კომენტარი.

მუხლი 192. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე

1. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო სარჩელის შეტანისათვის დანიშნავს გონივრულ ვადას, მაგრამ არანაკლებ 5 და არა უმეტეს 10 დღისა განჩინების მხარისთვის ჩაბარების მომენტიდან. თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

1. ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მხოლოდ **„გადაუდებელ შემთხვევაში“**.

– გადაუდებელი შემთხვევა შეიძლება სხვადასხვა გარემოებით იყოს გამოწვეული (ქონების მოსალოდნელი გაყიდვა, გაჩუქება, ხშირად ფიქტიური გასხვისება, გადამალვა და ა. შ.), მაგრამ რა გარემოებითაც არ უნდა იყოს გამოწ-

ვეული, განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის **გადაუდებლობა**.

2. ჯერ არაღძრული სარჩელის უზრუნველყოფისას თავისი ინიციატივით სასამართლო დანიშნავს გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც, თუ განმცხადებელი არ აღძრავს სარჩელს, გამოტანილი იქნება განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ გონივრული ვადის ფარგლები განსაზღვრა თვითონ კანონმდებელმა (არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 დღისა). სასამართლოს შეუძლია ამ ფარგლებში განსაზღვროს იმ სარჩელის შეტანის ვადა, რომელიც მის აღძვრამდე იყო უზრუნველყოფილი.

– განჩინებაში ჯერ არაღძრული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა აღინიშნოს არა მარტო იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდება, თუ ამ განჩინებით დანიშნულ ვადაში სარჩელი არ იქნება აღძრული, არამედ იმის შესახებაც, რომ განმცხადებელს დაევალება იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მიადგა მოწინააღმდეგე მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებით (199-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მუხლი 193. განცხადების განხილვის წესი

განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად.

სარჩელის უზრუნველყოფა, შეიძლება ითქვას, სწრაფი (დაჩქარებული) პროცესია. მოსამართლეს, მოწინააღმდეგე მხარის მოწვევისა და მონაწილეობის გარეშე გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ასევე სწრაფად და დაუყოვნებლივ, ე. ი. მისი გამოტანისთანავე განჩინება, თუ ამ განჩინებით დადგინდა სარჩელის უზრუნველყოფა, უნდა ჩაბარდეს (გაეგზავნოს) მოწინააღმდეგე მხარეს, რათა მან შეძლოს გაასაჩივროს იგი, ან მოითხოვოს სხვა საპროცესო მოქმედების შესრულება.

მუხლი 194. განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

1. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც უნდა უპასუხებდეს განჩინებისათვის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელშიც უნდა მიეთითოს, უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ.

2. სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ განჩინებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საჩივარი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინების ზუსტ დასახელებას;

ბ) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ;

გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ.

3. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან.

4. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები.

5. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით

ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

1. გარდა საერთო მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს განჩინება (285-ე მუხლი), განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა შეიცავდეს: ა) უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება გაატარა სასამართლომ (198-ე მუხლი); ბ) იმ ქონების ადგილმდებარეობას და ინდივიდუალურ ნიშნებს, რომელთა მიმართაც გატარდა ღონისძიება; გ) თითოეული ნივთის სრულ და ზუსტ სახელწოდებას, მათ წონას, პარამეტრებს და ა. შ.

– განჩინების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, რომ იგი დაუყონებლივ უნდა აღსრულდეს, აგრეთვე გასაჩივრების ვადას (195-ე მუხლი).

2. საჩივარი უზრუნველყოფის თაობაზე სასამართლო განჩინების გაუქმების თუ შეცვლის შესახებ, გარდა ყველა ასეთი საჩივრის საერთო რეკვიზიტებისა, უნდა შეიცავდეს იმ გარემოებებზე მითითებას, რომელთა საფუძველზეც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება. ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს.

3. ვინაიდან, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საქმის წარმოება დაჩქარებული წარმოებაა (193-ე მუხლი), ამ მუხლის მე-3 ნაწილიც ითვალისწინებს საჩივრის შეტანის შემოკლებულ ხუთდღიან ვადას, მაშინ როდესაც კერძო საჩივრის შეტანის საერთო ვადაა 12 დღე (416-ე მუხლი). ეს ვადა იწყება განჩინების გამოცხადების მომენტიდან, თუ ესწრებოდა მოწინააღმდეგე მხარე, ან იმ დროიდან, როცა მოპასუხეს (მოწინააღმდეგე მხარეს) ჩაბარდა განჩინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

4. საჩივრის შეტანა ავტომატურად არ აჩერებს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებას. სასამართლოს მომჩივანის განცხადებით შეუძლია გამოიტანოს განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან მისი გატარების შეჩერების შესახებ. თავის მხრივ ამ განჩინებაზეც შეიძლება საჩივრის შეტანა (197-ე მუხლი).

უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების (მოხსნის) შე-

სახებ განჩინება სასამართლომ მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით უნდა გადაუგზავნოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებს იმ შეზღუდვების მოხსნის მიზნით, რაც უზრუნველყოფის გაუქმებული ღონისძიებით იყო გათვალისწინებული.

5. სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მხარეს უფლება არ აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, ხოლო თუ მიმართავს სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზეც შეიძლება საჩივრის შეტანა.

მუხლი 195. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

– განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მართალია დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში. მიუხედავად ამ განჩინებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებებისა, მისი გასაჩივრება შეიძლება 5 დღეში მოპასუხისათვის ამ განჩინების გადაცემის დღიდან, როგორც ეს გათვალისწინებულია 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– რადგან უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება წარმოებს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით, სასამართლომ უნდა გასცეს სააღსრულებო ფურცელი მისი გამოტანისთანავე. სააღსრულებო ფურცელი განჩინებასთან ერთად გადაეცემა მხარეს სააღსრულებო ბიუროში წარსადგენად.

მუხლი 196. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორით

1. მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ამ საკითხის გადაწყვეტას.

3. ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

1. განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ სასამართლოს შეუძლია მიმართოს როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხემ. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად სასამართლომ გამოიყენა ყადაღა. დაინტერესებულმა მხარემ მოითხოვა მისი შეცვლა გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვით (მაგალითად, ბინის გაქირავების) ამ ბინაში სარემონტო სამუშაოების ჩატარების აკრძალვა და ა. შ.).

2. განცხადება უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს წესი გამოყენებულ იქნეს საქმის განხილვის გაჭიანურების მიზნით. ამიტომ, სასამართლომ არ უნდა მიიღოს განსახილველად ასეთი განცხადებები, თუ ისინი საპატიო მიზეზის გარეშე არ იყო აღძრული საქმის მომზადების სტადიაზე (215-ე მუხლი).

3. იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე მხარე შეიტანს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხას იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღძრულია სარჩელი (ან ჯერ არაღძ-

რული სარჩელი), სასამართლომ უნდა შეცვალოს უზრუნველყოფის მის მიერ მიღებული ღონისძიება.

მუხლი 197. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება

1. სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყფოის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისთვის გადაცემის მომენტიდან.

2. სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე საჩივრის შეტანა შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას.

1. 197-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს იმ განჩინებათა წრეს, რომლებზეც შეიძლება საჩივრის შეტანა, ვადას რომლის განმავლობაშიაც შეიძლება ამ საჩივრის შეტანა და მომენტს, საიდანაც იწყება გასაჩივრების ვადა. გასაჩივრების ვადა ამ მუხლის თანახმად იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეს გადაეცა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ.

მართალია 197-ე მუხლში ამის შესახებ არაა მითითებული, მაგრამ როგორც ეს დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისა (369-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და კერძო საჩივრის შეტანის ვადების მიმართ (416-ე მუხლი), თუ ზემოთ მითითებული განჩინებების გამოცხადებას ესწრებოდა გასაჩივრების უფლების მქონე პირი, მაშინ მათი გასაჩივრების ვადა (და არა ამ ვადის დენა იხ. მე-60 მუხლი) იწყება ამ განჩინებების გამოცხადების დღიდან.

2. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება **ავტომატურად** ვერ შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას (194-ე მუხლის მე-4 ნაწილი), მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ განჩინებაზე საჩივრის შეტანა ავტომატურად შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება („განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების (შეცვლის) თაობაზე გამოტანილი განჩინების აღსრულების შეჩერების შესახებ"), რაც დაუყონებლივ უნდა ეცნობოს სააღსრულებო ოგანოებს, თუ ისინი უკვე შეუდგნენ გაუქმებული (შეცვლილი) განჩინების აღსრულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების (შეცვლის) შესახებ შეიძლება აღსრულდეს მის კანონიერი ძალაში შესვლის ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ.

XXIII თავი, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფას ეძღვნება, კერძოდ 191-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 194-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილები, 197-ე მუხლი, 197[1] მუხლი ითვალისწინებს შესაბამისი განჩინებების გასაჩივრებას არა კერძო საჩივრით, არამედ ამ განჩინებების **„საჩივრით გასაჩივრებას", „საჩივრის შეტანას"** და ა.შ.

ასეთმა სიახლემ არ უნდა გამოიწვიოს რაიმე პრაქტიკული გაუგებრობა: საჩივარს მხოლოდ იმიტომ ეწოდებოდა და ეწოდება „კერძო", რომ სასამართლოს მიერ განჩინების ფორმით გამოტანილი დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ფორმით მიღებული დადგენილებისაგან განცალკევებით და მისგან დამოუკიდებლად. სხვა არანაირი დატვირთვა სიტყვა „კერძოს", რომელიც წინ უსწრებს სიტყვა „საჩივარს" (კერძო საჩივარი) - არ აქვს.

მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ყურადსაღები და პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მიღებულ განჩინებებზე შეტანილი საჩივრების განხილვისათვის კანონმდებელმა მთლიანად შეინარჩუნა ის წესი, რომელიც არსებობდა კერძო საჩივრების განხილვისათვის, ხოლო კერძო საჩივრების განხილვის წესებში შეიტანა ცვლილებები.

ამჟამად, კერძო საჩივარს ვეღარ განიხილავს გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლო და იგი საქმესთან ერთად დაუყონებლივ უნდა გადაეგზავნოს ზემდგომ სასამართლოს (იხ. 197[1]-ე და 417-ე მუხლების კომენტარი).

მუხლი 197[1]. სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღება და განხილვა, საჩივრისა და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში

1. სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათალისწინებული წესების თანახმად.

2. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

3. საჩივრის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს.

4. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

1. ამ მუხლში პირველი ნაწილი განსაზღვრავს სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოტანილ განჩინებებზე შეტანილი საჩივრის **წარმოებაში მიღების წესს**: თუ ასეთი საჩივარი შედის პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაშინ ეს სასამართლო ხელმძღვანელობს იმ წესებით, რაც ამ სასამართლოსათვის არის დადგენილი, თუ საჩივარი შედის სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, მაშინ ეს სასამართლოები ამ **საჩივრის წარმოებაში მიღები**ს დროს ხელმძღვანელობენ იმ წესებით, რომლებიც ამ სასამართლოებისათვის არის განსაზღვრული.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო და

საკასაციო ინსტანციებში საჩივრების წარმოებაში მიღების პირობები და წესები გაცილებით უფრო მეტსა და რთულ მოთხოვნებს შეიცავს, ვიდრე ეს მოეთხოვება განჩინებებზე შეტანილ საჩივრებს. ამიტომ, ასეთი საჩივრების დასაშვებობისა და წ არმოებაში მიღებისას სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ: ა) პასუხობს თუ არა საჩივრის შინაარსი 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს; ბ) შეიტანა თუ არა საჩივარი უფლებამოსილმა პირმა (414-ე მუხლის მე-2 ნაწ.) გ)დაცულია თუ არა საჩივრის შეტანის ვადა (194-ე მუხლის მე-3 ნაწილი); დ) ითვალისწინებს თუ არა კანონი გასაჩივრებული განჩინების გასაჩივრებას (197-ე მუხლი); ე) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი (38-ე მუხლის „თ“ პუნქტი და 39-ე მუხლის „დ“ პუნქტი).

საჩივრის დასაშვებობისა და წარმოებაში მიღების ის პირობები, რომლებიც შეუფერებელი და შეუსაბამოა ასეთი საჩივრისათვის, მაგალითად, 391-ე მუხლით გათვალისწინებული კასაციის დასაშვებობის პირობები, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საჩივრების წარმოებაში მიღებისათვის.

ამ მუხლის მე-2 ნაწილი სიტყვა-სიტყვით გადმოტანილი იქნა 417-ე მუხლიდან, რასაც აქვს პრინციპული მნიშვნელობა, საქმე ისაა, რომ 2006 წლის 13 ივლისამდე 417-ე მუხლით დამკვიდრებული და ჩვენი ღრმა რწმენით პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მოხერხებული და მოსაწონი წესი ვრცელდებოდა ყველა კერძო საჩივარზე. ამჟამად კი ეს წესი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილ განჩინებებზე საჩივრების განხილვის დროს.

შეუძლებელია ავხსნათ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხისადმი ასეთი მიდგომის ლოგიკა. იგი არ შეიძლება ემსახურებოდეს კერძო საჩივრების დაჩქარებულად განხილვის ინტერესებს.

სხვა საკითხია, რომ ამ ნორმატიულ დებულებას პრაქტიკაში არ ან ვერ იყენებდნენ. მაგრამ ამის გამო მისი ერთი ადგილიდან მეორეში გადატანა და **მოქმედების სფეროს შეკვეცა** (მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე

გამოტანილ განჩინებებზე შეტანილ საჩივრებზე გავრცელება), ცხადია არაფერს არ მოგვცემს.[26]

როგორია ამ დებულების არსი?

2. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის განჩინება" საჩივრდება. გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს მხოლოდ ერთი უფლებამოსილება აქვს - დააკმაყოფილოს საჩივარი. მაგრამ, თუ საჩივარი არ დაიშვება, ვთქვათ იმის გამო, რომ იგი შემოტანილია ვადის დარღვვით ან კიდევ, იმის გამო, რომ შეტანილია არაფლებამოსილი პირის მიერ და ა.შ. ან, თუმცა დასაშვებია, მაგრამ არაა დასაბუთებული - მაშინ სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება „საჩივრის საქმესთან ერთად ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ", რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ სასამართლომ (მოსამართლემ) განიხილა ეს საჩივარი და უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე დაუშვებლობის ან დაუსაბუთებლობის გამო.

ასეთი განჩინება საკმარისია იმისათვის, რომ ზემდგომმა სასამართლომ თვითონ განიხილოს როგორც ამ საჩივრის დასაშვებობის, ისე მისი დასაბუთებულობის საკითხი და მიიღოს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ქვემდგომი სასამართლოს განჩინებას საჩივრის ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ამ განჩინების არც გაუქმებისა და არც ძალაში დატოვების აუცილებლობა არ არსებობს. ზემდგომი სასამართლო იხილავს მხოლოდ საჩივარს, რომლის დაკმაყოფილებაზეც დაუშვებლობის ან დაუსაბუთებლობის გამო უარი თქვა ქვემდგომმა სასამართლომ.

---

[26] იმის გამო, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებული ესა თუ ის წესი არ გამოიყენება პრაქტიკაში, დაუშვებელია ამ წესის გაუქმება. თუ საქმეთა განხილვის წესები გონივრულია, მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ ეს წესები დაინერგოს.
საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვის ის მოდელი, რომელიც სსკ-ით არის დამკვიდრებული, ვერ დაინერგა, მაგრამ ამის საფუძველზე არავის არ მოუთხოვია ამ კოდექსის გაუქმება.
იხ. თ.ლილუაშვილი. სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. ნაწ. I თბ. 2002 წ. გვ.12

3. 197[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საჩივრის განხილვის ვადას (20 დღე). ეს ვადა იწყება საჩივრის წარმოებაში მიღებიდან.

რომელი სასამართლო იღებს საჩივარს წარმოებაში?

გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს შეუძლია მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება: **ერთი** - დააკმაყოფილოს საჩივარი, თუ იგი დასაშვები და დასაბუთებულია და **მეორე** - გადააგზავნოს საჩივარი ზემდგომ სასამართლოში, თუ იგი არაა დასაშვები ან დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საჩივარი არაა დასაშვები და ამიტომ წარმოებაში მისაღები, მან საჩივარი უნდა გადააგზავნოს ზემდგომ სასამართლოში, რომელიც ამ საკითხზე იღებს თავის გადაწყვეტილებას. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხს წყვეტს არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო, არამედ ზემდგომი სასამართლო. საჩივრის განხილვის 20 დღიანი ვადაც აქედან, ე.ი. ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღების დღიდან უნდა დაიწყოს.

საჩივრის განხილვის 20 დღიანი ვადა იმაზე მიგვანიშნებს, რომ გასაჩივრებული განჩინების გამომტანმა სასამართლოებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღონ განჩინება ამ საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ან მისი ზემდგომ სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.

4. ამ მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საჩივრის განხილვის წესს. კერძოდ, განჩინებას საჩივრის თაობაზე იღებს ზემდგომი სასამართლო. ეს განჩინება მიიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, მაგრამ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საჩივრის ზეპირი განხილვაც (იხ. 419-ე მუხლის კომენტარი).

ზემდგომი სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული განჩინება არ გასაჩივრდება.

მუხლი 198. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

გ) მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;

ე) ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება;

ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;

ზ) ამოღებულია

თ) ამოღებულია

3. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

1. ამ მუხლში ჩამოთვლილია სარჩელის უზრუნველყო-

ფის ღონისძიებათა სახეები, რომელიც არაა ამომწურავი. კანონმდებელს არ შეეძლო მიეთითებინა თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ღონისძიება უნდა გამოეყენებინა სასამართლოს. ეს საკითხი თვითონ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს იმის მიხედვით, თუ როგორია სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი **ან თვითონ მოსარჩელის წინადადება.** (იხ. 191-ე მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი). მაგალითად, თუ აღძრულია სარჩელი ნივთის გამოთხოვის შესახებ, ამ სარჩელის უზრუნველსაყოფად სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს ყადაღა, რომელიც შეუზღუდავს მოპასუხეს მისი განკარგვის (გაყიდვის, გაჩუქების, გაქირავების და ა. შ.) უფლებამოსილებას.

მაგრამ, თუ სარჩელი აღძრულია რაიმე ნაწარმოების (გამოგონების) თანაავტორად ცნობის შესახებ, უზრუნველყოფის ღონისძიებად სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს ამ ნაწარმოების გამოქვეყნების (დანერგვის) **აკრძალვა**.

2. **პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენებენ** ყადაღას. ყადაღა – ესაა ქონების აღწერა და ამ ქონების განკარგვის (გაყიდვის, გაჩუქების, გაქირავების, იჯარით გაცემის და ა. შ.) აკრძალვა.

– ყადაღა შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო ქონებრივ, არამედ არაქონებრივ დავებშიც. მაგალითად, მორალური ზიანის ანაზღაურების დროს, რომელიც არ განეკუთვნება ქონებრივ დავებს, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს ფულადი თანხის გადახდევინება მოსარჩელის სასარგებლოდ, რის უზრუნველსაყოფოდაც მის ქონებას შეიძლება დაედოს ყადაღა.

ბ) ეს ქვეპუნქტი არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას თუ რაში შეიძლება გამოიხატოს **მოქმედების აკრძალვა**. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია შემთხვევა, როდესაც მოპასუხეს ეკრძალება შეასრულოს, ხოლო თუ დაწყებულია გააგრძელოს მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები, რაიმე პროდუქციის გამოშვება და სხვა. სარჩელის უზრუნველყოფის ამ სახის (მოქმედების აკრძალვის) გამოყენება მთლიანად დამოკიდებულია სარჩელის ხასიათზე, იმაზე თუ რას მოითხოვს მოსარჩელე.

გ) **სეკვესტრი ანუ ქონების იძულებითი მართვა** გათ-

ვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 310-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ნივთის იძულებითი მართვა (სეკვესტრი) მოსარჩელის განცხადების საფუძველზე.[27]

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მმართველი არ შეიძლება იყოს სასამართლო აღმასრულებელი, კრედიტორი ან გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს წევრი, ან ამ პირების ნათესავი".

აქედან გამომდინარე, ამ მუხლის „გ" ქვეპუნქტის მითითება, რომ მოპასუხემ გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი, „სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვის) სახით" უნდა გავიგოთ არა როგორც ამ ქონების **სამართავად გადაცემა**, არამედ როგორც გადაცემა იმისათვის, რომ უზრუნველყოს (ორგანიზაცია გაუკეთოს) ამ ქონების გადაცემა (ჩაბარება) იმ პირისათვის, რომელიც **სასამართლომ დანიშნა მმართველად**.

დ) თუ აღმოჩნდება, რომ მოპასუხის ქონება იმყოფება სხვა პირთან ან ამ სხვა პირს ეკისრება რომელიმე კანონიერი საფუძვლით (ხელშეკრულებით, სასამართლო გადაწყვეტილებით და სხვა) ქონების ან ფულადი თანხების გადაცემა მოპასუხისათვის, მას შეიძლება აეკრძალოს მოპასუხის სასარგებლოდ შესაბამისი მოქმედების შესრულება, სანამ არ გაირკვევა სარჩელის ბედი.

ე) „სააღსრულებო წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლი ითვალისწინებს ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. ამ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს სადავო ქონების რეალიზაციის შეჩერება.

ვ) ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სადავო აქტის მოქმედების შეჩერება წარმოებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-30-ე მუხლებით დადგენილი წესით.[28]

---

[27] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ., 1999, გვ.318

[28] იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ.158-170

2. სარჩელის უზრუნველყოფის აქ ჩამოთვლილი ღონისძიებების წრე საკმაოდ ფართოა, მაგრამ არაა ამომწურავი და სასამართლოს შეუძლია სხვა ღონისძიებების გამოყენებაც ან ერთდროულად რამდენიმე ღონისძიების გატარება.

მუხლი 199. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება

1. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია 7 დღის ვადაში განახორციელოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

3. თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ 192-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღო-

ნისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებ-ლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელ-იც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებამ შეიძლება გარკვეული ზიანი მიაყენოს მოპასუხეს, კანონი იცავს არამარტო მოსარჩელის, არამედ მოპასუხის ინტერესებსაც. ამიტომ, პირს, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფას მოითხოვს, შეიძლება დაეკისროს იმ მოსალოდნელი ზიანის (ზარალის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც შეიძლება მიადგეს მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით.

მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა შეიძლება განხორციელდეს როგორც **მოპასუხის შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც.** ამასთან, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა **უნდა გატარდეს „იმავდროულად"** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებასთან ერთად. ეს იმას ნიშნავს, რომ განჩინებაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მითითებული უნდა იყოს აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა მოქმედების შესრულება დაეკისრა მოსარჩელეს (მაგალითად, ფულადი თანხის დადება და სხვა) მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. არ არის გამორიცხული, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ საკითხი განხილული და გადაწყვეტილი იქნეს მოგვიანებით, მაშინ საჭირო იქნება ამის შესახებ ცალკე განჩინების მიღება.

ამ მუხლის პირველ ნაწილში ლაპარაკია მოსალოდნელ ზიანზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად შერჩეულია ისეთი ღონისძიება, რომელიც არ მიაყენებს ზიანს მოპასუხეს, მაშინ, ცხადია, მოიხსნება საკითხი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებაც (მაგალითად, მოპასუხეს არ ეკრძალება ისარგებლოს ნივთით, გააქირაოს და მიიღოს სარგებელი ამისათვის, მაგრამ მას ეკრძალება მხოლოდ გაასხვისოს ეს ნივთი საქმის სასამართლოში გადაწყვეტამდე).

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ვადას (7 დღე), რომლის განმავლობაშიც მოსარჩელემ უნდა განახორციელოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ასეთი უზრუნველყოფა უნდა მოხდეს 57-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის გზით, ან, კიდევ თავდებობით. (იხ. 57-ე მუხლის კომენტარი).

მოსარჩელის მიერ უზრუნველყოფის განუხორციელებლობას 7 დღიან ვადაში, უკავშირდება სერიოზული შედეგი, კერძოდ: **სასამართლომ დაუყონებლივ უნდა გამოიტანოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.** ასეთი გაუქმება შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს ინიციატივით, ან დაინტერესებული მხარის შუამდგომლობით.

3. თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა უზრუნველყოფილ სარჩელზე, ან გაუქმდა ჯერ არაღძრული სარჩელის უზრუნველყოფა იმის გამო, რომ პირმა არ აღძრა სარჩელი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში (იხ. 192-ე მუხლის კომენტარი), ან, კიდევ, მას უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ მოსარჩელემ უნდა აუნაზღაუროს ზიანი მოპასუხეს, თუ იგი ამას მოითხოვს.

სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხემ უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით. მასვე ეკისრება **დამდგარი ზიანის და მისი ოდენობის დამტკიცების ტვირთი.**

ფაქტიურად, **მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა** - ესაა **იმ სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება აღძრას მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ, რომლის სარჩელის უზრუნველყოფის გამო მას მიადგა ზიანი.**

თუ მოპასუხე არ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, ან მოითხოვს, მაგრამ ვერ დაამტკიცებს ზიანის ფაქტს და მის ოდენობას, რის გამოც სასამართლო უარს ეტყვის მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მაშინ თავდაპირველ მოსარჩელეს დაუბრუნდება ის თანხა (ფასიანი ქაღალდები), რაც მან შეიტანა უზრუნველყოფის გარანტიის სახით, ან გაუქმ-

დება საკრედიტო დაწესებულების თავდებობა, თუ ასეთი იყო დაშვებული.

მუხლი 199[1]. სასამართლოს გადაწყვეტილებით *უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება*

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

ამ მუხლში ლაპარაკია სამ სასამართლო დადგენილებაზე, რომლებითაც, თუ ისინი იქნება მიღებული, სასამართლომ იმავდროულად, ე.ი. ისე, რომ არ დაელოდოს მათ კანონიერ ძალაში შესვლას, უნდა გააუქმოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ეს დადგენილებებია სასამართლო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ, სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და სასამართლოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ესაა კანონის კატეგორიული მოთხოვნა, რომელიც უნდა განახორციელოს სასამართლომ თავისი ინიციატივით. მოპასუხის განცხადება ამის შესახებ არაა საჭირო.

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე ზემოდ დასახელებული განჩინებები შეიძლება გასაჩივრდეს ამ გადაწყვეტილებისა და განჩინებების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომლითაც აგრეთვე

გაუქმდა ამ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით; ასევე სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (272-ე მუხლი), რომლითაც აგრეთვე გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით (274-ე მუხლი), ხოლო სასამართლოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (275-ე მუხლი), რომლითაც გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით (276-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, მაშინ ეს გადაწყვეტილება და განჩინებები შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამისად სააპელაციო (საკასაციო) საჩივრით და კერძო საჩივრით, მაგრამ თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება ხდება მოპასუხის განცხადების საფუძველზე და სასამართლოს განჩინებით, მაშინ ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით (197-ე მუხლი).

უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კანონიერ ძალაში შევა გადაწყვეტილება (განჩინება), რომლითაც იგი გაუქმდა.

თ ა ვ ი XXIV

საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად

მუხლი 200. საქმის მომზადების მიზანი

1. თუ სარჩელის (განცხადების) მიღების შემდეგ საქმე მოსამართლის განსახილველია, საქმეს ამზადებს მოსამართლე, ხოლო თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმე კოლეგიურმა სასამართლომ უნდა განიხილოს, მაშინ საქმეს ამ სასამართლოს ერთ-ერთი წევრი ამზადებს, რათა დაჩქარდეს მისი განხილვა და შესაძლებელი გახდეს ერთ სასამართლო სხდომაზე განხილვის დამთავრება და საქმის სწორად გადაწყვეტა.

2. მოსამართლის დავალებით საქმე სასამართლო განხილვისათვის შეიძლება მოამზადოს მოსამართლის თანაშემწემ.

1. საქმის მომზადება შეიძლება დაიწყოს სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღების შემდეგ (183-ე მუხლი) დაუყოვნებლივ. საქმის მომზადების დაწყების შესახებ მითითებული უნდა იყოს განჩინებაში სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ.

– საქმეს ყოველთვის ამზადებს მოსამართლე ერთპიროვნულად, დამოუკიდებლად იმისა, კოლეგიური სასამართლო განიხილავს ამ საქმეს, თუ მოსამართლე ერთპიროვნულად.

– სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში შეიძლება ორ მთავარ ეტაპად დავყოთ. **პირველი ეტაპი** – საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, რომელსაც სხვანაირად შეიძლება ეწოდოს მხარეთა წერილობითი შეჯიბრება. **მეორე ეტაპი** – საქმის განხილვა მთავარ სხდომაზე, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მხარეთა ზეპირი შეჯიბრება.

– მომზადების ეტაპი უნდა გაიაროს **უკლებლივ ყველა საქმემ**, დამოუკიდებლად იმისა, რთულია თუ მარტივი ეს საქმე, ხოლო მომზადების მიზნით უნდა შესრულდეს ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ამ თავით.

– სასამართლოს მთავარ სხდომაზე იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულების გადატანა, რომელიც უნდა შესრულებულიყო საქმის მომზადების ეტაპზე დაუშვებელია, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობებისა. აქედან გამომდინარე, თუ მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის გადადება ხდება ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულების მოტივით (მაგალითად, დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა, შეგებებული სარჩელის მიღება, მესამე პირებისა თუ თანამონაწილეების ჩაბმა, ადგილზე დათვალიერება და ა. შ.), რომლებიც შეიძლებოდა და უნდა შესრულებულიყო მომზადების ეტაპზე – ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე არ იყო სათანადოდ მომზადებული.

მომზადების ეტაპზე სასამართლომ საბოლოოდ უნდა დააზუსტოს და განსაზღვროს გარემოებები, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს (მტკიცების საგანი), მტკიცებულებები, რომელთა საშუალებით მხარეებს სურთ ამ გარემოებების დამტკიცება (დადასტურება), მატერიალურ-სამართლებირვი ნორმა (კანონი), რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს დადასტურებული გარემოებების იურიდიული შეფასება (კვალიფიკაცია) და ბოლოს, ამ საქმეზე გადაწყვეტილების წინასწარი (არასაბოლოო) პროექტი.

ყოველივე ეს შეიძლება წარმატებით განხორციელდეს, თუ სასამართლო განუხრელად იხელმძღვანელებს იმ ნორმების დანაწესით, რომლებიც საქმის მომზადებას აწესრიგებს.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „მოსამართლის თანაშემწე ... ამზადებს საქმეებს სასამართლოს სხდომაზე განსახილველად, მოსამართლის დავალებით ასრულებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს“.

მოსამართლის თანაშემწეს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საქმის მომზადებაში, ყველა იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულებაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ საქმის სწორად და დროულად გადაწყვეტას.

– მოსამართლის თანაშემწეს, თუ მას დაევალება საქმის მომზადება, შეუძლია მიიღოს ზომები მხარეთა მორიგებისათვის, დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, მიიღოს განჩინებები, რომელთა გამოტანა დასაშვებია ამ სხდომაზე (208-209-ე მუხლები) და ა. შ.

– თანაშემწის საქმიანობას ხელმძღვანელობს მოსამართლე.

მუხლი 201. სასამართლოს დავალებები მოპასუხისადმი

1. საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით მოსამართლე:

ა) გადაუგზავნის მოპასუხეს სარჩელისა (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული საბუთების ასლებს;

ბ) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს.

2. მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

ა) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს;

ბ) თუ სარჩელს არა ცნობს, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ;

გ) რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები;

დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის

აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშ-ვებობას, ხომ არ ექნება აცილება სასამართ-ლოს ან მოსამართლის მიმართ და ა. შ.;

ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამო-ნაწილეებად ან მესამე პირებად;

ვ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე.

ა) სასამართლომ სარჩელის წარმოებაში მიღებისთანავე უნდა დაიწყოს მისი მომზადება, რისთვისაც იგი იღებს განჩინებას სარჩელისა და მასზე დართული საბუთების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნის შესახებ. მოპასუხეს უნდა გადაეგზავნოს ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წერილობითი მასალა, რომელიც შემოვიდა სასამართლოში მოგვიანებით, ე.ი მას შემდეგ, რაც მიღებული და გადაგზავნილი იქნა აღნიშნული განჩინება.

ბ) მოპასუხის მიერ წერილობითი პასუხის შედგენისა და მისი სასამართლოში წარდგენის ვადას ნიშნავს მოსამართლე. ამ ვადის განსაზღვრისას მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში განხილვის საერთო ვადა (59-ე მუხლი) და სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დრო, რომელიც საჭირო იქნება მასზე პასუხის გასაცემად (წერილობითი შესაგებლის შესადგენად).

2. ამ მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომლებზეც **პასუხის გაცემა სავალდებულოა** მოპასუხისათვის. ცხადია, მოპასუხეს შეუძლია არ შემოიფარგლოს ამ საკითხებით და თავისი ინიციატივით დასვას და პასუხი გასცეს ისეთ საკითხებზეც, რომლებიც არ იყო სასამართლოს განჩინებაში დასმული. თავის მხრივ, სასამართლოც არაა შებოჭილი 201-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული საკითხებით და შეუძლია გააფართოვოს იმ საკითხთა წრე, რომლებზეც მიზანშეწონილია პასუხი გასცეს მოპასუხემ.

– იმ უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, როდესაც საქმის მასალებიდან გამომდინარე, სასამართლოს ეს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოპასუხეს შეიძლება მიეცეს დამატებითი, მაგრამ **შემოკლებული ვადა** მის მიერ არასრულყოფი-

ლად შედგენილი წერილობითი **შესაგებლის ხარვეზის შესავსებად**, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მასში არაა პასუხი სასამართლოს განჩინებაში დასმულ ყველა კითხვაზე, ან ეს პასუხები ბუნდოვანია (203-ე მუხლის პირველი ნაწილი).

– მოპასუხის მიერ წერილობითი შესაგებლის სასამართლოს მიერ დანიშნულ **ვადაში წარუდგენლობა** ართმევს მას უფლებას **შეასრულოს ეს მოქმედება დაგვიანებით** – საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ (206-ე და 215-ე მუხლები), რის შესახებაც გაფრთხილებას უნდა შეიცავდეს განჩინება. მაგალითად, თუ მოპასუხემ არ წარმოადგინა შესაგებელი, ან წარმოადგინა მაგრამ არ გასცა პასუხი კითხვაზე, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ ექნება აცილება მოსამართლის მიმართ, ან კიდევ, რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლოში და ა. შ. მაშინ საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს მისი შუამდგომლობები ამ საკითხებზე (33-ე, 188-ე 215-ე მუხლები).

მუხლი 202. მოპასუხის წერილობითი პასუხის გადაგზავნა მოსარჩელისათვის

1. მოპასუხის წერილობითი პასუხისა და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნოს მოსარჩელეს.

2. მოსარჩელეს უფლება აქვს წარუდგინოს მოსამართლეს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე წერილობით აცნობოს მას თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.

1. სარჩელისა და მასზე დართული საბუთების ასლების გადაგზავნა მოპასუხისათვის საშუალებას აძლევს მოპასუხეს იცოდეს რას მოითხოვს მისგან მოსარჩელე, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი მოთხოვნა და რომელი მტკიცებულებებით აპირებს ამ გარემოებების დადასტურე-

ბას. ამრიგად, მოპასუხეს ეძლევა სრული შესაძლებლობა სარჩელისაგან თავდაცვისათვის.

– მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელესაც აქვს სრული უფლება იცოდეს, თუ რომელი საპროცესო მექანიზმებით აპირებს თავდაცვას მოპასუხე. სწორედ ამ მოსაზრებითაა ნაკარნახევი ამ მუხლის პირველი ნაწილის კატეგორიული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხის წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და მასზე დართული საბუთების ასლები გადაეგზავნოს მოსარჩელეს.

– **მოპასუხის მიერ წერილობითი შესაგებლის წარუდგენლობა** სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არღვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპს, **კერძოდ, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მოსარჩელეს**: მოპასუხემ შეიტყო ყველაფერი და აქვს სრული შესაძლებლობა კარგად მოემზადოს თავდაცვისათვის, მოსარჩელემ კი არ იცის რას აპირებს ან რა საშუალებების გამოყენებით აპირებს თავდაცვას მოპასუხე.

– სწორედ მხარეთა ასეთი არათანასწორობის დამკვიდრების თავიდან აცილებას ემსახურება დანაწესები, რომლებიც განმტკიცებულია 206-ე, 215-ე და 219-ე მუხლებით და რომელთა საერთო აზრი მდგომარეობს იმაში, რომ **დაგვიანებით აღძრული შუამდგომლობები, ან წარმოდგენილი ფაქტები** და მტკიცებულებები სასამართლოს შეუძლია საერთოდ არ გაიზიაროს და არ მიიღოს.

2. ამ მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელეს შეუძლია, თუ ამას ის საჭიროდ თვლის, წარუდგინოს სასამართლოს თავისი წერილობითი ფორმით შედგენილი მოსაზრებები მოპასუხის წერილობით შესაგებელზე და იმ საბუთებზე, რომლებიც ერთვის ამ შესაგებელს. ამ ვადაში მას შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს დამატებითი მტკიცებულებები. ისე როგორც მოპასუხეს, ამ **შესაძლებლობათა გამოუყენებლობა მოსარჩელესაც ართმევს უფლებას დაგვიანებით**, ე. ი. საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ, **წარუდგინოს სასამართლოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები** (206-ე მუხლი).

მუხლი 203. მოქმედება, რომელსაც ასრულებს მოსამართლე საქმის მომზადების მიზნით

1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მოსამართლეს შეუძლია:

ა) დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;

ბ) გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;

გ) გადაწყვიტოს სასამართლო პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი;

დ) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;

ე) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;

ვ) მისცეს სასამართლო დავალებები;

ზ) მოასდინოს სარჩელის უზრუნველყოფა;

თ) დანიშნოს ექსპერტიზა, გადაწყვიტოს ექსპერტის მოწვევის საკითხი;

ი) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;

კ) დაიბაროს მოწმეები, აგრეთვე ექსპერტები და სპეციალისტები სასამართლო სხდომის დღისათვის.

2. მოსამართლეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას.

1. ეს მუხლი შეიცავს იმ საპროცესო მოქმედებათა არაამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულება, საქმის ხასიათისა და შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი და აუცილებელია ამ საქმის სათანადოდ მომზადების მიზნით.

– 203-ე მუხლის ადრესატია მოსამართლე. აქ ჩამოთვლილი საპროცესო მოქმედებები მოსამართლემ უნდა შეასრულოს. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მართალია აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, მაგრამ იგი შეიცავს სამძებრო პრინციპის ელემენტებსაც, ოღონდ იმის სრული გათვალისწინებით, რომ არ შეილახოს რომელიმე მხარის ინტერესები. სასამართლოს ინიციატივა მხოლოდ კანონის ფარგლებშია დასაშვები (მე-4 მუხლი).

ა) მხარეების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, მაგალითად,

მოპასუხის წერილობითი შესაგებელი, მოსარჩელის წერილობითი მოსაზრებები ამ შესაგებელზე (202-ე მუხლი), ნივთიერი თუ წერილობითი საბუთები, განცხადებები, შუადგომლობები და ა. შ. შეიძლება არ იყოს სრულყოფილად შედგენილი ან, საერთოდ, არ იყოს წარმოდგენილი.

სასამართლოს შეუძლია წინადადება მისცეს მხარეებს შეავსონ ყველა ნაკლოვანებები და ხარვეზები, რისთვისაც დანიშნავს ვადას.

ბ) მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (103-ე მუხლი). სასამართლოს არ შეუძლია თვითონ, თავისი ინიციატივით, დაიწყოს მტკიცებულებათა შეგროვება. მას შეუძლია გამოითხოვოს მტკიცებულებები ფიზიკური თუ იურიდიული პირებიდან მხოლოდ მხარეთა თხოვნით, რომლებმაც თვითონ, უშუალოდ ეს ვერ შეძლეს ამა თუ იმ მიზეზის გამო (134-ე მუხლის მე-2 ნაწილი 154-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

გ) საქმის დროულად გადაწყვეტის მიზნით სასურველია, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი სასამართლოს წინაშე დაისვას და მომზადების სტადიაზე გადაწყდეს. ამ საკითხების გადაწყვეტის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს 86-ე და 89-ე მუხლებით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

დ) მომზადების სტადიაზე მოსამართლეს შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით, კერძოდ დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, რათა გამოკითხოს მხარეები საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შესახებ, დანიშნოს ადგილზე დათვალიერება, დანიშნოს ექსპერტიზა, დაადგინოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და ა.შ.

ე) ადგილზე დათვალიერება, როცა იგი მომზადების სტადიაზე ხდება და როცა ამის აუცილებლობა არსებობს (120-ე მუხლი), საშუალებას მისცემს სასამართლოს თავიდან აიცილოს საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება და მისი გადაწყვეტის გაჭიანურება. ადგილზე დათვალიერება უნდა განხორციელდეს სსკ 120-126-ე მუხლებით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

ვ) გარკვეული, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას (იხ. 107-ე მუხლის კომენტარი) მტკიცებულებათა შეგროვება შეიძლება დაევალოს სხვა რაიონის (ქალაქის) სასამართლოს, რის შესახებაც მოსამართლეს გამოაქვს განჩინება. სასამართლო დავალებების მიცემა ყველაზე უფრო მიზანშეწონილია საქმის მომზადების სტადიაზე, რადგან მთავარ სხდომაზე ასეთი დავალებების მიცემა უეჭველად გამოიწვევს ამ სხდომის გადადებას და საბოლოო ანგარიშში საქმის განხილვის გაჭიანურებას.

ზ) ისე, როგორც ნებისმიერი სხვა შუამდგომლობები, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაც (განცხადება) უნდა აღიძრას სასამართლოს წინაშე საქმის მომზადების სტადიაზე. დაგვიანებით, ე. ი. საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ (207-ე მუხლი) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობა დასაშვებია, თუ იგი არ იყო აღძრული თავის დროზე საპატიო მიზეზით (215-ე მუხლი).

სარჩელის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სსკ 191-199-ე მუხლებით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

თ) ექსპერტიზის დანიშვნა საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს ყოველთვის იწვევს ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებას და საბოლოო ანგარიშში საქმის განხილვის გაჭიანურებას. ამიტომ, თუ საქმის მასალებიდან გა-

მომდინარე, საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება, იგი უნდა დაინიშნოს მომზადების სტადიაზე.

– **ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს** როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე **სასამართლოს ინიციატივითაც**, ოღონდ სსკ 162-176-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ი) სპეციალისტი არაა ექსპერტი და იგი არ წერს დასკვნას. მისი მოსაზრებები, რომლებიც შეიძლება აისახოს ოქმში, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მტკიცებულებას. მას იწვევს სასამართლო მხოლოდ დახმარების აღმოსაჩენად (204-ე მუხლი).

კ) მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების დაბარება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე საქმეს მომზადებულად ცნობს და დანიშნავს მთავარ სხდომას (207-ე მუხლი). მათი დაბარება შეიძლება მოხდეს კანონით დადგენილი წესით (140-ე, 168-ე და 204-ე მუხლები).

მოწმის დაკითხვა მომზადების სტადიაზე დასაშვებია მხოლოდ სსკ147-ე, 107-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

2. საქმის ხასიათიდან და შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა იმ საპროცესო მოქმედების ჩამოთვლა, რომელთა შესრულება შეიძლება საჭირო გახდეს ამ საქმის მომზადებისათვის. ამიტომ, ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი და სასამართლოს სრული უფლება აქვს შეასრულოს სხვა საპროცესო მოქმედებაც, თუ ეს მისი აზრით, საჭირო და აუცილებელია.

მუხლი 204. სპეციალისტის მოწვევა

1. ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას (ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშებების შედგენა და ა. შ.) სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი.

2. სპეციალისტად მოწვეული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში, გაუწიოს მას კონსულტაცია, აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება.

3. სპეციალისტის ზეპირი კონსულტაცია შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო მისი წერილობითი პასუხები დაერთვის საქმეს.

სპეციალისტი თავისი საპროცესო მდგომარეობითა და პროცესში მონაწილეობის მიზნებით განსხვავდება ექსპერტისაგან (162-ე მუხლი). ექსპერტი დამოუკიდებლად ატარებს ექსპერტიზას (გამოკვლევას), წერს დასკვნას სასამართლოსათვის საინტერესო საკითხებზე, რომელთა განმარტება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და ეს დასკვნა წარმოადგენს მტკიცების დამოუკიდებელ საშუალებას (მტკიცებულებას), რომელსაც სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით აფასებს.

სპეციალისტი არ ატარებს ექსპერტიზას, არ ადგენს დასკვნას და არ წარმოადგენს მტკიცებულების წყაროს. მისი მიზანია დახმარება აღმოუჩინოს მოსამართლეს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების სრულყოფილად ჩატარებაში.

1. 204-ე მუხლის პირველი ნაწილი არ შეიცავს იმ საპროცესო მოქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შესრულებისას შეიძლება სპეციალისტის მოწვევა. იგი შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა საპროცესო მოქმედებათა შესრულების დროსაც, როგორიცაა მაგალითად ექსპერიმენტის ჩატარება, ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვა, ნიმუშების აღება შედარებითი გამოკვლევებისათვის და სხვა.

2. სპეციალისტი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მონაწილეობა მიიღოს საპროცესო მოქმედებათა შესრულებაში, გამოიყენოს თავისი სპეციალური ცოდნა მტკიცებულებათა გამოვლენასა და დამაგრებაში, შეადგინოს, თუ ეს საჭიროა, ნახაზები და გეგმები, მოახდინოს ფოტოგადაღებები და ა. შ. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა, სპეციალისტად შეიძლება მოწვეული იქნეს პედაგოგი, რომელსაც შეუძლია თავისი რჩევებით დაეხმაროს სასამართლოს ასეთი მოწმისაგან გულწრფელი ჩვენების მიღებაში (152-ე მუხლი).

3. სპეციალისტის ზეპირი კონსულტაციები შეიტანება ოქმში, ხოლო მის მიერ შედგენილი ნახაზები, გაანგარიშებები, ფოტოები და სხვა დაერთვის საქმეს და წარმოადგენს

ოქმის განუყოფელ ნაწილს, რომელთა მნიშვნელობა მთლიანად ამოიწურება ოქმის მნიშვნელობით (287-ე მუხლი).

სპეციალისტს უფლება აქვს გაეცნოს იმ საპროცესო მოქმედების ოქმს, რომელშიც იგი მონაწილეობდა, წარმოადგინოს თავისი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითოს მის უსწორობაზე თუ უსრულობაზე.

მუხლი 205. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა

1. თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მხარეებმა შეიძლება საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი, ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე, თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მხარეთა წერილობითი მასალების მიღების შემდეგ მას შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

2. მხარეთა შეთანხმებით მოსამზადებელი სხდომა შეიძლება გადაიზარდოს მთავარ სხდომაში

1. **მოსამზადებელი სხდომა** არაა საქმის მომზადების სტადიის **სავალდებულო და აუცილებელი ელემენტი**, მაგრამ საქმის დამთავრება მხარეთა მორიგების, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ან მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის საფუძველზე დასაშვებია მხოლოდ მოსამზადებელ სხდომაზე, **თუ ყოველივე ეს მომზადების სტადიაზე მოხდა** (208-ე მუხლი).

მოსამზადებელი სხდომა შეიძლება დაინიშნოს კიდევ ერთი მიზნით – თუ ამას „საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები მოითხოვენ“.

– მაგრამ რა მიზნითაც არ უნდა დაინიშნოს, მოსამზადებელ სხდომაზე საბოლოოდ უნდა იქნეს განხილული საქმის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, როგორი-

ცაა მხარეების მიერ დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, სასამართლოს მიერ მხარეთა თხოვნით ამ მტკიცებულებების გამოთხოვა, მესამე პირებისა და თანამონაწილეების პროცესში ჩაბმა, ადგილზე დათვალიერების ჩატარება, ექსპერტიზის დანიშვნა, სპეციალისტის მოწვევა და ა. შ.

– **კანონი არ ითვალისწინებს** და არ გულისხმობს მოსამზადებელი **სხდომის გადადებას**, განმეორებით დანიშვნას თუ მრავალჯერ ჩატარების შესაძლებლობას. თუ მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებს განესაზღვრათ რაიმე საპროცესო მოქმედების შესრულება, ეს მოქმედება უნდა შესრულდეს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. **უკიდურეს შემთხვევაში** მოსამზადებელი სხდომა შეიძლება **მეორედ დაინიშნოს**, თუ ეს აუცილებელია, მაგალითად, თუ მხარეებს მიეცათ მათივე შუამდგომლობით დრო მორიგებისათვის.

– მოსამზადებელი სხდომის გადადება იმ მოტივით, რომ ერთ-ერთი ან ორივე მხარე არ გამოცხადდა, დაუშვებელია. სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მთავარი სხდომა იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე ფაქტიურად არ არის მომზადებული მხარეთა პასიურობის გამო (იხ. 207-ე მუხლის კომენტარი).

2. მოსამზადებელი სხდომის „გადაზრდა“ მთავარ სხდომაში შეიძლება დასაშვები და გამართლებული იყოს, თუ ამ სხდომაზე გამოცხადდა ორივე მხარე და ისინი შუამდგომლობენ სასამართლოს წინაშე, რომ მან განიხილოს და გადაწყვიტოს ეს საქმე საქმეში არსებული მასალების მიხედვით (იხ. 209-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 206. მხარეთა მოვალეობა

მხარეები მოვალენი არიან საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ მოსამართლის მითითებები. არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლე-

ბას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს.

– სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს საქმის განხილვის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის მეტად ეფექტურ საშუალებებს (მექანიზმებს). სასამართლოებმა გონივრულად, მტკიცედ და განუხრელად უნდა გამოიყენოს ეს მექანიზმები.

– ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ამ მუხლით გათვალისწინებული სანქცია, რომლის მიხედვით თუ მხარე საქმის მომზადების სტადიაზე არ შეასრულებს შესაბამის საპროცესო მოქმედებებს, არ აღძრავს სასამართლოს წინაშე შესაბამის შუამდგომლობებს და ა. შ. მაშინ ის კარგავს უფლებას შეასრულოს ასეთი მოქმედებები საქმის მომზადების დამთავრების შემდეგ (207-ე მუხლი), თუ მათი დროულად შეუსრულებლობა არ იყო გამოწვეული საპატიო მიზეზით, რომელიც სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი მხარის მიერ (215-ე მუხლი).

– მხარის გაფრთხილებას ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების შესახებ უნდა შეიცავდეს სასამართლოს განჩინება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესახებ.

მუხლი 207. განჩინება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის შესახებ

მოსამართლეს, მას შემდეგ, რაც ცნობს საქმეს საკმაოდ მომზადებულად, გამოაქვს განჩინება სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი არსებითად განხილვის დანიშვნის შესახებ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დღეს სასამართლო ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის.

– საქმის მომზადება არ შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, იგი უნდა დამთავრდეს გონივრულ ვადაში, ე. ი. ისეთ ვადაში, რომ შესაძლებელი გახდეს ამ საქმის განხილვა და გადაწყვეტა კანონით განსაზღვრულ ვადაში (59-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მთავარი სხდომა შეიძლება დაინიშნოს თუ საქმე მომზადებულია.

– მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარეები, ან ერთ-ერთი მხარე (ხშირად მოპასუხე) არ აქტიურობს, უფრო მეტიც, შეგნებულად ცდილობს საქმის მომზადების, საბოლოო ანგარიშში კი, საქმის განხილვის გაჭიანურებას, რის გამოც საქმე ფაქტიურად მოუმზადებელია, ხოლო საქმის განხილვის ვადები იწურება?

შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში მთავარი სხდომის დანიშვნა?

– სამოქალაქო საპროცესო სამართლის თვალსაზრისით, „საქმის საკმაოდ მომზადებულობა“ არ ნიშნავს აუცილებლად ამ საქმის რეალურად მომზადებას. იგი შეიძლება არ იყოს მომზადებული იმის გამო, რომ მხარეები არ იჩენენ საკმაო ინტერესს ამ საქმისადმი, არ ასრულებენ საჭირო საპროცესო მოქმედებას, მაგრამ **საქმე მაინც მომზადებულად უნდა ჩაითვალოს, თუ სასამართლომ თვითონ შეასრულა ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც მას სამსახურებრივად ევალებოდა** და დროულად გააფრთხილა მხარეები საპროცესო მოქმედებათა შესრულების აუცილებლობაზე და მათი შეუსრულებლობის შედეგებზე.

– ასეთ პირობებში სასამართლოს არა მარტო არ შეუძლია, არამედ უფლებაც არ აქვს დაელოდოს თუ **როდის ინებებს მხარე** შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. ამიტომ მას გამოაქვს **განჩინება** საქმის მომზადების დასრულებისა და ამ **საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ**.

– სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დანიშვნის შესახებ განჩინებით **მთავრდება მომზადების ეტაპი** (წერილობითი შეჯიბრება) და **იწყება ახალი ეტაპი** – საქმის **მთავარ სხდომაზე ზეპირი განხილვის** (ზეპირი შეჯიბრების) ეტაპი (210-ე მუხლი).

მუხლი 208. განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან მხარეები მორიგდებიან, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მორიგების შემთხვევაში ამავე განჩინებით სასამართლო დაამტკიცებს მორიგების პირობებს. იგივე წესი გავრცელდება სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

2. საქმის წარმოების შეწყვეტა აღნიშნული საფუძვლებით იწვევს შედეგებს, რაც გათვალისწინებულია 273-ე მუხლით.

3. თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ცნობს სარჩელს, მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმას და მხარეთა მორიგებას **მოსამზადებელ სხდომაზე**. მაგრამ სარჩელზე უარის თქმა ან მხარეთა მორიგება შეიძლება მოხდეს ჯერ კიდევ მოსამზადებელი სხდომის დანიშვნამდე, რის შესახებაც მხარეებმა წერილობით აცნობეს მოსამართლეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა, დაიბაროს მხარეები და გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს განჩინების მიღებას. მთავარი სხდომის დანიშვნა საჭირო არაა.

მხარეთა მორიგება - ესაა **ურთიერთდათმობის** გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მორიგების პირობები განისაზღვრება თვით მხარეების მიერ. ცხადია, რომ საქმის ხასიათისა და შინაარსის მიხედვით ეს პირობები განსხვავებული იქნება. მორიგების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც დეტალურად და

ამომწურავად განსაზღვრავს მორიგების პირობებს, ე.ი. იმას, თუ რომელმა მხარემ რა მოქმედება უნდა შეასრულოს მეორე მხარის სასარგებლოდ.

2. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში იგივე სარჩელით სასამართლოში მიმართვა დაუშვებელია (273-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

3. საქმის მომზადების ეტაპზე (მოსამზადებელ სხდომაზე ან მანამდე) მოპასუხემ შეიძლება ცნოს სარჩელი. ასეთ შემთხვევაში მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლეს გამოაქვს **გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ**. სასამართლოს **მთავარი სხდომის დანიშვნა ასეთ შემთხვევაშიაც საჭირო არაა**.

– თუ სარჩელზე უარის თქმა, მხარეთა მორიგება ან სარჩელის ცნობა მოხდა მომზადების ეტაპის დამთავრების შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამოიტანა განჩინება მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ (207-ე მუხლი), მაშინ შესაბამისი განჩინებები და გადაწყვეტილება სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს მთავარ სხდომაზე.

მუხლი 209. საქმის წარმოების შეწყვეტა და სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება საქმის მომზადების დროს

272-ე და 275-ე მუხლების შესაბამისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადების დროს საქმის წარმოება მოსამართლემ შეიძლება შეწყვიტოს ან სარჩელი (განცხადება) განუხილველად დატოვოს, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

– 272-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას მოსამართლემ არ უნდა მიიღოს სარჩელი (186-ე მუხლი), მაგრამ თუ შეცდომით მიიღო სარჩელი წარმოებაში, რაც საქმის მომზადების სტადიაზე გამოვლინდა, მას შე-

უძლია მიიღოს განჩინება საქმის წარმოების **შეწყვეტის** შესახებ (იხ. 272-ე მუხლის კომენტარი). საქმის წარმოების შეწყვეტის მიზნით მოსამართლეს, თუ იგი ამას **მიზანშეწონილად ჩათვლის**, შეუძლია მოიწვიოს მოსამზადებელი სხდომა, მაგრამ მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.

– განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (274-ე მუხლი).

– სსკ 275-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, გარდა ამ მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა, მოსამართლემ არ უნდა მიიღოს სარჩელი, მაგრამ თუ შეცდომით მიიღო სარჩელი წარმოებაში, რაც გამოვლინდა საქმის მომზადების სტადიაზე, მას შეუძლია **განუხილველად** დატოვოს სარჩელი. მოსამზადებელი სხდომის მოწვევა ამ შემთხვევაშიც არაა აუცილებელი, მაგრამ თუ მოსამართლეს **მიზანშეწონილად** მიაჩნია, შეუძლია მოიწვიოს იგი. მხარეთა გამოუცხადებლობა საკითხის გადაწყვეტას ვერ დააბრკოლებს.

– მოსამზადებელი სხდომა არაა საქმის მომზადების სტადიის სავალდებულო ელემენტი. აქედან გამომდინარე, **არც ამ სხდომაზე მხარეთა გამოცხადება შეიძლება ჩავთვალოთ სავალდებულოდ და დავუკავშიროთ მას ის შედეგები, რომლებიც სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობას უკავშირდება,** კერძოდ, არ შეიძლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, სარჩელის განუხილველად დატოვება, როცა არ ცხადდება მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე და სარჩელის განუხილველად დატოვება, როცა ორივე მხარე არ ცხადდება. ამიტომ, მოსამზადებელ სტადიაზე ან მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელის განუხილველად დატოვება სსკ 275-ე მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რომელიც სასამართლოს მთავარ სხდომას გულისხმობს, დაუშვებელია, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა შესაბამისი პირობების არსებობისას მოსამზადებელი სხდომა „გადაიზარდა“ მთავარ სხდომაში (იხ. 205-ე მუხლის კომენტარი).

თ ა ვ ი XXV

სასამართლოს მთავარი სხდომა

მუხლი 210. სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყება

1. საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს სასამართლო შემოდის სხდომის დარბაზში. მოსამართლე, ხოლო თუ საქმეს არჩევს კოლეგიური სასამართლო, – ამ სასამართლოს თავმჯდომარე, სხნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს, თუ რომელი საქმე იქნება განხილული.

2. სასამართლოს სხდომის მდივანი მოახსენებს სასამართლოს, თუ განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან ვინ გამოცხადდა, ჩაბარდათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს უწყებები 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. სასამართლო ადგენს გამოცხადებულთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას, აგრეთვე აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითების სავალდებულობისა და სასამართლოს სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების თაობაზე. ამის შემდეგ მოწმეები ტოვებენ სხდომის დარბაზს.

სამოქალაქო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის აუცილებელი და სავალდებული პირობა. საქმეზე გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება ამ საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის, მხარეთა ზეპირი შეჯიბრების გარეშე, გარდა ერთადერთი გამონაკლისისა, როდესაც მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ცნობს სარჩელს (208-ე

მუხლი). სასამართლოს მთავარი სხდომის ასეთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს მისი ჩატარების წესებს.

– საქმის განხილვა მთავარ სხდომაზე თანმიმდევრულად მიმდინარე რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. პირველი ეტაპია– სხდომის გახსნა.

1. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასამართლომ ზუსტად დაიცვას მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ მხარეთა და სხვა პირთა გამოძახების უწყებაში მითითებული დრო (დღე, საათი). სხდომა უნდა დაიწყოს იმ დღეს და იმ საათზე, რაც უწყებაში იყო მითითებული, ხოლო თუ ეს ვერ ხერხდება, მაშინ მოსამართლე ან მისი თანაშემწე ზუსტად ამ დროისათვის აცნობებს მხარეებს და სხვა პირებს თუ რა მიზეზით არ იწყება პროცესი დანიშნულ დროს და **რამდენი შეიძლება დააგვიანდეს სხდომის გახსნას**.

2. ჯერ კიდევ სხდომის დაწყების წინ (სანამ სასამართლო (მოსამართლე) შემოვა სხდომის დარბაზში), სხდომის მდივანმა უნდა შეამოწმოს გამოსაძახებელ პირთაგან ვინ გამოცხადდა და არკვევს გამოუცხადებლობის მიზეზებს, კერძოდ, ჩაბარდათ თუ არა მათ უწყება და არის თუ არა საქმეში ცნობა ამის შესახებ, ხომ არ არის წარმოდგენილი რაიმე ცნობა (მაგალითად, ავადმყოფობის შესახებ) გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ და ა. შ.

– გამოცხადებულთა ვინაობას ადგენს უშუალოდ მოსამართლე. მხარეთა და სხვა პირთა (მოწმის, ექსპერტის, თარჯიმნის) ვინაობის დადგენის მიზნით, **თუ ეს აუცილებელია**, მოსამართლეს შეუძლია მოითხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი. თუ საქმეში მონაწილეობს წარმომადგენელი, მისი უფლებამოსილებისა და ამ უფლებამოსილებათა ფარგლების დადგენის მიზნით მოსამართლე უნდა გაეცნოს მინდობილობას, შეამოწმოს მისი გაცემის წესი.

– სასამართლო სხდომაზე წესრიგის უზრუნველყოფისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება პროცესის მონაწილეებისა და სხდომაზე დამსწრე პირების გაფრთხილებას. ამისათვის მოსამართლემ უნდა გააცნოს მათ კანონის დანაწესი, კერძოდ 211-ე და 212-ე მუხლების შინაარსი (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

მუხლი 211. წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულოობა

მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას.

– სასამართლო სხდომას (სასამართლო პროცესს) ხელმძღვანელობს მოსამართლე (კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარე). თავისთავად ცხადია, რომ წესრიგი მართლმსაჯულების განხორციელების ამ დამაგვირგვინებელ ეტაპზე უნდა იყოს სანიმუშო, მით უმეტეს, რომ სხდომის მიმდინარეობას და განსახილველი საკითხების თანმიმდევრობას განსაზღვრავს კოდექსი.

სასამართლომ საგანგებოდ უნდა გააფრთხილოს მხარეები, საქმეში მონაწილე პირები და, საერთოდ, ყველა, ვინც ესწრება სხდომას, რომ **ისინი ვალდებულნი არიან უსიტყვოდ და შეკამათების გარეშე დაემორჩილონ მოსამართლის განკარგულებას.**

– „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სასამართლო სხდომაზე კინო და ფოტო გადაღება, აუდიო და ვიდეოჩანაწერის გაკეთება დაშვებულია. მაგრამ თუ ყოველივე ეს ხელს უშლის სხდომის მუშაობას, პროცესის ნორმალურ წარმართვას, სასამართლოს, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია აკრძალოს ეს თავისი მოტივირებული განჩინებით.

– **ვალდებულება** დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას, ეხება სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფ ყველა პირს – **გამონაკლისის გარეშე**.

მუხლი 212. სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

1. სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე), რომელიც უფლებამოსილია სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა.

2. სასამართლო აფრთხილებს მხარეებს, რომ თუ ისინი თვითნებურად მიატოვებენ სხდომას, მათ მიმართ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

3. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა.

4. თუ სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულება გაძევების შესახებ ეხება წარმომადგენელს, საქმის მოსმენა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმეს თავიდანვე აწარმოებდა რამდენიმე წარმომადგენელი. ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასა-

მართლოს გამოაქვს შესაბამისი განჩინება, რომელიც ეგზავნება ადვოკატთა გაერთიანებას.

5. პირი სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა.

6. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში.

7. თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს (მოსამართლის), პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას, ამასთანავე, სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას და უგზავნის განკარგულების გამოცემაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული პირი დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელსაც გაეგზავნა მიმართვა და რომელიც უფლებამოსილია გამ-

ოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღეღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი და ორზე მეტი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს უახლოესი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა მოხდა საქმის მაგისტრატი მოსამართლის მიერ განხილვისას, განკარგულება გამოაქვს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე. სააპელაციო სასამართლოში განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა მისი მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გარდა დიდი პალატისა, განკარგულება გამოაქვს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს იმ მოსამართლეს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. დაკავებული პირი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს, შეიძლება გადაეცეს პოლიციას. თუ დაპატიმრების შესახებ განკარგულება გამოტანილ იქნა პროცესის მონაწილის მიმართ. სასამართლო სხდომა შეიძლება გადაიდოს აღნიშნული ვადით. განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის საფუძ-

ველზე, დაკავებული პირის წარდგენიდან დაუყ-ონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა.

8. სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასა-მართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასა-მართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში სასამართლოს მან-დატური უფლებამოსილია დააკავოს წესრიგის დამრღვევი პირი, რის შესახებაც ადგენს დაკავე-ბის ოქმს. სასამართლოს მანდატური ვალდებუ-ლია დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, წარუდგინოს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო საქართვე-ლოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასა-მართლოს თავმჯდომარის მოადგილეს. სასამართ-ლოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს უზე-ნაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დაკავებული პირის წარდგენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვი-ანეს 24 საათისა, უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლით გათვალ-ისწინებული უფლებამოსილებანი.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული დაჯა-რიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევებ-ის შესახებ განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება.

10. ამ მუხლით გათვალისწინებული პატიმ-რობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართ-ლო დაკავებულ პირს აცნობებს საქმის განხ-ილვის დროსა და ადგილს. მხარის გამოუცხა-დებლობა არ იწვევს სხდომის გადადებას. საქ-მის განხილვა იწყება სასამართლოს თავმჯდომარ-ის (მოსამართლის) მოხსენებით, რომელიც აცხ-ადებს, ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებ-ული პატიმრობა, საქმის განხილვის მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვ-ალეობებს, საჯაროდ კითხულობს წესრიგის დარ-ღვევის თაობაზე შედგენილ მიმართვას და უს-

მენს საქმის განხილვაში მონაწილე პირებს. ზეპირი მოსმენისას დამრღვევ პირს/მის დამცველს საშუალება ეძლევა, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები და მისცეს განმარტებები დაკავების კანონიერებისა და პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პატიმრობის გამოყენების შესახებ. განკარგულების გამომტანი სასამართლო (მოსამართლე) განკარგულების ასლს დაუყოვნებლივ გადასცემს დამრღვევ პირს, ასევე განკარგულების ასლს აღსასრულებლად უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებს. დაკავების ვადა ჩაითვლება პატიმრობის საერთო ვადაში.

11. პატიმრობის გამოყენების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და იგი შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა პატიმრობა, სათანადო წესით მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. შემოსულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს (მოსამართლეს). პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ან პალატის, გარდა დიდი პალატისა, თავმჯდომარის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართ-

ლოს დიდ პალატაში წესრიგის დარღვევის შესახებ მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება იმ მოსამართლესთან, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე და მისი განხილვის ვადა საჩივრის შეტანიდან 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

შენიშვნა:

ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის საფუძველზე დაჯარიმებულ პირს ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი:

ა) 150 ლარის ოდენობით - 50-დან 250 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში;

ბ) 300 ლარის ოდენობით - 250-დან 500 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში□.

სსკ 212-ე მუხლი განეკუთვნება იმ მუხლების კატეგორიას, რომლებშიც ყველაზე ხშირად შედის ცვლილებები და დამატებები. საკმარისია ითქვას, რომ 2006 წლის ივლისში და დაკემბერში ორჯერ შევიდა ამ მუხლში ასეთი ცვლილება.

კანონმდებლის მხრივ ამ მუხლისადმი ასეთი დიდი ინტერესი შეიძლება ორი გარემოებით აიხსნას: ან ეს ნორმა, მიუხედავად მასში შეტანილი მრავალრიცხოვანი ცვლილებისა, მაინც არ არის სრულყოფილი და ამიტომ ვერ იძლევა სასურველ ეფექტს, ან სასამართლოები ჯეროვნად ვერ იყენებენ მას.

როგორც ჩანს, აუცილებელია გაირკვეს ამ ნორმის არაეფექტიანობის ნამდვილი მიზეზები, რისთვისაც საჭირო იქნება განზოგადდეს როგორც მისი, ისე მასთან დაკავშირებული სხვა მუხლების სასამართლოების მიერ გამოყენების პრაქტიკა.

ამიტომ, კომენტარის ავტორებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაანალიზონ ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკა და მიღებული შედეგები, შესაბამისი რეკომენდაციებითა და წინადადებებით გამოაქვეყნონ ცალკე ნაშრომის სახით,

როგორც ეს თავის დროზე გაკეთდა იურიდიული ფაქტების უდავო წარმოების წესით დადგენის პრაქტიკის მიმართ[29].

ამჯერად კი, 212-ე მუხლთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასამართლოების ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებაზე:

1. 212-ე მუხლის პირველი ნაწილი ერთმანეთისაგან მიჯნავს სასამართლოში წესრიგს და სხდომის დარბაზში წესრიგს. აქვე მითითებულია, თუ რომელ მოსამართლეს (თავმჯდომარეს, მოადგილეს) ევალება წესრიგის უზრუნველყოფა სასამართლოში ანუ სასამართლოს შენობაში საერთოდ და რომელს სასამართლო სხდომის დარბაზში.

2. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარე თვითნებურად, ე.ი. სასამართლოს (მოსამართლის) ნებართვის გარეშე მიატოვებს სხდომას (მე-2 ნაწილი) მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე გაძევებული იქნა სხდომის დარბაზიდან წესრიგის დარღვევის გამო. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის მასალების მიხედვით.

3. განკარგულება პროცესის მონაწილის ან სხდომაზე დამსწრე პირის დაჯარიმების ან სხდომიდან გაძევების შესახებ გამოაქვს სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს). (მე-3 ნაწილი).

4. თუ სხდომიდან გააძევეს მხარის წარმომადგენელი (ადვოკატი), სხდომა უნდა გადაიდოს, თუ შესაბამისი მხარის ინტერესებს ერთდროულად რამდენიმე წარმომადგენელი არ აწარმოებდა. (მე-4 ნაწილი).

5. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, პირი შეიძლება დაპატიმრებული იქნეს 30 დღე-ღამემდე ვადით.

დაპატიმრების შესახებ განკარგულება გამოაქვს არა იმ სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს), რომელმაც შეადგინა მიმართვა, არამედ იმ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელსაც გაეგზავნა მიმართვა. განკარ-

[29] **თ.ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი**, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ. გ-ბა „სანი“, თბ. 2003.

გულება დაპატიმრების შესახებ შეუძლია გამოიტანოს ამავე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ, ხოლო, იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს უახლოესი სასამართლოს თავმჯდომარეს (მე-7 ნაწილი).

6. ამ მუხლის მე-8 ნაწილი გულისხმობს წესრიგის დარღვევას არა სასამართლო სხდომაზე (მე-7 ნაწილი), არამედ **სასამართლოში**. ეს იმას ნიშნავს, რომ სხდომის გარეთაც - სასამართლოს შენობაში, პირმა შეიძლება ჩაიდინოს ისეთი მოქმედება, რომელიც გამოხატავს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას ან ხელს უშლის სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას. ასეთი პირის მიმართაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პატიმრობა 30 დღე-ღამემდე ვადით.

7. პატიმრობის შესახებ საქმის განხილვისას დაცული უნდა იქნეს ამ მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული წესები.

8. განკარგულება პატიმრობის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ შედის ძალაში, მაგრამ იგი შეიძლება გასაჩივრდეს იმ წესით, რაც დადგენილია 212-ე მუხლის მე-11 ნაწილით.

მუხლი 213. თარჯიმნისათვის მისი მოვალეობის განმარტება

1. სასამართლო განუმარტავს თარჯიმანს მის მოვალეობას, თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ხოლო ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები.

2. სასამართლო აფრთხილებს თარჯიმანს, რომ შეგნებულად არასწორი თარგმანისათვის იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

3. თუ თარჯიმანი არ გამოცხადდება სასა-

მართლოში არასაპატიო მიზეზით, ან თავს აარიდებს მოვალეობის შესრულებას, იგი შეიძლება დაჯარიმდეს 50 ლარით.

1. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, ხოლო თუ მხარემ არ იცის სახელმწიფო ენა, მას მიეჩინება თარჯიმანი (მე-9 მუხლი). თარჯიმანი მონაწილეობს საქმის განხილვაში სასამართლო სხდომის საწყისი ეტაპიდან, რადგან მხარემ უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ხდება სხდომაზე მისი დაწყებიდან დამთავრებამდე.

– მოსამართლე ვერ შეცვლის თარჯიმანს, ე. ი. მან კიდეც რომ იცოდეს ის ენა, რომელიც იცის მხარემ, თარჯიმანი მაინც უნდა იქნეს მოწვეული.

– პირის თარჯიმნად მოწვევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

2. მოსამართლე ყოველთვის ვალდებულია გააფრთხილოს თარჯიმანი, რომ შეგნებულად არასწორი თარგმნისათვის იგი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მიხედვით.

3. თარჯიმნის სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არაა გათვალისწინებული, მაგრამ მასზე შეიძლება საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გატარება და დაჯარიმება 50 ლარით.

– თარჯიმნისათვის გადასახდელი თანხის ოდენობის განსაზღვრა ხდება 45-ე მუხლის შესაბამისად (იხ. ამ მუხლის კომენტარი). ამ თანხის ანაზღაურება კი ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე („საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი).

მუხლი 214. სასამართლო შემადგენლობის გამოცხადება და აცილების უფლების განმარტება

თავმჯდომარე (მოსამართლე) აცხადებს სასამართლო შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად,

თარჯიმნად, სასამართლო სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს, რომ მათ შეუძლიათ განაცხადონ აცილება, თუ ასეთი აცილება საპატიოდ ცნობილი მიზეზით არ იყო განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, ან თუ საქმეს იხილავს სხვა მოსამართლე ანდა სხვა სასამართლო შემადგენლობა და არა ის, რომელიც ცნობილი იყო ამ საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს.

– აცილების შესახებ განცხადება დასაშვებია მხოლოდ საქმის მომზადების სტადიაზე. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს აცილების შესახებ განცხადება შეიძლება თუ: ა) არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც აცილება არ იყო განცხადებული საქმის მომზადების სტადიაზე, ან ბ) საქმეს იხილავს სხვა მოსამართლე ან სხვა სასამართლო შემადგენლობა.

– მას შემდეგ, რაც განსაზღვრული იქნება მოსამართლე, რომელმაც ერთპიროვნულად უნდა განიხილოს, ან კოლეგიის შემადგენლობა, რომელმაც კოლეგიურად უნდა განიხილოს საქმე, ისინი ვალდებულნი არიან აწარმოონ საქმე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეს შეუძლია განაცხადოს თვითაცილება. შეიძლება მხარეებმა განაცხადონ აცილება, მაგრამ თუ აცილება ან თვითაცილება არ იქნება დაკმაყოფილებული ან, საერთოდ, განცხადებული, საქმე სწორედ იმ მოსამართლემ თუ სასამართლოს შემადგენლობამ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს, ვისაც ეს საქმე გადაეცა.

– არავის აქვს უფლება, გარდა თვითაცილებისა და აცილებისა, სხვა გზით ჩამოაცილოს მოსამართლე საქმის განხილვას და შეცვალოს იგი სხვა მოსამართლით, თუ არა **ისეთი ობიექტური გარემოება**, როგორიცაა მისი **ავადმყოფობა, გარდაცვალება** ან სხვა ისეთი გარემოება, რომელიც არ აძლევს მოსამართლეს საშუალებას შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა.

მუხლი 215. მხარეთა შუამდგომლობებისა და განცხადებების განხილვა

1. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარმოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობებს, იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობების დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზე.

2. მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი-წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა

თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნთესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რაც მისგან დამოკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

1. 215-ე მუხლის პირველი ნაწილი რამდენიმე პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტას ემსახურება:

პირველი - შუამდგომლობები სასამართლოს წარედგინება **წერილობითი ფორმით;**

მეორე - თუ შუამდგომლობები აღიძვრის სასამართლო სხდომაზე მაშინ ისინი შეიძლება წარედგინოს სასამართლოს ზეპირი ფორმით, რაც შეიტანება სხდომის ოქმში;

მესამე - ერთგვაროვანი შუამდგომლობები შეიძლება ერთად წარედგინოს სასამართლოს (რაც არ გამორიცხავს მათ განცალკევებით წარდგენასაც). ერთგვაროვნად შეიძლება ჩაითვალოს შუამდგომლობები, რომლებიც ერთგვაროვან ფაქტობრივ ან სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება. მაგალითად, შუამდგომლობები, რომლებიც მოსამართლისა და ექსპერტის აცილებას მოითხოვს;

მეოთხე - შუამდგომლობა, დამოუკიდებლად იმისა ზეპირი თუ წერილობითი ფორმითაა იგი წარმოდგენილი - დასაბუთებული (მოტივირებული) უნდა იყოს. მასში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული რას მოითხოვს და რის საფუძველზე მოითხოვს.

მაგალითად, თუ მხარე თავისი შუამდგომლობით მოითხ-

ოვს მოსამართლის აცილებას, მან უნდა მიუთითოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც კანონი უკავშირებს აცილებას (29-ე, 31-ე მუხლები), თუ მხარე შუამდგომლობს მოწმის გამოძახებაზე და დაკითხვაზე, მან უნდა მიუთითოს თუ რა გარემოების დადასტურება შეუძლია მას (140-ე მუხლი) და ა.შ.

მეხუთე - სასამართლომ ყოველთვის მტკიცედ და განუხრელად უნდა ებძროლოს საქმის განხილვა-გადაწყვეტის გაჭიანურების მცდელობას. ამიტომ, მხარის ყოველგვარი შუამდგომლობა, რომელიც მიმართულია საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ, სასამართლომ არც უნდა განიხილოს. მაგალითად, გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლის წინ მხარე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ გადადოს საქმის განხილვა, რათა აიყვანოს ადვოკატი (ან მოწმის სახით გამოუძახოს ამა თუ იმ პირს, ან დანიშნოს ექსპერტიზა და ა.შ.). ასეთი შუამდგომლობები აშკარად მიმართულია საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ, რადგან არანაირი ახალი გარემოებები არ წარმოშობილა და ასეთი შუამდგომლობების დაყენება მას შეეძლო ჯერ კიდევ მომზადების სტადიაზე და, მით უფრო, სასამართლო სხდომის გახსნის სტადიაზე.

2. 215-ე მუხლის მე-2 ნაწილი აზრისა და შინაარსის თანახმად სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაუშვებელია რაიმე წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენა, რაიმე შუამდგომლობებისა თუ განცხადებების აღძვრა, სარჩელის შეცვლა ან სასარჩელო მოთხოვნის გადიდება, მოწმის დასახელება და ა.შ.

მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ასეთი შუამდგომლობებით თუ განცხადებებით მიმართვა **დასაშვებია მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზე** (სტადიაზე), ე.ი. სანამ სასამართლო გადავიდოდეს საქმის არსებითად განხილვაზე, **სანამ დაიწყებოდეს სხდომის მეორე ეტაპი - საქმის განხილვა (217-ე მუხლი)**.

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოებაც, რომ ამ ეტაპზეც, ე.ი. მთავარი სხდომის გახსნის ეტაპზეც, რაიმე ახალი მტკიცებულებები, შუამდგომლობები, განცხადებები, შეიძლება მიიღოს და განიხილოს სასა-

მართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილი და აღძრული არ იყო ამ საქმის მომზადების სტადიაზე **საპატიო მიზეზით**, რომლის დამტკიცების ტვირთი ეკისრება ახალი მტკიცებულებების წარმომდგენს თუ შუამდგომლობების აღმძვრელ მხარეს; თუ ეს მხარე ვერ დაამტკიცებს საპატიო მიზეზის არსებობას, სასამართლო საერთოდ არ მიიღებს და არ განიხილავს ამ მხარის შუამდრგომლობებს.

ახალი მტკიცებულებების მიღებაზე თუ გამოთხოვაზე, ან განცხადებებისა და შუამდგომლობების **მიღებაზე, განხილვაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმას არ შეიძლება** მოყვეს საქმის განხილვის გადადება. სასამართლომ უნდა გააგრძელოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება. მხარეს შეუძლია ასეთი უარის თქმის არამართლზომიერების შესახებ მიუთითოს თავის სააპელაციო (საკასაციო) საჩივარში (377-ე და 407-ე მუხლები).

საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს მხოლოდ ერთ შემთხვევაში თუ მხარეს ჰქონდა საპატიო მიზეზი, რის გამოც დროულად ვერ წარმოადგინა ახალი მტკიცებულებები და ვერ აღძრა შესაბამისი შუამდგომლობები.

3. ამ მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს **საპატიო მიზეზების სანიმუშო და იმავდროულად არაამომწურავ ჩამონათვალს,** რომლებსაც შეეძლოთ დაბრკოლება შეექმნათ მხარისათვის განცხადებებისა და შუამდგომლობების სასამართლოსათვის დროულად წარდგენისათვის. ეს მიზეზებია: ა) მხარის ავადმყოფობა, რაც უნდა დადასტურდეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერილი დოკუმენტით და ბ) ახლო ნათესავის გარდაცვალებით.

აქ მითითებულია აგრეთვე სხვა ობიექტურ გარემოებებზეც, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ ცნობილი სტიქიური მოვლენები, ხანგრძლივი მივლინება, სასამართლოს რეორგანიზაცია და სხვა, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მხარისათვის დროულად წარედგინა სასამართლოში შუამდგომლობები, მტკიცებულებები, განცხადებები.

მუხლი 216. საქმის განხილვის გადადება და გაგრძელება

1. საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ სტადიიდან, რომელზე-დაც იგი გადაიდო. სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს.

2. თუ მოწმე, ექსპერტი და სპეციალისტი არ გამოცხადდნენ, სასამართლოს მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ გამოაქვს განჩინება სასამართლო განხილვის გაგრძელებისა და გამოუცხადებელ პირთა მიმართ ზომების მიღების ან სასამართლო განხილვის გადადების შესახებ. სასამართლო განხილვა გრძელდება, თუ აღნიშნულ პირთა გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

3. სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამის შესახებ აცნობებს სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებელ და საქმეში ახალჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

4. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მოსამართლეს შეძლია განიხილოს საქმე ან/და მიიღოს გადაწყვეტილება არასამუშაო დროს, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეებში.

1. საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადია არსებობს იმისათვის, რომ არ გახდეს საჭირო საქმის განხილვის, ანუ სასამართლოს მთვარი სხ-

დომის სხვა დროისათვის გადადება და საქმე განხილულ იქნეს ერთ სხდომაზე და, თუ შესაძლებელია, შესვენების გარეშე.

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ საჭირო და მიზანშეწონილი ხდება საქმის განხილვის გადადება, როცა ამას ითვალისწინებს კანონი.

- ამ მუხლის პირველი ნაწილი ერთმანეთისაგან მიჯნავს საქმის განხილვის გადადებას და საქმის განხილვის გაგრძელებას.

საქმის განხილვის გადადება - ესაა ამ საქმის განხილვისათვის ახალი სხდომის სხვა დროისათვის დანიშვნა. აქედან გამომდინარე, არასწორია უწოდოთ საქმის განხილვის გადადება (როგორც ამას ზოგჯერ შევხვდებით პრაქტიკაში) ისეთ შემთხვევას, როდესაც საქმის განხილვა ერთ დღეს (ერთ სხდომაზე) ვერ მთავრდება და ამიტომ გრძელდება მომდევნო ან სხვა დღეს. სინამდვილეში, ეს იქნება **არა გადადება**, არამედ საქმის განხილვის **გაგრძელება** სხვა დღეს, ან კიდევ **შესვენების გამოცხადება სხვა დრომდე.**

საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (190-ე, 229-ე, 233-ე და სხვა მუხლები), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა შემთხვევაში გადადება დაუშვებელია. მაგალითად, თუ მოწმედ დაბარებული პირი არ გამოცხადდა სხდომაზე, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მისი იძულებითი მოყვანა (145-ე მუხლი). ცხადია, რომ თუ სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მან უნდა გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის. ასევე, თუ მესამე პირმა დამოუკიდებელი მოთხოვნით აღძრა სარჩელი დავის საგანზე, მხარეთა პაექრობის დაწყების წინ (188-ე მუხლი) და სასამართლომ მიიღო წარმოებაში სარჩელი, ეს შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი და ა.შ.

–საქმის განხილვის გადადება დასაშვებია როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ცხადია, სასამართლომ არ უნდა დაუშვას საქმის განხილვის გადადება, თუ ამას მიზნად აქვს საქმის განხილვის გაჭიანურება.

- ამ მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის მიხედვით გადა-

დების შემდეგ საქმის განხილვა გაგრძელდება იმ სტადიიდან, რომელზეც იგი გადაიდო, მაგრამ სასამართლოს უფლება ენიჭება გადაუხვიოს ამ წესს და თვითონ განსაზღვროს თუ რომელი სტადიიდან გააგრძელოს საქმის განხილვა.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის გამოუცხადებლობის მიუხედავად, სასამართლოს შეუძლია არ გადადოს ამ საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი პირობით: თუ მათი გამოუცხადებლობა, ხელს არ უშლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას". საკითხი იმის შესახებ შეიძლება თუ არა „საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა" მოწმის, ექსპერტისა და სპეციალისტის გარეშე - გადაწყვეტს სასამართლო მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ.

3. თუ სასამართლომ დაადგინა საქმის განხილვის გადადება, იგი ვალდებულია დანიშნოს დღე ახალი სხდომისათვის იმავე განჩინებით, რომლითაც ამ საქმის განხილვა გადაიდო. ამის შესახებ სასამართლომ მაშინვე უნდა აცნობოს სასამართლოზე გამოცხადებულ პირებს და აფრთხილებს მათ ახალ დანიშვნულ სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ დანარჩენებს კი აცნობებს ახალი სხდომის დღის შესახებ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

4. არასამუშაო დროს და, მით უფრო, დასვენებისა და უქმე დღეებში რაიმე საპროცესო მოქმედების შესრულება პრინციპულად დაუშვებელია, მაგრამ როგორც გამონაკლისი ეს დასაშვებია მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.

5. საქმის განხილვის გადადების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც შეიძლება შეტანილ იქნეს ოქმში (284-ე მუხლი). ამ საოქმო განჩინებაში მითითებული უნდა იყოს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, ახალი სხდომის ჩატარების დღე და საათი, ახალი საპროცესო მოქმედებათა შესრულების დრო, იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც ესწრებიან სხდომას და მათი გაფრთხილების შესახებ გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე.

ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მუხლი 217. საქმის განხილვის დაწყება

1. საქმის არსებითად განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმეზე მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, ხოლო თუ ამ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა აგრეთვე ამ სხდომის მასალებსა და ოქმს. მოსამართლემ უნდა ჩამოაყალიბოს მოსარჩელის (განმცხადებლის) მოთხოვნის არსი, ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ მოთხოვნას, მოპასუხის შესაგებელი, ფაქტები, რომლებზედაც არ დავობენ მხარეები, და ის ფაქტებიც, რომლებიც სადავოა, აგრეთვე მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაერთვის საქმეს. მოსამართლის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა.

2. პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი მოთხოვნა, რა გარემოებებს ემყარება იგი და რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნას და უარს ხომ არ ამბობს სარჩელზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

3. შემდეგ სასამართლო მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი შესაგებელი, ხომ არ ცნობს სარჩელს, ან ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

– მას შემდეგ, რაც განხილული იქნება მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ყველა შუამდგომლობა, განცხადება, მოსაზრება და სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, **დაიწყება მეორე ეტაპი – საქმის არსებითად განხილვა.**

- საქმის არსებითად განხილვა იწყება მოსამართლის

მოხსენებით მოსამართლემ საქმის მასალებზე დაყრდნობით უნდა ჩამოაყალიბოს:

ა) მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და ხასიათი სასარჩელო განცხადების მიხედვით;

ბ) გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (მტკიცების საგანი);

გ) მოპასუხის შესაგებლის შინაარსი და ხასიათი;

დ) ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს მოპასუხის შესაგებელს;

ე) ფაქტები, რომლებზეც არ დავობენ მხარეები და ფაქტები, რომლებიც სადავოა;

ვ) მტკიცებულებები, რომლებიც წარმოდგენილია მხარეების მიერ ამ სადავო ფაქტების დასადასტურებლად;

მოსამართლის მოხსენებაში შეიძლება მითითებული იყოს სხვა ისეთ გარემოებებზეც, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა ამ საქმისათვის და პირადად მხარეებისათვის. მაგალითად, თუ მოპასუხემ, მიუხედავად სასამართლოს გაფრთხილებისა, არ წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი (201-ე მუხლი) ამის შესახებ უნდა ითქვას მოხსენებაში და ა.შ.

2. ამის შემდეგ სასამართლო სიტყვას ახსნა-განმარტებისათვის აძლევს მხარეებს, პირველად სიტყვა ეძლევა მოსარჩელეს და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირს, შემდეგ კი სასამართლო მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს.

ახსნა-განმარტების წინ მოსამართლემ უნდა განუმარტოს მხარეებს რომ მათ არ გაიმეორონ ის, რაც უკვე ითქვა მოსამართლის მიერ, არამედ აღნიშნონ თუ რაიმე აქვთ დასამატებელი ან დასაზუსტებელი და რამდენად სწორად იყო გაგებული და გადმოცემული მათი მოთხოვნისა და შესაგებლის არსი და შინაარსი და, თუ ეს საჭიროა, კორეკტირება გაუკეთონ მოსამართლის მოხსენებას, მოითხოვონ მისი დაზუსტება.

- მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენებისაგან განსხვავებით, ორი ნაწილისაგან შედგება. **პირველი - ესაა მხარის მოსაზრება, მისი შეხედულება საქმის არსზე მთლიანად**, რომელიც ემყარება საქმეში არსებულ მასალებს და კანონს. **მეორე - ესაა მხარის ჩვენება** საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების შესახებ, რომლის

უშუალო მხილველი (მოწმე) თვითონაა, ან რომლის შესახებ ცნობები მას გააჩნია. ამ თვალსაზრისით მხარის ახსნა-განმარტება ძალიან ჰგავს მოწმის ჩვენებას და ამიტომ იგი, როგორც მტკიცების დამოუკიდებელი საშუალების წყარო, შეუცვლელია, მის ახსნა-განმარტებას ამ ნაწილში ვერ შეცვლის ადვოკატიც (127-ე მუხლი).

- მოსარჩელემ საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმოს იმ გარემოებების დადასტურებას, რომლებსაც ემყარება. მან უნდა მიუთითოს, თუ რომელი ფაქტების შესახებ არ დავობს, ან რომელ ფაქტებს აღიარებს, ხოლო რომელსაც არ აღიარებს, რით ადასტურებს მას. მის მხარეზე მონაწილე მესამე პირმა ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მოსარჩელეს პროცესის მოგებაში, რისთვისაც მან უნდა მიუთითოს და დაადასტუროს თავისი პოზიცია მტკიცებულებათა მოშველიებით.

3. იგივე წესით უნდა ჩამოაყალიბოს თავისი ახსნა-განმარტება მოპასუხემაც. თუ მან წერილობით წარუდგინა სასამართლოს თავისი შესაგებელი, მაშინ რაც შეიძლება მოკლედ უნდა შეეხოს ამ შესაგებელს იმ თვალსაზრისით, თუ რაიმე სწორად ვერ გაიგო მოსამართლემ, აგრეთვე მიუთითოს რომელი ფაქტების შესახებ არ დავობს, რომელი ფაქტები შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად და რომელი არა და ა.შ.

მხარეებს შეიძლება მისცენ შეკითხვები 221-ე მუხლით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

4. მხარეთა გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძლევა მათ წარმომადგენლებს, პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელის წარმომადგენლის გამოსვლას, ხოლო შემდეგ მოპასუხის წარმომადგენლის გამოსვლას. ამ წარმომადგენელთა გამოსვლა უნდა ეფუძნებოდეს საქმის მასალებს და მხარეთა მიერ ზეპირად გაკეთებულ ახსნა-განმარტებებს. მათ გამოსვლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **საქმის სამართლებრივი ანალიზი, იმ ფაქტების იურიდიული შეფასება,** რომლებიც მათი აზრით დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით. საქმის მასალებისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე წარმომადგენლის (ადვოკატის) მიერ წარმოთქმული მოსაზრება არის მისი დასკვნა მთლიანად საქმის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესახებ.

მუხლი 217[1]. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების განხილვა

1. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები განიხილება დაჩქარებული წესით.

2. საქმის არსებითი განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმეზე მოხსენებით, რაც უნდა შეეხებოდეს სადავო ფაქტობრივ გარემოებებს. საქმის მოხსენების შემდეგ მოსამართლეს უფლება აქვს მხარეებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა დადგენას და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოკვლევას. სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა დაუსვას მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მტკიცებულებათა გამოქყეყნება არ არის სავალდებულო. საქმის განხილვა მთავრდება მხარეთა პაექრობით და რეპლიკით.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **მაგისტრატ** მოსამართლეთა განსჯადი საქმეები, - მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოსამართლე იხილავს მას - უშუალოდ მაგისტრატი მოსამართლე, თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე, როცა ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, ან მისი არყოფნის შემთხვევაში (მე-13 მუხლის მე-3 ნაწ.) - **განიხილება „დაჩქარებული წესით“**.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს და არ განსაზღვრავს **„დაჩქარებულად“ საქმეთა განხილვის წესებს**. ამიტომ, ამ მუხლის **პირველი ნაწილის დანაწესი** უნდა გავიგოთ როგორც **სურვილი** ან **მოწოდე-**

ბა, რომელიც კარგი იქნება თუ გავრცელდება არამარტო მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე, არამედ საერთოდ ყველა კატეგორიის საქმეებზე და ყველა ინსტანციის სასამართლოებზე.

სასამართლოებში საქმეთა დროულად („დაჩქარებულად") განხილვის ერთადერთი გარანტიაა სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში წარმოების სსკ-ით დადგენილი წესების ზუსტად და განუხრელად დაცვა. ამიტომ, სასამართლოებმა სწორედ ამ წესების დაცვით საქმეთა განხილვას უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი პრინციპულად არ განსხავდება 217-ე მუხლით განსაზღვრული სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესისაგან. ორი გარემოება იქცევს მხოლოდ ყურადღებას: **ერთი** - საქმის მოხსენების შემდეგ მოსამართლეს შეუძლია მხარეებს დაუსვას შეკითხვები, ისე რომ ჯერ არ მოუსმინოს მათ ახსნა-განმარტებას, და **მეორე** - საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოქვეყნება არ არის სავალდებულო.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: **პირველი** - სასამართლოში მხარეთა გამოძახება წარმოებს ახსნა-განმარტების მისაღებად. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ მხარეს სრული უფლება აქვს მისცეს სასამართლოს ახსნა-განმარტება და არავის, მათ შორის საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლება არ აქვს **წაართვას მხარეს ეს უფლება.**

რაც შეეხება მოსამართლის შეკითხვებს მხარეებისადმი, აგრეთვე მხარეთა შეკითხვებს ერთმანეთის მიმართ, ასეთ შეკითხვებს შეიძლება ჰქონდეთ ერთადერთი მიზანი შეავსოს ხარვეზი, რომელიც ყოველთვის ახლავს თავისუფალი თხრობით მხარის ან მოწმის მიერ გადმოცემულ ახსნა-განმარტებას და ჩვენებას (იხ. 222-ე მუხლის კომენტარი). **მეორე** - საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოქვეყნება სასამართლო სხდომაზე არაა სავალდებულო არც მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების და არც სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს.

ამასთან ერთად, ნებისმიერი „საქმის განხილვა მთავრდება მხარეთა პაექრობით და რეპლიკით".

მუხლი 218. მოქმედება, რომელსაც ასრულებს მოსამართლე მხარეთა მორიგების მიზნით

1. სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ.

2. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები.

1. ჯერ კიდევ საქმის მოზადების სტადიაზე მოსამართლეს ევალება მიიღოს ყველა ზომა მხარეთა მორიგებისათვის, მაგრამ თუ ეს მაშინ ვერ მოხერხდა, მან კვლავ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათი მორიგებისათვის მთავარ სხდომაზე. მხარეთა მორიგება - ესაა ურთიერთდათმობის გზით მხარეთა შორის დადებული გარიგება, რომელიც ახლებურად განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ფაქტიურად მხარეთა მორიგებით საქმის დამთავრება ნიშნავს მხარეთა შორის წამოჭრილი დავის თვით ამ მხარეების მიერ გადაწყვეტას, რაც ყოველთვის და ყველგან ითვლებოდა დავის გადაწყვეტის ყველაზე საუკეთესო ფორმად. საქმე ისაა, რომ მორიგებით საქმის დამთავრების შემთხვევაში ხდება დავის (კონფლიქტის) არამარტო იურიდიულად, არამედ ფაქტობრივადაც გადაწყვეტა, მაშინ როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით დავა კი გადაწყდება იურიდიულად ერთხელ და სამუდამოდ, მაგრამ ფაქტიურად მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შეიძლება გაგრძელდეს და ზოგჯერ კიდევ უფრო გამწვავდეს, განსაკუთრებით როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება არაა საკმაოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი.

2. ამ მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს სასამართლოს აქტიურ როლზე მხარეთა მორიგების მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ დამაჯერებლად უნდა განუმარტოს მხარეებს საქმის მორიგებით დამთავრების უპირატესობაზე, მიზანშეწონილობაზე და მისი **ორივე მხ-**

არისათვის ხელსაყრელობაზე. შესთავაზოს მათ მორიგების პირობები და ამით მოახდინოს მათზე საჭირო ზემოქმედება ამ თვალსაზრისით.

რაც შეეხება დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე მითითებას, აქ მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე: მხარე შეიძლება არ წავიდეს მორიგებაზე, თუ მოსამართლემ განაცხადა („მიუთითა") რომ დავა შეიძლება გადაწყდეს ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ ან სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს მთლიანად ან ნაწილობრივ და და.შ. არც მორიგების წინ და არც მორიგების შემდეგ შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი „დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე მითითება".

მუხლი 219. ახალ გარემოებებზე მითითება

1. მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს მათ შეიძლება წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დაწყებამდე.

2. სასამართლო გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით და რომ ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით. მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს საქმის განხილვის გადადება, რათა მოემზადოს ამ ახალი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების გასაქარწყებლად.

3. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს 216-ე მუხლით.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი არ უკრძალავს მხარეებს წამოაყენონ მთავარ სხდომაზე თავიანთ ახსნა-განმარტებებში ახალი მოსაზრებები და მიუთითონ ახალ გარემოებებზე.

ახალი იქნება ისეთი გარემოებები, რომლებიც ადრე არ იყო გამოთქმული და წამოყენებული. მაგალითად, თუ მოპასუხემ არ წარუდგინა სასამართლოს წერილობითი შესაგებელი მომზადების სტადიაზე (201-ე მუხლი), ეს არ ართმევს მას უფლებას ზეპირი ფორმით ჩამოაყალიბოს თავისი შესაგებელი მთავარ სხდომაზე, მაგრამ ეს უკვე იქნება ახალი გარემოებები (მოსაზრებები), რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი. იგივე შეიძლება ითქვას მოსარჩელეზეც, რომელიც თავის ზეპირ ახსნა-განმარტებაში მთავარ სხდომაზე უთითებს ისეთ ახალ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე, რომლებიც არ იყო მითითებული მისი სარჩელის საფუძველში ან კიდევ, მის მიერ ადრე წარმოდგენილ წერილობით მასალებში.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის ადრესატია სასამართლო, შეიცავს პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად **მნიშვნელოვან დანაწესს**: სასამართლო არ გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებს, **არ მიიღებს არავითარ** მტკიცებულებებს, ანგარიშს არ გაუწევს ახალ მოსაზრებებს, თუ ისინი საპატიო მიზეზის გარეშე არ იყო წარმოდგენილი თავის დროზე, ე. ი. ამ საქმის მომზადების სტადიაზე. ამრიგად, მიზეზის საპატიობა, არის ახლად წამოყენებული გარემოებების, მტკიცებულებების, მოსაზრებების განსახილველად და გასაანალიზებლად **დაშვების წინაპირობა**, მაგრამ არა მათი გაზიარების თუ დაკმაყოფილების საფუძველი.

3. თუ სასამართლო, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, დაუშვებს განსახილველად ამ ახალ გარემოებებს ან მიიღებს ახალ მტკიცებულებებს, მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც მიაჩნია, რომ ამ ახალი გარემოებებისა და მტკიცებულებების გასაქარწყლებლად დრო სჭირდება, შეუძლია მოითხოვოს საქმის განხილვის გადადება 216-ე მუხლით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 220. ახსნა-განმარტების მიღება გამოცხადებული პირისაგან

თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, სასამართლო მიიღებს ახსნა-განმარტებას ამ ერთი მხარისაგან.

– გამოცხადებული მხარისაგან ახსნა-განმარტების მიღება არამარტო მიზანშეწონილია, არამედ აუცილებელიც (130-ე მუხლი).

პრაქტიკულად არაა გამორიცხული შემთხვევა, როდესაც გამოცხადებული ერთ-ერთი მხარე, ვთქვათ მოსარჩელე, უარს იტყვის სარჩელზე, ან კიდევ, მოპასუხე – ცნობს სარჩელს. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელიც **დაეფუძნება** მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას, ან კიდევ, განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა (272-ე მუხლი „გ“ ქვეპუნქტი).

– თუ გამოცხადებული მხარე მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს იგი 229-ე და 230-ე მუხლების შესაბამისად (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

მუხლი 221. მხარეთა შეკითხვები

სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, ანდა სასამართლოს – კოლეგიურად, როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო განიხილავს.

– შეკითხვა უნდა ემსახურებოდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენას. თუ შეკითხვა ამ მიზანს არ ემსახურება, უადგილოა, ან არღვევს ეთიკის ნორმებს, მოსამართლემ დაუყოვნებლივ უნდა მოხსნას ასეთი შეკითხვა.

– შეკითხვის მოხსნის საკითხი შეიძლება დააყენოს მხარემ (წარმომადგენელმა). შეკითხვა თავისი ინიციატივით (მხარის შუამდგომლობის გარეშეც) შეუძლია მოხსნას მოსამართლემ, კოლეგიის თავმჯდომარემ, ან სასამართლოს კოლეგიამ ერთმანეთთან მოთათბირების შედეგად.

მუხლი 222. მოსამართლეთა შეკითხვები

მოსამართლეს, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს საქმეს, კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარესა და მის ნებისმიერ წევრს უფლება აქვთ მხარეებს მისცენ შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

– შეკითხვების მიცემის რიგითობა არ ვრცელდება სასამართლოზე. მოსამართლეს შეუძლია მისცეს შეკითხვა მხარეს ნებისმიერ დროს, ოღონდ მას შემდეგ, როცა მხარე დაამთავრებს ახსნა-განმარტების გადმოცემას.

– ახსნა-განმარტების გადმოცემის პროცესში მოსამართლეს შეუძლია მხარეს მისცეს არა შეკითხვა, არამედ **შენიშვნა** იმის შესახებ, რომ მან ილაპარაკოს მხოლოდ საქმის შესახებ და შეწყვიტოს საუბარი ისეთ საკითხებზე და გარემოებებზე, რომლებსაც ამ საქმისათვის რაიმე მნიშვნელობა არ აქვთ.

მუხლი 223. მხარეთა შეჯიბრების ხელმძღვანელობა

1. მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სასამართლო. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას, სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას; აუცილებლობის შემთხვევაში, საქმის ზეპირი

განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე, სიტყვის დასრულებისათვის მხარეს განუსაზღვრავს დროს; იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.

2. სასამართლო იღებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზომებს, რათა საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, მხარეთა პაექრობა ზედმეტად არ გაჭიანურდეს და არ გართულდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად – ერთ სასამართლო სხდომაზე და, თუ შესაძლებელია, – შესვენების გარეშე.

1. არამარტო მხარეთა შეჯიბრებას, არამედ სამოქალაქო საქმის წარმოებას მთლიანად ხელმძღვანელობს სასამართლო. ამისათვის სასამართლოს აქვს ერთი დიდი ორიენტირი – სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს საქმის წარმოების წესს და მათ შორის მხარეთა ზეპირ შეჯიბრებას.

– მხარეებმა ჯერ კიდევ პროცესის საწყის ეტაპზე – სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან, უნდა გააცნობიერონ, რომ საქმის მომზადებას (წერილობით შეჯიბრებას), მის განხილვას (ზეპირ შეჯიბრებას) და გადაწყვეტას ხელმძღვანელობს სასამართლო და, რომ იგი უფლებას ვერ მისცემს თავის თავსა და მით უმეტეს მხარეს, დაარღვიოს საქმის წარმოების კანონით განსაზღვრული წესები.

– მხარეთა ზეპირი შეჯიბრება საქმის წარმოების ყველაზე რთული ნაწილია. ამ დროს სჭირდება სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება და პრინციპულობა. სასამართლომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას მხარეთა მიერ მწვავე და ურთიერთშეურაცხმყოფელი გამოთქმები, მან უნდა შეაწყვეტინოს სიტყვა ყველას ვინც არ ემორჩილება. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც იგი მიიღებს პროცესის მსვლელობის დროს, მაშინვე უნდა გამოცხადდეს.

- სიტყვის დასრულებისათვის დროის განსაზღვრის აუცილებლობა (რაც შეიძლება მთელი რიგი გაუგებრობები მოყვეს) არ წარმოიშობა თუ სასამართლო უფლებას არ მისცემს მხა-

რეებს და მათ წარმომადგენლებს ილაპარაკონ ისეთ საკითხებზე, რომლებსაც არ აქვთ მნიშვნელობა საქმისათვის.

2. თუ საქმე კარგად იყო მომზადებული, როგორც ამას ეს კოდექსი ითვალისწინებს, თუ თვითონ სასამართლოც კარგადაა მომზადებული და საქმის განხილვა ზედმეტად და უსარგებლოდ არ ჭიანურდება – სასამართლოს მთავარი სხდომა და საქმის გადაწყვეტა ძალიან სწრაფად, შესვენების გარეშე უნდა დამთავრდეს.

მუხლი 224. მოსარჩელის მიერ სარჩელის შეცვლისა და მოპასუხის მიერ შეგებებული სარჩელის აღძვრის შესახებ საკითხების გადაწყვეტის წესი

1. მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლისა თუ საგნის შეცვლის ან სასარჩელო მოთხოვნის გადიდების შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს 83-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. მოპასუხის მიერ შეგებებული სარჩელის აღძვრისა და სასამართლოს მიერ მისი მიღების შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს 188-190-ე მუხლებით დადგენილი წესით.

1. მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს თავისი მოთხოვნა საქმის მომზადების სტადიაზე. საქმის მომზადების სტადია დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, როდესაც სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის დანიშვნის შესახებ (207-ე მუხლი).

– მთავარი სხდომის დანიშვნის შემდეგ ან უშუალოდ მთავარ სხდომაზე მოსარჩელეს შეუძლია შეცვალოს სარჩელი, ან გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნა, მაგრამ ამისათვის უკვე საჭიროა მოპასუხის წინასწარი თანხმობა (83-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

– ყველა შემთხვევაში, რომელ ეტაპზეც არ უნდა შეცვალოს მოსარჩელემ სარჩელი, მოპასუხეს წინასწარ უნდა ეცნობოს, რათა იგი მოემზადოს შეცვლილი სარჩელის წინა-

აღმდეგ თავდაცვისათვის და მიიღოს გადაწყვეტილება ასეთ შეცვლაზე თანხმობის შესახებ, როცა ამას კანონი ითვალისწინებს.

2. მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი საქმის მომზადების დამთავრებამდე, ე.ი. მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ განჩინების მიღებამდე (207-ე მუხლი).

– ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი, სასამართლო პაექტრობის დაწყებამდე (188-ე მუხლი) თუ სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას. საპატიო მიზეზების დადასტურების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, რომელმაც უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ისეთი გარემოების არსებობა, რომელმაც ხელი შეუშალა მას თავის დროზე აღეძრა შეგებებული სარჩელი.

– ამრიგად, შეგებებული სარჩელის თავის დროზე აღუძვრელობის მიზეზის საპატიოობა, არის ამ სარჩელის **დასაშვებობის,** მისი განსახილველად მიღების ერთ-ერთი **პირობა.** სხვა მხრივ, იგი უნდა პასუხობდეს ყველა მოთხოვნას, რაც გათვალისწინებულია 189-ე მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 225. წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება

მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ სასამართლო ამ კოდექსით დადგენილი წესით ამოწმებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს. სასამართლო ამ კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს და საქმეში წარმოდგენილ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც საქმისათვის არა აქვთ მნიშვნელობა.

– მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით: ერთი, რამდენად სარწმუნო და უტყუარია წარმოდგენილი მტკიცებულება, და მეორე, რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ მტკიცებულებებიდან საქმისათვის

მნიშვნელობის მქონე გარემოებების (საძიებელი ფაქტების) არსებობა-არარსებობის შესახებ.

– მტკიცებულებათა სარწმუნოობისა თუ უტყუარობის შემოწმების მიზნით სასამართლომ უშუალოდ უნდა მოუსმინოს მხარეებს, მესამე პირებს, თანამონაწილეებს, შეადაროს მათი ახსნა-განმარტებები ერთმანეთს. მან უშუალოდ უნდა დაკითხოს და მოუსმინოს მოწმეებს, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები, მოახდინოს ადგილზე დათვალიერება, დანიშნოს ექსპერტიზა, მოიწვიოს სპეციალისტი და ა. შ. ყველა ეს მოქმედება სასამართლომ უნდა შეასრულოს კანონით დადგენილი წესით და, ბოლოს, მოახდინოს ყველა შეკრებილი მასალის, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების შედარებითი გამოკვლევა. თუ ასეთი შედარების შედეგად აღმოჩნდება, რომ საქმეში არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები, სასამართლომ უნდა აღმოფხვრას ეს წინააღმდეგობა, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს მხარეებისგან განმეორებით ახსნა-განმარტების მიღება, მოწმეთა განმეორებით დაკითხვა, ექსპერტიზის, მათ შორის დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა და ა. შ.

- თუ მტკიცებულებათა შემოწმება - შეფასების დროს აღმოჩნდება, რომ საქმეში არის ისეთი მტკიცებულებები და მასალები, რომლებსაც საქმისათვის არ აქვს მნიშვნელობა, სასამართლო თავისი განჩინებით ამოიღებს მათ საქმიდან 104-ე მუხლით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 226. მტკიცებულებათა შემოწმების დამთავრება

საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ სასამართლო ეკითხება მხარეებსა და წარმომადგენლებს, ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს. თუ ასეთი სურვილი არ გამოითქვა, სასამართლო საქმის გამოკვლევას დამთავრებუ-

ლად აცხადებს, რის შემდეგაც იწყება მხარეთა პაექრობა.

მტკიცებულებათა გამოკვლევისა და **შემოწმების პროცესში** აქტიურად მონაწილეობენ მხარეები და მათი წარმომადგენლები, რომლებსაც შეუძლიათ და სრული უფლება აქვთ არამარტო შეკითხვები მისცენ ერთმანეთს, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, არამედ გამოთქვან თავიანთი დასაბუთებული მოსაზრება საქმეში არსებული მტკიცებულებების შესახებ, ამ მტკიცებულებათა უტყუარობისა და სარწმუნოობის შესახებ.

– ბოლოს, მას შემდეგ, რაც მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული იქნება ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება, სასამართლო კვლავ უნდა შეეკითხოს მხარეებს, ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს, თუ მათ არაფერი აქვთ დასამატებელი, სასამართლო გადადის მხარეთა პაექრობაზე.

– ამ მომენტიდან საქმის გამოკვლევა დამთავრებულად ითვლება.

მუხლი 227. მხარეთა პაექრობა

1. პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან.

2. პირველად გამოდიან მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი. შემდეგ – მოპასუხე და მისი წარმომადგენელი, მესამე პირი, რომელმაც განაცხადა დაწყებულ პროცესში დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა, და მისი წარმომადგენელი გამოდიან მხარეების შემდეგ. მესამე პირი, რომელსაც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა არ განუცხადებია, და მისი წარმომადგენელი გამოდიან იმ მოსარჩელის ან მოპასუხის შემდეგ, რომლის მხარეზედაც მესამე პირი მონაწილეობს საქმეში.

პაექრობა – ესაა შემაჯამებელი სიტყვა. პაექრობაში მონაწილეობა და მაშასადამე, შემაჯამებელი სიტყვის წარმოთქმის უფლება აქვთ მხარეებს, თანამონაწილეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი მოთხოვნით თუ მის გარეშე, წარმომადგენლებს.

– მოპაექრე თავის სიტყვაში უნდა შეეცადოს გაანალიზოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, აღნიშნოს საქმისათვის მნიშვნელობის **მქონე რომელი გარემოებები (ფაქტები) დასტურდება**, ამ მტკიცებულებებით, რომელი გარემოებები (ფაქტები) **ვერ დადასტურდა** და რომელ მხარეს ეკისრებოდა მათი **დადასტურების** (დამტკიცების) **ტვირთი**. მხარეს შეუძლია საბოლოოდ ჩამოაყალიბოს თუ რომელი გარემოებები დადასტურდა მტკიცებულებების მეშვეობით და რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმის გადაწყვეტის დროს.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს პაექრობაში მონაწილეთა რიგითობას, რომელიც ზუსტად უნდა დაიცვას სასამართლომ.

– პაექრობას ხელმძღვანელობს სასამართლო, რომელმაც არ უნდა დაუშვას ისეთი გამოსვლა, რომელიც სცილდება პაექრობის მიზანს.

– შეკითხვები მოპაექრის მიმართ დაუშვებელია.

მუხლი 228. რეპლიკა

1. მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნით მოპასუხეს და მის წარმომადგენელს.

2. მხარეთა პაექრობის შემდეგ სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად, რის შესახებაც უცხადებს სხდომის დარბაზში დამსწრე პირებს.

1. **რეპლიკა** – ესაა **ხელმეორედ გამოსვლა**, რაც განპირობებულია პაექრობაში მონაწილე პირისათვის **პასუხის გაცემის საჭიროებით**.

– რეპლიკის, ანუ საპასუხო გამოსვლის რიგითობა უნდა შეესაბამებოდეს პაექრობაში მონაწილეობის რიგითობას (227-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის აქვს მოპასუხეს და მის წარმომადგენელს.

– რეპლიკა – **ესაა უფლება**, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ, მაგრამ შეუძლიათ უარი თქვან მასზე.

2. პაექრობით **მთავრდება მთავარი სხდომა** და სასამართლო გადის გადაწყვეტილების გამოსატანად.

– სათათბირო ოთახში გასვლის წინ სასამართლომ ყოველთვის უნდა **გამოაცხადოს**, რომ იგი გადის გადაწყვეტილების გამოსატანად.

თ ა ვ ი XXVI

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

მუხლი 229. მოსარჩელის გამოუცხადებლობა

1. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

1. თუ სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდა მოპასუხე, მაგრამ არ გამოცხადდა მოსარჩელე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, მაგრამ, მხოლოდ ორი პირობის ერთდროულად არსებობისას: **პირველი** – მოპასუხე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; **მეორე** – არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია 233-ე მუხლის პირველი ნაწილით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– გამოუცხადებელი მოსარჩელის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო **არ აფასებს** საქმეში არსებულ **მტკიცებულებებს** და არც მთლიანად საქმეს **სამართლებრივი თვალსაზრისით**. მას გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ **მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო** და არა საქმის მასალების მიხედვით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინააღმდეგია, მაშინ სასამართლომ უნდა გაარკვიოს თანახმა იქნება თუ არა მოპასუხე რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვოს. თანხმობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (275-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), ხოლო თუ მოპასუხე ამის წინააღმდეგია, მაშინ **სასამართლო გადადებს საქმის განხილვას**. საქმის განხილვის გადადებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ 216-ე მუხლით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– თუ გადადებული საქმის განსახილველად დანიშნულ სასამართლოს სხდომაზე კვლავ გამოცხადდა მოპასუხე, მაგრამ არ გამოცხადდა მოსარჩელე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რისთვისაც მოპასუხის თანხმობა საჭირო აღარ არის, მაგრამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სხვა პირობები (233-ე მუხლის პირველი ნაწილი) საჭიროა.

3. სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თვალსაზრისით, როდესაც საქმეში მონაწილეობს რამდენიმე მოსარჩელე ან რამდენიმე მოპასუხე და სხდომაზე ცხადდება მხოლოდ ნაწილი.

– თუ სარჩელი წარდგენილია **ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ** იმის გამო, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება (86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ან, როცა სარჩელი წარდგენილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ (მაგალითად, როცა პასუხისმგებლობა სოლიდარულია), ე. ი. როცა **თანამონაწილეობა სა-**

ვალდებულია, მაშინ რამდენიმე მოსარჩელიდან ერთის გამოცხადება ან რამდენიმე მოპასუხიდან ერთ-ერთის გამოცხადება საკმარისია იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიტანოს არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება. სავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთი თანამონაწილის გამოცხადება ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას (იხ. 86-ე მუხლის კომენტარი).

– თუ ერთ სარჩელში გაერთიანებულია **სხვადასხვა მოთხოვნა სხვადასხვა მოპასუხის მიმართ**, მაშინ გამოცხადებული მოპასუხის მიმართ გამოტანილი უნდა იქნეს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, ხოლო გამოუცხადებელი მოპასუხის (მოპასუხეების) მიმართ – დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

– თუ ერთ სარჩელში გაერთიანებულია **სხვადასხვა მოსარჩელის** სხვადასხვა მოთხოვნები სხვადასხვა მოპასუხის მიმართ, მაშინ შეიძლება გამოუცხადებელ მოსარჩელეთა თუ მოპასუხეთა მიმართ გამოტანილ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ხოლო გამოცხადებულების მიმართ – ჩვეულებრივი გადაწყვეტილება (იხ. 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის კომენტარი).

მუხლი 230. მოპასუხის გამოუცხადებლობა

1. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება.

2. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

1. თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე, მაგრამ არ გამოცხადდა მოპასუხე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ **სამი პირობის** ერთდროულად არსებობისას: **პირველი** – მოსარჩელე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა მან გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო; **მეორე** – არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია 233-ე მუხლის პირველი ნაწილით (იხ. ამ მუხლის კომენტარი) და **მესამე – სარჩელში მითითებული** და მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო **დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები** იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას.

2. ისე როგორც მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში (229-ე მუხლი), მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება დამტკიცებულად, მაგრამ **მხოლოდ ეს არაა საკმარისი დაუსწრებელი** გადაწყვეტილების გამოტანისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ. ამისათვის, აგრეთვე საჭიროა რომ ეს დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს მოსარჩელის მოთხოვნას, ე. ი. კანონი უკავშირებდეს იმ შედეგს, რომლის დადგომაც სურს მოსარჩელეს. თუ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას, მაშინ სასამართლომ უნდა გამოიტანოს **არა დაუსწრებელი**, არამედ **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება**, რომლითაც უარი უნდა ეთქვას სხდომაზე **გამოცხადებულ მოსარჩელეს სარჩელზე**. მაგრამ, თუ აღნიშნული გარემოებები მოსარჩელის მოთხოვნას იურიდიულად ამართლებენ, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების **ბინიდან გამოსახლებას** იმ გარემოებების საფუძველზე, რომ მან ეს ბინა შეიძინა აუქციონზე, გახდა მისი მესაკუთრე, რაც რეგისტრირებულია საჯარო რე-

ესტრში, ხოლო ამ ბინის ყოფილი მესაკუთრე არის მოპასუ-ხე, რომელმაც დაკარგა ბინით სარგებლობის უფლე-ბა.მაგრამ წინააღმდეგია გაათავისუფლოს ბინა და თანახ-მაა გადაიხადოს ბინის ქირა. მოსარჩელეს კი უნდა ამ ბინის სასტუმროდ გადაკეთება. მოპასუხის მთავარ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, ყველა ეს ფაქტები დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ სასამართლომ ეს ფაქტები უნდა შეაფასოს იურიდიულად. სამოქალაქო კო-დექსის 307-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „ახალ შემ-ძენზე საკუთრების გადასვლით ძველი მესაკუთრე განიხი-ლება დამქირავებლად საბაზრო პირობების შესაბამისად“.

ამრიგად, მოსარჩელის მიერ თავისი მოთხოვნის დასასა-ბუთებლად სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტები ვერ ამართლებენ იურიდიულად ამ მოთხოვნას, ამიტომ სა-სამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე თავისი გადაწყვეტილებით და ეს იქნე-ბა **არა დაუსწრებელი**, არამედ **ჩვეულებრივი გადაწყვე-ტილება**, აქედან გამომდინარე ყველა თავისი შედეგით. სა-კასაციო სასამართლო ყოველთვის მოითხოვს სასამართლო-ებისაგან, რათა მათ მტკიცედ დაიცვან 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი და კარგად შეამოწმონ თუ რამდენად ამართლებენ იურიდიულად სარჩელში მითითებული გარე-მოებები მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას.[30]

– არ არის გამორიცხული, რომ მოპასუხის გამოუცხადებ-ლობის გამო სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები ნაწილობრივ ამართლებენ, მაგრამ ნაწილობრივ არ ამართლებენ იურიდიულად მოსარჩელის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამო-იტანოს ერთი საპროცესო დოკუმენტი – **„გადაწყვეტილე-ბა – დაუსწრებელი გადაწყვეტილება“**, რომელშიც აღნიშ-ნული იქნება, თუ რა ნაწილში დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და რა ნაწილში ეთქვა მას უარი. მოთხოვნის ის ნაწილი, რომლის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა მოსარჩე-ლეს – აისახება ერთიანი საპროცესო დოკუმენტის იმ ნა-წილში, რომელსაც „გადაწყვეტილება“ ეწოდება, ხოლო მოთ-

[30] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001,№6, გვ.550-551

ხოვნის ის ნაწილი, რომელიც დაკმაყოფილდა – აისახება ამ დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელსაც „დაუსწრებელი გადაწყვეტილება“ ეწოდება.

3. თუ სარჩელი წარდგენილია ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ იმის გამო, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება (86-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), მაშინ ამ რამდენიმე მოსარჩელისაგან ერთის გამოცხადების შემთხვევაშიც (როცა მოპასუხე არ გამოცხადდა) გამოტანილი უნდა იქნეს ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყველა (და არა მხოლოდ ერთი გამოცხადებული) მოსარჩელის სასარგებლოდ.

– თუ ერთ სარჩელში გაერთიანებულია **სხვადასხვა მოსარჩელის სხვადასხვა მოთხოვნები** სხვადასხვა ან ერთი მოპასუხის მიმართ, მაშინ თუ არ გამოცხადდა მოპასუხე (მოპასუხეები), მაგრამ გამოცხადდნენ მოსარჩელეები, გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება ყველა მოსარჩელის სასარგებლოდ, მაგრამ თუ გამოცხადდა ერთი (ან მეტი), მაგრამ არ გამოცხადდნენ სხვები, მაშინ გამოცხადებული მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი, ხოლო გამოუცხადებელი მოსარჩელეების მოთხოვნების მიმართ შეიძლება სარჩელი განუხილველად დარჩეს (231-ე მუხლი).

მუხლი 231. ორივე მხარის გამოუცხადებლობა

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

– ორივე მხარის მთავარ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: თუ მხარეებს გაეგ-

ზავნათ შეტყობინება 70-78-ე მუხლების შესაბამისად და საქმეში არის ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

– სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს კვლავ შეუძლია აღძრას იგივე სარჩელი საერთო წესის დაცვით (278-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის **განახლება**, ახალი სარჩელის აღძვრის გარეშე, რასაც ზოგჯერ მოითხოვენ მხარეები, ანუ განუხილველად დატოვებული სარჩელის „გაცოცხლება", დაუშვებელია.

– განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით (276-ე მუხლი).

მუხლი 232. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის უარი მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში

გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

– პრაქტიკაში ზოგჯერ ორ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე: **პირველი** – როდესაც მხარე გამოცხადდა, მაგრამ არა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ მუხლის პირდაპირი დანაწესის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება; და **მეორე** – როდესაც მხარე გამოცხადდა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაიწყო კიდეც მონაწილეობა, მაგრამ პროცესის ამა თუ იმ ეტაპზე, დატოვა სხდომა ან იმის გამო, რომ სასამართლომ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ან შეიძლება იმის გამო, რომ პროცესის მსვლელობის მიხედვით მისი პოზიცია არც ისე საიმედო აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ მხარის წინააღმდეგ, რომელმაც მიატოვა სხდომა. საქმის განხილვის გადადება ან საქმის მასალების მიხედვით გადაწყვეტილების გამოტა-

ნა ასეთი მხარის წახალისება იქნებოდა, მით უფრო, თუ საქმის მასალები მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი შეიძლება გახდეს.

– საქმის განხილვის დაწყების წინ (217-ე მუხლი) სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მხარეები, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობა ან სხდომის მიტოვება საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და სასამართლოს ნებართვის გარეშე, მიჩნეულ იქნება როგორც გამოუცხადებლობა და გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

მუხლი 233. სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ:

ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;

დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას სასამართლო საქმის განხილვას სხვა დროისათვის ნიშნავს, რის შესახებაც ატყობინებს გამოუცხადებელ მხარეს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, ხოლო „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სარჩელის აღძვრის წინაპირობების არსებობისას სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას 272-ე მუხლის შესაბამისად.

1. მხარის გამოუცხადებლობის მიუხედავად სასამართლო **ვერ გამოიტანს** დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა **დაუშვებელია** ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი გარემოებების არსებობისას.

ა) მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმეში უნდა იყოს ცნობა, რომ მას ამ წესით უწყება ჩაბარდა. არ არის აუცილებელი, რომ უწყება ჩაბარდეს უშუალოდ მხარეს. უწყება ჩაბარებულად ითვლება მაშინაც, როცა იგი ჩაბარდა მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. (იხ. 70-78-ე მუხლების კომენტარი).

ბ) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია მაშინაც, როცა უწყება თუმცა კანონით დადგენილი წესით გაიგზავნა და ჩაბარდა მხარეს, მაგრამ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადებისათვის (მიწისძვრა, წყალდიდობა და ა. შ.). მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი წყაროებიდან მიიღო სასამართლომ ეს ცნობები (პრესა, რადიო, ტელევიზია ან სხვა ნებისმიერი წყარო).

გ) 201-ე მუხლი ავალდებულებს სასამართლოს დროულად გაუგზავნოს მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები, აგრეთვე ყველა სხვა მასალა, რომელიც შეიცავს **ინფორმაციას იმ ფაქტიური გარემოებების შესახებ**, რომლებიც **წამოყენებულია მის წინააღმდეგ მოსარჩელის მიერ**. თავის მხრივ სასამართლოს ევალება დროულად გადაუგზავნოს მოსარჩელეს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელი, თანდართული საბუთის ასლები, შეგებებული სარჩელი და ა. შ. (203-ე მუხლი).

– „დროულად ეცნობოს“ იმას ნიშნავს, რომ მხარემ ასეთი ინფორმაცია უნდა მიიღოს მთავარ სხდომამდე, უფრო ზუსტად, მომზადების სტადიაზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში ამ სტადიის დამთავრების შემდეგ (207-ე მუხლი), მაგრამ იმ ანგარიშით, რომ მან შეძლოს მოემზადოს თავის დასაცავად. საქმეში უნდა არსებობდეს ცნობა, თუ როდის გაეგზავნა მხარეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების

შემცველი ცნობები და ამის მიხედვით მოსამართლემ უნდა გააკეთოს დასკვნა დროულობაზე.

დ) სარჩელის აღძვრის წინაპირობები ჩამოთვლილია 186-ე მუხლში. თუ სასამართლო თვლის, რომ შეცდომით მიიღო სარჩელი, რომელიც არ უნდა მიეღო, რადგან არ არსებობდა მისი მიღების წინაპირობები, მაშინ მან უნდა გამოიტანოს **არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება**, არამედ განჩინება საქმის შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (272-ე და 275-ე მუხლები).

2. იმის მიხედვით, თუ რა გარემოებითაა განპირობებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა, ამ მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებას ან საქმის წარმოების **შეწყვეტას**.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავაკეთოთ შემდეგი **შინაარსის დათქმა**: სარჩელის აღძვრის წინაპირობები მითითებულია 186-ე მუხლში, ხოლო აღიარებითი სარჩელის მიმართ **დამატებით** 180-ე მუხლში (იხ. ამ მუხლების კომენტარი). თუ ეს წინაპირობები არ არსებობს, სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი, მაგრამ თუ შეცდომით მიიღო, მაშინ – იმის მიხედვით, რომელი წინაპირობა არ არსებობს – უნდა შეწყვიტოს საქმე ან სარჩელი განუხილველად დატოვოს (272-ე და 275-ე მუხლები).

აქედან გამომდინარე, თუ აღმოჩნდება, რომ არ არსებობს სარჩელის აღძვრის ესა თუ ის წინაპირობა, სასამართლოს შეიძლება მოუხდეს არა მარტო საქმის წარმოების შეწყვეტა, როგორც ეს მითითებულია ამ მუხლის მე-2 ნაწილში, არამედ სარჩელის განუხილველად დატოვება, იმის მიხედვით, თუ სარჩელის აღძვრის რომელი წინაპირობა არ არსებობს.

მუხლი 234. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი

დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს 249-ე მუხლის მოთხოვნებს სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში მოკლედ, მაგრამ ნათლად და გარკვევით უნდა მიეთითოს ყველაფერ იმაზე, რაც აუცილებლად უნდა აისახოს გადაწყვეტილებებში საერთოდ, სამოტივაციო ნაწილის გარეშე (249-ე მუხლი). თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოდის მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მაშინ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს კანონზე (მატერიალურ-სამართლებრივ ნორმაზე), რომლის საფუძველზე სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას (230-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მუხლი 235. გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა

მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

– დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის გადაგზავნა წარმოებს 70-78-ე მუხლების მიხედვით. იგი ჩაბარებულად ითვლება მიუხედავად იმისა, უშუალოდ ხელზე ჩაბარდა მას ეს გადაწყვეტილება, თუ იგი ჩაბარდა ამ მუხლებით გათვალისწინებულ პირებს. საქმეში უნდა იყოს ცნობა ამ მუხლების მიხედვით დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ.

მუხლი 236. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

მხარეს, რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ.

– ეს მუხლი განსაზღვრავს თუ ვის შეუძლია გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და რომელ სასამართლოში შეიძლება ამ გადაწყვეტილების (მხედველობაშია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება) გასაჩივრება.

– დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივროს იმ მხარემ, რომლის წინააღმდეგაც ის გამოტანილია, ხოლო, თუ იგი **პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა**, მისი გასაჩივრება უნდა მოხდეს იმ სასამართლოში, რომელმაც ის გამოიტანა.

მუხლი 237. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის გამოთვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

– დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების 10 დღიანი **ვადის გამოთვლა იწყება** იმ დღიდან, როცა მხარეს ჩაბარდა ამ გადაწყვეტილების ასლი 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმეში უნდა იყოს ცნობა ამ მუხლებით გათვალისწინებული წესით მისი ჩაბარების შესახებ.

– გასაჩივრების 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და იგი შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით.

მუხლი 238. საჩივრის შინაარსი

1. საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება;

ბ) საჩივრის შემტანი პირის დასახელებას;

გ) გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით;

დ) საჩივრის შემტანი პირის თხოვნას, თუ რა ფარგლებში უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილება;

ე) საჩივარზე თანდართული მასალების ჩამონათვალს.

2. საჩივარი, რომელსაც ხელს აწერს მხარე ან მისი წარმომადგენელი, სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის ოდენობით, რამდენი მხარეც მონაწილეობს საქმეში.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს საჩივრის შინაარსს, მოთხოვნებს, რომლებსაც ეს საჩივარი უნდა პასუხობდეს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების **გაუქმების ერთადერთ საფუძველს** წარმოადგენს იმ მიზეზის საპატიობა, რომელმაც განაპირობა მომჩივანის გამოუცხადებლობა. ცხადია, რომ საჩივარში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებებზე მითითებას, რომლებიც ადასტურებენ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის საპატიობას (მაგალითად, არ იყო მოწვეული 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა სტიქიურ მოვლენებს, დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და ა. შ.).

გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს. ჩაითვალოს თუ არა ეს მიზეზი საპატიოდ საბოლოოდ წყვეტს სასამართლო.

– საჩივრის შემტანმა პირმა შეიძლება მოითხოვოს არა მთლიანად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, განახლება, შეცვლა, არამედ მხოლოდ მისი ნაწილობრივ გაუქმება ან შეცვლა. ამიტომ, შეიძლება მომჩივანის გამოუცხადებლობა მართლაც საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, მაგრამ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გააუქმოს და საქმე განიხილოს მხოლოდ იმ ნაწილში, რა ნაწილშიაც ამას მომჩივანი მოითხოვს. ისე როგორც ჩვეულებრივი

(საბოლოო) გადაწყვეტილების გადასინჯვის დროს, სასამართლო ამ შემთხვევაშიც ვერ გასცდება საჩივრის ფარგლებს.

2. თუ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შემოაქვს არა მხარეს, არამედ მის წარმომადგენელს (ადვოკატს), მაშინ ამ საჩივარს უნდა ერთვოდეს სპეციალური უფლებამოსილება (98-ე მუხლის პირველი ნაწილი).

– თუ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია კერძო საჩივრისათვის (39-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), სასამართლო დაუნიშნავს ვადას მომჩივანს **ხარვეზის შესავსებად**. თუ ხარვეზი ამ ვადაში არ იქნება შევსებული, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მისი დაუშვებლობის გამო. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (239-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

– საჩივრის ასლი ეგზავნებათ მხარეებს ამ საჩივრის დაშვებისა და განსახილველად მიღების შესახებ განჩინებასთან ერთად (სსკ 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

მუხლი 239. სასამართლოს მოქმედება საჩივრის მიღების შემდეგ

1. მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საკითხს საჩივრის მიღების შესახებ წყვეტს მხარეთათვის შეუტყობინებლად.

2. საჩივრის მიღების თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს საქმის ხელახლა განხილვის დღე, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს. სასამართლოს ასეთ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

3. თუ საჩივრის მიღება სასამართლოს არ მიაჩნია დასაშვებად, მას გამოაქვს ამის შესახებ განჩინება, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებებზე საჩივრის მიღების საკითხს მართალია წყვეტს ის მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მაგრამ **ეს იმას არ ნიშნავს**, რომ თუ რაიმე მიზეზის გამო ეს მოსამართლე ვერ განიხილავს საჩივარს (ხანგრძლივ მივლინებაშია, გადაიყვანეს სხვა სასამართლოში, იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში და ა. შ.), ამ სასამართლოს სხვა მოსამართლეს არ შეუძლია მისი განხილვა.

– საჩივრის მიღება-არმიღების (დასაშვებობის) საკითხს მოსამართლე წყვეტს მხარეთათვის შეუტყობინებლად. ეს არის მოსამართლის უფლება და არა მოვალეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საჭიროდ და მიზანშეწონილად მიაჩნია, მას შეუძლია მოიწვიოს მხარეები და მათი მონაწილეობით გადაწყვიტოს საჩივრის მიღების საკითხი.

2. თუ საჩივარი დასაშვებია და მისაღებია, მოსამართლეს გამოაქვს **განჩინება მისი განსახილველად მიღებისა და განხილვის დღის დანიშვნის შესახებ**. საჩივრის განხილვა შეიძლება მოხდეს მხარეთათვის აუცილებელი შეტყობინებით. შეტყობინება მათ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით უნდა გაეგზავნოთ. ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

3. თუ მოსამართლეს საჩივარი არ მიაჩნია დასაშვებად იმის გამო, რომ გაშვებულია გასაჩივრების ვადა, არ შეავსო ხარვეზი, საჩივარი შემოიტანა არაუფლებამოსილმა პირმა და ა. შ. მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მისი დაუშვებლობის გამო, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მუხლი 240. ახალი გადაწყვეტილება

1. საჩივარი განიხილება სასამართლო სხდომაზე. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ

გადაწყვეტილებას, რის შემდეგაც იწყება სარჩელის განხილვა.

2. თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

3. სასამართლოს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრდება სააპელაციო წესით.

4. გამოუცხადებლობით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება გამოუცხადებელ მხარეს იმისგან დამოუკიდებლად, გასაჩივრების შედეგად მან საქმე მთლიანად მოიგო, თუ – ნაწილობრივ.

1. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით დანიშნულ დღეს (239-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გამართულ სხდომაზე სასამართლო არკვევს ჰქონდა თუ არა ადგილი გარემოებებს, რომლებმაც ხელი შეუშალეს მხარის გამოცხადებას სასამართლოში, ე. ი. გამოწვეული იყო თუ არა მხარის გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით (233-ე და 241-ე მუხლები). ესაა ამ სასამართლო სხდომის გადასაწყვეტი **მთავარი და ძირითადი საკითხი**. თუ ასეთი გარემოებები დადასტურდება, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა უნდა განახლდეს (241-ე მუხლი), რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება. ისე როგორც ნებისმიერი სხვა განჩინება, ეს განჩინებაც შეიძლება გამოტანილ იქნეს სათათბირო ოთახში გაუსვლელად და ოქმში შეტანით (284-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

- ამ მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის მიხედვით საჩივარი, რომელიც მიღებულია განსახილველად 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეიძლება განხილულ იქნეს მხარეთა (ერთ-ერთის ან ორივეს) გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც, მაგრამ ეს წესი ვერ გავრცელდება სარჩელის განხ-

ილვაზე, ე.ი. თუ საჩივრის განხილვაზე არ გამოცხადდა ერთ-ერთი ან ორივე მხარე, სასამართლო ვერ განიხილავს სარჩელს: ისინი ხომ მოწვეული იყვნენ საჩივრის და არა სარჩელის განხილვაზე. გარდა ამისა, საჩივრის დაკმაყოფილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმის განხილვა შეიძლება იმავე სხდომაზე გაგრძელდეს, თუ ამ სხდომაზე გამოცხადებული მხარეები ან ერთ-ერთი მხარე მოტივირებულ უარს არ აცხადებს ამის წინააღმდეგ და სასამართლოს აზრით თუ არსებობს საქმის განხილვის ყველა პირობა, კერძოდ, თუ საჭირო არაა მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების და ა. შ. მოწვევა და დაკითხვა.

– თუ საქმის განხილვა ამავე სხდომაზე არაა შესაძლებელი, სასამართლო ახლო მომავალში მთავარ სხდომას დანიშნავს რის შესახებაც იქვე აცნობებს მხარეებს და აფრთხილებს მათ გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, რასაც ოქმში ხელისმოწერით ადასტურებენ მხარეები. მხარეს, ან საქმეში მონაწილე სხვა პირებს (მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს), რომლებიც ამ სხდომას არ ესწრებოდნენ, სასამართლო ატყობინებს ახალი სხდომის შესახებ 70-78-ე მუხლით დადგენილი წესით. ასეთი წესით საქმის განხილვის შემდეგ, **სასამართლოს გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ**, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

2. თუ აღმოჩნდება, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შემოტანილი საჩივარი არაა დასაბუთებული, ე. ი. მხარის გამოუცხადებლობა არ იყო გამოწვეული საპატიო მიზეზით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

3. როგორც **განჩინება** საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ისე **ახალი გადაწყვეტილება** შეიძლება გასაჩივრდეს **სააპელაციო წესით**.

4. ხარჯები, რომლებიც მხარეებმა გასწიეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე, ნაწილდება მხარეებს შორის 53-ე მუხლის მიხედვით (იხ. ამ მუხლის კომენტარი), ე. ი. ჩვეულებრივი წესით.

– გამოუცხადებლობით გამოწვეულ ხარჯებში იგულისხმება მხოლოდ ის ხარჯები, რაც გამოწვეულია დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვით, ამ საჩივრის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრებით. ამ ხარჯების გადახდა დაეკისრება იმ მხარეს, ვისი გამოუცხადებლობის გამოც იყო გამოტანილი გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს ვის სასარგებლოდ დამთავრდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვა.

მუხლი 241. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

– ეს მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში (იხ. ამ მუხლის კომენტარი), მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. მომჩივანს შეუძლია მიუთითოს სხვა ისეთ გარემოებებზე, მაგალითად, სატრანსპორტო შემთხვევაზე (ავტოავარიაზე), როცა იგი მიდიოდა სასამართლო სხდომაზე და, რომლის შესახებ მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის.

– იმ გარემოებათა **დამტკიცების ტვირთი**, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე ეკისრება მომჩივანს. ამ გარემოე-

ბათა შეფასება იმ თვალსაზრისით თუ რამდენად საპატიოა **გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა**.

მუხლი 242. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება

1. მხარეს არა აქვს უფლება, საჩივარი შეიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, თუ მის მიმართ ერთხელ უკვე გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2. სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე **არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე**, რომელზეც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ **განიხილება** საქმე არსებითად, სასამართლოს გამოაქვს **განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება**. **განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება** არის გადაწყვეტილება, რომელიც **მეორედაა** გამოტანილი **ერთი და იგივე პირის** დაუსწრებლობის გამო. ამიტომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც თუმცა მეორედ გამოაქვს სასამართლოს, მაგრამ არა იმ პირის მიმართ ვისზეც ადრე იყო გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება -არ იქნება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს როგორც პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება აღარ შეიძლება გასაჩივრდეს მის გამომტან სასამართლოში. იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო (366-ე მუხლი) ან საკასაციო წესით (392-ე მუხლი).

თ ა ვ ი XXVII

სასამართლო გადაწყვეტილება

მუხლი 243. საბოლოო გადაწყვეტილება

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.

2. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, იგი დადგენილ უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს მოსამართლეების შემდეგ. მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ სასამართლო სხდომის დარბაზში არ გამოცხადდება. მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაასმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

1. სასამართლოს გამოაქვს რამდენიმე სახის დადგენილება, როგორიცაა განჩინება, გადაწყვეტილება, გადახდის ბრძანება, ბრძანება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ. **განჩინება** – ესაა სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება (284-ე მუხლი). **გადახდის ბრძანება** – ესაა დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის გამარტივებული წესით მიღებული სასამართლოს დადგენილება, რომელიც ავალებს მოწინააღმდეგე მხარეს (მოვალეს) გადაიხადოს ამ ბრძანებაში მითითებული თანხა (303-ე მუხლი). **ბრძანება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ** – ესაა საქმის გამარტივებული წესით მიღებული სასამართლოს დადგენილება, ლიზინგის საგნის გამცემის

მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ (309[6]-ე მუხლი).

სასამართლოს გადაწყვეტილება – ესაა საქართველოს სახელით გამოტანილი სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად წყდება.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს კოლეგიური სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წესს. განსხვავებული აზრი, რომელიც აქვს კოლეგიური სასამართლოს ამა თუ იმ წევრს, არ გამოცხადდება, მაგრამ თუ იგი წერილობით იქნება ჩამოყალიბებული, დაერთვის საქმეს. განსხვავებული აზრის წერილობით ჩამოყალიბების მოვალეობა არ არსებობს. განსხვავებული აზრის ქონა მოსამართლის უფლებაა და არა მოვალეობა. რადგან განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მისი გაცნობის უფლება აქვთ მხარეებს, რადგან მათ „აქვთ უფლება გაეცნონ საქმის მასალებს“ (83-ე მუხლი).

მუხლი 244. საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანის დროს

გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

– ჯერ კიდევ სათათბირო ოთახში გასვლამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლოს უკვე აქვს ჩამოყალიბებული თავისი მოსაზრებები საქმეში არსებულ მტკიცებულებათა შესახებ, მათ შეფასებას სასამართლო იწყებს ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე და სასამართლო სხდომაზე, სადაც მხარეები ზეპირად აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს ამ მტკიცებულებათა შესახებ. მიუხედავად ამისა, სასამართლო სათათბირო ოთახში კიდევ ერთხელ და

საბოლოოდ აფასებს მტკიცებულებებს **ჯერ ერთი, მათი სარწმუნოობისა თუ უტყუარობის თვალსაზრისით** და **მეორე**, რა დასკვნების გაკეთება შეიძლება მათ საფუძველზე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა – არარსებობის შესახებ. სწორედ აქ, სათათბირო ოთახში, გადაწყვეტილების ჩამოყალიბების წინ, სასამართლომ საბოლოოდ უნდა გაარკვიოს: ა) საქმეში არსებული რომელი მტკიცებულება უნდა ჩაითვალოს სარწმუნოდ (უტყუარად) და რომელი არა; ბ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოება (რომელზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნასა და შესაგებელს) ითვლება დამტკიცებულად და რომელი არა; გ) რომელი გარემოებების შესახებ არ დავობენ მხარეები (უდავო ფაქტები); დ) რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული და დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი. გადაწყვეტილების შინაარსი არ ამოიწურება მხოლოდ ამ საკითხების გადაჭრით (249-ე მუხლი), მაგრამ ეს ის ფუნდამენტური საკითხებია, რომელთა გადაჭრის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

– ამასთან ერთად სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით პასუხი უნდა გასცეს სარჩელში წამოყენებულ და განხილულ ყველა მოთხოვნას. როგორც სასარჩელო განცხადებიდან და საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა – ნათქვამია საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში – მოსარჩელე სასამართლოში აყენებდა ორ მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება, მაგრამ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის დროს არ გადაწყვიტა ორივე მოთხოვნა, რითაც დაარღვია სსკ-ის 244-ე მუხლის დანაწესი. „საქმის ხელახლა განხილვის დროს სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს კასატორის ორივე მოთხოვნაზე და კანონის შესაბამისად გადაწყვიტოს დაყენებული საკითხები“.[31]

მუხლი 245. ნაწილობრივი გადაწყვეტილება

1. თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამ-

[31] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე №5,2001,გვ.565

დენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ.

2. ნაწილობრივი გადაწყვეტილება, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ-ერთი – სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.

1. ა) მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა **ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ** (182-ე მუხლის პირველი ნაწილი).

თუ რამდენიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთი, ან მათი ნაწილი უკვე გარკვეულია და მზადაა გადასაწყვეტად, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს მათ მიმართ ნაწილობრივი გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში თუ მხარე შუამდგომლობს ამის შესახებ. მხედველობაშია დაინტერესებული მხარე და არა აუცილებლად ორივე მხარე ერთდროულად.

ბ) რამდენიმე მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ერთი ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ (86-ე მუხლი). თუ ამ რამდენიმე მოსარჩელის მოთხოვნიდან ერთ-ერთი მოსარჩელის მოთხოვნა გარკვეულია და მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად – სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება დაინტერესებული **მხარის შუამდგომლობით ამ მოთხოვნის მიმართ**.

2. როგორც წესი, ძირითად და შეგებებულ სარჩელზე გამოდის ერთიანი გადაწყვეტილება. ეს შეგებებული სარჩელის აღძვრის ერთ-ერთი მიზანიცაა (188-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაგრამ თუ გარკვეულია და მზადაა გადასაწყვეტად ერთ-ერთი მათგანი (ძირითადი ან შეგებებული), სა-

სამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ ერთ-ერთი სარჩელის მიმართ, რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს ამ ნაწილობრივ გადაწყვეტილებაში. ყველა შემთხვევაში შეგებებული სარჩელის უყურადღებოდ დატოვება, როგორც ამის შესახებ მიუთითა საკასაციო სასამართლომ, ყოვლად დაუშვებელია.[32]

მუხლი 246. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება

1. თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ.

2. ასეთი წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასწარი (შუალედური) ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოდის სარჩელის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის, კერძოდ, მისი საფუძვლის მიმართ. სარჩელის საფუძველში შედიან და მას ქმნიან გარემოებები, რომლებსაც ემყარება და რომლებიც ფაქტობრივად ასაბუთებენ მის მეორე ელემენტს – სარჩელის საგანს ანუ **სასარჩელო მოთხოვნას**.

– ასეთი წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი დადგენილია და რაიმე ეჭვს არ იწვევს, ხოლო თვითონ მოთხოვნის მოცულობის (ოდენობის) დადგენა თუ განსაზღვრა დაკავშირე-

[32] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001,№4, გვ.382

ბულია მრავალრიცხოვან გაანგარიშებებთან, მოთხოვნილი საგნების მოცულობის, ოდენობისა და ხარისხის განსაზღვრასთან და ა. შ.

2. წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს არა მარტო სააპელაციო წესით, არამედ საკასაციო წესით თუ იგი გამოტანილია სააპელაციო სასამართლოს მიერ. ასეთ წინასწარ გადაწყვეტილებას, თუ იგი შევა კანონიერ ძალაში, **ექნება პრეიუდიციული ძალა**, მეორე, ე. ი. მოთხოვნის მოცულობის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები აღარ საჭიროებენ კვლავ დადგენას და დადასტურებას მეორე გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

მუხლი 247. გადაწყვეტილების ჩამოყალიბება

1. გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბებს მოსამართლე.

2. თუ გადაწყვეტილება გამოაქვს კოლეგიურ სასამართლოს, გადაწყვეტილებას ჩამოაყალიბებს ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან ერთ-ერთი მოსამართლე და ხელს აწერს ყველა მოსამართლე, რომლებიც მონაწილეობდნენ მის დადგენაში, მათ შორის, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე. გადაწყვეტილებაში შეტანილ შესწორებას შენიშვნა უნდა გაუკეთდეს მოსამართლეთა ხელმოწერების წინ.

1. ეს მუხლი განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილების ფორმას, გადაწყვეტილება შეიძლება ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით.

2. გადაწყვეტილებას წერს მოსამართლე. თუ საქმეს იხილავს კოლეგიური სასამართლო, მაშინ გადაწყვეტილება შეიძლება დაწეროს ერთ-ერთმა მოსამართლემ, მათ შორის კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარემ. როგორც წესი, გა-

დაწყვეტილებას წერს მომხსენებელი მოსამართლე. გადაწყვეტილებას ხელს აწერს ყველა მოსამართლე, მათ შორის მოსამართლე, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობით მიღებულ ამ გადაწყვეტილებას და აქვს თავისი განსხვავებული პოზიცია.

– არსებობს გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის ორი წესი, **ერთი** – როცა შესწორების შეტანის აუცილებლობა წარმოიშობა სათათბირო ოთახში და **მეორე – როცა შესწორების შეტანის აუცილებლობა წარმოიშობა** გადაწყვეტილების ჩამოყალიბების შემდეგ.

– თუ შესწორების (შენიშვნის) აუცილებლობა წარმოიშობა სათათბირო ოთახში, მაშინ თვითონ გადაწყვეტილებაში შეიძლება გაკეთდეს ეს შესწორება (ჩასწორება), ამასთან, თუ სიტყვა ან ფრაზა უნდა გადაიშალოს, ასეთი გადაშლა ისე უნდა მოხდეს, რომ შესაძლებელი იყოს იმის ამოკითხვა, თუ რა ეწერა იქ გადაშლამდე, ხოლო მის თავზე უნდა მოხდეს ჩამატება. გადაწყვეტილებაში უნდა ჩაიწეროს: „ენდეთ ჩასწორებულს“ და ხელი უნდა მოაწეროს ყველა იმ მოსამართლემ, რომლებიც ხელს აწერენ გადაწყვეტილებას. **დასაშვებია გადაწყვეტილების ხელმეორედ ჩამოყალიბება** თუ ჩასწორებები ბევრია.

– შესწორებების (გასწორებების) შეტანა გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ შეიძლება მოხდეს 260-ე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 248. სასამართლო გადაწყვეტილებების ფარგლები

სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

– ეს მუხლი დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. სასამართლო შებოჭილია მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებით, მოპასუხის შეგებებული მოთხოვნის, აგრეთვე მესამე პირის სასარჩელო მოთ-

ხოვნის ფარგლებით. მოთხოვნის (სარჩელის საგნის) შეცვლის ან მისი გადიდების უფლება აქვს მხოლოდ მოსარჩელეს (83-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

– სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს პასუხს მოსარჩელის მიერ განცხადებულ მოთხოვნაზე, დააკმაყოფილოს იგი მთლიანად **ან ნაწილობრივ**, ან კიდევ უარი თქვას მის დაკმაყოფილებაზე. ე. ი. სასამართლოს სრული უფლება აქვს მიაკუთვნოს მოსარჩელეს იმაზე ნაკლები, ვიდრე იგი მოითხოვდა, თუ სრული მოცულობით განცხადებული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ დასტურდება, მაგრამ მას **უფლება არ აქვს** მიაკუთვნოს მოსარჩელეს იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, საქმის მასალებით კიდეც რომ დასტურდებოდეს უფრო მეტის მოთხოვნის საფუძველი. საკასაციო სასამართლო ყოველთვის აუქმებს გადაწყვეტილებას, როდესაც დარღვეულია ამ მუხლის დანაწესი.[33]

მუხლი 249. გადაწყვეტილების შინაარსი

1. გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

2. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები, დავის საგანი.

3. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას მოსარჩელის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაგებელზე.

4. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მო-

[33] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2000,№3, გვ.113.

საზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარ-ყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, და კანონე-ბი, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანე-ლობდა.

5. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარ-ჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლია-ნად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილე-ბის თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყ-ვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სასამართ-ლო გადაწყვეტილების სტრუქტურას. გადაწყვეტილება ზუსტად უნდა პასუხობდეს ამ სტრუქტურას და ჩამოყა-ლიბდეს იმ თანმიმდევრობით, როგორსაც ეს მუხლი გვთა-ვაზობს.

2. თუ გადაწყვეტილებაში არაა მითითებული მისი გამო-ტანის ადგილი, მაშინ ითვლება, რომ სასამართლოს მისამარ-თი არის მისი გამოტანის ადგილი. გადაწყვეტილებაში მითი-თებული მისი გამომტანი სასამართლოს დასახელება უნდა ემთხვეოდეს ოქმში მითითებულ სასამართლოს შემადგენ-ლობას. თუ არ ემთხვევა – ეს შეიძლება გახდეს გადაწყვე-ტილების გაუქმების საფუძველი, რადგან გადაწყვეტილება გამოტანილია არა იმ მოსამართლეების მიერ, რომლებმაც განიხილეს საქმე, ე. ი. სასამართლოს არაკანონიერი შემად-გენლობის მიერ (394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

– გადაწყვეტილების მიღების თარიღი უნდა ემთხვეო-დეს იმ დღეს, როცა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტი-ლება (სარეზოლუციო თუ მოტივირებული). არასწორია პრაქ-ტიკა, როდესაც მოტივირებული გადაწყვეტილება იმ თარი-ღით გამოაქვთ, რაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-წილს ჰქონდა. სასამართლოს არ ეკადრება ტყუილი, მაგრამ ამის არავითარი აუცილებლობაც არაა: კანონი უფლებას აძ-ლევს სასამართლოს გადადოს მოტივირებული გადაწყვეტი-ლების გამოტანა 14 დღით (257-ე მუხლი).

3. გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ

მაგრამ ნათლად და გასაგებად უნდა აღინიშნოს: ა) სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი, ხოლო თუ მოსარჩელემ შეცვალა თავისი მოთხოვნა (სარჩელის საგანი), უნდა აღინიშნოს რაში გამოიხატება ეს ცვლილება; ბ) გარემოებები, რომლებსაც ემყარება სარჩელი; გ) მტკიცებულებები, რომლებსაც მიუთითებს მოსარჩელე ამ გარემოებების დასადასტურებლად; დ) მოპასუხის შესაგებლის მოკლე შინაარსი; ე) გარემოებები, რომლებსაც ემყარება შესაგებელი; ვ) მტკიცებულებები, რომლებზეც მიუთითებს მოპასუხე თავისი შესაგებლის დასადასტურებლად. იგივე უნდა ითქვას შეგებებული სარჩელისა და მესამე პირის სარჩელის შინაარსის გადმოცემაზე, თუ ისინი აღძრული იყო.

აქვე აღწერილობით ნაწილში მითითებული უნდა იყოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი და გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ გარემოებებზე არ დავობენ მხარეები და რომელი არის სადავო, რის გამოც მათ მიმართ შეგროვდა მტკიცებულებები.

4. სამოტივაციო ნაწილი გადაწყვეტილების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ ხდება გადაწყვეტილების ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთება.

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი მთლიანად სასამართლოს შემოქმედებაა, რადგან აქ პოულობს თავის კონკრეტულ გამოხატულებას **მისი შინაგანი რწმენა**, რომელიც მას ჩამოუყალიბდა საქმის მასალებზე დაყრდნობით და კანონი, რომელიც მისი აზრით უნდა იქნეს გამოყენებული ამ კონკრეტული დავის გადაწყვეტისათვის.

სამოტივაციო ნაწილში მითითებული უნდა იყოს: ა) **ფაქტები, რომელთა არსებობა-არარსებობის შესახებ არ დავობენ მხარეები** (უდავო ფაქტები); ბ) **ფაქტები, რომლებიც დადგენილად ცნო სასამართლომ მტკიცებულებების გამოყენებით,** მათ შორის მხარეთა აღიარებით; გ) **მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლო** და ამ მტკიცებულებათა მოკლე ანალიზი.

– მას შემდეგ, რაც ზედმიწევნით ნათლად, გასაგებად და **ამომწურავად** იქნება მითითებული ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლომ ჩათვალა დადგენილად, სასამართლომ უნდა მიუთითოს იმ **მატერიალურ სა-**

მართლებრივ ნორმაზე (ნორმებზე), რომლის მიხედვითაც შეაფასა მან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე **დაასაბუთოს ამ ნორმის გამოყენების მიზანშეწონილობა.** მითითებული უნდა იყოს ნორმის (კანონის) ნაწილი, პუნქტი, ქვეპუნქტი და ა. შ.

საკასაციო სასამართლო ყოველთვის აუქმებს გადაწყვეტილებას, თუ სამოტივაციო ნაწილში არაა მითითებული მტკიცებულებებზე, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და კანონებზე, რომელთა საფუძველზე მოახდინა სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასება.[34]

5. სარეზოლუციო ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს იმპერატიული ფორმით, რომ არ წარმოიშვას არავითარი ეჭვები. საქმე ისაა, რომ სარეზოლუციო ნაწილი მთლიანად გადადის სააღსრულებო ფურცელში. ამიტომ, აქ ზედმიწევნით გასაგებად უნდა იყოს მითითებული, დაკმაყოფილდა სარჩელი მთლიანად თუ ნაწილობრივ, თუ ნაწილობრივ – რომელ ნაწილში დაკმაყოფილდა და სარჩელის რომელ ნაწილში უარი ეთქვა მოსარჩელეს, კონკრეტულად რა მოქმედება უნდა შეასრულოს მოპასუხემ (გადასცეს მოსარჩელეს ნივთი, ფული და ა.შ. იხ. 261-ე მუხლი). სარეზოლუციო ნაწილში სრულად უნდა იყოს მითითებული მხარეთა გვარი, სახელი, მისამართი, იურიდიული პირის სახელწოდება და მისამართი (ისე, როგორც მის წესდებაშია).

– გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თავისებურება შეიძლება განპირობებული იყოს 254-258-ე მუხლებით დადგენილი წესების გამოყენებით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

– საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი. აქ აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომელი მხარისაგან და რა ოდენობით უნდა იქნეს გადახდევინებული ეს ხარჯები, აგრეთვე რომელი მხარეა განთავისუფლებული ამ ხარჯებისაგან.

– ბოლოს, სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად უნდა მიეთითოს თუ რა წესით შეიძლება ამ გადაწყვეტილების გა-

[34] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001, №6, გვ.663, №10, 2002, გვ.1874.

საჩივრება, კერძოდ, ა) რომელ სასამართლოში (სააპელაციო, საკასაციო) შეიძლება მისი გასაჩივრება; ბ) რა ვადაში; გ) რომელ სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი საჩივარი.[35]

მუხლი 250. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბება

თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, სასამართლოს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით. მოსამართლე ეკითხება მხარეებს, სურთ თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ასაჩივრებენ თუ არა მოცემულ გადაწყვეტილებას. თუ მხარეები უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, მათ ასეთი განცხადება უნდა დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერებით.

– მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს მოვალეობაა.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეუძლია სასამართლოს შემოიფარგლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით: თუ მხარეები ეთანხმებიან გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე.

– მხარეთა ასეთი განცხადება უნდა აისახოს ოქმში და დადასტურდეს მათივე ხელმოწერით. მხარეებს შეუძლიათ ერთობლივი განცხადებითაც მიმართონ ამის შესახებ სასამართლოს, რომელიც დაერთვის ოქმს.

– იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გამოაქვს არა სარეზოლუციო, არამედ მოტივირებული გადაწყვეტილება, მაშინ ერთადერთი, რაზედაც მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ესაა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმა (370-ე მუხლი).

[35] დაწვრილებით გადაწყვეტილების აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების აგების შესახებ იხ.**ჰ.ბოელინგი,ლ.ჭანტურია** „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“. გ-ბა „ჯისიაი“, თბ. 2003

მუხლი 251. გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და ვადის განსაზღვრა. აღსრულების უზრუნველყოფა

თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებული უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.

– გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ნებისმიერ საქმეზე გამოტანილ ყველა გადაწყვეტილებაში დაახლოებით ერთნაირად უნდა ჩამოყალიბდეს, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება საჭირო გახდეს დამატებით ისეთ გარემოებაზე მითითება, რაც ჩვეულებრივ არ აისახება სხვა გადაწყვეტილებაში. მაგალითად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში შეიძლება საჭირო გახდეს მითითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს შეასრულოს მოქმედება მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით (254-ე მუხლი), ან კიდევ, ბანკში მოპასუხის რომელი ანგარიშიდან ჩამოიწეროს მასზე დაკისრებული თანხა (252-ე მუხლი), ან უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება იქნეს გამოყენებული ამ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად (271-ე მუხლი) და ა. შ. ცხადია, რომ ეს საკითხები შეიძლება განჩინებითაც მოწესრიგდეს, თუ მათი განხილვა და გადაწყვეტა მოხდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

მუხლი 252. გადაწყვეტილება იურიდიული პირისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ

იურიდიული პირისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობით სარეზოლუციო ნაწილში მიუ-

თითოს გადასახდელი თანხის ხასიათზე, აგრეთვე იმაზე, თუ ბანკში მოპასუხის რომელი თანხიდან უნდა ჩამოიწეროს დაკისრებული თანხა.

– გადასახდელი თანხის ხასიათზე და იმაზე, თუ ბანკში მოპასუხის რომელი თანხიდან უნდა ჩამოიწეროს მასზე დაკისრებული თანხა, დასაშვებია მხოლოდ **მხარეთა შუამდგომლობით**. სასამართლო თავისი ინიციატივით ამ საკითხს არ წყვეტს.

აღსრულების ასეთი წესი უწინარეს ყოვლისა მიმართულია მოვალის ინტერესების დაცვისაკენ. მაგრამ თუ აღსრულება ამ წესით ვერ ხერხდება, მაშინ ასეთი მითითება სრულებით არ ზღუდავს აღმასრულებელს. მოპასუხე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით და სარეზოლუციო ნაწილის ასეთი მითითების მიუხედავად აღმასრულებელს შეუძლია მოპასუხის სხვა ქონებიდანაც მოახდინოს აღსრულება, თუ ეს ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ ხერხდება სარეზოლუციო ნაწილში მითითებული წესის დაცვით.

მუხლი 253. გადაწყვეტილება ქონების მიკუთვნების ან მისი ღირებულების გადახდევინების შესახებ

ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება.

– ამ მუხლით დადგენილი წესი, წარმოადგენს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების ერთ-ერთ გარანტიას. იგი ათავისუფლებს მოსარჩელეს კვლავ აღძრას სარჩელი **ქონების (ნივთის) ღირებულების ანაზღაურების შესახებ** ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილებით მიკუთვნებული ქონება **გადაწყვეტილების აღსრულებისას** არ აღმოაჩნდება მოვალეს (მოპასუხეს).

– ქონების ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს შემდეგნაირად: თუ მიკუთვნებული ქონება ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთებისაგან შედგება, მაშინ სასამართლომ უნდა განსაზღვროს თითოეული ნივთი ცალ-ცალკე და მათი საერთო ღირებულება ერთობლიობაში. ხოლო თუ მიკუთვნებული ნივთები ხასიათდებიან გვარეობითი ნიშნებით, მაშინ სასამართლო განსაზღვრავს მათ საერთო ღირებულებას.

– ქონების ღირებულების განსაზღვრისას სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი (204-ე მუხლი).

მუხლი 254. გადაწყვეტილება, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას

1. ისეთი გადაწყვეტილების გამოტანისას, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რაც დაკავშირებული არ არის ქონების ან ფულადი თანხების გადაცემასთან, სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში შეუძლია მიუთითოს, რომ, თუ მოპასუხე გადაწყვეტილებას არ შეასრულებს დადგენილ ვადაში, მოსარჩელეს უფლება აქვს ეს მოქმედება შეასრულოს მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით.

2. თუ აღნიშნული მოქმედება შეიძლება შეასრულოს მხოლოდ მოპასუხემ, სასამართლო გადაწყვეტილებაში დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.

1. ამ მუხლს **არა აქვს მხედველობაში** მოპასუხის ისეთი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია მოსარჩელისათვის ფულადი თანხის, ან რაიმე ქონების გადაცემასთან. თუ მოპასუხე არ გადაუხდის მოსარჩელეს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ თანხას, ან არ გადასცემს ქონებას, მაშინ ამას

გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების წესით გააკეთებს აღმასრულებელი.

– ამ მუხლის პირველ ნაწილს მხედველობაში აქვს ისეთი მოქმედება, რომელსაც თუ მოპასუხე არ შეასრულებს შეუძლია შეასრულოს მოსარჩელემ. მაგალითად, სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ, რაც დაკავშირებულია გარკვეული სარეკონსტრუქციო სამუშაობის ჩატარებასთან, ვთქვათ ტიხრების ამოშენებასთან. სასამართლოს **შეუძლია გადაწყვეტილებაში მიუთითოს**, რომ თუ მოპასუხე გარკვეულ ვადაში არ შეასრულებს ამ სამუშაოს, იგი შეუძლია შეასრულოს მოსარჩელემ, მაგრამ ხარჯები, რაც მოსარჩელემ გაიღო ამ სამუშაოს შესრულებისათვის, უნდა აანაზღაუროს მოპასუხემ.

2. არის ისეთი მოქმედება, რომლის შესრულება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოპასუხის (მოვალის) ნებაზე და ამიტომ, მას სხვა ვერ შეასრულებს. მაგალითად, პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა, ბავშვის გადაცემა აღსაზრდელად და სხვა. თუ მოპასუხე გადაწყვეტილებით დანიშნულ ვადაში არ შეასრულებს ამ მოქმედებას, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 87-ე მუხლით (ფულადი ჯარიმა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა). ამ ღონისძიებათა გამოყენების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს მითითებული 87-ე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 255. გადაწყვეტილება სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების არაკანონიერების შესახებ

1. სახელმწიფო ორგანოების, თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგა-

ნიზაციებისა და თანამდებობის პირების მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების არაკანონიერად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო ასეთ მოქმედებას ან გადაწყვეტილებას აღიარებს არაკანონიერად, ავალებს შესაბამის ორგანოსა თუ თანამდებობის პირს დააკმაყოფილოს მოქალაქის მოთხოვნა, აუქმებს მის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ღონისძიებას ან სხვა გზით აღადგენს მის დარღვეულ თუ სადავო უფლებასა და თავისუფლებას.

2. ნორმატიული აქტის არაკანონიერების აღიარების შესახებ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული უნდა იყოს, რომ ეს აქტი ბათილად ითვლება მისი მიღების მომენტიდან.

3. სასამართლოს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის არაკანონიერების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებით, რომელშიც ეს ნორმატიული აქტი იყო გამოქვეყნებული.

1. ამ მუხლის პირველ ნაწილში იგულისხმება სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია სახელმწიფო ორგანოების, თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების მიმართ: ა) მათი მოქმედების არაკანონიერების (არამართლზომიერების) შესახებ და ბ) მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების არაკანონიერად (ბათილად) ცნობის შესახებ.

– ეს მუხლი განსაზღვრავს ამ კატეგორიის საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა შინაარსს. გარდა იმ მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ნებისმიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ამ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში მითითებული უნდა იყოს: ა) ამ მუხლში აღნიშნული ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ან მოქ-

მედებათა არაკანონიერების (არამართლზომიერების) შესახებ; ბ) დავალება ამ ორგანოებისადმი და თანამდებობის პირისადმი დააკმაყოფილოს მოქალაქის მოთხოვნა; გ) მოსარჩელის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

2. გადაწყვეტილება არ შეიძლება შემოიფარგლოს ნორმატიული აქტის არაკანონიერების აღიარებით, სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს ამ აქტის ბათილად ცნობის შესახებაც.

3. **ამ მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს კატეგორიულ მოთხოვნას** გადაწყვეტილების გამოქვეყნების შესახებ. მხედველობაშია არა მთელი გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ მისი სარეზოლუციო ნაწილი. ამის შესახებ მითითებას შეიცავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-6 ნაწილი. რომლის თანახმად „სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი“.[36]

მუხლი 256. გადაწყვეტილება რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ

1. თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ რა წილი ეკუთვნის თითოეულ მათგანს, ან აღნიშნოს, რომ გადახდევინების უფლება სოლიდარულია.

2. თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა წილი უნდა შეასრულოს, ან აღნიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია.

---

[36] იხ. **მ.ვაჩაძე, ი.თოდრია, მ.ტურავა, ნ.წკეპლაძე.** საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ. 2005, გვ.188

თანამონაწილეობის დროს (86-ე მუხლი) სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში გვექნება მოსარჩელეებისა და მოპასუხეების სიმრავლე.

1. სასამართლო ყოველთვის ვალდებულია მიუთითოს თავისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში თუ **რა წილი ეკუთვნის თითოეულ მოსარჩელეს**, როცა გადაწყვეტილება მათ სასარგებლოდაა გამოტანილი, ასეთი მოვალეობისაგან სასამართლო თავისუფლდება, როცა მოსარჩელეები სოლიდარული კრედიტორები არიან, როგორც ამას სამოქალაქო კოდექსის 455-262-ე მუხლები ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უთითებს თავისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რომ გადახდევინება სოლიდარულია.

2. სასამართლო ყოველთვის ვალდებულია მიუთითოს თავისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რომ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა ნაწილი უნდა შეასრულოს. ასეთი მოვალეობისაგან სასამართლო თავისუფლდება, როცა პასუხისმგებლობა სოლიდარულია (სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი), რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

მუხლი 257. გადაწყვეტილების გამოტანა

1. საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. საქმის მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე გადაწყვეტილების გამოცხადება შეიძლება გადაიდოს სხვა დროისათვის. დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოცხადდება, თუ ამას სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს. თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა გადაწყვეტილება, განმარტავს

ამ გადაწყვეტილების შინაარსს, მისი გასაჩივრების წესსა და ვადას.

2. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ვადა საკასაციო სასამართლოსთვის შეადგენს ერთ თვეს.

1. 257-ე მუხლის პირველი ნაწილი რამდენიმე პრაქტიკულ საკითხს აწესრიგებს:

პირველი - ესაა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება. სარეზოლუციო ნაწილი **უნდა გამოცხადდეს საქმის ზეპირი განხილვის დამთავრების შემდეგ,** მაგრამ საქმის მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებაც შეიძლება გადაიდოს. სასამართლომ აუცილებლად უნდა გააკეთოს განცხადება იმის შესახებ, რომ საქმის განხილვა დამთავრდა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადებული იქნება გარკვეულ დღესა და საათზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს ხელს უნდა აწერდეს მოსამართლე ან მოსამართლეები, რომლებმაც იგი მიიღეს. ეს სარეზოლუციო ნაწილი ჩაეკერება საქმეში. თუ მას ხელს არ აწერს მოსამართლე (მოსამართლეები) ასეთი სარეზოლუციო ნაწილი არ ითვლება გამოტანილად და გამოცხადებულად. ეს მით უმეტეს აუცილებელია ისეთ პირობებში, როდესაც მხარეები საერთოდ არ მოითხოვენ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას (იხ. 250-ე მუხლის კომენტარი).

მეორე - დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადება დამოკიდებულია სასამართლოს მიხედულებაზე. თუ დასდაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადება **მიზანშეწონილად მიაჩნია სასამართლოს,** მაშინ მან უნდა განუმარტოს მხარეებს მისი შინაარსი, გასაჩივრების წესი და ვადა.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს პირველი და

სააპელაციო სასამართლოების მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩამოყალიბების ვადას. ეს ვადა დამოკიდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებაზე და შეადგენს 14 დღეს მისი გამოცხადებიდან.

სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების ვადას ეს მუხლი არ განსაზღვრავს. სასამართლო ყოველნაირად უნდა შეეცადოს არ გადადოს მისი გამოცხადება, მაგრამ, თუ მაინც გადადებს ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადით (ვთქვათ, არაუმეტეს 3 დღით).

დასაბუთებული გადაწყვეტილება შეიძლება არ გამოცხადდეს (იხ. ამ მუხლის პირველი ნაწილი), მაგრამ მისი ასლები აუცილებლად უნდა გადაეცეს მხარეებს.

- დამოუკიდებლად იმისა, თუ რას აცხადებს სასამართლო - გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თუ დასაბუთებულ (მოტივირებულ) გადაწყვეტილებას, ისინი ჩამოყალიბებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და ხელს აწერდეს მოსამართლე (მოსამართლეები). გადაწყვეტილების გამოცხადებას უნდა ესწრებოდეს საქმის განმხილველი ყველა მოსამართლე.

გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა უნდა ჩამოყალიბდეს თვითონ მოტივირებულ გადაწყვეტილებაში. მაგრამ, თუ გამოცხადდა მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი მასში მითითებული უნდა იყოს და მხარეებს უნდა განემარტოს, რომ გასაჩივრების ვადა დაიწყება დასაბუთებული (მოტივირებული) გადაწყვეტილების გადაცემის, გადაგზავნის თუ გამოცხადების მომენტიდან (369-ე და 397-ე მუხლები).

3. დასაბუთებული (მოტივირებული) გადაწყვეტილების გამოტანის ვადა საკასაციო სასამართლოში შეადგენს ერთ თვეს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან.

მუხლი 258. ამოღებულია

მუხლი 259. გადაწყვეტილების ასლების გაგზავნა მხარეებისათვის

მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები არა უგვიანეს 3 დღისა განცხადების შემოტანიდან. გადაწყვეტილების ასლებს ხელს აწერს სასამართლოს კანცელარიის მდივანი და უსვამს სასამართლოს ბეჭედს.

– ამ მუხლს **მხედველობაში ჰყავს** მხარეები, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებას. ამასთან ერთად, მხედველობაშია არამარტო მოტივირებული გადაწყვეტილება, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიც (257-ე მუხლი).

– რაც შეეხება მხარეებს, რომლებიც არ ესწრებოდნენ **მოტივირებული გადაწყვეტილების** გამოცხადებას, ასეთი მოტივირებული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი მათ ეგზავნებათ **სასამართლოს ინიციატივით**. საქმე ისაა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. ეს ვადა კი იწყება იმ დღიდან, როცა იგი გადაეცემა მხარეს (იგულისხმება გასაჩივრების უფლების მქონე მხარე გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი (369-ე და 397-ე მუხლები). გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად კი ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ან მისი მხარისათვის **გადაგზავნა** 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 260. გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

2. გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის წესი მას შემდეგ, რაც იგი გამოცხადდა ან გადაეცა მხარეებს, განსხვავდება იმ წესისაგან, რასაც ითვალისწინებს 247-ე მუხლი ჯერ კიდევ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე მასში შესწორების შეტანისათვის (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მასში შესწორების შეტანა შეიძლება არამარტო სასამართლოს ინიციატივით, არამედ მხარეთა და, აგრეთვე, აღმასრულებლის ინიციატივითაც.

– დაუშვებელია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არსებითად ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარსს. დასაშვებია მხოლოდ ისეთი შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანა, როგორიცაა მაგალითად, მხარეთა გვარი, სახელი, მამის სახელი, თუ მხარე იურიდიული პირია – მისი სახელწოდების აღნიშვნა ისე, როგორც ეს ამ იურიდიული პირის წესდებაშია და ა. შ. აგრეთვე არითმეტიკულ შეცდომები, რომლებმაც გამოიწვია გადასახდევინებელი თანხის ოდენობის აშკარად შემცირება ან

გადიდება, მაგალითად, აკლია ციფრი „0“ ან სხვა ნებისმიერი ციფრი, რაც ისე ცვლის თანხის ოდენობას, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, აშკარად არ შეესაბამება მოთხოვნის ოდენობას, რის შესახებაც იყო მსჯელობა სასამართლოს სხდომაზე.

– გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანისათვის რაიმე ვადები გათვალისწინებული არაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს ეს შეუძლია გააკეთოს გადაწყვეტილების აღსრულების დამთვარებამდე. რაც შეეხება აღიარებით სარჩელებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რომელთა იძულებითი აღსრულება არ ხდება მათში შესწორებების შეტანა არაა შემოფარგლული რაიმე ვადით.

მუხლი 261. დამატებითი გადაწყვეტილება

1. გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ:

ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;

ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;

გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

2. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

3. დამატებითი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს სასამართლო სხდომაზე, რომ-

ლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას.

4. დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

5. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის **პირობებს**, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა სასამართლოსათვის.

ა. პირველი პირობის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოტანილი, თუ ამ საქმეზე გამოტანილი ძირითადი გადაწყვეტილება არ შეიცავს პასუხს მხარის **ისეთი მოთხოვნის** მიმართ, რომელიც მართალია იყო განხილვის საგანი, წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები ამ მოთხოვნის ფაქტობრივი დასაბუთებისათვის, ე. ი. მოხდა მისი განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს რატომღაც გამორჩა მხედველობიდან მიეღო გადაწყვეტილება ამ კონკრეტული მოთხოვნის მიმართ. მაგალითად, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მოპასუხეზე ვალის გადახდევინების დაკისრების შესახებ, მაგრამ არ მიიღო გადაწყვეტილება პროცენტების შესახებ, რომლის თაობაზე მოსარჩელემ წარადგინა მტკიცებულებები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და ა. შ. ან კიდევ, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის ბინიდან გამოსახლება და მასზე ბინის ქირის გადახდევინების დაკისრება. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადგინა მოპასუხის ბინიდან გამოსახლება, მაგრამ არაფერი თქვა (გამორჩა) მასზე ბინის ქირის გადახდევინების დაკისრების შესახებ საკითხის გადაწყვეტაზე.

ბ) მეორე პირობის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც სასამართლომ მართალია დაადგინა რომ დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნა, მაგრამ არ მიუთითა არც ამ

მოთხოვნის ოდენობა და არც მისი სახეობა. მაგალითად, დაადგინა გადაუხადოს მოპასუხემ თანხა, ან გადასცეს ნივთი, მაგრამ არ მიუთითა რა ოდენობის თანხა გადაიხადოს ან რა სახის ქონება გადასცეს. ან კიდევ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ შეასრულოს მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედება, მაგრამ არ მიუთითა თუ კონკრეტულად რომელი მოქმედება (ამოაშენოს ტიხარი, მოანგრიოს კედელი, ამოქოლოს ფანჯარა და ა. შ.).

გ) 249-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. თუ მოსამართლეს გამორჩა ეს და გადაწყვეტილება შეიცავს ხარვეზს ამ თვალსაზრისით, მაშინ იგი შეიძლება შეივსოს დამატებითი გადაწყვეტილებით.

– პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც აღძრული იყო რამდენიმე მოთხოვნა, სასამართლომ განიხილა ყველა ეს მოთხოვნა, მაგრამ ერთ-ერთი მოთხოვნის მიმართ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

– დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას როგორც ძირითადი მოთხოვნის, ისე შეგებებული სარჩელისა და მესამე პირის სარჩელის მიმართაც.

2. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7-დღის განმავლობაში. ამ მუხლის დანაწესი ისე უნდა გავიგოთ, რომ ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ მხარეები. მაგრამ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებოდნენ მხარეები, ან ერთ-ერთი მხარე, მაშინ 7-დღიანი **ვადა უნდა დაიწყოს იმ დღიდან**, როდესაც მხარეს ჩაბარდა მოტივირებული გადაწყვეტილება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ 7-დღიანი ვადის დენა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, საიდანაც იწყება გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით **გასაჩივრების ვადა**.

ამ ვადის არც გაგრძელება და არც აღდგენა არ დაიშვება. თუ ეს ვადა გაშვებული იქნა და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა დაიკარგა, მაშინ მხა-

რეს შეუძლია გაასაჩივროს ძირითადი გადაწყვეტილება, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის ხელმეორედ განხილვა იმ მოტივით, რომლებიც მითითებულია 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში, ხოლო სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი თვითონ ზემდგომ სასამართლოსაც შეუძლია ისე, რომ არ გააუქმოს გადაწყვეტილება.

3. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს სასამართლო წყვეტს საქმეთა განხილვის საერთო წესის დაცვით, კერძოდ იგი ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს. მათი **გამოუცხადებლობა** ვერ დააბრკოლებს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას, ვერ გახდება **დაუსწრებელი დამატებითი გადაწყვეტილების** გამოტანის საფუძველი, რასაც სსკ საერთოდ არ ითვალისწინებს.

– დამატებითი გადაწყვეტილების შესახებ საკითხის დასმა და განხილვა ვერ შეაჩერებს ძირითადი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას და მისი ვადის დენის შეჩერებას.

4. დამატებითი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში იმ წესით და იმ ვადებში, როგორც ძირითადი გადაწყვეტილება (264-ე მუხლი) და მისი გასაჩივრება შეიძლება იმავე წესით, რა წესითაც ძირითადი გადაწყვეტილება (369-ე მუხლი).

– თუ ჯერ კიდევ არაა განხილული საჩივარი ძირითად გადაწყვეტილებაზე და მხარე ასაჩივრებს დამატებით გადაწყვეტილებას, მაშინ ეს მეორე საჩივარი ეგზავნება ზემდგომ სასამართლოს მათი ერთად განხილვისათვის. თუ მხარე არ ასაჩივრებს დამატებით გადაწყვეტილებას იგი შედის კანონიერ ძალაში. დამატებითი გადაწყვეტილება არის ძირითადი გადაწყვეტილების ორგანული ნაწილი, მაგრამ, თუ იგი არ გასაჩივრებულა, ითვლება, რომ ამ ნაწილში ძირითადი გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი შედის კანონიერ ძალაში.

5. თუ სასამართლოს აზრით არ არსებობს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები, მას გამოაქვს განჩინება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის

თქმის შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (414-420-ე მუხლები).

მუხლი 262. გადაწყვეტილების განმარტება

1. გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია განდაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

2. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. არ არის გამორიცხული, რომ გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ არ იყოს ჩამოყალიბებული ნათლად და გარკვევით, შეიცავდეს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია მისი განმარტება იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ განმარტების სახით **არ მოხდეს** გადაწყვეტილების უფრო ზუსტად კი მისი სარეზოლუციო ნაწილის ძირითადი **აზრისა და შინაარსის შეცვალა**.

- ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობას. ასეთი წინაპირობაა **გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვნება.**

– გადაწყვეტილების განმარტება რომ განხორციელდეს, აუცილებელია აგრეთვე შემდეგი პირობების არსებობა: 1) მხარის ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადება; 2) გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, ან ჯერ კიდევ არ გასულა მისი აღსრულების დრო, ანუ ჯერ კიდევ არ გასულა ათი წელი მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან (სამოქ. კოდექსის 142-ე მუხლი).

– ეს არის დრო, რომლის განმავლობაშიც შეიძლება მოხდეს აღსრულებადი გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება აღიარებით სარჩელზე (სსკ 180-ე მუხლი) გამოტანილი არა აღსრულებადი გადაწყვეტილების ან წინასწარ (შუალედურ) გადაწყვეტილებაზე განმარტება. ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ იგი მოითხოვს განმარტებას, შეიძლება განმარტოს სასამართლომ.

– განცხადებით, გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, შეიძლება მიმართონ სასამართლოს ნებისმიერ დროს მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანიდან მის აღსრულებამდე.

– დაუშვებელია იმ გადაწყვეტილების განმარტება, რომელიც აღსრულებულია.

– განჩინება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ეგზავნება ზემდგომ სასამართლოს თუ იქ განიხილება საჩივარი იმ გადაწყვეტილებაზე, რომლის განმარტებასაც ეხება ეს განჩინება.

– გადაწყვეტილების განმარტებას ახდენს ის სასამართლო (მოსამართლე), რომელმაც იგი გამოიტანა. თუ ის სასამართლო შემადგენლობა ან მოსამართლე არ არის, მაშინ განმარტებას გააკეთებს ამ სასამართლოს სხვა შემადგენლობა ან მოსამართლე.

– განჩინება განმარტების შესახებ არის გადაწყვეტილების ორგანული ნაწილი და ჩაეკერება საქმეში.

– გადაწყვეტილების განმარტების შესახებ მხარის გან-

ცხადების მიღება ან მისი განხილვა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

– დაუშვებელია გადაწყვეტილების განმარტების სახით ახალი გადაწყვეტილების მიღება ან ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა.

– განმარტების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას არამარტო გადაწყვეტილებების, არამედ განჩინებების მიმართაც, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია განმარტოს განჩინება ამ მუხლის ანალოგიით (კანონის ანალოგია).

2. გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ხოლო გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი არ შეიტანება.

მუხლი 263. გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა

1. სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

2. მხარეთა განცხადება განიხილება სასამართლო სხდომაზე, რომლის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტას.

3. გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების ან

წესის შეცვლის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის სამ შესაძლებელ ვარიანტს: 1) აღსრულების **გადადებას**; 2) აღსრულების **განაწილვადებას**; 3) აღსრულების **საშუალებისა** და **წესის შეცვლას**.

– **აღსრულების გადადება** ნიშნავს აღსრულების სხვა დროისათვის, ანუ უფრო მოგვიანებით გადატანას, ვიდრე ამას მოითხოვს აღსასრულებელი გადაწყვეტილება ან კანონი.ეს შესაძლებელია ერთჯერადად და სამ თვემდე ვადით.

– **აღსრულების განაწილვადება** ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილების ეტაპობრივად აღსრულების დადგენას. განაწილვადების შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს ზუსტ კალენდარულ დროს, რომელშიც უნდა მოხდეს აღსრულება და რა მოცულობით. მაგალითად, 2003 წლის 10 აპრილიდან 10 ივნისამდე – 1000 ლარი; 10 ივნისიდან 1 აგვისტომდე 2000 ლარი და ა. შ. განაწილვადება დასაშვებია ერთ წლამდე ვადით.

– განაწილვადება არ შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა ნივთი, რომელიც მოპასუხემ უნდა გადასცეს მოსარჩელეს – განუყოფადია.

– **აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა** ნიშნავს აღსრულების ერთი სახის მეორე სახით შეცვლას. მაგალითად, ამოაშენოს ტიხარი, მოანგრიოს კედელი და ა. შ. სასამართლოს შეუძლია უფლება მისცეს მოსარჩელეს თვითონვე შეასრულოს ეს მოქმედება მოპასუხის ნაცვლად და მის ხარჯზე (254-ე მუხლი), თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ, ე. ი. კანონიერ ძალაში შესვლამდე აღსრულებას – ეს იქნება აღსრულების წესის შეცვლა; თუ აუქციონის ნაცვლად სასამართლო დაადგენს სხვა გზით ქონების რეალიზაციას – ეს იქნება აღსრულების წესის შეცვლა და ა. შ.

– „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი ითვალისწინებს სააღსრულებო მოქ-

მედების **შეჩერებას**, რაც აღსრულების **გადადების ნაირსახეობაა** და ნიშნავს აღსრულების სხვა დროისათვის, ანუ, უფრო მოგვიანებით გადატანას, რაც სასამართლოს განჩინებით უნდა განხორციელდეს.

2. აღსრულების გადადება (შეჩერება), განაწილვადება, ან აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით. ამიტომ, მხარეთა განცხადება, მათ შორის განცხადება, რომელიც შეტანილია აღმასრულებელთან, უნდა გადაეცეს ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და განიხილოს მან ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.

– მხედველობაშია მისაღები, რომ აღსრულების გადადება (შეჩერება), განაწილვადება ან აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა დასაშვებია, თუ არსებობს ამისათვის გონივრული საფუძველი, როგორიცაა, მაგალითად, მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, როცა საკითხი ეხება ბინიდან გამოსახლებას, სტიქიური მოვლენები, სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლა, ქონებრივი მდგომარეობის მოულოდნელი გაუარესება და ა. შ.

3. კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ ისეთ განჩინებაზე, რომლითაც დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა (განცხადება) გადაწყვეტილების აღსრულების გადადების, განაწილვადების თუ მისი საშუალებისა და წესის შეცვლის შესახებ.

თავი XXVIII

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

მუხლი 264. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:

ა) გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაცო წესით გასაჩივრება;

ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;

გ) სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

დ) თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების)

გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

ეს მუხლი განსაზღვრავს პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა კანონიერ ძალაში შესვლის პირობებსა და წესს.

1. პირველი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაში შედის:

ა) როდესაც მხარეებმა ანუ გასაჩივრებაზე უფლებამოსილმა ყველა პირმა უარი თქვეს კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე (250-ე და 370-ე მუხლები).

ბ) თუ დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება, მაგრამ იგი არ იყო გასაჩივრებული კანონით დადგენილ 14 დღიან ვადაში (369-ე მუხლი).

ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის ამ 14 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ამ ვადის აღდგენა (გაგრძელება) დაუშვებელია, ხოლო ვადის დარღვევით საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

გ) თუ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მაშინ იგი **კანონიერ ძალაში შედის მას შემდეგ**, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ შევა კანონიერ ძალაში (იხ. ამ მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი).

დ) თუ მხარეებმა განაცხადეს უარი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. ასეთი უარი განცხადებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით (370-ე მუხლი), მაგრამ თუ ასეთი განცხადება მხარეებმა გააკეთეს სასამართლო სხდომაზე, მაშინ იგი უნდა აისახოს ოქმში და დადასტურდეს მხარეთა ხელმოწერით (იხ. 250-ე მუხლის კომენტარი).

ცხადია, არაა გამორიცხული, რომ გადაწყვეტილება,

რომლის გასაჩივრებაზე მხარეებმა უარი თქვეს ან, რომლის გასაჩივრების ვადა უკვე გავიდა, მაინც გაასაჩივრონ მათ. სააპელაციო სასამართლომ ასეთი საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს მისი დაუშვებლობის გამო, ხოლო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), კანონიერ ძალაში შედის:

ა) როდესაც მხარეებმა კანონით დადგენილი წესით (იხ. 370-ე მუხლი) უარი განაცხადეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

ბ) როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ იყო გასაჩივრებული კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში (იხ. 397-ე მუხლის კომენტარი).

გ) როდესაც საკასაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საკასაციო საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

დ) როდესაც საკასაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება „საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“ (401-ე მუხლის პირველი ნაწილი);

ე) როდესაც საკასაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო (403-ე მუხლი).

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები კანონიერ ძალაში შედიან დაუყოვნებლივ, მათი გამოცხადებისთანავე.

მუხლი 265. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

– კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის ერთადერთი გზა – ესაა საქმის წარმოების

განახლება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (421-ე მუხლი).

– არცერთ არასასამართლო ორგანოს ან თანამდებობის პირს უფლება არ აქვს შეცვალოს ან გააუქმოს სასამართლო გადაწყვეტილება. ყველა ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულია ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების აღსრულებას ქვეყნის ტერიტორიაზე.

მუხლი 266. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძვლზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართებლივი ურთიერთობანი.

ამ მუხლით განსაზღვრულია გადაწყვეტილების **სუბიექტური და ობიექტური ფარგლები**.

– გადაწყვეტილების **სუბიექტური ფარგლები** ვრცელდება: ა) მოსარჩელეზე; ბ) მოპასუხეზე; გ) მესამე პირებზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით; დ) მათ უფლებამონაცვლეებზე. ამ პირებზე ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა და მათ არ შეუძლიათ კვლავ აღძრან იგივე სარჩელი **ერთმანეთის** მიმართ.

აქ ჩამოთვლილ პირებზე გადაწყვეტილების სუბიექტური ფარგლები, ანუ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მხოლოდ ერთი აუცილებელი (სავალდებულო) პირობით: თუ ისინი მოწვეული იყვნენ საქმის განხილვაში, ე. ი. გაეგზავნათ შეტყობინება კანონით დადგენილი წესით (70-78-ე მუხლები). თუ ისინი არ იყვნენ მოწვეული ამ წესით – ეს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური (უდავო) საფუძველია (394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

– გადაწყვეტილების **ობიექტური ფარგლები** ვრცელდება: ა) იგივე სასარჩელო მოთხოვნაზე; ბ) იგივე საფუძველ-

ზე; გ) გადაწყვეტილების დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის (გადაწყვეტილების დროითი ფარგლები).

ეს იმას ნიშნავს, რომ იმ პირებს, რომლებზეც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათი უფლებამონაცვლეები), უფლება არ აქვთ კვლავ აღძრან **იგივე სარჩელი**, ე. ი. სარჩელი იგივე მოთხოვნით, იგივე საფუძვლით და იმავე პირებს შორის. მაგრამ, თუ ერთ-ერთი ელემენტი სხვაა, მაგალითად, სასარჩელო მოთხოვნა ან ამ სარჩელის საფუძველი სხვაა, ან მოთხოვნაც და საფუძველიც იგივეა, მაგრამ ერთ-ერთი მხარე, ვთქვათ მოპასუხე, სხვაა, მაშინ „იგივე" სარჩელის აღძვრა დასაშვებია.

– ამავე მუხლით განსაზღვრულია **გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა**, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი ურთიერთობანი აღარ საჭიროებენ დადგენას იმ პირობით თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში იგივე მხარეები მონაწილეობენ (106-ე მუხლი).

მუხლი 267. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება

გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

– აქ მხედველობაშია მხოლოდ გადაწყვეტილების **იძულებითი აღსრულება**, რაც დასაშვებია მხოლოდ ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (264-ე მუხლი). კანონი უშვებს ერთადერთ გამონაკლის ამ წესიდან, როდესაც სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების **დაუყოვნებლივ**, ე. ი. კანონიერ ძალაში შესვლამდე აღსრულებას (268-ე მუხლი).

– რაც შეეხება გადაწყვეტილების **ნებაყოფლობით** აღსრულებას – ეს დასაშვები და შესაძლებელია გადაწყვეტი-

ლების კანონიერ ძალაში შესვლამდეც და განსხვავებით იძულებითი აღსრულებისა, მთლიანად დამოკიდებულია **მოვალის ნება-სურვილზე**.

– გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში ან რომლის დაუყოვნებლივ აღსრულება დაადგინა სასამართლომ, ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 267[1]. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის და გადაწყვეტის წესი

1. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება სასამართლო სხდომაზე, რომლის დრო და ადგილი ეცნობებათ მხარეებს. მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.

2. გადაწყვეტილება მიიღება განჩინების ფორმით. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას მრავალი საკითხი, როგორიცაა მაგალითად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ (კანონიერ ძალაში შესვლამდე) აღსრულება, გადაწყვეტილების აღსრულების გადადება, განაწილვადება, შეჩერება, აღსრულების საშუალებებისა და წესის შეცვლა, აღსრულების უზრუნველყოფა და სხვა. ყველა ასეთი საკითხის განხილვა წარმოებს სასამართლო სხდომაზე მხარეთა შეტყობინებით, რომელთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება გათვალისწინებული იყოს კანონით. მაგალითად, ამ კოდექსის 271-ე

მუხლის თანახმად გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, თუ ამას დაუშვებს სასამართლო, უნდა განხორციელდეს ამავე კოდექსის 191-199-ე მუხლებით დადგენილი წესით. 193-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფის საკითხს სასამართლო განიხილავს მოპასუხის შეუტყობინებლად (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი **აუცილებლად საჭიროებს დაზუსტებას**: კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება არა აღსრულებასთან დაკავშირებით გამოტანილ ნებისმიერ განჩინებაზე, არამედ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ განჩინებაზე (იხ. მაგალითად, 263-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 270-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 267². სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება

1. აღსრულებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის, საქმის წარმოების შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოპასუხეს მოსარჩელემ უნდა დაუბრუნოს ყოველივე, რაც მას მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდა გაუქმებული გადაწყვეტილებით.

2. გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხს მოპასუხის განცხადების საფუძველზე წყვეტს ახალი გადაწყვეტილების ან განჩინების მიმღები სასამართლო.

1. გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება წარმოადგენს მოვალის, ე.ი. იმ მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, რომლის მიმართაც მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნებისათვის აუცილებელია **ორი პირობის ერთდროულად არსებობა:**

ერთი - იმ გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც უკვე აღსრულებულია და მეორე - იმ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, რომლის მიმართაც გამოტანილი იყო ადრე აღსრულებული გადაწყვეტილება, საქმის წარმოების შეწყვეტა ან ამ სარჩელის განუხილველად დატოვება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადრე აღსრულებული გადაწყვეტილება გაუქმდა, მაგრამ სარჩელის ბედი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი - გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება ვერ განხორციელდება, რადგან არ შეიძლება წინასწარ იყოს ცნობილი, თუ როგორი გადაწყვეტილება იქნება მიღებული სარჩელის განხილვის შედეგად.

- სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შემთხვევაში მოსარჩელემ მოპასუხეს უნდა დაუბრუნოს ყოველივე, რაც მან მიიღო მოპასუხისაგან გადაწყვეტილების აღსრულებით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულებული გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო ნაწილობრივ უარი ეთქვა მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე, მაშინ მოსარჩელემ უნდა დაუბრუნოს მოპასუხეს ყოველივე, რაც მან მიიღო სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის მიხედვით, რომლის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა მას.

2. გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება შეიძლება განხორციელდეს მოპასუხის შუამდგომლობით. სასამართლოს ინიციატივით გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნებას კანონი არ ითვალისწინებს. გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ან, კიდევ, განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

- თუ არსებობდა მოპასუხის შესაბამისი განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ, მაშინ ახალი გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ მიუთითებს ამ ახალ გადაწყვეტილებაში. თუ ასეთი განცხადებით მოპასუხე მიმართავს სასამართლოს მას შემ-

დეგ, როდესაც გამოტანილი იქნა ახალი გადაწყვეტილება, მაშინ სასამართლო რომელმაც ეს ახალი გადაწყვეტილება გამოიტანა ნიშნავს სასამართლო სხდომას, ამ განცხადების განსახილველად, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს განცხადების განხილვას.

გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილების შებრუნების შესახებ შეიძლება მიიღოს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა, იმის მიხედვით, თუ რომელი ინსტანციის სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება გაუქმებულის ნაცვლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმებული გადაწყვეტილებიდან და საქმეში არსებული მასალებიდან არ ჩანს გარკვევით თუ რა ხასიათისა და მოცულობის გადახდევინება განხორციელდა - სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს შეუძლიათ გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხი გადასაწყვეტად დაუბრუნონ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ახალი გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 268. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი

მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) ამოღებულია;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

2. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

1. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით და არა თავისი ინიციატივით. დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვების საკითხი განიხილება 269-ე მუხლით დადგენილი წესით.

– ეს მუხლი შეიცავს იმ გადაწყვეტილებათა მხოლოდ სანიმუშო ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება გადაეცეს დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის. **ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილებაც** შეიძლება გადაეცეს დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის თუ არსებობს „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

2. გადაწყვეტილების გადაცემა დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის **არ ნიშნავს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას**. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება შესაბამისად სააპელაციო ან

საკასაციო წესით. ცხადია, არაა გამორიცხული, რომ ზემდგომმა სასამართლომ გააუქმოს ან შეცვალოს ეს გადაწყვეტილება, მიღებულ იქნეს სხვა გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში წამოიჭრება ორი საკითხი: **ერთი** – გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხი და **მეორე** – იმ ზარალის ანაზღაურების საკითხი, რომელიც მიადგა მხარეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების გამო.

– გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფისათვის სასამართლოს შეუძლია დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე, ან თავისი ინიციატივით მოსთხოვოს გადამხდევინებელს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შესაბამისი ოდენობის თანხის შეტანით საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე, ან რომელიმე საკრედიტო დაწესებულების თავდებობაში (57-ე მუხლი).

3. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მხარეს (გადამხდევინებელს), ან გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდეს. ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი ეკისრება შუამდგომლობის აღმძვრელ პირს.

– სასამართლომ უარი უნდა თქვას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე, თუ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვერ დაამტკიცებს ზემოთ მითითებულ გარემოებებს, ან თუ შეუძლებელი იქნება იმ ზარალის (ზიანის) გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც დაუყოვნებლივ აღსრულების მომთხოვნი პირი ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

– იმ ზიანის მოცულობის დამტკიცების ტვირთი, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს (მოვალეს) გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებით, ეკისრება ამ მოწინააღმდეგე მხარეს (მოვალეს).

მუხლი 269. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი შეიძლება განხილულლ იქნეს იმავე სხდომაზე, რომელზედაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი იმავე სხდომაზე არ განიხილება, მაშინ სასამართლო ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც აცნობებს მხარეებს; მხარეების გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.

– სანამ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არაა მიღებული, შეუძლებელია ვილაპარაკოთ მის აღსრულებაზე. ამიტომ, თუ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისათვის საჭიროა მისი კანონიერ ძალაში შესვლა, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის **საჭიროა ჯერ გადაწყვეტილების მიღება**.

– მხარემ შეიძლება მიმართოს სასამართლოს ჯერ კიდევ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსრულების შესახებ შეიძლება განიხილოს სასამართლომ მხოლოდ ამ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და იმავე სხდომაზე, რომელზეც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება.

– ისეთ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვების საკითხის განხილვა შეიძლება მოხდეს არა სასამართლოს ინიციატივით, არამედ მხარეთა შუამდგომლობით და 268-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობების დაცვით (იხ. ამ მუხლის კომენტარი), ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს **სასამართლო განჩინებით** და არა იმ გადაწყვეტილებით, რომელიც დაუყონებლივ უნდა აღსრულდეს.

მუხლი 270. დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც არ შეაჩერებს ამ განჩინების შესრულებას.

– დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ მხარის განცხადების განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს განჩინება. სასამართლოს განჩინება დაუყოვნებლივ აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ არ გასაჩივრდება. სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით 416-ე მუხლით დადგენილი წესით. კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია თავისი განჩინებით შეაჩეროს ასეთი აღსრულება (418-ე მუხლი).

- თუ გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსრულების საკითხი ამავე გადაწყვეტილებით იქნა დადგენილი, მაშინ ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, ამ ნაწილში.

მუხლი 271. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

– გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების გარანტიას. თუ სასამართლომ დაადგინა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, ამ გადაწყვეტილების უზრუნველყოფა საჭირო აღარაა, რადგან დაუყოვნებლივ აღსრუ-

ლება, თავის მხრივ წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას. საჭირო არაა აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, რადგან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონი შეიცავს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების ყველა საჭირო მექანიზმებს.

– გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა წარმოებს ამ კოდექსის XXIII თავით (191-199-ე მუხლები) დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

თ ა ვ ი XXIX

საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

მუხლი 272. საქმის წარმოების შეწყვეტა

სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის;

ბ) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

გ) მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე;

დ) მხარეები მორიგდნენ;

ე) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა;

ვ) მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ ეს დავა გადასაწყვეტად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს.

ზ) კანონით დადგენილია სხვა შემთხვევა.

სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში, როგორც წესი, მთავრდება ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანით, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უშვებს საქმის წარმოების დამთავრებას გადაწყვეტილების გამოტანის გარეშეც, კერძოდ; ა) განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და ბ) განჩინებით სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. საქმის წარმოების

დამთავრების ეს ორი ფორმა განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც საფუძვლებით, ისე თავისი შედეგებით.

– **საქმის წარმოების შეწყვეტა** სასამართლოს შეუძლია არა მარტო მხარეთა შუამდგომლობით, არამედ თავისი ინიციატივითაც, ოღონდ თუ არსებობს ამ მუხლში ჩამოთვლილი საფუძვლები. ეს საფუძვლები ასეთია:

ა) ამ პუნქტს მხედველობაში აქვს **უწყებრივი ქვემდებარეობა** ანუ სასამართლო საქვეუწყებობა (მე-11 მუხლი) და **არა განსჯადობა** (13-24-ე მუხლები). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა ძლიერ გაფართოებულია: ყველა დავა, რომელიც სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს, ექვემდებარება სასამართლოს. ამასთან ერთად, არსებობს დავები, რომლებიც თუმცა სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან გამომდინარეობენ, მაგრამ მათი განხილვის კომპეტენცია მიკუთვნებული აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში საერთო სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი (განცხადება) წარმოებაში (186-ე მუხლი), ხოლო თუ შეცდომით მიიღო – უნდა **შეწყვიტოს საქმის წარმოება**.

– ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა. უწყებრივი ქვემდებარეობა პასუხობს კითხვაზე: ექვემდებარება თუ არა საქმე საერთო სასამართლოებს უწყებრივად. ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემისას წამოიჭრება მეორე საკითხი: რომელმა კონკრეტულმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე. ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს განსჯადობა. თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არაა, საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში საქმე სასამართლომ უნდა გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს (23-ე მუხლი), ან კიდევ, შესაბამისი პირობების არსებობისას თვითონ განიხილოს ეს საქმე (21-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ბ) ამ პუნქტით საქმის წარმოების შეწყვეტა დასაშვებია: 1) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება **იგივე სარჩელზე**. სარჩელი იგივეა, თუ იგივეა სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი), სარჩელის საფუძველი და იგი აღძრულია იმავე მხარეებს შორის. თუ ერთ-ერთი ელე-

მენტი სხვაა, მაგალითად, მოთხოვნა იგივეა, მაგრამ საფუძველი სხვაა, ან კიდევ, ყველაფერი და მათ შორის მოსარჩელე იგივეა, მაგრამ მოპასუხე სხვაა და ა. შ. სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს; 2) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ **იგივე სარჩელის** მიმართ მხარეები მორიგდნენ ან მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

გ) ამ ქვეპუნქტით საქმის წარმოების შეწყვეტას საფუძვლად უდევს დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე პირის უფლება განკარგოს თავისი უფლებები. მოსარჩელე სარჩელზე უარის თქმით განკარგავს თავის უფლებას (მე-3 და 98-ე მუხლები). ამიტომ, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, რადგან აღარ არსებობს დავის საგანი, რომლის მიმართ სასამართლომ უნდა გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.

– სარჩელზე უარის თქმა, როგორც მოსარჩელის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვა, უნდა განვასხვავოთ მოსარჩელის მიერ **ამ ეტაპზე** სარჩელის განხილვაზე უარის თქმისაგან, ე. ი. როდესაც მოსარჩელეს აღარ სურს **ამ ეტაპზე სარჩელის განხილვა** და მოითხოვს სარჩელის უკან დაბრუნებას (სარჩელის გამოხმობა). (იხ. 83[1]-ე მუხლის კომენტარი) . ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოების შეწყვეტა დაუშვებელია, რადგან მოსარჩელე კარგავს უფლებას კვლავ მიმართოს სასამართლოს იგივე სარჩელით (იხ. მე-3 მუხლის კომენტარი).[37]

დ) მორიგებით საქმის დამთავრება, ისევე, როგორც სარჩელზე უარის თქმა, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა (მე-3 მუხლი). საქმის მორიგებით დამთავრებით მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება არამარტო იურიდიულად, არამედ ფაქტიურადაც. ამიტომ, სასამართლომ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და ყოველთვის უნდა ეცადოს მოარიგოს მხარეები, დაამთავროს საქმე მორიგებით.

[37] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე №7,2002, გვ.1141.

ე) ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას, თუ უფლებამონაცვლეობა, მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია. მაგალითად, მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების შესახებ. მოსარჩელე საქმის განხილვის პროცესში გარდაიცვალა. სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე, რადგან სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირი გარდაიცვალა და მის ნაცვლად სხვა პირს სარჩოს მიღების უფლება არ აქვს.

რაც შეეხება იურიდიულ პირს, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ მხარედ მყოფი იურიდიული პირის ლიკვიდაცია მოხდა, რადგან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა არ წარმოიშობა.

3) **მხარეთა შეთანხმებას**, დავის კერძო არბიტრაჟის, ანუ სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, აქვს იურიდიული ძალა. ამიტომ, თუ ერთ-ერთი მხარე მაინც მიმართავს სასამართლოს სარჩელით, სასამართლომ არ უნდა მიიღოს ეს სარჩელი (სსკ-ის 186-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), ხოლო თუ შეცდომით მიიღებს, უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.

– ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ შეტანილი სახელმწიფო ბაჟი.

საქმის წარმოების შეწყვეტის აქ ჩამოთვლილი საფუძვლები არაა ამომწურავი. კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 273. განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

1. საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით. თუ საქმის წარმოება შეწყვეტილია იმის გამო, რომ საქმე კანონის თანახმად სასამართლოს არ ექვემდებარება, სასამართ-

ლო ვალდებულია მიუთითოს, თუ რომელ ორ-განოს უნდა მიმართოს განმცხადებელმა.

2. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც 272-ე მუხლში გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ სარჩელის წარმოებაში მიღებამდე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ (186-ე მუხლი) მხარეთა შეუტყობინებლად, ოღონდ მოსარჩელეს უნდა გაეგზავნოს ამ განჩინების ასლი. მაგრამ, თუ ასეთი საფუძველი წარმოიშვა სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაგალითად, მხარეები მორიგდნენ, მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, ან ერთ-ერთი მხარე გარდაიცვალა ან მოხდა იურიდიული პირის ლიკვიდაცია, სასამართლომ უნდა მოიწვიოს მოსამზადებელი სხდომა, თუ ეს ხდება მომზადების სტადიაზე, ან მთავარი სხდომა, თუ ყოველივე ეს ხდება საქმის მომზადების დამთავრებისა და მთავარი სხდომის დანიშვნის შემდეგ (207-ე მუხლი) და ამ სხდომაზე მიიღოს შესაბამისი განჩინება.

2. საქმის წარმოების შეწყვეტას უკავშირდება ძალიან სერიოზული შედეგი: იგივე სარჩელით სასამართლოში ხელმეორედ მიმართვა დაუშვებელია. იგივე სარჩელში იგულისხმება სარჩელი იგივე მოთხოვნით, იმავე საფუძვლით და იმავე მხარეებს შორის.

მუხლი 274. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გასაჩივრება

სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

– საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა და განხილვა წარმოებს 414-420-ე მუხლებით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

მუხლი 275. სარჩელის განუხილველად დატოვება

სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ:

ა) სარჩელი (განცხადება) შეიტანა ქმედუუნარო პირმა, ხოლო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი;

ბ) სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;

გ) სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვებისა;

დ) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა;

ე) იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

ვ) დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

– სარჩელის განუხილველად დატოვებით, ისე როგორც საქმის წარმოების შეწყვეტით, მთავრდება საქმის წარმოება სასამართლოში. სარჩელის განუხილველად დატოვება დასაშვებია ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით.

ა) სასამართლოს **შეუძლია არ მიიღოს სარჩელი** წარმოებაში, თუ იგი შეიტანა ქმედუუნარო პირმა (186-ე მუხლის

„ვ“ ქვეპუნქტი). ქმედუუნაროდ ითვლება სრულწლოვანებას მიუღწეველი პირი (81-ე მუხლის მე-2 ნაწილი), აგრეთვე სრულწლოვანებას მიღწეული, მაგრამ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირები. თუ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიღო სარჩელი წარმოებაში და შემდეგ გამოირკვა, რომ მოსარჩელე არის ქმედუუნარო, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლოს **შეუძლია** დაუნიშნოს ასეთ მოსარჩელეს საპროცესო წარმომადგენელი (82-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუ საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა მიზანშეწონილად არ მიაჩნია, სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს.

არ არის გამორიცხული, რომ სარჩელი შეიტანოს პირმა, რომელიც, მართალია, არაა აღიარებული სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, მაგრამ აშკარად ვერ უწევს თავის მოქმედებას ანგარიშს, ე. ი. **ფაქტიურად ქმედუუნაროა**; ასეთ შემთხვევაშიც, სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი სსკ-ის 82-ე მუხლის ანალოგიით (იხ. ამ მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი).

– ამ მუხლის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითებს აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 1277-ე მუხლი, რომლის თანახმად, მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს იურიდიულად ქმედუნარიან პირს, ე. ი. პირს, რომელიც არაა აღიარებული სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, მაგრამ, რომელსაც არ შეუძლია თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.[38]

თუ სასამართლოს არ მიაჩნია მიზანშეწონილად საპროცესო წარმომადგენლის (მზრუნველის) დანიშვნა, ის სარჩელს განუხილველად დატოვებს.

– არ არის გამორიცხული, რომ უფლებამოსილმა პირმა შეიტანოს განცხადება პირის ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ (322-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება (279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).

[38] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ, 2001

ბ) ამ პუნქტს მხედველობაში ჰყავს **არაუფლებამოსილი პირი** და არა არასათანადო მხარე. არასათანადო მოსარჩელე – ეს ის პირია, რომელიც მიმართავს სასამართლოს „თავისი“ უფლების დასაცავად, რომელიც სინამდვილეში მისი კი არა, სხვისი უფლებაა (84-ე მუხლი), არაუფლებამოსილი პირი კი – ეს ისეთი პირია, რომელიც მიმართავს სასამართლოს **არა თავისი**, არამედ **სხვისი უფლების** დასაცავად, მაგრამ ამისათვის მას არ გააჩნია ამ სხვა პირისაგან სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილება (96-ე მუხლი).

გ) მოსარჩელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ოღონდ, თუ ამის შესახებ შუამდგომლობს მოპასუხე. მაგრამ, თუ მოპასუხე წინააღმდეგია, მაშინ სასამართლოს შეუძლია დატოვოს სარჩელი განუხილველად, ოღონდ ამაზეც საჭიროა მოპასუხის თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გადადებს საქმის განხილვას.

დ) თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არცერთი მხარე და მათი წარმომადგენელები არ გამოცხადნენ, რომლებსაც გაეგზავნათ **შეტყობინება 70-78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით**, მაშინ სასამართლო სარჩელს განუხილველად დატოვებს (იხ. 231-ე მუხლის კომენტარი).

ე) ამ პუნქტში მითითებული საფუძვლის არსებობისას სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი, მაგრამ თუ შეცდომით მიიღო, მაშინ განუხილველად უნდა დატოვოს იგი.

– ეს პუნქტი ემყარება პრინციპს, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე სარჩელი ორმა (ან მეტმა) სხვადასხვა სასამართლომ განიხილოს. ამიტომ, თუ აღმოჩნდება, რომ ერთი და იგივე სარჩელი აღძრულია იმავე ან სხვა სასამართლოში, ერთერთმა სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს. მაგრამ რომელმა? ამ პუნქტის აზრით, სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს იმ სასამართლომ, რომელშიც უფრო გვიან შევიდა სარჩელი (განცხადება). ამის გარკვევა არ წარმოადგენს სირთულეს, თუ მიღებულია განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. თუ ასეთი განჩინება არ იყო მიღებული, მაშინ უნდა გაირკვეს, რომელ სასამართლოში უფრო ადრე გავიდა 5 დღე სარჩელის შემოსვლიდან, რომლის შემდეგ სარჩელი წარმოებაში მიღებულად ითვლება (183-ე მუხლი).

ვ) სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების უკან გათხოვა (გამოხმობა) გათვალისწინებულია 83[1] მუხლით (იხ. კომენტარი).

– ამ მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ შეტანილი სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 276. სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრება

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში საქმის წარმოება მთავრდება სასამართლო განჩინებით, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

– თუ სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 275-ე მუხლის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გამოვლინდა საქმის მომზადების სტადიაზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება მხარეთა შეტყობინების გარეშე, ისე, როგორც ეს შესაძლებელია ამავე საფუძვლებით სარჩელის მიღებაზე უარის თქმის დროს (186-ე მუხლი), მაგრამ თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია – შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა (205-ე მუხლი).

– სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძვლები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 275-ე მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ამიტომ განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ ამ საფუძვლებით შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ მთავარ სხდომაზე.

– ყველა შემთხვევაში მხარეებს უნდა ეცნობოთ ასეთი განჩინების შესახებ კანონით დადგენილი წესით, რადგან ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა სსკ-ის 414-420-ე მუხლებით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

მუხლი 277. ხანდაზმულობის ვადის დადგენა სარჩელის განუხილველად დატოვების დროს

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება.

– სარჩელის განუხილველად დატოვებით მხარეს არ ერთმევა უფლება კვლავ აღძრას იგივე სარჩელი (278-ე მუხლი). სარჩელის აღძვრა შეიძლება მოხდეს საერთო წესის დაცვით; რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, სარჩელის განუხილველად დატოვებით ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა არ ხდება. ამის შესახებ მითითებულია აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლში.[39]

მუხლი 278. განუხილველად დატოვებული სარჩელის განმეორებით წარდგენა

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით.

1. თუ განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ შევიდა კანონიერ ძალაში, ე. ი. არ გაუსაჩივრებია მხარეს ან გაასაჩივრა, მაგრამ დატოვებულ იქნა უცვლელად, მას აღარ შეუძლია მოითხოვოს საქმის განახლება. საქმე ითვლება დამთავრებულად.

– ამის შემდეგ მხარეს შეუძლია კვლავ აღძრას იგივე სარჩელი, ოღონდ თუ აღარ არსებობს ის საფუძვლები, რის გამოც სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული. სარჩელის აღძვრა უნდა მოხდეს საერთო წესის დაცვით, მათ შორის, კვლავ უნდა იქნეს შემოტანილი სახელმწიფო ბაჟი.

[39] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ.,1999, გვ.333

თ ა ვ ი XXX

საქმის წარმოების შეჩერება

მუხლი 279. სასამართლოს მოვალეობა შეაჩეროს საქმის წარმოება

სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას;

გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილებში მყოფი მოსარჩელის თხოვნით;

დ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით;

დ[1]) თუ საქმეს განიხილავს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია ან კომისიის კომიტეტი;

ე) მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

– ეს მუხლი ითვალისწინებს საქმის წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძვლებს, ე. ი. საფუძვლებს, როდესაც საქმის წარმოების შეჩერება სავალდებულოა.

ა) მოქალაქის გარდაცვალება მხოლოდ მაშინ იწვევს საქმის წარმოების შეჩერებას, როდესაც უშვებს უფლებამონაცვლეობას. მაგალითად, მოქალაქემ აღძრა მემკვიდრეობითი ურთიერთობიდან გამომდინარე სარჩელი და გარდაიცვალა. სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას. მაგრამ

თუ აღძრული იყო სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ და მოსარჩელე გარდაიცვალა, სასამართლომ საქმის წარმოება კი არ უნდა შეაჩეროს, არამედ უნდა შეწყვიტოს (272-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი).

– ამ პუნქტში ლაპარაკია იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტაზე. შეწყვეტა ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროსაც. ლიკვიდაციის შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა არ წარმოიშობა (სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლი, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლი).[40] ამიტომ, „შეწყვეტა" აქ უნდა განვიხილოთ როგორც იურიდიული პირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და არა როგორც იურიდიული პირის ლიკვიდაცია. ამიტომ, სასამართლო კარგად უნდა გაერკვეს ჰქონდა ადგილი ლიკვიდაციას (შეწყვეტას), თუ იურიდიული პირის რეორგანიზაციას. საქმის წარმოება შეჩერდება, თუ ადგილი ჰქონდა იურიდიული პირის რეორგანიზაციას.

ბ) ამ პუნქტის მიხედვით იგულისხმება, რომ თავის დროზე სასამართლომ სწორად მიიღო სარჩელი ქმედუნარიანი პირისაგან, მაგრამ შემდეგ გახდა იგი ქმედუუნარო. ქმედუუნაროდ ითვლება პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებითაა ასეთად აღიარებული (322-ე მუხლი). ასეთ პირს ენიშნება მეურვე, რომლის პროცესში ჩაბმამდე შეჩერდება საქმის წარმოება (326-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი).

– არ არის გამორიცხული, რომ მოსარჩელემ საქმის წარმოების პროცესში დაკარგოს უნარი, ანგარიში ვერ გაუწიოს თავის მოქმედებას, ე.ი. გახდეს **ფაქტიურად ქმედუუნარო**, ხოლო საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად ამ პირის ქმედუუნაროდ აღიარებამდე და მისთვის მეურვის დანიშვნამდე სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი (82-ე მუხლი), და მის დანიშვნამდე შეაჩეროს საქმის წარმოება.

გ) თუ მოპასუხე იმყოფება საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში – სასამართლო შეაჩერებს საქ-

[40] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,წიგნი პირველი, თბ., 1999, გვ.140; **ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე,** „მეწარმეთა შ ესახებ" კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბ.,2002, გვ.172

მის წარმოებას მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მოპასუხის შუამდგომლობა, მაგრამ თუ მოსარჩელეა შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილებში, მაშინ საჭიროა მისი თხოვნა შეჩერების შესახებ. იგულისხმება, რომ მხარეებს ჩაბარდათ უწყება კანონით დადგენილი წესით (70-78-ე მუხლები).

დ) ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის წარმოების შეჩერება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა კატეგორიის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს **პრეიუდიციული** (წინასწარ გადამწყვეტი) მნიშვნელობა ამ საქმის გადაწყვეტისას (106-ე მუხლი).

ამიტომ, სანამ საქმის წარმოებას შეაჩერებდეს, სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ **რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს მიერ განიხილება**, კერძოდ, გამომდინარეობენ თუ არა ისინი **ერთი და იგივე ფაქტობრივი საფუძვლებიდან და სამართლებრივი ურთიერთობიდან**.

ამასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის სამართლებრივი პოზიცია, რომელიც მან ჩამოაყალიბა ერთ-ერთ თავის განჩინებაში. მან დაუშვებლად ჩათვალა სსკ 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერება, „რადგან განსახილველი საქმის დავის საგანს წარმოადგენს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით და არავითარი კავშირი არ არის ელექტროენერგიის ტარიფის შესახებ ნორმატიული აქტის ანტიკონსტიტუციურად ცნობის კონსტიტუციურ სარჩელთან.“[41]

ე) კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გარკვევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა. ამიტომ, თუ საქმის განმხილველ სასამართლოს ეჭვი ეპარება მის მიერ გამოსაყენებელი

[41] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე. №2,2003,გვ.259.

კანონის კონსტიტუციურობაში, მან უნდა შეაჩეროს საქმე და მიმართოს წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს (მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი).

მუხლი 280. სასამართლოს უფლება შეაჩეროს საქმის წარმოება

სასამართლოს, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ:

ა) მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად;

ბ) მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში;

გ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არა აქვს გამოცხადდეს სასამართლოში, და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

დ) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა.

– ამ მუხლში ჩამოთვლილი გარემოებების არსებობისას სასამართლო **არაა ვალდებული** შეაჩეროს საქმის წარმოება. სხვანაირად აქ ჩამოთვლილ გარემოებებს საქმის წარმოების შეჩერების **ფაკულტატურ საფუძვლებს** უწოდებენ.

შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ გადადოს საქმის განხილვა, დამოკიდებულია მოსამართლის მიხედულებაზე.

მაგალითად, სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა. იმის გათვალისწინებით, თუ რა სირთულის გამოკვლევაა ჩასატარებელი, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ვადა და კი არ შეაჩეროს საქმის წარმოება, არამედ გადადოს საქმის განხილვა.

– საქმის წარმოების შეჩერების არასავალდებულო საფუძვლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მხარის ავადმყოფობა. პრაქტიკაში არც ისე იშვიათია შემთ-

ხვევა, როცა მხარე ნამდვილად მძიმედაა დაავადებული და არც ჩანს რაიმე პერსპექტივა მისი ახლო მომავლში გამოჯანმრთელებისა. არადა მოწინააღმდეგე მხარე საქმის განხილვის გაჭიანურებით ნახულობს დიდ ზარალს. ავადმყოფი მხარე კი არავითარ განზრახვას, მიანდოს საქმის წარმოება ადვოკატს (წარმომადგენელს), არ ამჟღავნებს. თუ ასეთი პირი მოსარჩელეა, მიზანშეწონილი იქნება საქმის წარმოების შეჩერება მის გამოჯანმრთელებამდე, მაგრამ, თუ ასეთი პირი მოპასუხეა, სასამართლომ სსკ-ის 82-ე მუხლის ანალოგიით მას უნდა დაუნიშნოს მისივე ოჯახის რომელიმე წევრი საპროცესო წარმომადგენლად, ხოლო თუ ოჯახის წევრებს შორის ასეთი პირი არ არსებობს, მაშინ სხვა ნებისმიერი პირი, რომელიც შეძლებს ავადმყოფი მოპასუხის ინტერესების დაცვას (იხ. 82-ე მუხლის კომენტარი).

ასეთი პირისათვის საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა შეიძლება მოხდეს მას შემდეგ, როდესაც სასამართლო შესთავაზებს მას დაუნიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე (თუ მას ამ ხარჯების ანაზღაურება არ შეუძლია), ხოლო ავადმყოფი მოპასუხე ამის კატეგორიული წინააღმდეგია (იხ. 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი).

– რაც შეეხება ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოპასუხის ძებნის გამოცხადებას, ეს გათვალისწინებულია 356[6]-ე მუხლით რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვისას (იხ. ამ უხლის კომენტარი). “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი ითვალისწინებს **პოლიციის მეშვეობით მოვალის ძებნის** გამოცხადების შესაძლებლობას გარკვეული კატეგორიის საქმეებზე გამოტანილი და **კანონიერ ძალაში** შესული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით.

– ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის წარმოების შეჩერების ვადებს განსაზღვრავს სსკ-ის 281-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

მუხლი 281. საქმის წარმოების შეჩერების ვადები

საქმის წარმოება შეჩერდება:

ა) 279-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქმიდან გასული პირის უფლებამონაცვლის დადგენამდე ან ქმედუუნარო პირისათვის წარმომადგენლის დანიშვნამდე;

ბ) 279-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და 280-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში – შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მხარის ყოფნამდე, მის მიერ სახელმწიფო მოვალეობის შესრულებამდე, სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე, სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერამდე ან გამოჯანმრთელებამდე, მოპასუხის მოძებნამდე ან ექსპერტიზის დამთავრებამდე;

გ) 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე;

დ) 279-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე.

ა) უფლებამონაცვლეობა მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში ანუ **სადავო უფლების გადასვლა** ერთი პირიდან მეორეზე (მაგალითად, მემკვიდრეობის გახსნის დროს) არის საპროცესო **უფლებამონაცვლეობის საფუძველი**, მაგრამ არა მისი სავალდებულო შედეგი.

ეს იმას ნიშნავს, რომ უფლებამონაცვლის მიერ მისი წინამორბედის ადგილის დაკავება სამოქალაქო პროცესში დამოკიდებულია თვით უფლებამონაცვლის ნებაზე: დაიკავოს, თუ არა საქმიდან გასული **მოსარჩელის ადგილი** პროცესში

– ეს მთლიანად დამოკიდებულია ამ გასული მოსარჩელის უფლებამონაცვლის **ნება-სურვილზე**. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა უჭირავს მოპასუხის უფლებამონაცვლეს, რომელიც **უნდა ჩაებას პროცესში**, თუ ამას მოსარჩელე ან მისი უფლებამონაცვლე მოითხოვს. თუ მოპასუხის უფლებამონაცვლე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება და გაფრთხილებული იყო გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, არ გამოცხადდება მთავარ სხდომაზე, მის მიმართ გამოტანილი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილება (92-ე მუხლი).

– თუ მხარემ დაკარგა ქმედუნარიანობა (279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ე. ი. აღიარებული იქნა კანონით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ, მას ენიშნება მეურვე (326-ე მუხლი), რომელსაც ენიჭება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სასამართლოში (101-ე მუხლი).

– უფლებამონაცვლეებმა სასამართლოს უნდა წარუდგინონ უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი საბუთები, მაგალითად, მოწმობა მემკვიდრეობის უფლების შესახებ, მოთხოვნის ან უფლების დათმობის ხელწერილი, ვადის გადაკისრების ხელშეკრულება, იურიდიული პირის რეორგანიზაციის მასალები და ა. შ. არ არის გამორიცხული, რომ უფლებამონაცვლე არ იყოს დაინტერესებული საქმის განახლებით და, ამიტომ, არც აცნობოს სასამართლოს ამის შესახებ. მაშინ ეს შეუძლია გააკეთოს მოწინააღმდეგე მხარემ, რომელიც დაინტერესებულია საქმის განახლებით (იხ. 92-ე მუხლის მე-3 ნაწილის კომენტარი).

ბ) დემობილიზაციის შესახებ აქტების საფუძველზე დადგინდება შეიარაღებული ძალებიდან დაბრუნების ფაქტი, სახელმწიფო მოვალეობის შესრულების, მივლინებიდან დაბრუნების, სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის, ექსპერტიზის დამთავრების შესახებ ფაქტები დადასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით.

გ) სასამართლო გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების ძალაში შესვლა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო და სისხლის საპროცესო კოდექსებით. საქმის განახლება არ შეიძლება ამ აქტების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

დ) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კა-

ნონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ. სასამართლო განაახლებს საქმეს, როგორც კი საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა გადმოეგზავნოს სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოს (მე-16 მუხლი).

– საქმის წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა ხდება საერთო წესით (283-ე მუხლი).

მუხლი 282. სასამართლო განჩინების გასაჩივრება

საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, გარდა ამ კოდექსის 280-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

– დამოუკიდებლად იმისა, თუ ვისი ინიციატივით ხდება საქმის წარმოების შეჩერება (მხარეთა თხოვნით, თუ სასამართლოს ინიციატივით), განჩინება შეჩერების შესახებ შეიძლება გაასაჩივროს მხარემ კერძო საჩივრით (414-420-ე მუხლები) გარდა განჩინებისა ექსპერტიზის დანიშვნის გამო საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

– განჩინებაზე საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მუხლი 283. საქმის წარმოების განახლება

საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება. წარმოების განახლების შემდეგ საქმის განხილვა ხდება საერთო წესით.

– საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს

საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დღე. მხარეებს უნდა ეცნობოთ საქმის განახლების შესახებ, საქმის განხილვის დღისა და იმ შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლება მოყვეს მის გამოუცხადებლობას (72-ე მუხლი).

– საქმის განხილვა გაგრძელდება იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც იგი შეჩერდა.

– საქმის წარმოების განახლების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თ ა ვ ი XXXI

სასამართლო განჩინება

მუხლი 284. განჩინების გამოტანა

1. სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.

2. სასამართლო განჩინებას, რომელიც მიღებულია ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ხელს აწერს ეს მოსამართლე, ხოლო თუ იგი მიღებულია კოლეგიური სასამართლოს მიერ – – ყველა მოსამართლე.

3. თუ განჩინება მიღებულია სათათბირო ოთახში გაუსვლელად, ის შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

4. განჩინება, რომელსაც სასამართლო იღებს ადგილზე თათბირით, უნდა გამოცხადდეს მიღებისთანავე. თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა განჩინება, განმარტავს ამ განჩინების შინაარსს, მისი გასაჩივრების წესსა და ვადას, რაც აისახება სხდომის ოქმში.

5. თავმჯდომარე ან მოსამართლე სათაბირო ოთახში მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილს აცხადებს თათბირის შემდეგ. თავმჯდომარე ან მოსამართლე, რომელმაც გამოაცხადა განჩინება, განმარტავს ამ განჩინების შინაარსს, მისი გასაჩივრების წესსა და ვადას.

6. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ განჩინებას მხარეთათვის გადასაცემად.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი და ამ კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილი ნათლად და გარკვევით განასხვავებენ სასამართლო გადაწყვეტილებისა და სასამართლო გან-

ჩინების გამოყენების სფეროებს: **საქმის არსებითად გადაწყვეტის დროს სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, ხოლო საქმის განხილვის დროს წამოჭრილი ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას გამოაქვს განჩინება.**

2. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც საქმე განიხილება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ყველა განჩინებას ხელს აწერს ეს მოსამართლე (მაგისტრატი მოსამართლე). სასამართლო სისტემის ყველა სხვა რგოლში საქმე განიხილება კოლეგიურად, ამიტომ, თუ განჩინება გამოაქვს სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას, მას ხელს აწერს ამ შემადგენლობის ყველა მოსამართლე, არ არის გამორიცხული, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება დაევალოს კოლეგიური სასამართლოს რომელიმე მოსამართლეს, მაგალითად, სარჩელის მიღება წარმოებაში (187-ე მუხლი) საქმის მომზადება (მე-200 მუხლი) და სხვა. ასეთ შემთხვევაში, თუ განჩინება გამოაქვს კოლეგიური სასამართლოს მოსამართლეს, მაშინ ამ განჩინებას ხელს აწერს ეს მოსამართლე.

2.ნებისმიერი განჩინება შეიძლება მიღებული იქნეს როგორც ცალკე საპროცესო დოკუმენტი, ისე ოქმში შეტანით. სათათბირო ოთახში ოქმის შედგენა არ ხდება, ამიტომ, თუ სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში განჩინების გამოსატანად, მაშინ ასეთი განჩინება მხოლოდ ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით უნდა გამოვიდეს. განჩინების გამოსატანად სათათბირო ოთახში შეიძლება გავიდეს საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლეც, მაგრამ არა იმიტომ, რომ ვინმეს მოეთათბიროს, არამედ თუ მის წინაშე მხარის მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ ანალიზს.

- სასამართლო ოქმში შეტანილი განჩინება უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს (285-ე მუხლი). მხარეს შეუძლია მოითხოვოს ამ ოქმიდან განჩინების ამონაბეჭდი, შეიტანოს ამ საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი, თუ კანონით ასეთი საჩივარი დასაშვებია.

- მიზანშეწონილად (არასავალდებულოდ) უნდა ჩაითვალოს ყველა ისეთი განჩინების ცალკე საპროცესო დოკუმენტის სახით ჩამოყალიბება, რომლებზეც დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა.

4. ამ მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს სათათბირო ოთახში გაუსვლელად (ადგილზე თათბირით) მიღებული განჩინების გამოცხადების წესს: ა) ასეთი განჩინება უნდა გამოცხადდეს მიღებისთანავე; ბ) მოსამართლემ, უნდა განმარტოს ამ განჩინების შინაარსი, მისი გასაჩივრების წესი და ვადა.

5. ამ მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს სათათბირო ოთახში მიღებული განჩინების გამოცხადების წესს: ა) მოსამართლე აცხადებს ამ წესით მიღებულილ განჩინების სარეზოლუციო ნაწილს. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თუ სათათბირო ოთახში მიღებულია მოტივირებული განჩინება, სასამართლომ მაინც ამ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოაცხადოს. რა თქმა უნდა არა! სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს მთლიანად მოტივირებული განჩინება, თუ მან შეძლო მისი ჩამოყალიბება სათათბირო ოთახში.

ყველა შემთხვევაში, აცხადებს მოსამართლე განჩინების სარეზოლუციო ნაწილს, თუ მთლიანად მოტივირებულ განჩინებას, მან უნდა განმარტოს გამოცხადებული განჩინების თუ მისი სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი და გასაჩივრების წესი და ვადა, რომელიც ყოველთვის იწყება მოტივირებულილ განჩინების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან, თუ ის არ ყოფილა გამოცხადებული სასამართლო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ გასაჩივრების უფლების მქონე პირები. (იხ. 416-ე მუხლის კომენტარი).

5. თუ სასამართლოს გამოაქვს არა მოტივირებული, არამედ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, მაშინ მან უნდა შეადგინოს დასაბუთებული განჩინება 14 დღის ვადაში მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან.

მუხლი 285. განჩინების შინაარსი

განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) განჩინების მიღების დრო და ადგილი;

ბ) განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი;

გ) მხარეები და დავის საგანი;

დ) საკითხი, რომელზედაც მიღებულ უნდა იქნეს განჩინება;

ე) მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე, და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა;

ვ) სასამართლოს დადგენილება;

ზ) განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.

.

– იმ ჩვეულებრივ და ცნობილ რეკვიზიტებს შორის, რომლებიც უნდა აისახოს განჩინებაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ საკითხის ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბება, რომელზეც ან რომლის შესახებაც მიღებულია განჩინება (განჩინების საგანი), აგრეთვე ამ განჩინების ფაქტობრივი და იურიდიული მოტივირება, ანუ მითითება ფაქტებზე და კანონებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობდა განჩინების გამომტანი სასამართლო.

– განჩინების სამართლებრივი დასაბუთების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით, მაგრამ თუ ეს საჭიროა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებითაც. მაგალითად, თუ მატერიალური სამართალი არ უშვებს უფლებამონაცვლეობას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არა საქმის წარმოების შეჩერების, არამედ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). ასეთ შემთხვევაში განჩინებაში უნდა მიეთითოს მატერიალურ სამართლებრივ ნორმაზეც.

– **გადაწყვეტილების ანალოგიურად** სასამართლოს, მხარეთა თხოვნით შეუძლია განმარტოს თავისი განჩინება, თუ იგი ამას საჭიროებს (იხ. 262-ე მუხლის კომენტარი).

- განჩინებაში გასაჩივრების წესისა და ვადის შესახებ მითითება სავალდებულოა, მით უმეტეს რომ ეს წესები და ვადები არაა ერთგვაროვანი.

მუხლი 286. განჩინების ასლების გადაგზავნა მხარეებისათვის

მხარეებს, რომლებიც არ ესწრებიან განჩინების გამოცხადებას, ეგზავნებათ განჩინების ასლები საქმის წარმოების შეწყვეტის, სარჩელის განუხილველად დატოვებისა თუ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ მისი გამოტანიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

– ეს მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ აქ ჩამოთვლილი განჩინებების იმ **მხარისათვის გაგზავნის ვადას**, რომლის გამოცხადებას არ ესწრებოდა მხარე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოს სხვა განჩინებები არ უნდა გადაეგზავნოს მხარეს (მხარეებს), რომელიც არ ესწრებოდა მის გამოცხადებას. ყველა განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის ან საჩივრის (197-ე მუხლი) შეტანა, აუცილებლად უნდა გადაეგზავნოს იმ მხარეს, რომელიც არ ესწრებოდა ასეთი განჩინების გამოცხადებას. მხედველობაშია მისაღები ის, რომ სსკ-ის 416-ე და 197-ე მუხლების თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება **განჩინების გადაცემის** მომენტიდან, როცა მის გამოცხადებას არ ესწრებოდა მხარე (იხ. ამ მუხლის კომენტარი). განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება მისი ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ან მისი მხარისათვის გადაგზავნა სსკ-ის 70-78-ე მუხლების შესაბამისად, თუ საქმეში არსებობს ცნობა, რომ განჩინება ჩაბარდა ადრესატს (369-ე მუხლი).

თ ა ვ ი XXXII

სასამართლო ოქმი

მუხლი 287. ოქმის შედგენის სავალდებულოობა

სასამართლოს თითოეული სხდომის შესახებ, აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, ოქმის შედგენა სავალდებულოა.

– ეს მუხლი შეიცავს ოქმის შედგენის **სავალდებულობის ზოგად, მაგრამ საკმაოდ ნათელ** კრიტერიუმებს. ოქმის შედგენა ყოველთვის სავალდებულოა: 1) თუ მიმდინარეობს სასამართლო სხდომა (მოსამზადებელი თუ მთავარი სხდომა) და 2) თუ საპროცესო მოქმედების შესრულებაში მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები და ა. შ.

– მაგალითად, თუ სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნის შესახებ (201-ე მუხლი), ან კიდევ, მოსამზადებელი სხდომის, თუ მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ (207-ე მუხლი), ოქმის შედგენა საჭირო არაა, რადგან ამ და სხვა ამგვარი განჩინებების მიღება ხდება მხარეთა და მათ წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე. მაგრამ თუ სასამართლო იხილავს საკითხს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ადგილზე დათვალიერების შესახებ (125-ე მუხლი) და ა. შ. მაშინ უნდა შედგეს ოქმი.

– ზოგჯერ კანონი ითვალისწინებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას მხარეთა აუცილებელი შეტყობინებით, თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი მოქმედების შესრულებას (115-ე მუხლი). ზოგჯერ კანონი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას მხარეთა აუცილებე-

ლი შეტყობინებით, მაგრამ უშვებს გადაუდებელ შემთხვევაში ამ მოქმედების შესრულებას მხარეთა შეტყობინების გარეშეც (113-ე მუხლი).

არის თუ არა საჭირო ოქმის შედგენა, როცა საპროცესო მოქმედება სრულდება მხარეთა შეტყობინებებით, მაგრამ მათი მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან არ გამოცხადდნენ, ან გადაუდებელ შემთხვევაში მათი შეტყობინების გარეშე?

დიახ, ოქმი მაინც უნდა შედგეს, თუ იგი გვევლინება როგორც **მტკიცებულება იმის დასადასტურებლად**, თუ რა მოქმედება შეასრულა სასამართლომ და **რა შედეგები იქნა** მიღებული ამ მოქმედების შესრულების შედეგად. სხვა შემთხვევაში ოქმის შედგენა საჭირო არაა. მაგალითად, თუ ექსპერტიზის დანიშვნის საკითხს სასამართლო წყვეტს მხარეთა შეტყობინებისა და მონაწილეობის გარეშე, მაშინ ოქმი საჭირო არაა (203-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი), მაგრამ, თუ ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოებს მხარეთა მონაწილეობით (163-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი), მაშინ უნდა შედგეს ოქმი.

მუხლი 288. ოქმის შინაარსი

ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების ყველა არსებით მომენტს, კერძოდ, სასამართლო სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) სასამართლო სხდომის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;

ბ) სასამართლო სხდომის დაწყებისა და დამთავრების დრო;

გ) საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი;

დ) საქმის დასახელება;

ე) ცნობები წარმომადგენელთა, მოწმეთა, ექსპერტთა და თარჯიმანთა გამოცხადების შესახებ;

ვ) ცნობები მხარეებისა და წარმომადგენლებისათვის მათი საპროცესო უფლებებისა და

მოვალეობების განმარტების შესახებ;

ზ) სასამართლოს განკარგულებანი და სათათბირო ოთახში გაუსვლელად მიღებული განჩინებანი;

თ) მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებანი;

ი) მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტების მიერ თავიანთი დასკვნების განმარტებები, ნივთიერ და წერილობით მტკიცებულებათა დათვალიერების მონაცემები;

კ) სასამართლო პაექრობის შინაარსი;

ლ) ცნობები გადაწყვეტილებებისა და განჩინების გამოცხადების შესახებ;

მ) ცნობები გადაწყვეტილების შინაარსის, მისი გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ.

– ოქმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო დოკუმენტია, რომელსაც აქვს მრავალმხრივი მტკიცებულებითი და ინფორმაციული მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის ოქმის უქონლობა – გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველია (385-ე და 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი). აქედან გამომდინარე, ოქმს წაეყენება გარკვეული მოთხოვნები, რომელთა დაცვით იგი უნდა იქნეს შედგენილი.

– ეს მუხლი განსაზღვრავს ოქმის სავალდებულო რეკვიზიტებს, იმ საინფორმაციო მონაცემებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ოქმი, ამასთან ერთად, ეს მუხლი შეიცავს ერთ მეტად მნიშვნელოვან დათქმას: ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების **მხოლოდ „არსებით მომენტებს“**.

– ოქმის შინაარსი არ ამოიწურება ამ მუხლში მითითებული რეკვიზიტების ასახვით. ოქმში შეიძლება საჭირო გახდეს სხვა საინფორმაციო მონაცემების შეტანაც, როგორიცაა მხარეთა და საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირთა ისეთი მოქმედება, როგორიცაა სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა, საქმის მორიგებით დამთავრება, მხარის მი-

ერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების (ფაქტის) აღიარება და სხვა.

– ამასთან ერთად, არაა მიზანშეწონილი ოქმში ისეთი მონაცემების შეტანა, რომლებსაც არ აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმისათვის ან ისედაც ცნობილია საქმეში მონაწილე ყველა პირისათვის.

მუხლი 289. ოქმის შედგენისა და გაფორმების წესი

1. ოქმს ადგენს მდივანი თვით სასამართლო სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.

2. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის შესახებ, რომლებსაც მათი აზრით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

3. ოქმი მომზადებული და ხელმოწერილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 3 დღისა სხდომის დამთავრების ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ.

4. ოქმს ხელს აწერენ მოსამართლე და მდივანი, ხოლო თუ საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავდა, – ამ სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი.

5. ოქმში შეტანილ ყველა ცვლილებას, შესწორებასა და დამატებას უკეთდება შენიშვნა და მოწმდება ოქმზე ხელის მომწერ პირთა მიერ.

1. ოქმის შედგენის მოვალეობა ეკისრება სასამართლო სხდომის მდივანს, რომელმაც ეს ოქმი უნდა შეადგინოს **სამართალწარმოების ენაზე**. ოქმი შეიძლება დაიწეროს ხელით, დაიბეჭდოს ან ოქმის შედგენისათვის გამოყენებული იქნეს მაგნიტოფონი ან კომპიუტერი (290-ე მუხლი).

2. მხარეთა ახსნა-განმარტებანი, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტის ჩვენება, მათი შუამდგომლობები და განცხადებები უნდა ჩაიწეროს პირველი პირის სახით. ჯერ უნდა ჩაიწე-

როს შეკითხვის მიმცემი პირი, მისი შეკითხვა და შემდეგ შეკითხვაზე პასუხის გამცემი პირი და მისი პასუხი. მოსამართლის ან სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებები აისახება ოქმში სასამართლოს სახელით, მაგრამ მესამე პირის სახით. სათათბირო ოთახში გაუსვლელად მიღებულ განჩინების ტექსტს, რომელიც ოქმში შეიტანება, კითხულობს მოსამართლე ან კოლეგიის თავმჯდომარე, როცა საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავს.

– თუ მხარე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ გარემოების ოქმში შეტანის შესახებ, ოქმში უნდა აისახოს ეს. ოქმში უნდა აისახოს ისიც, დააკმაყოფილა თუ არა ეს შუამდგომლობა სასამართლომ. თუ მხარის შუამდგომლობა წერილობით იყო წარმოდგენილი – იგი აისახება ოქმში და დაერთვის საქმეს.

3. ოქმი ერთ-ერთი ძირითადი საპროცესო დოკუმენტია, რომლის მეშვეობით შეიძლება იმის გაგება, როგორი ჩვენება მისცეს მოწმეებმა, ექსპერტებმა, რა ახალი ფაქტები და გარემოებები დააყენეს მხარეებმა და მესამე პირებმა, რა მოსაზრებები წამოაყენეს წარმომადგენლებმა და როგორია მათი პოზიცია, რა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ეფუძნება მათი მოსაზრება საქმის არსის შესახებ და ა. შ.

– ოქმის ასეთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი სრულყოფილად შედგენისათვის განსაზღვრულია მაქსიმუმ სამი დღე. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა დამთავრდა სხდომა, ან ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

4. სანამ ხელს მოაწერდეს მოსამართლე, ჯერ ყურადღებით უნდა გაეცნოს ოქმს და თუ საჭიროდ ჩათვლის, მიუთითოს მდივანს, შეიტანოს მასში საჭირო და აუცილებელი დაზუსტებები და დამატებები. მოსამართლემ არ უნდა მოაწეროს ხელი დაუდევრად შედგენილ ოქმს.

– ოქმი მომზადებულად ითვლება მხოლოდ **მისი ხელმოწერის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, როცა ხელს მოაწერს მოსამართლე და მდივანი**. ასეთი **ხელმოწერის გარეშე ოქმი არ ითვლება საპროცესო დოკუმენტად** და მას უკავშირდება ისეთივე შედეგი, როგორც საქმეში სასამართლო **ოქმის არარსებობას** (385-ე და 394-ე მუხლები), ე. ი. ითვლება, რომ საქმეს არ ერთვის სასამართლო სხდომის ოქმი.

5. ოქმში შეიძლება შეტანილი იქნეს შესწორება და დამატება, მაგრამ ასეთ შესწორება-დამატებას, თუ ცვლილებას უნდა გაუკეთდეს შენიშვნა: **„შესწორებას ენდეთ“, „ჩამატებას ენდეთ“** და ა. შ. შესწორება უნდა იყოს ხელმოწერილი.

მუხლი 290. მაგნიტურ ფირზე ჩაწერილი ოქმი

სასამართლოს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს მაგნიტოფონი ან კომპიუტერი, რომელთა ჩანაწერებიც ოქმს თან ერთვის. სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ მაგნიტოფონისა თუ კომპიუტერის ჩანაწერები გადატანილ უნდა იქნეს ოქმში.

ოქმის შედგენისათვის მაგნიტოფონის ან კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობა უაღრესად მნიშვნელოვანი სიახლეა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ოქმის სისრულისათვის, მისი სრულყოფილად შედგენისათვის.

– სსკ 289-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ოქმი მომზადებული იქნეს არაუგვიანეს სამი დღისა ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების, თუ სასამართლო სხდომის დამთავრების დღიდან – **უნდა გავრცელდეს** ამ მუხლის მოთხოვნაზეც იმის შესახებ, რომ მაგნიტოფონის თუ კომპიუტერის ჩანაწერი გადატანილი იქნეს ოქმში არაუგვიანეს სამი დღისა სხდომის დამთავრების თუ საპროცესო მოქმედების შესრულების დღიდან.

მაგნიტოფონის თუ კომპიუტერის ჩანაწერი თვითონ არ წარმოადგენს ოქმს. ისინი მხოლოდ შეიძლება **გამოყენებული იქნეს ოქმის შედგენისათვის**, ხოლო მათი ჩანაწერები, რომლებიც გადატანილია ოქმში, თან უნდა დაერთოს საქმეს.

მუხლი 291. შენიშვნები სხდომის ოქმთან დაკავშირებით

სხდომის ოქმზე ხელმოწერიდან 3 დღის ვა-

დაში მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმთან დაკავშირებით, მიუთითონ მის უსწორობასა და უსრულობაზე. შენიშვნები უნდა დაერთოს საქმეს. შენიშვნებს საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) განიხილავს მათი შეტანიდან 5 დღის ვადაში და გამოაქვს განჩინება შენიშვნების შესახებ.

ოქმი შედგენილად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას ხელს მოაწერს მოსამართლე და მდივანი. აქედან გამომდინარე, **მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ ოქმს მხოლოდ მოსამართლისა და მდივნის მიერ ამ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ, ე.ი. მას შემდეგ, როცა ოქმი ითვლება შედგენილად.**

– მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ საქმის მასალებს და მათ შორის ოქმს, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ შენიშვნები ოქმის მიმართ შეიძლება გაკეთდეს მასზე ხელის მოწერიდან სამი დღის განმავლობაში. ცხადია, ეს ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ ამ კოდექსის 65-66-ე მუხლებით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

– შენიშვნების მიღება-არმიღების საკითხს გადაწყვეტს არა სხდომის მდივანი, არამედ მოსამართლე, რომელიც ხელს აწერს ოქმს. შენიშვნების მიღება - არმიღების შესახებ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება. თუ იგი არ იზიარებს შენიშვნებს, მან უნდა დაასაბუთოს ეს, მაგრამ, თუ იგი იზიარებს ამ შენიშვნებს ან მათ ნაწილს, განჩინებაში უნდა მიუთითოს რომელ შენიშვნებს ან მათ ნაწილს იზიარებს.

შენიშვნები ყველა შემთხვევაში უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით. დამოუკიდებლად იმისა, გაიზიარა ეს შენიშვნები მოსამართლემ თუ არა, ისინი ყოველთვის დაერთვის საქმეს.

– სასამართლოს განჩინებაზე შენიშვნების უარყოფის შესახებ კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

კარი მეხუთე
გამარტივებული წარმოება

თ ა ვ ი XXXIII

თამასუქისა და ჩეკის თაოგაზე აღძრული სარჩელების განხილვა

მუხლი 292. დასაშვებობა

თუ თამასუქის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღძრული იქნება თამასუქიდან გამომდინარე პრეტენზიები და სარჩელში მითითებული იქნება, რომ საქმის განხილვა მოხდეს გამარტივებული წესით, გამოყენებულ უნდა იქნეს ამ თავში გათვალისწინებული წესები.

– საქართველოს კანონი „თამასუქის შესახებ", რომელიც მიღებულია 1995 წლის 19 აპრილს, სხვა საკითხებთან ერთად აწესრიგებს თამასუქის გაუნაღდებლობის შემთხვევაში სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას.[42]

თამასუქი ამ კანონის მიხედვით – ესაა ფასიანი ქაღალდი, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას.

– „თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, თამასუქის მფლობელს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი ინდოსანტს, თამასუქის გამცემს და სხვა ვალდებულ პირებს გადახდის ვადის დადგომისას, გადაუხდელობისას, გადახდის ვადის დადგომამდეც, ოღონდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის გადახდისუნარიანობა საეჭვოა, ან როდესაც საეჭვოა იმ თამასუქის გამცემის გადახდისუნარიანობა, რომელიც აქცეპტებას არ ექვემდებარება.

[42] საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული, წიგნი III, იურიდიული და საგამომცემლო კომპანია ნორმა შპს,თბილისი,1996, გვ.202.

აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენს სარჩელის აღძვრის ან სარჩელის მიღების წინაპირობებს. სარჩელი მიღებული უნდა იქნეს წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით (185-ე და 186-ე მუხლები), იმ დამატებების გათვალისწინებით, რაც ამ თავითაა გათვალისწინებული. „თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლში მითითებული გარემოებები წარმოადგენენ თამასუქიდან წარმოშობილი **მოთხოვნების დაკმაყოფილების** საფუძველს.

– თამასუქიდან გამომდინარე სარჩელი შეიძლება განხილული იქნეს გამარტივებული წესით, თუ ამავე სარჩელში იქნება მითითებული, რომ მისი განხილვა მოხდეს გამარტივებული წესით, ე.ი. მოსარჩელე მოითხოვს ამას (297-ე მუხლი).

მუხლი 293. თამასუქის წარდგენა

სარჩელს თან უნდა დაერთოს თამასუქის ასლი. საქმის სასამართლო სხდომაზე ზეპირი განხილვის დროს მოსარჩელემ თამასუქი დედნის სახით უნდა წარმოადგინოს.

– თამასუქიდან გამომდინარე სარჩელზე ამ თამასუქის ასლის დართვა წარმოადგენს სარჩელის წარმოებაში მიღების ერთ-ერთ წინაპირობას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ასეთი ასლი არ ერთვის სარჩელს, სასამართლო ვერ მიიღებს მას წარმოებაში, მაგრამ დაუნიშნავს მოსარჩელეს ვადას ხარვეზის შესავსებად და თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, დატოვებს მას უმოძრაოდ (185-ე მუხლი).

– თამასუქის ასლის სარჩელთან ერთად წარდგენა არ ათავისუფლებს მოსარჩელეს **მოვალეობისაგან წარმოუდგინოს სასამართლოს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას თამასუქის დედანი**.

– დედანი საბუთის წარმოუდგენლობას შეიძლება მოჰყვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (135-ე მუხლი). თამასუქის ასლების და თამასუქის დედნის მიღების საკითხებს აწესრიგებს „თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის მე-60-61-ე მუხლები.

მუხლი 294. განსჯადობა

1. სარჩელები თამასუქის თაობაზე შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს გადახდა, ისე სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თუ სარჩელი მიმართულია ერთობლივად რამდენიმე თამასუქვალდებულის მიმართ, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს გადახდა, ისე ნებისმიერ სასამართლოში ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

1. ეს მუხლი განსაზღვრავს ალტერნატიული განსჯადობის წესებს, რომლის თანახმად, თამასუქიდან გამომდინარე სარჩელები შეიძლება აღიძრას განსჯადობის საერთო წესის მიხედვით, როგორც მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ისე თამასუქის გადახდის ადგილის მიხედვით სასამართლოში.

არჩევანი შეუძლია გააკეთოს მოსარჩელემ.

2. ასევე, თუ რამდენიმე თამასუქვალდებულია, სარჩელი შეიძლება აღიძრას ერთ-ერთი თამასუქვალდებულის საცხოვრებელი ადგილის ან გადახდის ადგილის მიხედვით სასამართლოში.

მუხლი 295. ვადა უწყების ჩაბარებიდან სასამართლო სხდომამდე

მხარეებს უწყება უნდა ჩაბარდეთ სასამართლოს სხდომის დაწყებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე, თუ ეს უწყება ბარდება სასამართლოს ადგილსამყოფლის მიხედვით. თუკი უწყება ბარდება სხვა ადგილზე, მაშინ ეს ვადა განისაზღვრება მინიმუმ 3 დღით.

– უწყების ჩაბარების ვადები განპირობებულია საქმის გამარტივებული წარმოებით, რაც იმაში ვლინდება, რომ ამ წესით საქმის განხილვისას არ ხდება საქმის წინასწარი მომზადება (მხარეთა წერილობითი შეჯიბრება), ამიტომ, უწყების ჩაბარების ვადა განისაზღვრება მხარეთა სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფის ინტერესებით, იმით, რომ მათ შეძლონ თავისუფლად მოასწრონ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადება.

მუხლი 296. მტკიცებულებები

1. მტკიცებულებებად დაიშვება მხოლოდ დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და მხარეთა ახსნა-განმარტებები.

2. დოკუმენტური დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით.

– მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგადი პრინციპი ჩამოყალიბებულია სსკ 102-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის თანახმად საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს **მტკიცებულებათა დასაშვებობის** ზოგადი პრინციპის კონკრეტულ გამოვლინებას, რომლის თანახმად, გარემოებები, რომლებსაც ემყარება თამასუქიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნები, შეიძლება დამტკიცდეს და დადასტურდეს **მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებებით და მხარეთა ახსნა-განმარტებით**.

2. ამ მუხლის მეორე ნაწილში მითითებულ შესაბამის დოკუმენტში იგულისხმება დოკუმენტი, რომლითაც **კანონის მოთხოვნათა მიხედვით**, შეიძლება დადასტურდეს ესა თუ ის ფაქტი (გარემოება). მაგალითად, თუ დასადგენია თამასუქის გადახდაზე უარი, ასეთი უარი შეიძლება დადასტურდეს „ოფიციალური ოქმით“ (აქცეპტებს ან გადახდაზე უა-

რის პროტესტით) ("თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლი).

მუხლი 297. გამარტივებული წესით საქმის განხილვაზე უარის თქმა

მოსარჩელეს შეუძლია მოპასუხის თანხმობის გარეშე უარი თქვას ამ თავში ჩამოყალიბებული წესების მიხედვით საქმის განხილვაზე ამ საქმის განხილვის დამთავრებამდე. ასეთ შემთხვევაში საქმე განიხილება საერთო წესით.

– გადაწყვეტილებას თამასუქის (ჩეკის) თაობაზე აღძრული სარჩელის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ იღებს უშუალოდ მოსარჩელე. ამისათვის მას არ სჭირდება არც მოპასუხის და არც მოსამართლის თანხმობა. მთავარია მხოლოდ ის, რომ მან დაიცვას ამ წესით სარჩელის აღძვრისა და მისი წარმოების კანონით დადგენილი წესები.

– მოსარჩელეს ასევე შეუძლია უშუალოდ და ცალმხრივად უარი თქვას გამარტივებული წესით სარჩელის განხილვაზე ამ საქმის განხილვის დამთავრებამდე, ე. ი. გადაწყვეტილების გამოტანამდე, უფრო ზუსტად, გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლამდე.

– თუ მოსარჩელემ უარი თქვა გამარტივებული წესით საქმის განხილვაზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გამარტივებული წესით საქმის განხილვის შეწყვეტისა და ამ საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვის შესახებ.

– ასეთი განჩინების მიღების შემთხვევაში სასამართლომ უნდა მოამზადოს საქმის განხილვა სსკ მე-200-207-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო მომზადების დამთავრების შემდეგ დანიშნოს სასამართლოს მთავარი სხდომა.

მუხლი 298. სარჩელების შეერთებისა და შეგებებული სარჩელების აღძვრის დაუშვებლობა

არ შეიძლება თამასუქის თაობაზე აღძრული

სარჩელების შეერთება სხვა პრეტენზიების გამო აღძრულ სარჩელებთან. დაუშვებელია აგრეთვე შეგებებული სარჩელების აღძვრა.

– სარჩელების თუ სხვა ისეთი მოთხოვნების გაერთიანება, რომლებიც არაა დაკავშირებული თამასუქთან, რასაც ითვალისწინებს და უშვებს სსკ 182-ე მუხლი, აგრეთვე შეგებებული სარჩელის აღძვრა, რასაც ითვალისწინებს 188-ე მუხლი, თამასუქის საქმეების გამარტივებული წესით განხილვისას – დაუშვებელია.

მუხლი 299. სასამართლო გადაწყვეტილებების დათქმა

1. მოპასუხეს, რომელიც უარყოფს მის წინააღმდეგ წამოყენებულ მოთხოვნას, ყველა შემთხვევაში მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება, შეუძლია მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თავისი უფლებების განხორციელების მიზნით.

2. გადაწყვეტილება მოპასუხის უფლებების შენარჩუნებით საბოლოო გადაწყვეტილებად ითვლება გასაჩივრებისა და იძულებითი აღსრულების თვალსაზრისით.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი უფლებას აძლევს მოპასუხეს მოითხოვოს საქმის **დამატებითი წარმოება**, თუ თვლის, რომ მისი უფლებები შეილახა ან ვერ განხორციელდა საქმის გამარტივებული წარმოების გამო.

ასეთი მოთხოვნა მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს თავისი წერილობითი შესაგებლით (პროტესტით), რომელიც წარმოადგენს საქმის დამატებითი წარმოების საფუძველს.

– საქმის დამატებითი წარმოების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

2. მოპასუხის წერილობითი შესაგებელი (პროტესტი) იმის მოთხოვნით, რომ ჩატარდეს საქმეზე დამატებითი წარმოე-

ბა, ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას და აღსრულებას.

– თუ მოპასუხემ მოითხოვა არა დამატებითი წარმოება, არამედ შემოიტანა სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი, მაშინ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა და აღსრულება წარმოებს ისე, როგორც ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილებისა (264-ე მუხლი).

მუხლი 300. საქმის დამატებითი წარმოება

1. თუ მოპასუხეს შენარჩუნებული აქვს თავისი უფლების განხორციელების შესაძლებლობა, დავა რჩება სასამართლო წარმოების სფეროში.

2. თუ საქმის დამატებითი წარმოების დროს გამოვლინდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ამ თავში გათვალისწინებული წესების დაცვით, უქმდება; მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და სასამართლო ხარჯებიც შესაბამისად უნდა განაწილდეს. მოსარჩელეს ევალება იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს გადაწყვეტილების აღსრულების ან ასეთი აღსრულებისათვის ხელისშემშლელი ქმედების შედეგად. მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა დავის სასამართლო განხილვის პროცესში.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს მოპასუხის თხოვნას საქმის დამატებითი წარმოების შესახებ, მაშინ სასამართლომ უნდა მოამზადოს საქმე და ჩაატაროს ასეთი დამატებითი საპროცესო მოქმედებები.

2. დამატებითი წარმოების დროს შეიძლება გამოირკვეს, რომ საქმის გამარტივებული წესით განხილვის შედეგად მიღებული და მოპასუხის მიერ გაპროტესტებული გადაწყვე-

ტილება არსებითად სწორია. მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

– დამატებითი წარმოების დროს შეიძლება გამოირკვეს აგრეთვე, რომ გადაწყვეტილება არასწორია, რადგან ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის უსაფუძვლო მოთხოვნა, მაშინ საქმის გამარტივებული წესით მიღებულ გადაწყვეტილებას აუქმებს მისი გამომტანი სასამართლო და თავისი გადაწყვეტილებით უარს ეუბნება მოსარჩელეს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

– ასეთი გადაწყვეტილების გაუქმებას უკავშირდება შემდეგი შედეგები:

ა) სასამართლო ხარჯები დაეკისრება მოსარჩელეს (53-ე მუხლის პირველი ნაწილი);

ბ) მოხდება გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება (თუ იგი აღსრულებული იყო);

გ) მოსარჩელეს დაეკისრება იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს გადაწყვეტილების აღსრულებით;

დ) მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საქმის დამატებითი წარმოების პროცესში.

მუხლი 301. ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოება

თუ მოთხოვნები წამოყენებულია ჩეკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს თამასუქის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოების წესი.

– ჩეკი – ეს არის დადგენილი ფორმის ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებისადმი, გაანაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა.

– 1995 წლის 19 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს ჩეკის გაცემის, მოქმედების, ინდოსირების, თავდებობის, გადახდისა

და აქედან გამოდინარე შედეგების, აგრეთვე მასთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენის წესს.[43]

იმის გასარკვევად, წამოყენებულია თუ არა მოთხოვნა ამ კანონის შესაბამისად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ზემოთ დასახელებული საქართველოს კანონით „ჩეკის შესახებ". ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას კი სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ წესებით, რომლებიც დადგენილია თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვისათვის.

[43] საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული, წიგნი **I**, იურიდიული და საგამომცემლო კომპანია ნორმა შპს, თბ.,1996, გვ.188

თ ა ვ ი XXXIV

დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი

მუხლი 302. დასაშვებობა

1. ამ თავში ჩამოყალიბებული გამარტივებული წესით შეიძლება განხილულ იქნეს მოთხოვნები გარკვეული ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ.

2. დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი არ დაიშვება, თუ:

ა) მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე;

ბ) ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით.

1. დავალიანების ამოღების შესახებ საქმის გამარტივებული წესით წარმოების პირველი ეტაპი იწყება განცხადების დასაშვებობის შემოწმებით. ასეთი შემოწმების მიზნით სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არსებობს თუ არა ასეთი წარმოებისათვის **დასაშვებობის პირობები**.

ეს პირობებია:

1) მოითხოვს თუ არა განმცხადებელი ფულადი თანხის გადახდევინებას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ განმცხადებელი მოითხოვს არა ფულადი თანხის გადახდევინებას, არამედ მოპასუხისაგან რაიმე ნივთის გადაცემას, რაიმე სამუშაოს შესრულებას და ა. შ. მაშინ გამარტივებული წარმოება ამ თავით გათვალისწინებული წესებით **არ დაიშვება**.

2) ხომ არ არის მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებული განმცხადებლის მხრივ ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დავალიანების გადახდევინების ვალდებულება მოპასუხის მიმართ წარმოიშობა

მას შემდეგ, როცა განმცხადებელი შეასრულებს თავის ვალდებულებას მის მიმართ. საილუსტრაციოდ შეიძლება მიუთითოთ სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლზე, რომლის თანახმად პირი, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე **„საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე“**.[44]

3) ხომ არ არის იმის აუცილებლობა, რომ გადახდის ბრძანება ეცნობოს მოპასუხეს საჯარო გამოცხადების გზით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადახდის ბრძანება ვერ აღსრულდება, თუ არ არის ცნობილი მოპასუხის ადგილსამყოფელი (იხ.78-ე მუხლის კომენტარი).

4) პასუხობს თუ არა განცხადება გადახდის ბრძანების მიღების შესახებ სსკ 303-ე მუხლის მოთხოვნებს (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– თუ არ არსებობს გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება განცხადების (გადახდის ბრძანების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ (305-ე მუხლი).

მუხლი 303. განცხადება დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ

1. დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ განცხადება, რომელიც საქმის გამარტივებული წესით განხილვის საფუძველია, მიზნად უნდა ისახავდეს სასამართლოს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების მიღებას (გადახდის ბრძანება).

2. განცხადება დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელებას;

[44] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001 წ., გვ.298.

ბ) სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეაქვთ განცხადება;

გ) მონაცემებს იმის შესახებ, თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნებია წამოყენებული;

დ) წამოყენებული პრეტენზიის დასაბუთებას. განცხადებაში მითითებული მტკიცებულების შესაბამისი დოკუმენტები დამოწმებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი;

ე) მითითებას იმის შესახებ, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრივ რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მის მიერ ასეთი ვალდებულების შესრულება უკვე განხორციელდა;

ვ) განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას.

1. გადახდის ბრძანება სასამართლოს შეუძლია მიიღოს მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებლის თხოვნით და ეს თხოვნა ნათლად და გარკვევით უნდა იყოს ჩამოყალიბებული განცხადებაში.

– სასამართლოს არ შეუძლია სასარჩელო განცხადების სახით აღძრული მოთხოვნა მოპასუხეზე ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ, გადაზარდოს გამარტივებულ წარმოებაში და გადაწყვეტილების ნაცვლად გამოიტანოს გადახდის ბრძანება.

2. ამ მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების შინაარსს. თუ განცხადება არ პასუხობს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ვერ მიიღებს ასეთ განცხადებას.

– გარდა იმ საერთო მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი მიმართული ყოველგვარი განცხადება, გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სხვა მონაცემებსაც.

ასეთი მონაცემებია:

1) რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება განმცხადებლის ძირითადი მოთხოვნა დავალიანების გადახდევინების შესახებ, აგრეთვე, თუ წამოყენებულია დამატებითი მოთხოვნები ძირითადთან ერთად, მაშინ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს რომელ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საფუძველს ემყარება ეს დამატებითი მოთხოვნა. მაგალითად, პროცენტი, რომელიც კანონის ან ხელშეკრულების ძალით უნდა გადაიხადოს მოვალემ (სამოქალაქო კოდექსის 384-ე მუხლი), იქნება დამატებითი მოთხოვნა.

2) რა მტკიცებულებებს ემყარება განმცხადებლის მოთხოვნა, რომლებიც დამოწმებული სახით **აუცილებლად უნდა ერთვოდეს განცხადებას** გადახდის ბრძანების მიღების შესახებ. დასაშვებია მხოლოდ სათანადოდ გაფორმებული წერილობითი დოკუმენტები.

მაგალითად, თუ ძირითადი ვალდებულება ემყარება სესხის ხელშეკრულებას, განცხადებას უნდა ერთვოდეს ეს ხელშეკრულება, ასევე, თუ დამატებითი ვალდებულება (მაგალითად, პროცენტების სახით) ემყარება მხარეთა შორის შეთანხმებას, ეს შეთანხმება წერილობითი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

3) მითითება იმის შესახებ, რომ მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრივ რაიმე სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მის მიერ ასეთი ვალდებულება უკვე შესრულებულია.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 406-ე მუხლის თანახმად, თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების უფლებას,[45] აქედან გამომდინარე, თუ მოვალე ინარჩუნებს კრედიტორისაგან საპასუხო შესრულების მიღების უფლებას, **ამ კრედიტორს არ შეუძლია მოითხოვოს გადახდის ბრძანების მიღება.**

[45] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001წ., გვ.446

მუხლი 304. განსჯადობა

საქმეს გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ განიხილავს სასამართლო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

– გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადებაზე ვრცელდება განსჯადობის საერთო წესები და იგი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მხოლოდ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 305. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე უარის თქმა

1. სასამართლო თავისი განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე, თუ:

ა) იგი არ უპასუხებს ამ თავის 302-303-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) განცხდებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნის საფუძველი (303-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), ვერ ასაბუთებს ამ მოთხოვნას.

2. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განმცხადებელს დაუნიშნოს ვადა განცხადებაში ან თანდართულ მასალებში არსებული ხარვეზის შესავსებად.

1. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების კანონის შესაბამისად ჩამოუყალიბებლობას უკავშირდება სერიოზული უარყოფითი შედეგები: სასამართლომ არ უნდა მიიღოს ასეთი განცხადება განსახილველად, რის შესახებაც მას **გამოაქვს განჩინება** „დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების (გადახდის ბრძანების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ“.

ა) ამ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს საფუძველი, რის გამოც უარი ეთქვა განმცხადებელს განცხადების მიღებაზე, რადგან იგი არ შეიცავს „მონაცემებს იმის შესახებ, თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებიდან გამომდინარეობენ განმცხადებლის მოთხოვნები“ (სსკ-ის 303-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

ბ) განცხადებაში მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველზე მითითება არ კმარა. ეს საფუძველი, **ჯერ ერთი**, – იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას, ე. ი. კანონი ამ ფაქტობრივ გარემოებებს უნდა უკავშირებდეს იმ შედეგს, რისი დადგომაც სურს განმცხადებელს და **მეორე**, – განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტური მტკიცებულებები.

განჩინებაში, რომლითაც უარი ეთქვა განმცხადებელს განცხადების მიღებაზე, ზემოთ აღნიშნული მოტივით, მითითებული უნდა იყოს ამის შესახებ.

2. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ არ პასუხობს 302-303-ე მუხლების მოთხოვნებს, სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს განმცხადებელს ვადა ხარვეზის შესავსებად.

განჩინებაში ხარვეზის შევსების შესახებ მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად რა ხარვეზი აქვს განცხადებას და მისი დროულად (დანიშნულ ვადაში) შეუვსებლობის შედეგებზე. თუ ხარვეზი არ იქნება შევსებული დანიშნულ ვადაში, სასამართლო თავისი განჩინებით, რომელიც არ გასაჩივრდება, უარს ეტყვის განმცხადებელს განცხადების მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება მის მიერ შეტანილი სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 306. გადახდის ბრძანება

1. გადახდის ბრძანება, გარდა 303-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემებისა, უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას, რომ სასამართლოს არ შეუმოწმებია, აქვს თუ არა განმცხადებელს აღძრული მოთხოვნის უფლება;

ბ) მითითებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში გადაიხადოს (დაფაროს) ვალი პროცენტებიანად და ხარჯებიანად, თუ კი მოპასუხე აღძრულ პრეტენზიას მართებულად (დასაბუთებულად) მიიჩნევს, ანდა შემოიტანოს სასამართლოში წერილობითი შესაგებელი, თუ მოპასუხე მის მიმართ აღძრულ მოთხოვნას უმართებულოდ (დაუსაბუთებლად) მიიჩნევს.

გ) მითითებას იმის შესახებ, რომ გადახდის ბრძანების იძულებითი აღსრულებისათვის გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, თუ მოპასუხე ვადის გასვლამდე არ წარმოადგენს თავის შესაგებელს.

2. გადახდის ბრძანება მოპასუხეს გადაეცემა სასამართლოს ინიციატივით.

3. სასამართლო ატყობინებს განმცხადებელს აგრეთვე გადახდის ბრძანების მოპასუხისათვის გადაცემის შესახებ.

1. ეს მუხლი განსაზღვრავს გადახდის ბრძანების შინაარსს, მის სავალდებულო რეკვიზიტებს, კერძოდ:

– სასამართლოს დასახელებას, რომელმაც ეს ბრძანება მიიღო;

– მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელებას;

– მითითებას იმის შესახებ, თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებიდან წამოყენებული მოთხოვნები დააკმაყოფილა სასამართლომ.

– რომელ წერილობით მასალებს დაემყარა სასამართლო (იხ. სსკ 303-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი).

ა) გადახდის ბრძანების მიღება წარმოებს მოპასუხის შეტყობინების გარეშე. ამიტომ, იმ წერილობითი მასალების შემოწმება, რომლებიც თან ერთვის განცხადებას, მათი უტყუარობის თვალსაზრისით, შეუძლებელია.

– ამ პუნქტში გამოყენებულ ცნებაში – „მოთხოვნის უფ-

ლება“ – იგულისხმება მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება, ე. ი. მოთხოვნის უფლება მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლების შესახებ დასკვნას კი სასამართლო აკეთებს მხოლოდ განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებული მონაცემებით, მაგრამ იმის შეუმოწმებლად, თუ რამდენად ასახავს ეს მონაცემები სინამდვილეს.

ბ) სამაგიეროდ მოპასუხეს ეძლევა სრული შესაძლებლობა ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ან ცნოს განმცხადებლის მოთხოვნა დასაბუთებულად და მართებულად, ანდა შეიტანოს სასამართლოში წერილობითი შესაგებელი, თუ მოპასუხე არ ცნობს განმცხადებლის მოთხოვნას, მიიჩნევს ამ მოთხოვნას უმართებულოდ და დაუსაბუთებლად.

მოპასუხის ამ უფლებაზე (შესაძლებლობაზე) მითითებული უნდა იყოს გადახდის ბრძანებაში.

2. ვინაიდან მოპასუხე შეიძლება საერთოდ არც კი იყოს ინფორმირებული გადახდის ბრძანების მიღებაზე, **სასამართლო ვალდებულია** თავისი ინიციატივით გადასცეს მოპასუხეს გადახდის ბრძანება.

– გადახდის ბრძანება **უნდა ჩაბარდეს უშუალოდ მოპასუხეს**. მაგრამ, თუ მოპასუხის **ადგილსამყოფელი უცნობია**, მაშინ გადახდის ბრძანების **აღსრულება საერთოდ დაუშვებელია** (78-ე და 302-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

3. სასამართლო ასევე თავისი ინიციატივით ატყობინებს განმცხადებელს გადახდის ბრძანების მოპასუხისათვის გადაცემის შესახებ. ასეთი შეტყობინების მნიშვნელობა მდგომარეობს, **ჯერ ერთი**, იმაში, რომ თუ მოპასუხე ცნობს გადახდის ბრძანებას, მას შეუძლია მოითხოვოს მისი აღსრულება და, **მეორე** – თუ მოპასუხე არ ცნობს გადახდის ბრძანებას და შემოიტანს შესაგებელს, განმცხადებელს შეუძლია მოითხოვოს საქმის სასარჩელო წესით განხილვა (308-ე მუხლი).

მუხლი 307. მოპასუხის შესაგებელი (პროტესტი)

მოპასუხეს შეუძლია არ ცნოს გადახდის შესა-

ხებ ბრძანება მთლიანად ან ნაწილობრივ და შეიტანოს მის წინააღმდეგ მოტივირებული შესაგებელი (პროტესტი) სასამართლოში, რომელმაც მიიღო ეს ბრძანება, გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის ვადაში. მოპასუხეს შეუძლია გააპროტესტოს გადახდის შესახებ ბრძანება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაპროტესტების ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა.

– გადახდის ბრძანება მიიღება მოპასუხის გარეშე, მაგრამ მას უნარჩუნდება სრული შესაძლებლობა დაიცვას თავისი უფლება, თუ იგი ამ უფლებას დარღვეულად მიიჩნევს. კერძოდ, მას შეუძლია შეიტანოს შესაგებელი (პროტესტი), რომელიც, ისე როგორც ყოველი სხვა შესაგებელი, მოტივირებული უნდა იყოს, ე. ი. მასში მითითებული უნდა იყოს, თუ რატომ არ ცნობს გადახდის ბრძანებას. ეს იმას ნიშნავს, რომ უმოტივო (შიშველი) შესაგებელი, რომ მოპასუხე არ ცნობს გადახდის ბრძანებას, **არ კმარა**.

– შესაგებლის შეტანის 10 დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როცა მოპასუხეს გადაეცა გადახდის ბრძანება. მოპასუხისათვის გადახდის ბრძანების ჩაბარების შესახებ სრული ინფორმაცია უნდა იყოს საქმეში.

– თუ მოპასუხემ გაუშვა შესაგებლის შეტანის 10 დღიანი ვადა, ეს ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ (65-ე მუხლი), ოღონდ მოპასუხემ უნდა დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ **ვადის გაშვება გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.** ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება.

მუხლი 308. საქმის განხილვა დავის სასარჩელო წარმოების წესით

1. თუ მოპასუხე დროულად შეიტანს თავის შესაგებელს სასამართლოში, დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სასარჩელო წარმოების საერთო წესით. საქმე სასა-

მართლო განხილვის საგნად ითვლება გადახ-
დის ბრძანების გადაცემის მომენტიდან.
2. სასამართლოს შეუძლია საქმის ზეპირი
განხილვის დანიშვნამდე ამ საქმის მომზადების
მიზნით მიიღოს ამ კოდექსით გათვალისწინე-
ბული ღონისძიებები, მათ შორის დაავალოს
მხარეებს წარმოადგინონ წერილობითი დოკუ-
მენტები და განმარტებები.

– შესაგებლის დროულად შეტანას შეიძლება მოყვეს გადახდის ბრძანების გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც სხვა გარემოებებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ „დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს სასარჩელო წარმოების საერთო წესით“.

– სასარჩელო წესით საქმის განხილვისათვის საჭირო არაა ნაცვლად განცხადებისა, გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განმცხადებელმა შემოიტანოს სარჩელი. სასამართლო საერთო სასარჩელო წესით განიხილავს „დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით **აღძრულ მოთხოვნას**“.

ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქმე სასამართლო განხილვის საგნად ითვლება გადახდის ბრძანების გადაცემის მომენტიდან, მაგრამ ამ საქმის სასარჩელო წარმოების წესით განხილვის დაწყების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ დღიდან, როცა სასამართლომ მიიღო განჩინება ამ საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვის შესახებ.

2. გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადების გამარტივებული წესით განხილვა არსებითად განსხვავდება საქმის სასარჩელო წესით წარმოებისაგან, ამიტომ ამ განცხადების (მოთხოვნის) საერთო სასარჩელო წესით განხილვა აუცილებლად გულისხმობს საქმის წინასწარ მომზადებას დადგენილი წესით (200-209-ე მუხლები).

მუხლი 309. გადახდის ბრძანების აღსრულება

თუ მოპასუხე დროულად არ შეიტანს სასამართლოში შესაგებელს (პროტესტს) გადახდის შესახებ მიღებული ბრძანების წინააღმდეგ, სასამართლო განმცხადებლის შუამდგომლობის საფუძველზე გასცემს სააღსრულებო ფურცელს, რის შესახებაც ატყობინებს მოპასუხეს.

მოპასუხეს შეუძლია გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში შეიტანოს გადახდის ბრძანების წინააღმდეგ მოტივირებული შესაგებელი (პროტესტი) (307-ე მუხლი). თუ შესაგებელი ამ ვადაში არ იქნება შეტანილი სასამართლოს შეუძლია გასცეს სააღსრულებო ფურცელი.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ გადახდის ბრძანების გაპროტესტება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაპროტესტების ვადა მოპასუხემ გაუშვა საპატიო მიზეზით, რაც მან სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს (307-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს გადახდის ბრძანების აღსრულება.

ამასთან დაკავშირებით, დიდ მნიშვნელობას იძენს 309-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეატყობინოს მოპასუხეს.

თ ა ვ ი XXXIV[1]

ლიზინგის საგნის გამცემის მფლოგელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი

წინასწარი შენიშვნა: ამ თავის დამატება, რომელიც განხორციელდა 2002 წლის 7 მაისის კანონით[46] და რომელიც ეხება მხოლოდ ლიზინგის საგნის დაბრუნებას გამარტივებული წესით, გარკვეული თვალსაზრისით მოულოდნელი იყო. საქმე ისაა, რომ, **ჯერ ერთი**, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, გამარტივებული წესით და სასამართლოს **ბრძანების** მიღების გზით შეიძლებოდა განხილულიყო მხოლოდ მოთხოვნები გარკვეული **ფულადი თანხის** დავალიანების გადახდევინების შესახებ;

მეორე, თუ რაიმე აუცილებლობით იყო გამოწვეული ლიზინგის საგნის გამარტივებული წესით და სასამართლოს ბრძანებით დაბრუნება, მაშინ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანით სსკ XXXIV თავში, რომელიც შეიძლებოდა გაფართოვებულიყო ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გამარტივებული წესით არა მხოლოდ ფულადი მოთხოვნების, არამედ მოძრავი ნივთების (და არა მხოლოდ ლიზინგის საგნის) დაბრუნების შესახებ მოთხოვნების განხილვა.

გვრჩება იმედი, რომ მომავალში პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე კვლავ განხორციელდება აღნიშნული მუხლების საკანონმდებლო წესით დაზუსტება – დაკონკრეტება იმ პრინციპების სრული გათვალისწინებით, რომლებზეც აგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

მუხლი 309[1]. დასაშვებობა

ამ თავით დადგენილი გამარტივებული წესით შეიძლება განხილულ იქნეს მოთხოვნები ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე.

---

[46] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I. 2002, №13, მუხლი 50.

– ეს მუხლი განსაზღვრავს განცხადების დასაშვებობის მხოლოდ ერთ პირობას – ამ განცხადების მოთხოვნის საგანი უნდა იყოს ლიზინგის საგანი, რომელიც იმყოფება ლიზინგის მიმღებთან. განცხადების დასაშვებობის (მიღების) სხვა პირობები ჩამოყალიბებულია მომდევნო მუხლებში.

მუხლი 309 [2]. განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე

1. განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე, რომელიც წარმოადგენს საქმის გამარტივებული წესით განხილვის საფუძველს, მიზნად უნდა ისახავდეს სასამართლოს მიერ ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღებას.

2. განცხადებაში ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) სასამართლოს დასახელება;

ბ) მხარეები და მათი წარმომადგენლების დასახელებები;

გ) განმცხადებლის მოთხოვნა;

დ) ვალდებულება, რომლის საფუძველზეც წაყენებულია მოთხოვნა;

ე) წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება.

3. მოსამართლე განცხადებას ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განიხილავს სასამართლოში მისი შეტანიდან 3 დღეში.

1. განცხადება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნეს გამარტივებული წესით, ანუ XXXIV[1] თავით დადგენილი წესით, თუ განმცხადებელი მოითხოვს, რომ ლიზინგის საგანი მას დაუბრუნოს სასამართლომ მის მიერ მიღებული ბრძანების საფუძველზე.

2. ამ მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს განცხადების შინაარსს, რომელიც გარდა ყველა სხვა განცხადების რეკვიზიტებისა, უნდა შეიცავდეს: ა) იმ საგნის დასახელებას (აღწერას), რომელიც იმყოფება ლიზინგის მიმღების მფლობელობაში და რომლის დაბრუნებასაც განმცხადებელი მოითხოვს; ბ) მითითებას, თუ რომელი ვალდებულებით (ხელშეკრულებით) გადაეცა ლიზინგის მიმღებს საგანი, რომლის დაბრუნებასაც ლიზინგის გამცემი მოითხოვს; გ) მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მოთხოვნას. ცხადია, რომ ამ მტკიცებულებებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიზინგის ხელშეკრულებას, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 577-ე მუხლის, თანახმად წერილობითი ფორმით იდება.

მართალია, ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად განცხადებაში **„აღნიშნული უნდა იყოს“** წაყენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ამ მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე სადავო საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღება. ამიტომ, ეს მტკიცებულებები, სინამდვილეში, უნდა ერთვოდეს განცხადებას, მით უმეტეს, რომ ბრძანების მიღების საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს უმოკლეს ვადაში (309[5]-ე მუხლი).

3. ამ მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს განცხადების განხილვის ვადას. ეს ვადა არის 3 დღე და მისი ათვლა იწყება არა განცხადების შემოტანის დღიდან, არამედ მისი წარმოებაში მიღების დღიდან (309[4]-ე მუხლი).

მუხლი 309 [3]. განსჯადობა

განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლო-

ბელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე სასამართლოში შეიტანება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

– სსკ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

– ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ადგილად ითვლება ის ადგილი, რომელიც ამ ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. მაგრამ, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვალდებულებითი ურთიერთობის არსით (იხ. სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი).

მუხლი 309[4]. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების უმოძრაოდ დატოვება

1. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე არ აკმაყოფილებს 309[2] მუხლის მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და განმცხადებელს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ განმცხადებელი განსაზღვრულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე განცხადებას უმოძრაოდ დატოვებს და განმცხადებელს დაუბრუნებს.

2. სასამართლოს განჩინებაზე ლიზინგის საგნის

გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების უმოძრაოდ დატოვებისა და მისი განმცხადებლისათვის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

– იმ შემთხვევაში, როდესაც ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ განცხადება არ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ, ხოლო თუ ამ განჩინებით დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ამ განცხადების უმოძრაოდ დატოვების შესახებ. ამ განჩინებების მიღება და გასაჩივრება წარმოებს სსკ 185-ე მუხლით სარჩელების უმოძრაოდ დატოვებისათვის დადგენილი წესების მსგავსად. ამიტომ, 185-ე მუხლის კომენტარი მთლიანად ვრცელდება ამ მუხლზეც.

მუხლი 309[5]. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმა

1. თუ განცხადებაში ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე 309[2] მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ ასაბუთებს წაყენებულ მოთხოვნას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2. სასამართლოს განჩინებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უა-

რის თქმის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ ერთი სახის ბრძანება ლიზინგის საგნის განმცხადებლისათვის დაბრუნების შესახებ. მაგრამ თუ განცხადებაზე თანდართული მტკიცებულებები **ვერ ასაბუთებენ მოთხოვნას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ.**

2. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა სსკ 414-ე-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 309 [6]. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანება

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას და მისი გასაჩივრების წესი და ვადა.

– იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადების განმხილველი სასამართლოს რწმენით მტკიცებულებები, რომლებიც თან ერთვის განცხადებას, ადასტურებენ მოთხოვნას, მას გამოაქვს ბრძანება ლიზინგის საგნის განმცხადებლისათვის დაბრუნების შესახებ. ეს ბრძანება, ამ მუხლის დანაწესის მიხედვით, ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, თუმცა დასაშვებია მისი გასაჩივრება.

მუხლი 309 [7]. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების გასაჩივრება

სასამართლოს ბრძანებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბ-

რუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ამასთან, ეს ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას.

– კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას, ისე როგორც სააპელაციო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს დაუყონებლივ აღსრულებაზე წარდგენილი გადაწყვეტილების აღსრულებას (375-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგრამ საჩივრის განმხილველ სასამართლოს შეუძლია, თუ ეს საჭიროდ მიაჩნია, დროებით შეაჩეროს ბრძანების აღსრულება (418-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

– ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ სასამართლო ბრძანებაზე შეტანილი კერძო საჩივარი განიხილება 414-ე-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

კარი მეექვსე
უდავო წარმოება

თ ა ვ ი XXXV
ზოგადი დეგულებანი

მუხლი 310. სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეები

უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს:

ა) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ;

ბ) მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;

გ) მოქალაქის ქმედუუნაროდ და შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ;

დ) დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ (გამოწვევითი წარმოება);

ე) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ;

ვ) ამოღებულია

ზ) შვილად აყვანის შესახებ.

– არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც პირს აქვს ესა თუ ის უფლება, მაგრამ ვერ ახორციელებს ამ უფლებას, რადგან ფაქტი, რომლის საფუძველზეც ეს უფლება წარმოიშობა, არ არის ნათლად და გარკვევით წარმოდგენილი და საჭიროებს დადგენა-დადასტურებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ფაქტის დადგენა, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური პირობების გამო, ვერ

ხერხდება სხვა გზით, პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს უდავო წარმოების წესით ფაქტის დადგენის შესახებ (სსკ-ის 313-315-ე მუხლები).

უდავო წარმოების წესით შეიძლება დადგინდეს ფაქტის არსებობა ან არარსებობა, მაგრამ არა ამ ფაქტის სამართლებრივი შედეგი, ე. ი. თუ რა შედეგს უკავშირებს უდავო წარმოების წესით დადგენილ ფაქტს კანონი.

– ეს მუხლი შეიცავს იმ კატეგორიის საქმეთა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს უდავო წარმოების წესით.

– უდავო წარმოება არის ერთმხარიანი (ერთპირიანი) წარმოება, რადგან ერთი მხარე – განმცხადებელი, მოითხოვს მხოლოდ ფაქტის დადგენას, რაიმე გარემოების აღიარებას ან რეგისტრაციას და არ აყენებს მეორე მხარის, ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ რაიმე მოთხოვნას.

მუხლი 311. უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვა

1. უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია XXXV-XLII თავებით. უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს.

2. თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

1. უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის დროს არის მხოლოდ განმცხადებელი და არ არიან მხარეები, კერ-

ძოდ, მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები, თანამონაწილეები. ამიტომ, ამ პირების პროცესში მონაწილეობით განპირობებული საქმეთა განხილვის წესები არ არის საჭირო და არც გამოიყენება უდავო წარმოების დროს, სხვა მხრივ, უდავო წარმოების საქმეები განიხილება სსკ-ით დადგენილი წესების დაცვით, გარდა იმ გამონაკლისებისა, რაც ამ კოდექსის მეექვსე კარითაა დადგენილი.

- როგორც სავსებით სწორად მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას სასამართლომ უნდა აცნობოს სავარაუდოდ დაინტერესებულ ყველა პირს, რათა შესაძლებლობა მიეცეთ მათ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში და დროულად განახორციელონ 311-ე მუხლის მეორე ნაწილით მინიჭებული უფლება - მოითხოვონ საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ დაინტერესებულმა პ ირებმა გაიგეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, მოითხოვონ მისი გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მისი ბათილად ცნობის შესახებ[47].

2. თუ საქმის უდავო წარმოების დროს აღიძვრება დავა, სასამართლო უკვე ვეღარ განიხილვს ამ საქმეს უდავო წარმოების წ ესით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, რომ დაინტერესე-

[47] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 ნოემბრის განჩინება, აგრეთვე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 13 ივნისის განჩინება. ეს განჩინება და მათი კომენტარი იხ. **თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი**.„საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ“ თბ. 2003.

ბულ პირებს შეუძლიათ აღძრან სარჩელი საერთო წესის დაცვით.

სარჩელის აღძვრის შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს მისი მიღების ყველა პირობას (177-ე-186-ე მუხლები). მხედველობაშია მისაღები რომ **უდავო წარმოების წესით განცხადების განსჯადობა შეიძლება არ დაემთხვეს უფლების დაცვის შესახებ აღძრული სარჩელის განსჯადობას, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის: სარჩელი უნდა აღიძრას განსჯადობის წესების დაცვით.**

თ ა ვ ი XXXVI

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა

მუხლი 312. სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეები იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ

1. სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა, თუ შეუძლებელია მათი დადგენა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

2. სასამართლო განიხილავს საქმეებს:

ა) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ;

ბ) პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ;

გ) დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტების დადგენის შესახებ;

დ) უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს;

ე) ამოღებულია

ვ) ამოღებულია

ზ) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა -

სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ უარი განაცხადა დაბადების ან გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე;

თ) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ;

ი) ამოღებულია

1. იურიდიული ფაქტები, ეს ისეთი ფაქტებია, რომლებსაც კანონი უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. აქედან გამომდინარე, თუ ფაქტს, რომლის დადგენაც სურს განმცხადებელს, არ უკავშირდება რაიმე იურიდიული შედეგი, სასამართლომ არ უნდა მიიღოს განცხადება განსახილველად.

– ფაქტს შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე იურიდიული შედეგი და ამიტომ ასეთი ფაქტი იურიდიული ფაქტია, მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს განცხადება ამ ფაქტის დადგენის მიზნით, ეს არაა საკმარისი. ამისათვის საჭიროა, რომ დასადგენ ფაქტს **უკავშირდებოდეს სწორედ ის შედეგი, რომლის დადგომაც სურს განმცხადებელს.** წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა მიიღოს განცხადება განსახილველად (სსკ-ის 315-ე მუხლი).

იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს განცხადება განსახილველად მას უნდა ერთვოდეს აგრეთვე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ფაქტის დადგენა შეუძლებელია ამა თუ იმ მიზეზის გამო (იხ. 313-ე მუხლის კომენტარი).

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს იმ იურიდიული ფაქტების ჩამონათვალს, რომლებიც შეუძლია დაადგინოს სასამართლომ უდავო წარმოების წესით. ეს ფაქტებია:

ა) პირთა ნათესაური კავშირი. ნათესაურ კავშირს, მაგალითად, შვილობის, შვილიშვილობის, მშობლობის და ა.შ. ფაქტს აქვს იურიდიული მნიშვნელობა, რადგან უკავშირდება იურიდიული შედეგი, კერძოდ, მემკვიდრეობა, რჩენის მოვალეობა და სხვა. განმცხადებელმა უნდა მიუთითოს განცხადებაში იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ, თუ რა მიზნისათვის სჭირდება მას ამ ფაქტის დადგენა. თუ აღ-

მოჩნდება, რომ განმცხადებელს უნდა ნათესაური კავშირის დადგენა ისეთი მიზნისათვის, რომლისთვისაც ამ ფაქტს არა აქვს რაიმე მნიშვნელობა (მაგალითად, ბინების გადაცვლისათვის, თანამდებობის დაკავებისათვის, სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისათვის და ა. შ.), მაშინ სასამართლომ არ უნდა მიიღოს განცხადება განსახილველად (სსკ-ის 315-ე მუხლი).

ბ) კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაადგინოს სასამართლომ, როდესაც ამ ფაქტს კანონი უკავშირებს განმცხადებლისათვის სასურველ შედეგს. მაგალითად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირს, რომლის რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა (სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი).

გ) სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მხოლოდ და მხოლოდ დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტი, ე. ი. ფაქტი იმის შესახებ, რომ დაბადება იყო რეგისტრირებული, შვილად აყვანა იყო რეგისტრირებული, ქორწინება იყო რეგისტრირებული და ა. შ. მაგრამ არქივი (ჩანაწერები რეგისტრაციის შესახებ) განადგურდა ომიანობის, ხანძრისა თუ რაიმე სტიქიური უბედურების გამო.

განცხადება ამ ფაქტების დადასტურების შესახებ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ერთვის სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოდან (სარმო) ცნობა იმის შესახებ, რომ მათ არ შეუძლიათ გასცენ შესაბამისი დოკუმენტის დუბლიკატი არქივის განადგურების გამო.

დ) პირები ფართოდ სარგებლობენ ამა თუ იმ დოკუმენტით, როგორიცაა მაგალითად, შრომის წიგნაკი, ცნობა მუშაობის შესახებ, განათლების თუ სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა. შ. რომლებსაც აქვთ იურიდიული მნიშვნელობა. ზოგჯერ ამ დოკუმენტებში მითითებული სახელი, მამის სახელი, გვარი, არ ემთხვევა პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს.

ამის მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს, რომელთა შორის

ყველაზე გავრცელებულია სახელის შემოკლებით აღნიშვნა (მაგალითად, გოგა გიორგის ნაცვლად, ლექსო ალექსანდრეს ნაცვლად და ა. შ.). ზოგჯერ მოქალაქეები იცვლიან თავიანთ გვარს, მაგრამ არ ცვლიან დოკუმენტს და ა.შ.

არასწორია პრაქტიკა, როდესაც სასამართლოები თავიანთი გადაწყვეტილებებით ადგენენ არა დოკუმენტის პირისადმი კუთვნილების ფაქტს, როგორც ეს მითითებულია ამ პუნქტში, არამედ იმ პირთა იგივეობის ფაქტს, რომლებიც სხვადასხვანაირად არიან მოხსენიებული გადაწყვეტილებაში. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „შრომის წიგნაკში მითითებული გოგი ნიჟარაძე და პასპორტში მითითებული გიორგი ნიჟარაძე – ერთი და იგივე პირია", ან კიდევ „ნ. ბ. ქარაზანაშვილი და ნ. ბ. ქარზანაშვილი – ერთი და იგივე პირია". კანონის შესაბამისი იქნება ასეთი ფორმულირება გადაწყვეტილებაში: „შრომის წიგნაკი გაცემული 2000 წლის 15 იანვარს გოგი ნიჟარაძის სახელზე, ეკუთვნის გიორგი ნიჟარაძეს", ან კიდევ „თსუ-ს მიერ ა. ნ. შენგელიას სახელზე 1955 წელს გაცემული №5 დიპლომი, ეკუთვნის ა. ნ. შენგელაიას".

ზ) განცხადებას პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში დაბადების ან გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თან უნდა ერთვოდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი უარს ამბობს ამ ფაქტის რეგისტრაციაზე, აგრეთვე მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებენ პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს.

თ) დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ შეიძლება განიხილოს სასამართლომ უდავო წარმოების წესით, თუ სანოტარო ორგანომ უარი უთხრა განმცხადებელს მემკვიდრეობის მიღების უფლების მოწმობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ განმცხადებელს არ გააჩნია შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტს, როგორიცაა, მაგალითად, სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ქვითრები, საბინაო კომუნალური მომ-

სახურებისათვის გაწეული ხარჯების ქვითრები, მეზობლების წერილობითი ახსნა-განმარტებები და ა. შ. თუ ასეთი დოკუმენტები წარუდგინა განმცხადებელმა ნოტარიუსს, მაგრამ მან ისინი არასაკმარისად ჩათვალა, მაშინ განმცხადებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის გამო.

იურიდიული ფაქტების ამ მუხლში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავია რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა ფაქტებს სასამართლო ვერ დაადგენს უდავო წარმოების წესით.

მუხლი 313. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისათვის აუცილებელი პირობები

1. სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

2. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული (გამოცემული) ადმინისტრაციული აქტით".

1. იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების მიღება განსახილველად დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ სხვა გზით ამ ფაქტის დადგენა ნამდვილად შეუძლებელია იმის გამო, რომ შესაბამისი ჩანაწერები განადგურდა, ხოლო მათი აღდგენა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, თუ არსებობის ფაქტის დამადასტურებელი საბუთის სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შესაძლებლობა, სასამართლომ არ უნდა დაადგინოს ფაქტი, არ უნდა მიიღოს განცხადება ფაქტის დადგენის შესახებ წარმოებაში.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილისა და 315-ე მუხლის ანალიზი საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ დამტკიცების ტვირთი ეკისრება განმცხადებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები (315-ე მუხლი), რომლებიც თან უნდა ერთოვდეს განცხადებას ფაქტის დადგენის შესახებ. ამ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით. თუ ასეთი შეფასების შედეგად სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ ფაქტის სხვა წესით დადგენა მართლაც შეუძლებელია, იგი მიიღებს და განიხილავს განცხადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ეტყვის განმცხადებელს განცხადების მიღებაზე, ხოლო თუ ეს განცხადება შეცდომით იქნა მიღებული წარმოებაში - დატოვებს მას განუხილველად.

განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს ამ მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი **მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ,** რომლის თანახმად „იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი საბუთის მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობა შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ **შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული აქტით.**

მაგალითად, სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ ქორწინების რეგისტრაცია, რომელიც განმცხადებლის განცხადებით განხორციელებულა 1990 წელს, ვერ იქნება დადასტურებული, რადგან ხანძრის შედეგად, რომელიც ამ რეგისტრაციის შემდეგ (1993 წ.) მოხდა განადგურდა ყველა ჩანაწერი. ამიტომ, სარმო-ს, ბუნებრივია, არ შეუძლია დაადასტუროს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი.

ამრიგად, **იურიდიული ფაქტის დადგენის შეუძლებლობა** რაც ამ ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების ერთ-ერთი **წინაპირობაა**, შეიძლება დადასტურდეს არა ყოველი სახის მტკიცებულებით, რომელსაც იცნობს სსკ-სი (127-176-ე მუხლები), არამედ მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებებით და ისიც მხოლოდ სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს **ადმინისტრაციული აქტით**.

ამასთან დაკავშირებით პრაქტიკულ მნიშვნელობას

იძენს თუ **რა შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ აქტად და ადმინისტრაციულ წარმოებად, რომლის შედეგად უნდა** იქნეს გამოცემული ეს ადმინისტრაციული აქტი **და არის თუ არა მისი მიმღები ორგანო ადმინისტრაციული ორგანო.**

ცხადია, რომ როდესაც განცხადებას იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ თან ერთვის ადმინისტრაციული ფაქტის დადგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტი, სასამართლომ უნდა შეამოწმოს და შეაფასოს სამივე ეს ელემენტი.

ადმინისტრაციული აქტის დეფინიცია მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ" ქვეპუნქტში, რომლის თანახმად **ადმინისტრაციული აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.**

ადმინისტრაციული აქტი მიღებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული **ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.** ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „კ" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების მიზნით.

ადმინისტრაციული ორგანოს ლეგალური განმარტება მოცემულია ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლში. ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად **ადმინისტრაციული ორგანო** არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

ამრიგად, იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაზე თანდართული ადმინისტრაციული აქტის შემოწმება და შეფასება სასამართლოს მხრივ არ არის მარტივი საქმე. სასამართლომ უნდა შეამოწმოს არის თუ არა ამ აქ-

ტის გამცემი ორგანო ადმინისტრაციული ორგანო, მიღებულია თუ არა ეს აქტი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად და პასუხობს თუ არა იგი კანონის მოთხოვნებს ანუ შეიძლება თუ არა ჩაითვალოს იგი ადმინისტრაციულ აქტად.

სასამართლოებმა ყოველთვის უნდა იქონიონ მხედველობაში, რომ უდავო წარმოების წესით სასამართლოებს შეუძლიათ დაადგინონ დაბადების, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების და ა.შ. **რეგისტრაციის ფაქტი.** მაგრამ, თუ რეგისტრაცია არ მომხდარა და, მაშასადამე, არც რაიმე ჩანაწერებია ამის შესახებ, მაშინ ცხადია, რომ სასამართლო ვერ დაადგენს **„რეგისტრაციის ფაქტს“**, ე.ი. ფაქტს, რომელსაც არ ჰქონია ადგილი. აქედან გამომდინარე, თუ სათანადო ადმინისტრაციული ორგანო, მის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული ადმინისტრაციული აქტით ადასტურებს, რომ შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების და ა.შ. **რეგისტრაცია არ განხორციელებულა**, სასამართლომ უარი უნდა უთხრას განმცხადებელს უდავო წარმოების წესით განცხადების მიღებაზე და განხილვაზე: სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ადგილი ჰქონდა რეგისტრაციის ფაქტს, მაგრამ მას არ შეუძლია **თვითონ მოახდინოს რეგისტრაცია**.

ბოლოს, არ არის გამორიცხული, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება უარი უთხრას განმცხადებლის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე, შეუძლია თუ არა სასამართლოს განმცხადებლის შუამდგომლობით თვითონ გამოითხოვს ასეთი აქტი?

თუ ვიხელმძღვანელებთ სსკ 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესით თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, **მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები.**

მუხლი 313[1]. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

თუ სასამართლო საქმის განხილვისას დაადგენს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუს-

აბუთებლად უთხრა განმცხადებელს უარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენაზე ან/და თავი შეიკავა მათი დადგენისაგან, სასამართლო შესაბამისი რეაგირებისათვის წარდგინებას უგზავნის ამ ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია მიღებული ვადაწყვეტილების შესახებ ერთი თვის ვადაში აცნობოს სასამართლოს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე, რომ არც ისე იშვიათად შესაბამისი ორგანოები არამარტო **სრულად დაუსაბუთებლად** ეუბნებიან უარს მოქალაქეებს იურიდიული ფაქტის დადგენაზე, არამედ პირიქით, უბიძგებენ მათ მიმართ სასამართლოს. ასეთი არასწორი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით ეს მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მოვალეობას **წარდგინებით** მიმართოს ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს შესაბამისი რ ეაგირებისათვის, თავის მხრივ, ეს ხელმძღვანელი ვალდებულია წარდგინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში აცნობოს სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 314. განცხადების შეტანა

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ სასამართლოში შეიტანება მხოლოდ ამ კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

– იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების განსჯადობა განისაზღვრება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილით, რომელმაც ასეთი განცხადება უნდა შეიტანოს სასამართლოში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ მუხლში მითითებული 312-ე მუხლის პირველი ნაწილი დაკონკრეტებულია ამავე მუხლის მე-2 ნაწილში, რომელიც

ამომწურავად **განსაზღვრავს იმ ფაქტების წრეს,** რომლებიც შეიძლება დადგინდეს უდავო წარმოების წესით.

-იურიდიული ფაქტის შესახებ განცხადებაშია მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ სათანადო საბუთის აღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას. ამასთან ერთად, ეს მტკიცებულებები წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოში განცხადებასთან ერთად (სსკ-ის 313-ე მუხლი).

– თუ განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ:

1) მასში არაა მითითებული მიზანზე, რისთვისაც სჭირდება განმცხადებელს იურიდიული ფაქტის დადგენა;

ბ) მასში არაა მითითებული მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ფაქტის დამადასტურებელი საბუთის სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას;

გ) განცხადებას არ ერთვის (არაა წარმოდგენილი განცხადებასთან ერთად) ეს მტკიცებულებები, კერძოდ სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული აქტი – მაშინ სასამართლომ უნდა მისცეს ვადა განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სასამართლო განცხადებას უმოძრაოდ დატოვებს (სსკ-ის 185-ე მუხლი).

თუ განცხადების ხარვეზი გამოვლინდა მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ამ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ სსკ-ის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალოგიით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 315. განცხადების შინაარსი

განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნით სჭირდება განმცხადებელს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების

ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას ამ კოდექსის 313-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვით.

– განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი მიმართული ნებისმიერი სხვა განცხადება, უნდა შეიცავდეს იმ მიზანზე ნათლად და გასაგებად მითითებას, რისთვისაც სჭირდება განმცხადებელს იურიდიული ფაქტის დადგენა. ეს კანონის უმნიშვნელოვანესი დანაწესია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტი შეიძლება მართლაც იყოს იურიდიული იმ თვალსაზრისით, რომ მას კანონი უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს, მაგრამ რა მიზნისთვისაც განმცხადებელი მოითხოვს ფაქტის დადგენას, ამ ფაქტს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ანუ ფაქტს, რომლის დადგენასაც მოითხოვს განმცხადებელი, არ უკავშირდება ის შედეგი, რომლის დადგომაც სურს განმცხადებელს.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მიუთითა, რომ განცხადებაში იმ მიზანზე მითითება, რისთვისაც განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა სჭირდება, წარმოადგენს სასამართლოს მიერ განცხადების წარმოებაში მიღებისა და განხილვის ერთ-ერთ უცილებელ წინაპირობას".[48]

მუხლი 316. სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტის დადგენის შესახებ

სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში ან სხვა ორგანოში, წარმოადგენს საფუძველს ასეთი რეგისტრაციისა

[48] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებანი, 2001-2002. გვ. 73

და გაფორმებისათვის, მაგრამ ვერ შეცვლის ამ ორგანოების მიერ გასაცემ დოკუმენტებს[49].

– გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ უნდა პასუხობდეს ყველა მოთხოვნას, რასაც სასამართლო გადაწყვეტილება საერთოდ (249-ე მუხლი). მათ შორის, გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე სასამართლომ გააკეთა დასკვნა ფაქტის არსებობა-არარსებობის შესახებ, აგრეთვე ფაქტზე, რომელიც სასამართლომ ჩათვალა დადგენილად.

– თუ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ისეთი ფაქტის შესახებ, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს ამა თუ იმ ორგანოში, მაშინ გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს ასეთი რეგისტრაციისათვის და გაფორმებისათვის. მაგალითად, თუ გადაწყვეტილებით დადგენილია ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების და ა. შ. რეგისტრაციის ფაქტი, სარმო-მ რეგისტრაცია უნდა გაუკეთოს ამ ფაქტს, რადგან უშუალოდ გადაწყვეტილება ვერ შეცვლის გასაცემ დოკუმენტს.

– ვინაიდან იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს საფუძველი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტის რეგისტრაციისათვის და გაფორმებისათვის, სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბებასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებას, რადგან ფაქტის რეგისტრაცია და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება სწორედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით უნდა მოხდეს.

– სსკ-ის XXXVI თავი, რომელიც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას ეძღვნება, არ ითვალისწინებს ამ ფაქტების დადგენის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება.

[49] ამჟამად მმროს ეწოდება „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“.

უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს სსკ-ით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია ამ თავით (311-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში.

– კანონის მოთხოვნა, რომ გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ვერ გავრცელდება უდავო წარმოების წესით გამოტანილ გადაწყვეტილებებზე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ, რადაგან ასეთი წარმოების დროს არის მხოლოდ განმცხადებელი და არ არიან მხარეები, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, თანამონაწილეები (თანამოსარჩელეები, თანამოპასუხეები).

აქედან გამომდინარე, იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტის დადგენით შეილახა მათი უფლება.

ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ თავის განჩინებაში საკასაციო სასამართლომ მიუთითა:

– თუ იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ დაინტერესებულმა პირებმა გაიგეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, მოითხოვონ მისი გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა, თუ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის შესული კანონიერ ძალაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, დაინტერესებულ პირებს, შეუძლიათ მიმართონ ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მისი ბათილად ცნობის შესახებ.[50]

[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წ. 13 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №3კ/681-02. დაწვრილებით იხ. **თ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი**. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ. გ-ბა „სანი“. თბ. 2003.

თ ა ვ ი XXXVII

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება

მუხლი 317. განცხადების შეტანა

განცხადება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შეიტანება სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

– სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადებით ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას.

ამავე კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, პირი შეიძლება გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. კიდევ უფრო შეკვეცილი ვადებია, როცა პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ პირობებში.

– განცხადება პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შეუძლიათ შეიტანონ **დაინტერესებულმა პირებმა**, მაგრამ თუ ვინ ითვლება დაინტერესებულ პირებად კანონში მითითებული არაა.

სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებას,

უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები. პირის გარდაცვლილად აღიარების იურიდიული ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით (მემკვიდრეებს). ამ პირებს, ე. ი. მემკვიდრეებს შეუძლიათ შეიტანონ განცხადება როგორც პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის, ისე მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ.

არ არის გამორიცხული, რომ არც კანონისმიერი და არც ანდერძისმიერი მემკვიდრეები არ არსებობდნენ, ასეთ შემთხვევაში ქონება (უმკვიდრო ქონება) გადადის ხაზინაზე, აქედან გამომდინარე, პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადება შეიძლება შეიტანოს სასამართლოში **ხაზინამ**.

– განცხადება შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის, ე. ი. დაინტერესებული პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 318. განცხადების შინაარსი

განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მისი გარდაცვლილად გამოცხადება, აგრეთვე გარემოებანი, რომლებითაც დასტურდება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგვა, ანდა რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს სიკვდილის საფრთხეს უქმნიდნენ ან საფუძველს იძლევიან მისი დაღუპვის ვარაუდისათვის გარკვეული უბედური შემთხვევის შედეგად.

– მიზანი პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა, თუ მისი გარდაცვლილად გამოცხადებისა შეიძლება სხვადასხვა იყოს, როგორიცაა: ქონების მინდობილი საკუთრებით მართვა, განქორწინება, ქონების მემკვიდრეობით მი-

ღება (მემკვიდრეობის გახსნა), მარჩენალის სიკვდილის გამო პენსიის მიღება და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქის გამოცხადება გარდაცვლილად იწვევს იგივე იურიდიულ შედეგს, რასაც მოქალაქის გარდაცვალება (სამოქალაქო კოდექსის 1122-ე და 1319-ე მუხლები). მაგრამ უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად გამოცხადებას არ შეიძლება მიზნად ჰქონდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დევნის შეწყვეტა.

– განცხადებაში გარდა მიზნისა, მითითებული უნდა იყოს ისეთ გარემოებაზე, რომლებიც ადასტურებენ უგზო-უკვლოდ დაკარგვას ან გარდაცვალებას. მაგალითად, სამისამართო ბიუროების უარყოფითი პასუხები, ასეთივე უარყოფითი ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ სამუშაო თუ ბოლო ან სავარაუდო ადგილებიდან და ა. შ. თუ განცხადება მოითხოვს მოქალაქის გარდაცვლილად აღიარებას, მაშინ მითითებული უნდა იყოს გარემოებებზე, რომლებიც სიკვდილით ემუქრებოდა მოქალაქეს, მაგალითად, საავიაციო თუ ავტოკატასტროფები, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა. შ. (სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლი).

მუხლი 319. მოსამართლის მოქმედება განცხადების მიღების შემდეგ

სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადებისას მოსამართლე გამოარკვევს, თუ რომელ პირებს შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, აგრეთვე გამოჰკითხავს სათანადო ორგანოებს დაკარგული პირის შესახებ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით.

– ისე როგორც უდავო წარმოების წესით განსახილველ ყველა საქმეს, ამ კატეგორიის საქმეებსაც წინასწარ ამზადებს სასამართლო განსახილველად.

საქმე ისაა, რომ მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს მეტად სერიოზულ სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ, სასამართლოს ვა-

რაუდი პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ქმნიან მაღალი ხარისხის ვარაუდს ამ ფაქტების შესახებ.

– იმისათვის, რომ ეს ვარაუდი ეფუძნებოდეს საკმარისად უტყუარ საფუძველს, სასამართლომ თვითონ განმცხადებლისაგან უნდა გაიგოს, თუ ვისგან შეიძლება საჭირო ცნობების მიღება დაკარგულის შესახებ. ამასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გამოუძახოს და გამოკითხოს იმ პირებს, ან ორგანიზაციის თანამშრომლებს, რომლებთან ერთად მუშაობდა დაკარგული ბოლო დროს.

– მხედველობაშია მისაღები, რომ პირი შეიძლება განზრახ გაუჩინარდეს იმ მიზნით, რათა თავიდან აიცილოს სისხლის თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რაიმე ვალდებულებების შესრულება და სხვა. თუმცა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დევნის შეწყვეტის საფუძველს.

მუხლი 320. სასამართლო გადაწყვეტილება

1. სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით გადაეცეს სამართავად მის კანონით მემკვიდრეებს.

2. სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე გამოცხადებულია გარდაცვლილად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ამ მოქალაქის გარდაცვალების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში.

1. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას უკავშირდება მხოლოდ ერთი შედეგი: დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით გადაეცემა სამართავად მის კანონიერ მემკვიდრეებს. ეს იმას ნიშნავს, რომ, ის, ვისაც გადაეცა დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით, ვალდებულია დაიცვას სამოქალაქო კოდექსის 725-729-ე მუხლების მოთხოვნა. გამონაკლისია მხოლოდ ის, რომ ასეთ პირთან მინდობის ხელშეკრულების დადება აღარაა საჭირო, რადგან საკუთრების მიმნდობის როლში გვევლინება სასამართლო თავისი გადაწყვეტილების ძალით.

– ცხადია, რომ გადაწყვეტილებაში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული, თუ რა ქონება და ვის გადაეცა იგი სამართავად. გადაწყვეტილების აღსრულება, ე. ი. ამ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ქონების გადაცემა მინდობილ მესაკუთრეზე, უნდა მოახდინოს აღმსრულებელმა.

2. სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ წარმოადგენს საფუძველს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს (სარმო) წიგნში ამ პირის გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის შეტანისათვის.

ამის შემდეგ, ამ ფაქტს უკავშირდება ყველა ის შედეგი, რაც პირის გარდაცვალებას საერთოდ.

მუხლი 321. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შედეგები

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას. ახალი გადაწყვეტილება წარმოადგენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რე-

გისტრაციის წიგნში გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის გაუქმების საფუძველს.

– მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება ყოველთვის ეფუძნება პრეზუმფციას (ვარაუდს). ამიტომ, ეს მუხლი უშვებს ამ ვარაუდის გაქარწყლების შესაძლებლობას. გაქარწყლება კი შეიძლება დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებულის გამოჩენით ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენით. ეს უნდა დადასტურდეს უტყუარად სასამართლოს წინაშე თვითონ ამ პირის გამოცხადებით, ან ოფიციალური ცნობით მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

– სასამართლოს განცხადებით შეიძლება მიმართოს იმ პირმა, ვისი განცხადებითაც პირი გამოცხადდა დაკარგულად ან გარდაცვლილად, სხვა დაინტერესებულმა პირმა (317-ე მუხლი) და ცხადია, თვითონ იმ პირმა, რომელიც გამოცხადებული იყო დაკარგულად ან გარდაცვლილად.

– განცხადების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება (და არა განჩინება), რომლითაც აუქმებს ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებას. ეს ახალი გადაწყვეტილება გადაეცემა სარმო-ს, რომელიც მის საფუძველზე აუქმებს რეგისტრაციის წიგნში ამ პირის გარდაცვალების შესახებ ჩანაწერს, რაც თავის მხრივ, იწვევს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს.

– უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, უქმდება ამ პირის ქონების მინდობილი საკუთრების უფლებით სხვა პირზე სამართავად გადაცემა (სამოქ. კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი).

– სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძვრის შესახებ. დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის დადგენის შესახებ განცხადებით ხდება არა უდავო წარმოებით საქმის აღძვრა, არამედ ადრე უკვე აღძრული და გადაწყვეტილი საქმის განახლება. ამიტომ, ასეთ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის შეტანა საჭირო არაა.

თ ა ვ ი XXXVIII

მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარება

მუხლი 322. განცხადების შეტანა

1. საქმე იმ მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, რის გამოც თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, შეიძლება აღძრან მისი ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა.

2. საქმე ფსიქიკური აშლილობის გამო მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეიძლება აღძრან სასამართლოში მისი ოჯახის წევრებმა, კანონიერმა წარმომადგენელმა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, აგრეთვე ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებმა.

3. განცხადება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი მოთავსებულია ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ — სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

1. შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე, მაგრამ შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე სრულწლოვანი, რომელიც სასამართლომ აღიარა ასეთად.

ამ მუხლს მხედველობაში ჰყავს სრულწლოვანები, რომლებიც ეძალებიან ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას.

შეზღუდულ ქმედუნარიანად პირის აღიარების შესახებ

სასამართლოს შეიძლება მიმართონ ამ პირის ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა. ეს ჩამონათვალი არის ამომწურავი და მისი გაფართოება დაუშვებელია. საქმე ისაა, რომ პირი, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს თავის ოჯახს. ამიტომ, პირველ რიგში, მისი ოჯახის წევრები უნდა იყვნენ დაინტერესებული ამ პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, პრაქტიკულად შეიძლება მიმართონ სასამართლოს განცხადებით, როდესაც ასეთ პირს არ ჰყავს ოჯახში სრულწლოვანი წევრი ან მათ მიმართავენ თხოვნით ოჯახის წევრები, შეუტანონ სასამართლოში განცხადება პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ.

2. ყოველი სრულწლოვანი პირი ითვლება ქმედუნარიანად, სანამ მისი ქმედუუნარობა არაა აღიარებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი).

– გარდა ოჯახის წევრებისა, კანონიერი წარმომადგენლებისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისა, ფსიქიკური აშლილობის გამო მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ განცხადებით სასამართლოს შეიძლება მიმართონ ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებმა. ეს ჩამონათვალი არის ამომწურავი, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა პირისაგან (ორგანოსაგან) არ უნდა მიიღოს განცხადება (186-ე მუხლი).

– იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში განცხადება შეაქვს არა ოჯახის წევრს, ან კანონიერ წარმომადგენელს არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ან ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებას, საქმის განხილვაში ჩაბმული უნდა იქნეს ოჯახის სრულწლოვანი წევრები.

– იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეაქვს არაუფლებამოსილ პირს (ორგანოს), სასამართლომ არ უნდა მიიღოს ასეთი განცხადება, ხოლო თუ შეცდომით მიიღო, დატოვოს იგი განუხილველად (275-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

3. ამ მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს ტერიტორიულ

განსჯადობას. განცხადება პირის შეზღუდულ ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი მოთავსებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მაშინ ამ დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

განსჯადობის ასეთი წესი განპირობებულია პირის მიმართ ყველა საჭირო ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების უკეთ შესწავლის, შემოწმებისა და გამოკვლევის ინტერესებით.

მუხლი 323. განცხადების შინაარსი

1. განცხადებაში მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირი, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს თავის ოჯახს.

2. განცხადებაში მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ უნდა აღინიშნოს გარემოებანი, რომლებიც ადასტურებენ ფსიქიკურ აშლილობას, რის გამოც მას არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან განაგოს იგი.

1. პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებისათვის აუცილებელია დადასტურდეს არა მარტო ის, რომ იგი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებას, არამედ ისიც, რომ ამის გამო იგი თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

ამიტომ, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს არა მარტო ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ გარემოებებს, არამედ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებებიც ამ გარემოებათა დასადასტურებლად (ცნობები სამედიცინო დაწესებულებებიდან, საექიმო დასკვნები, მკურნალობის შესახებ ცნობები და ა. შ.).

– თუ განცხადება არ შეიცავს მითითებას ამ გარემოებებზე ან თუ მას არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულებები, სასამართლომ უნდა დაუნიშნოს განმცხადებელს ვადა ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, იგი გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ (185-ე მუხლი).

2. განცხადება მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ უნდა პასუხობდეს აქ მითითებულ მოთხოვნებს და მას **უნდა ერთვოდეს** მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ პირის ფსიქიკურ აშლილობას (ამონაწერი მისი ავადმყოფობის ისტორიიდან, ცნობები მისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის შესახებ, მოწმეთა ჩვენებები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ პირის ისეთი საქციელი, რომელიც არ ახასიათებს ჯანსაღ ადამიანს და ა. შ.).

– თუ განცხადება არ პასუხობს ამ მოთხოვნებს, ან მას თან არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულებები, სასამართლო დაუნიშნავს ვადას განმცხადებელს, შეავსოს ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ (185-ე მუხლი).

მუხლი 324. ექსპერტიზის დანიშვნა მოქალაქის ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით

თუ არსებობს საკმაო ცნობები მოქალაქის ფსიქიკური აშლილობის შესახებ, განმცხადებელს უფლება აქვს საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლოს წარუდგინოს მის მიერ მოწვეული ფსიქიატრიული ექსპერტის დასკვნა ამ მოქალაქის ფსიქიკური მდგომარეობის თაობაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, აშკარად თავს არიდებს საექსპერტო შემოწმებას, განმცხადებლის თხოვნით, სასამართლოს თავის სხდომაზე ფსიქიატრის მონაწილეობით შეუძლია გამ-

ოიტანოს განჩინება ფსიქიატრიული ექსპერტ-იზისთვის მოქალაქის იძულებით გაგზავნის თაობაზე.

– ეს მუხლი უფლებას აძლევს განმცხადებელს წარუდგინოს სასამართლოს **მის მიერ მოწვეული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა**. ფსიქიატრიული ექსპერტიზა შეუძლია დანიშნოს სასამართლომაც, ოღონდ **„განმცხადებლის თხოვნით“.**

სასამართლოს, ასევე განმცხადებლის თხოვნით, შეუძლია დაადგინოს აგრეთვე ფსიქიატრიული ექსპერტიზაზე იმ პირის იძულებით გაგზავნა, რომლის მიმართ აღძრულია საქმე მისი ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, ექსპერტიზის წინაშე შეიძლება დაისვას ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ ცოდნას, კერძოდ, არის თუ არა პირი ფსიქიკურად დაავადებული. მაგრამ ამ საკითხის გარკვევა არ კმარა, ფსიქიკური აშლილობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ პირს არ შესწევს უნარი სწორად იმოქმედოს და ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას. ამიტომ, ექსპერტის წ ინაშე უნდა დაისვას აგრეთვე საკითხი: ა) **აქვს თუ არა პირს უნარი შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა (ინტელექტუალური ნიშანი); ბ) იხელმძღვანელოს (განაგოს) ამით (ნებელობითი ნიშანი).**

ამ მონაცემების საფუძველზე დასკვნას პირის ქმედუუნარობის, როგორც იურიდიული ცნების, შესახებ აკეთებს სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში .

ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე პირის იძულებითი გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირი თავს არიდებს ნებაყოფლობით შემოწმებას. განჩინება ამის შესახებ სასამართლოს გამოაქვს ფსიქიატრისა და პოლიციის თანამშრომელთა მონაწილეობით.

მუხლი 325. განცხადების განხილვა

1. საქმეს მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს ამ მოქალაქის და მეურვეობისა და

მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

2. საქმეს მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით. მოქალაქეს, რომელიც აღიარებულ უნდა იქნეს ქმედუუნაროდ, დაიბარებენ სასამართლო სხდომაზე, თუ ეს შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

3. განმცხადებელი მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ განთავისუფლებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

1. პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებას წინ უნდა უსწრებდეს საქმის მომზადება. ამ მიზნით, შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირს უნდა გაეგზავნოს განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები, გამოთხოვილ იქნეს მისგან წერილობითი მოსაზრებები, გაეგზავნოს შეტყობინება კანონით დადგენილი წესით საქმის მთავარ სხდომაზე მისი შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ საქმის განხილვისა და მისი სავალდებულო მონაწილეობის შესახებ.

თუ ეს პირი არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის მასალების მიხედვით (და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილება). პოლიციის მეშვეობით ამ პირის გამოცხადების უზრუნველყოფა დაუშვებელია.

– საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიზანშეწონილია მოწვეულ იქნეს (სასამართლოს ინიციატივით) შეზღუდულ ქმეუნარიანად აღიარებული პირის ოჯახის სრულწლოვანი წევრები.

შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ პირს ენიშნება მზრუნველი (326-ე მუხლი). ამიტომ, მათი მონაწილეობა საქმის განხილვაში სავალდებულოა, რის შესახებაც უნდა

ეცნობოს ამ ორგანოებს კანონით დადგენილი წესით (70-78-ე მუხლები); თუ, მიუხედავად ამისა, ამ ორგანოს წარმომადგენელი არ გამოცხადდება დანიშნულ დღეს სხდომაზე, სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და განმეორებით შეატყობინოს მას და მის ზემდგომ ორგანოს, რომ მათი მონაწილეობა სავალდებულოა.

2. ქმედუუნაროდ აღიარებულ მოქალაქეს ენიშნება მეურვე. ამიტომ, ამ საქმის განხილვისას ასევე სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა, რის შესახებაც დროულად უნდა ეცნობოს ამ ორგანოს. თუ, მიუხედავად ამისა, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება აღნიშნული ორგანოს წარმომადგენელი, სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და შეატყობინოს ამის შესახებ ამ ორგანოს და მის ზემდგომ ორგანოს, რომლის ზემოქმედებითაც უნდა მოხდეს აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლის საქმის განხილვაში **მონაწილეობის უზრუნველყოფა**. განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე. პოლიციის მეშვეობით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა მიზანშეუწონელია.

3. პირი, რომელმაც შეიტანა განცხადება (განმცხადებელი) პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, განთავისუფლებულია როგორც სახელმწიფო ბაჟის, ისე საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯებისაგან.

მუხლი 326. სასამართლოს გადაწყვეტილება განცხადების გამო

1. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია შეზღუდულ ქმედუნარიანად, წარმოადგენს საფუძველს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მზრუნველის დასანიშნავად.

2. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია ქმედუუნაროდ,

წარმოადგენს საფუძველს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მეურვის დასანიშნავად.

1. სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლითაც პირი აღიარებულია შეზღუდულ ქმედუნარიანად, მითითებული უნდა იყოს, რომ ამ პირს დაენიშნოს მზრუნველი. მზრუნველს ნიშნავს არა უშუალოდ სასამართლო, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1281-ე მუხლის პირველი ნაწილი). კერძოდ, სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1278-ე მუხლი).

2. ქმედუუნაროდ სასამართლოს მიერ აღიარებულ პირს ენიშნება მეურვე. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ვალდებულია ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი დღისა აცნობოს ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც საჭიროებს მეურვეს.

მეურვის დანიშვნის შესახებ მითითებული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში, მაგრამ მეურვეს ნიშნავს არა უშუალოდ სასამართლო, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლი).

– სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებად გვევლინება, – ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანო (სამოქალაქო კოდექსის 1278-ე მუხლი).

მუხლი 327. შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმება და მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარება

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს, თვით მოქალაქის, მისი მზრუნველის, ოჯახის წევრის განცხადებით, გამოაქვს გადაწყვეტილება მოქალაქის შეზ-

ღუდულ ქმედუნარიანად აღიარების გაუქმების შესახებ.

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს მეურვის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, ოჯახის წევრის განცხადებით, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, გამოაქვს გადაწყვეტილება გამოჯანმრთელებული პირის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება აღნიშნულ პირზე დაწესებული მეურვეობა.

1. განცხადება შეზღუდული ქმედუნარიანობის გაუქმების შესახებ შეიძლება შეიტანონ ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილმა პირებმა. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოქალაქე, რომელიც აღიარებული იყო შეზღუდულ ქმედუნარიანად, უკვე განიკურნა. მტკიცებულებებად შეიძლება გამოყენებული იყოს ცნობები შესაბამისი სამკურნალო დაწესებულებებიდან, მოწმეთა ჩვენებები, ოჯახის წევრთა ახსნა-განმარტებები და სხვა.

2. ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებსაც შეუძლიათ შეიტანონ სასამართლოში განცხადება ადრე ქმედუუნაროდ გამოცხადებული პირის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ.

პირის **ქმედუნარიანად აღიარებისათვის აუცილებელია სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა.**

– ორივე შემთხვევაში, ე. ი. როცა სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების **გაუქმების შესახებ**, ან მოქალაქის **ქმედუნარიანად აღიარების შესახებ**, არ ხდება ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება, არამედ ხდება საქმის განახლება. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს, რომ **უქმდება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება და მასზე მზრუნველობა, ან უქმდება მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარება და მასზე მეურვეობის დაწესება**.

თ ა ვ ი XXXIX

დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა

(გამოწვევითი წარმოება)

მუხლი 328. განცხადების შეტანა

1. პირს, საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ან საორდერო ფასიანი ქაღალდის დაკარგვის ან განადგურებისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დაკარგული ან განადგურებული ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადება და მათზე უფლების აღდგენა.

2. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მუხლში მითითებული საბუთის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

1. სამოქალაქო კოდექსის 918-ე მუხლი ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდის გამოცხადებას ძალადაკარგულად. ამის შესაბამისად, ეს მუხლი განსაზღვრავს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის (სამოქალაქო კოდექსის 911-ე მუხლი) და საორდერო ფასიანი ქაღალდის (სამოქალაქო კოდექსის 926-ე მუხლი) დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მათ ბათილად ცნობას, ძალადაკარგულად გამოცხადებას და მათზე უფლების აღდგენას,[51] რაც განიხილება უდავო წარმოების წესით (311-ე მუხლი).

– ფასიანი ქაღალდის გამომშვები **(ემიტენტი)** ვალდებულია განმცხადებელს მიაწოდოს ცნობები, რომლებიც აუცილებელია სასამართლოსათვის ამ განცხადების განხილვასთან დაკავშირებით (სამოქალაქო კოდექსის 918-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

[51] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ.(თბ.,2001,გვ.250-270.

– იმ შემთხვევაში, როდესაც ფასიანი ქაღალდის გამომშვები (ემიტენტი) არ ასრულებს ამ მოვალეობას და არ აწოდებს საჭირო ცნობებს განმცხადებელს, მაშინ მას შეუძლია სსკ 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (იხ. ამ მუხლის კომენტარი), იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა მან გამოითხოვოს ეს ცნობები.

– ფასიანი ქაღალდები სხვადასხვა სახისაა. სასამართლოს წესით უფლების აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საწარმდგენლო და საორდერო ფასიან ქაღალდზე. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ისეთი დოკუმენტია, რომელშიც არაა მითითებული ის კონკრეტული პირი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნის უფლება. ამიტომ, ასეთი უფლება წარმოეშობა ნებისმიერ პირს, ვინც წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. რაც შეეხება საორდერო ფასიან ქაღალდს, იგი გამოიწერება განსაზღვრულ პირზე, მაგრამ იმის მითითებით, რომ ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის უფლება აქვს არა მარტო მის პირველ მფლობელს, არამედ გარკვეული პირობების დაცვით, ნებისმიერ სხვა პირს.[52] რაც შეეხება ფასიანი ქაღალდების ისეთ სახეობას, როგორიცაა **პირადი ფასიანი ქაღალდი**, იგი განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტია და მხოლოდ ამ პირს აქვს მოთხოვნის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვისთვის ასეთი უფლების გადაცემა, ან ქაღალდში გამოხატული მოთხოვნის მიღება პრაქტიკულად გამორიცხულია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 928-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს, რომ თუ პირადი ფასიანი ქაღალდი „დაკარგული ან განადგურებულია, მაშინ იგი განსაკუთრებული (უდავო) წარმოების გზით ძალადაკარგულად გამოცხადდება, თუ კი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს წესი არ მოქმედებს მცირე ღირებულების მქონე დოკუმენტების დაკარგვისას“.

სამოქალაქო კოდექსის ამ დანაწესიდან გამომდინარე, სსკ-ის XXXIX თავი საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებას, მაგრამ სანამ ასეთი დაზუსტება მოხდებოდეს, სასამართლო-

[52] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ.II, თბ.,2001,გვ.251

ებმა უნდა მიიღონ განსახილველად უდავო წარმოების წესით პირადი ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგულად გამოცხადების (ბათილად ცნობის) შესახებ განცხადება.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს განსჯადობას: განცხადება დაკარგული ან განადგურებული საწარმდგენლო, საორდერო ან პირად ფასიან ქაღალდზე შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ამ ფასიანი ქაღალდის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით, რომლის მისამართი მითითებულ უნდა იქნეს განცხადებაში.

მუხლი 329. განცხადების შინაარსი

განცხადებაში უნდა აღინიშნოს დაკარგული ან განადგურებული საბუთის განმასხვავებელი ნიშნები, საბუთის გამცემი დაწესებულების სახელწოდება, აგრეთვე საბუთის დაკარგვის გარემოებანი.

– გარდა ყველა იმ სავალდებულო მონაცემებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოში წარსადგენი განცხადება, ამ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: ა) დაკარგული (განადგურებული) საბუთის განმასხვავებელი ნიშნები (საბუთის ნომერი, მისი გაცემის თარიღი, თანხის ოდენობა და ა. შ.); ბ) საბუთის გამცემი დაწესებულების ზუსტი სახელწოდება და მისამართი; გ) გარემოებები, რომელთა გამო, ან რომელთა არსებობის პირობებში მოხდა საბუთის დაკარგვა თუ განადგურება; დ) განმცხადებლის მოთხოვნა საბუთის ძალადაკარგულად (ბათილად) გამოცხადების და მასზე უფლების აღდგენის, აგრეთვე ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის აკრძალვის შესახებ.

– განმცხადებელმა არ იცის ვის ხელშია დაკარგული ფასიანი ქაღალდი. ეს რომ იცოდეს, მას შეეძლო შემოეტანა არა განცხადება, არამედ სარჩელი. ამიტომ, მას არ მოეთხოვება მიუთითოს დაკარგული საბუთის ხელთმქონის მისამართი.

– განმცხადებელმა უნდა დაურთოს თავის განცხადებას შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო ფასიანი ქაღალდის

გამცემი, თავის მხრივ, ვალდებულია მიაწოდოს მას ყველა ის საბუთი, რაც საჭირო იქნება სასამართლოსათვის (სამოქალაქო კოდექსის 918-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ხშირად, ფასიანი ქაღალდის გამცემი დაწესებულებები არ იძლევიან ასეთ ცნობებს სასამართლოს მიმართვის გარეშე. ეს უნდა გაითვალისწინონ სასამართლოებმა განცხადების მიღების დროს.

ამასთან ერთად, თუ განცხადებას აქვს ისეთი ხარვეზი, რომლის შევსებაც განმცხადებელს შეუძლია, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება და დანიშნოს ვადა ამ ხარვეზის შესავსებად. თუ განმცხადებელი არ შეავსებს ხარვეზს ამ ვადაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ (185-ე მუხლი).

მუხლი 330. მოსამართლის მოქმედება განცხადების მიღების შემდეგ

1. მოსამართლე განცხადების მიღების შემდეგ გამოიტანს განჩინებას საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის, აგრეთვე განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ.

2. ასეთი განჩინების გამოტანაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

1. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო ამზადებს საქმეს განსახილველად, რისთვისაც ის ასრულებს ყველა საჭირო საპროცესო მოქმედებას. პირველი, რაც უნდა გააკეთოს სასამართლომ განცხადების მიღებისთანავე – ესაა განჩინების მიღება საბუთის გამცემი პირისათვის ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვის შესახებ. ამ განჩინების ასე სწრაფად მიღების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ თავი-

დან იქნას აცილებული გადახდისა და გაცემის არამართლ-ზომიერად წარმოების შესაძლებლობა.

2. სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას განმცხადებელს გადახდისა და გაცემის წარმოების აკრძალვაზე, მაგრამ განმცხადებელს შეუძლია ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა (414-420-ე მუხლები).

მუხლი 331. პუბლიკაცია

პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ;

ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხოვრებელ ადგილს;

გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს;

დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთმქონის მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ.

– პუბლიკაცია სავალდებულოა და უნდა შეცავდეს ყველა იმ მონაცემს, რომლებიც ამ მუხლშია მითითებული.

– პუბლიკაციის სავალდებულობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო ვერ განიხილავს განცხადებას და ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, სანამ არ გავა სამი თვე პუბლიკაციიდან. ამ სამი თვის განმავლობაში, საბუთის ხელთმქონემ უნდა განაცხადოს პუბლიკაციაში მითითებულ საბუთზე თავისი უფლების შესახებ. თუ ამ ვადაში ასეთი განცხადება შემოვა, საქმე შეიძლება განხილულ იქნეს საერთო სასარჩელო წესით (333-ე მუხლი).

– პუბლიკაცია შეიძლება მოხდეს ადგილობრივ პრესაში.

მუხლი 332. საბუთის ხელთმქონის განცხადება

იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც.

– საბუთის ხელთმქონის არც ვინაობა და არც მისამართი ცნობილი არაა. ამიტომ, მისი დაბარება (გამოძახება) სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ვერ მოხერხდება. ასეთ შემთხვევაში პრესის საშუალებით საბუთის ხელთმქონის გამოძახება, მისი უფლების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა: მას შეუძლია პუბლიკაციიდან სამი თვის განმავლობაში შეიტანოს სასამართლოში განცხადება საბუთზე **თავისი უფლების შესახებ**.

– ამ მუხლში მითითებულია საბუთის დედანზე, რომელიც საბუთის ხელთმქონემ უნდა დაურთოს თავის განცხადებას, მაგრამ დასაშვებია ამ საბუთის ასლის დართვაც, იმ პირობით, რომ დედანი მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი მის მიერ.

– ამ მუხლში მითითებული სამთვიანი ვადის დენა იწყება არა სასამართლოს მიერ პუბლიკაციის შესახებ განჩინების მიღებიდან, არამედ პუბლიკაციის გაზეთში გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 333. მოსამართლის მოქმედება საბუთის ხელთმქონისაგან განცხადების მიღების შემდეგ

1. თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ სასა-

მართლო განუხილველად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს.

2. იმავდროულად სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთა აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს – მის უფლებას გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებით. სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

1. საბუთის ხელთმქონის მიერ სასამართლოში განცხადების დროულად შეტანა ამ საბუთზე მისი უფლების შესახებ, წარმოადგენს განმცხადებლის მიერ შემოტანილი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ამავე განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს ვადას არა უმეტეს ორი თვისა, რომლის განმავლობაში აიკრძალება ამ საბუთით გადახდა და გაცემა. აქ მოცემულია მაქსიმალური ვადა. სასამართლოს შეუძლია დანიშნოს უფრო შემცირებულია ვადა.

2. გარდა ზემოაღნიშნულისა, განჩინებაში მითითებული უნდა იყოს: ა) განმცხადებლის უფლება აღძრას სარჩელი **საბუთის გამოთხოვის** შესახებ საერთო წესით იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც ხელთ აქვს ეს საბუთი; ბ) საბუთის ხელთმქონის უფლება, მოითხოვოს განმცხადებლისაგან იმ ზარალის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იყო ამ საბუთით გადახდისა და გაცემის არამართლზომიერად აკრძალვით; გ) საბუთის გამცემი დაწესებულების გაფრთხილება, რომ, თუ იგი, მიუხედავად აკრძალვისა, მაინც მოახდენს ამ საბუთით გადახდას, მას დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა იმ პირის მიმართ, რომელიც სასამართლომ აღიარა დაკარგული საბუთის მესაკუთრედ.

სარჩელი, თუ იგი იქნება წარდგენილი, უნდა აღიძრას საერთო წესით და მათ შორის, განსჯადობის დაცვით, ე. ი. იგი უნდა აღიძრას არა საბუთის გამცემი დაწესებულების, არამედ მოპასუხის საცხოვრებელი (ადგილსამყოფელი) ადგილის მიხედვით.

– სასამართლოს განჩინებაზე განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (414-420-ე მუხლები).

მუხლი 334. საქმის დანიშვნა განსახილველად

საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა 332-ე მუხლში მითითებული განცხადება.

– სამთვიანი ვადის გამოთვლა იწყება არა იმ დღიდან, როცა სასამართლომ გამოიტანა განჩინება პუბლიკაციის შესახებ (330-ე მუხლი), არამედ პუბლიკაციის დღიდან. პუბლიკაციის დღედ ითვლება იმ გაზეთის გამოშვების დღე (რიცხვი), რომელშიაც ეს პუბლიკაციაა მოთავსებული.

– პუბლიკაციიდან სამთვიანი ვადის გასვლა არის განცხადების განხილვის დასაშვებობის პირობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საბუთის ხელთმქონის მიერ განცხადება შემოვიდა მას შემდეგ, რაც სასამართლომ დანიშნა საქმის განხილვა, ან ამ საქმის განხილვამდე და გადაწყვეტამდე, სასამართლომ, მიუხედავად ამისა, მაინც განუხილველად უნდა დატოვოს განცხადება და ურჩიოს განმცხადებელს აღძრას სარჩელი საერთო წესით (333-ე მუხლი).

მუხლი 335. სასამართლოს გადაწყვეტილება განცხადების გამო

განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გადაწ ყვეტილებას, რომლითაც ძალადკარგულად გა მოაცხადებს დაკარგულ საბუთს. ეს გადაყვეტილე ბა უფლებას აძლევს განმცხადებელს, მიიღოს ანაბარი ან ახალი საბუთი ძალადაკარგულად გამოცხადებული საბუთის ნაცვლად.

– პუბლიკაციის დღიდან სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ საბუთის ხელთმქონისაგან განცხადების შემოუტანლობა წარმოშობს ვარაუდს (პრეზუმფციას), რომ დაკარგული საბუთი მართლაც ეკუთვნის განმცხადებელს. ამ ვარაუდის გასაქარწყლებლად სასამართლომ მიზანშეწონილია გამოუძახოს სასამართლო სხდომაზე და მოუსმინოს საბუთის გამცემი დაწესებულების წარმომადგენელს, რაც შეიძლება გულმოდგინედ შეამოწმოს საქმეში არსებული მასალები, თვითონ განმცხადებლის ახსნა-განმარტება.

– იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს განცხადებას, ე. ი. გამოაცხადებს საბუთს ძალადაკარგულად (ბათილად), იგი გამოიტანს ამის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოადგენს ახალი საბუთის (ახალი საწარმდგენლო, საორდერო თუ პირადი ფასიანი ქაღალდის) გაცემის საფუძველს.

მუხლი 336. საბუთის ხელთმქონის უფლება, აღძრას სარჩელი ქონების უსაფუძვლოდ შეძენის შესახებ

საბუთის ხელთმქონეს, რომელსაც რაიმე მიზეზით დროულად არ განუცხადებია თავისი უფლება ამ საბუთზე, დაკარგული საბუთის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეუძლია აღძრას სარჩელი

ქონების უსაფუძვლოდ შეძენის ან დაზოგვის თაობაზე იმ პირის მიმართ, რომელსაც მიენიჭა დაკარგულის ნაცვლად ახალი საბუთის მიღების უფლება“.

– ეს მუხლი განსაზღვრავს საბუთის ხელთმქონის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის წესს იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ შევიდა კანონიერ ძალაში. ხოლო მანამდე თავისი უფლება ამ საბუთზე მას, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ განუცხადებია. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია აღძრას სარჩელი იმ პირის მიმართ, ვისაც მიენიჭა ახალი საბუთის მიღების უფლება, ქონების უსაფუძვლო შეძენის ან დაზოგვის გამო.

– ასეთი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საბუთის ხელთმქონეს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს იგი სააპელაციო (საკასაციო) წესით.

თ ა ვ ი XL

ქონების უპატრონოდ ცნობა

მუხლი 337. განცხადების შეტანა

განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ სასამართლოში შეაქვს იმ პირს, რომელიც დაეუფლა ქონებას ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

– ამ თავში იგულისხმება მხოლოდ მოძრავი ნივთების უპატრონოდ ცნობა, რადგან მიტოვებულ („უპატრონო“) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებას იძენს მხოლოდ სახელმწიფო.

– განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ შეიძლება შეიტანოს იმ პირმა, რომელიც დაეუფლა ქონებას, ანუ რომელიც ფაქტიურად ფლობს უპატრონო ქონებას. ქონებას შეიძლება დაეუფლოს და, შესაბამისად, განცხადებით შეიძლება მიმართოს სასამართლოს, როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა.

განცხადება შეტანილი უნდა იქნეს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიეხდვით, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 338. განცხადების შინაარსი

ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადებაში მითითებულ უნდა იქნეს: რომელი ქონება უნდა იყოს ცნობილი უპატრონოდ; როგორია ამ ქონების განმასხვავებელი ნიშნები, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მესაკუთრის მიერ ქონების მიტოვებას ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარეშე; აგრეთვე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი და-

ეუფლა ისეთ ქონებას, რომლის მითვისებაც კანონით არ იკრძალება და არ ირღვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა.

განცხადების შინაარსი ბევრადაა განპირობებული სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლის დანაწესით. ამ მუხლის თანახმად, თუ პირი მფლობელობაში იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს, იგი იძენს საკუთრებას ნივთზე, თუ მისი მითვისება არაა აკრძალული კანონით (მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერება, იარაღი და ა. შ.). მოძრავი ნივთი უპატრონოდ ითვლება, თუ უწინდელი მესაკუთრე საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით ნივთის მფლობელობას მიატოვებს.

– აქედან გამომდინარე, განცხადებაში სხვა მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს: ა) ქონების განმასხვავებელი ნიშნები; ბ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მესაკუთრის მიერ ქონების მიტოვებას, ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარეშე (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ქუჩაში ან მინდვრად მიტოვება); გ) მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ამ ქონების (ნივთის) მითვისება არაა აკრძალული კანონით.

მტკიცებულებები, რომლებზეც მითითებულია განცხადებაში, თან უნდა ერთვოდეს ამ განცხადებას.

– თუ განცხადებას აქვს ხარვეზი, სასამართლომ უნდა მისცეს განმცხადებელს ვადა მისი შევსებისათვის. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სასამართლომ განცხადება არ უნდა მიიღოს წარმოებაში (185-ე მუხლი).

ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მუხლი 339. პუბლიკაცია

განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატ-

რონოდ გამოცხადების შესახებ;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს;

დ) მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

– პუბლიკაცია სავალდებულოა და იგი უნდა შეიცავდეს ყველა იმ მონაცემს, რომლებიც ამ მუხლშია მითითებული. განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია მხოლოდ პუბლიკაციიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. სამთვიანი ვადის გამოთვლა იწყება პუბლიკაციის გაზეთში გამოქვეყნების დღიდან. პუბლიკაცია შეიძლება ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდეს.

– პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლების შესახებ სამი თვის ვადაში დღიდან პუბლიკაციისა.

მუხლი 340. ქონებაზე უფლების სასარჩელო წესით დაცვა

1. თუ 339-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავის განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე.

2. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასა-

მართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთ-აც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

1. სასამართლო განუხილველად დატოვებს განცხადებას უდავო წარმოების წესით, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ თუ პუბლიკაციის შედეგად პირი განაცხადებს თავის უფლებას ამ ქონებაზე. განმცხადებელს შეუძლია ასეთ შემთხვევაში აღძრას აღიარებითი სარჩელი (სსკ-ის 180-ე მუხლი), რომელიც განიხილება საერთო წესის დაცვით.

2. თუ პუბლიკაციის შედეგად არავინ არ განაცხადებს თავის პრეტენზიას ქონებაზე, მაშინ სასამართლო განიხილავს განცხადებას უდავო წარმოების წესით. საქმის მომზადების მიზნით სასამართლომ უნდა გაარკვიოს თუ ვის შეუძლია მიაწოდოს ცნობები ქონების კუთვნილების შესახებ და გამოუძახოს და გამოკითხოს ისინი სასამართლო სხდომაზე.

მუხლი 341. სასამართლო გადაწყვეტილება

თუ სასამართლო ცნობს, რომ ქონებას არა ჰყავს მესაკუთრე, ან ეს ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ამ ქონებას.

– იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიტანოს გადაწყვეტილება, ორი მთავარი და ძირითადი გარემოება უნდა დაადგინოს: **პირველი** – ქონებას არ ჰყავს მესაკუთრე, ე. ი. ვერ დადგინდა, თუ ვინაა მესაკუთრე; **მეორე** – ქონება მიტოვე-

ბულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, ე. ი. უწინდელმა მესაკუთრემ მიატოვა ნივთზე მფლობელობა საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით." [53]

ერთ-ერთი გარემოების დადასტურების შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი განმცხადებლის (ე. ი. იმ პირის, რომელიც დაეუფლა ქონებას) საკუთრებაში გადაცემის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი ზემოთ მითითებული გარემოება არ დადასტურდება, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ანუ ქონების უპატრონოდ ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

[53] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ., 1999, გვ. 125

თ ა ვ ი XLI

საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია - ამოღებულია

მუხლი 342-348 ამოღებულია

თ ა ვ ი XLII

შვილად აყვანა

მუხლი 349. განცხადება შვილად აყვანის შესახებ

განცხადება შვილად აყვანის შესახებ შეიტანება სასამართლოში მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

– ადმინისტრაციული წესით შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტისას დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა განაპირობა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის სასამართლო წესით გადაწყვეტის აუცილებლობა. სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლის თანახმად, ამიერიდან შვილად აყვანის საკითხს განიხილავს სასამართლო, რითაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა როგორც შვილად ასაყვანის, ისე მშვილებლის ინტერესების დაცვის გარანტიები.

– ეს მუხლი განსაზღვრავს ალტერნატიულ განსჯადობას: განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში როგორც მშვილებლის, ისე შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არჩევანის უფლება აქვს განმცხადებელს.

– განცხადება შვილად აყვანის შესახებ შეიძლება სასამართლოში შეიტანოს ნებისმიერმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, გარდა იმ პირისა: ა) რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება; ბ) ადრე ჰყავდა ნაშვილები, მაგრამ შვილება გაუქმდა მის მიერ მშვილებლის მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო; გ) რომელსაც

ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პირადი თვისების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები (სამოქალაქო კოდექსის 1245-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი შვილად აჰყავს არა ორივე, არამედ ერთ-ერთ მეუღლეს, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა.

მუხლი 350. განცხადების შინაარსი

1. განცხადებაში შვილად აყვანის შესახებ მითითებული უნდა იყოს მონაცემები შვილად ასაყვანისა და მშვილებლის (მშვილებლების) შესახებ, აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის.

2. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) მეუღლის თანხმობა, როცა ბავშვი შვილად აჰყავს ერთ-ერთ მეუღლეს;

ბ) გასაშვილებელი ბავშვის მშობლების თანხმობა;

გ) მეურვის (მზრუნველის) თანხმობა იმ ბავშვის შვილად აყვანაზე, რომელიც მეურვეობაშია, თუ მას მშობლები არა ჰყავს;

დ) ამოღებულია;

3. სასამართლოს, განმცხადებლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია გამოითხოვოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, აგრეთვე განიხილოს საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე.

– შვილად აყვანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესებს და მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორიც მშობელსა და ნაშვილებს შორის.[54]

[54] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. თბ. 2000, გვ. 244

1. აქედან გამომდინარე, ამ მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს, რომ განცხადებაში **მითითებული იყოს** მშვილებლისა და შვილად ასაყვანის შესახებ მონაცემები, კერძოდ, მშვილებლის (მშვილებლების) დახასიათება მისი სამუშაო ადგილიდან, აგრეთვე მასთან ერთ სახლში მცხოვრები პირებისაგან, რომლებიც შეიცავენ ცნობებს შვილად ამყვანის მორალურ-ზნეობრივი და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მოსაზრება მის შესახებ, რაც ამ ორგანოების დასკვნაში იქნება ჩამოყალიბებული და ა.შ.

2. განცხადების განსახილველად მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა სასამართლოში იმ საბუთების წარმოდგენა, რომლებიც ჩამოთვლილია ამ მუხლის მე-2 ნაწილში. ეს საბუთები თან უნდა ერთვოდეს განცხადებას.

– სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიტანოს სასამართლომ მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის მიღების შემდეგ. ეს დასკვნა შეიძლება შეიცავდეს მშვილებლის დახასიათებასაც, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის ინტერესებისათვის. ამავე დასკვნაში უნდა იყოს ამ ორგანოების თანხმობა გაშვილებაზე, რაც საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გასაშვილებელი მეურვეობაშია და მას არ ჰყავს მშობლები.

– მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მშობლებს შეუძლიათ გაშვილებაზე თანხმობა განაცხადონ მშვილებლის (კონკრეტული პირის) მიუთითებლად. მშვილებლის შერჩევა მათ შეუძლიათ მიანდონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (სამოქალაქო კოდექსის 1251-ე მუხლი).

3. უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვისას ძლიერ შეზღუდულია შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება, რადგან აქ არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული, მოდავე მხარეები. ამიტომ, აქ არ გვაქვს ჭეშმარიტების დადგენის ის გარანტიები, რომლებიც სასარჩელო წარმოების დროს არის .

ამ ხარვეზის შევსება ხდება სასამართლოს აქტიური როლით, რომელსაც შეუძლია არა მარტო განმცხადებლის თხოვ-

ნით, არამედ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, გამოიტანოს განჩინება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ, თუ ეს მისი აზრით უფრო მიზანშეწონილია.

მუხლი 351. სასამართლოს გადაწყვეტილება

1. თუ სასამართლო ცნობს, რომ შვილად აყვანა შეესაბამება შვილად ასაყვანის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ, რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება.

2. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში რეგისტრაციისათვის გადაუგზავნის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ამ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

3. შვილად აყვანა ნამდვილია სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

1. გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გამოიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში არსებული მასალები საფუძველს აძლევს სასამართლოს დადასტურებულად ჩათვალოს, რომ შვილება (შვილად აყვანა) ნამდვილად შეესაბამება გასაშვილებელი ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესებს.

– კანონმდებლობა იცავს შვილად აყვანის საიდუმლოებას და ითვალისწინებს მექანიზმებს ამ საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, შვილად აყვანის შესახებ ცნობების გავრცელება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლი), გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ მშვი-

ლებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება, შვილად აყვანის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად შეიძლება შეიცვალოს ნაშვილები ბავშვის დაბადების ადგილი, თვე და რიცხვი და ა. შ.

2. გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ კანონიერ ძალაში შედის სსკ 264-ე მუხლით დადგენილ ვადებში და წესით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ რეგისტრირებულ, უნდა იქნეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ამ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით. ამიტომ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში, სასამართლომ მშვილებლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით უნდა გადაუგზავნოს იგი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

3. გადაწყვეტილების რეგისტრაცია სავალდებულოა. ეს იმას ნიშნავს, რომ შვილად აყვანა **წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს** რეგისტრაციის შემთხვევაში, მაგრამ ეს უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა არა რეგისტრაციის მომენტიდან, არამედ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

თ ა ვ ი XLII[1]
დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა

მუხლი 351[1]. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის წესი

დაკარგული საქმის წარმოება შეიძლება აღდგენილ იქნეს მხარეთა განცხადებით.

საქმის წარმოება სასამართლოში შეიძლება დაიკარგოს სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებისა გამო (გაქურდვა, ხანძარი, წყალდიდობა და ა.შ.) საქმის წარმოების დაკარგვის გამო კი მხარეებმა შეიძლება ვეღარ ისარგებლონ საქმეში არსებული სასამართლო აქტებით, მაგალითად, ვეღარ მიიღონ სააღსრულებო ფურცელი, ვეღარ გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილება თუ განჩინება და ა.შ. აქედან გამომდინარე, მათ ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვონ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა.

დაკარგული საქმის წარმოების **აღდგენის ობიექტად გვევლინება დაკარგული საქმის წარმოება**, რომელზეც გამოტანილი იყო სასამართლოს **გადაწყვეტილება** ან **განჩინება** საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა სხვა საპროცესო დოკუმენტების აღდგენის მიზნით დაუშვებელია (იხ.მომდევნო მუხლების კომენტარი).

სუბიექტებად ანუ პირებად, რომლებსაც აქვთ უფლება მოითხოვონ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა, გვევლინებიან მხარეები (მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით, უფლებამონაცვლეები, თანამონაწილეები, კანონიერი წარმომადგენლები).

მუხლი 351[2]. განცხადების შეტანა განსჯად სასამართლოში

განცხადება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართ-

ლოში ან მის უფლებამონაცვლესთან, რომელმაც გამოიტანა დაკარგულ საქმეზე გადაწყვეტილება ან (განჩინება) ამ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. თუ დაკარგული საქმის წარმოება არ არის დამთავრებული, განცხადება შეიტანება იმ სასამართლოში, რომლის წარმოებაშიც არის ეს საქმე.

ეს მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს განსჯადობას: განცხადება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელშიც მიმდინარეობდა ამ დაკარგული საქმის წარმოება და რომელმაც დაამთავრა ამ საქმის წარმოება გადაწყვეტილების გამოტანით ან **განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.** თუ დაკარგული საქმის წარმოება დამთავრებული არ იყო ან დამთავრებული იყო **განჩინებით სარჩელის განუხილველად** დატოვების შესახებ (278-ე მუხლი), ასეთი საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადება არ უნდა მიიღოს სასამართლომ, ვინაიდან მხარეს შეუძლია აღძრას იგივე სარჩელი. ეს დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს ამ მუხლის პირველი წინადადებიდან რომელშიაც მითითებულია სასამართლოზე **„რომელმაც გამოიტანა დაკარგულ საქმეზე გადაწყვეტილება ან განჩინება ამ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“.**

ამ მუხლს მხედველობაში აქვს სასამართლო და არა სასამართლოს იგივე შემადგენლობა. უფრო მეტიც, შეიძლება იგივე სასამართლო აღარც არსებობს, რაც სავსებით დასაშვებია სასამართლო რეფორმის თუ რეორგანიზაციის პირობებში, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს: განცხადება შეიძლება შეტანილ იქნეს იმ სასამართლოში, რომელიც „უფლებამონაცვლედ“ გვევლინება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქმე აწარმოვა და შესაბამისი გადაწყვეტილება ან განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გამოიტანა მაგალითად, ვანის რაიონის სასამართლომ, მაშინ განცხადება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ შეიძლება შეტანილი იქნეს სამტრედიის რაიონის სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორია ვრცელდება ვანის რაიონზეც.

ამ მუხლის მე-2 წინადადება უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ თუ დაკარგული საქმის წარმოება არ არის დამთავრებული, განცხადება შეიტანება იმ სასამართლოში, რომლის წარმოებაშიც არის ეს საქმე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ისე როგორც სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა ურჩიოს მხარეს აღძრას განმეორებით სარჩელი.

მუხლი 351³. განცხადების შინაარსი

1. განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელებას;

ბ) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლებმაც დაკარგულ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება ან განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

გ) მითითებას იმის შესახებ, თუ დაკარგული საქმის წარმოების რა ნაწილის აღდგენას მოითხოვს განმცხადებელი;

დ) იმ გარემოებებზე მითითებას, რომლებმაც აღნიშნული საქმის მასალების დაკარგვა გამოიწვია;

ე) მითითებას, რა მიზნით ესაჭიროება განმცხადებელს დაკარგული მასალების აღდგენა;

ვ) საქმესთან დაკავშირებულ დაწვრილებით ინფორმაციას.

2. განმცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტები ან მათი დამოწმებული ასლები, რომლებიც აქვს განმცხადებელს და რომლებსაც კავშირი აქვს საქმესთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ არის დადასტურებული დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

3. განცხადებას უნდა დაერთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, თუ საქმე დაიკარგა განმცხადებლის ბრალით.

1. გარდა ცნობილი რეკვიზიტებისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი მიმართულილ ნებისმიერი განცხადება, დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას იმის შესახებ, რომ დაკარგულ საქმეზე გამოტანილი იყო **გადაწყვეტილება** ან **განჩინება** ამ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ამასთან ერთად, მითითებული უნდა იყოს რომელმა სასამართლომ და როდის გამოიტანა ეს გადაწყვეტილება თუ განჩინება, აგრეთვე რა შინაარსისა იყო ისინი.

ბ) მითითებას იმის შესახებ დაკარგული საქმის წარმოების რომელი ნაწილის აღდგენას მოითხოვს განმცხადებელი, კერძოდ მოითხოვს იგი ამ საქმეზე გამოტანილი **გადაწყვეტილების აღდგენას** თუ ამ **საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების აღდგენას;**

გ) შეძლებისდაგვარად განმცხადებელმა უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებმაც გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია საქმის მასალების დაკარგვა;

დ) განცხადებაში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული თუ **რა მიზნისათვის** ჭირდება განმცხადებელს დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა.

განმცხადებლის მიზანი შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ სხვა ან იმავე სასამართლომ არ მიიღოს და არ განიხილოს იგივე სარჩელი, ანუ სარჩელი იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით (272-ე მუხლი), რომელიც უკვე იყო განხილული და გადაწყვეტილი დაკარგული საქმის წარმოებით.

განმცხადებელს შეიძლება მიზნად ჰქონდეს დაკარგულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება (სააღსრულებო ფურცლის მიღება), ან კიდევ, გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, აგრეთვე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის მიზანზე მითითებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს; **თუ მიზანი არ იქნება მართლზომიერი და გამართლებული - აღდგენაზე უარი უნდა ითქვას.**

ე) ყოველგვარი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია

დაკარგულ საქმესთან, მითითებული უნდა იყოს განცხადებაში, კერძოდ მასში უნდა აღინიშნოს:

- რა საპროცესო მდგომარეობა ეკავა განმცხადებელს - იყო მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით და ა.შ.

- ვინ იღებდა მონაწილეობას საქმის განხილვაში და რა სტატუსით ანუ ვინ გამოდიოდა მხარედ, თანამონაწილედ, მესამე პირად, მოწმედ, ექსპერტად და ა.შ. მათი მისამართების მითითებით.

2. მტკიცებულებებად შეიძლება გამოყენებული იქნეს დოკუმენტები, რომლებსაც რაიმე კავშირი აქვთ დაკარგულ საქმესთან. ამიტომ, ეს დოკუმენტები უნდა დაურთოს განმცხადებელმა თავის განცხადებას. ცხადია, დოკუმენტები (მათი ასლები) უნდა იყოს სათანადო წესით დამოწმებული, მაგრამ დაუმოწმებელი დოკუმენტებიც უნდა დაერთოს განცხადებას, რომლებიც სათანადო შემოწმებისა და შეფასების შედეგად შეიძლება გამოყენებული იქნან მტკიცებულებებად.

მტკიცებულებებად შეიძლება გამოყენებული იქნან საქმეში მონაწილე პირთა, აგრეთვე იმ მოწმეებისა და ექსპერტების (სპეციალისტების) ჩვენებები, რომლებიც მონაწილეობდნენ დაკარგული საქმის განხილვაში. ისინი შეიძლება გამოძახებული იყვნენ და დაიკითხონ სასამართლო სხდომაზე, რომელზეც განიხილება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის საკითხი.

3. განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის წარმოება დაიკარგა მისი ბრალით. ამიტომ, თუ წარმოდგენილი მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ საქმის დაკარგვა არ შეიძლებოდა მომხდარიყო განმცხადებლის ბრალით, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ შეიძლება გახდეს განცხადების მიღებაზე და განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 351[4]. განცხადების განხილვის წესი

1. განცხადებას დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლო განიხ-

ილავს მხარეთა დასწრებით, თუმცა ერთ-ერთი ან ორივე მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვევს პირებს, რომლებსაც შეუძლიათ სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია საქმის წარმოების აღდგენის შესახებ. სასამართლოს უფლება აქვს ასევე გამოითხოვოს ინფორმაცია სათანადო ორგანოებისაგან.

2. საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო პროცესის დარჩენილი მასალებით, ასევე მხარეთა მოთხოვნებით ან სხვა პირთა დოკუმენტებით, რომლებიც მათ გადაეცათ სასამართლო პროცესის მასალების დაკარგვამდე, აგრეთვე იმ დოკუმენტებისა და მასალების დამოწმებული ასლებით, რომლებიც საქმეს შეეხება. საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ სასამართლოს განსახილველად წარუდგინონ მათ მიერ მომზადებული იმ გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც უნდა განახლდეს.

3. სასამართლოს უფლება აქვს მოწმეებად დაკითხოს პირები, რომლებიც ესწრებოდნენ საპროცესო მოქმედებების შესრულებას, და, საჭიროების შემთხვევაში, ის პირებიც, რომლებიც ესწრებოდნენ სასამართლო სხდომას, როცა იხილებოდა ის საქმე, რომლის მასალებიც დაიკარგა.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განცხადება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სხდომაზე მოწვეული უნდა იქნან მხარეები კანონით დადგენილი წესით, ანუ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. მხარეთა გამოუცხადებლობა, მართალია, ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას, მაგრამ, თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ მათი

პროცესში მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება განცხადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მან უნდა გადადოს სხდომა სხვა დროისათვის და ამის შესახებ აცნობოს განმცხადებელს და სხვა დაინტერესებულ პირებს. გარდა მხარეებისა, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით მოიწვიოს სასამართლო სხდომაზე ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია მიაწოდოს სასამართლოს ცნობები დაკარგული საქმის შესახებ. სხვა სიტყვებით, ამ მუხლის პირველი ნაწილი ფართო უფლებებს ანიჭებს სასამართლოს საქმის აღდგენასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ მასალების წრეს, რომლებითაც შეუძლია იხელმძღვანელოს სასამართლომ განცხადების განხილვის დროს.

ამ მასალების წრე საკმაოდ ფართოა. სასამართლოს ევალება გულმოდგინეთ შეამოწმოს და შეაფასოს ეს მასალები. აქ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს სასამართლოს ყურადღება: 351[3] მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია იმის შესახებ, რომ განცხადებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტები ან მათი **დამოწმებული ასლები**, ცხადია თუ ისინი აქვს განმცხადებელს, მაგრამ აქვე მითითებულია იმის შესახებაც, რომ ამ განცხადებას შეიძლება დაერთოს ისეთი დოკუმენტები და მათი ასლებიც, რომლებიც „არ არის დადასტურებული დადგენილი პროცედურების შესაბამისად", ანუ არ არის დამოწმებული დადგენილი წესით. ცხადია, ასეთი დოკუმენტები ან მათი ასლები საჭიროებენ გულმოდგინე შემოწმებას და შეფასებას სასამართლოს მიერ, მაგრამ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში მათ შეუძლიათ დიდი სამსახური გაუწიონ სასამართლოს დაკარგული საქმის წარმოების მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენაში.

ამ მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან დანაწესს: მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს შეუძლიათ აღადგინონ მეხსიერებაში დაკარგულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) შინაარსი, ჩამოაყალიბონ იგი წერილობით და წარუდგინონ

სასამართლოს იმ გადაწყვეტილების (განჩინების) პროექტი რომელიც უნდა აღადგინოს სასამართლომ. ცხადია, ეს პროექტი უნდა შესწავლილი და შეფასებული იქნეს სასამართლოს მიერ სხვა მასალებთან ერთობლიობაში.

3. მოწმეებად შეიძლება გამოძახებული იქნან არამარტო ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას (მაგალითად, ადგილზე დათვალიერებას, მტკიცებულებათა უზრუნველყოფას, მოსამზადებელ სხდომას და ა.შ.), არამედ პირები, რომლებიც **ესწრებოდნენ სასამართლო სხდომას** და არ სარგებლობდნენ რაიმე საპროცესო სამართლებრივი სტატუსით (არ იყვნენ მესამე პირები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და ა.შ.)

მუხლი 351[5]. სასამართლოს განჩინება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლო იღებს განჩინებას, რომელშიც უნდა მიეთითოს იმ გადაწყვეტილების ან განჩინების შინაარსი, რომლითაც დაკარგული საქმის წარმოება იყო დამთავრებული. განჩინებაში ასევე უნდა აღინიშნოს, რა საპროცესო მოქმედებები სრულდებოდა დაკარგული საქმის წარმოების დროს. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ დაკარგული საქმის წარმოება აღდგენილი უნდა იქნეს, კერძოდ აღდგენილი უნდა იქნეს გადაწყვეტილება რომელიც გამოტანილი იყო დაკარგულ საქმეზე ან განჩინება ამ დაკარგული საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, მას გამოაქვს ამის შესახებ არა გადაწყვეტილება, არამედ **განჩინება.**

სასამართოს განჩინებაში დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ მითითებული უნდა იყოს:

ა) დაკარგული საქმის ხასიათი და შინაარსი, კერძოდ, როგორი იყო მოსარჩელის მოთხოვნა, რომელ ფაქტებს ემყარებოდა ეს მოთხოვნა, როგორი იყო მოპასუხის შესაგებელი და რა გარემოებებს ემყარებოდა ეს შესაგებელი, რა წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები იყო წარმოდგენილი მხარეების მიერ, ვინ დაიკითხა მოწმეებად, ექსპერტებად და ა.შ.;

ბ) რა საპროცესო მოქმედებები შესრულდა მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტის მიზნით (ჩატარდა ადგილზე დათვალიერება, მოხდა მტკიცეულებათა უზრუნველყოფა, ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, განხორციელდა სარჩელის უზრუნველყოფა და ა.შ.);

გ) რომელი კონკრეტული მონაცემების საფუძველზე მიიჩნია სასამართლომ დაკარგული საქმის წარმოებაზე გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) შინაარსი დადგენილად;

დ) „განჩინებაში დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ" რაც შეიძლება ზუსტად და ამომწურავად უნდა ჩამოყალიბდეს დაკარგულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) შინაარსი, მისი **სარეზოლუციო ნაწილი**, ანუ საკუთრივ გადაწყვეტილება, რაც შესაძლებლობას მისცემს სააღსრულებო ორგანოებს აღასრულონ იგი, თუ, რა თქმა უნდა, ამ განჩინებაზე დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. ამავე განჩინებაში რაც შეიძლება სრულად და ზუსტად უნდა იყოს მითითებული თუ რა საპროცესო მოქმედებები სრულდებოდა დაკარგული საქმის წარმოების დროს, რომელი ფაქტები ჩაითვალა დამტკიცებულად და დადასტურებულად, რომელი მატერიალური თუ საპროცესო ნორმები იქნა გამოყენებული და ა.შ. აქვე მითითებული უნდა იყოს თუ რა გარემოებების და რომელი მონაცემების საფუძველზე მიიჩნია სასამართლომ შესაძლებლად აღედგინა დაკარგული საქმის წარმოება და

ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ან განჩინება ამ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სასამართლოს განჩინებაზე დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ შეიძლება შეტანილი იქნეს კერძო საჩივარი 414-ე-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 351[6]. დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შეუძლებლობა

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას დაკარგული სასამართლო წარმოების აღდგენის შესახებ. ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია აღძრას სარჩელი საერთო წესით. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის მიზნით შეგროვილი მასალები არაა საკმარისი, სასამართლოს გამოაქვს **„განჩინება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენაზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ".**

ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 414-420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ეს „განჩინება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენაზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ" არ ართმევს უფლებას მხარეს კვლავ აღძრას სარჩელი სასამართლოში, რადგან იგივე სარჩელის ადრე აღძვრა და მის მიმართ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანა ვერ დადასტურდა.

კარი მეშვიდე

საოჯახო, ადმინისტრაციული, სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი და რეკეტული ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებანი

თ ა ვ ი XLIII

საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

მუხლი 352. გამოყენების სფერო

საქორწინო და საოჯახო საქმეების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი წესები იმ დამატებებით, რაც ამ თავშია დადგენილი.

.

– საქორწინო და საოჯახო საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება საქმეები, რომლებიც წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის – „საოჯახო სამართლის“ ნორმებით (1106-1305-ე მუხლებით) მოწესრიგებული ურთიერთობებიდან.

– ამ კატეგორიის საქმეების განხილვა წარმოებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის საერთო წესების დაცვით, ოღონდ იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამ თავშია მოცემული.

მუხლი 353. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება

ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქმე უნდა შეწყდეს.

– სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან გარდაცვლილად გამოცხადება (317-ე მუხლი) წარმოადგენს ქორწინების შეწყვეტის საფუძველს. ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილება საჭირო აღარაა. მაგრამ საქმე იმიტომაც უნდა შეწყდეს, რომ აღარაა მოწინააღმდეგე მხარე, ხოლო უფლებამონაცვლეობას კანონი არ უშვებს (272-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი).

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (273-ე მუხლი).

მუხლი 354. საქმის გარემოების დადგენა სასამართლოს ინიციატივით

1. სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

2. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად.

– საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები, მართალია, განეკუთვნება კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო – სამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს ფართო უფლებები თვითონ თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიტანოს სამართლიანი გადაწყვეტილება, კერძოდ: ა) სასამართლოს შეუძლია თვითონ განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე. ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა. მხარეთა მიერ მითითებული გარემოებებით, სა-

სამართლო ამ შემთხვევაში, შებოჭილი არაა; ბ) თვითონ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს არა მარტო ის მტკიცებულებები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, არამედ რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალ დასადგენ (საძიებელ) გარემოებათა დასადასტურებლად.

2. მოსარჩელეს შეუძლია სარჩელში გააერთიანოს რამდენიმე მოთხოვნა, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება ეს მოთხოვნები თუ არა (182-ე მუხლი).

– საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების დროსაც ასეთი გაერთიანება, შეერთება რამდენიმე მოთხოვნისა, დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით – თუ ეს მოთხოვნები საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშობა.

მაგალითად, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად მეუღლეებს შეუძლიათ მოითხოვონ ქონების გაყოფაც. რადგან ორივე ეს მოთხოვნა წესრიგდება საოჯახო სამართლით, სასამართლომ უნდა განიხილოს ეს მოთხოვნები. მაგრამ განქორწინების საქმესთან ერთად არ შეიძლება განხილულ იქნეს, მაგალითად, სესხის, ქირავნობის, ზიანის მიყენებით და ა. შ. წარმოშობილი ურთიერთობების საფუძველზე აღძრული საქმეები, რადგან ასეთი კატეგორიის საქმეები არ განეკუთვნება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა კატეგორიას.

მუხლი 355. სასამართლოს დროებითი განკარგულება

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს:

ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები;

ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან;

გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის;

დ) მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება;

ე) საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ;

ვ) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხი;

ზ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი;

2. აღნიშნულ საკითხებზე სასამართლოს განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნეს ზეპირი განხილვის გარეშე.

3. განჩინების გამომტან სასამართლოს შეუძლია, მხარეთა განცხადების საფუძველზე, შეცვალოს ან მთლიანად გააუქმოს თავისი განჩინება.

1. ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ საკითხებზე სასამართლოს შეუძლია მიიღოს დროებითი განკარგულებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ამის შესახებ **მხარის შუამდგომლობა (განცხადება) სასამართლოს მიმართ**.

– დროებითი ამ განკარგულებებს (რომლებიც განჩინების ფორმით მიიღება) იმიტომ ეწოდება, რომ საბოლოოდ ეს საკითხები მოწესრიგდება სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ საკითხებზე დროებითი განკარგულებები, გამოტანილი განჩინების ფორმით, შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა შეუტყობინებლად, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მაგრამ, თუ სასამართლო ამას საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია ეს საკითხები მხარეთა შეტყობინებებითა და მათი მონაწილეობით განიხილოს. ცხადია, რომ მათი გამოუცხადებლობა საკითხის გადაწყვეტას და დროებითი განკარგულების მიღებას ვერ დააბრკოლებს.

3. ამ განჩინების გასაჩივრება არ შეიძლება. ეს ლოგიკუ-

რია, რადგან ამ განჩინებაში ჩამოყალიბებული განკარგულება დროებითია და საბოლოოდ იგი აისახება გადაწყვეტილებაში, რომელზეც შეიძლება სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის შეტანა.

– ამასთან ერთად, მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით (არა საჩივრით), რათა მან შეცვალოს ან გააუქმოს ეს განჩინება. სასამართლოს გამოაქვს განჩინება ამ განცხადებით აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ. ეს განჩინება არ გასაჩივრდება კერძო საჩივრით და განცხადება არ გადაიგზავნება ზემდგომ სასამრთლოში იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო უარს ეუბნება მხარეს განჩინების (დროებითი განკარგულების) შეცვლაზე ან მთლიანად გაუქმებაზე.

მუხლი 356. სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ

1. განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებით სასამართლო, თუ ამას მოითხოვენ მხარეები თავიანთი განცხადებით, გადაწყვეტს:

ა) ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვის საკითხს;

ბ) ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს;

გ) ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის გადაცემის საკითხს;

დ) ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის მატერიალური დახმარების გაწევის (რჩენის) საკითხს.

ე) მეუღლეთა ურთიერთრჩენის საკითხს;

2. განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობისა და მათი შედეგების შესახებ სასამართლოს გამოაქვს ერთიანი გადაწყვეტილება. თუ სასამართლო ცალკე გამოყოფს ქორწინების საქ-

მეებიდან გამომდინარე სხვა საქმეებს, მაშინ მას ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებზე გამოაქვს განჩინება. ასეთი განჩინების მიმართ დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა.

1. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეებთან ერთად შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ამ ურთიერთობებიდან წარმოშობილი სხვა მოთხოვნების შესახებ აღძრული საქმეები (354-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

– ამ ზოგადი მითითებიდან გამომდინარე, ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ქორწინების ან განქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეებთან ერთად თუ რომელი მოთხოვნები შეიძლება იქნეს განხილული და გადაწყვეტილი, როდესაც ასეთ მოთხოვნებს აყენებენ მხარეები.

– ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ საქმეთა განხილვისას, სასამართლოს შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს სხვა საკითხებიც, როგორიცაა მაგალითად, შვილების საცხოვრებელი ადგილი, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის საკითხი, ბათილად ცნობილი ქორწინებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი და ა. შ. (სამოქალაქო კოდექსის 1128-ე, 1130-ე, 1147-ე მუხლები).

2. ერთობლივად განხილული მოთხოვნების მიმართ სასამართლოს გამოაქვს ერთიანი გადაწყვეტილება. სასამართლოს უფლება აქვს ამ გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე გამოყოს ესა თუ ის მოთხოვნა; თუ ეს მოთხოვნები განხილულია, მაშინ მათ მიმართ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ეს შეეხება „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებს. სხვა შემთხვევაში სასამართლოს ცალკე წარმოებად გამოყოფილი საქმეების მიმართ გამოაქვს გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საკითხებზე გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (414-420-ე მუხლები).

თ ა ვ ი XLIV (ამოღებულია)

თავი XLIV[1]

წარმოება რეკეტული ან ქურდული საბჭოს წევრის, ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით

მუხლი 356[1]. ტერმინთა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) რეკეტი – შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა;

ბ) რეკეტული დაჯგუფება – თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება;

გ) რეკეტირი – პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას, ან, სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავების გადაწყვეტაში;

გ[1]) ადამიანით მოვაჭრე – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] ან/და 143[2] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.

დ) ოჯახის წევრი – რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის ადამიანით მოვაჭრის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე რეკეტირთან, ქურდული სამყაროს წევრთან ან ადამიანით მოვაჭრესთან მუდმივად მცხოვრები პირი;

ე) ახლო ნათესავი – რეკეტირი, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და ძმა, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერები, მეუღლის და, ძმა და მშობელი;

ვ) რეკეტირთან, ქურდული სამყაროს წევრთან ან ადამიანით მოვაჭრესთან დაკავშირებული პირი – პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი მიღებულია რეკეტის შედეგად ან სხვა არაკანონიერი გზით და ამ ქონებით სარგებლობს რეკეტირი, ქურდული სამყაროს წევრი ან ადამიანით მოვაჭრე.

ზ) რეკეტული ქონება – რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

თ) ქურდული სამყაროს წევრის ქონება –

ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

ი) ადამიანით მოვაჭრის ქონება - ადამიანით მოვაჭრის მიერ ადამიანით ვაჭრობისაგან მიღებული ქონება, მისი ოჯახის წევრის შემოსავალი ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი ან სხვა არაკანონიერი გზით მიღებული ქონება, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

1. ამ მუხლში მოცემული ტერმინების განმარტება შეიძლება არ დაემთხვეს სხვა საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში ჩამოყალიბებულ იგივე ტერმინების (ცნებების) განმარტებას. მაგრამ ეს მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ საქმის წარმოებისას ტერმინებს უნდა მიეცეთ ის მნიშვნელობა, რომელიც მოცემულია ამ მუხლში.

2. რაც შეეხება ტერმინებს „უკანონო ქონება", „დაუსაბუთებელი ქონება" რომლებსაც კანონი უკავშირებს **გარკვეულ შედეგს** (356[5]-ე მუხლი), ამ მუხლში განმარტებული არაა. მათი განმარტებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[5]-ე მუხლში მოცემული განმარტებები, ამ მუხლის თანახმად **უკანონო ქონება** - ესაა ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი) რომელიც რეკეტირს, ქურდული სამყაროს წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, მათი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან მათთან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

დაუსაბუთებელი ქონება - ესაა ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი) რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები რეკეტირს, ქურდული სამყაროს წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, მათი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს, ან მათთან დაკავშირებულ პირს არ გააჩნიათ.

მუხლი 356[2]. სარჩელის აღძვრა რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე

1. რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში.

2. რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის მიმართ.

3. ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ქურდულ სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის მიმართ.

4. ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას ადამიანით მოვაჭრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ადამიანით მოვაჭრესთან დაკავშირებული პირის მიმართ.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სამ საკითხს: ა) **ვისი ინტერესების დასაცავად შეიძლება აღიძრას სარჩელი და რა შინაარსისა შეიძლება იყოს სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი); ბ) ვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს ასეთი სარჩელით; გ)რა ვადაში შეიძლება აღიძრას ეს სარჩელი.**

ა) სარჩელი შეიძლება აღიძრას „რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის" ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე". ამ მოთხოვნის შინაარსით განისაზღვრება აღძრული სარჩელის საგანი.

რახან სარჩელის აღძვრის მიზანია ქონების ჩამორთმევა და ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა, მხარედ, კერძოდ კი მოსარჩელედ, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, გვევლინება სახელმწიფო, რადგან სარჩელი აღიძვრის და სასარჩელო მოთხოვნაც მიმართულია მისთვის ჩამორთმეული ქონების გადაცემისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარედ პროცესუალური გაგებით გვევლინება არა ის პირი, ვინც უშუალოდ აღძრა სარჩელი **სხვა პირთა ინტერესების დასაცავად**, არამედ ის პირი, ვისი უფლებებისა თუ ინტერესების დასაცავადაც აღიძრა სარჩელი.[55]

ბ) ზემოდ აღნიშნული მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება მინიჭებული აქვს პროკურორს. მხოლოდ პროკურორს შეუძლია აღძრას „სარჩელი რეკეტული (ან ქურდული სამყაროს ან ადამიანით მოვაჭრის) ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ".

ის ვინც მიმართავს სასამართლოს სარჩელით სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით **არის წარმომადგენელი**, აქედან გამომდინარე, მართალია პროკურორი ამავე კანონით იწოდება როგორც მოსარჩელე, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროკურორის პროცესუალურ-

[55] **თ. ლილუაშვილი.** სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბ. 2005, II გამოცემა

სამართლებრივი მდგომარეობა (სტატუსი) შეიძლება განისაზღვროს როგორც **სახელმწიფოს წარმომადგენელი**, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული უფლება დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს სარჩელით და დაიცვას მისი **წარმომდგენის** - სახელმწიფოს უფლებები და ინტერესები.[56]

გ) სარჩელის აღძვრის უფლება პროკურორს აქვს იმ შემთხვევაში, თუ რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, გამოტანილია **გამამტყუნებელი განაჩენი და ეს განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში.**

განსაზღვრულია აგრეთვე სარჩელის შეტანის ვადა: **პროკურორმა სარჩელი უნდა აღძრას 30 დღის ვადაში, ამ ვადის დენა იწყება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან**.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სარჩელის აღძვრის 30 დღიანი ვადა დაწესებულია იმისათვის რომ რაც შეიძლება სწრაფად იქნეს აღძრული სარჩელი პროკურორის მიერ, მაგრამ თუ სარჩელი აღიძრა, მაგალითად, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 35-ე დღეს ან უფრო გვიან, სასამართლოს, მიუხედავად ამისა, მაინც შეუძლია მიიღოს და განიხილოს ეს სარჩელი.

2. ამ მუხლის II, III და IV ნაწილები განსაზღვრავენ იმ მოპასუხეთა წრეს, რომელთა მიმართ შეიძლება აღიძრას სარჩელი. კერძოდ, თუ სარჩელი ეხება რეკეტულ ქონებას, იგი შეიძლება აღიძრას რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მასთან დაკავშირებული პირის მიმართ; თუ სარჩელი ეხება ქურდული სამყაროს წევრის ქონებას, იგი შეიძლება აღიძრას ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის, ან მასთან დაკავშირებული პირის მიმართ; თუ სარჩელი ეხება ადამიანით მოვაჭრის ქონებას, იგი შეიძლება აღიძრას ადამიანით მოვაჭრის მისი ოჯახის წევრის ან ადამიანით მოვაჭრესთან დაკავშირებული პირის მიმართ.

[56] 356[5]-ე მუხლში მითითებულია აგრეთვე ჩამორთმეული ქონების მესამე პირებისათვის და კანონიერი მესაკუთრისათვის გადაცემის თაობაზე, მაგრამ ამის შესახებ საუბარი გვექნება ამ მუხლის კომენტარში

მუხლი 356[3]. ქონების რეკეტულად ცნობა, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა

1. მოსამართლე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის ქონებას ცნობს რეკეტულად, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე გაირკვევა, რომ ქონება მიღებულია რეკეტიდან, იგი წარმოადგენს შემოსავალს რეკეტით მიღებული ქონებიდან, შეძენილია რეკეტით მიღებული შემოსავლით ან არარსებობს რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის ქონების მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება.

2. მოსარჩელე ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების რეკეტულობის თაობაზე.

3. მოსამართლე ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის ქონებას ცნობს უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, თუ არ არსებობს ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის ქონების მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება.

4. მოპასუხე ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

5) მოსამართლე ადამიანით მოვაჭრის, მისი

ოჯახის წევრის ქონებას ცნობს უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, თუ არ არსებობს ადამიანით მოვაჭრის, მისი ოჯახის წევრის ქონების მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება.
6) მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

1. იმისათვის, რომ ქონება ჩამოერთვას მოპასუხეს და გადაეცეს სახელმწიფოს, აუცილებელია წინასწარ იქნეს დადგენილი გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა ხასიათი და მოცულობა რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან იმის მიხედვით აღძრულია სარჩელი რეკეტული ქონების მიმართ, თუ ქურდული სამყაროს წევრისა და ადამიანით მოვაჭრის ქონების მიმართ.

აქ მხედველობაშია მისაღები ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოსათვის ისეთი ფაქტების მიმართ, როგორიცაა ა) **ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი** (ანუ ჩვენ შემთხვევაში, ჰქონდა თუ არა მაგალითად, რეკეტს ადგილი) და ბ) ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება იმ პირმა, ვის მიმართაც აღძრულია სარჩელი - მოპასუხემ (ანუ ჩვენ შემთხვევაში რეკეტირმა, ქურდული სამყაროს წევრმა, ადამიანით მოვაჭრემ).

ამ გარემოების გათვალისწინება მით უფრო აუცილებელია, რომ 356[2]-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად პროკურორს შეუძლია აღძრას სარჩელი თუ მოპასუხის მიმართ გამოტანილია განაჩენი და იგი შესულია კანონიერ ძალაში.

იმისათვის, რომ რეკეტული ქონება ჩამოერთვას მოპასუხეს და გადაეცეს სახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა სასამართლომ ეს ქონება უნდა ცნოს **რეკეტულად**. მოსამართლე ქონებას ცნობს რეკეტულად, თუ საქმეზე

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის (იხ. 106-ე მუხლის კომენტარი) საფუძველზე დამტკიცებულად (დადასტურებულად ჩათვლის, რომ (1) **ქონება მიღებულია რეკეტიდან**; (2) **იგი წარმოადგენს შემოსავალს რეკეტიდან მიღებული ქონებიდან**; (3) **შეძენილია რეკეტით მიღებული შემოსავლით.**

იმ შემთხვევაში, თუ აქ ჩამოთვლილი გარემოებები დადასტურდება, ეს იქნება საკმარისი იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს პროკურორის სარჩელი და სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ქონება ჩამოართვას მოპასუხეს და გადასცეს იგი სახელმწიფოს. მაგრამ, თუ ეს გარემოებები ვერ დადასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ეს კიდევ არ იძლევა სარჩელზე უარის თქმის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაარკვიოს ხომ არ არსებობს **სადავო ქონების მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი მტკიცებულებები.** თუ ასეთი მტკიცებულებები აღმოჩნდება - სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის პროკურორს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მაგრამ, თუ ასეთი მტკიცებულებები არ არსებობს, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ (იხ. 356[5]-ე მუხლის კომენტარი).

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, თუ რომელ მხარეს რომელი ფაქტების დამტკიცების ტვირთი ეკისრება.

პროკურორს ევალება წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების რეკეტულობის შესახებ, მაგრამ თუ პროკურორი ვერ წარუდგენს სასამართლოს ასეთ მტკიცებულებებს, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს მტკიცებულებები სადავო ქონების მართლზომიერი საშუალებებით შეძენის დადასტურების მიზნით. ასეთ მტკიცებულებად შეიძლება გამოდგეს **ადერძი ან ქონების კანონისმიერი მემკვიდრეობით მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები, ჯილდოს მიღება, ჩუქების ხელშეკრულება, მაღალი სახელფასო ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტები და ა.შ.**

ცხადია, რომ სადავო ქონების მართლზომიერი საშუალებებით შეძენის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის მოვალეობა (დამტკიცების ტვირთი) შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს. მაგრამ, თუ მოპასუხემ ეს ვერ შეძლო, მაშინ სასამართლომ უნდა გამოიტანოს მისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება.

3. ამ მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს ქურდული სამყაროს წევრისა და აქ ჩამოთვლილი პირების ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის საკითხს (უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ცნების შესახებ იხ. 356[1]-ე მუხლის კომენტარი).

ქონების რეკეტულად ცნობისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში საჭირო არაა რომ პროკურორმა წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები სადავო ქონების „ქურდული საშუალებებით" მოპოვების შესახებ. იმისათვის, რომ სასამართლომ ცნოს ქურდული სამყაროს წევრისა და სხვების ქონება **უკანონოდ** ან **დაუსაბუთებლად**, საკმარისია არ არსებობდეს ამ ქონების მართლზომიერი საშუალებებით (იხ. ამ მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი) მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა სახის მტკიცებულება.

4. ამ მუხლის მე-4 ნაწილით დამტკიცების ტვირთი შემდეგნაირადაა განაწილებული მხარეებს შორის: პროკურორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხე არის ქურდული სამყაროს წევრი, მისი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი ან მასთან დაკავშირებული პირი. **ეს ფაქტიური გარემოებები ქმნის ვარაუდს იმისათვის, რომ ამ პირთა ქონება უკანონო და დაუსაბუთებელია. ამიტომ, პროკურორი თავისუფლდება შემდგომი მტკიცებულებების წარმოდგენის მოვალეობისაგან.**

მოპასუხეებს ეკისრებათ ამ **ვარაუდის გაქარწყლების მოვალეობა,** რისთვისაც მათ უნდა წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულებები, იმის დასადასტურებლად, რომ სადავო ქონება სინამდვილეში შეძენილია მართლზომიერი საშუალებებით (იხ. ამ მუხლის მე-2 ნაწ. კომენტარი).

5. მე-5 ნაწილით განსაზღვრულია ადამიანით მოვაჭრის ან მისი ოჯახის წევრის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის საფუძვლები. ეს საფუძვლები იგივეა რაც ქურდული სამყაროს წევრის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა: ადამიანით მოვაჭრის მისი ოჯახის წევრის ქონების მართლზომიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი საბუთის ან სხვა მტკიცებულების არარსებობა.

6. ამ მუხლის მე-6 ნაწილი, ისე როგორც ამ მუხლის მე-4 ნაწილი, დამტკიცების ტვირთს მხარეთა შორის შემდეგნაირად ანაწილებს: პროკურორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხე ადამიანით მოვაჭრეა ან მისი ოჯახის წევრია. ამ ფაქტის დამტკიცებით იქმნება **ვარაუდი რომ მოპასუხის ქონება უკანონო და დაუსაბუთებელია.** ამ ვარაუდის გასაქარწყლებლად მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ ქონება შეძენილია მართლზომიერი საშუალებებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოქმედდება ვარაუდი და სადავო ქონება ცნობილი იქნება უკანონოდ და დაუსაბუთებლად აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით (იხ.356[5]-ე მუხლის კომენტარი).

მუხლი 356[4]. ქონებაზე ყადაღის დადება

თუ არსებობს მონაცემები, რომ რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ან რეკეტირთან, ქურდული სამყაროსთან ან ადამიანით მოვაჭრესთან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ, პროკურორი ვალდებულია განცხადებით მიმართოს სასამართლოს ქონებაზე, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე.

1. სსკ 191-ე მუხლის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის **უზრუნველყოფის შესახებ. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი** იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

356[4]-ე მუხლი ავალებს მოსარჩელე - პროკურორს მიმართოს სასამართლოს განცხადებით სადავო ქონების (მათ შორის საბანკო ანგარიშების) დაყადაღების შესახებ, თუ არსებოს მონაცემები, რომ ამ მუხლში დასახელებული პირები გადამალავენ, დახარჯავენ ან გაასხვისებენ მათ მფლობელობაში არსებულ ქონებას.

შეძლებისდაგვარად ეს მონაცემები პროკურორმა უნდა წარუდგინოს სასამართლოს, რათა მას შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას მართლაც გადამალავენ, დახარჯავენ და ა.შ.

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, თუმცა არაა სავალდებულო მისთვის პროკურორის შუამდგომლობა ქონების დაყადადღების შესახებ. ამ კოდექსის 198-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის სხვადასხვა ღონისძიებას. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ის ღონისძიება, რომელსაც უფრო მიზანშეწონილად ჩათვლის.

მუხლი 356[5]. ქონების რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიული შედეგები

1. თუ სასამართლომ ამ თავის 356[3] მუხლის შესაბამისად რეკეტული დაჯგუფების, რეკეტ-ირის, ქურდული სამყაროს წევრის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის, ადამიანით მოვაჭრის ან მისი ოჯახის წევრის რეკეტირთან ან ქურ-დული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის ქონება რეკეტულად, უკანონოდ ან დაუს-

აბუთებლად, ცნო, ასეთი ქონება მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.

2. თუ ქონების რეკეტულობა, უკანონობა ან დაუსაბუთებლობა ნაწილობრივ დასტურდება, კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს გადაეცემა მოპასუხის ქონების ის ნაწილი, რომლის არარეკეტულობას, კანონიერებას ან დასაბუთებულობას მოპასუხე სასამართლო წესით ვერ დაადასტურებს.

3. თუ შეუძლებელია რეკეტული, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების პირვანდელი მდგომარეობით კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოსათვის დაბრუნება, მოპასუხეს დაეკისრება ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის გადახდა.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება რეკეტული, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

1. როგორც ამ მუხლის სახელწოდებიდანაც სავსებით ნათლად ჩანს იგი ეძღვნება ქონების რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიულ შედეგს. **თუ 356[2]-ე მუხლის აზრით, შინაარსითა და ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ ეს შედეგები უნდა გამოიხატოს მოპასუხისათვის ქონების ჩამორთმევითა და მისი სახელმწიფოსათვის გადაცემით.**

მაგრამ ამ მუხლის პირველ ნაწილში **პირველად გამოჩნდნენ „მესამე პირები“** და **„კანონიერი მესაკუთრე“**, კერძოდ, თუ სასამართლომ მოპასუხის ქონება ცნო რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად,

მაშინ ამ ქონებით პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს მესამე პირის კანონიერი ინტერესები, მეორე რიგში, დარჩენილი ქონება უნდა გადაეცეს მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო, **მესამე რიგში**, ქონება შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს ოღონდ ერთი პირობით, თუ ვერ იქნება დადგენილი კანონიერი მესაკუთრის ვინაობა.

იბადება პრაქტიკული კითხვა: ვინ (სასამართლომ, პროკურორმა) და როგორ უნდა გამოავლინოს და დაადგინოს მესამე პირები და კანონიერი მესაკუთრე?

ამის თაობაზე ამ თავის არცერთ მუხლში მითითება არაა.

მიგვაჩნია, რომ ეს სერიოზული ხარვეზია კანონმდებლობაში, რომელიც უნდა შეავსოს პრაქტიკამ.

ერთი რამ ცხადია, ამ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად საკითხი კანონიერი მესაკუთრისათვის ქონების გადაცემის შესახებ უნდა აისახოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს კანონიერი მესაკუთრის ვინაობა და გადაწყვიტოს მისთვის ქონების მიკუთვნების საკითხი.

აქ იბადება კიდევ ერთი პრაქტიკული საკითხი: თუ ამ კანონიერ მესაკუთრეს არ სურს საქმეში მონაწილეობის მიღება არც სადავო ქონებაზე არ აქვს რაიმე პრეტენზია, თუმცა აშკარაა, რომ იგი ადრე იყო ამ ქონების კანონიერი მესაკუთრე, როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში სასამართლო?

აქ მხედველობიდან არ შეიძლება გაუშვათ ერთ ფუნდამეტური საკითხი: პროკურორს კანონით მინიჭებული აქვს უფლება აღძრას „სარჩელი რეკეტული..... ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე", მაგრამ მას არ აქვს უფლება აღძრას სარჩელი სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მათ შორის მესამე პირთა და კანონიერ მესაკუთრეთა უფლებების დასაცავად. (იხ. მე-2 და მე-3 მუხლების კომენტარი). წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა დისპოზიციურობის პრინციპის უხეში დარღვევა. მით უმეტეს, ამის უფლება არ შეიძლება ჰქონდეს სასამართლოს რომელიც შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით.

ამრიგად, ამ ე.წ. მესამე პირებმა და კანონიერმა მესაკუთრეებმა თვითონ უნდა მიმართონ სასამართლოს სარჩელით, თუ მათ აქვთ რაიმე პრეტენზია იმ ქონების მიმართ, რომლის ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის საკითხს იხილავს სასამართლო. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პირებმა შეიტყვეს სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სარჩელით საერთო წესის დაცვით.

2. ამ მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შემთხვევაში სასამართლოს დაჭირდება იმის განსაზღვრა, თუ რა ოდენობით განისაზღვრება ჩამოსართმევი ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხა, რომლის გადახდა შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს. ამისათვის სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი (204-ე მუხლი).

მუხლი 356[6]. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

1. რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევის თაობაზე წარმოებული საქმეების განხილვისას, როდესაც გამოცხადდა რეკეტირის ქურდული სამყაროს წევრის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ადამიანით მოვაჭრის ან მისი ოჯახის წევრის ან რეკეტირთან ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის მიმართ ძებნა, არ გამოიყენება ამ კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

2. მხარეს, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიყენება სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების (შეტყ-

ობინების) ამ კოდექსის VIII თავით დადგენილი წესი.

1. 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" პუნქტის თანახმად სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ „გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ".

ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება და, მაშასადამე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც რეკეტული, ქურდული სამყაროს წევრის ან ადამიანით მოვაჭრის ქონების ჩამორთმევის თაობაზე წარმოებული საქმეების განხილვისას მოპასუხეების მიმართ გამოცხადდა ძებნა.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება იმ მხარეს, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოში და, მაშასადამე, რომლის მიმართაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება. განსაზღვრულია აგრეთვე ამ ასლის გაგზავნის ვადა - 5 დღე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანიდან.

3. მე-3 ნაწილი შეიცავს მნიშვნელოვან პრაქტიკულ დანაწესს: იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მოპასუხის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, უწყება ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულებისა, თუ სასამართლოს მთავარი სხდომის შესახებ მხარეს ეგზავნება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თ ა ვ ი XLIV

ადმინისტრაციული და სახელმწიფო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვის თავისებურებანი

მუხლი 357-363.

ამოღებულია საქართველოს 1999 წლის 10 დეკემბრის კანონით.

წიგნი მესამე
სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება

კარი მერვე
აპელაცია

თ ა ვ ი XLV
აპელაციის დასაშვებობა

მუხლი 364. სააპელაციო საჩივრის შეტანა

სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში

1. ეს მუხლი განსაზღვრავს ორ ფუნდამენტურ საკითხს: ა) სააპელაციო გასაჩივრების **ობიექტს**, ანუ სასამართლოს რომელი გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში და ბ) სააპელაციო საჩივრის უფლების **სუბიექტებს**, ანუ ვინ შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო წესით სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ა) **სააპელაციო საჩივრის ობიექტი** შეიძლება იყოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მათ შორის მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებები, ამავე სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ (240-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და მათი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებები (366-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ბ) **სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტებია მხარეები**, ე. ი. მოსარჩელე და მოპასუხე, აგრეთვე **მესამე პირი** დამოუკიდებელი მოთხოვნით.

სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტებია აგრეთვე **თანამონაწილეები** (თანამოსარჩელეები, თანამოპასუხეები), რომლებიც სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს (87-ე მუხლი).

– იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს საერთო უფლება (86-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი), ე. ი. სარჩელის საგანია საერთო უფლება, მაშინ ერთ-ერთ მოსარჩელეს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილებაზე ნებისმიერ ფარგლებში. იგივე შეუძლია ერთ-ერთ მოპასუხეს (თანამოპასუხეს), როცა ვალდებულება სოლიდარულია. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ერთ სარჩელში გაერთიანებულია სხვადასხვა მოსარჩელის სხვადასხვა მოთხოვნა სხვადასხვა ან ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, მაშინ ერთ-ერთ მოსარჩელეს (თანამოსარჩელეს) შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ერთ სარჩელში გაერთიანებულ მის მოთხოვნას ეხება. იგივე წესი უნდა გავრცელდეს თანამოპასუხეებზეც, როდესაც მათ მიმართ აღძრულია არა ერთიანი, არამედ სხვადასხვა (განცალკევებული) მოთხოვნები.

– თუ საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს (87-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გასაჩივრების უფლებამოსილებით, მაშინ მას შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ.

– იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო **გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ისეთი პირის** უფლებები და მოვალეობები, რომელიც არ ფიგურირებდა საქმეში არც მხარედ, არც მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, არც თანამონაწილედ, არც უფლებამონაცვლედ და აქედან გამომდინარე არც საქმეში ყოფილა ჩაბმული და არც დაბარებული (მოწვეული), **ასეთ პირს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რადგან დარღვეულია მისი ფუნდამენტური უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასა-**

მართლოში იმ საქმის განხილვაში, რომელიც მის უფლებას შეეხება.

ნებისმიერ პირს, რომელიც არაა მოხსენიებული **გადაწყვეტილებაში**, მაგრამ რომელსაც მიაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილებით დაირღვა ან შეილახა მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით ამ უფლების დასაცავად და არა საჩივრით ამ გადაწყვეტილებაზე.

– რაც შეეხება **უფლებამონაცვლეს** (92-ე მუხლი), მას შეუძლია შეასრულოს ყველა ის საპროცესო მოქმედება (მათ შორის გაასაჩივროს გადაწყვეტილება), რომლის შესრულების უფლება ექნებოდა მის წინამორბედს, რომ არ გასულიყო საქმიდან.

ამრიგად, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ: **მხარეებს** (მოსარჩელეს, მოპასუხეს), **მესამე პირებს** დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ **უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს** (თანამოსარჩელეებს, თანამოპასუხეებს) მათი თანამონაწილეობის საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, **პირებს, რომლებიც, მართალია, არ ფიგურირებენ** საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

აქ ჩამოთვლილ პირთა წარმომადგენელს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება, თუ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული მის სახელზე მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში (98-ე მუხლი).

2. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა არის 14 დღე, რომლის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება (369-ე მუხლი).

მუხლი 365. სააპელაციო საჩივრის ღირებულება

სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით,

თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

– ეს მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის მხოლოდ **ერთ პირობას – მის ღირებულებას ქონებრივ სამართლებრივ დავებში**.

– სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ორი საპროცესო დოკუმენტით: **სარჩელით**, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა (სარჩელის საგანი) და გასაჩივრებული **გადაწყვეტილებით**.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასარჩელო მოთხოვნა განისაზღვრება ფულადი თანხით, რომელიც არ აღემატება 1000 ლარს, მაშინ ცხადია, რომ სააპელაციო საჩივარი არ შეიძლება აღემატებოდეს ამ თანხას და იგი დაუშვებელია. ასევე ადვილად გაირკვევა და გადაწყდება ეს საკითხი, როცა ფულადი თანხა აღემატებოდა 1000 ლარს და სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. თუ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული ნაწილი აღემატება 1000 ლარს, მოპასუხეს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება ამ ნაწილში, მაგრამ თუ გადაწყვეტილებით დაუკმაყოფილებელი ნაწილი არ აღემატება 1000 ლარს, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების ამ ნაწილზე დაუშვებელი იქნება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა შეიძლება გართულდეს, როდესაც სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი განისაზღვრება არა ფულადი თანხით, არამედ ნივთებით ან სხვა ვადიანი თუ უვადო გასაცემითა და გადასახდელით და ა. შ. დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი ჩამოყალიბებულია მე-40-42-ე მუხლებში (იხ. ამ მუხლების კომენტარი). კერძოდ, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე, მაგრამ თუ მის მიერ მითითებული ფასი არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, მაშინ ამ ფასს განსაზღვრავს მოსამართლე (მე-40 მუხლი). დავის საგნის ფასის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სარჩელის შეტანის დროს არსებული ფასები, ხოლო გადაწყვეტილების

გასაჩივრებისას – „საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები“ (მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი).

– აქედან გამომდინარე, სარჩელის ფასი და სააპელაციო საჩივრის ფასი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს იმის გამო, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროს სადავო ნივთების ფასები შემცირდა ან, პირიქით, გაიზარდა.

სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს მიეკუთვნა მხოლოდ ნაწილი ქონებისა (ნივთებისა), ხოლო ნაწილზე უარი ეთქვა. ამ შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი, რა ღირებულებისაა ქონების ის ნაწილი, რომელზეც უარი ეთქვა ან რომელთა მიმართაც სარჩელი დაკმაყოფილდა.

– თუ საჩივრის ღირებულების მოცულობა იწვევს ეჭვს, მაშინ ამ ღირებულების სარწმუნოდ დამტკიცების (დადასტურების) **ტვირთი ეკისრება აპელანტს**. ღირებულების მოცულობის დასადასტურებლად აპელანტმა შეიძლება წარუდგინოს სააპელაციო სასამართლოს სპეციალისტის დასკვნა, ამონაკრები პრესის ფურცლებიდან, რომელშიც მითითებულია სადავო ნივთების საბაზრო ღირებულება, ოფიციალურად დამტკიცებული პრეისკურანტები და ა. შ.

მუხლი 366. დაუსწრებელი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების დაუშვებლობა

1. დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო წესით იმ მხარემ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი.

2. სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ, რის გამოც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. ასეთი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრ-

დეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შესაბამისი სამართლებრივი წანამძღვრები.

1. ამ მუხლის პირველ ნაწილს მხედველობაში აქვს **პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება**, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს არა სააპელაციო წესით, არამედ იმავე სასამართლოში (236-ე მუხლი). სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (240-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

2. არ არის გამორიცხული ისეთი ვითარება, როდესაც ერთი და იგივე პირის მიმართ გამოტანილია ორი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და არც ერთი არ არის გაუქმებული ან პირველი გაუქმებულია, მაგრამ მეორე არა.

მაგალითად, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მხარე. სასამართლომ გამოიტანა მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ამ მხარემ. სასამართლომ კვლავ გამოიტანა მის მიმართ მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ეს მეორე გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივროს ამ მხარემ მხოლოდ სააპელაციო წესით.

შეიძლება შეიქმნას სხვაგვარი ვითარებაც: მხარემ, რომელმაც გაასაჩივრა პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გამოცხადდა მისი საჩივრის განხილვაზე. განხილვის შედეგად დადასტურდა, რომ გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. სასამართლომ გამოიტანა განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შესახებ (241-ე მუხლი). მხარეთა თხოვნით ამავე სხდომაზე სარჩელის განხილვა არ შედგა და დაინიშნა ამ საქმის არსებითად განხილვისათვის სხვა დღე. მაგრამ ამ სხდომაზე კვლავ არ გამოცხადდა მომჩივანი მხარე. მის მიმართ მეორედ (განმეორებით) გამოტანილ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, მართა-

ლია მის მიმართ არსებობს არა ორი, არამედ ერთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მის მიმართ გაუქმებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მხარეს შეუძლია მიმართოს საჩივრით მხოლოდ სააპელაციო (და არა იმავე) სასამართლოს.

– მეორე (განმეორებით) დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს 241-ე მუხლში მითითებულ გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში კანონი კრძალავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საერთოდ (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 367. სასამართლო, რომელშიც შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანა

წერილობითი ფორმით შედგენილი სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

– პრაქტიკული საკითხი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას ამ მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, მდგომარეობს შემდეგში: ითვლება თუ არა სააპელაციო საჩივარი შეტანილად იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შეტანილია არა იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება, არამედ უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში?

ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ: სააპელაციო საჩივარი უნდა ჩაითვალოს შეტანილად იმ შემთხვევაშიც, როცა იგი შეაქვთ **უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში.**

ამ საჩივრის მიუღებლობით და მისი აპელანტისათვის უკან დაბრუნებით, რაც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, აპელანტმა შეიძლება გაუშვას გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი დრო და დაკარგოს აპელაციის უფლება. ფაქტიურად ეს იქნებოდა სრულიად გაუმართლებელი და არათანაზომიერი სასჯელი მხოლოდ იმისათვის, რომ აპელან-

ტმა მიმართა უშუალოდ იმ სასამართლოს, რომელმაც უნდა განიხილოს საჩივარი.

ამრიგად, სააპელაციო საჩივარი ვადაში შემოტანილად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა იგი შეტანილია უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოითხოვოს შესაბამისი სასამართლოდან საქმე და შეამოწმოს საჩივრის დასაშვებობა და დასაბუთებულობა ისე, როგორც ამას იგი აკეთებს, როცა სააპელაციო საჩივარს საქმესთან ერთად იღებს პირველი ინსტანციის სასამართლოდან.

მუხლი 368. სააპელაციო საჩივრის შინაარსი

1. სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი;

ბ) იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე;

დ) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;

ე) მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი;

ვ) მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და მტკიცებულებებზე, რომელებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;

ზ) სააპელაციო საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას.

2. სააპელაციო საჩივარი, აგრეთვე დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

3. სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს მისი შემტანი პირი ან წარმომადგენელი.

4. თუ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის, წარმომადგენლის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

5. თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

1. ეს მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტებს (შემადგენელ ელემენტებს), რომელთა ერთობლიობა ქმნის სააპელაციო საჩივრის შინაარსს.

ა) სააპელაციო საჩივრის ადრესატი არის სააპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო საჩივარი თუმცა შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება (367-ე მუხლი), მაგრამ სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს იმ სააპელაციო სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა განიხილოს საჩივარი.

ბ) სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეიტანოს უშუალოდ დაინტერესებულმა მხარემ ან მისმა წარმომადგენელმა. ამიტომ, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს იმ პირის დასახელებას და მისამართს, ვისაც შეაქვს საჩივარი. თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს (იხ. ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები), მაშინ საჩივარში მითითებული უნდა იყოს ამ წარმომადგენლის დასახელება და მისამართი, რაც ცხადია არ გამორიცხავს, რომ პარალელურად მითითებული იყოს მარწმუნებლის დასახელება და მისამართი.

გ) სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არა მარტო დასახელებას, არამედ მას

თან უნდა ერთვოდეს ამ გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული ასლი.

დ) სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით (377-ე მუხლი). ცხადია, რომ სააპელაციო საჩივარში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული, თუ გადაწყვეტილების რომელი ნაწილია გასაჩივრებული, როცა იგი მხოლოდ ნაწილობრივ და არა მთლიანად საჩივრდება.

ე) სააპელაციო სასამართლოს, საჩივრის ფარგლებში, შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული მხარე (377-ე მუხლი).

ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სააპელაციო საჩივარში იმის ნათლად ჩამოყალიბება, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება გადაწყვეტილების უსწორობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტის თვალსაზრისით გადაწყვეტილება **არაა დასაბუთებული ფაქტობრივად**, მაშინ იგი ვალდებულია მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება კონკრეტულად ფაქტობრივი დაუსაბუთებლობა (არასწორადაა განსაზღვრული მტკიცების საგანი, არასწორადაა განაწილებული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, სასამართლოს დასკვნები ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, გადაწყვეტილებაში არაა მითითებული, თუ რატომ უარყო (არ გაიზიარა) სასამართლომ საქმეში არსებული ესა თუ ის მტკიცებულება და ა. შ.).

– იმ შემთხვევაში, როდესაც აპელანტის თვალსაზრისით გადაწყვეტილება **არაა დასაბუთებული იურიდიულად**, მაშინ იგი ვალდებულია მიუთითოს, თუ კონკრეტულად რაში ვლინდება გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა, კერძოდ, რომელი კანონია დარღვეული და რაში გამოიხატება ეს დარღვევა (გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად გაიგო კანონის აზრი და შინაარსი და ა. შ. იხ. 393-ე მუხლის კომენტარი).

აქვე მითითებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს აპელანტი: გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახლა განხილვას, გადაწყვეტილების გაუქმებას და

საქმის წარმოების შეწყვეტას თუ სარჩელის განუხილველად დატოვებას.

ვ) ცხადია, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ უსწორობაზე (დაუსაბუთებლობაზე) მითითება არ კმარა. საჩივარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ გადაწყვეტილების ფაქტობრივ თუ სამართლებრივ უსწორობას (დაუსაბუთებლობას), აგრეთვე მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს. სააპელაციო საჩივარში შეიძლება მითითებული იყოს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომლებიც არ შეაფასა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ, არასწორად შეაფასა ან არ მიუთითა, თუ რატომ უარყო იგი. ამასთან ერთად, აპელანტს შეუძლია წარმოადგინოს სააპელაციო სასამართლოში **ახალი მტკიცებულებები** (382-ე მუხლი), რომელთა მიღების საკითხს წყვეტს სააპელაციო სასამართლო **კანონით დადგენილი პირობების** გათვალისწინებით (380-ე და 382-ე მუხლები). ეს ახალი მტკიცებულებები, თუ ისინი მითითებულია სააპელაციო საჩივარში, უნდა ერთვოდეს ამ საჩივარს, მაგრამ ისინი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მოგვიანებითაც, თუ აპელანტი ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ ასწრებს მათ წარმოდგენას საჩივართან ერთად. მხედველობაშია წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, აგრეთვე ექსპერტის დასკვნა, შედგენილი აპელანტის თხოვნით. რაც შეეხება ახლად დასახელებულ მოწმეებს, ისინი შეიძლება გამოიძახოს სააპელაციო სასამართლომ ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით (იხ. ამ მუხლის კომენტარი) და დაკითხოს ამ კოდექსით დადგენილი წესით (140-153-ე მუხლები).

ზ) ერთი შეხედვით, ამ ქვეპუნქტის მითითება (დანაწესი) არც ისე მნიშვნელოვანია. სინამდვილეში მისი შესრულება თავიდან აგვაცდენს მთელ რიგ სერიოზულ გაუგებრობებს, რომლებსაც ზოგჯერ ადგილი აქვს პრაქტიკაში, როდესაც აპელანტი აცხადებს, რომ მან თან დაურთო საჩივარს ესა თუ ის მასალა, მაგრამ რატომღაც იგი საქმეში აღარაა.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საა-

პელაციო საჩივრის მიღებისას უნდა შეამოწმოს, რამდენად შეესაბამება ამ საჩივარში მითითებული ნუსხა (ჩამონათვალი) იმ წერილობით (ნივთიერ) მასალებს, რომლებიც ნამდვილად ერთვის ამ საჩივარს.

– იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება შეუსაბამობა საჩივრის ნუსხასა და მასზე დართულ მასალებს შორის, სააპელაციო სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ აპელანტს თავისი განჩინებით ხარვეზის შევსების შესახებ.

2. სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთების ასლები ეგზავნება მოწინააღმდეგე მხარეს (373-ე მუხლი). ამითაა განპირობებული აპელანტის მოვალეობა წარმოადგინოს სააპელაციო საჩივარი და მასზე დართული ან მოგვიანებით წარმოდგენილი მასალები იმდენი ასლის რაოდენობით, რამდენი მოწინააღმდეგეც არის საქმეში.

3. სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეიტანოს როგორც უშუალოდ მხარემ, ისე მისმა წარმომადგენელმა. საჩივარს ხელს აწერს ის, ვისაც შეაქვს საჩივარი.

4. წარმომადგენელმა რომ შეიტანოს სააპელაციო საჩივარი, ამისათვის **არ კმარა მხოლოდ წარმომადგენლობა**. ამის თაობაზე აუცილებელია სპეციალურად იყოს აღნიშნული მინდობილობაში (98-ე მუხლი). ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ ყოველთვის უნდა შეამოწმოს მინდობილობა, ხოლო თუ ასეთი მინდობილობა არაა საქმეში, მაშინ იგი უნდა ერთვოდეს სააპელაციო საჩივარს.

– ისეთ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო საჩივარი შემოაქვს თუმცა **მხარის წარმომადგენელს**, მაგრამ რომელსაც არ აქვს ასეთი საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება, მაშინ სასამართლომ ასეთ წარმომადგენელს უნდა დაუნიშნოს ვადა ხარვეზის შესავსებად თავისი განჩინებით.

მაგრამ, თუ საჩივარი შემოაქვს სრულიად გარეშე პირს, რომელიც არც ადრე და არც ამჟამად არ მონაწილეობდა საქმეში და არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ (374-ე მუხლი). ხარვეზის შევსებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, როცა საჩივარი შემოაქვს მხარეს ან მის წარმო-

მადგენელს, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური უფლებამოსილება ამისათვის, ან მას არ აქვს უფლება გამოვიდეს წარმომადგენლად სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოში (440-ე მუხლი).

5. ხარვეზის შევსების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება. აპელანტს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ხარვეზის შევსებისათვის განჩინებით დანიშნული ვადის გაგრძელება მხოლოდ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესასრულებლად დანიშნულ ვადის ამოწურვამდე. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც გააგრძელოს ეს ვადა (64-ე მუხლი). მაგრამ, თუ ვადა არ გაგრძელებულა, ან ვადა გავიდა, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო (374-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში აპელანტს უბრუნდება მის მიერ შემოტანილი სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 369. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

1. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

2. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

1. სააპელაციო საჩივრის შეტანის 14 დღიანი ვადის არც გაგრძელება და არც აღდგენა არ შეიძლება. ამიტომ, კიდევ

უფრო დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ საიდან იწყება **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა** და საიდან - ამ **ვადის დენა.**

სააპელაციო საჩივრის შეტანის **ვადის დასაწყისი** განისაზღვრება მხარისათვის დასაბუთებული (მოტივირებული) **გადაწყვეტილების გადაცემის მომენტით**, ხოლო, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნა გამოცხადებული, მაშინ ეს ვადა იწყება **გამოცხადების მომენტიდან** ოღონდ იმ პირობით, თუ სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი ესწრებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას.

დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის **ხელზე მიცემა მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის უშვალოდ სასამართლოში,** რაც მან უნდა დაადასტუროს შედგენილ ხელწერილზე საკუთარი ხელმოწერითა და თარიღის მითითებით, ან მისი მხარისათვის გადაგზავნის დრო. გაგზავნის დროდ მიჩნეული უნდა იქნეს დრო, როდესაც გადაწყვეტილების ასლი 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით **გადაეგზავნა მხარეს,** ოღონდ **საქმეში აუცილებლად უნდა იყოს დამადასტურებელი ცნობა, რომ ამ წესით** გაგზავნილი **გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა ადრესატს.**

2. ეს მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის **ვადის დასაწყისს**, მაგრამ არ განსაზღვრავს თუ საიდან იწყება ვადის დენა. ეს იმიტომ, რომ **ვადის დენის დასაწყისს** ზოგადად განსაზღვრავს მე-60 მუხლის მეორე ნაწილი (იხ.ამ მუხლის კომენტარი), რომლის თანახმად წლეებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის ან გამოცხადების მომენტიდან, მაშინ ამ საჩივრის შეტანის **ვადის დენა** იწყება ამ მომენტის **მომდევნო დღიდან**. მაგალითად, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემა მოხდა 10 სექტემბერს. მაშასადამე 10 სექტემბერი

არის გასაჩივრების ვადის დასაწყისი. ვადის დენის ათვლა კი დაიწყება მომდევნო დღიდან, ე.ი. 11 სექტემბრიდან და დამთავრდება 24 სექტემბერს საღამოს 12 საათზე.

საპროცესო ვადის დასაწყისისა და ამ ვადის დენის (ათვლის) დასაწყისის კანონით დადგენილი წესის განუხრელად დაცვის საკითხი განმტკიცებული აქვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატას თავის ერთ-ერთ განჩინებაში.[57]

მუხლი 370. სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა

თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება.

– სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა მხარის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება გარკვეული იურიდიული შედეგი, კერძოდ, მხარე რომელმაც ასეთი უარი განაცხადა, კარგავს უფლებას გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

– გასაჩივრებაზე უარის თქმა დასაშვებია წარმომადგენლის მეშვეობითაც, ოღონდ იმ პირობით, თუ მას ექნება ამაზე სპეციალური უფლებამოსილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო პალატამ არაერთგზის მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთ გასაჩივრებაზე უარი თქვა მხარემ ან მის მიერ სპეციალურად უფლებამოსილმა პირმა.[58]

– გასაჩივრებაზე უარის თქმა დასაშვებია როგორც გა-

[57] იხ. სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2005, №4, გვ.3-4

[58] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე , 2005, №3, გვ.242

დაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის, ისე მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

– სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მაგრამ თუ ასეთი უარი ზეპირად იქნა გამოთქმული გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე, იგი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში და დადასტურდეს გამნცხადებელი მხარის ხელმოწერით. ამასთან ერთად, მას უნდა განემარტოს, რომ იგი კარგავს სააპელაციო საჩივრის შემოტანის უფლებას. ამიტომ მისი საჩივარი, თუ იგი მიუხედავად ამისა, მაინც იქნება შემოტანილი, განუხილველად დარჩება დაუშვებლობის გამო (იხ. 374-ე და 378-ე მუხლების კომენტარი).

– მხარე, რომელმაც უარი განაცხადა სააპელაციო გასაჩივრებაზე, კვლავ მოიპოვებს ამ უფლებას, თუ მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც უარი არ უთქვამს გასაჩივრებაზე, შემოიტანს სააპელაციო საჩივარს შეგებებული სააპელაციო საჩივრის ფორმით კანონით დადგენილ ვადაში (379-ე მუხლი).

მუხლი 371. საქმის გადაგზავნა სააპელაციო სასამართლოში

სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას.

– პირველი ინსტანციის სასამართლო არ ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს და საქმეს საჩივართან ერთად აგზავნის დაუყოვნებლივ სააპელაციო სასამართლოში.

– თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, არამედ უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში, მაშინ სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა გამოითხოვოს შესაბამისი სასამართლოდან (იხ. 367-ე მუხლის კომენტარი).

თ ა ვ ი XLVI

საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში

მუხლი 372. ზოგადი დებულებანი

საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

– ამ მუხლით განმტკიცებულია მნიშვნელოვანი წესი, რომლის თანახმად სააპელაციო სასამართლო, მართალია, არის მეორე ინსტანციის სასამართლო, რომელიც ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა ფაქტობრივ და იურიდიულ დასაბუთებულობას, მაგრამ საქმეთა განხილვისას იგი ხელმძღვანელობს იმ წესებით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვისათვის.

– ამასთან ერთად, საქმეთა განხილვა სააპელაციო სასამართლოებში ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც განპირობებულია ამ სასამართლოს ამოცანებითა და ფუნქციებით. სწორედ ეს თავისებურებანია ჩამოყალიბებული ამ თავში.

მუხლი 373. საქმის მომზადება სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად

1. საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა

და თანდართული საბუთების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად, რომელიც უნდა შეიცავდეს პასუხს შემდეგ კითხვებზე: ეთანხმება თუ არა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს; თუ არ ეთანხმება რა გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი; ხომ არ აპირებს შეგებებული სააპელაციო საჩივრის შემოტანას, ახალი ფაქტებისა და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენას და თუ აპირებს, რა მიზეზით არ წარმოადგინა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს სააპელაციო სასამართლო მიიღებს ამ კოდექსის 380-ე და 382-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

2. მომხსენებელ მოსამართლეს შეუძლია შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა საპროცესო მოქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქმის სწრაფად და სწორად განხილვას. მას შეუძლია აგრეთვე დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ამ კოდექსის 205-ე მუხლის შესაბამისად. სააპელაციო მოსამართლე იღებს ზომებს საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით.

1. ეს მუხლი ამკვიდრებს პრაქტიკული თვლსაზრისით მეტად მნიშვნელოვან წესს, რომლის თანახმად სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს **მოსამართლე ერთპიროვნულად,** როგორც წესი ეს იქნება მომხსენებელი მოსამართლე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ საჩივრის საფუძველზე შემოსულ საქმეს მთავარ სხდომაზე განსახილველად **ამზადებს ეს მოსამართლე ასევე ერთპიროვნულად**, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისა და სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების ასეთი წესი უდავოდ შეუწყობს ხელს სააპელაციო საჩივრის დროულად განხილვასა და სწორად გადაწყვეტას.

- სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების

მიზნით მოსამართლემ უნდა შეამოწმოს ყველა იმ პირობის არსებობა ან არარსებობა (დასაშვებობის დადებითი და უარყოფითი წინაპირობები), რომლებსაც კანონი უკავშირებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას (იხ.374-ე მუხლის კომენტარი). თუ ასეთი შემოწმების შედეგად სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია იგი გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ და (იხ. 374-ე მუხლის კომენტარი), იწყებს საქმის მომზადებას სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად.

საქმის სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადებას კი საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ასეთი მომზადების ხარისხზე დამოკიდებულია საქმის დროულად, სწორად და სამართლიანად განხილვა და გადაწყვეტა.

საქმის მომზადების მიზნით სააპელაციო **სასამართლოს მოსამართლე** თავისი განჩინებით:

1. 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს (სააპელაციო მოპასუხეს) სააპელაციო საჩივარს და მასზე თანდართულ საბუთების ასლებს.

2. მოსამართლე ამავე განჩინებით დაუნიშნავს სააპელაციო მოპასუხეს ვადას, რომლის განმავლობაშიაც მან უნდა წარმოადგინოს წერილობით შედგენილი შესაგებელი (შეპასუხება) სააპელაციო საჩივარზე.

3. ეს წერილობითი შესაგებელი უნდა შეიცავდეს პასუხს შემდეგ საკითხებზე;

ა) როგორ გაიგო მან სააპელაციო საჩივრის მოთხოვნები, რომლებსაც აპელანტი აყენებს და ეთანხმება თუ არა ამ მოთხოვნებს მთლიანად თუ ნაწილობრივ;

ბ) თუ არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარში წამოყენებულ მოთხოვნებს მიუთითოს რატომ არ ეთანხმება, ანუ მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომელთა გამო არ ეთანხმება. ეს გარემოებები უნდა იყოს რაც შეიძლება ნათლად და ამომწურავად მითითებული მოპასუხის წ ერილობით შედგენილ შესაგებელში, რათა მოსამართლემ შეძლოს მათი სამართლებრივი შეფასება და ამის საფუძველზე საკითხის

გადაწყვეტა რამდენად მნიშვნელოვანია იურიდიულად ეს გარემოებები სააპელაციო საჩივრის გასაქარწყლებლად;

გ) საქმეში არსებული ან ახლად წარმოდგენილი რომელი მტკიცებულებით დასტურდება ან შეიძლება დადასტურდეს ეს გარემოებები;

დ) ხომ არ აპირებს შეგებებული სააპელაციო საჩივრის შემოტანას, ხოლო თუ აპირებს აფრთხილებს მას, რომ ეს დასაშვებია მისთვის სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში (იხ.379-ე მუხლის კომენტარი).

ე) მოსამართლე თავისი განჩინებით აფრთხილებს სააპელაციო მოპასუხეს იმის შესახებ, რომ ახალი ფაქტების, აგრეთვე ახალი მტკიცებულების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში დასაშვებია მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით: თუ ისინი ვერ იქნა წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში საპატიო მიზეზით. კონკრეტულ მიზეზებზე მითითებული უნდა იყოს წერილობით შესაგებელში, ხოლო თუ რამდენად საპატიოა ეს მიზეზები - დამოკიდებულია მოსამართლის შინაგან რწმენაზე.

თუ სააპელაციო მოპასუხის მიერ დასახელებული მიზეზების შეფასების შედეგად მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ შეიძლება საპატიო მიზეზებად ჩაითვალოს, მან არ უნდა მიიღოს და განიხილოს ისინი (იხ.380-ე და 382-ე მუხლების კომენტარი).

2. საქმის მომზადების მიზნით ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩაომთვლილი მოქმედებები არაა ამომწურავი, სააპელაციო საჩივრისა და საქმის ხასიათისა და შინაარსის მიხედვით სააპელაციო მოსამართლეს შეუძლია შეასრულოს სხვა საპროცესო მოქმედებები, მისცეს სააპელაციო მოპასუხეს სხვა ხასიათის დავალებები.

სააპელაციო მოსამართლეს შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა თუ არსებობს ამისათვის კანონით გათვალისწინებული პირობები (იხ.205-ე მუხლის კომენტარი).

თუ მოსამზადებელ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სააპელაციო მოსამართლე გამოიტანს განჩინებას მხარეთა მორიგების დამტკიცებისა და ამ საქმეზე ადრე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ამ განჩინებაში უნდა აისახოს მორიგების პირობები ანუ რომელმა მხარემ რა

კონკრეტული მოქმედება უნდა შეასრულოს მეორე მხარის სასარგებლოდ (208-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ აპელანტი უარს იტყვის სააპელაციო საჩივარზე (378-ე მუხლი), სააპელაციო მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სააპელაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

არ არის გამორიცხული, რომ მოწინააამდეგე მხარემ (სააპელაციო მოპასუხემ) ცნოს სააპელაციო საჩივარი, მაშინ სააპელაციო მოსამართლეს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება (განჩინება) სააპელაციო საჩივრით წამოყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

ყველა შემთხვევაში, სააპელაციო მოსამართლეს განჩინებები გამოაქვს ერთპიროვნულად, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს სახელით ანუ როგორც სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელზეც ხელს აწერს მხოლოდ ამ განჩინების გამომტანი სააპელაციო მოსამართლე.

მუხლი 374. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

1. სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

2. ეს განჩინებები შეიძლება მიღებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე.

1. ამ მუხლში მითითებულ ვადაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ყველა პირობა, კერძოდ:

ა) დაცულია თუ არა სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14 დღიანი ვადა (369-ე მუხლი);

ბ) პასუხობს თუ არა სააპელაციო საჩივრის შინაარსი კანონის მოთხოვნებს (368-ე მუხლი);

გ) შეესაბამება თუ არა სააპელაციო საჩივრის ღირებულება კანონით განსაზღვრულ ოდენობას (365-ე მუხლი);

დ) არის თუ არა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება (366-ე მუხლი);

ე) აქვს თუ არა საჩივრის შემომტან წარმომადგენელს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება (368-ე მუხლის მე-4 ნაწილი);

ვ) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი;

ზ) უარი ხომ არ აქვს ნათქვამი აპელანტს სააპელაციო გასაჩივრებაზე კანონით დადგენილი წესით (370-ე მუხლი).

– თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არსებობს მისი დასაშვებობის ყველა პირობა, სააპელაციო სასამართლო მიიღებს **განჩინებას „სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ“**. ამავე განჩინებით იგი ნიშნავს სააპელაციო საჩივრის განხილვის დღესაც (376-ე მუხლი).

– თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ყველა პირობა არ არსებობს, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს **განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ,** თუ ხარვეზი თავისი ხასიათითა და შინაარსით ისეთია, რომ მისი შევსება შესაძლებელია (მაგალითად, საჩივრის შინაარსის ჩამოყალიბება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ბაჟის გადახდა, წარმომადგენლის მინდობილობაში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების აღნიშვნა); თუ ხარვეზი სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება შევსებული, ან დასაშვებობის პირობა ისეთია, რომ მისი შევსება შეუძლებელია (მაგალითად, გასულია გასაჩივრების ვადა, აპელანტს უარი აქვს ნათქვამი სააპელაციო გასაჩივრებაზე, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება არაა

განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება), მაშინ საააპელაციო სასამართლოს გამოაქვს **„განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო“**. ასეთ შემთხვევაში აპელანტს უბრუნდება მის მიერ შემოტანილი **სახელმწიფო ბაჟი**.

ზემოთ მითითებულ განჩინებებს სააპელაციო მოსამართლე იღებს ერთპიროვნულდად, მაგრამ ისინი მიიღება სააპელაციო სასამართლოს სახელით, ცხადია არაა გამორიცხული რომ ეს განჩინებები მიიღოს სააპელაციო სასამართლოსკოლეგიურმა შემადგენლობამ.

2. ყველა განჩინება და, მათ შორის, მითითებული განჩინებები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს ზეპირი განხილვის გარეშე და მხარეთა შეუტყობინებლად, შეიძლება მიღებულ იქნეს მხარეთა შეტყობინებითა და ზეპირი განხილვის შედეგადაც, თუ ეს სასამართლოს **მიზანშეწონილად და საჭიროდ მიაჩნია**. კანონი უშვებს განჩინების ზეპირი განხილვის გარეშე მიღების შესაძლებლობას, მაგრამ არ კრძალავს ამ განჩინების ზეპირი განხილვის შედეგად მიღების შესაძლებლობას.

– კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ განჩინებაზე საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, მაგრამ არა განჩინებაზე საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ.

მუხლი 375. სააპელაციო საჩივრის მიღების შედეგი

1. თუ არსებობს სააპელაციო საჩივრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია.

2. თუ გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, საააპელაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. განჩინება ამის თაობაზე შეიძლება გამოტანილ

იქნეს ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია აღსრულების შეჩერება, აღსრულების ღონისძიების გაუქმება, აგრეთვე აღსრულების გაგრძელება უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა „განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ", გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელშიც იგი გასაჩივრებულია. ამ განჩინებაში იმის ჩაწერა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდეს, აუცილებელი არაა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა ჩერდება არა სასამართლოს განჩინების, არამედ კანონის ძალით.

2. ეს კოდექსი ითვალისწინებს მხარის შუამდგომლობით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობას, სანამ იგი კანონიერ ძალაში შევიდოდეს (268-ე მუხლი).

– თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიმართ გამოტანილია განჩინება კანონიერ ძალაში შესვლამდე მისი დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, მაშინ სააპელაციო სასამართლოს აპელანტის შუამდგომლობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დროებით შეჩერებისა და აღსრულების ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

– სააპელაციო სასამართლოს მიერ ასეთი განჩინების მიღება აუცილებელია, რადგან სააპელაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად ვერ შეაჩერებს დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების მოქმედებას.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობით შეუძლია გამოიყენოს აღსრულების გაუქმებით, შეჩერებით, აგრეთვე აღსრულების გაგრძელებით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა 57-ე და 268-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

მუხლი 376. საქმის განხილვის დანიშვნა

სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში

– საქმის ზეპირი განხილვის დღის დანიშვნა ხდება სააპელაციო სასამართლოს „განჩინებით სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ“.

– ამ მუხლის მოთხოვნის შესრულება უბიძგებს სააპელაციო სასამართლოს, საქმის სირთულისა და ამ საქმის მომზადების მიზნით აუცილებელ საპროცესო მოქმედებათა შესრულების გათვალისწინებით, წინასწარ განჭვრიტოს, თუ როდის იქნება შესაძლებელი საქმის მთავარ სხდომაზე ზეპირი განხილვა.

– სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და საქმის მომზადების შესახებ განჩინების ასლებს, რომლებშიც მითითებულია საქმის (სააპელაციო საჩივრის) განხილვის დრო, სასამართლო უგზავნის მხარეებს.

– სააპელაციო საჩივრის საფუძველზე საქმეთა განხილვის ვადა განისაზღვრება სასამართლოში საქმეთა განხილვის იმ ვადებით, რომლებიც გათვალისწინებულია 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა საქმის განხილვა მოხდეს აღნიშნული განჩინებით გათვალისწინებულ დღეს. თუ რაიმე მიზეზის გამო ეს ვერ ხერხდება, ამის შესახებ უნდა ეცნობოთ მხარეებს.

სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და საქმის მომზადების შესახებ განჩინების ასლების გადაგზავნა მხარეებისათვის არ ათავისუფლებს სააპელაციო სასამართლოს მოვალეობისაგან, გაუგზავნოს უწყება მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე საქმის მონაწილე სხვა პი-

რებს საქმის განხილვის დღის შესახებ 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 377. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

1. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

2. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

3. სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

4. სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო კომპეტენცია.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული.

1. სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის, ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის

მოთხოვნის ფარგლებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივი თუ იურიდიული დასაბუთებულობა სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებაში.

– **საუარესოდ შებრუნება**, ე. ი. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა იმ ნაწილში, რომელიც აპელანტს არ გაუსაჩივრებია, ან ისეთნაირად, როგორც მას არ წამოუყენებია – დაუშვებელია (384-ე მუხლი).

– გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შემოწმების დროს სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ორ გარემოებას: ა) რომელ ფაქტობრივ გარემოებას თვლის სასამართლო დადგენილად და ამყარებს თავის გადაწყვეტილებას გასაჩივრებულ ნაწილში და ბ) დასტურდება თუ არა ეს გარემოებები საქმეში არსებული ან ახლად წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

2. გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმებისას სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს, სწორად გამოიყენა თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ კანონი, ე. ი. იურიდიულად სწორად შეაფასა თუ არა სასამართლომ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მან დადგენილად ჩათვალა.

– სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებისას სასამართლოსათვის მთავარი ორიენტირია 393-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება კანონი დარღვეულად და 394-ე მუხლი, რომელიც შეიცავს საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძვლებს, ანუ გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძვლების ჩამონათვალს, რომლებიც მთლიანად ვრცელდება სააპელაციო სასამართლოზეც (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

– გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების დროს სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ე. ი. შეუძლია შეამოწმოს დარღვევები, დაშვებული მტკიცებულებების შეფასებისა და ფაქტიური გარემოებების დადგენის დროს, აგრეთვე კანონის ისეთი დარღ-

ვევები, რომლებზეც არ იყო მითითებული სააპელაციო საჩივარში.

3. გასაჩივრების დასაშვებობის თვალსაზრისით განჩინებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ა) განჩინებები, რომლებზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ განჩინებების გასაჩივრება დასაშვებია **ცალკე, გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად** და ბ) განჩინებები, რომელთა ცალკე გასაჩივრება არ შეიძლება, მაგრამ დასაშვებია მათი უარყოფა და მათ წინააღმდეგ მოსაზრებათა ჩამოყალიბება გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ სააპელაციო საჩივარში.

– ის განჩინებები, რომლებზეც დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა, შეიძლება, ამა თუ იმ მიზეზის გამო, **არ იყო თავის დროზე** გასაჩივრებული მხარის მიერ ან იმის გამო, რომ მხარემ გაუშვა მისი გასაჩივრების ვადა, ან იმის გამო, რომ არ მოისურვა მაშინ მისი ცალკე გასაჩივრება. ასეთი, თუმცა გასაჩივრებადი, მაგრამ თავის დროზე გაუსაჩივრებელი განჩინებები უთანაბრდება და იზიარებს იმ განჩინებების „ბედს“, რომლებზეც არ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, მაგრამ თავისუფლად შეიძლება მათი უარყოფა გადაწყვეტილებასთან ერთად.

ეს იმას **არ ნიშნავს**, რომ გადაწყვეტილებაზე ცალკე უნდა დაიწეროს სააპელაციო საჩივარი, ხოლო ზემოხსენებულ განჩინებებზე – ცალკე საჩივარი (იგივე კერძო საჩივარი). რა თქმა უნდა არა! ამ განჩინებების უსწორობაზე შეიძლება მითითებული იყოს მხოლოდ სააპელაციო საჩივარში. სააპელაციო საჩივარში ამ განჩინებების დაუსაბუთებლობაზე მითითებას ის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, რომ სწორედ მათი მიღების წყალობით იქნა გამოტანილი დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება. მაგალითად, აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება ვერ დადასტურდა, რადგან სასამართლომ თავისი არასწორი და დაუსაბუთებელი განჩინებით უარი უთხრა მას შესაბამისი მტკიცებულების მიღებაზე, მოწმის გამოძახებასა და დაკითხვაზე, ექსპერტიზის დანიშვნაზე და ა. შ. ან კიდევ, სასამართლომ თავისი განჩინებით, რომელიც კანონის დარ-

ღვევითაა მიღებული, უარი უთხრა მას შუამდგომლობაზე აცილების შესახებ და ა. შ.

სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულ განჩინებაზე სააპელაციო სასამართლოს **არ გამოაქვს ცალკე განჩინება**. სააპელაციო საჩივრის ობიექტია სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ მას გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება. თუ იმ განჩინებებს, რომლებიც წინ უსწრებენ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, მართლაც შეეძლოთ გამოეწვია მისი ფაქტობრივი თუ იურიდიული დაუსაბუთებულობა, მას გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება) სწორედ ამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების და არა მანამდე მიღებული განჩინებების მიმართ.

4. სასამართლოს **უწყებრივ ქვემდებარეობას (მე-11 მუხლი)** სააპელაციო სასამართლო **ამოწმებს თავისი ინიციატივით**. თავისი ინიციატივით ამოწმებს იგი აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო კომპეტენციას, რისთვისაც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (იხ. ამ კანონის მე-8-20 მუხლები).

5. განსჯადობის შემოწმება სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა კი მოპასუხეს შეუძლია წამოაყენოს მხოლოდ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 378. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა

1. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. საქმის ზეპირი განხილვისას სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით.

2. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება საპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს

გამოაქვს განჩინება სასამართლო ხარჯების შესახებ.

1. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა უნდა განვასხვავოთ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უარის თქმისაგან (370-ე მუხლი). სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება. სააპელაციო საჩივარზე უარი კი გულისხმობს იმას, რომ აპელანტს არ ჰქონია ნათქვამი უარი სააპელაციო გასაჩივრებაზე, წარადგინა სააპელაციო საჩივარი, მაგრამ შემდგომ გადაიფიქრა და უარი თქვა თავის საჩივარზე.

ასეთი უარი აპელანტს შეუძლია თქვას საქმის ზეპირი განხილვის ანუ სასამართლო სხდომის დაწყებამდე, მაგრამ თუ ასეთი უარი მან თქვა საქმის ზეპირი განხილვის დროს, მაშინ საჭიროა მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა. თუ ასეთი თანხმობა არ იქნება, სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს საჩივარი.

2. სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მიერ უარის თქმას, ანუ სააპელაციო საჩივრის გამოხმობას უკავშირდება სერიოზული შედეგი: აპელანტს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

– სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის (საჩივრის გამოხმობის) შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს „განჩინება საპელაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო“. ამავე განჩინებით უნდა განისაზღვროს ხარჯების გადახდის საკითხიც. სააპელაციო წარმოებით გამოწვეული ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს აპელანტს იმის ანალოგიურად, როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს მის მიერ აღძრულ სარჩელზე (54-ე მუხლი).

– ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მუხლი 379. შეგებებული სააპელაციო საჩივარი

მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში

წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

– შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეუძლია წარადგინოს მოწინააღმდეგე მხარემ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას უარი აქვს ნათქვამი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე (370-ე მუხლი).

– შეგებებული სააპელაციო საჩივრით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომელიც აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი და, მაშასადამე, აპელანტის მიერ არაა გასაჩივრებული.

შეგებებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება იქნება არა საუარესოდ შებრუნება, არამედ შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულად ცნობა. შეგებებული საჩივრის წარდგენით საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი აღარ მოქმედებს.

– შეგებებულ სააპელაციო საჩივარს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, წაეყენება იგივე მოთხოვნები, როგორიც ძირითად სააპელაციო საჩივარს (368-ე მუხლი).

ეს გამონაკლისები შემდეგში მდგომარეობს:

ა) შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება აღემატებოდეს 1000 ლარს. იგი შეიძლება 1000 ლარზე ნაკლებიც იყოს;

ბ) შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს 14 დღეში (369-ე მუხლი). იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში.

გ) შეგებებული სააპელაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ აპელანტი უარს იტყვის თავის სააპელა-

ციო საჩივარზე (378-ე მუხლი) ან სააპელაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს მას (374-ე მუხლი), მაშინ შეგებებული სააპელაციო საჩივარი კარგავს თავის დანიშნულებას და ისიც უარყოფილ უნდა იქნეს, ე. ი. ამ საჩივრის მიმართაც უნდა შეწყდეს სააპელაციო წარმოება (378-ე მუხლი) ან, თუ ძირითადი სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული (374-ე მუხლი), ასევე განუხილველად უნდა დარჩეს შეგებებული სააპელაციო საჩივარიც.

ამდაგვარად სამართლებრივი შეფასება ჩამოაყალიბა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ თავის ერთ-ერთ განჩინებაში, რომელიც მთლიანად ვრცელდება აგრეთვე სააპელაციო სასამართლოში შეტანილ შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე. ამ განჩინებაში კერძოდ აღნიშნულია: „საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და იგი განუხილველი უნდა დარჩეს. ასევე განუხილველი უნდა დარჩეს მოწინააღმდეგე მხარის შეგებებული საკასაციო საჩივარი, რადგან მათ გაშვებული აქვთ საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა და მათი საკასაციო საჩივარი, როგორც შეგებებული საკასაციო საჩივარი, დასაშვებად იქნა მიჩნეული მხოლოდ იმის გამო, რომ არსებობდა ძირითადი საკასაციო საჩივარი. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და განუხილველად დარჩა, მოპასუხეთა შეგებებული საკასაციო საჩივარიც განუხილველად უნდა დარჩეს, რადგან ძირითადი საკასაციო საჩივრის გარეშე არ აკმაყოფილებს კანონით საკასაციო საჩივრისათვის დადგენილ კრიტერიუმს, კერძოდ, გაშვებულია საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა“.[59]

საკასაციო სასამართლოს ეს პოზიცია ამჟამად ასახულია ამ მუხლის პირველ ნაწილში.

დ) შეგებებული სააპელაციო საჩივარი გაიზიარებს ძირითადი სააპელაციო საჩივრის ბედს, თუ **იგი წარდგენილია სააპელაციო გასაჩივრების ვადაში (14 დღე) და ამ შეგებებული საჩივრის ღირებულება აღემატება 1000 ლარს**. ასეთ შემთხვევაში შეგებებული საჩივრის შემომტა-

[59] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №2, გვ. 287

ნი პირი განიხილება როგორც დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრის წარმომდგენი პირი. ამ შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი განხილულ უნდა იქნეს როგორც დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, უარი თქვა აპელანტმა თავის ძირითად სააპელაციო საჩივარზე თუ არა.

მუხლი 380. ახალი ფაქტები და მტკიცებულებები

1. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები.

2. ახალი ფაქტები და ახალი მტკიცებულებები, რომლებიც მხარეს შეეძლო წარმოედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი, თუ მათი განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას და მხარემ ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს არასაპატიო მიზეზით არ წარუდგინა.

ამ მუხლის **დედააზრი** მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტები, რომელთა შესახებ ცნობილია მხარეებისათვის, უნდა წარედგინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი ამკვიდრებს პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან დებულებას, კერძოდ, მხარეებს, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს სააპელაციო საჩივრით ან ამ საჩივარზე შესაგებლით, ამ მუხლის **მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობების არსებობისას**, შეუძლიათ:

ა) მოიყვანონ **ახალი ფაქტები**. ახალი ფაქტები ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც ადრე არ იყო მითითებული მხარეების მიერ იმის გამო, რომ არ იყო ცნობილი მათ შესახებ და

წარმოიშვნენ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ, ან კიდევ, თითონ მხარემ, ან სასამართლომ არ ჩათვალა ისინი საქმისთვის მნიშვნელობის მქონედ.

ფაქტები ქმნიან სარჩელის (შესაგებლის) საფუძველს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეუძლია **შეცვალოს სარჩელის საფუძველი,** ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია დაუპირისპიროს მას ახალი ფაქტები.

ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომლის თანახმად „სსკ 380-ე მუხლით სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და ახალი მტკიცებულებები. ცხადია, რომ ახალი მტკიცებულებების წარდგენა ემსახურება სარჩელის საფუძველში მითითებული გარემოებების დადასტურებას. კანონმდებელი უფლებას ანიჭებს რა აპელანტს წარადგინოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, უშვებს შესაძლებლობას **შეცვალოს სარჩელის საფუძველი**".[60]

ბ) აპელანტს და მის მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლიათ წარმოადგინონ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალი მტკიცებულებები (382-ე მუხლი).

მხარეთა ეს უფლებები წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ პირობებში.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი ამკვიდრებს პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად **პრინციპულ დებულებას** – სააპელაციო სასამართლო **არ მიიღებს და არ გამოიკვლევს ახალ ფაქტებს და მტკიცებულებებს, თუ**:

ა) ეს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები მხარეს შეეძლო მოეყვანა ჯერ კიდევ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს;

ბ) ამ ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების მიღება და განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას;

---

[60] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №3, გვ. 675.

გ) მხარემ არასაპატიო მიზეზით არ წარუდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს.

– სააპელაციო სასამართლომ ყოველთვის განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა შეაფასოს ახალი ფაქტებისა და ახალი მტკიცებულებების მიღებისა და გამოკვლევის დასაშვებობის აქ მითითებული პირობები. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ და არ უნდა განვიხილოთ ეს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, თუ ცხადია, რომ რაღაც ტაქტიკური თუ სხვა მოსაზრებით **შემოინახა ისინი მხარემ სააპელაციო სასამართლოსთვის** და რაღაც მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეული ეფექტის მიღების სურვილი ამოძრავებდა მას.

– რაც შეეხება ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც იყო მხარეთა მიერ წამოყენებული პირველ ინსტანციაში, მათ შეუძლიათ კვლავ წამოაყენონ აპელაციაში იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ **შეცდომით არ ჩათვალა** ეს ფაქტები საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ და ამიტომ არ დაადგინა, ან მართალია დაადგინა, მაგრამ **საპროცესო ნორმების დარღვევით**.

– თუ ახალი ან ხელმეორედ დასახელებული ფაქტები დასაშვებად ცნო აპელაციამ, მან უნდა განუსაზღვროს მხარეებს დრო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოსადგენად, თუ ისინი არ იყო წარმოდგენილი მათ მიერ. თუ მხარეები ამ ვადაში არ წარმოადგენენ აღნიშნულ მტკიცებულებებს, აპელაციამ უნდა უარყოს და არ განიხილოს ეს ფაქტები (206-ე და 215-ე მუხლები).

სააპელაციო სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ ახალი ფაქტებისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში უნდა განხორციელდეს საქმის მომზადების სტადიაზე (იხ. 373-ე მუხლის კომენტარი). წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს და არ განიხილოს ისინი.

მუხლი 381. დავის საგნის შეცვლა და გადიდება

დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებუ-

ლი სარჩელის შეტანა და სარჯების განსაზღვრა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

მოსარჩელეს სრული უფლება აქვს შეცვალოს დავის (სარჩელის) საგანი, გაადიდოს ან შეამციროს ეს საგანი (იხ. 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი), ასევე, მოპასუხეს შეუძლია თავი დაიცვას სარჩელისაგან შეგებებული სარჩელის აღძვრით (იხ. 188-ე მუხლის კომენტარი), მაგრამ ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს გარკვეულ წესს.

დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის აღძვრა, როგორც წესი, დაკავშირებულია ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენასთან, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს საქმის განხილვის (სააპელაციო საჩივრის) და გადაწყვეტის გაჭიანურება, მაშინ როდესაც ამ საპროცესო მოქმედებათა რეალიზაცია შეიძლებოდა განხორციელებულიყო ჯერ კიდევ საქმის მომზადების სტადიაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

როგორც ჩანს, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როდესაც აკრძალა სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის შეცვლა, გადადება, ან შეგებებული სარჩელის აღძვრა.

მუხლი 382. მტკიცებულებათა გამოკვლევა

1. სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ.

1. ამ მუხლის პირველ ნაწილს მხედველობაში აქვს მტკიცებულებათა განკუთვნადობის პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია აგრეთვე სსკ 104-ე მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი) და რომლის თანახმად სასამართლომ არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები, **„რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ“**.

სააპელაციო სასამართლო არაა შებოჭილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების შემოწმებისა და შეფასების შედეგებით. სააპელაციო სასამართლოს **შეუძლია კვლავ შეამოწმოს და შეაფასოს ეს მტკიცებულებები.** თუ ეს აუცილებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შემოწმებისათვის, აგრეთვე, **თუ არსებობს 380-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირობები** (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– ფაქტებისა და მტკიცებულებების შეფასებას და შემოწმებას სააპელაციო სასამართლო ახდენს სააპელაციო საჩივრით წამოყენებულ მოთხოვნასთან მიმართებაში, რომლითაც **შებოჭილია სააპელაციო** სასამართლო.

2. თუ სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შემოწმებისა და შეფასების შედეგს, იგი **ვალდებულია თავის გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) მიუთითოს, თუ რატომ** არ ჩათვალა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი დადასტურებულად, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ დადასტურებულად ჩათვლა, რატომ არ შეიძლება ესა თუ ის მტკიცებულება მივიჩნიოთ უტყუარად (სარწმუნოდ), რომელიც პირველმა ინსტანციამ სარწმუნოდ ჩათვალა და ა. შ.

მუხლი 383. საქმის ზეპირი განხილვა

1. საქმის ზეპირი განხილვა იწყება სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით.

2. მომხსენებელი წარმოადგენს საქმის გარემოებებს, პირველი ინსტანციის სასამართლოს

გადაწყვეტილების საფუძვლებს, რის შემდეგაც მხარეებს ეძლევა სიტყვა შუამდგომლობების დასაყენებლად და დასასაბუთებლად და იწყება მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა.

3. საქმის განხილვას უშუალოდ უნდა მოჰყვეს მტკიცებულებათა გამოკვლევა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის (210-228-ე მუხლები), იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებზეც მითითებულია ამ კოდექსის მე-8 კარით.

1. ისე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოშიც საქმის ზეპირი განხილვა იწყება ერთ-ერთი მოსამართლის მოხსენებით.

– საქმის განხილვის დაწყების ასეთ წესს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა: საქმის განხილვაში მონაწილე აპელანტს და სხვა პირებს შესაძლებლობა ეძლევათ გაარკვიონ, თუ რამდენად სწორად გაიგო სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნა და მისი შინაარსი, მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი და მისი შინაარსი. ასეთი წესი საშუალებას აძლევს მხარეებს დააზუსტონ და შესწორება შეიტანონ მომხსენებელი მოსამართლის გამოსვლაში, თუ ამ გამოსვლაში რაიმე უზუსტობა, გაუგებრობა ან შეცდომა იყო დაშვებული.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ ძირითადი საკითხების წრეს, რომლებსაც უნდა შეეხოს სააპელაციო მოსამართლე თავის მოხსენებაში.

ეს საკითხებია:

ა) **საქმის გარემოებები**, ე. ი. ვინ აღძრა სარჩელი, ვის წინააღმდეგ, როგორია მოსარჩელის მოთხოვნა და მოპასუხის შესაგებელი, რომელ გარემოებებს ემყარებიან მხარეები თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად, რა და რომელი მტკიცებულებები წარადგინეს მათ პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ გარემოებების დასადასტურებლად.

ბ) **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტი-**

ლების საფუძვლები, ე. ი. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დადასტურებულად და დადგენილად ჩათვალა და საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას პირველმა ინსტანციამ (გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლები), კანონები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით (გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლები).

გ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თავის მოხსენებაში უნდა შეეხოს აგრეთვე, თუ როგორია სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, ანუ რას მოითხოვს აპელანტი – გადაწყვეტილების მთლიანად თუ ნაწილობრივ გაუქმებას, შეცვლას თუ ახალი გადაწყვეტილების გამოტანას (სააპელაციო საჩივრის განაცხადი), რა ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება აპელანტი, რომელი კანონია მისი აზრით დარღვეული და რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს დარღვევა (393-ე და 394-ე მუხლები). რა ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება სააპელაციო მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი შესაგებელი და ა.შ.

მომხსენებელ მოსამართლეს შეუძლია სხვა საკითხებსაც შეეხოს, თუ მას ეს საჭიროდ მიაჩნია.

– მომხსენებელი მოსამართლის შემდეგ სიტყვა ეძლევა მხარეებს და მათ წარმომადგენლებს. მათ უფლება აქვთ დააზუსტონ და დააკონკრეტონ თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლის შინაარსი, თუ მომხსენებელმა მოსამართლემ რაიმე შეცდომა ან უზუსტობა დაუშვა, მაგრამ **მათ არ უნდა გაიმეორონ ის,** რაც უკვე ითქვა მომხსენებელი მოსამართლის მიერ.

პირველი გამოდის აპელანტი, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე. სასამართლოს ნებართვით მხარეებმა შეიძლება შეკითხვა მისცენ ერთმანეთს.

3. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა და მტკიცებულებათა გამოკვლევა (შემოწმება, შეფასება) წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოსათვის ამ კოდექსის მერვე კარით.

თ ა ვ ი XLVII

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 384. გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

1. სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით (377-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ე. ი. მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. ასეთი შემოწმების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გასაუქმებელი და შესაცვლელია არა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელსაც მოითხოვს აპელანტი, არამედ მთლიანად, როგორც იმ ნაწილში, რომელიც აპელანტის საწინააღმდეგოდაა გამოტანილი, ისე იმ ნაწილში, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას მთლიანად, ან იმ ნაწილში, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი, რადგან **ეს იქნებოდა საუარესოდ შებრუნება, რასაც კრძალავს ეს მუხლი**, როდესაც მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა დასაშვებია „მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ“.

– უფრო მეტიც, აპელანტი კიდეც რომ მოითხოვდეს გადაწყვეტილების იმ ნაწილის (ან მთლიანად) გაუქმებას ან შეცვლას, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი, სააპელაციო სასამართლო მაინც ვერ გააკეთებს ამას: **მხარეს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება მთლიანად, თუ იგი მის წინააღმდეგაა გამოტანილი, ან იმ ნაწილში, რომელიც მის წინააღმდეგაა მიღებული.**

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა საკასაციო სასა-

მართლოს მითითება ერთ-ერთ საქმეზე იმის შესახებ, რომ მართალია აპელანტმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება მთლიანად, ე.ი. იმ ნაწილშიც, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი, მაგრამ სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც აპელანტის წინააღმდეგაა გამოტანილი. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება მთლიანად და ამით „მოახდინა აპელანტის მდგომარეობის **საუარესოდ შებრუნება, რაც დაუშვებელია**."[61]

– ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საუარესოდ შებრუნება და შეგებებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება (379-ე მუხლი). შეგებებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება, ე. ი. გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომელიც აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი, იქნება არა საუარესოდ შებრუნება, არამედ შეგებებული სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება. დამოუკიდებელი და შეგებებული სააპელაციო საჩივრის ერთობლივად განხილვის პირობებში საუარესოდ შებრუნების აკრძალვა აღარ მოქმედებს.

მუხლი 385. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად

1. სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ:

ა) ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს;

ბ) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე;

[61] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002, №10, გვ.1976,
სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2005, №5, გვ. 109

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.

2. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწვიტოს იგი.

1. სააპელაციო სასამართლოს გააჩნია ფართო უფლებამოსილებანი . ერთ-ერთი ასეთი უფლებამოსილებაა გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის უკან დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

ამ მუხლში ჩამოთვლილია გადაწყვეტილების გაუქმების მხოლოდ **უდავო საფუძვლები**, კერძოდ:

ა) 394-ე მუხლი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს 393-ე მუხლის დაკონკრეტებას, შეიცავს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის არა ამომწურავ, არამედ ისეთ ჩამონათვალს, რომლის დროს სააპელაციო სასამართლო **ვალდებულია გააუქმოს** გადაწყვეტილება (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

ბ) ამ ქვეპუნქტს მხედველობაში აქვს „განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ“ (240-ე მუხლის მე-2 ნაწ.), რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით (240-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

რაც შეეხება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შეტანილი საჩივრის **დაშვებაზე უარის თქმას**, ამის შესახებ სასამართლოს გამოაქვს არა გადაწყვეტილება, არამედ განჩინება, რომელზეც შეიძლება არა სააპელაციო, არამედ კერძო საჩივრის შეტანა (239-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

გ) თუ სარჩელი დასაშვები არ არის იმის გამო, რომ არ არსებობს სარჩელის უფლების წინაპირობები (186-ე მუხლი), სასამართლოს გამოაქვს „განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ“, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (187-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ამრიგად, ამ პუნქტს სინამდვილეში მხედველობაში აქვს არა გადაწყვეტილება, არამედ განჩინება.

დ) სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ერთი და იგივე მხარის მიმართ მეორედ ან განმეორებით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთი განმეორებით გამოტანილი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს ითვალისწინებს სსკ 242-ე და 366-ე მუხლები (იხ. ამ მუხლების კომენტარი). თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არ არსებობდა ასეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობები და საფუძვლები, იგი უნდა გაუქმდეს.

2. სააპელაციო სასამართლომ თვითონ უნდა განსაზღვროს, რა შემთხვევაში არ გადააგზავნოს საქმე უკან ხელახლა განსახილველად და რა შემთხვევაში თვითონ განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

ვინაიდან ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჩივრის ობიექტს წარმოადგენს განჩინებები და განმეორებით არასწორად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებები – შეიძლება მართლაც მიზანშეწონილი იყოს საქმის განსახილველად უკან დაბრუნება მათი გაუქმების შემთხვევაში.

ხოლო რაც შეეხება ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევას, როცა სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას 393-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ფორმით მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევის გამო, ასეთ და ყველა სხვა შემთხვევებში უფრო მიზანშეწონილი იქნება სააპელაციო სასამართლომ არ დააბრუნოს საქმე უკან ხელახლა განსახილველად და თვითონ განიხილოს და გადაწყვიტოს იგი (386-ე მუხლი).

მუხლი 386. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი

თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე.

– ამ მუხლით განმტკიცებულია სააპელაციო სასამართლოს შემდეგი უფლებამოსილებანი:

ა) უარი უთხრას აპელანტს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და დატოვოს გადაწყვეტილება უცვლელად, თუ სააპელაციო საჩივარში მითითებულ დარღვევებს არ აქვს ადგილი და გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებულია.

სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გადაწყვეტილების უცვლელად (ძალაში) დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება საკასაციო საჩივრის შეტანა.

ბ) აუქმებს გადაწყვეტილებას და თვითონ იღებს ახალ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

გ) აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს უკან, თუ არსებობს 385-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები და სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა მისი უკან დაბრუნება (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, სააპელაციო სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმეს აბრუნებენ უკან ხელახლა განსახილველად.

ასეთი პრაქტიკა, მართალია, არ ეწინააღმდეგება კანონს, მაგრამ არაა სასურველი. საქმე ისაა, რომ **ჯერ ერთი** – აპელაცია სააპელაციო საჩივრის ფარგლებში გადაწყვეტილების ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებაა, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს გააჩნია ყველა ის საპროცესო მექანიზმები, რაც აუცილებელია ასეთი შემოწმებისათვის, **მეორე** – გადაწყვეტილების შემოწმებას ახდენენ უფრო კვალიფიციური მოსამართლეები კოლეგიურად.

ამიტომ, ყველა შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას მისი ფაქტობრივი თუ იურიდიული დაუსაბუთებლობის გამო, დაუშვა და განიხილა მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები (380-ე მუხლი), დაიწყო მტკიცებულებათა შეგროვება და შემოწმება, მან აღარ უნდა დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად და თითონ უნდა მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

მუხლი 387. მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

1. თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას.

3. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

ამ მუხლის გამოყენებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ აპელანტის ან მისი მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობა, ან კიდევ, ორივე მხარის გამოუცხადებლობა, ერთდროულად იწვევს პირველი ინსტანციის სასამართლოში მხარეთა გამოუცხადებლობის ანალოგიურ, ანუ ერთგვაროვან შედეგებს, კერძოდ:

1. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტი (სააპელაციო მოსარჩელე), რომელსაც უწყება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, მოწინააღმდეგე მხარის თხოვ-

ნით სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

– თუ მოწინააღმდეგე მხარე მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას, მაშინ სააპელაციო სასამართლო გადადებს საქმის განხილვას სხვა დროისათვის, რის შესახებაც აცნობებს გამოუცხადებელ მხარეს (აპელანტს), ხოლო გამოცხადებულ მოწინააღმდეგე მხარეს, აგრეთვე საქმეში მონაწილე სხვა პირებს აფრთხილებს გადადებული სხდომის დღის შესახებ და მათი გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, რაც შეიტანება ოქმში და რაზეც ხელს აწერენ ეს პირები.

თუ აპელანტი კვლავ არ გამოცხადდება, მაშინ სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. თუ სხდომაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე (სააპელაციო მოპასუხე), მაშინ სასამართლო, აპელანტის თხოვნით, გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, ან თუ ასეთი თხოვნა არ არის და იგი მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას, მაშინ სააპელაციო სასამართლო გადადებს საქმის განხილვას, რის შესახებაც აფრთხილებს გამოცხადებულ მხარეს და დადგენილი წესით აცნობებს გამოუცხადებელ პირებს. თუ მოწინააღმდეგე მხარე კვლავ არ გამოცხადდება, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, ოღონდ ერთი პირობით – თუ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ აპელანტის მოთხოვნას (230-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

3. სააპელაციო სასამართლოში ერთ-ერთი ან ორივე მხარის გამოუცხადებლობას უკავშირდება იგივე შედეგები, როგორიც მათ გამოუცხადებლობას პირველი ინსტანციის სასამართლოში.

აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში აპელანტის (სააპელაციო მოსარჩელის) მიერ მითითებული ფაქტები ითვლება დადასტურებულად, მაგრამ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას აპელანტის სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში გამოიტანს სააპელაციო სასამართლო, თუ ეს დადასტურებულად (დამტკიცებულად) ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებს აპელანტის მოთხოვნას (იხ. 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი). თუ არ ამართლებს, მაშინ სააპელაციო სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, მაგრამ ეს იქნება არა დაუსწრებელი, არამედ ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.

– აპელანტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს შეუძლია სსკ 229-ე მუხლის პირობების დაცვით გამოიტანოს არა მარტო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არამედ დატოვოს სააპელაციო საჩივარი განუხილველად (229-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სააპელაციო სასამართლო საჩივარს განუხილველად დატოვებს, როცა სხდომაზე არ ცხადდება არცერთი მხარე (231-ე მუხლი).

მუხლი 388. საქმის უკან გადაგზავნა

სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების (განჩინების) ძალაში შესვლის შემდეგ საქმე ახლად შემოსულ მასალასა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან (განჩინებასთან) გადაეგზავნება პირველი ინსტანციის სასამართლოს.

– ეს მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ იმ ეტაპს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ უკან უნდა გადაუგზავნოს საქმე თავის გადაწყვეტილებასთან (განჩინებასთან) ერთად პირველი ინსტანციის სასამართლოს. ეს ეტაპია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლა.

თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) გასაჩივრდა კანონით დადგენილ ვადაში საკასაციო სასამართლოში, მაშინ საქმე საკასაციო საჩივართან ერთად უნდა გადაიგზავნოს საკასაციო სასამართლოში.

მუხლი 389. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი

1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:

ა) გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი;

ბ) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;

გ) სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის დასახელება;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს:

ა) სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას;

ბ) საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით;

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთებას. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებას საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

3. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სააპელაციო საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადისა და წესის თაობაზე.

1. ეს მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსს, მის სავალდებულო რეკვიზიტებს. გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს, როდესაც იგი საქმეს არ აბრუნებს უკან ხელახლა განსახილველად და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით თვითონ იღებს მისგან განსხვავებულ ახალ გადაწყვეტილებას.

ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც საერთოა სასამართლოების მიერ გამოტანილი ყველა განჩინებისა თუ გადაწყვეტილებისათვის.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი ათავისუფლებს სააპელაციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ჩამოყალიბებისაგან, მაგრამ განსაზღვრავს, თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს ეს გადაწყვეტილება მათ ნაცვლად.

ა) ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს აპელანტის მოთხოვნაზე, ანუ იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს აპელანტი. ეს მოთხოვნა გადაწყვეტილებაში უნდა ჩამოყალიბდეს სააპელაციო საჩივრის მიხედვით (368-ე მუხლი). ამ მოთხოვნის ზუსტად, ნათლად და ამომწურავად მითითებას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა: სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება „იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ“ (384-ე მუხლი).

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასკვნები „საქმის გარემოებებთან დაკავშირებით“, ე.ი. დასკვნებზე იმის შესახებ, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები ცნო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ დადგენილად და რომელი არა. კანონით ზუსტად განსაზღვრული პირობების არსებობისას (380-ე და 382-ე მუხლები) მხარეს შეუძლია წარუდგინოს სააპელაციო სასამართლოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები. თუ ამას ჰქონდა ადგილი და

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ეს ახალი ფაქტები, ამის შესახებ უნდა მიეთითოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, როგორც ამას გვთავაზობს „ბ“ ქვეპუნქტი.

გ) 389-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარებოდა სააპელაციო სასამართლო, როდესაც შეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება. ამ თვალსაზრისით აქ რაიმე სიახლე არაა. სიახლე მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თავის გადაწყვეტილებაში მიუთითოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ დავაზე ფაქტების არსებობა - არარსებობის შესახებ, რომლებსაც იზიარებს სააპელაციო სასამართლო, აგრეთვე, ამ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებზე. **გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ ასეთ დასკვნებზე და შეფასებებზე მითითებით შეიძლება შეიცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება.**

ამრიგად, 389-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების მიზანია სააპელაციო სასამართლოსათვის გადაწყვეტილების ჩამოყალიბების გამარტივება და შემსუბუქება, მაგრამ ასეთი ცვლილება კიდე უფრო აძლიერებს კანონის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კარგად იყოს მოტივირებული ფაქტობრივად და იურიდიულად, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ზუსტად და შეუცდომლად მიუთითოს თავის გადაწყვეტილებაში დასკვნებზე და შეფასებებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში და რომლებსაც იგი ეთანხმება და იზიარებს. ასეთ მითითებებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოსათვის, რომლისთვისაც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები (407-ე მუხლი). ამიერიდან, საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაცია საკასაციო სასამართლოს

მიეწოდება არა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არამედ სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც.

3. სარეზოლუციო ნაწილი - ესაა საკუთრივ გადაწყვეტილება, რომელიც გადადის სააღსრულებო ფურცელში, თუ გადაწყვეტილება აღსრულებადია. ამიტომ, მისი რაც შეიძლება ნათლად და ამომწურავად ჩამოყალიბებაზე მთლიანადაა დამოკიდებული არა მარტო გადაწყვეტილების აღსრულება, არამედ იმ უფლებების რეალურად დაცვა, რომლებიც ამ გადაწყვეტილებითაა აღიარებული. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში **სავალდებულოა** სასამართლო ხარჯების განაწილების შესახებ, აგრეთვე, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადისა და წესის შესახებ მითითება (იხ. 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის კომენტარი).

მუხლი 390. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი

1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით.

2. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:

ა) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;

ბ) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;

გ) სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) შემომტანი პირის დასახელება;

დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება)

3. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს:

ა) სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) შემომტანი პირის მოთხოვნას;

ბ) საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას;

გ) მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

4. განჩინების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების, აგრეთვე განჩინების გასაჩივრების ვადისა და წესის თაობაზე.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი 284-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად ამკვიდრებს წესს, რომლის თანახმად სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სააპელაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად ან წყვეტს საქმის წარმოებას (272-ე მუხლი) ან, კიდევ სარჩელს განუხილველად ტოვებს (275-ე მუხლი), მას გამოაქვს განჩინება. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გამოაქვს მაშინაც, როცა ძალაში (უცვლელად) ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

ეს ჩამონათვალი არაა ამომწურავი. სააპელაციო, კერძო საჩივრის თუ საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს განჩინება, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი განჩინებები, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემდგომ ბედს განსაზღვრავს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასა-

მართლოს განჩინების შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს ისეთი მონაცემები, რომლებიც საერთოა სასამართლოს მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილების თუ განჩინებისათვის.

3. ისე, როგორც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაც აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) დასკვნებზე მითითებას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თუ უცვლელად დატოვების მოკლე დასაბუთებას. ასეთი დასაბუთება შეიძლება შეიცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) იმ დასკვნებზე და შეფასებებზე მითითებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) და რომლებსაც იზიარებს სააპელაციო სასამართლო.

სხვა მხრივ, ყველაფერი რაც ითქვა სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსისა და დასაბუთებულობის, აგრეთვე სარეზოლუციო ნაწილის შესახებ მთლიანად ეხება სასამართლოს განჩინებასაც (იხ. 389-ე მუხლის კომენტარი).

კარი მეცხრე
კ ა ს ა ც ი ა

თ ა ვ ი XLVIII
კასაციის დასაშვებობა

მუხლი 391. საკასაციო საჩივრის შეტანა და საჩივრის საგნის ღირებულება

1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

2. საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 50000 ლარს აღემატება.

3. საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ამ ღირებულების ოდენობა ეჭვს იწვევს, საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს.

4. არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე.

5. საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

6. სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების და განხილვის ვადაა 6 თვე.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი ორ საკითხს აწესრიგებს: **პირველი** – რომელი სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები) შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით **(საკასაციო გასაჩივრების ობიექტი)** და **მეორე** – ვის შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილებები **(საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები).**

საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს, ანუ საკასაციო გასაჩივრების ობიექტი შეიძლება იყოს:

ა) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები;

ბ) სააპელაციო სასამართლოს განჩინებები, რომლებიც გამოტანილია სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგად, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების უცვლელად (ძალაში) დატოვების შესახებ, აგრეთვე, განჩინება გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განხილვისათვის უკან დაბრუნების შესახებ;

გ) სააპელაციო სასამართლოების მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებები, გამოტანილი განმეორებით დაუსწრებლობის გამო (იხ.392-ე მუხლის კომენტარი).

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მხარეს შემოაქვს საკასაციო საჩივარი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ე.წ. „ნახტომისებურ კასაციის“ დასაშვე-

ბობას, ამიტომ საკასაციო სასამართლო ყოველთვის განუხილველად ტოვებს ასეთ საჩივარს.[62]

- საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირები არიან:

ა) მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე);

ბ) მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით;

გ) უფლებამონაცვლეები;

დ) თანამონაწილეები (თანამოსარჩელეები, თანამოპასუხეები მათი თანამონაწილეობის საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში;

ე) პირები, რომლებიც არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი ეხება მხოლოდ ქონებრივ დავებს. იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება აღემატება 50000 ლარს - ეს არის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სავსებით საკმარისი პირობა, ანუ საკასაციო სასამართლომ უნდა მიიღოს საჩივარი განსახილველად (403-ე მუხლი).

3. საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმია არა სარჩელის საგნის (სასარჩელო მოთხოვნის) ღირებულება, არამედ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება). მაგალითად, თუ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 50000 ლარს და სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ან უარი უთხრა აპელანტს ამ საჩივრის დაკმაყოფილებაზე, მაშინ ცხადია, რომ საკასაციო საჩივარი ამ გადაწყვეტილებაზე(განჩინებაზე) არ შეიძლება აღემატებოდეს 50000 ლარს და მხოლოდ **ამ ნიშნით იგი დაუშვებელია (**იხ. ამ მუხლის მე-5 ნაწილის კომენტარი).

თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, ხოლო ნაწილობრივ უარი ითქვა მის დაკმაყოფილებაზე, მაშინ საკა-

[62] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, №6, 2003, გვ. 1976-1384.

საციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების რომელი ნაწილია გასაჩივრებული. მაგალითად, თუ სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ, 40 000 ლარის ფარგლებში, მაგრამ უარი უთხრა აპელანტს 30 000 ლარის დაკმაყოფილებაზე და გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით ამ ნაწილში, ე.ი. 30000 ლარის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის ნაწილში, საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება იქნება 30000 ლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების კრიტერიუმით (50000 ლარი) ეს საჩივარი დაუშვებელია.

საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულების დამტკიცების ტვირთი, როდესაც ეს ღირებულება ეჭვს იწვევს, კასატორს ეკისრება, რისთვისაც მას შეუძლია წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, პრესის ფურცლებიდან ამონაბეჭდი, რომელიც შეიცავს ცნობებს სადავო ნივთების ღირებულების შესახებ, ოფიციალური პრეისკურანტები, სპეციალისტის დასკვნები და ა.შ.

დაუშვებელია კასატორის მიერ საჩივრის საგნის ღირებულების თვითნებურად გაზრდა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ საჩივარი კასაციური გახდეს.

4. ამ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად საკასაციო საჩივარი არაქონებრივ სამართლებრივ დავებში დასაშვებია, თუ იგი ეხება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავას. ასეთი საკასაციო საჩივრის დაშვებისათვის რაიმე დამატებით კრიტერიუმი საჭირო არაა.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით შეიძლება მრავალი სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის დავა წამოიჭრას. მაგალითად, საკუთარ სიტყვაზე უფლების მიხედვით დაუშვებელია პირის უნებართვოდ ან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მის მიერ არასაჯაროდ წარმოთქმული სიტყვის ფირზე ჩაწერა. ცხადია, რომ ამ პირს შეუძლია მოითხოვოს ასეთი ჩანაწერის ნებისმიერი მიზნებისათვის (მაგალითად, მტკიცებულებად) გამოყენება.

დავა შეიძლება წარმოიშვას საკუთარ სურათზე და საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე უფლების დარღვევას-

თან დაკავშირებით, საქმე ისაა, რომ ადამიანის უფლება საკუთარ სურათზე, ანუ უფლება თვითონ განსაზღვროს რამდენად შეიძლება მისაწვდომი იყოს სხვებისათვის ფოტოსურათები ან ვიდეოჩანაწერები მისი გამოსახულებით – დაცულია კანონით.[63]

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად პირს, რომლის გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) **გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე**, შეუძლია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს უფლების დაცვა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ასეთ გამოსახულებაზე მისი თანხმობა არაა საჭირო. თუ როდის არაა საჭირო მისი თანხმობა - განსაზღვრავს კანონი (სკ მე-18 მუხლის მე-5 ნაწილი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც, თუ საკუთარ გამოსახულებაზე მისი უფლების დარღვევა მოხდა ხელმყოფის ბრალით.[64]

5. ამ მუხლის მე-5 ნაწილი აწესრიგებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ისეთ ქონებრივ დავებში, რომელთა ღირებულება არ აღემატება 50000 ლარს და ისეთ არაქონებრივ დავებში, რომლებიც არ განეკუთვნება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებს.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები (წანამძღვრები), რომლებიც ჩამოყალიბებულია მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში **ერთნაირად ეხება, როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ დავებს.**

განვიხილოთ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ეს წინაპირობები.

ა) **საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.**

ამ პუნქტის აზრი და შინაარსი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს საკასაციო საჩივრის დაშვებისათვის აუცილებელი

[63] დაწვრილებით სიტყვისა და გამოხატვის (თვითგამოსახვის) უფლების შინაარსის შესახებ იხ. **კ.კუბლაშვილი,** ძირითადი უფლებები, გ-ბა ჯისიაი, თბ. 2003, გვ. 116 და 206.

[64]იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი. თბ. 2002. გვ.65

იყოს, რომ საქმეს ერთდროულად ჰქონდეს მნიშვნელობა როგორც სამართლის განვითარებისათვის, ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის (თუმცა ამ პუნქტის ასეთნაირად გაგებისათვის საფუძველი ნამდვილად არსებობს).

საქართველოში საკასაციო სასამართლო შეიქმნა არა მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესების დაცვის, არამედ საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით. მე-5 ნაწილის „ა" ქვეპუნქტში გამოკვეთილია საკასაციო სასამართლოს საჯარო ინტერესების დაცვის მიზანი, ეს მიზანი კი გულისხმობს როგორც სამართლის განვითარებას, ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის (ერთიანი მართლმსაჯულების) უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი **დაშვებული უნდა იქნეს ყოველთვის თუ საქმეს აქვს მნიშვნელობა ან სამართლის განვითარებისათვის, ან ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.**

როგორ შეიძლება გავიგოთ დასაშვებობის თითოეული ამ წინაპირობის აზრი და შინაარსი?

1. საქმის მნიშვნელობა სამართლის განვითარებისათვის.

საქართველოს საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყველაზე უფრო ხშირად საქმის მნიშვნელობა სამართლის განვითარებისათვის განპირობებულია **ხარვეზით კანონმდებლობაში.** სწორედ ასეთი ხარვეზის გამო საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები (განჩინებები) სარჩელის გამოხმობის (უკან გათხოვის) შესახებ, შეგებებული სააპელაციო (საკასაციო) საჩივრის აღძვრისა და ძირითადი საკასაციო საჩივრისაგან მისი დამოუკიდებლად განხილვის პირობების შესახებ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილ განჩინებათა გასაჩივრების შესახებ და ა.შ.

კანონმდებლობაში ხარვეზის შევსების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულმა მთელმა რიგმა გადაწყვეტილებებმა და განჩინებებმა თავისი ასახვა ჰპოვეს კანონმდებლობაში.

ხარვეზის შევსება არაა ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც ხდება სამართლის განვითარება. სამართლის განვითარება შეიძლება მოხდეს საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის ისეთი ინტერპრეტაციით, რომლითაც ყალიბდება ზოგადი პრინციპი.

ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ერთი პრინციპული საკითხი, რომლის შესახებაც საკასაციო სასამართლომ გამოთქვა თავისი მოსაზრება. ესაა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის დამოუკიდებელი ობიექტი იყოს გადაწყვეტილების **მხოლოდ სამოტივაციო ნაწილი**, ე.ი. შეიძლება თუ არა, რომ მხარემ გაასაჩივროს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ისე რომ არ გაასაჩივროს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მიუხედვად იმისა, რომ სსკ 266-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შედის კანონიერ ძალაში, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლის მოთხოვნის გარეშე დაუშვებელია."[65]

2. საქმის მნიშვნელობა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

ეს კრიტერიუმიც, ისე როგორც სამართლის განვითარება, საკასაციო სასამართლოს საჯარო მიზნის რეალიზაციას ემსახურება. ამ კრიტერიუმის შინაარსის მიხედვით საკასაციო საჩივრის დაშვებისათვის მთავარი და გადამწყვეტია არა ის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება მცდარად გაგებულ სამართლებრივ საფუძველს (კანონის არასწორად გაგებას), არამედ ის, აქვს თუ არა საქმეს მნიშვნელობა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.[66]

როდის არა გვაქვს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა?

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა არა გვაქვს მაშინ,

[65] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №2, გვ.287

[66] როგორც სწორად მიუთითებენ ცენო რაიჰენბეჰერი და შალვა პაპუაშვილი „აღნიშნულ კრიტერიუმთან დაკავშირებით პრინციპულია ის გარემოება, რომ აქ გადამწყვეტია არა მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი დავის ბედი, არამედ მისი მნიშვნელობა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, რაც თავის მხრივ უშუალო კავშირშია საზოგადო ინტერესებთან".

იხ. „სამართლის განვითარება სამოქალაქო პროცესში. კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის".

როდესაც ერთი და იგივე სამართლებრივი საკითხი ან ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმა სხვადასხვანაირად არის გაგებული სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მიერ. განსხვავებულობა (არაერთგვაროვნება) სასამართლო ინსტანციებთან მიმართებაში აქ უფრო ფართო მასშტაბებს გულისხმობს, ვიდრე ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და მოიცავს სამართლებრივი საკითხის სხვადასხვანაირ გაგებას არა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ, არამედ ამ სამართლებრივი საკითხების განსხვავებულად გაგებას რაიონული სასამართლოების მიერ, რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მიერ და თვით სააპელაციო სასამართლოების მიერ. რაც შეეხება განსხვავებულ სამართლებრივ შეხედულებებს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მხრივ, იგი ჩამოყალიბებულია ცალკე პუნქტად ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში.

ყოველთვის, როდესაც არსებობს განსხვავება ერთი და იგივე სამართლებრივი საკითხის გაგებაში სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მიერ, საქმე გვაქვს არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან და ამ განსხვავებულობით დასაბუთებული საკასაციო საჩივარი დაშვებულ უნდა იქნეს.[67]

ბ) **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან**

განსხვავებით „ა“ ქვეპუნქტისაგან, „ბ“ ქვეპუნქტში ნაგულისხმევია შეუსაბამობა (განსხვავება) სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის: არსებობს საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც გამოხატულია ამ სასამართლოს გადაწყვეტილებებში და ამ

[67] რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება არსებობს გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში. ამ მოსაზრების თანახმად ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არაა, რომ სასამართლომ ერთ კონკრეტულ საქმეზე მცდარი გადაწყვეტილება მიიღოს. კანონის ნორმათა განმარტებისას ან გამოყენებისას დაშვებული შინაარსობრივი ან ფორმალური შეცდომა მაშინ სცილდება ცალკეული შემთხვევის ფარგლებს და სერიოზულად ავნებს საზოგადოებრივ ინტერესებს, როდესაც ეს შეცდომა მასშტაბურია და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე შეირყეს ნდობა მართლმსაჯულების წინააღმდეგ.
ცენო რაიჰენბეჰერი, შალვა პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ.15

პრაქტიკას არ შეესაბამება და მისგან განსხვავდება გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ეს კრიტერიუმი იყენებს ისეთ ცნებას, როგორიცაა „საქმეთა კატეგორია". ამ ცნების შინაარსის გაგებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თუმცა განსხვავდება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან, მაგრამ ისინი „სხვადასხვა კატეგორიის" საქმეებზეა გამოტანილი, მაშინ ამ განსხვავებას არ აქვს მნიშვნელობა და კასაცია დაუშვებელია. მაგრამ „ბ" ქვეპუნქტის შინაარსის ასეთნაირი გაგება არ უნდა იყოს სწორი. საქმე ისაა, რომ საკასაციო სასამართლო არ ქმნის პრაქტიკას საქმეთა კატეგორიების მიხედვით. მთავარი და გადამწყვეტია არა „საქმეთა კატეგორია" (სამოქალაქო, შრომის, სამეწარმეო და ა.შ.), არამედ **სამართლებრივი საკითხი**: თუ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იდენტურ სამართლებრივ საკითხებს ემყარება, მაგრამ განსხვავებულად ესმით ეს საკითხები, მაშინ საქმე გვაქვს განსხვავებასთან და კასაცია დასაშვებია, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება ან რომელი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს დავა.

ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით შესადარებელი ობიექტებია ერთი მხრივ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მეორე მხრივ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. მაგრამ, პრაქტიკა აისახება სასამართლო გადაწყვეტილებებში. ეს იმას ნიშნავს, რომ შესადარებელი ობიექტებია სააპელაციო სასამართლო ს გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება იდენტურ სამართლებრივ ნორმას (იდენტურ სამართლებრივ საკითხს) და ამ ნორმის აზრი და შინაარსი გაგებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ სხვანაირად, ვიდრე საკასაციო სასამართლოს მიერ. პასუხები რომლებიც გაცემულია ამ სასამართლოთა გადაწყვეტილებებით იდენტურ სამართლებრივ საკითხებზე ერთმანეთს არ შეესაბამება და ამ **შეუსაბამობას ეფუძნება** სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით,

რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამ საპროცესო კრიტერიუმის ჩამოყალიბებისას, როგორც ჩანს, არ იქნა მიღებული მხედველობაში 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 394-ე მუხლი (იხ. ამ მუხლების კომენტარი). ამ მუხლების თანახმად საპროცესო სამართლის ნორმა დარღვეულად ითვლება, თუ ასეთ დარღვევას არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოყვა, ამრიგად, ასეთ საპროცესო დარღვევებს უკავშირდება არა საკასაციო **საჩივრის დასაშვებობა,** არამედ გასაჩივრებული **გადაწყვეტილების გაუქმება**. განსხვავება ზემოდ დასახელებულ მუხლებს შორის მხოლოდ ერთია: 394-ე მუხლში ჩამოთვლილ საპროცესო დარღვევების შეფასებას იმ თვალსაზრისით, შეეძლო თუ არა მათ გამოეწვიათ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, ახდენს თვითონ კანონმდებელი. ამიტომ, მოსამართლე (სასამართლო) ამ დარღვევებს ამ თვალსაზრისით არ აფასებს. ის მხოლოდ ადგენს ჰქონდა თუ არა 394-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთ საპროცესო დარღვევას ადგილი და თუ ჰქონდა, გამოიტანს განჩინებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. სხვა შემთხვევაში, ე.ი. 394-ე მუხლში მითითებული დარღვევების ფარგლებს იქეთ, საპროცესო დარღვევებს, რომლებსაც ემყარება საკასაციო საჩივარი. (იხ.396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის კომენტარი), აფასებს თვითონ სასამართლო იმ თვალსაზრისით, გამოიწვია თუ არა ამ დარღვევებმა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი განსხვავდება ზემოდ დასახელებული მუხლებისაგან იმით, რომ აქ საპროცესო დარღვევას უკავშირდება **არა გადაწყვეტილების გაუქმება, არამედ საკასაციო საჩივრის მხოლოდ დასაშვებობა**. მიუხედავად ყოველივე ამისა, აქ შეიძლება ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება: განსხვავებით 393-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 394-ე მუხლისაგან,საკასაციო საჩივრის დასაშვებობისათვის საკმარისია, რომ ამ საჩივარში მითითებული საპროცესო დარღვევა იძლეოდეს საფუძველს **ვარაუდისათვის**, რომ ასეთ

დარღვევას **შეეძლო** გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. თუ საკასაციო საჩივარში მითითებული საპროცესო დარღვევა აძლევს სასამართლოს საფუძველს ასეთი **ვარაუდისათვის,** საჩივარი დაშვებული უნდა იქნეს. თუ საქმის განხილვის შედეგად **ვარაუდი გამართლდება** და გაირკვევა, რომ საპროცესო დარღვევამ მართლაც გამოიწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, საკასაციო სასამართლო გააუქმებს ამ გადაწყვეტილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ

ეს ქვეპუნქტი წარმოადგენს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმს. იგი მიუთითებს თუ რომელი გადაწყვეტილება და განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით. ეს ქვეპუნქტი იმეორებს 240-ე მუხლის მე-3 ნაწილს და 392-ე მუხლის მე-2 ნაწილს. (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

6. 391-ე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განხილვის ვადას (6 თვე). ეს ვადა იწყება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დღიდან (401-ე მუხლის პირველი ნაწილი) და მოიცავს როგორც დასაშვებობის შემოწმებასა და შესაბამისი განჩინების მიღებას (403-ე მუხლი), ისე საქმის განხილვას საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანით.

მუხლი 391[1]. საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის

1. საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

2. დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საკასაციო სასამართლოა და საქმეებს განიხილავს საკასაციო წესით. დიდ პალატას საქმე შეიძლება გადასცეს განსახილველად ამავე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ, ამისათვის საკასაციო პალატამ უნდა გამოიტანოს მოტივირებული (დასაბუთებული) განჩინება. ამ განჩინების მოტივირების ზოგადი (შეფასებითი) კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია ამ მუხლის პირველ ნაწილში. ცხადია, რომ განჩინებაში მხოლოდ ამ ზოგად კრიტერიუმებზე მითითება არ კმარა, საკასაციო პალატამ უნდა მიუთითოს თუ რომელმა გარემოებებმა განაპირობეს საქმის დიდ პალატაზე გადაცემის აუცილებლობა.

დიდი პალატისათვის საქმის განსახილველად გადაცემა დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას

„იშვიათობა“ განეკუთვნება სამართლებრივ პრობლემას, მაგრამ ეს სამართლებრივი პრობლემა არ შეიძლება განვიხილოთ სასამართლოში აღძრული საქმისაგან განყენებულად, როგორც ამას შეიძლება ჰქონდეს ადგილი სამეცნიერო კვლევის დროს. სამართლებრივი პრობლემა უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს საქმეს, ანუ საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს სამართლებრივ პრობლემას. ცხადია, ეს არაა საკ-

მარისი ამ საქმის დიდი პალატისათვის გადასაცემად. ნებისმიერი სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია ამა თუ იმ სამართლებრივ პრობლემასთან, იმისათვის, რომ არსებობდეს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის საფუძველი, ეს პრობლემა უნდა გამომდინარეობდეს საქმის შინაარსიდან, იყოს იშვიათი და საჭიროებდეს სერიოზულ ანალიზს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. სწორედ ფაქტების დადგენა და ამ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასება ერთობლიობაში უნდა ქმნიდნენ ისეთ პრობლემას, რომელიც ხასიათდება იშვიათობით, სირთულით, რომლის პრაქტიკული გადაჭრის პრეცედენტი ან არ არსებობს, ან უკიდურესად მცირე რაოდენობით მოგვეპოვება.

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას)

საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა საქმეზე მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას (განჩინებას), სავალდებულოა სხვა საკასაციო პალატებისათვის (ამ პალატების სხვა შემადგენლობებისათვის). მათ უფლება არ აქვთ გადაუხვიონ ამ შეფასებებს, უფრო მეტიც, სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა იმ საკასაციო პალატისათვისაც, რომელმაც ეს შეფასება ჩამოაყალიბა **(თვითშეზღუდვის პრინციპი)**. ერთადერთი, რაც საკასაციო პალატას შეუძლია, როცა იგი არ ეთანხმება ადრე მიღებულ სამართლებრივ შეფასებას - ესაა მიმართოს დიდ პალატას და გადასცეს მას საქმე განსახილველად, რომლის მიერ ამ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება სავალდებულო იქნება ყველა საკასაციო პალატისათვის (შემადგენლობისათვის), მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამართლის ნორმების ერთგვაროვანი გაგების მიღწევა, ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა და სამართლის უნიფიკაციის ინტერესების დაცვა.

თავისთავად ცხადია, რომ დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის შესახებ **განჩინება მოტივირებული უნდა იყოს**

იმ სამართლებრივ შეფასებაზე მითითებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საკასაციო პალატის მიერ ადრე სხვა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებაში, აგრეთვე **საკასაციო პალატის მოსაზრებაზე იმის შესახებ, თუ რატომ არ ეთანხმება და არ იზიარებს ამ სამართლებრივ შეფასებას.**

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამ ართლებრივ შეფასებას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არ წარმოადგენს სხვა საკასაციო პალატებზე ზემდგომ საკასაციო სასამართლოს. იგი არის საკასაციო სასამართლო, რომელსაც სხვა საკასაციო პალატებმა შეიძლება გადასცენ საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. ამასთან ერთად, როგორც საკასაციო პალატა მისი სამართლებრივი შეხედულებები ჩამოყალიბებული კონკრეტულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში (განჩინებებში), სავალდებულოა სხვა საკასაციო პალატებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა საკასაციო პალატებმა უნდა იხელმძღვანელონ ამ სამართლებრივი შეფასებებით მათ მიერ სხვა საქმეების გადაწყვეტისას. მაგრამ, თუ საკასაციო პალატა არ იზიარებს (არ ეთანხმება) დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეხედულებას, მას შეუძლია თავისი **მოტივირებული** განჩინებით საქმე გადასცეს განსახილველად დიდ პალატას.

2. დიდი პალატა საქმეებს განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მას ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: ა) დიდ პალატას ვერ მიმართავენ უშუალოდ კასატორები; ბ) დიდი პალატა განიხილავს საქმეებს თუ მას მიმართავს უშუალოდ რომელიმე საკასაციო პალატა; გ) საკასაციო პალატის განჩინება საქმის დიდ პალატაზე გადაცემის შესახებ მოტივირებული უნდა იყოს: დ) დიდი პალატა საქმეებს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით; ე) საქმის განმხილველ შემადგენლობაში შედიან ამ საქმის თავდაპირელი განმხილველი მოსამართლეები; ვ) დიდ პალატაში საქმის განხილვას თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ან, მისი დავალებით - უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე (მე-10 მუხლი).

მუხლი 392. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების დაუშვებლობა

1. დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ შეიძლება საკასაციო წესით გაასაჩივროს იმ მხარემ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი.

2. საკასაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ, რის გამოც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება კასაციის წესით გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი წანამძღვრები.

1. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში.

2. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია ერთი და იგივე მხარის **„განმეორებით დაუსწრებლობის“**, ანუ განმეორებით გამოუცხადებლობის გამო.

– არ არის გამორიცხული, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც დასაშვებად ცნო პირველ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შემოტანილი საჩივარი და დანიშნა საქმის განხილვის დღე, გააუქმოს ეს გადაწყვეტილება, რადგან მხარის გამოუცხადებლობა მართლაც გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით (სსკ-ის 241-ე მუხლი), ხოლო საქმის არსებითად განხილვა სხვა დროისათვის დანიშნოს. თუ საქმის არსებითად განხილვისათვის სხვა დროისათვის დანიშნულ დღეს კვლავ არ გამოცხადდება მხარე, ვის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სააპელაციო სა-

სამართლოს შეუძლია გამოიტანოს ამ მხარის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს იქნება „განმეორებით დაუსწრებლობის შედეგად“ მის წინააღმდეგ გამოტანილი **მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება**, და ამიტომ იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საკასაციო წესით.

– საკასაციო წესით გასაჩივრება იმას ნიშნავს, რომ ასეთი საჩივარი უნდა ეფუძნებოდეს კანონის დარღვევას (სსკ-ის 393-ე მუხლი). ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონი დარღვეულად ითვლება, თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილია სსკ-ის 233-ე და 241-ე მუხლების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

საკასაციო საჩივარი დასაშვებია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე მიღებულ განჩინებაზეც.

მაგალითად, თუ სააპელაციო სასამართლომ მხარის გამოუცხადებლობის გამო მიიღო პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელზეც იმ მხარემ, რომლის წინააღმდეგაც იყო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეიტანა საჩივარი ამ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის არსებითად განხილვის შესახებ, მაგრამ სასამართლომ განჩინებით ეს საჩივარი არ დააკმაყოფილა. ასეთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით. (240-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები)

მუხლი 393. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

1. საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

2. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;

ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;

გ) არასწორად განმარტა კანონი.

3. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

1. საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, ე. ი. რამდენად სწორადაა გამოყენებული კანონი სააპელაციო სასამართლოს მიერ. ამით იგი განსხვავდება სააპელაციო სასამართლოსაგან, რომელსაც შეუძლია შეამოწმოს გადაწყვეტილება როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი დასაბუთებულობის თვალსაზრისით.

– საკასაციო სასამართლოს ასეთი ამოცანითა და უფლებამოსილებით არის განპირობებული ამ მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს **მხოლოდ კანონის დარღვევას**.

– თუ საკასაციო საჩივარი ემყარება არა კანონის დარღვევას, არამედ გადაწყვეტილების მხოლოდ ფაქტობრივ მხარეს, ანუ მისი ფაქტობრივი გარემოებებით დაუსაბუთებლობას, მაშინ ასეთი საჩივარი ვერ ჩაითვლება საკასაციო საჩივრად. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა დაავალოს კასატორს შეავსოს ხარვეზი. თუ ხარვეზი დანიშნულ ვადაში არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება და საკასაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის შესახებ (სსკ-ის 401-ე მუხლი).

2. საკასაციო საჩივარი **არ შეიძლება შემოიფარგლოს** აგრეთვე ზოგადი მითითებით იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების გამომტანმა სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამართლის ნორმა (კანონი).

საკასაციო საჩივარში **სავალდებულოა იმაზე მითითება, თუ კონკრეტულად რა სახით (ფორმით) გამოვლინდა კანონის ეს დარღვევა**. კანონის დარღვევის სახეები კი ჩამოყალიბებულია ამ მუხლის მე-2 ნაწილში, რაც იმას ნიშნავს, რომ კასატორმა თავის საკასაციო საჩივარში უნდა მიუთითოს კანონის დარღვევის ერთ-ერთ სახეზე მაინც, კერძოდ:

ა) თუ კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაშინ მან თავის საკასაციო საჩივარში უნდა მიუთითოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ასეთი დარღვევა (არ მიუთითა თავის გადაწყვეტილებაში კანონზე, რომელიც უნდა გამოეყენებინა და საქმე გადაწყვიტა თავისი მიხედულებით, მაშინ, როდესაც უნდა გამოეყენებინა მოქმედი სამართლის ესა თუ ის ნორმა, რომელიც ამ სადავო ურთიერთობას არეგულირებს და ა. შ.);[68]

ბ) თუ კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, მან თავის საკასაციო საჩივარში უნდა მიუთითოს, კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დარღვევა (გამოიყენა კანონი (სამართლის ნორმა), რომელიც გაუქმებულია, გამოიყენა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ნაცვლად შრომის სამართლის ნორმისა გამოიყენა სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა, რამაც გამოიწვია სადავო ურთიერთობის არასწორი იურიდიული კვალიფიკაცია, ნაცვლად სანივთო სამართლებრივი ნორმებისა გამოიყენა ვალდებულებითი სამართლებრივი ნორმა და ა. შ.);[69]

გ) თუ კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად გაიგო ამ კანონის აზრი და შინაარსი, ანუ არასწორად განმარტა იგი, მან უნდა მიუთითოს, კონკრეტულად რაში გამოიხატება ამ კანონის არასწორი გაგება.[70]

3. საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც საპროცესო ნორმის დარღვევა იწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სავალდებულო გაუქმებას (იხ. სსკ-ის 394-ე მუხლის კომენტარი), მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სხვა შემთხვევაში საპროცესო

[68] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №9, გვ.2296-2298

[69] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №7, გვ.1870-1871

[70] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001, №3, გვ. 283-287

ნორმის დარღვევამ არ შეიძლება გამოიწვიოს გადაწყვეტილების გაუქმება.

– საპროცესო ნორმების დარღვევის გამო გადაწყვეტილების გაუქმების კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების ფარგლებს გარდა, საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ, უნდა გაუქმდეს თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამა თუ იმ კონკრეტული საპროცესო სამართლებრივი ნორმის დარღვევის გამო, მინდობილი აქვს საკასაციო სასამართლოს. მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ არ გადაუგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და დამატებით შემოსული მასალების ასლები (სსკ-ის 373-ე მუხლი), სასამართლომ არ განიხილა კანონით დადგენილი წესით მოსამართლის მიმართ განცხადებული აცილება (სსკ-ის 34-ე მუხლი), სასამართლომ არ მისცა მხარეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო პაექრობაში (სსკ-ის 227-ე მუხლი), სასამართლომ არ მიიღო შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რადგან მხარეს უარი ჰქონდა ნათქვამი სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე (სსკ-ის 379-ე მუხლი), სასამართლომ არ მისცა უფლება მოსარჩელეს შეეცვალა სარჩელის საფუძველი, რომლის შესახებ მან დროულად განაცხადა (სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ა. შ.

საპროცესო დარღვევას, იმ თვალსაზრისით, გამოიწვია თუ არა მან, ან შეეძლო თუ არა მას გამოეწვია არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, აფასებს ზემდგომი სასამართლო, რომელიც იხილავს საჩივარს. იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება ეს შეფასება, ზემდგომი სასამართლო (აპელაცია, კასაცია) გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას (განჩინებას).[71]

მუხლი 394. საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლები

გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ:

[71] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №8, გვ. 2199-2201.

ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;

ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;

გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;

დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;

ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;

ე[1]) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;

ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში აღრე მონაწილეობდნენ;

თ) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

ეს მუხლი შეიცავს საპროცესო დარღვევების ჩამონათვალს, რომლებიც თვით კანონმდებლის მიერაა შეფასებული ისეთ დარღვევებად, რომლებიც აუცილებლად იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას (კანონით ცალსახად განსაზ-

ღვრული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები). აქ სასამართლოს მიხედულებისათვის ადგილი არ რჩება.

ა) სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა შეიძლება სხვადასხვანაირად გამოვლინდეს, მაგალითად, საქმე განიხილა მოსამართლემ, ან კოლეგიურ შემადგენლობაში არის მოსამართლე, რომელიც გათავისუფლებულია ან გადაყენებულია თანამდებობიდან, ან კიდევ, რომელსაც ჯერ არ მიუცია ფიცი;[72] საქმეს კოლეგიური შემადგენლობით იხილავს არა სამი, არამედ ორი მოსამართლე (სსკ-ის 25-ე მუხლი); საქმე განიხილა ან საქმის განხილვაში მონაწილეობს მოსამართლე, მიუხედავად იმისა, რომ მას განუცხადეს აცილება და ეს აცილება მიიღო სასამართლომ; სასამართლოს შემადგენლობაში არიან ერთმანეთის ახლო ნათესავები (სსკ-ის 30-ე მუხლი) და ა. შ.;

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ დავას, რომლის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესების თანახმად, განიხილავს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა და პირიქით.

შეიძლება თუ არა უკანონო შემადგენლობად გამოვაცხადოთ სასამართლო მხოლოდ იმიტომ, რომ მან ნებით თუ უნებლიეთ განიხილა არასაქვეუწყებო ან არაგანსჯადი საქმე?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების პოზიცია ამ საკითხზე ხშირად ასეთია: **საქმის განხილვა არაგანსჯადი სასამართლოს მიერ ნიშნავს ამ საქმის განხილვას სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია**.[73]

სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა - ესაა ამ

[72] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 55-ე მუხლები.

[73] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №6, გვ. 1388-1392
სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე, საქმე №ბს 615-201-09.VI.0 5
სუსგ ადმინისტრაციულ საქმეებზე, საქმე №ბს-664-251-29.VI.05

შემადგენლობის შინაგანი მახასიათებელი. იგი ასეთად დარჩება ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა განიხილავს საქმეებს განსჯადობისა და საქვეუწყებობის წესების დაცვით თუ არა. მხედველობიდან არ შეიძლება გაუშვათ ის, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტს უკავშირდება მისთვის დამახასიათებელი შედეგები. ამ შედეგების სხვა ინსტიტუტებიდან დასესხებას შეიძლება მოყვეს სერიოზული შეცდომები. მაგალითად, 21-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს, როცა მოპასუხე არაა წინააღმდეგი რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და ა.შ. მაგრამ სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა ვერასდროს ვერ გარდაიქმნება კანონიერ შემადგენლობად, თუ არ აღმოიფხვრა მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ამ შემადგენლობის არაკანონიერება.

ბ) სასამართლო ვერ განიხილავს საქმეს და ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას (ვერც ჩვეულებრივს და ვერც დაუსწრებელს), თუ წინასწარ არ შეატყობინა მხარეებს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით[74] (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

– სასამართლოს შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე **ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად**, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით, თუ ამ მხარეს დროულად ჩაბარდა უწყება სასამართლო სხდომის შესახებ, ე. ი. დროულად ჰქონდა მიღებული შეტყობინება საქმის განხილვის დღის თაობაზე და მიუხედავად ამისა, არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე (სსკ-ის 229-ე და 230-ე მუხლები).

– სსკ-ის 101-ე მუხლის თანახმად, ქმედუუნარო მოქალაქის, აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები (იხ. ამ მუხლის კომენტარი). ის, რაც ზემოთ ითქვა მხარეების მიმართ, მთლიანად ეხება აგრეთვე კანონიერ წარმომად-

[74] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №1, გვ. 118-120

გენლებს, რომელთა შეტყობინების გარეშე საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია.

– მხარეს შეუძლია აწარმოოს საქმე სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში (სსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

აქედან გამომდინარე, საქმის წარმოება სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით არ ათავისუფლებს სასამართლოს მოვალეობისაგან, გაუგზავნოს შეტყობინება უშუალოდ მხარეს (სსკ-ის 70-ე მუხლი);

გ) სამოქალაქო საქმეების საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივი ქვემდებარეობის ზოგად კრიტერიუმს შეიცავს სსკ-ის მე-11 მუხლი (იხ. ამ მუხლის კომენტარი). მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოების კომპეტენცია საგრძნობლად გაფართოვდა, არის ისეთი კატეგორია საქმეებისა, რომლებიც უწყებრივად არაა მათი ქვემდებარე და უნდა განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საარბიტრაჟო სასამართლომ ან ხელისუფლების რომელიმე ორგანომ.

– თუ საქმე არ ექვემდებარება უწყებრივად სასამართლოს, მას უფლება არა აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს იგი. ასეთი საქმე სასამართლომ არ უნდა მიიღოს წარმოებაში (სსკ-ის 186-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) ან, თუ შეცდომით მიიღო, ან საქმის განხილვის პროცესში გამოვლინდა, რომ ეს საქმე სასამართლომ არ უნდა განიხილოს, გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი);

დ) ამ ქვეპუნქტს მხედველობაში აქვს ისეთი ვითარება, როდესაც სასამართლოს არ მიუღია განჩინება საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად ეს საქმე განიხილა დახურულ სხდომაზე და დაინტერესებულ პირებს არ მიეცათ საშუალება დასწრებოდნენ საქმის განხილვას;

ე) საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სამართლებრივი დასაბუთებულობის თვალსაზრისით. შესამოწმებელი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მი-

თითებული უნდა იყოს კანონებზე, რომლებითაც იხელმძღვანელა სასამართლომ (სსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ცხადია, რომ მარტო კანონებზე მითითება არ არის საკმარისი. ამ გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ იხელმძღვანელა ამ კანონით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილებაში საერთოდ არაა მითითებული კანონზე, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ, ან კიდევ, მითითებულია, მაგრამ არაა დასაბუთებული (მოტივირებული), თუ რატომ გამოიყენა სახელდობრ ეს კანონი (სამართლის ნორმა), რის გამოც საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობის (საფუძვლიანობის) შემოწმება შეუძლებელია, ასეთი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს;

ე[1]) საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასების სისწორე, მისი შესაბამისობა სამართლის ნორმის შემადგენლობის აბსტრაქტულ ნიშნებთან, ნორმის აზრთან და შინაარსთან. მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება, თუ გადაწყვეტილებიდან არ ჩანს რომელი ფაქტები ჩათვალა სააპელაციო სასამართლომ დადგენილად და, მაშასადამე, რომელი ფაქტები შეაფასა მან იურიდიულად, რომელ ფაქტებს მიანიჭა ან არ მიანიჭა იურიდიული მნიშვნელობა ამ გადაწყვეტილებისათვის და ა.შ. ცხადია, რომ გადაწყვეტილების შემოწმება საერთოდ შეუძლებელია, თუ არ ჩანს რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება იგი.

მაგალითი:

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ არ არის დადგენილი არც ერთი ფაქტობრივი გარემოება, არ არის აღნიშნული სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი. კანონი მოითხოვს დადგენილი ფაქტების შეფასებას სამართლის ნორმებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოცემულ საქმეზე არ არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვე-

ტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ითვლება კანონის დარღვევით მიღებულ გადაწყვეტილებად.

აღნიშნულის გამო გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.[75]

ვ) სსკ-ის 249-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს შემადგენლობა (იხ. ამ მუხლის კომენტარი). ცხადია, რომ გადაწყვეტილებას ხელს უნდა აწერდეს ის მოსამართლე (მოსამართლეები), რომელიც აღნიშნულია ამ გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში. თუ ეს ასე არაა, ე. ი. გადაწყვეტილებას ხელს აწერს არა ის მოსამართლე, რომელიც აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, არამედ სხვა მოსამართლე ან სხვა მოსამართლეები, მაშინ გადაწყვეტილება უდავოდ უნდა გაუქმდეს.

– გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის მასალებიდან უტყუარად ჩანს, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობდა სხვა მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილებაში მითითებულია და ამ გადაწყვეტილებას ხელს აწერს სხვა მოსამართლე;

ზ) ამ ქვეპუნქტს მხედველობაში აქვს ერთი და იგივე მოსამართლის მონაწილეობა ერთსა და იმავე საქმეზე სასამართლოს **სხვადასხვა ინსტანციებში**, რაც დაუშვებელია სსკ-ის 29-ე მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი);

თ) სხდომის ოქმი არის უაღრესად მნიშვნელოვანი საპროცესო დოკუმენტი, რომელშიც აისახება პროცესის მსვლელობა (საპროცესო მოქმედებანი) მთლიანად, მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტისა და სპეციალისტის მოსაზრებები, მხარეთა წარმომადგენლების მოსაზრებები, მტკიცებულებათა შემოწმების, კერძოდ, ადგილზე დათვალიერების შედეგები და ა. შ.

ცხადია, რომ ოქმის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების შემოწმება, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის

[75] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №2, გვ.270-273

გარკვევა; **ოქმის შედგენა სავალდებულოა** (სსკ-ის 287-ე მუხლი).

მაგალითი:

საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი, ამასთან განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილ სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმს ხელს არ აწერდა სხდომის თავმჯდომარე, რის გამოც სხდომის ოქმი არ შეიძლებოდა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად ჩათვლილიყო. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული გარემოება გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქმეში არ არის იურიდიული ძალის მქონე სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, რაც გახდა მითითებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.[76]

მუხლი 395. საკასაციო საჩივრის შეტანა

საკასაციო საჩივარი შეიტანება წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

– ამ მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას საკითხი: უნდა ჩაითვალოს თუ არა საკასაციო საჩივარი შეტანილად იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის დანაწესის მიუხედავად იგი შეტანილია არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, არამედ უშუალოდ საკასაციო სასამართლოში.

ეს საკითხი **დადებითად უნდა გადაწყდეს** იგივე არგუმენტების საფუძველზე, რომლებიც მითითებულია სსკ-ის 367-ე მუხლის კომენტირებისას (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– ამრიგად, საკასაციო საჩივრის უშუალოდ საკასაციო სასამართლოში შეტანა უნდა ჩაითვალოს დასაშვებად და

[76] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №9, გვ. 2318-2320

საკასაციო სასამართლომ უნდა გამოითხოვოს საქმე შესაბამისი სასამართლოდან.

მუხლი 396. საკასაციო საჩივრის შინაარსი

1. საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი;

ბ) იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე;

დ) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;

ე) მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი);

ვ) მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება;

ზ) საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას;

თ) საკასაციო საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერას.

2. წარმომადგენლის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს უნდა დაერთოს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საკასაციო საჩივრის შეტანაზე, თუ ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი არ არის საქმეში.

3. თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

1. საკასაციო საჩივარი უნდა პასუხობდეს ამ მუხლის ყველა მოთხოვნას, რომელთა მიხედვით შედგენილი საჩივარი ქმნის საკასაციო საჩივრის შინაარსს.

ა) მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში (სსკ-ის 395-ე მუხლი), მისი ადრესატი არის საკასაციო სასამართლო და, ამიტომ, იგი უნდა შეიცავდეს არა იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც უშუალოდ შეიტანება საჩივარი, არამედ საკასაციო სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა განიხილოს საკასაციო საჩივარი;

ბ) საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს და სსკ-ის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის კომენტარში მითითებულ სხვა პირებს (იხ. ამ მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი – **საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები**).

ცხადია, რომ თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს ამ პირთაგან რომელიმეს, ეს საჩივარი უნდა შეიცავდეს ამ პირის დასახელებას (რეკვიზიტებს). საკასაციო საჩივარი შეიძლება შეიტანოს წარმომადგენელმაც (იხ. ამ მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარი). ასეთ შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს ამ წარმომადგენლის დასახელება და მისამართი, რაც არ გამორიცხავს პარალელურად მარწმუნებლის დასახელებისა და მისამართის მითითებას;

გ) საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს ზუსტ დასახელებას;

დ) საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას

საკასაციო საჩივრის ფარგლებში (სსკ-ის 404-ე მუხლი). ამიტომ, საკასაციო საჩივარში ნათლად და გარკვევით უნდა იყოს მითითებული გადაწყვეტილების რომელი ნაწილია გასაჩივრებული, თუ გადაწყვეტილება მთლიანად არ საჩივრდება.

– არ არის გამორიცხული, რომ კასატორმა მთლიანად გაასაჩივროს გადაწყვეტილება, როგორც იმ ნაწილში, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი, ისე იმ ნაწილშიც, რომელიც გამოტანილია მის საწინააღმდეგოდ. ასეთი საჩივრის ფარგლების განსაზღვრის დროს საკასაციო სასამართლომ უნდა ჩათვალოს, რომ გასაჩივრებულია მხოლოდ გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც კასატორის წინააღმდეგაა გამოტანილი: **კასატორს უფლება არა აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი**. ამიტომ, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს გადაწყვეტილების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც კასატორის საწინააღმდეგოდაა გამოტანილი.

ე) საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილების კანონიერებას, მის სამართლებრივ დასაბუთებას. ამიტომ, საკასაციო საჩივარს საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ კანონის დარღვევა, რასაც სხვაგვარად უწოდებენ **კასაციის მიზეზს** (იხ. სსკ-ის 393-ე მუხლის კომენტარი).

– საკასაციო საჩივარში მითითებული უნდა იყოს: კასატორი გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმებას, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლას და ახალი გადაწყვეტილების გამოტანას მოითხოვს. ეს არის ის, რასაც **კასაციის განაცხადი** ეწოდება.

- ხშირად საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებულია თხოვნა, რომ საკასაციო სასამართლომ თვითონ გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება ან დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად უკან.

საკასაციო სასამართლო კასატორის ასეთი თხოვნით **არაა შებოჭილი**. მას შეუძლია, თუ ამისათვის არსებობს შესაბამისი პირობები, დააკმაყოფილოს კასატორის თხოვნა, მაგალითად, გააუქმოს გადაწყვეტილება და თვითონ გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, როგორც ამას კასატორი მოითხოვდა, მაგრამ შეუძლია გააუქმოს გადაწყვეტილება და მიუხედავად კასატორის თხოვნისა, დააბრუნოს საქმე უკან ხელახ-

ლა განსახილველად, ან მიუხედავად იმისა, რომ კასატორი მოითხოვდა გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას, გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ნაცვლად, თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება – დააკმაყოფილოს სარჩელი, ან უარი უთხრას სარჩელზე, თუ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ვ) საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებულებას არ ამოწმებს და ამიტომ მან არ უნდა განიხილოს ფაქტები და არ უნდა მიიღოს ახალი მტკიცებულებები მათ დასადასტურებლად.

– ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საკასაციო სასამართლო ამოწმებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს, მათ შორის იღებს კასატორისაგან ამ მტკიცებულებებს, ესაა ისეთი შემთხვევა, როდესაც საკასაციო საჩივარი ემყარება **საპროცესო ნორმების დარღვევებს** (დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია). ეს წესი დამკვიდრებულია აგრეთვე სსკ-ის 407-ე მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი);

ზ) თუ საკასაციო საჩივარს ერთვის წერილობითი მასალები, აუცილებელია, რომ ეს საჩივარი შეიცავდეს ამ მასალების ნუსხას (ჩამონათვალს). საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს ამ ჩამონათვალის შესაბამისობა თანდართულ მასალებთან და თუ აღმოჩნდება შეუსაბამობა, მაგალითად, ჩამონათვალში მითითებულია ისეთ საბუთზე, რომელიც სინამდვილეში არ ერთვის საკასაციო საჩივარს, ეს არის ხარვეზი, რომელიც უნდა შეავსოს კასატორმა საკასაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, მაგრამ საკასაციო საჩივარში მითითებული დანართის წარმოუდგენლობამ ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადის გასვლის შემდეგ არ შეიძლება გამოიწვიოს საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, თუკი საკასაციო საჩივარი სხვა მხრივ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას (იხ. ამ მუხლის მე-3 ნაწილი).

თ) საკასაციო საჩივარი შეიძლება შეიტანოს, როგორც უშუალოდ მხარემ, ისე მისმა წარმომადგენელმა. საჩივარს ხელს უნდა აწერდეს ის პირი, ვისაც შეაქვს საჩივარი. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ხარვეზი, რომელიც აუცილებლად უნდა შეივსოს.

2. **წარმომადგენლობა თავისთავად არ ანიჭებს წარმომადგენელს უფლებას შეიტანოს საკასაციო საჩივარი**. ამისათვის საჭიროა, რომ ამის თაობაზე **სპეციალურად** იყოს მინდობილობაში მითითებული სსკ-ის 98-ე მუხლის შესაბამისად. თუ ასეთი მინდობილობა ადრე იყო გაცემული და იგი ერთვის საქმეს, მაშინ წარმომადგენელმა უნდა მიუთითოს ამის შესახებ მის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში. თუ ასეთი მინდობილობა ადრე არ იყო გაცემული, მაშინ მან უნდა დაურთოს საკასაციო საჩივარს ახლად გაცემული მინდობილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ხარვეზი, რომელიც აუცილებლად უნდა შეივსოს. ამასთან წარმომადგენლობა უნდა აკმაყოფილებდეს 440-ე მუხლის მოთხოვნებს.

3. საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ, თუ საკასაციო საჩივრის შინაარსი არ პასუხობს ამავე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, საკასაციო საჩივარი შეტანილია წარმომადგენლის მიერ, რომელსაც არ გააჩნია სათანადოდ შედგენილი მინდობილობა (უფლებამოსილება საკასაციო წესით გასაჩივრებაზე სპეციალური მითითებით) ან 440-ე მუხლში მითითებული ადვოკატთა ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება ეჭვს იწვევს (სსკ-ის 391-ე მუხლის მე-3 ნაწილი).[77]

– განჩინებაში უნდა მიეთითოს ხარვეზის შევსების ვადა. ვადა უნდა განისაზღვროს გონივრულად იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის ხარვეზია შესავსები. ეს ვადა მხარის შუამდგომლობით, ან თავისი ინიციატივით შეიძლება გააგრძელოს საკასაციო სასამართლომ. ვადა გაგრძელებულად ითვლება, თუ ამის შესახებ მიღებული იქნება განჩინება. გარდა ამისა ვადა გაგრძელებულად შეიძლება ჩაითვალოს მაშინაც, თუკი სასამართლოს არ მიუღია განჩინება ხარვეზის შესავსებად

[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 20 იანვრის განჩინება, №ას-769-1394-03

მიცემული ვადის გაგრძელების შესახებ, მაგრამ ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადის გასვლის შემდეგაც არ მიიღო შესაბამისი განჩინება. ასეთ შემთხვევაში ვადა შეიძლება გასულად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღებული იქნება განჩინება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ (401-ე მუხლი).

– საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ შეტანილი სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 397. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

1. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

2. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

1. ისეთ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გაგრძელება (აღდგენა) დაუშვებელია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის ზუსტად და შეუცდომლად განსაზღვრა, თუ საიდან იწყება ამ ვადის დენა.

ამ მუხლში არის დროის სამ მონაკვეთზე მითითება, საიდანაც იწყება გასაჩივრების ვადა, ესაა:

ა) დასაბუთებული (მოტივირებული) **გადაწყვეტილების გამოცხადება**, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობით, თუ ამ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდნენ მხარეები

და საკასაციო გასაჩივრების სხვა სუბიექტები (სსკ-ის 391-ე მუხლი), ან კიდევ, მათი წარმომადგენლები, რომლებსაც ჰქონდათ მიცემული უფლებამოსილება გაესაჩივრებინათ გადაწყვეტილება საკასაციო წესით;

ბ) დასაბუთებული (მოტივირებული) გადაწყვეტილების **ასლის ჩაბარება** მხარისათვის, რომელიც მის გამოცხადებას არ ესწრებოდა;

გ) დასაბუთებული (მოტივირებული) გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის **კანონით დადგენილი წესით გაგზავნის დრო**.

ამრიგად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თუ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი ესწრებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დასაბუთებული (მოტივირებული) გადაწყვეტილების გამოცხადებას (რაც უნდა დადგინდეს სასამართლოს სხდომის ოქმის მიხედვით), მაშინ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე გამოცხადებულია მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაშინ უნდა გაირკვეს, უშუალოდ როდის ჩაბარდა მხარეს გადაწყვეტილების ასლი (გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი) , რაც შეიძლება დადგინდეს საქმეში არსებული, ამის თაობაზე შედგენილი ხელწერილით ან სხვა ოფიციალური დოკუმენტით (შეტყობინება საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ და სხვ.). საქმეში აუცილებლად უნდა იყოს ცნობა, რომ ამ წესით გაგზავნილი გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა ადრესატს.

– საკასაციო საჩივრის ერთთვიანი ვადის გამოთვლისას მხედველობაშია მისაღები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლით დადგენილი წესი, კერძოდ, ის, რომ თვეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ კალენდარული თარიღის ან მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (იხ. ამ მუხლის კომენტარი);

– ასევე გასათვალისწინებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმად თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლე-

ბა ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ უნდა ჩაითვალოს მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საქმის მასალებით ვერ დგინდება დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნა გამოცხადებული, თუ მისი სარეზოლუციო ნაწილი, ასევე საქმის მასალებით არ დასტურდება მხარეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების ფაქტი.

იმ შემთხვევაში, თუ სხდომის ოქმიდან არ ჩანს, დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნა გამოცხადებული თუ მხოლოდ მისი სარეზოლუციო ნაწილი, ან სხვაგვარად ეჭვის ქვეშ დგება დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადების საკითხი, როდესაც სსკ-ის 249-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, ასევე ამავე კოდექსის 288-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად – სხდომის ოქმში განმარტებული არ არის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, მაშინ მხარეს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ყოველთვის უნდა ჰქონდეს ერთი თვის ვადაში მის მიერ ამ გადაწყვეტილების ასლის მიღების დღიდან. იმ შემთხვევაში კი, თუ საქმის მასალებით ვერ ხერხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის მხარეზე ჩაბარების ზუსტი თარიღის დადგენა, ზოგადსამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა ეჭვი უნდა გადაწყდეს საკასაციო (სააპელაციო) საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირის სასარგებლოდ, ანუ გასაჩივრების ერთთვიანი ვადა არ უნდა იქნეს მიჩნეული გასულად.[78]

[78] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №6, გვ. 1586-1588.

მუხლი 398. საქმის გადაგზავნა საკასაციო სასამართლოში

საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარს და მთლიანად საქმეს.

კანონის დანაწესის თანახმად (სსკ-ის 395-ე მუხლი) საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. ეს სასამართლო საჩივრის დასაშვებობის შეუმოწმებლად დაუყოვნებლივ აგზავნის მას საქმესთან ერთად საკასაციო სასამართლოში.

– იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიუხედავად კანონის დანაწესისა, საკასაციო საჩივარი შეტანილია უშუალოდ საკასაციო სასამართლოში (იხ. სსკ-ის 395-ე მუხლის კომენტარი), გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო საკასაციო სასამართლოს მოთხოვნისთანავე ვალდებულია გადააგზავნოს საქმე საკასაციო სასამართლოში.

თ ა ვ ი XLIX

საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში

მუხლი 399. ზოგადი დებულებანი

საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

– თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლო საქმის წარმოებისას ხელმძღვანელობს იმ წესებით, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა წარმოებისათვის, იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის.

ამრიგად, **საკასაციო სასამართლოში საქმეთა განხილვა წარმოებს** იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია:

ა) საკასაციო სასამართლოსათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოსათვის, როდესაც საკასაციო სასამართლოსათვის რაიმე განსხვავებული წესი არაა დადგენილი;

გ) პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვისათვის, როდესაც ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულებისათვის რაიმე განსხვავებული წესი საკასაციო და არც სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის არაა დადგენილი.

– იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობაში არის ხარვეზი, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს კანონის ან სამართლის ანალოგიით (სსკ-ის მე-7 მუხლი).

მუხლი 400. საკასაციო საჩივრის გადაგზავნა მეორე მხარისათვის, პასუხი საკასაციო საჩივარზე

განსახილველად მიღების შემდეგ საკასაციო საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები უნდა გადაეგზავნოს მეორე მხარეს, რომელსაც საკასაციო სასამართლო დაუნიშნავს ვადას საჩივარზე წერილობითი პასუხის გასაცემად.

– საკასაციო სასამართლომ უნდა მოამზადოს საქმე განსახილველად. ამისათვის საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი და მასზე დართული წერილობითი მასალების ასლები (თუ ასეთი მასალები ერთვის) თავისი განჩინებით „საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ“ უნდა გადაუგზავნოს მოწინააღმდეგე მხარეს. ამ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს, თუ რომელ საკითხებზე უნდა გასცეს პასუხი მოწინააღმდეგე მხარემ, კერძოდ:

ა) ცნობს თუ არა საკასაციო საჩივარს;

ბ) თუ არ ცნობს, რა კონკრეტულ მოსაზრებებს ემყარება;

გ) ხომ არ აპირებს შეგებებული საკასაციო საჩივრის შემოტანას;

დ) რა ვადაში უნდა იქნეს წარმოდგენილი წერილობითი პასუხი;

ე) გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ მას ერთმევა უფლება წარადგინოს წერილობითი შესაგებელი;

ვ) საქმის საკასაციო წესით განხილვის დღე, ხოლო თუ საკასაციო სასამართლოს საქმის ზეპირი განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ (სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მაშინ განჩინებაში უნდა მიეთითოს, რომ საქმე განხილული იქნება ზეპირი განხილვის გარეშე და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებათ მხარეებს, რაც გულისხმობს მიღებული გადაწყვეტილების ასლების მხარეთათვის გაგზავნას.

მუხლი 401. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

1. საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლის მოთხოვნებს, იგი წარმოებაში მიიღება ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებს მომხსენებელი მოსამართლე წყვეტს ზეპირი განხილვის გარეშე.

3. ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. კოლეგია უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე.

4. თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

1. დასაშვებობის ახალი წინაპირობების შემოღებასთან დაკავშირებით სსკ მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებასა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობას, აგრეთვე მათ საფუძვლებსა და მიზნებს.

პირველ ეტაპზე - (10 დღეში საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან). საკასაციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი მისაღებია თუ არა **წარმოებაში საკასაციო საჩივარი**. ამისათვის მას ევალება შეამოწმოს პასუხობს თუ არა იგი 396-ე მუხლის მოთხოვნებს. იმის მიხედვით თუ როგორი იქნება შემოწმების შედეგები საკასაციო სასამართლოს მოსამართლეს გამოაქვს შესაბამისად **„განჩინება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ“** 391-ე მუხლის

საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად, რომელშიც სხვა რეკვიზიტებთან ერთად უნდა მიეთითოს მიზანზე შემოწმდეს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა, ან **„განჩინება საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“**.[79]

მეორე ეტაპზე - საკასაციო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს უფრო რთული საკითხი: **დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი** 391-ე მუხლის საფუძველზე. დასაშვებობას ამოწმებს საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება შემოწმების შედეგები საკასაციო სასამართლო გამოიტანს შესაბამისად **„განჩინებას საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ“** (403-ე მუხლი). ან **„განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო“** (403-ე მუხლი)

2. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების, საკასაციო საჩივრის ხარვეზის ან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხებს წყვეტს ერთპიროვნულად მომხსენებელი მოსამართლე **ზეპირი მოსმენის გარეშე**, რაც არ ართმევს მას უფლებას გამოუძახოს და გაესაუბროს მხარეებს იმ საკითხებზე, რომლებიც საჩივრის წარმოებაში მიღებას შეეხება.

3. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს, 391-ე მუხლის საფუძველზე მას ამოწმებს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, რომელსაც შეუძლია დანიშნოს ამისათვის ზეპირი მოსმენა ან საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

4. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში კასატორს უბრუნდება ბაჟის 70 პროცენტი.

სსკ არ შეიცავს მითითებას იმის თაობაზე უბრუნდება თუ არა ბაჟი კასატორს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი საკასაციო საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

---

[79] მართალია წარმოებაში მიღების საკითხს წყვეტს ერთპიროვნულად საკასაციო სასამართლოს მოსამართლე, მაგრამ შესაბამისი განჩინება მას გამოაქვს საკასაციო პალატის სახელით.

სამართლიანი იქნება თუ მას დაუბრუნდება მის მიერ შემოტანილი სახელმწიფო ბაჟი მთლიანად. სასამართლო პრაქტიკა სწორი მიმართულებით მიდის, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი უკან ბრუნდება.

მუხლი 402. საკასაციო საჩივრის მიღების შედეგი

1. თუ არსებობს საკასაციო საჩივრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია საკასაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია.

2. თუ გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

3. განჩინება ამის თაობაზე შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიებით.

1. საკასაციო საჩივრის, აგრეთვე შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანა შეაჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას იმ ნაწილში, რომელშიც გასაჩივრებულია. საკასაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრის (შეგებებული საკასაციო საჩივრის) განსახილველად მიღების შესახებ ავტომატურად შეაჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას **გასაჩივრებულ ნაწილში**. განჩინებაში მიზანშეწონილია აღინიშნოს ამის შესახებ, მაგრამ რომც არ აღინიშნოს, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა მაინც შეჩერდება კანონის ძალით.

2. ეს კოდექსი ითვალისწინებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობას (იხ. სსკ-ის 268-ე მუხლის კომენტარი). თუ საკასაციო საჩივარი შემოტანილია გადაწყვეტილებაზე, რომელიც გადაცემულია დაუყოვნებ-

ლივ აღსრულებისათვის, მაშინ საკასაციო სასამართლომ თავის განჩინებაში საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, უნდა მიუთითოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების **დაუყოვნებლივ აღსრულების შეჩერების შესახებ**, თუ ამას კასატორი მოითხოვს.

3. ამასთან ერთად, დაუყოვნებლივ აღსრულებაზე გადაცემული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებისა და აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს სპეციალური განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს აღსრულების შეჩერებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის იმ გარანტიებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 57-ე და 271-ე მუხლებით (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

– შეგებებული საკასაციო საჩივრის მიღება იწვევს იგივე შედეგებს, რასაც დამოუკიდებელი საკასაციო საჩივრის მიღება, ოღონდ გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილის მიმართ, რომელიც ამ საჩივრითაა გასაჩივრებული.

მუხლი 403. საქმის განხილვის დანიშვნა

1. საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

2. სასამართლომ უნდა აცნობოს მხარეებს დიდ პალატაში საქმის გადაცემისა და მისი განხილვის თარიღის შესახებ.

1. საკასაციო სასამართლოს **მიხედულებაზეა** დამოკიდებული განიხილოს საქმე სასამართლო სხდომაზე (ზეპირი განხილვის ფორმით) მხარეთა მონაწილეობით, თუ ზეპირი განხილვის გარეშე, ანუ მხარეთა მონაწილეობის გარეშე.

– თუ საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლის საქმის ზეპირ განხილვას, მაშინ მან თავის განჩინებაში – „საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მომ-

ზადების შესახებ“ უნდა მიუთითოს, თუ რომელ დღეს, რომელ საათზე და სასამართლოს რომელ სხდომის დარბაზში მოხდება საქმის განხილვა.

– თუ საკასაციო სასამართლოს არ მიაჩნია მიზანშეწონილად საქმის ზეპირი განხილვა, მაშინ მან თავის განჩინებაში „საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მომზადების შესახებ“ უნდა მიუთითოს, რომ საკასაციო საჩივარი განხილული იქნება ზეპირი განხილვის გარეშე, მხარეებს ეცნობებათ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და გაეგზავნებათ მისი ასლი (სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

– ზემოხსენებულ ორივე შემთხვევაში მხარეებს შეტყობინება უნდა გაეგზავნოთ განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

2. რაც შეეხება დიდ პალატაში საქმის გადაცემისა და მისი განხილვის თარიღის მხარეებისათვის შეტყობინების საკითხს, იგი უნდა მოწესრიგდეს ამ მუხლის პირველი ნაწილის კომენტარის გათვალისწინებით. კერძოდ, მხარეებს ეცნობოთ ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 404. გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

1. საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

2. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

3. საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართ-

ლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია. პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში.

1. საკასაციო საჩივრის ფარგლებში უნდა ვიგულისხმოთ კასატორის საკასაციო მოთხოვნა (გადაწყვეტილების გაუქმება მთლიანად ან ნაწილობრივ). **საკასაციო მოთხოვნასთან მიმართებაში** საკასაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არა მარტო ის დარღვევები, რომლებზეც მიუთითებს კასატორი თავის საჩივარში, არამედ საერთოდ გადაწყვეტილების კანონიერება. საკასაციო სასამართლო შებოჭილია კასატორის მოთხოვნით და იგი ვერ გაცდება ამ მოთხოვნის ფარგლებს: ეს ფარგლები არ მოიცავს კასატორის თხოვნას საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების თუ ახალი გადაწყვეტილების გამოტანას თვითონ საკასაციო სასამართლოს მიერ (იხ. 396-ე მუხლის „ე“ პუნქტის კომენტარი). იგი არაა შებოჭილი აგრეთვე კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ამოწმებს გადაწყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. ამიტომ, თუ საკასაციო სასამართლო ასეთი შემოწმების შედეგად მივა იმ დასკვნამდე, რომ კასატორის მოთხოვნა გადაწყვეტილების მთლიანად თუ ნაწილობრივ გაუქმების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საკასაციო საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

– განსხვავებული მდგომარეობაა საპროცესო ნორმების დარღვევის შემოწმების მიმართ.

საპროცესო ნორმების დარღვევებს სასამართლო შეამოწმებს, თუ ამ დარღვევებზე მითითებულია საკასაციო საჩივარში. თავისი ინიციატივით საკასაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც საქმეშია ან საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მხარემ, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ საპროცესო ნორმის დარღვევა (სსკ-ის 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი), აგრეთვე საპროცესო დარღვევები, რომლებზეც მითითებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილში.

2. სასამართლოს ნებისმიერი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან **დამოუკიდებლად (ცალკე)** – კერძო საჩივრით, ხოლო ზოგიერთი – მხოლოდ გადაწყვეტილებასთან ერთად.

– სასამართლოს იმ განჩინებების უსწორობაზე და დაუსაბუთებლობაზე, რომლებიც შეიძლებოდა ადრე გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით არ გასაჩივრებულა, აგრეთვე იმ განჩინებებზე, რომლებზეც კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია – შეიძლება მიეთითოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ საკასაციო საჩივარში.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ განჩინების მიმართ არ უნდა დაიწეროს **კერძო საჩივრის მსგავსი** ცალკე საჩივარი. ამ განჩინებათა უსწორობაზე და დაუსაბუთებლობაზე შეიძლება მითითებული იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილ საკასაციო საჩივარში.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრე გამოტანილი განჩინებების გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრების **მიზანი** შეიძლება იყოს გასაჩივრებული **გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობის**, მისი კანონის დარღვევით მიღების დადასტურება.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ საკასაციო საჩივარში ჩამო-

ყალიბებულ მოსაზრებებს ამ სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებების უსწორობისა და მათი კანონის დარღვევით მიღების შესახებ, საკასაციო სასამართლოს არ გამოაქვს ცალკე განჩინება. თავისი მიხედულება (პოზიცია) ამ განჩინებების შესახებ საკასაციო სასამართლოს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკასაციო საჩივრის მიმართ გამოტანილ თავის გადაწყვეტილებაში (განჩინებაში).

მაგალითი:

სააპელაციო სასამართლომ საქმის წარმოების განახლებას საფუძვლად დაუდო ისეთი გარემოებები, რომლებიც არ წარმოადგენდა საქმის წარმოების განახლების კანონიერ საფუძველს. ვინაიდან სსკ-ის 431-ე მუხლის თანახმად, განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ საჩივრდება, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა განმეორებით და მიიღო ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების საპირისპირო შედეგი.

საკასაციო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა და გააუქმა სააპელაციო სასამართლოს როგორც შემაჯამებელი გადაწყვეტილება, ისე განჩინებაც საქმის წარმოების განახლების შესახებ, ვინაიდან კანონის დარღვევით იყო მიღებული.[80]

3. საკასაციო სასამართლოს თავისი ინიციატივით (მხარეთა თხოვნის გარეშე) არა მარტო შეუძლია, არამედ ვალდებულია შეამოწმოს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია.

– უწყებრივი ქვემდებარეობის შემოწმების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს სსკ-ის მე-11 მუხლით (იხ. ამ მუხლის კომენტარი), ხოლო საერთაშორისო კომპეტენციის შემოწმების მიზნით იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" (ამ კანონის მე-8-20 მუხლები).[81] რაც შეეხება განსჯადობას,

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 19 ოქტომბრის განჩინება №3კ/393-01

[81] თ.ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ. 2004, გვ.125

ამის შემოწმება საკასაციო სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეუძლია. უნდა არსებობდეს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნა ამის შესახებ. ამასთან ერთად, მოპასუხეს შეუძლია ასეთი მოთხოვნა წამოაყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსჯადობის დარღვევის შესახებ მან მიმართა სააპელაციო სასამართლოს ან, თუ დაადასტურებს, რომ საპატიო მიზეზით ვერ დააყენა ეს საკითხი სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

მუხლი 405. შეგებებული საკასაციო საჩივარი

მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე.

– ამ მუხლით მოწესრიგებულია შეგებებულ საკასაციო საჩივართან დაკავშირებული მხოლოდ ორი საკითხი:

ა) შეგებებული საკასაციო საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს 10 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მოწინააღმდეგე მხარეს გადაეცა საკასაციო საჩივარი. იმის მიხედვით, თუ რა წესით მოხდა საკასაციო საჩივრის გადაგზავნა მოწინააღმდეგე მხარისათვის, ამ საჩივრის მისთვის გადაცემის მომენტიც სხვადასხვანაირად განისაზღვრება (იხ. 70-ე-78-ე მუხლების კომენტარის დანართი) ;

ბ) შეგებებული საკასაციო საჩივარი შეუძლია წარადგინოს კასატორის მოწინააღმდეგე მხარემ (საკასაციო მოპასუხემ) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას უარი აქვს ნათქვამი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

შეგებებულ საკასაციო საჩივართან დაკავშირებულ სხვა პრაქტიკულ საკითხებზე ამ მუხლში არაა მითითებული, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ შეგებებული საკასაციო საჩივარი ზოგიერთი გამონაკლისის გარდა უნდა პასუხობდეს ყველა იმ მოთხოვნას, რასაც საერთოდ საკასაციო საჩივარი.

ეს გამონაკლისები შემდეგში მდგომარეობს.

ა) შეგებებულ საკასაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 50000 ლარს. იგი შეიძლება ამ თანხაზე ნაკლები იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მასზე არ ვრცელდება აგრეთვე 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის პირობები.

ბ) შეგებებული საკასაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული დამოუკიდებელ (ძირითად) საკასაციო საჩივართან; თუ კასატორი უარს იტყვის საკასაციო საჩივარზე ან საკასაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს მას, მაშინ შეგებებული საკასაციო საჩივარიც განუხილველად უნდა დარჩეს.

გ) თუ შეგებებული საკასაციო საჩივარი წარდგენილია საკასაციო გასაჩივრების ვადაში და მისი ღირებულება აღემატება 50000 ლარს, მაშინ იგი განხილულ უნდა იქნეს, თუ მისი შემტანი პირი უარს არ ამბობს თავის შეგებებულ საჩივარზე.

შეგებებული საკასაციო საჩივრის შემტანი პირი ითხოვს არამარტო დამოუკიდებელი საკასაციო საჩივრის უარყოფას, არამედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მის სასარგებლოდ შეცვლასაც და თუ ეს ასეც მოხდა, ეს არ იქნება საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპის დარღვევა.[82]

მუხლი 406. დავის საგნის შეცვლა და გადიდება

დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია.

– საკასაციო სასამართლო მოწოდებულია შეამოწმოს გადაწყვეტილების მხოლოდ იურიდიული მხარე, კანონის დარ-

[82] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №2, გვ. 285-287; იხ.**ვ.ხრუსტალი** - შეგებებული საკასაციო საჩივარი. ჟურნ. „სამართალი“ თბ. 2001, №8, გვ.15 **მისივე ნაშრომი** - სამოსამართლო სამართლის გავლენა სამართლის განვითარებაზე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე, ჟურნ.„ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, №4, გვ. 49-55

ღვევით ხომ არაა გამოტანილი გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება დავის საგნის შეცვლას ან მოსარჩელის მოთხოვნის გადიდებას, შეგებებული სარჩელის აღძვრას ან კიდევ იმის განსაზღვრას, თუ რა თანხები იქნა მხარის მიერ დახარჯული ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების მიზნით, როგორც წესი ყოველთვისაა დაკავშირებული ახალი ფაქტების დადგენასთან და, აქედან გამომდინარე, ახალი მტკიცებულებების გამოკვლევასთან, შემოწმებასა და შეფასებასთან, რაც სრულიად შეუთავსებელია იმ ფუნქციასთან და იმ ამოცანებთან, რომლებიც საკასაციო სასამართლოს წინაშე დგას.

მაგალითი:

ერთ-ერთ საქმეზე კასატორმა თავისი საკასაციო საჩივრით მოითხოვა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლება.

საკასაციო პალატამ ბინიდან გამოსახლების მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ მიუხედავად კასატორის მოთხოვნისა, საკასაციო სასამართლო სადავო ბინიდან მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების საკითხს ვერ გადაწყვეტს, ვინაიდან ბინიდან გამოსახლების თაობაზე მოსარჩელეს დადგენილი წესით არ მიუმართავს სასამართლოსათვის და აღნიშნულზე არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნა.

ვინაიდან სადავო ბინიდან გამოსახლების საკითხი მოსარჩელეს ქვემდგომ სასამართლო ინსტანციაში არ დაუყენებია და ამ საკითხთან დაკავშირებით ქვემდგომ სასამართლოს მსჯელობა არ ჰქონია, ცხადია, ამ საკითხზე საკასაციო სასამართლოც ვერ იმსჯელებდა, რადგან დავის საგნის გადიდება საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია.[83]

[83] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003 №8, გვ.1973-1982

მუხლი 407. შემოწმების ფაქტობრივი საფუძველი

1. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან სხდომის ოქმში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში მიღებულ იქნეს ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

2. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი კრძალავს საკასაციო სასამართლოში **ახალ ფაქტებზე მითითებასა და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენას.** ასეთი მდგომარეობა მკვეთრად განასხვავებს საკასაციო სასამართლოს სააპელაციო სასამართლოსაგან, რომელსაც შეუძლია ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების მიღება და განხილვა, თუ ეს ხელს არ შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად გადაწყვეტას (იხ. სსკ-ის 380-ე მუხლის კომენტარი).

– ამ აკრძალვას ეფუძნება ამ მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ საკასაციო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე და მტკიცებულებებზე, რომლებიც წამოყენებული იყო მხარეების მიერ სააპელაციო სასამართლოში და აისახა შესაბამისად სხდომის ოქმში ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში).

გამონაკლისს ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ის ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც საპროცესო ნორმების დარღვევას ადასტურებენ, თუ საკასაციო საჩივარი ასეთ დარღვევას ემყარება (სსკ-ის 404-ე მუხლი).

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, თითქოს სააპელა-

ციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო იყოს საკასაციო სასამართლოსათვის, მიუხედავად იმისა, ემყარება თუ არა ეს დამტკიცებულად ცნობილი გარემოებები საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ყოველთვის უნდა შეამოწმოს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული **მოთხოვნა (პრეტენზია)** იმის შესახებ, რომ დარღვეულია სსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი (იხ. ამ მუხლის კომენტარი) და გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, თუ რომელ მტკიცებულებებს ემყარება სასამართლოს დასკვნები ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ, ან რომ საქმეში საერთოდ არ არის ასეთი მტკიცებულებები და გაუგებარია, თუ რის საფუძველზე ჩათვალა მან ეს გარემოებები დადასტურებულად.

– საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეამოწმებს ყოველივე ამას, თუ თვითონ კასატორის მიერ არაა წამოყენებული ასეთი მოთხოვნა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კასატორი თვითონაც აღიარებს სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებს, ცნობს მათ დადგენილად და დადასტურებულად.

– **დამატებითი და დასაბუთებული პრეტენზია**, რის შესახებაც მითითებულია ამ მუხლის მე-2 ნაწილში, არ შეიძლება გავიგოთ როგორც კასატორის მიერ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ რაიმე ახალი **მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის წამოყენება**. საკასაციო სასამართლოში არ შეიძლება არც სასარჩელო მოთხოვნის გადიდება, არც სარჩელის საგნის შეცვლა და არც შეგებებული სარჩელის აღძვრა (სსკ-ის 406-ე მუხლი). დამატებით საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მხოლოდ იმ საპროცესო ნორმების დარღვევაზე მითითება, რომლებსაც კასატორის აზრით, ადგილი ჰქონდა საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს და რომელთა დასადასტურებლად შეიძლება მითითებულ იქნეს საქმეში არსებულ მასალებზე, ან ამ დარღვევებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები.

მაგალითი:

შპს „მუსფონდმა“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, სხვაგვარად შეაფასა გარემოებანი, რომლებიც დადგენილი იყო სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლის განხილვაშიც იგივე მხარეები მონაწილეობდნენ.

მოცემულ შემთხვევაში მხარემ მიუთითა და, შესაბამისად, წარადგინა ამავე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სადაც იგივე მხარეები მონაწილეობდნენ და დავის საგანიც დაკავშირებული იყო წინამდებარე დავასთან. ასეთ შემთხვევაში კი სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას (დადგენილ ფაქტებს) პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება ამ (ახალ) დავაში, რაზედაც სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საერთოდ არ მიუთითა და არ განიხილა ისინი საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებთან ერთად. მოცემულ შემთხვევაში კასატორს გააჩნდა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ და იგი საკასაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია.[84]

– დამატებით და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად ასევე მიიჩნევა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა, როდესაც სასამართლომ მხარის შუამდგომლობით არ გამოიძახა და არ დაკითხა მოწმე, ასევე, არ მიიღო, არ გამოითხოვა ან საქმიდან ამოიღო ისეთი მტკიცებულებები, რომლებსაც განსახილველი საქმის სწორად გადაწყვეტისათვის **არსებითი მნიშვნელობა** ჰქონდა. კასატორი თუ ასეთ დარღვევაზე მიუთითებს, მან ეს მტკიცებულება საკასაციო საჩივარს უნდა დაურთოს, რათა საკასაციო სასამართლომ შეამოწმოს საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობა.

[84] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №10, გვ. 1714-1718.

მაგალითი:

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა სამემკვიდრეო საქმის გამოთხოვის შესახებ. საკასაციო სასამართლომ თავის განჩინებაში მიუთითა: სააპელაციო პალატამ ისე მიიჩნია საქმისათვის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია სრულყოფილად, რომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მოთხოვნები. ასევე, არ შეასრულა საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მოთხოვნები და რეაგირება არ მოახდინა მხარის განცხადებაზე ანდერძის სიყალბის შესახებ. სასამართლომ მხოლოდ დაურთო შუამდგომლობა საქმეს და არ განიხილა. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზია იყო საფუძვლიანი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის.[85]

მუხლი 408. საქმის ზეპირი განხილვა

1. საქმის ზეპირი განხილვა იწყება საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით.

2. მომხსენებელი სასამართლოს მოახსენებს საქმის ვითარებას, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებს. ამის შემდეგ მხარეებს ეძლევათ სიტყვა განცხადებების გაკეთებისა და დასაბუთების მიზნით.

3. საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.

1. საკასაციო სასამართლოში, ისე როგორც სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოებში, საქმის ზეპირი განხილვა იწყება ერთ-ერთი მოსამართლის მოხსენებით.

[85] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №5, გვ.1090-1094

საქმის განხილვის დაწყების ასეთ წესს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ კასატორს და მის მოწინააღმდეგე მხარეს ეძლევათ შესაძლებლობა გაარკვიონ, თუ რამდენად სწორად გაიგო მომხსენებელმა მოსამართლემ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, საფუძვლები, რასაც ეს მოთხოვნა ემყარება და საერთოდ საკასაციო საჩივრის შინაარსი, აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელი და მისი შინაარსი. თუ რაიმე არ იყო სწორად გაგებული და გადმოცემული, მხარეებს უნდა მიეცეთ საშუალება დააზუსტონ თავიანთი საკასაციო საჩივრისა და შესაგებლის ნამდვილი არსი და შინაარსი.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ საკითხების წრეს, რომლებსაც თანმიმდევრულად უნდა შეეხოს მოსამართლე, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა გადმოსცეს:

ა) „საქმის ვითარება“, ანუ ვინ აღძრა სარჩელი და ვის წინააღმდეგ, როგორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და რომელმა მხარემ გაასაჩივრა იგი სააპელაციო სასამართლოში;

ბ) როგორი გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლომ და რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება მისი გადაწყვეტილება. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსკ-ის 407-ე მუხლი), განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის ზუსტად და სრულად გადმოცემა, **თუ რომელი ფაქტები ცნო სააპელაციო სასამართლომ** თავისი გადაწყვეტილებით **დადგენილად და რომელი კანონის (მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის)** საფუძველზე **შეაფასა იურიდიულად ეს გარემოებები**. ეს არის საკასაციო სასამართლოს მოსამართლის მოხსენების ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი;

გ) რა არის საკასაციო საჩივრის შინაარსი, გადაწყვეტილების რომელ ნაწილს ასაჩივრებს კასატორი, როგორია მისი მოთხოვნა, რომელი კანონია მისი აზრით დარღვეული და კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს დარღვევა (სსკ-ის 393-

ე და 394-ე მუხლები). აქვე საკასაციო სასამართლოს მოსამართლე უნდა შეეხოს საკასაციო საჩივრის წინააღმდეგ, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წამოყენებულ წერილობითი შესაგებლის შინაარსს.

– მომხსენებელი მოსამართლის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძლევათ მხარეებს, კერძოდ, კასატორს და მის წარმომადგენელს, ხოლო შემდეგ – მოწინააღმდეგე მხარესა და მის წარმომადგენელს. მათ შეუძლიათ დააკონკრეტონ და დააზუსტონ თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლის შინაარსი, თუ მომხსენებელმა მოსამართლემ რაიმე შეცდომა ან უზუსტობა დაუშვა, მაგრამ მათ არ უნდა გაიმეორონ ის, რაც უკვე თქვა მომხსენებელმა მოსამართლემ.

3. ამ მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი განპირობებულია საკასაციო სასამართლოს ფუნქციითა და უფლებამოსილებით შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ იურიდიული მხარე – ხომ არაა გადაწყვეტილება გამოტანილი კანონის დარღვევით.

– ზოგჯერ ეჭვს არ იწვევს, რომ გადაწყვეტილება მართლაც კანონის დარღვევითაა გამოტანილი, ხოლო ზოგჯერ ასევე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია კანონის მოთხოვნათა ზუსტი შესაბამისობით. შეიძლება ასეთ ვითარებაში მართლაც არ იყოს საჭირო მხარეთა გამოძახება და მათი მონაწილეობით საქმის ზეპირი განხილვა. მაგრამ, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული მხარის, ანუ სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმება დაკავშირებულია საქმის მასალების, ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზთან, ან კასატორის მიერ წარმოდგენილი დამატებითი წერილობითი მასალები მიუთითებენ ისეთ საპროცესო დარღვევებზე, რომლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ გასაჩივრებული გადაწყვეტილების, როგორც ფაქტობრივ, ისე მის იურიდიულ დასაბუთებულობაზე და სხვა, აგრეთვე, როდესაც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და გამოტანილ იქნეს ახალი გადაწყვეტილება მისი ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების გარეშე, ასეთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო

და მიზანშეწონილი იყოს მხარეთა მონაწილეობით საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნა.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების გამოტანას ზეპირი განხილვის გარეშე, მაგრამ ზეპირი განხილვის აუცილებლობა შეიძლება წამოიჭრას საქმის განხილვის პროცესში. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია ახალი განჩინებით დაადგინოს საქმის ზეპირი განხილვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს საკასაციო საჩივრის ზეპირი განხილვის გარეშე განხილვას, სასამართლო ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მხარეებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაუქმების შესახებ, იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლისა და 42-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ თავისი 2003 წლის 3 ივლისის №2/6/205,232 გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი და ჩათვალა, რომ საქართველოს სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც უშვებს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანას საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლისა და 42-ე მუხლის პირველ და მესამე ნაწილებს.

არ იქნება ინტერესმოკლებული აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში მოყვანილია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც განმარტავს ევროკონვენციის მე-6 მუხლის დებულებას საქმის საჯაროდ განხილვასთან მიმართებაში. კერძოდ, „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე "Fredin შვედეთის წინააღმდეგ" დაადგინა, რომ უფლება საჯარო სასამართლო განხილვაზე მოიცავს უფლებას ზეპირ განხილვაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში და ეს სავალდებულო მოთხოვნა არ ვრცელდება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებზე".[86]

[86] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2003 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება საქმე №2/6/205, 232

თ ა ვ ი L

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 409. გადაწყვეტილების შეცვლის ფარგლები

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

– საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს გადაწყვეტილება მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ე. ი. მხოლოდ იმ ნაწილში, რომელშიც გასაჩივრებულია. ზუსტად ასევე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც კასატორი მოითხოვს.

საუარესოდ შებრუნება დაუშვებელია (იხ. სსკ-ის 384-ე მუხლის კომენტარი). ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლომ ან უნდა დააკმაყოფილოს საჩივარი მასში ჩამოყალიბებული მოთხოვნის ფარგლებში, ან უარი უნდა უთხრას კასატორს მის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლომ ან უნდა გააუქმოს (შეცვალოს) გადაწყვეტილება ისე, როგორც ამას კასატორი მოითხოვს, ან უარი უნდა თქვას ასეთ გაუქმებაზე (შეცვლაზე). გადაწყვეტილების სამართლებრივი შემოწმებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იგი არასწორი და კანონშეუსაბამოა იმ ნაწილშიც, რომელიც კასატორის სასარგებლოდაა გამოტანილი. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ვერ გააუქმებს და ვერ შეცვლის გადაწყვეტილებას ამ ნაწილში, რადგან მისი გაუქმება არ უთხოვია შეგებებული ან დამოუკიდებელი საკასაციო საჩივრით მოწინააღმდეგე, ანუ იურიდიულად დაინტერესებულ მხარეს.

მუხლი 410. უარი საკასაციო საჩივარზე

საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ:

ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

– საკასაციო სასამართლო უწინარეს ყოვლისა, ვალდებულია შეამოწმოს, აქვს თუ არა ადგილი კანონის იმ დარღვევას, რომელიც მითითებულია საკასაციო საჩივარში (სსკ-ის 393-ე მუხლი). მაგრამ საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი მხოლოდ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის შემოწმებით. საკასაციო სასამართლოს შეუძლია გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და შეამოწმოს კანონის ისეთი დარღვევებიც, რომლებზეც არაა მითითებული ამ საჩივარში:

საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებში, მაგრამ ამ მოთხოვნის ფარგლებში მას შეუძლია და ვალდებულიცაა შეამოწმოს არა მარტო ამ საჩივარში მითითებული დარღვევები, არამედ კანონის სხვა დარღვევებიც.

– აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ, თუ იგი უარს ეუბნება კასატორს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, უნდა მიუთითოს თავის განჩინებაში არა მარტო იმაზე, რომ კასატორის მიერ მითითებულ კანონის დარღვევას არ აქვს ადგილი და დაასაბუთოს ეს, არამედ იმაზეც, რომ კანონის არც სხვა დარღვევას აქვს ადგილი.

მაგალითი:

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ თავის განჩინებაში აღნიშნა: დიდი პალატის აზრით საკასაციო საჩივარი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით, არ უნდა დაკმაყოფილდეს, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლისა და უცვლელად დარჩეს თბილი-

სის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის განჩინება, რადგან საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია და სააპელაციო პალატამ კანონის მართებული გამოყენებითა და განმარტებით, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სწორი შეფასებით გამოიტანა კანონიერი განჩინება.[87]

მუხლი 411. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

– ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. **ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა** გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე.

ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე. ი. **ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.**

მაგალითი:

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ გააუქმა სააპელაციო სასა-

[87] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებანი, 2001-2002, გვ. 77-82.

მართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ. განჩინებაში მითითებულია: პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე და პალატა უფლებამოსილია, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. რადგან მოსარჩელე ითხოვს მრავალბინიან სახლში ბინის მესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ფართის გაყოფას, რასაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს, ამიტომ მის სარჩელს უარი უნდა ეთქვას.[88]

მუხლი 412. სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

1. საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

[88] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №6 გვ.1476-1479

1. საკასაციო სასამართლო არაა ფაქტების დამდგენი სასამართლო. იგი მოწოდებულია შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით, ე.ი. რამდენად სწორადაა შეფასებული იურიდიულად სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება შეუძლებელია იმის გარკვევის გარეშე თუ რა შეფასდა, ანუ რომელი ფაქტები შეფასდა იურიდიულად. ასეთი შემოწმების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, თუ რომელი ფაქტები ჩათვალა სასამართლომ დადგენილად და, მაშასადამე, რომელი ფაქტები შეაფასა მან იურიდიულად ან კიდევ, სასამართლომ იურიდიული მნიშვნელობა მიანიჭა ფაქტს, რომელსაც სინამდვილეში არ აქვს ასეთი მნიშვნელობა, შეიძლება მოხდეს პირიქითაც, სასამართლომ იურიდიული მნიშვნელობა არ მიანიჭა ფაქტს და არ დაუშვა მის დასადასტურებლად მტკიცებულება, რომელსაც სინამდვილეში აქვს ასეთი მნიშვნელობა და ბოლოს, სასამართლომ სრულად და სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტიური გარემოებები, მაგრამ მისცა ამ ფაქტებს არასწორი სამართლებრივი შეფასება.

როგორც ვხედავთ, საკასაციო სასამართლოს დონეზე ფაქტების დადგენა არ წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას და მხოლოდ **სამართალშეფასება ექვემდებარება გადასინჯვას, მაგრამ თვით სამართალშეფარდების გადასინჯვა შეუძლებელია იმ ფაქტიური გარემოებების გადამოწმების გარეშე, რომლებიც სამართლებრივი შეფასების ობიექტს წარმოადგენს.**

საქმის უკან დაბრუნება განსახილველად მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე ფაქტობრივი თვალსაზრისით მზადაა გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ საჭიროა ამ ფაქტების სწორი იურიდიული შეფასება - საქართველოს კანონმდებლობით **დაუშვებელია. შეცდომის გასწორება საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებაში - საკასაციო სასამართლოს პრეროგატივაა.**

ამიტომ, თუ საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს უკან ხელახლა განსახ-

ილველად მან თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას თუ შესაგებელს, არ იქნა დადგენილი სასამართლოს მიერ (შეცდომა ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის შეფასებაში) ან კიდევ, ფაქტის დადგენის (მტკიცებულებათა მოპოვების) რომელი საპროცესო წესები იქნა დარღვეული, ან რაში გამოიხატება კონკრეტულად საპროცესო სამართლებრივი ნორმის დარღვევა, რომელმაც ზეგავლენა იქონია გასაჩივრებული გ ადაწყვეტილების სისწორეზე.

საკასაციო სასამართლოებმა ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ თუ მათ გადაწყვეტილებებში (განჩინებებში) ნათლად და გარკვევით არაა მითითებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან ახალი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივ საფუძვლებზე, ასეთი გადაწყვეტილებები ვერ შეასრულებენ საკასაციო სასამართლოს ვერც ინდივიდუალურ და ვერც საჯარო ინტერესების დაცვის ფუნქციას.

ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად-საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად თუ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთი აბსოლუტური საფუძველი, გარდა 394-ე მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებული საფუძვლებისა, როდესაც საკასაციო სასამართლოს თვითონ გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების გარეშე.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას (განჩინებას) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ საფუძვლად უნდა დაუდოს **სამართლებრივი შეფასება**, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს არამარტო საპროცესო დარღვევების მნიშვნელობის განსაზღვრას იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოეხდინა მათ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სისწორეზე, არამედ მატერიალურ სამართლებრივ დარღვევებს, მაგალითად იმის თაობაზე, რომ საა-

პელაციო სასამართლომ გამოიყენა სამართლის ნორმა, თუმცა არ იყო დადგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც აუცილებელია ამ ნორმის შეფარდებისათვის. სხვა სიტყვებით სამართლებრივი შეფასების ობიექტი არის არა სამართლებრივი ნორმის შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტები, არამედ **სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტები.** საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასების სისწორე, **მისი შესაბამისობა სამართლის ნორმის შემადგენლობის აბსტრაქტულ ნიშნებთან**, ნორმის აზრსა და შინაარსთან.

სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაუდო საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, სავალდებულოა საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოსათვის.

მუხლი 413. საქმის უკან დაბრუნება

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ საქმე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლთან ერთად უკან უნდა დაუბრუნდეს საქმის განმხილველ სასამართლოს.

საკასაციო საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილების (განჩინების) მიღების შემდეგ საქმე ამ გადაწყვეტილების ასლთან ერთად უნდა დაუბრუნდეს იმ სასამართლოს, რომლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზეც იყო ეს საკასაციო საჩივარი შემოტანილი.

კარი მეათე
კერძო საჩივარი

თავი LI
კერძო საჩივრის დასაშვებობა და განხილვის წესი

მუხლი 414. კერძო საჩივრის შეტანა

1. კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება.

1. სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესში, ჯერ კიდევ გადაწყვეტილების გამოტანამდე, საჭირო ხდება სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის განჩინებების გამოტანა. ზოგიერთი ასეთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად და მისგან განცალკევებით. სწორედ ამიტომ უწოდებენ ასეთ საჩივარს კერძო საჩივარს.

კერძო საჩივარი განჩინებაზე დასაშვებია, თუ ამას პირდაპირ ითვალისწინებს კანონი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოს სხვა განჩინებებზე შედავება დაუშვებელია. თუ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას არ ითვალისწინებს კანონი, ასეთ განჩინებაზე საწინააღმდეგო მოსაზრებები შეიძლება ჩამოყალიბდეს საკასაციო (სააპელაციო) საჩივარში.

2. კერძო საჩივრის შეტანა განჩინებაზე, როცა ეს კანონითაა დასაშვები, შეუძლია იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც განჩინებაა გამოტანილი.

ამასთან ერთად, გარდა მხარეებისა, კერძო საჩივარი შეიძლება შეიტანოს იმ პირმაც, რომელსაც ეს განჩინება უშუალოდ ეხება. მაგალითად, პირმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, რომ დაუშვას იგი მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. სასამართლომ უარი უთხრა მას თავისი განჩინებით. ამ პირს შეუძლია გაასაჩივროს განჩინება, თუმცა იგი არაა მხარე, მაგრამ მას **უშუალოდ ეხება ეს განჩინება**. როდესაც განჩინება მიღებულია მხარის შუამდგომლობის თაობაზე, ეს მხარე უნდა ჩაითვალოს იმ პირად, რომლის მიმართაც გამოტანილია განჩინება. თუ სასამართლოს მიერ უარი ეთქვა პირის შუამდგომლობას მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში ჩაბმის შესახებ, ამ შემთხვევაში არ შეიძლება არსებობდეს სხვა პირი, რომელსაც შეეხება ეს განჩინება. საკითხი იმის შესახებ, ეხება თუ არა გასაჩივრებული განჩინება უშუალოდ იმ პირს, რომელიც არაა ამ საქმეში მხარე, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიხედულებით.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რადგან, პირები, რომლებმაც შემოიტანეს კერძო საჩივარი, არ წარმოადგენენ არც მხარეებს და არც ისეთ პირებს, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ გასაჩივრებული განჩინება.[89]

მუხლი 415. კერძო საჩივრის ფორმა

კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება.

– ისე როგორც სხვა სახის საჩივრები (სააპელაციო, საკასაციო) კერძო საჩივარიც შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და მხოლოდ იმ სასამართლოში, რომლის განჩინებაც საჩივრდება.

[89] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №5, გვ. 1283-1285.

მუხლი 416. კერძო საჩივრის შეტანის ვადა

1. კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

2. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

1. კერძო საჩივრის შეტანის 12 დღიანი ვადა ვრცელდება მხოლოდ ისეთ განჩინებებზე, რომელთა მიმართ კანონით გასაჩივრების სხვა ვადა არაა დადგენილი. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

– **განჩინების გადაცემის მომენტად**, საიდანაც იწყება მისი გასაჩივრების ვადა ითვლება ამ განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, რაც უნდა დადასტურდეს სათანადო ხელწერილით, ან კიდევ, ამ განჩინების მხარისათვის გადაგზავნით 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.[90]

2. კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება აგრეთვე დასაბუთებული განჩინების **გამოცხადების მომენტიდან**, თუ მის გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, ხოლო თუ გამოცხადდა მხოლოდ განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, მაშინ უნდა გაირკვეს, თუ როდის ჩაბარდა მხარეს დასაბუთებული განჩინების ასლი, ანუ მისი გადაცემის მომენტი.[91]

---

[90] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 21 მარტის განჩინება №3კ/365-03

[91] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №9, გვ.2514-2516

მუხლი 417. კერძო საჩივრისა და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში

კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს.

2006 წლის ივლისში სსკ-ში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს უფლება არ აქვს თვითონ გამოასწოროს კერძო საჩივარში მითითებული და მის მიერ დაშვებული შეცდომა. კერძო საჩივრის განხილვის მანამდე არსებული წესი შენარჩუნებულია მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილ განჩინებებზე შემოტანილ საჩივრებზე (იხ. 197[1] მუხლის კომენტარი).

417-ე მუხლის თანახმად კერძო საჩივარი შეიტანება გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარს საქმესთან ერთად **დაუყოვნებლივ** გადაუგზავნის ზემდგომ სასამართლოს.

მუხლი 418. კერძო საჩივრის შეტანის შედეგი

1. კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული.

2. სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება. გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია პირველი ინსტანციის სასამართლოს ან სააპელაციო სასამართლოს, თუ კერძო საჩივარი მას გადაეგზავნა.

1. მთელი რიგი განჩინებებისა, თავისი ხასიათით და შინაარსით ისეთია, რომელთა საფუძველზე რაიმე მოქმედება

უნდა შესრულდეს, რაიმე მოქმედების შესრულება უნდა დაიწყოს. მაგალითად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას (270-ე მუხლი).

2. კერძო საჩივრით გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების **შეჩერება შეუძლია** ამ განჩინების **გამომტან სასამართლოს** და **ზემდგომ სასამართლოს,** თუ კერძო საჩივარი გადაეგზავნა მას.

– გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შეჩერების შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს იმის შესახებ, რომ მოქმედების შესრულება შეჩერდება კერძო საჩივრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მუხლი 419. გადაწყვეტილება კერძო საჩივრის თაობაზე

1. კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს.

2. განჩინება მიიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს კერძო საჩივრის ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას.

3. ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. მხოლოდ იგი წყვეტს საკითხს კერძო საჩივრის დასაშვებობის, მისი დაკმაყოფილების თუ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.[92]

2. ამ მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს ზემდგომი

[92] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №5, გვ.1221-1222

სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის განხილვის თავისებურებებს, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

ა) კერძო საჩივარი განიხილება ზეპირი განხილვის გარეშე.

ბ) ორივე მხარის მოწვევა და საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კერძო საჩივრის განმხილველ სასამართლოს ეს საჭიროდ და მიზანშეწონილად მიაჩნია. ასეთი საჭიროება შეიძლება წარმოიშვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც **კერძო საჩივრის არსიდან გამომდინარე** აუცილებელია ზოგიერთი ფაქტობრივი მონაცემის დადგენა-დადასტურება. მაგალითად, შემოტანილია კერძო საჩივარი განჩინებაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გადამხდევინებელს ან მისი შემდგომი აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდეს (268-ე მუხლი).

თუ კერძო საჩივარი საეჭვოს ხდის იმ გარემოებათა არსებობას, რომლებიც საფუძვლად უდევს გასაჩივრებულ განჩინებას, სასამართლოს შეუძლია ამ კერძო საჩივრის განხილვისათვის დანიშნოს სხდომა (ზეპირი განხილვა) მხარეთა შეტყობინებით. სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საჩივრის განხილვასა და გადაწყვეტას;

გ) კერძო საჩივარი შეიძლება განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს ზეპირი განხილვის გარეშე, თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი **დაუშვებელია** (გასულია გასაჩივრების ვადა, შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, არაა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და ა.შ.), ხოლო მომჩივანმა არ შეავსო ხარვეზი დანიშნულ ვადაში, ან კიდევ, დასაშვები კი არის, მაგრამ აშკარად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

3. კერძო საჩივრის განმხილველი სასამართლოს, ანუ ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ კერძო საჩივარზე **საბოლოოა,** არ გასაჩივრდება და დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში.

მუხლი 420. კერძო საჩივრის განხილვის წესი

კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

– გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ-ის 414-419-ე მუხლებით, კერძო საჩივრის განხილვა წარმოებს კერძო საჩივრის განმხილველი ზემდგომი (სააპელაციო თუ საკასაციო) სასამართლოსათვის დადგენილი წესით.

მაგალითად, აქ მითითებული მუხლები არ ითვალისწინებს კერძო საჩივრის ხარვეზის შევსების შესაძლებლობას და წესს, მაგრამ, თუ კერძო საჩივარს გააჩნია ხარვეზი, რომლის **შევსება შესაძლებელია**, ან გადახდილი არაა სახელმწიფო ბაჟი, საჩივრის განმხილველმა ზემდგომმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება ამ ხარვეზის შევსების შესახებ და დანიშნოს ამისათვის ვადა. ასეთ წესს ითვალისწინებს სსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 396-ე მუხლის მე-3 ნაწილი (იხ. ამ მუხლების კომენტარი).

– მართალია, კერძო საჩივრის განხილვისათვის კონკრეტულ ვადებს კოდექსი არ ითვალისწინებს და ფაქტიურად ამავე მუხლის დათქმის თანახმად, სსკ-ის 399-ე, 372-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და კანონის ანალოგიის გამოყენებით კერძო საჩივრის განხილვისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 59-ე მუხლით, რა დროსაც მათზე გავრცელდება სარჩელის განხილვის 2 თვიანი ვადა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა სწორმა სასამართლო პრაქტიკამ ცალსახად გვიჩვენა, რომ სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში კერძო საჩივრის განხილვის **მაქსიმალურმა ვადამ**, თავისი სირთულიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეადგინოს 1 თვე. ეს კი რეალურად შეუწყობს ხელს სამოქალაქო საქმეთა განხილვის ვადების დაცვას (ძირითადი სარჩელის კანონით დადგენილ ვადებში განხილვას) და

ამ ნიშნით გამორიცხავს ამ ვადების დარღვევას. სასამართ-ლოების მიერ ზემოაღნიშნულის გათვალისწინება ბევრადაა დამოკიდებული **კერძო საჩივრის დროულად და რაც შეიძლება სწრაფად განხილვაზე**. კერძო საჩივრის **გამარტივებულად განხილვის წესები, რასაც კოდექსის ეს თავი შეიცავს, სწორედ ამ მიზანს ემსახურება.**

კარი მეთერთმეტე
საქმის წარმოების განახლება

თ ა ვ ი LII

განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი

მუხლი 421. საქმის წარმოების განახლების სახეები

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

2. თუ სასამართლოში შემოსულია განცხადებები როგორც ერთი და იმავე, ასევე ორივე მხარის მიერ ერთდროულად გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლომ უნდა შეაჩეროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების შესახებ განცხადების განხილვა, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს საქმის წარმოების **განახლების ორ სახეს**:

ა) გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობას და ბ) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას.

– განახლება დასაშვებია მხოლოდ ისეთი საქმეებისა, რო-

მელთა წარმოება დამთავრებულია სასამართლოს **კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით**. ასეთ განჩინებებს განეკუთვნება განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ-ის 272-ე მუხლი) და განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ-ის 275-ე მუხლი). ამ განჩინებებით მთავრდება საქმის წარმოება.

იგივე უნდა ითქვას სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე და განჩინებებზე, რომლებითაც მთავრდება **საქმის წარმოება** და არა მათ ისეთ განჩინებებზე, რომლებითაც მთავრდება სააპელაციო ან **საკასაციო წარმოება** (მაგალითად, განჩინება სააპელაციო (საკასაციო) წარმოების შეწყვეტის შესახებ იმის გამო, რომ აპელანტმა (კასატორმა) უარი თქვა თავის საჩივარზე (სსკ-ის 378-ე მუხლი).

– ამრიგად, ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების ობიექტი შეიძლება იყოს:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, აგრეთვე, განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტისა თუ სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შესახებ;

ბ) სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, განჩინებები გასაჩივრებული გადაწყვეტილებების უცვლელად დატოვების შესახებ, აგრეთვე, განჩინებები საქმის წარმოების (და არა სააპელაციო, საკასაციო წარმოების) შეწყვეტის თუ საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

– სასამართლო ინსტანციების ყველა სხვა განჩინება არ შეიძლება იყოს საქმის განახლების მიზნით ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების ობიექტი, რადგან მათი მეშვეობით ხდება არა საქმის წარმოების დამთავრება, არამედ ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების გადაწყვეტა.[93]

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მხარეთა გან-

[93] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №3,644-646.

ცხადების განხილვის რიგითობას. თუ ერთდროულად შემოსულია განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ, სასამართლომ ჯერ უნდა განიხილოს განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ. რაც შეეხება განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ამ განცხადების **განხილვის შეჩერების შესახებ**, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

– აღნიშნულ განცხადებათა განხილვის ამგვარ რიგითობას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი გამართლება: გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები (სსკ-ის 422-ე მუხლი), თუ მათ სინამდვილეში ჰქონდათ ადგილი, გაცილებით უფრო ადვილი დასადგენია, ვიდრე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა დადგენა.

– თუ გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და საქმის წარმოება განახლდა, მაშინ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვა აღარაა საჭირო, სასურველი შედეგი უკვე მიღწეულია, ეს განცხადება კი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

– თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, მაშინ სასამართლომ უნდა განაახლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ **შეჩერებული განცხადების განხილვა**.

მუხლი 422. განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ:

ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ

გადაწყვეტილების მიღებაში;

ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე;

გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული დგადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

2. განცხადება აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დაუშვებელია, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად პირველი ინსტანციის, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

1. განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ შეიძლება შეიტანონ მხარეებმა, მესამე პირებმა დამოუკიდებელი მოთხოვნით, აგრეთვე იმ პირმა, რომელიც, მართალია არ ფიგურირებდა საქმეში, როგორც მხარე ან მესამე პირი, მაგრამ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მითითებულია ამ პირზე და განსაზღვრულია მისი უფლება-მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ, რის შესახებაც მან გაიგო ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, კერძოდ, მისი აღსრულების სტადიაზე.[94]

– ეს მუხლი ითვალისწინებს გადაწყვეტილების ბათილობის სამ საფუძველს:

ა) **მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო გადაწყვეტილების მიღებაში.** გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს იმ მოსამართლეს: რომელიც მონაწილეობდა ამ საქმის განხილვაში (მოიაზრება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოები); რომელსაც განუცხადეს აცილება და ეს აცილება მიიღო სასამართლომ; რომელიც დროებით გადაყენებულია (ჩამოცილე-

[94] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 19 თებერვლის განჩინება №ას-662-1323-03

ბულია) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან; რომელიც არ არის ამ კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობაში და ის არ შეუყვანიათ ამ შემადგენლობაში კანონით დადგენილი წესით;

ბ) **ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.** მხარის მოწვევა საქმის განხილვაზე უნდა განხორციელდეს სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა ერთ-ერთი მხარის (კანონიერი წარმომადგენლის) გარეშე, რომელსაც არ გაეგზავნა შეტყობინება მითითებული მუხლებით დადგენილი წესით, წარმოადგენს გადაწყვეტილების სააპელაციო (საკასაციო) წესით გაუქმების უდავო საფუძველს (სსკ-ის 394-ე მუხლი), მაგრამ თუ ასეთი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და მისი სააპელაციო (საკასაციო) წესით გასაჩივრება აღარ შეიძლება, მაშინ დაისმის საკითხი ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

– ამ პუნქტის დანაწესი სწორად უნდა იქნეს გაგებული იმ თვალსაზრისით, რომ მთავარია მხარეს გაეგზავნოს შეტყობინება სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მაგრამ მისი გამოუცხადებლობა ვერც საქმის განხილვას დააბრკოლებს და ვერც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდება.[95]

გ) **პირი, რომლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.** პრაქტიკაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი მართალია არ ყოფილა საქმეში ჩაბმული არც მოსარჩელედ, არც მოპასუხედ და არც მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მისი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ (მიეკუთვნა რაიმე ქონება ან უფლება, დაეკისრა მოქმედების შესრულების მოვალეობა ერთ-ერთი მხარის მიმართ და ა.შ.), ანუ უშუალოდ შეეხო მის კანონიერ ინტერესებს და ამ დროს არ იყო იგი საქმის განხილვაზე

[95] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002, №6, გვ.889-895

მოწვეული. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან შესაძლოა გახდეს მისი ბათილობის საფუძველი.

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ბათილად ცნობის შესახებ **განცხადების დასაშვებობის** (განსახილველად მიღების) პირობას. ეს პირობა ნეგატიური შინაარსისაა: **მხარეს არ შეეძლო** ბათილობის საფუძვლების წამოყენება პროცესის ადრე ეტაპზე, კერძოდ, პირველი, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ანუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. იგულისხმება ობიექტური და არა სუბიექტური **შეუძლებლობა**, მაგალითად, ბათილობის საფუძვლების არსებობის შესახებ მხარემ გაიგო მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც დაადასტურებენ გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლების ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე წამოყენების შეუძლებლობას.

მუხლი 423. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ:

ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება,

განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;

ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

2. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, სისხლის სამართლის საქმეზე თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

1. ამ მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას.

ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი ეკისრება განმცხადებელს. მან უნდა წარუდგინოს განცხადების განმხილველ სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში.

– იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება

საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას, ამომწურავია და მათი წრის არც გაფართოება და არც შეკვეცა სასამართლოს არ შეუძლია.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძველი ხდება სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ.

მაგალითი:

საკასაციო სასამართლომ, ასეთი პრაქტიკა, როდესაც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების საფუძველი ხდება სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, დაუშვებლად მიიჩნია და თავის ერთ-ერთ განჩინებაში განმარტა: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლების მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, ვერ დაედება საფუძვლად გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას, რადგან ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია უდავო წარმოების წესით, სადაც არ არიან ურთიერთდაპირისპირებული მხარეები, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.[96]

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომელთა მეშვეობით დასაშვებია იმ ზოგიერთ გარემოებათა დამტკიცება, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს საქმის წარმოების განახლებას. ეს მტკიცებულებებია: კანონიერ ძალაში შესული სისხლის სა-

[96] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2002, №5, გვ.737-739

მართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დასტურდება, რომ დოკუმენტი, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, თარგმანი, რომლებიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას და მაშასადამე, რომელთა გარეშე ასეთი გადაწყვეტილება არ იქნებოდა გამოტანილი, ყალბი და არასწორია, ან კიდევ, დადგენილია სახელდობრ, ამ საქმეზე მხარეთა, მათ წარმომადგენელთა, აგრეთვე მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება. მხედველობაშია მისაღები მხარეთა და მოსამართლის ისეთი კანონსაწინააღმდეგო და სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება, რომლის ზეგავლენითაც მოხდა ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა.

3. სასამართლოებმა მხედველობიდან არ უნდა გაუშვან ამ მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში მითითებული საფუძვლები კიდეც რომ დადასტურდეს (მაგალითად: მხარემ წარმოადგინა ანდერძი მას შემდეგ, როცა გადაწყვეტილება სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებს შორის განაწილების შესახებ უკვე შევიდა კანონიერ ძალაში), ამ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შეიძლება მხოლოდ ორი აუცილებელი პირობის არსებობისას: პირველი, **ფაქტი არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და** მეორე, **მხარემ არ იცოდა ამ ფაქტის თაობაზე, ამასთან, თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.**[97]

მუხლი 424. განსჯადობა

1. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (გან-

[97] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 2 მარტის №ას-25-341-04 განჩინება.

ჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

2. თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

1. განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებას მოითხოვენ. ის გარემოება, რომ ამ გადაწყვეტილების უცვლელად (ძალაში) დატოვების შესახებ არსებობს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს განჩინებები, არ ცვლის განსჯადობას. განცხადება, მიუხედავად ამისა, უნდა განიხილოს გადაწყვეტილების გამომტანმა და არა იმ სასამართლომ, რომელმაც უცვლელად (ძალაში) დატოვა იგი.[98]

– სხვა საკითხია, როდესაც სააპელაციო (საკასაციო) სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და თვითონ გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში განცხადება საქმის განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოში.

[98] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2003, №3, 644-646.

2. არ არის გამორიცხული, რომ ზემდგომმა სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და გაუქმებული ნაწილის მიმართ თვითონ მიიღო ახალი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ზემდგომ სასამართლოში, რომელიც თვითონ განიხილავს საკითხს მთლიანად გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მისი გაუქმების შესახებ.

– არ არის გამორიცხული, რომ განმცხადებელმა მოითხოვოს არა მთლიანად, არამედ გადაწყვეტილების მხოლოდ ნაწილობრივ გაუქმება, აგრეთვე გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება და წარმოების განახლება, რომელიც გამოტანილია ზემდგომი ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში განცხადება შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნაწილის გაუქმებას და ამ ნაწილში საქმის წარმოების განახლებასაც მოითხოვენ. განცხადების განხილვა წარმოებს სსკ-ის 430-ე მუხლით დადგენილი წესით (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 425. განცხადების შეტანის წესი

გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

– ამ თავით (სსკ-ის თავი LII, მუხლები 421-432) განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა წარმოებს ამ კოდექსით დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 426. განცხადების შეტანის ვადა

1. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

2. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

3. თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება ემყარება 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტს, განცხადების შეტანის ვადა იწყება იმ დღეს, როცა მხარეს ან, თუ იგი ქმედუუნაროა, მის კანონიერ წარმომადგენელს ეცნობა გადაწყვეტილება.

4. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

1. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების ერთთვიანი ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება.

2. გაცილებით უფრო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ საიდან იწყება ამ ერთთვიანი ვადის დენა. თუ მხარისათვის ცნობილი გახდა საქმის განახლების საფუძვლები (სსკ-ის 422-423-ე მუხლები) ჯერ კიდევ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ხოლო კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ეს ერთთვიანი ვადა უკვე გასულია, მაშინ ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლო არ მიიღებს განცხადებას.

– ცხადია, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს ვადის დენის დაწყების სხვა ეტაპი: იმისგან დამოუკიდებლად,

თუ როდის შეიტყო მხარემ გადაწყვეტილების ბათილობის, თუ მისი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების საფუძვლების შესახებ, განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რადგან **კანონიერ ძალაში** შესვლამდე სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვა საქმის განახლების შესახებ, ალოგიკური და დაუშვებელია.

– სხვა საკითხია, რომ საქმის წარმოების განახლების საფუძვლების შესახებ მხარემ შეიტყო ჯერ კიდევ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და თანაც ისეთ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ჰქონდა შესაძლებლობა შესაბამისი საჩივრით მიემართა პირველი ინსტანციის, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის, რის გამოც სასამართლომ უარი უნდა უთხრას მას განცხადების მიღებაზე და განხილვაზე, როგორც ამას ითვალისწინებს სსკ-ის 422-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 423-ე მუხლის მე-3 ნაწილი (იხ. ამ მუხლების კომენტარი). მაგრამ ეს ხელს არ უშლის საკითხის პრინციპულ გადაწყვეტას: **განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ**.

– საქმის წარმოების განახლების ინსტიტუტი არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრება აღარ შეიძლება.

3. მხარე (კანონიერი წარმომადგენელი), რომელიც საერთოდ არ იყო მოწვეული სასამართლო სხდომაზე, ამის შესახებ შეიტყობს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ეცნობა გადაწყვეტილება, ე. ი. როდესაც მას ჩაბარდა გადაწყვეტილება უშუალოდ სასამართლოში, ან გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით. სწორედ ამიტომ იწყება ვადის ათვლა ამ დღიდან. სხვა მხრივ ამ შემთხვევაზეც ვრცელდება ყველაფერი ის, რაც ითქვა ამ მუხლის მე-2 ნაწილის კომენტართან დაკავშირებით, კერძოდ, ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაბარდა ეს გადაწყვეტილება მათ.

4. ხუთი წელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღი-

დან არის ის მაქსიმალური ვადა, რომლის შემდეგ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების არსებობის მიუხედავად, აღარ შეიძლება საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა სარჩელი სსკ-ის 426-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გაუქმების შესახებ, იმის გამო, რომ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ თავისი 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა სარჩელი და ჩათვალა, რომ სსკ-ის 426-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, რომლის თანახმად "გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ", არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების ხანგრძლივად გადასინჯვის დაშვება საფრთხეს შეუქმნიდა იმ მესამე პირთა ინტერესებს, რომლებმაც უფლება შეიძინეს იმათგან, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ეკუთვნოდა იგი. საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას. ამ გამონაკლისის დაშვებით საფრთხე არ უნდა შეექმნას იმ ზოგად წესს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის საბოლოო, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ვინაიდან უფლების შესახებ დავა ყოველთვის ქმნის ამ უფლების განუსაზღვრელობას, სასამართლო ვალდებულია წერტილი დაუსვას ასეთ მდგომარეობას და გადაწყვიტოს იგი. ის, რაც იწვევდა კონფლიქტს მხარეებს შორის, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ. დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მუდმივად ეჭვქვეშ დაყენება, წი-

ნააღმდეგ შემთხვევაში საფუძველი გამოეცლებოდა სასამართლოსადმი სანდოობის ვარაუდს. არავინ არ არის დაზღვეული იმისაგან, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, კვლავ არ გახდება საეჭვო.[99]

მუხლი 427. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების შინაარსი

1. განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას;

ბ) მითითებას იმ საფუძვლებზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება;

გ) მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა, და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე;

დ) მითითებას განსჯადობის წესების დაცვის თაობაზე;

ე) მითითებას იმის შესახებ, თუ რა ზომით და რა ფარგლებში მოითხოვს განმცხადებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და სხვა გადაწყვეტილებით მის შეცვლას.

2. თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება.

---

[99] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161

1. გარდა ყველა იმ მონაცემისა, რომლებსაც უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი მიმართული ყველა სხვა განცხადება, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არამარტო ზუსტ დასახელებას, არამედ აგრეთვე თან უნდა დაერთოს ამ გადაწყვეტილების ასლი;

ბ) იმის მიხედვით, თუ როგორია განმცხადებლის მოთხოვნა, იმ საფუძველზე მითითებას, რომელსაც სსკ-ის 422-423-ე მუხლების თანახმად უკავშირდება საქმის წარმოების განახლება (იხ. ამ მუხლების კომენტარი);

გ) სსკ-ის 426-ე მუხლი განსაზღვრავს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადას და მისი ათვლის წესს. ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საქმის განახლების საფუძვლის არსებობა. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როდიდან გახდა ცნობილი განმცხადებლისათვის ამ საფუძვლის შესახებ და რა მტკიცებულებებით შეუძლია მხარეს ამ გარემოების დადასტურება.

მაგალითად, განმცხადებელი, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, წარუდგენს სასამართლოს საფოსტო გზავნილს, რომლითაც დასტურდება გადაწყვეტილების ჩაბარების დღე (სსკ-ის 426-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მხარე, რომელიც მოითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლებას, წარუდგენს სასამართლოს გადაწყვეტილებას ან განჩინებას იმ დოკუმენტის სიყალბის შესახებ, რომელსაც ემყარება გადაწყვეტილება და ა.შ.;

დ) საქმის განახლების შესახებ განცხადება იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის მიერაც გამოტანილია გადაწყვეტილება და რომლის ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებასაც მოითხოვენ (სსკ-ის 424-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიის საქმეთა განსჯადობა თვითონ უნდა შეამოწმოს იმ სასამართლომ, რომელსაც მხარემ მიმართა განცხადებით;

ე) მიუხედავად საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობისა, მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს გადაწყვეტილების არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ გაუქმება. ამი-

ტომ, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, თუ გადაწყვეტილების რა ზომით და რა ნაწილში გაუქმებას მოითხოვს იგი.

2. თუ განცხადება არ პასუხობს ამ მოთხოვნებს, სასამართლოს გამოაქვს „განჩინება განცხადების ხარვეზის შევსების შესახებ". ამ განჩინებით სასამართლო უნიშნავს განმცხადებელს ვადას ხარვეზის შევსებისათვის და აფრთხილებს, რომ თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, განცხადება განუხილველი დარჩება დაუშვებლობის გამო (სსკ-ის 429-ე მუხლი).[100]

მუხლი 428. მოსამართლის ჩამოცილება განცხადების განხილვისაგან

გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვაში დაუშვებელია იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელსაც კანონის მიხედვით არ უნდა მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში (422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი), ან რომლის დანაშაულებრივი ქმედების გამო აღიძვრის საქმე განახლების შესახებ (423-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი).

– სავსებით მიზანშეწონილი და დასაშვებია, რომ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ იმავე მოსამართლემ ან იმავე სასამართლოს კოლეგიურმა შემადგენლობამ განიხილოს. ასევე სავსებით მიზანშეწონილ, გასაგებ და სრულიად გამართლებულ გამონაკლისს ითვალისწინებს ეს მუხლი, რომლის დანაწესი განუხრელად უნდა შესრულდეს.

---

[100] სუსგ სამოქალაქო საქმეებზე,2002, №12, გვ.2435-2440.

მუხლი 429. განცხადების დასაშვებობის შემოწმება

სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

ეს მუხლი ავალებს სასამართლოს შეამოწმოს საქმის განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობა. ამისათვის სასამართლომ უნდა შეამოწმოს ასეთი განცხადების ყველა წინაპირობა, კერძოდ:

ა) შემოტანილია თუ არა განცხადება უფლებამოსილი პირის მიერ (მხარეები, თანამონაწილეები, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით, უფლებამონაცვლეები, პირები, რომლებიც, მართალია, არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრა ამ გადაწყვეტილებით);

ბ) დაცულია თუ არა ასეთი განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა (იხ. სსკ-ის 426-ე მუხლის კომენტარი);

გ) ხომ არ არის გასული 5 წელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (სსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი);

დ) პასუხობს თუ არა განცხადება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შეავსო თუ არა განმცხადებელმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში (სსკ-ის 427-ე მუხლი);

ე) შემოტანილია თუ არა განცხადება სასამართლოში განსჯადობის წესების დაცვით (სსკ-ის 424-ე მუხლი);

ვ) შეეძლო თუ არა განმცხადებელს გადაწყვეტილების ბათილობის პირობების წამოყენება პირველი ინსტანციის, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (სსკ-ის 422-ე მუხლი);

ზ) განმცხადებელს თავისი ბრალის გარეშე ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე (სსკ-ის 423-ე მუხლი);

თ) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი, რასაც ითვალისწინებს 38-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

– თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არ არსებობს საქმის განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა და განმცხადებელმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელი იყო, სასამართლო გამოიტანს განჩინებას „საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.“

ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, გარდა საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებისა.

– თუ ასეთი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს „განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებისა და ამ საქმის ზეპირი განხილვის დანიშვნის შესახებ“, რომელიც არ საჩივრდება.

მუხლი 430. განცხადების განხილვა

1. თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ დასაშვებია, მაშინ სასამართლომ უნდა განსაზღვროს დრო საქმის ზეპირი განხილვისათვის.

2. თუ საქმის ზეპირი განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე, რაც შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში.

3. თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

1. საქმის ზეპირ განხილვას, ანუ სასამართლო სხდომის დღეს სასამართლო ნიშნავს თავისი განჩინებით „საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების მიღებისა და ამ საქმის ზეპირი განხილვის დღის დანიშვნის შესახებ“.

უწყება სასამართლო სხდომისა და საქმის ზეპირი განხილვის შესახებ მხარეებს ეგზავნებათ სსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

2. სასამართლოს სხდომაზე საქმის განხილვის დროს სასამართლო იკვლევს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობას, ე. ი. იმას, არსებობს თუ არა სსკ-ის 422-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, თუ განცხადება ამ საფუძვლებს ემყარება (იხ. ამ მუხლის კომენტარი), ან სსკ-ის 423-ე მუხლში მითითებული საფუძველი, თუ განცხადება ამ საფუძვლებს ემყარება (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

– თუ განმცხადებელი ვერ დაადასტურებს საქმის წარმოების განახლების შესახებ მის განცხადებაში მითითებულ საფუძველს (გარემოებას), მაშინ სასამართლო გამოიტანს „განჩინებას საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“.

ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში, ე. ი. სააპელაციო (საკასაციო) წესით.

3. თუ განმცხადებელი დაამტკიცებს განცხადებაში მითითებულ საქმის განახლების საფუძველს, მაშინ სასამართლო გამოიტანს „განჩინებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ“ (სსკ-ის 422-ე მუხლი), თუ განმცხადებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და ამ საფუძველზე საქმის წარმოების განახლებას მოითხოვდა, ან გამოიტანს „განჩინებას გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ“ (სსკ-ის 423-ე მუხლი), თუ განმცხადებელი ამ საფუძვლით მოითხოვდა წარმოების განახლებას.

ამ განჩინებით, რომლის გასაჩივრებაც არ შეიძლება, სასამართლო ნიშნავს საქმის განხილვის დღეს (სასამართლო სხდომას), რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 431. საქმის განხილვა

გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

– იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა უდევს საფუძვლად საქმის წარმოების განახლებას – გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამ გადაწყვეტილების გაუქმება, საქმე, რომელზეც ბათილად ცნობილი თუ გაუქმებული გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, განხილულ უნდა იქნეს თავიდან, ე. ი. ისე, თითქოს იგი ადრე არც ყოფილა განხილული, საქმის განხილვის ამ კოდექსით დადგენილი ყველა წესის დაცვით.

მუხლი 432. გადაწყვეტილების აღსრულება

საქმის განახლების შესახებ განცხადება ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანა იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს.

– ვერც საქმის განახლების შესახებ განცხადების შეტანა, ვერც ამ განცხადების განსახილველად მიღების შესახებ სასამართლოს განჩინება და ვერც საქმის განხილვის და-

ნიშვნა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას.

– გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ ამის შესახებ განმცხადებლის შუამდგომლობის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, რის შესახებაც მას გამოაქვს განჩინება იმ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ, რომლის ბათილობას ან გაუქმებასაც შეეხება განცხადება.

– გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით შეიძლება გარკვეული ზიანი მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს. ამიტომ, ასეთი შეჩერების შემთხვევაში სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად შესაბამისი გარანტიები (იხ. სსკ-ის 57-ე მუხლის კომენტარი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 433. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამოქმედდეს 1999 წლის 15 მაისიდან, როდესაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად დამთავრდება საერთო სასამართლოების სისტემის ჩამოყალიბება და დაინიშნებიან ამ სისტემის მოსამართლეები.

მუხლი 434. ძალადაკარგული ნორმატიული აქტების ნუსხა

1999 წლის 15 მაისიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

„საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., №36, მუხ. 663), აგრეთვე ამ კანონით დამტკიცებული „საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო სამართლის კოდექსი“.

მუხლი 435. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოქმედება დროში

სამოქალაქო საქმეების წარმოება სასამართლოში ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კანონებით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ამოქმედებას დროში აწესრიგებს აგრეთვე ამ კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი (იხ. ამ მუხლის კომენტარი).

მუხლი 436. 1999 წლის 15 მაისამდე სასამართლოებში მიღებული, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საქმეების განხილვა

1. სამოქალაქო საქმეები, რომლებიც მიღებულია სასამართლოებში 1999 წლის 15 მაისამდე, მაგრამ რომელთა განხილვაც არ არის დამთავრებული ამ დროისათვის, უნდა განიხილონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად იმ სასამართლოებმა, რომელთა წარმოებაშიც იყო ეს საქმეები.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე 1999 წლის 15 მაისამდე წარდგენილ საზედამხედველო საჩივრებს, რომლებზედაც საზედამხედველო წარმოება დამთავრებული არ არის, განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

3. საქართველოს საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე 1999 წლის 15 მაისამდე შეტანილ საზედამხედველო პროტესტებს, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატის შუამდგომლობებს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

4. სამოქალაქო საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 1999 წლის 15 მაისამდე გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომლებიც არ შესულა კანონიერ ძალაში, შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ

პირველი ინსტანციის წესით განხილულ სამოქალაქო საქმეებზე 1999 წლის 15 მაისის შემდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები კანონით დადგენილ ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო სასამართლოში.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მითითებულ საქმეებს განიხილავს 408-ე მუხლით დადგენილი წესით, კოლეგიურად — სამი მოსამართლის მონაწილეობით. იმ საქმეებზე შეტანილი საჩივრები, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ასევე განხილულია უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატის, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და პრეზიდიუმის მიერ, განიხილება პალატის იმ წევრთა სრული შემადგენლობით, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ საქმის განხილვაში. ეს წესი არ ვრცელდება უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატაში საქმეების განხილვაში მონაწილეთა მიმართ.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვისას შეუძლია საქმე არ გადასცეს ხელახლა განსახილველად და მიიღოს გადაწყვეტილება 411-ე მუხლის შესაბამისად. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მუხლი 437. ამოღებულია

მუხლი 438. ამოღებულია

მუხლი 439. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოთა განსჯადობა

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია.

მუხლი 440. წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა სამოქალაქო პროცესში

პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.

მუხლი 441.

□ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ□

საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე სასამართლოებმა შეაჩერონ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებული დავების განხილვა, აგრეთვე შეჩერდეს სააღსრულებო მოქმედებები და საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრესა და მოსარგებლეს შეუნარჩუნდეთ შესაბამისი უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 442. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების განხორციელება, წარმოებაში მიღებული საქმეების გადაცემა და საკასაციო საჩივრების განხილვა

1. ამ კოდექსით გათვალისწინებულ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას 2005 წლის 1 ნოემბრამდე ახორციელებენ საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები.

2. საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ 2005 წლის 15 ივლისამდე წარმოებაში მიღებული საქმეები, რომელთა განხილვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, გადაეცემა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

3. 2005 წლის 1 ნოემბრამდე დარეგისტრირებული საკასაციო საჩივრის განხილვაზე არ

ვრ ვრცელდება ამ კოდექსის 391-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილების მოქმედება.

მუხლი 443. სააპელაციო საჩივრის განხილვა ერთპიროვნულად

1. 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილი სააპელაციო საჩივარი ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრულ საქმეებზე, ქონებრივ-სამართლებრივ დავაზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს, ასევე შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საქმეებზე დაწყებულ სააპელაციო წარმოებას ერთპიროვნულად აგრძელებს სააპელაციო (საოლქო) სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ის მოსამართლე, რომელიც გამწესებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

კომენტარში გამოყენებული შემოკლებანი

სს - სააქციო საზოგადოება
სსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სუს - საქართველოს უზენაესი სასამართლო
სუსგ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

კორექტორი **ი. ნავროზაშვილი**

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 50
საბეჭდი ქაღალდი, ოფსეტი № 1 58X90, 1/16
ბეჭდვა ოფსეტური

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45

სტამბა შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“
გრ. რობაქიძის ქ. №7ა